

Հ Խ Թ Ե Դ Խ Լ Ի Ը

Ո Մ Ո Վ Ը Վ

«ՆԱԳՔՐՈՒԹՅԱՆ ՆԱԽԿԱՐԻՆԻԸՐ»

Կ Ե Ն Ի Կ Ե

• 212

მ ს ო ფ ლ ი ო ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს

ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ი ს ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო ს ა ბ ჭ ო

ბრიგოლ აბანიძე
ალიო ადამია
მზია ბაძრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
თენგიზ ბუაჩიძე
ალექსი ჰომიაშვილი
დავით დუნდუა
თამარ ერისთავი
მაგალი თოდუა
ციალა თოფურიძე
მინხილ კვესელაია
დავით ლაშქარაძე
კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ელგუჯა მალრაძე
გივი მელაძე
გიორგი ნატროშვილი
შოთა სულაბერიძე
ბურამ შანგიძიძე
იორამ ქემერტელიძე
სიმონ ყაუხჩიშვილი
ნიკო ყიასაშვილი
დემნა შენგელაია
ოთარ ჩხეიძე
გიორგი ციციშვილი
გივი ციციშვილი
ვახტანგ ჭელიძე
ვახტანგ ჯაგუბაძე

ბეულბერძნულიდან თარგმნა,
წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო
რომან მიმინოშვილმა

რედაქტორი
ბაჩანა ბრეგვაძე

მხატვარი

ლადო ბრიგოლია

ილუსტრაცია სუპერზე მ. კიკოვიძისა

სიტყვა კომეროსზე

საოცარი შემოქმედი

ქვეყნად არ შობილა ხელოვანი, მასზე დიდი ძეგლი რომ აეგოს, ქვეყნად არ შობილა მოძღვარი, მასზე მეტი თაობა რომ აღეზარდოს, ქვეყნად არ შობილა ადამიანი — ათასობით წლები ეცხოვროს და მასავით ჭაბუკი დარჩენილიყოს.

თქმულებამ იგი მოხუცად და ბრმად შემოგვინახა. იქნებ იმიტომ დააბერა და დააბრმავა ხალხის ფანტაზიამ, რომ კომეროსი ათასი წლისა უნდა ყოფილიყო, რათა ის შეექმნა, რასაც ერთი კაცის სიცოცხლე არ ჰყოფნის, სხვა თვალი უნდა ჰქონოდა, რომელიც იმას დაინახავდა, რასაც მოკვდაკის თვალი ვერ იხილავს...

კომეროსი — ეს არის საოცარი ფერწერა, საოცარი იმიტომ, რომ იგი არ ქმნის წამიერ მშვენიერებას, რომელსაც ჰქონდა დასაწყისი, შენ რომ არ გინახავს, და ექნება დასასრულიც, შენ რომ ვერ ნახავ. კომეროსი — ეს არის მოქრავი ფერწერა...

ორი მხარე — ფერწერული და მუსიკალური ანიჭებს კომეროსის პოეზიას განუმეორებელ მშვენიერებას. გულდასმით თხრობასთან, გმირთა დიალოგებში გამოხატულ დიდ ვნებათა ლელვასთან ერთად მუსიკა და ფერწერა ჰქმნის წარუშლელ შთაბეჭდილებას.

აი, როგორ გადმოსცემს კომეროსი აქაუელთა მხედრობის გამოკრას ბრძოლის ველზე... თუმცა, ნუ ავიჩქარდებით. იქნებ სჯობდეს, რამდენიმე წინასწარი შენიშვნა გავაკეთოთ. პოეტს სჭირდება აჩვენოს საოცარი მანევრის მასშტაბურობა. კი არ მოგვითხროს, არამედ სწორედ რომ უნდა გვაჩვენოს ამიანთვის მან უნდა დაგვარწმუნოს, რომ: 1. ლაშქარი გარეგნულად მშვენიერი ხანახაია და ამ მშვენიერებაში რაღაც საშიშროება იკრძნობა; 2. ლაშქარი არა მარტო მშვენიერია, არამედ საოცარი სისწრაფით მოქრის და ეს მით უფრო ზრდას საშიშროების გრძნობას; 3. ლაშქარი მშვენიერიც არის, სწრაფიც, მაგრამ ამ იქ

დროს მრავალრიცხოვანიც. შესაბამისად იზრდება საშიშროების გრძნობა; 4. სიმრავლე უკუისთავად საშიშია, მაგრამ მით უფრო საშიშეღია, როცა ეს სიმრავლე აქტიურია, ისე აქტიური, რომ თავიდან ვერ მოიპოვებს; 5. მაგრამ ვინ ჰყავს ლაშქარს მეთაურებად, ძალუბთ თუ არა მათ ღირსეულად გაძლოდა? ლაშქარს მარჯვე წინამძღოლები ჰყავს; 6. როგორია მსგავსობითავე რუს-დართთავარი აგამემნონია, იგიც მშვენიერია; 7. მშვენიერება არ კმარა — აგამემნონი ამავე დროს საშინელ ძაღვს ფლობს.

აღბათ, მკრეჭელობა ასე პუნქტუბად დაშლა იმისა, რაც პომპროსმა ერთ სურათად წარმოკვიდგინა და შვიდი ვრცელი შედარებით გვანკვენა:

1. პითქოს მთის თხემზე ავარდნილა ცეცხლი სასტიკი, უსიერ ტყეს წყავს, შგმოვარენს ანათებს აღი: სხილენძი ისე ლაპლაპება, როს სპა დაიძრა, შუქს ჰფენდა ეთერს და ელავდა ვიღრე ცათამდე.
2. ვით უთვალავი ფრინველების გუნდი და გუნდი — გრძნულყელიანი გედების და წეროებისა აზრის ველზე, კავსტრიოსის სანაპიროზე აქებთ და იქით დაფრთხილებს, ფრთებს ატყლაშუენებს, მაღლით შრიალით დაეშკება, ისე გაცვივდნენ ატყველები კარვებიდან, ხომალდებიდან სკამანდრიოსის ველზე, და მყის ცხენთა ფლოქებუქვიშ, გმირების ფებქვეშ ატუგუნდა საზარლად მიწა.
3. სკამანდრიოსის ველს მოედო სპა უთვალავი, როგორც ფრთლები, ვით ყვავილნი ვარდობისთვეში.
4. ვით უთვალავი ბუზთა გუნდი რიად-რიალით ირევა სოფლად, მწყემსის ქობთან, ვარშემო ფვლის, განაფხულის ჟამს, რქე ქოთნებში როს მიჩხრიალუბა, ისე ურიცხვი იყო ჯარი აქაველების, გულანთებული მტრის გათელვის, ბრძოლის წყურვილით.
5. როგორც მწყემსები, თხათა არვე რომ აირკვა, გამოარჩევენ სხვა მრავალთა შორის თავისას, ისე აწყობდნენ ჯარს რაზმებად წინამძღოლები.
6. მათ შორის იყო აგამემნონ ერისმთავარი, თვალებით ჰგავდა და იერით ზევისს მესხისმტყორცნელს, არესს — სხეულით, ხოლო მკერდით — თვით პოსეიდონს.
7. როგორც მთელს ჯოგში ერთი კურო გამოირჩევა და ახოვნებით ყველა მოზვერს დაჯაბნის ხოლმე, იმ დღეს ისეთი ძალა მისცა მაღალმა ზევსმა სალხთა მეუფე აგამემნონს, გმირს ურჩეულესს.

(ქება მეორე, ტ. 455-483).

აქ ისეა ერთნაბთში ჩაწნული ომისა და მშვიდობის სურათები, რომ ადა-ნიანის ცხოვრების მთლიანი პანორამა იქმნება. ის, რაც გინახავს და განგიც-

დია, კიდევ ერთხელ ცოცხლდება შენს წინაშე, რათა დაინახოს ისიც, რასაც პოეტი გეთავაზობს. ერთი წამით არ იკარგება ლეთაბრივი ნებით სალაშქროდ გამოსული მეომრების კავშირი მშობლიურ მიწასთან, ბუნებასთან, მშვიდობიან ცხოვრებასთან.

განუმეორებელ ელფერს აძლევს ჰომეროსის პოემებს მდიდარი და მრავალფეროვანი ეპითეტები, მათ შორის მუღმივი ეპითეტები, რომლითაც ამკობს პოეტი ღმერთსა თუ გმირს, რითაც სახს უხვამს მის ამა თუ იმ თვისებას. გავიხსენოთ ეს მუღმივი ეპითეტები:

ღრუბელთაბატონი, ზამა უკვდავთა და მოკვდავთა ზევსი; შორს-მოისარი, ვერცხლისმშვილდოსანი აპოლონი; თვალმცეცხლია, პალასი ათენა; მხრებქათქათა, ღედოფალი ჰერა; კოჭლი ჰეფესტო; მიწისმრუვეელი პოპეიდანი; ვარდისთიოება ეოსი; ვერცხლის-ფერმუხლიანი თეტიისი; კვიპროსელი, ამოდ მლიმარი აფროდიტე; კაცთმზუსვრელი არესი; ფეხმარლი აქილეუსი; გერათმიანი ზენე-ლაოსი; საღბთა მცუფე აგამეჰნონი; ტკბილმოუპარი ნესტორი; მკაუღლვეი ოდასევსი; ზუმოვღვარე ჰექტორი; დალალშეკინიერი ვლენე; ქალმშეგნიერი აჰია; საბარკულმშეგნიერი აქაველები; ღვინისფერი ზღვა; გრძელჩრდილიანი შუბი; სპილენძისფერი ც; ფრთიანი სიტყვა; ოქრომრავალი მიკენი; ცხენმრავალი არგოსი; მრავალქედიანი ოლიმპო...

ჰომეროსი ეპითეტებს, შედარებებს, მოქმედ გემირთა სახელებსაც ოსტატურად იყენებს მუსიკალური ფონის შეაქმნელად. ამ მხრივ საკმარისია მოვიყვანოთ ერთი ამონაწერი „ილიადიდან“, სადაც უბრალო ჩამოთვლა აქილეუსთან მისასამძიმრებლად მისული ზღვის ნიმფების — ნერეიდებისა, რომელნიც გმირს ღეიდებად ეკუთვნოდნენ. ოცდაცამეტი ნერეიდის სახელები ისეა ჩამოთვლილი, რომ იქმნება ერთი მუსიკალური პაუზა, რომელიც მოჰყვება გულშემზარავი გლოვის სცენას („თმებს ბუწუწუბად, ბლუჯა-ბლუჯა იწეწდა გმირი. ქორფა ქალები, აქილეუსის ტყვენი აკივდნენ, დარდმორეულნი გამოცვივდნენ სწრაფად კარვიდან, შემოხევივნენ პელიდს, სიმწრით იმტერევდნენ თითებს და მჯილს იცემდნენ, სანამ მუხლი არ მოკვეთათ...“). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჰომეროსის პოემებს პროფესიონალი აედები ასრულებდნენ როგორც მუსიკალურ ნაწარმოებს, ადვილი გასაკები იქნება ვუქტი, რასაც სახელთა უბრალო ჩამოთვლაც კი მოახდენდა. ეს მუსიკალური ეფექტი იგრძნობა თარგმანშიც:

მოვიდნენ: გლაჯე, თალეია და კიმოლოკე,
სპეიე, თოე, ნესაიე, მკვირცხლი ჰალიე,
კიმოთოე და აკტაიე, ლიმნორეია,
იაირა და ამფითოე, მელიტე, დოტო,
აგაე, პროტო, დინამენე, ნაზი ფერუსა,
დექსამენე და ამფინომე, კალიანერა,
დორის, პანოპე, მშეენიერი ვალათეია,
ნებერტესი და აპსევდესი, კალიანასა,

იანეირა და კლიმენე და იანასა,
ორეითვია და მაირა და ამათეა...
(XVIII, 39-48).

ამ ციტატით მკითხველს შეუძლია წარმოიდგინოს მთლიანად „ილიადის“ ეგზონიურობაც, რომლის გადმოტანა თარგმანში, ცხადია, იშვიათად ზღვრდება. მაკალითად, როგორ შეიძლება გადმოიციეს, თუნდაც პოემის პირველივე ტაქის მუსიკალური ეფექტი, რომელიც ხმოვანთა კანონზომიერი მონაცვლეობით არის მიღწეული და ქმნის ერთგვარ მუსიკალურ „სინუსოიდს“? ყურს საამოდ ხედვა ხმოვანთა ასეთი მონაცვლეობა:

ეია-ეიე-ეა-ეეია...
(Μῆνις ἄειθε, μὲν, Πηλεΐδης...)

ჰომეროსის პოემების აღქმა, მით უმეტეს, მათი თარგმანა იმით არის გართულებული, რომ განწყობილება, რომელსაც პოეტი ქმნის, დაფუძნებულია არა მხოლოდ ლიტერატურულ ხერხებზე, არამედ ხელოვნების სხვა დარგთა საშუალებებზეც. ჰომეროსის პოემები, კერძოდ, „ილიადა“ არის სინთეტური ხელოვნების შედეგრი, რომელშიც არ შეიძლება უგულვებელყოფა პოეტურ-მხატვრულ აზროვნებასთან ერთად ფერწერულ-მხატვრული აზროვნებისა, მუსიკალურ-მხატვრული აზროვნებისა და თვით თეატრალური ხელოვნებისა. თუ საერთოდ ჭეშმარიტი პოეტური ქმნილების მოწყვეტა არ შეიძლება ხელოვნების სხვა დარგებიდან, თუ მეტნაკლებად ყველა პოეტურ შედეგში გარკვეული მნიშვნელობა აქვს მის ფერწერულ და მუსიკალურ მხარეს, ეს მით უფრო ითქმის ჰომეროსზე. მით უფრო ითქმის არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქმე გვაქვს მხატვრულ ფენომენტთან, რომელიც „ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობას ინარჩუნებს“ (კ. მარქსი), არამედ იმიტომაც, რომ „ილიადა“ და „ოდისეა“ თავის დროზე შეიქმნა არა მხოლოდ საკითხავად, არამედ შესასრულებლად და მოსასმენად. სულგანაბლენი ისმენდნენ ბერძნები ათასობით ტაქებს ტროის ომის შესახებ და სწორედ მათ მიერ მოსმენილი ნაწარმოები იყო ის „ილიადა“ და „ოდისეა“, რაც ჩაიფიქრა ჰომეროსმა. მისი ქმნილება ამ შესრულებისა და მოსმენის პროცესსაც გულისხმობდა. დღეს ჩვენს სცენაზე კვლავ ცოცხლობს სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, ვერაიბიდეს „მედეა“, შექსპირის ტრაგედიები, მაგრამ კაცობრიობა ვეღარ დაიბრუნებს იმ პარყვლყოფილ „ილიადას“, რომელსაც ისმენდნენ, როდი კითხულობდნენ.

სწორედ ამიტომ ჰომეროსის პოემების დღევანდელმა ინტერპრეტატორმა და მთარგმნელმა უნდა სცადოს მკითხველამდე მიიტანოს შეძლებისდაგვარად მშვენიერება მისი ქმნილებისა, ხელთუქმნელი აღმასის არც ერთ წახანავს არ მოაკლოს ბრწყინვალეობა.

„ილიადა“ არის გარდასულ ეპოქათა უბადლო სარკე, რომელიც გადმოგცემს ომისა და მშვიდობის ვრცელ პანორამას, ადამიანური ვნებების სურათს, ხასიათთა და ინტერესთა შეჯახებას, მშვენიერებას იმ მადლისა, რასაც სიცოცხლე ჰქვია. ამიტომაც მრავალი საუკუნის მანძილზე ჰომეროსის ეპოსი განსაზღვრავდა და ასაზრდოებდა მშვენიერ ანტიკურ, ბერძნულ და რომაულ ლიტე-

რატურას, დიდ გავლენას ახდენდა შენდგონდროინდელ მსოფლიო ლიტერატურაზე.

ჰომეროსის მიერ აღწერილი სურათები მონუმენტურია, თითქოს ხელშესახებში ხდება მოვლენისა თუ მოქმედების მასშტაბურობა, სიღრმე. მკითხველს ხედავს, რომ ზევსი მართლაც ღრუბელთბატონია, იმდენად ძლიერია ყველა ღმერთზე, რომ ერთად შეუძლია შესარკინებლად გამოიწვიოს. მისი საშინელი ძალა სულ უბრალო მოქმედებაშიც ჩანს. აქილევის დედას თეტისს ღმერთი პირდება, რომ მისი ვაჟის შეურაცხყოფისთვის შურს იძიებს. თეტისი მუხლთ ჩახვევია ღმერთთა მეუფეს და დასტურს ელოდება. ზევსი თავსაც კი არ ხრის, შავ წარბებს დაუშვებს დაბლა. ეს საკმარისია, რომ ღმერთის თავზე ომები შეირხეს და იძრას მთელი ოლიმპო:

თანხმობის ნიშნად ძირს დახარა შავი წარბები.
მყისვე კრონიდის უკცნობ თავზე სურნელოვანი
თმები შეირხა და ოლიმპო იძრა ღიადი.

(I, 528-530).

საშინლად განრისხდა აპოლონი, როცა მისი ქურუმი შეურაცხვეს ამ მრისხანების გადმოსაცემად პოეტი ასე აგვიწერს ღმერთის გადმოჭრას ოლიმპოდან:

გული ირისხა, გადმოიჭრა ოლიმპოს მთიდან.
ბეჭზე კაპარტი მოსალტული, მშვილდი მოეგდო
და ფრთოსან ისრებს აწივლებდა სისწრაფე სრბოლის, —
ღმერთი მაღალი მოღელავდა პირღამიანი.

(I, 43-47).

ასეთი კოსმიური ნახტომის წარმოდგენას ან ზევსის ტიტანური ძალის გათვალისწინებას ხელს უწყობს ნაცნობი მასშტაბები და მოვლენები — გასროლილი ისრის ზუზუნი და მიწისძვრა. ისრის სისწრაფით უნდა გამოქროლილიყო ღმერთი, რომ მის ბეჭებზე კაპარტში ჩაჭვდილ ისრებს ზუზუნი დაეწყოთ, რა ძალა უნდა ჰქონოდა ზევსს, რომ მისი წარბის დასრას ოლიმპოს ქედი შეერყია!

კოსმიურ მასშტაბებს და ღვთაებრივ ძალებს არ ერიდება ჰომეროსი, როცა თავისი გმირების მოქმედებას აღწერს. ჰექტორი საბრძოლველად აწყოპს რაზმებს, მისი კაშკაშა მუზარადი ხან ერთ რაზმში გაიელეებს, ხან სხვაგან გაიარწყინებს:

როგორც ვარსკვლავი გამოჩნდება ღრუბლის ქულიდან,
დროდადრო ბრწყინავს და დროდადრო მიიშალება,
ისე ჰექტორიც, მეწინავე სპათა დამწყობი,
კვლავ მეომართა ბოლო რიგებს უბრუნდებოდა.
რვალი ელავდა, როგორც ელვა ეგვიპტე ზევსის.

(XI, 2-6)

დიდებულია აიანტის ბრძოლის აღწერაც:

როგორც მდინარე ველს დატბორავს დიდროობისა,
მთით მოვარდნილი, ზევისს თქემით დამძიმებული,
მუხას მოათრევს, ფიჭვის მორებს, ადუჯუჰა მორებს
და შლამს თუხთუხით მიაქანებს ღვინისფერ ზღვისკენ,
ისე ყოველი აამტუტა ტელამონიდმა —
ცხენ-კაცს აპობდა...

(XI, 492-497).

მაგრამ იგივე აიანტი, როცა იგრძნობს, რომ აღარ შეუძლია წინ აღუდგეს ტროელთა მხედრობას, ბრძოლის ასპარეზს სტოვებს. პოეტი აქაც შესანიშნავ შედარებას პოულობს:

უკუმბიქცა, ვით ნადირი, თვალს აცეცებდა
და ფეხაკრეფით გაეცალა ნელ-ნელა ტროელთ.

(XI, 546-547).

ბრძოლის გუგუნის გადმოსაცემად ჰომეროსი არაერთხელ მიმართავს ბუნების ძალებს, აბობოქრებულ სტიქიონს — მღელვარე ზღვას, ქარიშხალს, ხანძარს:

ზღვის ნაპირებთან ასე შმაგად ზვირთი არ ბორგავს,
გამოტყორცნილი ბორეასის მძვინვარე სუნთქვით,
კოცონიც ასე არ გუგუნებს ხანძრად ქცეული,
როს მოედება მთაში ტევრს და ხეებს ნთქავს ხარბად,
ქარი არ ღმუის მალაღმთიან მუხის წვეროზე,
როს დააცხრება ხეს მძვინვარე, გაშმაგებული,
როგორც გრგვინავდა ხმა ტროელთა და აქაველთა...

(XIV, 394-400).

პოეტი ზოგჯერ მიმართავს არაზუსტ შედარებას და ერთი შეხედვით თითქოს ორ საპირისპირო სურათს ათანაბრებს:

თითქოს მქუხარედ ეხეთქება ზღვა სანაპიროს,
ზვირთი ზვირთს მისდევს, ზეფიროსით აგორებული,
ზღვის შუაგულში აქორჩილი, გრუბუნით კლდეზე
დაშლილ-დაფშვნილი, როს კლდის უკან ნელი ტყელაშენით
ტალღა და ტალღა მარილიან ქაფს მოიყენებს.
ასე მიჰყვება დანაულთა ფალანგი ფალანგს,
ბრძოლად ისწრაფვის, ბელადების ბრძანება ისმის,
თვით. მეომარნი კრინტს არ სძრავენ, საკითხავია —
ამდენ ხალხს მკერდში დახშობია ბეგრა ყოველი?

(IV, 422-430).

ზღვის შექუხარება, კლდეზე შეხეთქება თითქოს აქ არაფერი მოსატანია, რაკი ლაშქარი უხმაუროდ მიდის. მაგრამ ავტორი ამით ხაზს უსვამს მის პოეტურ ძალას, შედარება გამოყენებულია ლაშქრის მომავალი მოქმედების წარმოსადგენად, ხოლო უშუალოდ ამჟამინდელ მის მოძრაობას პოეტი აღარებს კლდეზე შეხეთქებული დაშლილი ზვირთის წინარ ტყლამუნს, როცა იგი კლდის უკან ნელა მიიქცევა ნაპირიდან.

არანაკლებ შთამბეჭდავია შედარებები, როცა საომარ ეპიზოდს სცვლის მშვიდობიანი ცხოვრების სურათები. ეს სურათები ერთმანეთს უდარდება, რადაკ ერთი გარეგანი ნიშნის მიხედვით. აიანტ ტელამონის ძე და აიანტ ოილევის ძე ერთმანეთის გვერდით იბრძვიან, მტრის რიგებში გზას იკაფავენ. ბუნებრივია, ისინი ხან მხარდამხარ დგანან, ხან ერთმანეთს ოდნავ სცილდებიან. ასევე არიან უღელში შებმული ხარები. ისინი წინსვლის დროს გან-გან იწევენ, მაგრამ უღელი აიძულებს კვლავ ერთმანეთს დაუახლოვდნენ მიილოდ ეს არის მკაცრება ამ ორ სურათს შორის, სხვა ყველაფერი საპირისპიროა: ხარების ტატიტ სიარული და აიანტების სამკედრო-სასიციოებლო ბრძოლა. და სწორედ ეს დაპირისპირება კიდევ უფრო მეტეხად წარმოაჩენს მეზობლად გულმოდგინებას და მკითხველი უკვე თავისთავად ახდენს შედარებას ხარების მერ გადაწვენილ ბელტებსა და აიანტების მიერ მოკლულ ტროელთა შორის:

უღელში შებმულ ხარებს გააქეთ სვე ხოდაბუნზე,
შავებს, ტოლძალებს. მიათრევენ გულდაგულ ერქვანს,
რქის ძირას ოფლი ჟონავს. ჯუფთად ვლიან ტატიტ
და სელის დროს ქედი ქედთან მიდის, რომ კვლავ დასცილდეს.
სვეს გაიტანენ და ბელტები ბელტებზე წვება.
ასევე ერთურთს მხარში ედგნენ აიანტები.

(XIII, 703-708).

პომეროსი ზედმიწევნით იცნობს ადამიანის ფსიქოლოგიას, რეალისტურად ასახავს მთელი მხედრობის განწყობილების ცვალებადობას. მან შესანიშნავად იცის, რომ ომი, რომელიც ბერძენთა გარკვეული წრის ინტერესებს ემსახურებოდა და გაჩაღებულიყო მენელაოსის ღირსების დასაცავად, არ შეიძლებოდა ყველა მებრძოლს გულთან ახლოს მიეტანა. ომს მოჰქონდა დიდება, სიმდიდრე, მაგრამ მასვე მოსდევდა წლობით გაგრძელებული შრომა, სისხლისღვრა და სიკვდილი. ამიტომ საკმარისი იყო, გამოსაცდელად აგამემნონს ლაშქრისთვის მოეწოდებინა, შეეწყვიტოთ ბრძოლა და სამშობლოში გავეშუროთო, მთელს მხედრობას დაუარა დაუოკებელმა სურვილმა, სასწრაფოდ ჩაეშვათ ზღვაში ხომალდები. და სწორედ აქ იჩინა თავი პოეტის უტყუარმა რეალისტურმა აღლომ: მთელს ლაშქარს როდი ესმოდა მხედართმთავრის სიტყვა, მაგრამ წინა რიგებში შექმნილი განწყობილება ყველას გადაედო:

მისმა წათქვამმა შეძრა სული, ყველა მებრძოლი
აფორიაქდა, გინდ სმენოდა და გინდა არა.

(II, 142-143).

ოდისეცმა უმაღვე იგრძნო საერთო სულისკვეთებით აღტყინებული ბრბოს ფსიქოლოგია: ბევრმა თვითონაც არ იცოდა, რას აკეთებდა, მაგრამ სტიქიურად წამოჭრილ მისწრაფებას აჰყვა. ბრძენმა ოდისეცმაც ისარგებლა ამით და ბევრიც დააშინა:

მან გამოგეცადა, მაგრამ ახლა დასჯის აქაველთ,
თანაც ხომ ყველა არ გვესმოდა, რასაც ბრძანებდა.

(II, 193-194).

ამ მომენტში იჩენს თავს მეამბოხე თერსიტე, იგი ამხელს მხედართმთავრებს, რომელთაც ომი ხელს აძლევთ. იგი მხედრობას ლაჩრობას აყვედრის, რაკი ავრე იოლად დამორჩილებიან ოდისეცის მუქარას:

ო, სულმდაბალნო, მხდალნო, ქალნო, არ-აქაველნო!
(II, 235).

აქ კი საჭიროა ძალის ჩვენება, ძალით დათრგუნვა ამბოხებისა. ოდისეცეიც აღარ აყოვნებს, ხალხის წინაშე სცემს თერსიტეს და ლაშქარი გრძნობს, რომ სიმართლე ძლიერის მხარესაა.

მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჰომეროსისთვის უჩვეულოა ადამიანის სულიერი მდგომარეობის ასახვა. ჰომეროსის გმირები, თითქოს, სტატიკურნი არიან, თუ ისინი იცვლიან გადაწყვეტილებას, ეცვლებათ გუნება-განწყობილება, ეს ხდება ღვთაების ჩარევით. ასეთი შეხედულება რამდენადმე მექანიკურია, არ არის გათვალისწინებული ჰომეროსის ეპოსისთვის დამახასიათებელი პირობითობა. ღვთაების ნება მთლიანად ემორჩილება მოვლენათა ლოგიკურ მიმდინარეობას. ღმერთის ჩარევა მხოლოდ ხერხია პოეტისათვის, რომელიც კი არ ცვლის, პირიქით, აგრძელებს მის მიერ არჩეულ გეზს. „ილიადას“ პირველ ქებაში აგამემნონმა სასტიკად შეურაცხყო აქილევსი, იგი მზად არის შური იძიოს:

ფიქრით მი-და-მო ორ აზრს შუა კრთებოდა გული:
ან უნდა ეძრო ხმალი, თემოს რომ ეხლებოდა,
დამხედურს დასსმოდა, დაცაეკლა აგამემნონი,
ან დაეთრგუნა მრისსანება, გული დაეცხრო.

(I, 189-192).

ამ შინაგან ბრძოლას ქალღმერთ ათენას ჩარევა გადაწყვეტს, იგი გამოეცხადება აქილევსს და აგამემნონის მოკვლაზე ხელს ააღებინებს ეს არის ლოგიკური გადაწყვეტილება, რომელსაც ამართლებს სიუჟეტის შემდგომი განვითარება

„ილიადაში“ ბუნებრივია, ხშირია ბატალური სცენები, გმირთა შერყენების აღწერა. ბევრი სცენა ერთმანეთს ჰკავს. გმირებიც ხშირად ერთნაირად ექცე-

ბიან, ამისთვის პოეტს აქვს სტერეოტიპული ეპიკური ფორმულებიც, მეორდება გამოთქმები: „მოყმე კბილებით ჩააფრინდა მიწას“, „მეგობრებისკენ განართხო უილაჯო ხელები“, „გრუხუნის გაიღო თორნ-მუზარადმა“, „ხელებით ფხოჭნიდა მიწას“ და სხვა. მაგრამ ეს გამოთქმები არ ზდება მოსაწყენი იმის გამო, რომ პოეტი ყოველი ახალი სიკედელის სცენას მოუძებნის რაიმე ახალ ნიუანსს, დეტალს, რომელიც ადრე არ შეგვხვედრია:

მთრთოლვარე ხელნი მეგობართა მხარეს განართხო
ყრმამ სულთმობრძავემა... (IV, 523-524)...
გადაეფარა მყის წყვდიადი მეომრის თვალებს (IV, 526)...
მიწას დაემხო მოყმე, ცივ რვალს ჩაასო კბილი (V, 75)...
ამოიგმინა მან, მშვენიერ ეტლის ძარადან
ძირს გადმოეშვა თავდაყირა. მხრებით ჩაემხო
ერთხანს ქვიშაში, სანამ ცხენმა არ გაჰკრა გვერდი
და გააგორა... (V, 585-588)...
ვით ყანობირში თავს ყაყაჩო გადახრის გვერდზე,
ნაყოფისა და გაზაფხულის ნესტის სიმძიმით,
ისე ჩაქინდრა ყრმამ ჩაჩქანით ძლეული თავი (VIII, 306-308)...
მიწას განართხმულმა მიიძინა სპილენძის ძილით (XI, 241)...
ჩიტებს გაუღით რია-რია და არა ქალებს (XI, 395)...
ბექთარმა, შუბით გაპობილმა, ყრუ ხმა გაიღო,
მოყმე დაეცა, შუბისწვეერი გულს განეწონა
და გულისძგერამ აათრთოლა თვით შუბისტარი.
(XIII, 441-443)...

განსაკუთრებულ სიბოხს ანიჭებს „ილიადას“ მსუბუქი იუმორი, რომელ-
შიც იგრძნობა პოეტის სიყვარული და, თუ გნებავთ, მოკრძალებაც თავისი
გმირებისადმი:

მსცოვანთ აწ ბრძოლა არ შეეძლოთ, მაგრამ ბჭობის დროს
მძლეობდნენ სიტყვით, ვით ჭალებში — ჭიჭინობელა.
(III, 150-151).

აქვე შეიძლება გავიხსენოთ ერთი კომიკური სიტუაცია. ეს არის თითქოს
უხეში ხუმრობა, მაგრამ იგი გმირის დასამცირებლად როდია გამიზნული. მენე-
ლაოსი და პარისი შეიბნენ. მენელაოსმა დაჯაბნა მისი ცოლის მომტაცებელი,
მაგრამ პარისს აფროდიტემ უშველა, ბრძოლის ველიდან გააპარა და ელენეს
სამთიობოში შეიყვანა:

...ერთად დიდებულ სარეცელზე დაწვენენ ნებივრად.
ატრევსის ძე კი ამ დროს მინდვრად, როგორც ნადირი,
ისე დამძწოლა — ალექსანდრე ვნახოო იქნებ (III, 448-450).

ზოგჯერ იუმორს „ილიადის“ გმირები იყენებენ, როგორც ორატორულ
ხერხს. ჰელენოსს სურს დაარწმუნოს ჰექტორი და ენეასი, რომ საჭიროა ლაშ-

ქრის შეჩერება ტროის კარიბჭესთან, სანამ ლტოლვილი მეზობლები გალავნის შიგნით შეიჭრებიან და თავს შეირცხვენ. პელენოსი მათ წააჩოუდგენს სურათს, რომელიც ამ სამარცხვინო შიშს შეიძლება მოჰყვეს:

აქ დასვდით, ბჭესთან შეაჩერეთ ლტოლვილნი სანაი,
სანამ ცოლებთან შევარდნილან, ქალის კალთაში
თავი ჩაურგავთ და გამხდარან მტრის სახარხარო!

(IV, 80-82).

აფროდიტე ბრძოლის ველზე ტროელებს ესმარებოდა და გმირმა დიომედემ დაჭრა. ათენა განრისხებულია მასზე და სურს ზევსთან უჩივლოს. მეომარი ქალღმერთი დასცინის სიყვარულის ქალღმერთს, რომლის საქმე სუსტი დიაკების შეცდენაა და ის კი სხვის საქმეშიც ენრება:

აქაველ ასულს კვიპროსელი, ვკონებ, აცდენდა,
რომ კვლავ მის რჩეულ ტროელ ვაჟკაცს ნდობოდა ქალი.
და, იქნებ, როცა მიეფერა მდიდრულ სამოსზე,
ოქროს სარტყელმა გაუკაწრა ნაზი ხელები? (V, 422-425).

ხშირად გმირები ერთურთს დასცინიან ბრძოლის დროს. გამანადგურებელი და ღვარძლიანია, მაგალითად, პატროკლეს სიტყვები, რომლითაც იგი ზეიმობს ჰექტორის მეაბჯრის კებრიონეს ძღვევას. პატროკლეს დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ კებრიონე ეტლიდან თავდაყირა დაეშვა:

ო, ღმერთო ჩემო, რა მჩატეა, რა სწრაფად ყვინთავს!
თევზმრავალ ზღვაში ეგ როგორმე რომ გასულიყო,
ბევრს აამებდა, როს ნიჟარებს მოკრეფდა ფსკერზე,
მღელვარე ზღვაშიც ისკუბებდა გულარხეინად.
თუმცა ველზეა, მაინც როგორ მარდად ჩაყვინთა!
ვხედავ, გყოლიათ მყვინთავები თურმე ტროელებს!
(XVI, 745-750).

დიდი ადგილი უჭირავს „ილიადაში“ გმირთა დიალოგებს. პოემის გმირები ორატორული ხელოვნების მწვერვალებს აღწევენ. მახვილგონიერება, ცხოვრების ღრმა ცოდნა, მსმენელის განწყობილებისა და სულიერი მდგომარეობის გათვალისწინება ახასიათებს ჰომეროსის გმირთა მიერ წარმოთქმულ სიტყვებს.

აფროდიტემ ბრძოლის ველზე განსაცდელისგან დაიხსნა პარისი. ქალღმერთმა ელენეს გამზრდელის სახე მიიღო და ქალს ურჩია, რომ სამთიობოში სწვეოდა ქმარს: იგი ისე ლამაზია და თავს ისე ლალად გრძნობს, თითქოს საშინელი ბრძოლა კი არ გადაუტანია, არამედ ნადიმოდან მოზრუნებულა, ან კიდევ თითქოს ახლა ემზადება ფერხულში ჩასაბმელადო. მშვენიერ ელენეს გაორებული გრძნობა დაუფლებია. რამდენიმე ხნის წინათ მას მოაკონდა ყოფილი ქმარი მენელაოსი და თავისი ნათესაეები, თითქოს გაღვივდა კიდეკ დიდი ხნით

ადრე მიფერფლილი გრძნობა სიყვარულისა, მაგრამ ახლა კვლავ იხალა ტრაჰინის
ტ. ფობის სურვილმა. ელენეს ხასიათში სჭარბობს ემოციური საწყისები, ძველ-
რის იმპულსები, მასში მიჩლუნგებულია მოვალეობის გრძნობა მიტოვებული
ქმრისა და ოჯახისადმი. მაგრამ საკმარისი იყო დიაცს შეეცნო ქალღმერთი,
რომლის მიზეზითაც იგი პარისს ერგო, რომ გულში პროტესტის გრძნობამ
იფეთქა:

მაგრამ როგორც კი შეამჩნია ქალმა ქალღმერთის
მკერდი ქათქათა, ეღვარება ვნებიან თვალთა,
ასე მიმართა აფროდიტეს ელდაცემულმა... (III, 396-398).

ელენე აღშფოთებულია, იგი აფროდიტეს საქციელში ხედავს ძალადობას:

ოი, სასტიკო! კვლავ შეცდენა გწადია ჩემი?
ან გსურს ხალხრავალ რომელიმე შორეულ ქალაქს,
ფრიგიისა და მეონიის ციხეს მიმგვარო?
ვინმე საკმარო იქაც ხომ არ შეგირჩევია?
...შენ თვითონ წადი შენს რჩეულთან, დათმე ღმერთები,
ნაზი ტერფებით ოლიმპოსაც აღარ შეეხო.
ვნებით ეწამე, უალერსე, სანამ მოკვდავი
ჯიწოდებს მხევალს ან მეუღლეს!

ომის ველიდან

გაქცეულს აღარ ვეახლები მრცხვენია კიდეც
გავიზიარო სარეცელი!

ტროელ დიაცთა

დაცინვას სადღა გავექცევი? მაკმარე ტანჯვა!

(III, 399-412).

მაგრამ აფროდიტეს კარგად ესმის, რომ მისი წინადადების უარსაყოფად
დიაცს სხვა საბუთი, გარდა პროტესტის გრძნობისა, არ გააჩნია. მას პარისთან
მისვლას ტროელ მანდილოსანთა შიში უფრო უშლის, ვიდრე პირველი ქმრის
სიყვარული. ამიტომაც ქალღმერთი მუქარით აიძულებს ქალს სხვათაგან მალუ-
ლად ეწვიოს რჩეულს.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჰომეროსი მხედართმთავართა მიერ ბრძოლის
წინ ლაშქრის გასამხნეველად წარმოთქმულ სიტყვებს. მხედართმთავრები ლაშ-
ქარს შთააგონებენ, რომ ბრძოლა აუცილებლად მათი გამარჯვებით დავერ-
გვინდება, მათს მხარესაა თვით ზევსი და სხვა ღმერთები, გარდა ამისა, თვით
ისინი მტრებზე ძლიერნი არიან. აგამემნონი, მაგალითად, მხედრობას იმას კი
არ ეუბნება, ჩვენ მტერზე ათჯერ უფრო მრავალრიცხოვანი ვართო, არამედ
მკაფიო არითმეტიკულ ამოცანას უსვამს: ჩვენ რომ ლაშქარი ათეულებად დაგვე-
ყო და თითო ტროელი ღვინის მწდებად მიგვეჩინა მათთვის, ბევრ ჩვენს
ათეულს მერიქიფე არ ეყოფოდაო. მაგრამ ზოგჯერ ასეთი მშვიდი საუბარი არ
სჭირის და მაშინ მხედართმთავრები არ ერიდებიან დამამიცირებელ სიტყვებსაც:

თქვენ აქველნი უნდა გერქვათ? არა — ქალები..
...თქვე უსულგულო, უსაქმურო, უღირსო ხალხო!..

(VII, 96, 100).

გავიხსენოთ აგამემნონის სიტყვა, რომლითაც იგი მიმართავს ჰექტორის ძლიერებით თავზარდაცემულ სპას:

სიღცხილი თქვენდა, სახით მშვენნო, საქმით უგვანნო
რა იქნა თქვენი დაქადება — ჩვენ ვართ, რაც ვართ,
ღმერთსევე ეგრე მედიდურად რომ ღალადებდ.თ?
ღმერთის დროს თქველფდით რქოსან ხარებს, სცლიდით ძირამდე
ფიალებს, ღვინით სულ პირამდე ალიცლიცებულს.
ას, ორას ტროელს, თქვენ ამბობდით, თითოეული
თავს აუვალთო! ახლა ერთიც არ ღირხართ ყველა,
ერთი ჰექტორი!.. (VIII, 228-235).

„ილიადაში“ მრავალი ორთაბრძოლა აღწერილი და თითქმის ყოველი მათგანი იწყება სიტყვიერი შეტაკებით. მოწინააღმდეგენი ემუქრებიან, აშინებენ ერთმანეთს, ლაპარაკობენ თავიანთ ღვთაებრივ წარმომავლობაზე, დასცინიან მეტოქეს. ასე, მაგალითად, ჰექტორი მიმართავს დიომედეს:

ტიდიდო, როგორ გასურს იდიდო დანაელთ შორის,
საესე თასებით რომ გამკობდნენ მონადიმენი?
აწ რაღა ეთქმით: დიაცადლა მათ მოვლენიხარი
გაპქრი, გომბიოვ, გოგო-ბიჭაქ!..

ვიდრე მე დამცემ,
კოშკზე აძვრები, ტყვედ წაასხამ გემზე ჩვენს ცოლებს,
მანამ დაგამხოვ, დაიმონთან დაიკარგები!

(VIII, 161-166).

ბუნებრივია, ჰომეროსის სიმპათიები ბერძენთა გაერთიანებული მხედრობის მხარეს არის, მაგრამ ეს სრულებითაც არ უშლის ხელს მკითხველს. უღრესი პატივისცემით განიმსჭვალოს ტროელთა მხედართმთავრის ჰექტორისადმი. სამშობლოსა და ოჯახისადმი მოვალეობის მაღალი გრძნობა, ხალხისა და მამულისათვის თავდადება ჰექტორის სახეს გამოარჩევს „ილიადის“ სხვა გმირებისგან ჰექტორი ერთ-ერთი საუკეთესო სახეა სამშობლოსათვის თავდადებული გმირისა მსოფლიო ლიტერატურაში. მღელვარებით კითხულობ ჰექტორისა და მისი მეუღლის გამოთხოვების სცენას და უნებურად გეუფლება მშობლიური თბილი გრძნობა გმირისადმი, გენანება, რომ მალე უნდა დასცილდე მას, რომ მალე უნდა დაეცეს! ასეთი კეთილშობილი გმირი ბრძოლის ველზე. სამშობლოს დაცვის გზაზე ჰექტორი არავითარ საშიშროებას არ უშინდება. პულიდამანტი მას აფრთხილებს, რომ ზევსი ღმერთს ავბედით სასწაულს მიაწინებებს, გასაფრთხილებლად მოუკლენს არწივს. მაგრამ ურყევია ჰექტორის გადაწყვეტილება — მტერს იგი აღარ დაემალება ტროის ციხეში:

არა ღმრთის მწამდეს, არამედ ცად მფრინავი ჩიტის?
ჩირად არ მიღირს მე ჩიტები!

რა მენაღვლება,

მარჯენივ გაჰკრავენ — აღმოსავლით, დილის, მზის მხარეს,
თუ მარცხნივ, პირქუშ და ფერმიმქრალ დასავლეთისკენ
ჩვენ მხოლოდ დიად ზევსის ნებას უნდა ვერწმუნოთ,
მოკვდავ კაცთა და მარადნეტარ ღმერთთა მბრძანებლის!
ყველაზე დიდი სასწაული ქვეყნის დაცვაა!

(XII, 237-243).

და სწორედ ეს ყველაზე დიდი სასწაული — სამშობლოს სიყვარული აძლევს
ძალას ჰექტორს.

ორატორული ხელოვნების ჭეშმარიტი შედეგია აქილევსის სიტყვა, რომ-
ლითაც იგი მიმართავს მასთან შესარიგებლად მოსულ აგამემნონის მოციქულებს.
აგამემნონმა არ დააფასა მისი თავდადება, საქვეყნოდ თავი მოსჭრა — საუჭარე-
ლი ბრისეისი წაართვა. აქილევსმა შურისძიების სასტიკი გეგმა აირჩია: გა-
ნუდგა აქაველთა მხედრობას და აგამემნონის ლაშქარი გამძვინვარებულ ტროე-
ლებს შეატოვა. აღარაფერი შეცვლის მის გადაწყვეტილებას, უმადური აგამემ-
ნონი მის თანაგრძნობას ვერ დაიმსახურებს:

ვერც აგამემნონ, დანაელი ვერც სხვა რომელი
გულს ვერ მომიღობს!

რა მადლობა ერგო იმ ვაჟკაცს,

ვინც მიწყვიტ ტროელთ სპას ებრძოდა მკლავმოულელი?!
ერთი ფასი აქვს თქვენში მხდალსაც და მეომარსაც.
ერთი ფასი აქვს უსულგულოს და ძალგულ ოკანს,
ყველა ერთია — უქმად კვდება, თუ საქმე მოკლაყს!

(IX, 315-320).

გმირების შეტაკება, როგორც აღენიშნეთ, სიტყვიერი პაექრობით იწყება.
მაგრამ ეს ისე ოსტატურად არის აღწერილი პოეტის მიერ, რომ არავითარ
უხერხულობას არ იწყევს. არ იბადება კითხვა — ბრძოლის ველზე, ისრისა და
შუბების ზუზუნში, ამ საშინელ ორომტრიალში, მებრძოლთ სადა აქვთ დრო
ასეთი ვრცელი სიტყვებით მიმართონ ერთმანეთს? ასეთი კითხვა ერთ-
თხვევაში ებადება ბრძოლის დროს თვით პატროკლეს:

ო, მერიონე, რაღად ხარჯავ სიტყვას ამოდ?
ტროელთ ლაშქარი შენს ნათქვამზე არ დანებდება
სიკვდილს; ვიდრეღა შავი მიწა არ დაფლავს გვამებს:
მკლავი წარმართავს ბრძოლას, ხოლო სიტყვები — ბჭობას.
არ მწამს კაფია, როცა მტერი ასაკაფია!

(XVI, 627-631).

მაგრამ ეს ეჭვი სრულიადაც არ უშლის ხელს თვით პატროკლეს მტერს
დამცინავი სიტყვებით შეეგებოს.

ამაღლევეზლად აქვს ჰომეროსს აღწერილი პატროკლეს და ჰექტორის და-
ტირების სცენები, გოდებანი აქილევსისა, ბრისეისის, პრიამოსის, ჰეკაბეს,
ანდრომაქესი. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ანდრომაქეს გოდება, რომელიც
წარმოგიდგენს ობოლი ასტიანაკტის მომავალ ბედს. ამ გოდებაში ასახულია
შენზარავი და რეალისტური სურათი ობლის ცხოვრებისა:

შენ, ქმარო ჩემო, სამუდამოდ ქვეშეთის მღვიმეს
უნდა ეწვიო და მე მტოვებ ქერივს, უნუგეშოსი..
ხოლო ძე ჩვენი, უბედური დედ-მამის შვილი
ობოლი დარჩა... ვაგლახ, შენ მას აღარ ეკუთვნი
ნუგეშად... შენ ხომ აღარა ხარ!.. აღარც გყავს შვილი..
თუ აქველებს გადაურჩა კაცთამელეტ ომში,
მიწყევ შრომა და ტანჯვა ელის ბაღს უპატრონოს.
გადამთიელი ხელთ ჩაიგდებს ობლის ხოდაბუნს,
მალე ბავშვობის ამხანაგიც დაეკარგება.
დაეხეტება ქედმოსხრილი, ნამტირალევი,
სათხოვრად ჰამის მეგობრებთან მიდის მორჩილად,
ერთს ქლანინაზე, სხვას ქიტონზე ეპოტინება.
ზოგს ეცოდება, სამოწყალოდ გაიღებს ლუკმას,
პირს გაუსველებს, სასა მაინც დარჩება მშრალი...
უფრო ხშირად კი მეოჯახე სვებედნიერი
ხელსა ჰკრავს ხოლმე, აუგ სიტყვას ზედ მიაყოლებს:
თავიდან მომწყვდი მეგობრებთან აქ შენი მამა
კი არ ილხენსო!.. და კვლავ დედას ეძებს მტირალი...

(XXII, 482-499).

ჰომეროსის საკითხი

ჩვენ ამ მცირე ლიტერატურულ ნარკვევში ვერ დავისახავთ მიზნად „ილია-
დის“ ანალიზს, მაგრამ თარგმანის წინასიტყვაობა შეგნებულად დავიწყეთ
საუბრით პოემის მხატვრულ მხარეზე ისე, რომ არ შევხებივართ ჰომეროსის
ეპოსთან დაკავშირებულ ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემებს. ეს პრობ-
ლემები კი მრავალია და მათ, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვთ თვით
„ილიადის“ სწორი ანალიზისა და აღქმისათვის. ჰომეროსის პოემებში იმდენი
სიტყვაც არ იქნება, რამდენი გამოკვლევაც დაწერილა ჰომეროლოგიაში, მაგრამ
ხშირ შემთხვევაში მკვლევარები — ფილოლოგები, ისტორიკოსები, არქეოლო-
გები და სხვანი მორე პლანზე აყენებდნენ მხატვრულ მხარეს, ზოგჯერ დასკ-
ვნები ისე გამოჰქონდათ, რომ არც ითვალისწინებდნენ მხატვრული შემოქმე-
დების თავისებურებებს. „ილიადა“, პირველ ყოვლისა, გენიალური პოემაა, ვისაც
არ უნდა ეკუთვნოდეს იგი და როდესაც არ უნდა იყოს დაწერილი.

ჰომეროსის შემოქმედებით დაინტერესებულნი ყოფილან ჯერ კიდევ უძველეს
დროს. VI საუკუნეში ჩვენს ერამდე პისისტრატეს შეუქმნია სპეციალური კომი-

სია, რომელსაც პომპეოსის ქციხილებათა ტექსტის დასადგენად მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაუტარებია.

II საუკუნის საეკლესიო მწერლის ტატიანეს გადმოცემით პომპეოსის ეპოსს სწავლადნენ თეაგენე რეგინელი (VI ს. ძვ. წ. ა.), სტესიმბროტე თასოსელი, ანტიმაქოს კოლოფონელი, პეროდოტე პალიკარნასელი და სხვა ძველი სწავლულები. ისტორიოგრაფიის მამამთავარი პეროდოტე (484-425 წწ. ძვ. წ. ა.). ეხებოდა პომპეოსის მოღვაწეობის სანას და მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. მას პომპეოსის ნაწარმოებებად არ მიაჩნდა კიკლიკური პოემები „კიპრიები“ და „ეპიგონები“ (პეროდოტე, II). პომპეოსის ანტიკური მკვლევარები ხშირად იყენებდნენ ხოლმე გლავკოს რეგინელის შრომას *Περὶ τῶν ἀπὸ ἀρχαίων ἡσυχαστῶν καὶ ἡσυχαστῶν*. განსაკუთრებული ღვაწლი ბერძნული ლიტერატურის შესწავლის ისტორიაში მიუძღვის არისტოტელეს (384-322 წწ. ძვ. წ. ა.). შესანიშნავი ტრატატით *Περὶ ἡσυχαστικῆς* არისტოტელემ მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა ლიტერატურისმცოდნეობას. მან მოგვცა პომპეოსის ნაწარმოებთა საფუძვლიანი ანალიზი. ბევრი მისი მოსაზრება ახლაც დიდი ყურადღების ღირსია.

განსაკუთრებით გაბლიერდა პომპეოსისადმი ინტერესი ალექსანდრიის სამეცნიერო დაწესებულებებში. ალექსანდრიელ მეცნიერთა სახელთანაა დაკავშირებული პომპეოსის „ილიადისა“ და „ოდისეის“ 24-24 სიმღერად (ქებად) დაყოფა ბერძნული ანბანის შესაბამისად. ალექსანდრიელმა მეცნიერებმა აქებათა უკეთ გაგების მიზნით მათ წარუმიძღვარეს მოკლე შინაარსები — ჰიპოთეზისები. მათვე დიდი მუშაობა ჩაატარეს პომპეოსის პოემათა შედგენილობის გასარკვევად. ალექსანდრიის ბიბლიოთეკის პირველ გამგეს ზენოდოტე ეფესელს ჩაუყარა საფუძველი პომპეოსის ლექსიკონისათვის. მან პომპეოსის ტექსტში მრავალი ახლებური წაკითხვა შეიტანა. სხვა მრავალ შესწორებათაგან ცნობილია მისი 385 შესწორება. პომპეოსის ტექსტის გასწორების მიზნით „ზენოდოტე განსაკუთრებული ენერგიით იღებდა ზომებს. მას ვარაუდები ერთობ ემარჯვებოდა და სვამდა მათ ტექსტში ეჭვის გარეშე. აგრეთვე უმაღლესად მთლიანი ტექსტიდან ტაქსს, რომელიც არასწორად ეჩვენებოდა... ბევრად ფრთხილი იყო არისტოფანე“,¹ რომელსაც უფრო დახვეწილად გამოუცია პომპეოსის ტექსტი. განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩაუტარებია პომპეოსის პოემების შესწავლისა და გამოცემის საქმეში არისტარქე სამოთრაკელს (დაახლ. 217-145 წწ. ძვ. წ. ა.). მას ორჯერ გამოუცია პომპეოსის პოემები. კრიტიკულად მისდგომია წინამორბედ რედაქტორთა, განსაკუთრებით ზენოდოტეს შესწორებებს, თვითონ კი 681 ახალი შესწორება შეუტანია პომპეოსის პოემათა ტექსტში. იგი პომპეოსის პოემებს წინასწარი მოსაზრებებით უდგებოდა. მისი აზრით „ილიადისა“ და „ოდისეის“ ავტორი იყო ერთი ადამიანი, იონიელი პოეტი. ამიტომ ტექსტში რაც კი ეწინააღმდეგებოდა ამ მოსაზრებას, ამოუშლია.

ალექსანდრიაში საფუძველი ჩაეყარა პომპეოსის ეპოსზე ახალ შეხედულებას, რომლის შექმნა დაკავშირებულია ქსენონისა და ჰელანიკეს სახელთან. ამ თეორიის მიხედვით „ილიადა“ და „ოდისეა“ სხვადასხვა ავტორის მიერაა

¹ W. Kroll, *Geschichte der klassischen Philologie*, Berlin u. Leipzig, 1919, § 13.

შექმნილი, რადგანაც მათ შორის არსებობს ზოგიერთი წინააღმდეგობა. ამ მეცნიერებს უწოდეს „გამთიშველები“ (Χαιρσιονεες).

ალექსანდრიელმა მეცნიერებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს ჰომეროსის პოემების ტექსტის დადგენის, ჰომეროსის ლექსიკონის შექმნისა და პოემათა გამა-ცემის საქმეში. არისტარქე სამოთრაკელმა გამოარკვია, რომ ჰომეროსის პოემებში სიტყვა εἶμαχ ნიშნავს გვამს და არა სხეულს, რაკორკ კლასიკურ ზერმნულნი, εἰζῖος ნიშნავს ღვთაებას და არა შიშს, Ἰῖος ნიშნავს შრომას და არა ტანჯვას და ა. შ.

არც ანტიკურ და არც ალექსანდრიელ მეცნიერებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ „ილიადა“ და „ოდისეა“ ინდივიდუალური პიროვნების შემოქმედებას წარმოადგენდა და რომ ეს პიროვნება ჰომეროსი იყო. ქორიძონტებზე შორს ძველ ფილოლოგოსთა სკეპსისი არ წასულა. სულ სხვა ვითარება შეიქმნა კლასიციზმის ეპოქაში. შემჩნეული იქნა, რომ „ილიადა“ და „ოდისეა“ სრულებითაც არ ეთანხმება ეპოსისადმი კლასიციზტების მიერ მიყენებულ მოთხოვნებს. ამ პოემებში შენიშნეს მრავალი არა მარტო მხატვრული, არამედ ფაქტობრივი წინააღმდეგობა. ამიტომაც, როგორც მოსალოდნელი იყო, სწორედ ამ ეპოქაში შეიტანეს ეჭვი ჰომეროსის არსებობაზე. აბატმა დ'ობინიაკმა 1664 წელს დაწერა შრომა „დისერტაცია ჰომეროსის შესახებ“. მისი ნაშრომი მხოლოდ ავტორის სიკვდილის შემდეგ, 1715 წელს, გამოქვეყნდა. დ'ობინიაკი ამტკიცებდა, რომ არ არსებობდა არავითარი ინდივიდუალური პოეტი ჰომეროსი, არამედ იყვნენ „ჰომერიდები“, ბრმა აედები, რომელნიც სხვადასხვა საგმირო ხასიათის ნაწარმოებებს ასრულებდნენ. „ილიადა“ და „ოდისეა“ — ამ ნაწარმოებთა მექანიკურ კრებულებს წარმოადგენს. ჰომეროსის პოემები მაშინაა მშვენიერი, როცა უკუვაგდებთ აზრს, რომ ისინი ერთმა ადამიანმა შექმნა. დ'ობინიაკის აზრით „ილიადა“ და „ოდისეას“ შემკრები იყო ლიკურგე.

ასეთი თეორიით დ'ობინიაკი კლასიციზმს უხდოდა ხარკს, მაგრამ ამავე დროს ეწინააღმდეგებოდა მის პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც ზეპირი შემოქმედება საერთოდ უგულვებელყოფილი იყო. სწორედ ამიტომაც თუმც თავისი ეპოქის მოთხოვნილებებს შეესაბამებოდა, აბატ დ'ობინიაკის თეორიამ თავის დროზე გამოხმაურება ვერ ჰპოვა, სანამ იგი არ განაახლა ვოლფმა.

1795 წელს გერმანელმა მეცნიერმა ფრიდრიხ ავგუსტ ვოლფმა გამოსცა ჰომეროსი და თავის გამოცემას დაურთო წინასიტყვაობა — Prolegomena ad Homerum. ვოლფმა განავითარა აბატ დ'ობინიაკის თეორია, თუმცა, ეს თეორია თვით ვოლფის სახელითა ცნობილი, რადგანაც ასეთი შეხედულება მეცნიერებაში მისი საკმაოდ დასაბუთებული, მეცნიერულად არგუმენტირებული ნაშრომის წყალობით გაერცყელდა.

ვოლფის აზრით „ილიადა“ და „ოდისეა“ წარმოადგენდა საგმირო პოემების კრებულს, შედგენილს პისიტრატეს კომისიის მიერ. არამეცნიერული და არაკეთილსინდისიერი იყო ვოლფის მტკიცება, რომ ანტიკური ხანის მოღვაწენიც ამ საკითხს ასევე უყურებდნენო. სინამდვილეში კი აბატ დ'ობინიაკამდე არავის ეჭვი არ შეპარვია ჰომეროსის ავტორობაში.

ვოლფის თეორიამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ევროპაში. XIX საუკუნიდან მოყოლებული დღემდე ჰომეროლოგია გაყოფილია ორ ძირითად ბანაკად —

ვოლფელეზად და უნიტარებად (ერთავტორობის მომხრეებად), წარმოიშვა მრავალი ახალი თეორია, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ გოტფრიდ ჰერმანის „განვრცობის თეორია“ (Erweiterungstheorie), რომლის მიხედვით „ილიადისა“ და „ოდისეის“ დაწერამდე არსებობდა „პირველ-ოდისეა“; მცირე სიმღერათა თეორია (Kleinliedertheorie), რომელიც ჰომეროსის პოემების საფუძვლად თვლიდა მცირე ეპიკურ ნაწარმოებებს (ეს თეორია ჩამოყალიბებული იყო კ. ლახმანის წიგნში Betrachtungen über Homers Ilias და მას იზიარებდნენ დიდი გერმანელი პოეტები გოეთე და შილერი); „ძირითადი მარცვლის თეორია“ (Kerntheorie), რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა რუსეთში ლეონტიევის, შესტაკოვისა და მიშჩენკოს შრომების სახით.² კირხჰოფის სახელთანაა დაკავშირებული „კომპილაციის თეორია“, რომლის მიხედვითაც ჰომეროსის პოემები შედგება არა პატარა სიმღერებისაგან, არამედ დიდი ეპიკური ტილოებისაგან, როგორც უნდა იყოს „ოდი-სევსის დაბრუნება“, „ოდისეისის თავგადასავალი სამშობლოში“, „ტელემაქია“ და სხვა. ეს პოემები შეიქმნა სხვადასხვა დროს და ერთმა პოეტმა, თუნდაც ჰომეროსმა, გამოიყენა ისინი როგორც მასალა, დაუმორჩილა ერთ მთლიან მხატვრულ კონცეფციას და ერთი ნაწარმოების სახით გადმოგვცა.

უნიტარული თეორიის წარმოშობა უკავშირდება ნიცშის სახელს, რომელსაც ეკუთვნის შრომები „ბერძნული ეპიკური პოეზია“ (Die Sagenpoesie der Griechen) და „ბერძნული ეპიკური პოეზიის ისტორიისათვის“ (Beiträge zur Geschichte der epischen Poesie der Griechen). ნიცში არ უარყოფს, რომ ჰომეროსი რაღაც მასალებით სარგებლობდა, მაგრამ გადაჭრით წინააღმდეგია, რომ „ილიადასა“ და „ოდისეაში“ დაეინახოთ ერთზე მეტი შემოქმედის ხელი.

ჰეველს ჰომეროსის ეპოსის მიჩნევა სხვადასხვა რასოდების ზეჩანეკურ კრებულად ანტიმხატვრულ და ბარბაროსულ წარმოდგენად მიაჩნდა, ხოლო ბ. ბელინსკი ასე მხატვრულად და სხარტად წარმოგვიდგენდა „ილიადის“ კენზისის სურათს:

«Илиада» была столько же непосредственным созданием целого народа, сколько и преднамеренным, сознательным произведением Гомера. Мы считаем за решительно несправедливое мнение, будто бы «Илиада» есть нечто иное, как свод народных рapsодов: этому слишком резко противоречит ее строгое единство и художественная выдержанность. Но в то же время нельзя сомневаться, чтобы Гомер не воспользовался более или менее готовыми материалами, чтоб воздвигнуть из них вековой памятник эллинской жизни и эллинскому искусству. Его художественный гений был плавильною печью,

² П. М. Леонтьев, «Пропилеи», т. II, отд. II, стр. 1—99, М., 1857; С. П. Шестаков, «Происхождении поэм Гомера. Казань, I—II, 1892, 1899; Ф. Г. Мищенко, Энциклоп. словарь Брокгауз-Ефрон, статья «Гомер».

через которую грубая руда народных преданий и поэтических песен и отрывков вышла чистым золотом»³.

ანტიკურ ხანაში არსებობდა ჰომეროსის ბიოგრაფიები (Βίος Ομήρου), რომელნიც 1845 წ. გამოსცა ვესტერმანმა. ჰომეროსის ბიოგრაფიები ერთმანეთისავეან ძირფესვიანად განსხვავდებიან. ამის დასამტკიცებლად ინგლისელმა ჰომეროლოგმა თომას ალენმა გამოსცა ტაბულები, სადაც აღწუსებულია ჰომეროსის ბიოგრაფიებში არსებული წინააღმდეგობანი. არის მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი თანხვედრა, ჰომეროსის გარდაცვალების ლოკალიზება კუნძულ იოსზე. ეტყობა, იოსის მიჩნევა პოეტის უკანასკნელ საცხოვრისად ემყარება მისი პოემების ენობრივ მონაცემებს.

როგორც ახლა საყოველთაოდ აღიარებულია, ჰომეროსი არ არის საკუთარი სახელი, არამედ საზოგადოა და ნიშნავს ზრმას. ჰომეროსის სახელი იმიტომ დაიკარგა, რომ მის ეპოქაში პოეტის პიროვნება არავის აინტერესებდა, რადგან აეღი ძველ ბერძნებს მიაჩნდათ მხოლოდ იარაღად, ინსტრუმენტად ღმერთის, მუსიკის ხელში. ხოლო როცა ბერძნები დაინტერესდნენ „ილიადისა“ და „ოდისეის“ ავტორის ვინაობით, გვიანდა იყო, გენიალური პოეტის სახელის ნაცვლად კატორიოზას შემორჩა მუნჯი ფორმულა — ჰომეროსი.

ჰომეროსის მოღვაწეობის დროზე მეცნიერება უფრო გარკვეულ პასუხს იძლევა. აქამდე ითვლებოდა, რომ ჰომეროსი მოღვაწეობდა IX ს. უკრ. ა. ზოლოს. უკანასკნელი ხანის გამოკვლევებში ეს თარიღი უფრო მოახლოებულია მისი მოღვაწეობის ხანად მიჩნეულია ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნე. ვებსტერი, მაგალითად, ვარაუდობს, რომ „ილიადა“ ჰომეროსმა შექმნა 750 წლის ახლო ხანებში, ხოლო „ოდისეა“ დაახლოებით 720 წელს.⁴

თითქმის საუკუნეანახვერიანი ბრძოლა ჰომეროლოგიაში ვოლფელებსა და უნიტარებს შორის დღესდღეობით უკანასკნელთა სასარგებლოდ იხრება. ბოლო დროის გამოკვლევებში სულ უფრო და უფრო მეტი საბუთიანობით მტკიცდება, რომ „ილიადისა“ და „ოდისეის“ შემოქმედი ერთი ავტორი უნდა ყოფილიყო. თანდათან მოიხსნა დღის წესრიგიდან ვოლფელების ყველაზე უფრო „გამანადგურებელი“ არგუმენტები. ანალიტიკური მეთოდი, რომელიც ვოლფელებმა უძაღლეს საფეხურზე აიყვანეს, წარმატებით იქნა გამოყენებული მათვე წინააღმდეგ.

ჰომეროსის ავტორობის მოწინააღმდეგეთ მიაჩნდათ, რომ ორი დიდი პოემა, რომელთა საერთო მოცულობა დაახლოებით 28 000 ტაქტია, შეუძლებელია შექმნილიყო ზეპირად, ნეუძლებელი იყო მათი დანახსოვრებაც და მოსმენაც. ჰომეროსის დროს კი დაწერლობა არ არსებობდა. არ იყო მიკვლეული VII საუკუნეზე უადრესი ბერძნული წარწერები. ამიტომ ლოგიკური იყო ეფიქრათ, რომ არსებობდა ცალკეული, უედარებით მოკლე, ზეპირად შექმნილი თხზულებანი, რომელთა ერთ კრებულად თავმოყრა მოხერხდა მხოლოდ პისისტრატეს დროს, VI საუკუნეში. მაგრამ გამოირკვა, რომ, ჯერ ერთი, ჰომეროსს უნდა

³ В. Г. Белинский, Сочинения А. Пушкина, статья седьмая, собр. соч. в трех томах, т. III, М., 1948, стр. 469.

⁴ T. B. L. Webster, From Mycena to Homer, New York, 1959.

ეცხოვრა VIII საუკუნეში და ამ დროისათვის, ყოველ შემთხვევაში, საუკუნის შუა წლებისათვის შესაძლებელი იყო ნაწარმოებთა ჩაწერა. გარდა ამისა, ჰომეროსის პოემები ატარებენ ყველა იმ ნიშანს, რომელნიც ზეპირი ეპოსისთვის არის დამახასიათებელი. ეს არის მუდმივი ეპითეტები, ეპიკური ფორმულები, მოქმედების ხელოვნური შეფერხება, ქრონოლოგიური შეუთავსებლობის კანონი, განმეორებანი, რომელნიც ხელს უწყობენ ადრე მოთხრობილი ეპიზოდის გახსენებას და ახალი ეპიზოდის აღქმას. გარდა ამისა, ხალხური ეპოსის შესწავლამ მკვლევარებს საშუალება მისცა წარმოადგენა ჰქონოდათ ფენომენალურ მესხიერებაზე, რომელსაც სახალხო რაპსოდები ფლობდნენ. არ იწვევს ეჭვს ის გარემოებაც, რომ ჰომეროსის ეპოსი თავის დროზე თუნდაც წერილობით შექმნილიყო, იგი მაინც ზეპირი შესრულებისთვის იყო გათვალისწინებული და ეს მსმენელთა უხერხულობას არ იწვევდა. გამოანგარიშებულია, რომ „ილიადის“ მთლიანად შესრულებას სჭირდებოდა 27 საათამდე, ხოლო „ოდისეას“ შესრულებას 21 საათამდე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბერძენი მკითხველი და მსმენელი პოეტური შეჯიბრებების დროს მოთმინებით ისმენდა სამი პოეტის შეჯიბრებას, რომელნიც სცენაზე წარმოადგენდნენ ხოლმე სამ-სამ ტრაგედიას და ერთ სატირულ დრამას, სულ 12 პიესას, ცხადი ვას. აქა, რომ მაილიტის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა რამდენიმე დღის განმავლობაში ჰომეროსის ორივე პოემის მოსმენა.

ვოლფელების საბუთთა უფრო მნიშვნელოვანი წყება დაფუძნებული იყო ჰომეროსის პოემათა ცალკეულ ნაწილებს შორის შემჩნეულ წინააღმდეგობებზე. ამ წინააღმდეგობათა ნაწილი მოჩვენებითი იყო, გამოწვეული იყო საკითხისადმი ზერელე მიდგომით. ხოლო ნაწილი კი ნამდვილად არსებობდა, მაგრამ მკვლევარები არ ითვალისწინებდნენ, რომ ასეთივე შეცდომები მოსდით ავტორებსაც, რომელთა განკარგულებაშია რეაქტორიც, სტამბაც, კორექტორიც, დაბოლოს, კრიტიკაც. არსებობს გამოთქმა — „ზოგჯერ ბრძენი ჰომეროსიც ჩათვლემს ხოლმეო“. „ილიადისა“ და „ოდისეის“ ავტორს ასეთი „ჩათვლემის“ ნებას არ აძლევდნენ. შემჩნეულ იქნა, მაგალითად, ასეთი წინააღმდეგობა „ილიადის“ V და XIII ქებათა შორის. V ქებაში ნათქვამია: „დასცეს არესის მსგავსი მოყმე პილაიმენევს, პაფლაგონიელ ფარისმფლობელ ვაკეაცთა მეფე. იგი განგმირა შუბოსანმა მენელაოსმა, ყელში აძგერა წინამდგომელს ბასრი ოროლი“ (576-579).

ხოლო XIII ქებაში ვკითხულობთ: „პილაიმენევს მეფის ვაჟი ჰარპალიონი... (მოკლა მენელაოსმა, პაფლაგონელები ილიონისკენ) მიაცილებდნენ, მამაც ახლდათ ცრემლთა მფრქვეველი...“ (643, 658).

მენელაოსს ჯერ პილაიმენევი მოუკლავს, მერე მისი შვილი და, ცხადია, მამას აღარ შეეძლო შვილი დაეტერა. გამორიცხვულია, რომ უზარმაზარი პოემის მოსმენის დროს, ასობით გმირის თავგადასავალს რომ ეცნობოდა, ბერძენს შეენიშნა — პილაიმენევი აკი მოკვდაო? ასეთი წინააღმდეგობა მხოლოდ ფილოლოგის დადარჯებულმა თვალმა შენიშნა. მრავალი სხვა ასეთი წერილმანი შეცდომებია ჰომეროსის პოემებში, მაგრამ არავის შეუტანია ეჭვი, მაგალითად, თეკერეის ავტორობაში, როცა მას წიგნის დასაწყისშივე „შემოაკვდა“ თავისი რომანის მთავარი გმირი, არც სერვანტესი დაუსჯიათ იმისთვის, რომ მან

სანჩო პანსა უნუგეშოდ დაკარგულ სახედარზე შეასკუპა, დაავიწყდა, რომ ჯერ სახედრის პოვნა იყო საჭირო. დღეს მეცნიერება აღარ იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, თითქოს, „ილიადის“ მეორე ქების ე. წ. „ხომალდთა კატალოგი“ ეწინააღმდეგება პოემის სხვა ადგილებს, პირიქით, ჰომეროსი ყველგან ემყარება კატალოგის მონაცემებს. ამასთან დაკავშირებით სავსებით სამართლიანია რ. გორდუზიანის მოსაზრება: „კატალოგში ჩამოთვლილ გმირთა ერთი ნაწილი, თუ კატალოგს არ გაეითვალისწინებთ, „ილიადაში“ პირველად დასახელებისას არ არის ექსპონირებული, ანუ არ არის წარმოდგენილი მკითხველისათვის მამენტის წინაშე „ილიადის“ ანალიზში გვიჩვენა, რომ შემთხვევათა აბსოლუტურ უმეტესობაში, გმირის პირველად დასახელებისას, პოეტი, სულ ცოტა, გმირის წარმოშობის შესახებ მაინც გვაძლევს მიკლე ინფორმაციას ან, უკიდურეს შემთხვევაში, ამას მოცემული კონტექსტით გვაგრძნობინება. თუკი ჩვენ კატალოგის „ილიადისგან“ გამოკალკევენას მოვისურვებთ, მაშინ პოემაში პირველად დასახელებისას ექსპონირებული არ იქნებიან პენელეოსი, ლეიტოსი, კლონიოსი, პროტესიდაოსი, პოლიპოტიე და სხვა გმირები“.⁵

ჰომეროლოგიაში გარდატეხის წერტილად არის მიჩნეული 1938 წელი, როცა გამოქვეყნდა ვ. შადევალდტის წიგნი *Iliassstudien*. მასთან ერთად უნდა აღინიშნოს დ. ლომანის, უიტმენის⁶ და სხვათა უახლესი გამოკვლევები, აგრეთვე რ. გორდუზიანის სადოქტორო დისერტაცია,⁷ რომელშიც შეჯამებულია თანამედროვე ჰომეროლოგიის მიღწევები და განვითარებულია ჰომეროსის პოემათა ერთვადობის პრინციპი.

რას ემყარება დღეს ეს თეორია?

თანამედროვე უნიტარისტული შეხედულება დაფუძნებულია ისტორიის, ენათმეცნიერების, არქეოლოგიის უახლეს მიღწევებზე და ჰომეროსის მხატვრული შემოქმედების თავისებურებათა გათვალისწინებით ჩატარებულ ღრმა მეცნიერულ ანალიზზე. მთავარი კი მაინც ამ შემთხვევაში მეცნიერული აღმოჩენაა, რომელიც ვ. შადევალდტს ეკუთვნის და რომელმაც მისცა ბიძგი თანამედროვე ჰომეროლოგიის განვითარებას. ეს იყო, შეიძლება ითქვას, რევოლუციური ხასიათის ბიძგი.

თანამედროვე ჰომეროლოგთა ძირითადი ნაწილი, რომელიც აღიარებს, რომ ჰომეროსის ეპოსი ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს, ცდილობს დაძვინდოს „ილიადასა“ და „ოდისეაში“ შინაგანი ლოგიკა, ნაწარმოებთა

⁵ მიმომხილველი, 6-9, თბილისი, 1972, გვ. 325-326; დაწვრილებით იხ. რ. გორდუზიანი, „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები, თბილისი, 1970.

⁶ D. Lohmann, *Die Komposition der Reden in der Ilias*. Berlin, 1970; C. H. Whitman, *Hommer and the Heroic Tradition*, Cambridge, 1952.

⁷ რ. გორდუზიანი, ჰომეროსის ეპოსის ერთიანობისა და ფორმირების პრობლემა, თბ., 1974. თანამედროვე ჰომეროლოგიური ლიტერატურის მიმოხილვა და ბიბლიოგრაფია. იხ. მისსავე ნაშრომში „ჰომეროსის საკითხი თანამედროვე მეცნიერებაში“, კრებ. „მიმომხილველი“, 6-9, თბ., 1972 წ., გვ. 319-360;

Р. В. Гордрузиани, Проблемы гомеровского эпоса, Тб., 1978.

აგების ერთიანი პრინციპი, რაც გამოირიცხება კოლექტიური შემოქმედების დროს. ერთ-ერთი ასეთი პრინციპი გასული საუკუნის ბოლოს გამოავლინა თ. ზელინსკიმ და მას „ქრონოლოგიური შეუთავსებლობის კანონი“ უწოდა. ამ კანონის მიხედვით პომეროსის ეპოსი გაურბის პარალელურ ეპიზოდებში აღწერას ასე, მაგალითად, „ილიადის“ პირველ ქებაში ერთდროულად უნდა მომხდარიყო ორი ამბავი: აქაველთა მოციქულებს ქრისების უნდა დაებრუნებინათ მამისათვის და იმავდროულად თეტისს უნდა გადაეცა ზევსისათვის აქილევსის თხოვნა, რომ ღმერთთა მეუფეს პელიდის შეურაცხყოფის გამო დაესაჯა აქაველები. პომეროსი თავს არიდებს პარალელური ამბების თხრობას და ამიტომ ზევსი 12 დღით მიჰყავს ოლიმპოდან სტუმრად ეთიოპებთან. მოქმედების ლოგიკით ეს სტუმრობა არაფრით გამართლებული არ არის, არც ჩანს, რა ესაქმებოდა ღმერთს ეთიოპიაში, სამაგიეროდ მოქმედების ასეთი შეფერხება იძლევა საშუალებას, რათა ერთდროულად მოსალოდნელი ორი ეპიზოდი აღიწეროს თანმიმდევრულად, როგორც ერთი მეორის შემდგომ მომხდარი.

უკანასკნელი დროის გამოკვლევათა მიხედვით ჩანს, რომ პომეროსის პოემების როგორც ცალკეული დეტალები, ეპიზოდები თუ გმირთა სიტყვები, ისე სიმღერები (ქებანი), სიმღერათა ჯგუფები და მთლიანად მთელი პოემები გარკვეულ კანონზომიერებას ემყარება. ეს არის წრიული კომპოზიციის პრინციპი, რომელიც ჩამოყალიბებულა სახვით ხელოვნებაში გაბატონებული გეომეტრიული სტილის შესაბამისად. მეცნიერებაში ამჟამად დადგენილია, რომ კრეტა-მიკენის ცივილიზაციის შემდგომ საბერძნეთის ხელოვნებაში განვითარდა გეომეტრიული სტილი, რომელიც ემყარებოდა დეტალებისა და მოტივების ურთიერთშეთანხმებას (კოორდინაციას) და ურთიერთდამოკიდებულებას (სუბორდინაციას). გეომეტრიული ხელოვნების სრულყოფილება წრიული კომპოზიციის საშუალებით მიიღწევა, რომლის დროსაც ორნამენტები და მოტივები განლაგებულნი არიან ცენტრთან და ერთმანეთთან დაკავშირებით სიმეტრიულად. ასეთი ფორმა სისხლბორცეულად ჰქონდა შეთვისებული ყოველ ბერძენ ხელოვანს და, როგორც ირკვევა, ტროის ომის უზარმაზარ პანორამააც თავისი დროის ყველაზე დიდი ხელოვანი პომეროსიც ასევე ხედავდა. ასევე გასამოსცა იგი არა სახვითი ხელოვნების, არამედ პოეზიის საშუალებით. გეომეტრიულმა ხელოვნებამ განვითარების უმაღლეს დონეს სწორედ პომეროსის ეპოქაში, VIII საუკუნეში მიაღწია.

„ილიადის“ კომპოზიციური ცენტრია XI-XIII ქებანი, აქედან წრიული კომპოზიციის შესაბამისად ისე მაროსავით იშლება პოემის ეპიზოდები, რომ პირველ ქებაში ტიპოლოგიურად ეპიზოდთა ისეთივე თანმიმდევრობაა, როგორც მის საპირისპირო პოლუსზე, ბოლო, XXIV ქებაში; II ქებაში ისეთივეა, როგორც ბოლოსწინა, XXIII ქებაში, III ქებაში ისეთივეა, როგორც XXII ქებაში და ა. შ. აი, მაგალითად, რა ეპიზოდებით თავდება პირველი ქება: აქილევსისა და თეტისის საუბარი, თეტისის და ზევსის საუბარი, კამათი ოლიმპოზე. ხოლო XXIV ქება იწყება ტიპოლოგიურად მსგავსი ეპიზოდებით: კამათი ოლიმპოზე, ზევსისა და თეტისის საუბარი, თეტისის და აქილევსის საუბარი... სიმბოლურად ეს ასე შეიძლება გამოისახოს:

n... abc — cba... n

სადაც ი არის | ქების დასაწყისი, ანუ XXIV ქების დასასრული. ეპიზოდ-
თა რიგი | და XXIV სიმღერებში შებრუნებულია, რადგან კომპოზიციური ცენ-
ტრიდან ისინი ერთნაირად და სარკისებურად უნდა იყვნენ დაცილებულნი და
წარმოსახულნი. თავისთავად ცხადია, ეპიზოდთა ტიპოლოგიურ მსგავსებაში
არ იგულისხმება მათი შინაარსობრივი იგივეობა: სხვა აქვთ ღმერთებს საკა-
მათო | ქებაში და სხვა რამეზე დაობენ XXIV ქებაში, მაგრამ მთავარი ისაა,
რომ სიმეტრიულად ასე დაცილებულ ადგილებში მოთხრობილია პაექრობა
ოლიმპოზე და არ არის საუბარი, ვთქვათ, დაკრძალვაზე. ასეთი წრიული კომ-
პოზიცია ახასიათებს ჰომეროსის ორსავე პოემას. მაგრამ ეს იმას როდი ნიშ-
ნავს, რომ ავტორს წინასწარ ჰქონდა შედგენილი სათანადო სქემები და ნაბა-
ზები, განგებ ეძებდა ამ სიმეტრიას. უბრალოდ მისი გენიალური ტვინი ასე
იყო მოწყობილი, სწავკვარად მას მხატვრული აზროვნება არ შეეძლო. ამიტო-
მაც წრიული კომპოზიცია, რომელიც ასე გამკვირვალედ ჩანს, როცა მას სტე-
მების სახით წარმოვადგენთ, 28 საუკუნის განმავლობაში შეუმჩნეველი დარჩა
კაცობრიობას, იგი, ალბათ, არც თვით ჰომეროსს ჰქონდა გააზრებული და,
მით უმეტეს, არც მის მსმენელებს თუ მკითხველებს. სწორედ ამიტომაც იმ
მწყობრ მექანიზმში, რომელიც პრინციპულად წრიულ კომპოზიციაზეა დაფუძ-
ნებული, ზოგიერთი დეტალი ოდნავ არღვევს კიდევ სიმეტრიას და მკვლევარე-
ბი ცდილობენ ხოლმე როგორმე ასეთი გადახვევებიც კანონს დაუმორჩილონ,
მაგრამ ასეთი მოწადინება ზედმეტად უნდა მივიჩნიოთ. ხომ არაფერი ეშვე-
ლება იმას, რომ ჰომეროსი ზოგჯერ გარდაცვლილ მამას ატირებს თავისი შვი-
ლის ცხედრის წინ, ხომ აქვს უფლება ჰომეროსსაც ზოგჯერ „ჩათვლემისა“?
სწორედ ამიტომ ცალკეული უზუსტობანი მხედველობაში არ არია მისაღება,
მით უმეტეს, რომ მათ მკითხველისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ
და უკვე აღარა აქვთ მნიშვნელობა არც მეცნიერებისათვის, რაკი პოემათა
აგების ძირითადი პრინციპი მიგნებულია. თავისთავად წრიული კომპოზიციის
აღმოჩენა პოემათა აღქმას არაფერს კმატებს, მკითხველზე ეს პრინციპი გაუაზ-
რებლადაც იმავე გავლენას მოახდენს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ აღ-
მოჩენის წყალობით ნათელი ხდება: „ილიადას“ და „ოდისეას“ ჰყავთ ერთი
ავტორი, რომელიც ერთგან თავმდაბლურად კი აცხადებს: — მე ღმერთი არ
ვარ, რომ გარდასულ დროთა ამბავი ღირსეულად გადმოვცეო, მაგრამ კაცობ-
რიობას მასზე ნიჭიერი ღმერთი არ გამოუგონია.

კელაზგები და „ილიადა“

ჰომეროსის „ილიადაში“, როგორც სამართლიანად მიუთითებენ, აისახა
ტომთა ქიშობა მცირე აზიის ადრეული კოლონიზაციის დროს. ბერძნული ტო-
მების ჩამოსახლება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულის ბოლოს
ჩრდილოეთიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ეგეოსის ზღვის აუზში
დაკავშირებული იყო ავტოხთონური, ე. წ. წინაბერძნული, მაღალი კულტურის
მქონე მოსახლეობის აღრევასთან უფრო ძლიერ, მაგრამ ნაკლებად განვითარე-
ბულ ბერძნულ ტომებთან. მოხდა ადგილობრივი მოსახლეობის სრული ასი-

მილაცია და ეგეოსის ზღვის აუზში შექმნილი ცივილიზაციის ათვისება და შემდგომი განვითარება ბერძნული ტომების მიერ. ამ მოსაზრებას ადასტურებს ანტიკური ისტორიოგრაფიის ტრადიცია, მითოლოგიური მასალა და თანამედროვე არქეოლოგიის, ეტიმოლოგიისა და ისტორიის მიღწევები. ვინ იყვნენ ანტოსთონები? ამ საკითხზე დღემდე მცენიერებას არა აქვს გარკვეული პასუხი. რადიკალურ მოსაზრებულან ერთად გვსდგება კონპრამისული თეორიები. მეცნიერთა ნაწილს ნიანხდა, რომ თანამედროვე საბერძნეთის ტერიტორია, ეგეოსის ზღვის აუზი და ხნელთაშუაზღვითი ინტავითვე ინდოევროპული ტომებით იყო დასახლებული, მათ შორის ბერძენთა მონათესავე ტომებითაც და რაიმე წინშენელოვან არაინდოევროპულ ელემენტს ამ მიდამოებში ადგილი არ ჰქონია. ახსენებდა პოლარულად საწინააღმდეგო თვალსაზრისიც. მაგრამ დღეს მეცნიერებას იმდენი მასალა დაუგროვდა, რომ ხმელთაშუაზღვითის ტომობრივი და რასობრივი სიჭრელე იმ უსწორი დროისათვის არავითარ ეჭვს არ იწვევს. იტრძნობა არაინდოევროპული სუბსტრაქტი თვით ძველ ბერძნულ ენაში და მკვლევარები ხშირად ცდილობენ ამ მოვლენის ახსნას იბერიულ-კავკასიურ ენათა საშუალებით.

ზოგჯერ მსგავსება საოცარია. ავიღოთ ხნელთაშუაზღვითის ანტოსთონების ეტრუსკების რიცხვითი სახელები. ცნობილია 6 რიცხვითი სახელი, რომელთა დაწერილობა აღნაგინებს სათამაშო ენაზე — კამათელზე, წახნაგებზე წერტილების ნაცვლად იყო სიტყვები. ცხადია, რომ ეს სიტყვები აღნიშნავდნენ ციფრებს ერთიდან ექვსამდე. მაგრამ რომელი — რომელს? იქნებ გავშიფროთ? „ცალ“, „კი“, „სა“ (ან „შა“), „თუ“, „პუთ“, „მას“. ხომ ადვილად გვემისნება პართული „ცალ-ი“ (ერთი), „სამი“, „ხუთი“?... შეინლება დაიძებნოს სხვა სიტყვებისთვისაც პარალელები, მაგალითად, 2 ციფრის აღნიშნული „კი“-სთვის: ხუნძური, ანწუხური, ჭარული „კიგო“, თაბასარანული „კხა“ და მრავალი სხვა. 6 ციფრის აღსანიშნავად ეტრუსკული „მას“-ის შესაბამისად ჩანსური და ქისტური „მალს“, აკუნური „მას-ალ“ და ა. შ. ისიც უნდა ითქვას, რომ პართული „ცალ“, „სამ“ და „ხუთ“ სრულ დასაყრდენს პოულობს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში. მაშ რაღა დარჩა სადავო? საკითხი ასე იოლად არ წყდება. ბულგარული მეცნიერი ვ. გეორგიევი, მაგალითად, ინდოევროპული ენათმეცნიერების პოზიციიდან სულ სხვაგვარად ალაგებს ამ რიცხვით სახელებს. თითქოს ფანტასტიკური და ტენდენციური ჩანს მისი პარალელები, (ეტიმოლოგიური „პუთ“ და სომხური „ერეკ“, ეტრუსკული „ცალ“ და ბერძნული „მექს“ და სხვ.), მაგრამ ეს არაფერს ჰმაცებს ამ რიცხვით სახელთა იბერიულ-კავკასიურობის დამტკიცების სურვილს. საჭიროა მრავალი ცოცხალი და მკვდარი ენის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, რაც მომავლის საქმეა.

გარდა ამისა, გამოთქმულია მრავალი ვარაუდი, რასაც ანტიკური ტრადიციაც უჭერს მხარს, წინაბერძნული და იბერიულ-კავკასიურა ტომების, მათი კულტურების ნათესაობის შესახებ. შეგვიძლია გავიხსენოთ მათი არკონავტების შესახებ, ამირან-პრომეთეს მითის იგივეობა და სხვა. ამ საკითხებზე ჩვენ მსჯელობა არ გვექნება, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველს გავაცნოთ მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რა ცნობებს გვაწვდის „ილიადა“ წინაბერძნული, სახელდობრ, პელაზგური მოსახლეობის შესახებ. ხოლო ვინ იყვნენ

პელაზგები, ეს მომავალი კვლევის საქმეა. აქ მხოლოდ დავიმოწმებთ ისტორიის მამის პეროდოტეს (V ს. ძვ. წ. ა.) სიტყვებს: „თუ რა ენას ლაპარაკობდნენ პელაზგები, დანამდვილებით არ შეგვიძლია ვთქვათ. თუ შეიძლება ვიმსჯელოთ იმ პელაზგების მიხედვით, რომლებიც ახლაც ცხოვრობენ ტირსენების ქალაქ კრესტონში და რომლებიც ოდესღაც იმათი მეზობლები იყვნენ, ვისაც ჩვენ დღეს დორიელებს ვუწოდებთ, და მაშინ ცხოვრობდნენ იმ ქვეყანაში, რომელსაც ამჟამად თესალიოტი ჰქვია; თუ შეიძლება ვიმსჯელოთ აგრეთვე იმ პელაზგების მიხედვით, რომელნიც პელესპონტში დასახლდნენ პლაკიასა და სკილაკეში და რომელნიც ათენელებს შეუერთდნენ (და რაც პელაზგური ქალაქები იყო, ყველამ შეიცვალა სახელი), — თუ შეიძლება ამის მიხედვით ვიმსჯელოთ, პელაზგები ბარბაროსულ ენას ლაპარაკობდნენ“ (პეროდოტე, I, 57).⁸

აქედან ჩანს, რომ პეროდოტეს დრომდეც, ძვ. წ. ა. V საუკუნემდე საბერძნეთში ცხოვრობდა ხალხი, რომელიც თავის თავს პელაზგებს უწოდებდა, ან ბერძენები თვლიდნენ მათ პელაზგებად და ისინი ჯერ კიდევ ლაპარაკობდნენ „ბარბაროსულ“, ე. ი. არაბერძნულ ენაზე. პეროდოტეს ცნობა ვრთხალია, იგი არ არის კატეგორიული იმიტომ, რომ პეროდოტემ დანამდვილებით არ იცის, მისი თანამედროვე პელაზგები ძველი პელაზგების უშუალო შთამომავლები არიან თუ არა. და სწორედ ეს სიფრთხილე კიდევ უფრო სანდოს ხდის მის ცნობას და გვარწმუნებს, რომ ისტორიკოსი ყურმოკრულ ამბებს კი არ გვიყვება, არამედ გვამცნობს, რაც ნამდვილად იცის.

პომპროსის „ილიადას“ განსაზღვრავენ როგორც პომპას აქილევსის რისხვის შესახებ. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, გმირი, რომლის რისხვის თემაზეა აგებული მთელი პოემა, არ არის ბერძენი, პელაზგია.

არ შეიძლება აიხსნას უბრალო პოეტური კაპრიზით ის გარემოება, რომ აქილევსი „ილიადაში“, გარდა თითო-ორი გამონაკლისისა, იხსენიება პელაზგად. იგი ზოგჯერ ისევეა მოხსენიებული, როგორც რომელიმე სხვა ბერძენი გმირი, სახელდობრ — აქაველად, მაგრამ ყველგან ეს სახელწოდება აღნიშნავს იმას, რომ აქილევსი თავისი რაზმით, რომელიც 2 500 მეომარს ითვლიდა, ბერძენთა მხედრობაში შედიოდა, მის ნაწილს წარმოადგენდა და სრულებითაც არ მიუთითებს მის ბერძნულ წარმოშობაზე. ასე, მაგალითად, აქილევსის ძმობილს, პელაზგ პატროკლეს აქაველს უწოდებს მენელაოსი: „აქაველთ შორის უმამაცეს მოყმეს, პატროკლეს ბოლო მოელ“ (XVII, 689-690). მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აქაველთ შორის უმამაცესი (ἄματτος Ἀγαίου) შეიძლება არააქაველიც იყოს ამავე აზრით ამბობს აქილევსიც თავის თავზე: „იგრძნოს ატრიდმაც ქედმაღალმა — რა დააშავა, რომ შეურაცხო გულუმხენსი აქაველთ შორის“ (I, 411-412). მაგრამ, როცა საჭიროა წარმომავლობაზე ლაპარაკი, მაშინ აქილევსი პელაზგად ან მირმიდონელად იხსენიება (მაგ. II, 681-684, IX, 652 და სხვა). ზოგჯერ კი „მირმიდონელი“ ისევე უპირისპირდება „აქაველს“, როგორც ტროელთა მოკავშირე „ლიკიელი“ — „ტროელს“: „ტროელთ, ლიკიელთ, მირმი-

⁸ შტრ. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1950, გვ. 6.

დონელთ და აქაველებს“ (XVI, 564). ასე არიან ამ ტაეპში დაწყვილებულნი მეომარი მხარეები და მათი მოკავშირენი.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს „ილიადის“ II ქება, სახელდობრ, ის ნაწილი, სადაც ჩამოთვლილია ბერძენთა, მათ მოკავშირეთა (პელაზგთა), ტროელთა და ტროელების მოკავშირეთა რაზმები. პოემის ამ ნაწილს ეწოდება „ხომალდთა კატალოგი“ (Καταλόγος τῶν νηῶν). მკითხველი მოელის, რომ გმირი, რომელზედაც დამოკიდებულია პოემის სიუჟეტის განვითარება, რომლის რისხვის თემას ეძღვნება ნაწარმოები, მოხსენიებული იქნება ბერძენთა სიაში. მაგრამ ჩვენ აქილევსს ბერძენთა სიაში ვერ ვპოულობთ. როცა ავტორი ჩამოთვლის აქაველთა რაზმებს, მათი ხომალდების რაოდენობას, სულ 20 რაზმს, ტროაში რომ ჩამოჰყოლია 866 გემს, გვაცნობს მათს მეთაურებს და სამშობლო მხარეს, საგანგებოდ გვაუწყებს:

ახლა ვუძღვროთ პელაზგიკურ არგოსში მცხოვრებთ,
ალოსს, ალოპეს, ტრექისსა და ფთიას რომ ფლობენ.
ლამაზ ქალებით სახელგანთქმულ ქელადის მკვიდრებს
ჰქვიათ ქელენნი, აქაველნი, მირმიდონენნი.
მათს ორმოცდაათ გემს აქილევს მეთაურობდა.
(II, 681-684).

სიტყვით „ახლა“ (νῦν αὖ τῶνδε) ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ ავტორი ერთ საქმეს მორჩა, ჩამოთვალა ბერძენთა რაზმები და იწყებს სხვა საქმეს, მათს მოკავშირეებზე ლაპარაკს, რომელნიც „პელაზგიკურ არგოსში“ (τὸν πελασγικὸν Ἄργος) ცხოვრობენ. ჩამოთვლილია 9 რაზმი, რომელნიც სულ 311 გემს ჩამოჰყვენ და მათი მეთაურები: აქილევსი, პროტესილაოსი (იგი იყო ტროის ომის პირველი მსხვერპლი და რაზმს მის ნაცვლად უმცროსი ძმა პოდარკე ხელმძღვანელობდა), ემელოსი, ფილოკტეტე (იგი ტროაში მხედრობას ვერ ჩამოჰყვა და მის ნაცვლად რაზმს მედონი მეთაურობდა), პოდალიროსი, მახაონი, ვერიპილოსი, პოლიპოიტე, ლეონტეესი, გუნეესი, პროთოოსი. გარდა მეთაურთა, პოემაში გვხვდება სხვა მირმიდონელი გმირების სახელებიც — პატროკლე, ავტომედონტი, ალკიმედონტი და სხვანი.

შემდეგ ავტორი გვაცნობს ტროელთა მხედრობას, რომელსაც ჰექტორი მეთაურობს და მათს მოკავშირეებს. საინტერესოა, რომ ტროელთა მოკავშირეებს შორის პელაზგებიც არიან:

ჰიპოთოოსი მოუძღლოდა შუბოსან პელაზგთ,
უზნვანყოფიან ლარისაში დასახლებულებს.
(II, 840-841).

ტროელთა მოკავშირენი არიან აგრეთვე ქართველური ტომი — ხალიბები:

ჰალიბონები ეპისტროფოსს, ოდიოსს მოჰყვენ
ვერცხლის შორეულ საბადოდან — ალიბეს მხრიდან.
(II, 856-857).

ამრიგად, „სომალდთა კატალოგის“ ცნობით აქილევსი, როგორც მოკავშირე, გამოყოფილია ბერძენთა სიიდან. რამდენად ამართლებს პოემის შინაარსი ამ ცნობას, აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა სიუჟეტის განვითარებისთვის, თემის გახსნისთვის აქილევსის პელაზგობას, თუ ეს უბრალო ახირებაა, ან რაიმე ძველი მითის ანარეკლი და ჩვეულებრივი ტრადიცია, რომელსაც ანგარიში უყენებდა იმეორებენ?

არსებობს მითი იმის შესახებ, რომ აქილევსს ტროის ომში მონაწილეობის მიღება არ სურდა და ამიტომ ქალურად გადაცმული თავის ბიძაშვილებთან სამარცხვინოდ იმალებოდა, სანამ ოდისევსმა არ გამოაშჸარავე მისი დეზერტირობა. რატომ დასჭირდათ ბერძენებს ასე დაემცირებინათ უსაყვარლესი გმირის ავტორიტეტი? სამართლიანად შენიშნავს აკად. ს. ყაუხჩიშვილი: „როგორი გმირთა-გმირია აქილევსი, თუკი მას ომში მონაწილეობისა ეშინია? რომ ის უმამაცესი გმირია, ამის უარყოფა არ შეიძლება; მაშასადამე, თუ მას ომში მონაწილეობის მიღება არ სურს, ეს იმიტომ, რომ იგი არ არის ბერძენი და ბერძენთა მხარეზე ომში მონაწილეობის მიღება არ უნდა; ის სწორედ იმ წინაბერძნული მოსახლეობის რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ბერძენებმა დაიმორჩილეს“.⁹

იცნობდა კი ჰომეროსი ამ მითს, იზიარებდა განა ამ მითის იდეას? „ილიადაში“ არ გვხვდება ასეთი თქმულება, მაგრამ პოემა იმ აზრითაა გამსჭვალული, რომ აქილევსს პანელინური ლაშქრობა სრულებითაც არ მიაჩნდა მისთვის და მირმიდონელებისთვის სამამულიშვილო საქმედ. პირიქით, იგი ნატრობდა, რაც შეიძლება მალე დაბრუნებოდა მშობლიურ ფთიას. პირველსავე ქებაში ჩანს აქილევსის ასეთი არასაბრძოლო განწყობილება. უფრო მეტიც, როცა ქრისეს შეურაცხყოფის გამო ბერძენთა მხედრობას საშინელი სენი მუსსრავს, აქილევსი თვითონ იწვევს ბელადთა კრებას. ეს არის, სხვათა შორის, პირველი და ერთადერთი შემთხვევა აქილევსის მიერ კრების მოწვევისა. სხვა დროს ყოველთვის, ბუნებრივია, ინიციატივას მხედართმთავარი აკამეშნონი იჩენს. გმირი სარგებლობს ლაშქრის უბედურებით და ასეთ მოულოდნელ წინადადებას იძლევა:

აგრე მგონია, მრავალტანჯულთ გვმართებს, მეფეო,
შინ გავეშუროთ, თუ გეწადია გავექცეთ სიკვდილს...
(I, 59-60).

თუ აქილევსს შინ გაბრუნება ხელს აძლევდა, ეს ეწინააღმდეგებოდა ბერძენთა მხედართმთავრის აკამეშნონის გეგმებს. სწორედ ამიტომ იგი დამამცირებლად მიმართავს აქილევსს:

თავიდან მომწყედი, გაიქეცი, თუ გული გერჩის!
და არ გეგონოს, რომ ვერ დაგთმობ! ღირსებას ჩემსას
სხვაც ჰყავს ქომაგი, უწინარეს — ზევსი დიადი!
(I, 173-175).

⁹ ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1950, გვ. 89.

და შემდეგ:

შენი გემებით გამეცალე! მხედრობას შენსას —
მირმიდონელთა ტომს უმეფე! არად მიღირხარ!
(I, 177-186).

აგამემნონსა და აქილევსს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება ააშკარავებს იმასაც, რომ აგამემნონს ბასილევსთა შორის, თურმე, ყველაზე მეტად აქილევსი სძულს, მაგრამ ამ სიძულვილის საფუძველი პოემაში არსად ჩანს. ეტყობა, საქმე გვაქვს ტომობრივ ქიშპობასთან:

ყველაზე მეტად შენა მძულხარ ბელადთა შორის!
(I, 176).

არც აქილევსი ერიდება მხედართმთავარს და ღვარძლიანად ლანძღავს მას, უწოდებს უსირცხვილოს, ვერავს...

როდესაც აგამემნონი მოითხოვს ქრისეისის დაბრუნებისათვის საზღაურს, განრისხებული აქილევსი მას მიმართავს სიტყვით, რომელშიც აშკარავდება სიძულვილი აგამემნონისადმი და, რაც მთავარია, ის, რომ გმირი ტროადაში იბრძვის, თურმე, არა საკუთარი ინტერესებისათვის, არამედ აგამემნონისა და მენელაოსის საქმეს აკეთებს:

განა მოვსულვარ, რომ ტროელებს, შუბის მკუყორცნელებს,
შევრკინებოდი? მე არ მასსოვს მათვან ზიანი...

...შენდა შემხიდედ შევიკრიბეთ, შენს სახერაჯ,
მენელაოსის ნაწუსისთვის ვიბრძვით, პირძაღლო!..

...მე ანაკლები სულ მხვდებოდა შენზე ნაკლები,
როცა ვიკლებდით აყვავებულ ციხე-ქალაქებს.

თუმცა შერკინების სისასტიკე ჩემი მკლავების
ხარჯზე წყდებოდა, როს გაყოფა დაიწყებოდა,

შენ უდიდესი წილი გქონდა, მე — უმცირესი...
უნამოდ ბანაკში ვბრუნდებოდი ბრძოლით მასვრალი.

ახლა ფთიაში მიიჩქარი, ო, რა ტკბილია

შინ დაბრუნება მალემსრბოლი გემებით! კმარა —

შენგან შერცხუენილს არ მსურს შენი განძი ვამრავლო!..

(I, 152-171).

გარეგნულად უთანხმოება აქილევსსა და აგამემნონს შორის თითქოს მხოლოდ ბრისეისის გამოა ჩამოვარდნილი, მაგრამ აშკარაა, როგორ მიისწრაფვის აქილევსი სამშობლოსკენ და როგორ იყენებს საბაზად ჩამოვარდნილ კონფლიქტს. აქილევსი ამავე კრებაზე აპირებდა სიცოცხლე მოესპო აგამემნონისათვის, მაგრამ გადაიფიქრა მისი მოკვლა. ამის შემდეგ გმირი აცხადებს:

ქალისთვის არც შენ, არც არავის შევებრძოლები —
ნება თქვენია, თქვენვე მიგაქვთ თქვენივე ჯილდო!
(I, 298-299).

ფიქრობთ, შემთხვევითი არ არის ეს სიტყვები. მხედართმთავართან ბრძო-
ლას აქილევსი იმიტომ მოერიდა, რომ მათს უთანხმოებას უფრო ღრმა ფესვები
ჰქონდა. აქილევსი ბერძენთა მიერ დაპყრობილი ტომის ბელადი იყო და დამ-
პყრობელთა მხედართმთავრისადმი მტრულად განწყობილი. პირადი შეურაცხ-
ყოფისათვის შურისძიება გასაგები იქნებოდა ყველასთვის და აქილევსს დაუს-
ჯელად შერჩებოდა, მაგრამ მისი მდგომარეობა ამით არ შეიცვლებოდა: მას
კვლავ უნდა განეგრძო ტროადაში არასასურველი ომი.

აქილევსი შურისძიების სხვა გზას ირჩევს. სარგებლობს მომენტით და
უარს ამბობს ბრძოლაში მონაწილეობაზე, განრისხებული მიდის თავის ბანაკ-
ში. აღსანიშნავია, რომ აქილევსი ბერძენთა მხედრობიდან საკმაოდ მოშორებით
არის დაბანაკებული, ისე, რომ დიდხანს მასთან ვერ აღწევს ბრძოლის ცეცხლი.

აქილევსის დედა ქალღმერთი თეტისი მიმართავს შვილს, როცა მისი რისხ-
ვის მიზეზს გაიგებს:

ხოლო შენ დარჩი მირმიდონელთ მალემსრბოლ გემთან —
განრისხებული და ლაშქრობას თავი არიდე.

(I, 421-422).

ერთგან აგამემნონი აქილევსის შესახებ ასე ამბობს:
დიახ, შევცოდე! მაგრამ ღირს კი ერთ ხალხია ფასად
ერთი მოკვდავი, ზევსმა გულით ვინც შეიყვარა...

(IX, 116-117).

ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ აქილევსს აქვს მიზეზი არა მარტო აგამემ-
ნონზე, არამედ საერთოდ ყველა ბერძენზე იყოს განრისხებული, აგამემნონის
მიერ მიყენებული შეურაცხყოფა აქაველთა საერთო საქმედ მიიჩნის.

აქაველები იძულებულნი არიან მოციქულები გაუგზავნონ აქილევსს და
სთხოვონ აპათიოს მათ აგამემნონის დანაშაული, თუ ატრიდი სძულს, მთელ-
მა ბერძენმა მხედრობამ რა დააშავა, მიიღოს დიდმალი საჩუქრები, ხელუხლე-
ბელი ბრისეისი და დაუბრუნდეს ბრძოლას! აქილევსი მოციქულებს ხვდება,
როგორც სტუმართმოყვარე მასპინძელი:

მეგობრებს გხედავთ ჭეშმარიტადი გიჭირთ, ეტყობა..

აქაველთ შორის მაინც ყველას თქვენ მირჩევინხართ!

(IX, 197-198).

მაგრამ აქილევსის გადაწყვეტილება ურყევია: იგი აღარ მიიღებს მენე-
ლაოსისა და აგამემნონის სახელისათვის ბრძოლაში მონაწილეობას, აღარ შეერ-
კინება ჰექტორს, პირიქით, ხვალვე წავა მშობლიურ ფთიაში, არ უნდა მას

აგამემნონის საჩუქრები, რაც უნდა ურიცხვი იყოს, არც მისი სიძეობა სურს. წავა სამშობლოში, იქ შეირთავს ქალს. რაც შეეხება აქაველებს, ისინი ტროას ვერასოდეს აიღებენ, მათაც ურჩევნიათ თავი დაანებონ უნაყოფო ბრძოლას და დაბრუნდნენ სამშობლოში. ყოველ შემთხვევაში, აქილევსი ბრძოლას არ სოდავს დაუბრუნდება და ბერძნებმაც თავის გადასარჩენად რაიმე სხვა ხერხი ნორგინონ (IX, 310-425).

აქილევსს თხოვნით მიმართავს ფონიქსი: „ბრძოლად ძღვენათავის აღდექ და, ვით ღმერთს, გადიდებენ აქაველები!“ (IX, 603-604). მაგრამ აქილევსი არ მერყეობს. ამიტომ აიანტი ტელამონის ძე იძულებულია მოციქულებს მოუწოდოს უკან დაბრუნება:

სასტიკის არაფრად ჩაუგდია თვით მეგობრობაც,
მას მთელს ბანაკში ყველასგან რომ გამოვარჩევდით,
გულქვას, უგრძობელს! ძმაც კი იღებს მოკლული ძმისთვის,
მამა-შვილისთვის გამოსასყიდს და ამ დროს მკვლელი
ხალხში თავსა გრძნობს არხეინად, თუ განძს გაიღებს.
საზღოს მიმღები შურისმგებელ სულს და ამაყ გულს
დააცხრობს ხოლმე. მაგრამ ღმერთმა შენ უბოლოო
რისხვით აგინთო გული მხოლოდ ერთი ქალისთვის!
ჩვენ ხომ შვიდს გაძლევთ — უკეთესებს უკეთესთ შორის,
სხვა მრავალ ძღვენსაც! (IX 630-639).

აიანტის საყვედური სავსებით სამართლიანია. იმ ეპოქაში, რომელიც „ილიად დაშია“ ასახული, გვაროვნული წყობილების რღვევის ხანაში, სრულიად წარმოუდგენელი იყო საჩუქრებით მოსული მოციქულების უარით გასტუმრება. აგამემნონის შეურაცხმყოფელი საქციელი ღირსეული საზღაურით უნდა გამოსყიდულიყო, მაგრამ აქილევსს ბრძოლის ველიდან განდგომის შესანიშნავი საბაბი აქვს და მას ხელიდან არ უშვებს. ამ მხრივ საყურადღებოა მისი პასუხი აიანტისადმი:

უკან დაბრუნდით, თქვენს გამომგზავნს ასე აუწყეთ:
გულში ფიქრადაც არ გავივლებ, კვლავ ვღვარო სისხლი,
სანამ ჰექტორი ღვთაებრივი, აბჯარასხმული
არ მოადგება მირმიდონელთ კარვებს, ხომალდებს,
როს დაწვავს გემებს არგიველთა და მოსპობს ლაშქარს.
(IX, 649-653).

აქილევსმა გადააჭარბა საზღვარს, რომელსაც მარტო აგამემნონის მოქმედება გამოიწვევდა. აქილევსი უარს ამბობს ბრძოლაზე, მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ბერძენთა დამარცხებას, არ შესტიკვა მათზე გული. ხოლო თუ ჰექტორმა დაამარცხა ბერძნები, დაწვა მათი ხომალდები და თავს დაესხა აქილევსს, ეს უკანასკნელი მხოლოდ მაშინ ჩაერთვება ბრძოლაში. აქილევსს გადაუწყვეტია, იბრძოლოს მხოლოდ მაშინ, როცა ამას თავდაცვის აუ-

ცილებლობა მოითხოვს. პირველ ქებაში აგამემნონისთვის მიცემულ პასუხში გამოთქმული აზრი, რომ აქილევის ტროელებთან თავისი ინტერესებისთვის კი არ იბრძოდა, არამედ ბერძენი მენელაოსისა და აგამემნონის საქვეს აკეთებდა, ლოჯიკური თანმიმდევრობით ვითარდება პოემაში.

ჩვენი აზრით, ავტორს თუნდაც ნდომოდა, რომ აქაულებს უფრო აშკარად გამოეხატა სიძულვილი ბერძნების მიმართ, ამაზე მეტს მაინც ვერ ათქმევინებდა გმირს, რადგან უღალატებდა მხატვრულ ზომიერებას, აქილევეს არ შეეძლო მოსული სტუმრებისთვის, რომელთა შორის მისი აღმზრდელი ფონიქსიც იყო, უფრო მკაცრად მიემართა. განა მისი სიტყვებიდან ისედაც საკმარისად ვერ გაიგებდნენ მოციქულნი, რომ აქილევის მათი მეგობრიდან მტრად გადაიქცა და მას ვერავითარი ძალა ვერ დააბრუნებს აქაველებთან? ბერძნებმა კარგად იციან, რომ „მძლავრი პელიდი როდილა სწუხს აქაველებზე! იქნება ელის, პელესპონტთან, ამ უშედეგო ომში აქაველთ ხომალდების აბრიალებას, ერთიმეორის მიყოლებით ჩვენს სიკვდილს საზარს?“ (XI, 664-667).

ბერძნებმა კარგად იციან, რომ აქილევის მათი წარუმატებლობა ახარებს:

ატრიდო, ახლა აქილევისს უგლიმი გული
ძგერს სიხარულით, როს აქაველთ ვაებას ხედავს,
არ შერჩენია სიბრალულიც მცირეოდენი!
(XIV, 139-141).

ჩვენთვის მეტად საინტერესოა XVI ქება. პატროკლე ბრუნდება აქილევსთან ბერძენთა ბანაკის დათვალიერების შემდეგ და ქვითინებს. აქილევისთვის გაუგებარია მისი ცრემლის მიზეზი:

რაო, პატროკლე, რად ქვითინებ, ვით ნორჩი გოგო,
დედას რომ მისდევს, ატატებას ჰვედრის ტირილით,
ებღაუჭება კაბას, წამსვლელს კალთაზე ეკვრის
და შესცივინებს ცრემლიანი — ამიყვანეო...
(XVI, 7-10).

პატროკლე გაოცებულია გმირის გულქვაობით. მრავალმხრივ საყურადღებოა აქილევისსი სიტყვა და ამიტომ მოგვყავს იგი მთლიანად:

აბა, რას ამბობ, ო, პატროკლე, კეთილმოზაღი
მისნობა როგორ შემაშინებს?

ღვთაებრივ დედას
ზევისს სურვილზე არაფერი ჩემთვის არ უთქვამს.
მაგრამ გულს მსჭვალავს, სულს მიშფოთებს სასტიკი რისხვა,
როს ვხედავ — კაცი თანასწორის გაძარცვას ცდილობს
მხოლოდ იმიტომ, რომ უფლებით აღემატება!
და არც დაცხრება რისხვა ჩემი:

ბრძოლაგადახდის

აქაველებმა შემირჩიეს ჯილდოდ ასული:
შუბით ვირგუნე, როს დავთრგუნე მტკიცე ქალაქი
და თვითნებურად გამომტაცა ხელიდან ქალი
აგამემნონმა, თითქოს ვინმე ბოგანო ვიყო!
მაგრამ რაც მოხდა, რას გავაწყობ!

არც ეგ ივარგებს,
რომ რისხვას ზღვარი არ დაეუდო.

ის კი ცხადია,
არ დაეწყნარდები, სანამ აქვე ჩემს სომალდებთან
და ჩვენს ბანაკთან არ ატყდება ომის გნიასი...
ქარგი, პატროკლეე, შეიმოსე ჩემი ბექთარით
და წინ გაუძებს მირმიდონელთ, ომს მოწყურებულთ.
ეხედავ, გარშემო ტროელ სპათა შავი ღრუბელი
გემს მოსჯარვია, ზღვის კიდესთან მიჭეჭვილები
ძლივს იკიდებენ აქაველნი ფეხს ქვიშროვანზე.
თავს დასტყდომია ტროა აგრე გალაღებული:
ველარ ხედავენ ბრძოლის ველზე ჰუ...
თვლისმომჭრელს და მოელვარე!

მათს გვამებს მიწა
ვერ დაიტყედა, აგამემნონს რომ არ ეძალა.
ბანაკს და გემებს მოსდგომია მტერი თამამად,
ალარ მძვინვარებს დიომედეს მძლე მარჯვენაში
მძლავრი ბოძალი, რომ აშოროს ლაშქარს მოძალე.
აგამემნონის საძულველი ბაგე-პირიდან
ხმა აღარ ისმის,

კაცთამელები ჰექტორი ოდენ
გრგვინავს ტროელთა შორის მყოფი, მძლავრი ყიფინით
ველს აზანზარებს და სასტიკად მუსრავს აქაველთ!
კმარა პატროკლეე, ააშორე ხომალდებს ცეცხლი,
მტკიცედ დაქკარი, რომ გემები არ გადაბუგონ,
გზა არ მოგვიჭრან სანუკვარი — შინ წასასვლელი
ოღონდ მისმინე და ეს რჩევა გულს ჩაიბეჭდე:
სახელ-დიდება მომიხვეჭე დანაელთ შორის,
რომ მშვენიერი ქალიშვილი უკან მომგვარონ,
თან მოსაკითხი მომიტანონ აურაცხელი,
გემს ააცდინე განსაცდელი და დამიბრუნდი!
მეხისმტყორცნელმა თუნდ დიდებით გაგამამაცოს,
მინც უჩემოდ ნუ გაბედავ ბრძოლისმოყვარე
მტრის იავარქმნას, ნუ შებლაღავ ამით ჩემს სახელს.
გულანთებულმა სიმამაცით სძლიე ტროელნი,
მაგრამ სპას ნულარ წარუძღვები ილიონისკენ,
რომ ოლიმპოდან მათდა შემწედ უკედავი ვინმე
არ მოგველინოს: აპოლონს ხომ უყვარს ტროელნი!

როგორც კი გემებს გადაარჩენ, მყისვე დაბრუნდი,
აქაველები მოსასპობად იქვე დატოვე!
მამაო ზევსო! ო, ათენავ! დიდო აპოლონ!
ნეტავ ტროელთა, არაგველთა მხედრობამ სრულად
მოსპონ ერთურთი! მხოლოდ ჩვენლა გავეჩუეთ სიკვ ჯალს,
მხოლოდ ჩვენ დავცეთ ილიონის ამაყი ციხე!

(XVI, 49-100).

ამ სიტყვაში ყურადღებას იპყრობს შემდეგი მომენტები:
პირველი. აქილევსი უარყოფს, რომ მის განარისხებაში რაიმე წვლილი მიუ-
ბღვის ზევსს.

მეორე. შეინიშნება წინააღმდეგობა. აქილევსი, როგორც მოსალოდნელი
ყო ბერძენი გმირისაგან, ამბობს: „არც ეგ ივარგებს, რომ რისხვას ზღვარი
არ დავუდოო“, მაგრამ იქვე უმატებს. როგორც პელაზგი გმირი: „არ დავწყნარ-
დები, სანამ აქვე, ჩემს ხომალდებთან და ჩვენს ბანაკთან არ ატყდება ომის
გნაისი“.

შესამე. აქილევსი დავალებას ამლევს პატროკლეა, დაიცვას ბერძენთა ზო-
მალდები განადგურებისაგან. მაგრამ ამას იმიტომ კი არ აკეთებს, რომ აქვე-
ლები გადაარჩინოს, არამედ იმიტომ, რომ ბერძენთა ხომალდების დალუპვა
საფრთხეს უქმნის მირმიდონელებსაც, სამშობლოში დაბრუნების საშუალებას
უსპობს. მამასადამე, აქილევსი პატროკლეს აგზავნის ბრძოლაში არა აქაველების
დასახმარებლად, არამედ მირმიდონელთა დასაცავად. აქილევსს თავდაცვის სა-
ჭიროება აიძულებს დაიცხროს რისხვა.

მეოთხე. რათა შეარბილოს აქილევსის დამოკიდებულება ბერძენებთან, პო-
მეროსი გმირს ათქმევენებს პატროკლესათვის: დიდება მომანიჭე, რომ აქავე-
ლებმა ბრისეისი დამიბრუნონ და საჩუქრები მიძღვნანო. თითქოს ამისთვის
ჭალებს პატროკლეს, ლაშქარს ილიონამდე ნუ წარუძღვებო. ჯერ — ერთი, აზრი
არა აქვს ასეთ ნაბიჯს. IX ქებაში ბერძენებმა უკვე დაიმცირეს მის წინაშე
თავი და ყოველივე შეაძლიეს, მაგრამ მტკიცე უარი მიიღეს მისგანვე და, მეო-
რეც, XIX ქებაში ჩანს, რომ აქილევსისთვის არც თუ ისე მნიშვნელოვანია სა-
ჩუქრები. სხვათა შორის, როგორც ქვემოთ ვნახავთ, იმავე ქებაში აქილევსი
დიპლომატიური მოსაზრებით თავის რისხვას ზევსს აბრალებს, XVI სიმღერაში
კი, როგორც ვხედავთ, პირიქითაა.

მეხუთე. სიტყვის დასასრულს აქილევსი მიმართავს ზევსს, ათენას, აპო-
ლონს: ნეტავ ტროელებმა და აქაველებმა სულაც ერთურთი მოსპონო. სწორედ
აქ არის აქილევსის ტაქტიკური ჩანაფიქრის გასაღები: გმირი პატროკლეს ავა-
ლჯბს მაშინვე შეწყვიტოს ბრძოლა, როგორც კი ხომალდებს გადაარჩენს, არა
იმიტომ, რომ ბერძენებს საჩუქრები გააღებინოს, მიზანი სხვა არის. პატროკლე
ხომ ტროელებს იმიტომ უნდა შებრძოლებოდა, რომ მირმიდონელთა გემები
გადაერჩინა განადგურებისაგან, ხოლო როცა ამ საქმეს გააკეთებდა, მტერს
ილიონამდე არ უნდა გაჰყოლოდა, რათა ტროელებს კვლავ მისცემოდათ ბერძ-
ნებთან ბრძოლის საშუალება. ეს კი ორივე ბანაკის დასუსტებას გამოიწვევდა
და ამაში ხედავდა აქილევსი მირმიდონელთა ხსნას.

ჩვენთვის ცხადია, რომ ასეთი სამინელი წყევლა არ უნდა დასტვენოდა ბერძენ მხედართმთავარზე განრისხებულ ბერძენ გმიარს. ეს შეეძლო ეთქვა მხოლოდ პელაზგ აქილევსს, რომელიც ტროადამი არც ბერძენთა და არც ტროელთა გამარჯვებით არ იყო დაინტერესებული. სწორედ ამიტომაც აქილევსი გადამწყვეტ ნაბიჯს მხოლოდ მაშინ დგამს, როცა დაინახავს, რომ ტროელებმა სძლიეს აქაველნი და უკვე მირმიდონელთა გემებს ესხმიან თავს. მაშინ მიმართავს აქილევსი პატროკლეს:

გმირო პატროკლევ! ო, იჩქარე, ჩემო მხედარო!
ეხედავ, გიზგიზებს უკვე გემზე ცეცხლი შთანთქმეული.
თუ ხომალდები ხელთ ჩაიგდეს, გზაც მოგვეჭრება!
(XVI, 126-128).

საყურადღებოა, რომ ტროელებს აქილევსი ბერძენ მეომრად კი არა, ბერძენთა მეგობრად, მათს მოკავშირედ მიაჩნიათ:

იფიქრეს, ალბათ, უქმად მყოფმა პელეიონმა
რისხვა დააგდო და კვლავ მიდრკა მეგობრობისკენ.
(XVI, 281-282).

XVI ქებაში აქილევსი ზევსს მიმართავს, როგორც პელაზგურ ღვთაებას: „ზევსო, დოდონთა და პელაზგთა უფალო...“ (Ζέν Ζευξ, Δωδονιαδες, Πελαζοιξ XVI, 233).

აქილევსი ბერძენთა მხედრობაში ყველასგან გამოირჩევა, მის მკლავებზე გადადის ბრძოლის სიმძიმე, მას, როგორც ღმერთს, ადიდებენ ბერძენები, საშინლად ძრწიან მის წინაშე ტროელები, მისი მხოლოდ გამოჩენაც საკმარისია, რომ ტროელთა მხედრობა შეძრწუნებული გაიქცეს, თავი შეაფაროს ციქქალაქს. აგენორი აქილევსზე ამბობს, რომ იგი ადამიანთა შორის უცლიერესია (XXI, 566), აქილევსი უპირველესია გმირთა შორის (XVIII, 437), აქილევსს არ აშინებს ისიც, რომ ბედისწერით მასაც ტროადამი უნდა მოეღოს ბოლო. ჰექტორის მოკვლის შემდეგ აქილევსს სიკვდილი უწერია, მისი აღსასრულიც ახლოვდება, მაგრამ გმირი შურისძიების მიზნით კვლავ ჰექტორს და მას, უკვე მოკლულს, მიმართავს:

ჩაძაღვლი მე კი გულის თრთოლვით შეეხვებები სიკვდილს,
როცა მომივლენს ყველა ღმერთი და მამა ზევსი!
(XXII, 365-366).

შესანიშნავია „ილიადაში“ ეპიზოდი, როცა პატროკლეს მოკვლით თავზარდაცემული აქილევსი ღრუბელივით მოღუმული გადმოდგება სერზე და გადახედავს ბრძოლის ველს. სამჯერ შემზარავად იჩქეებს გმირი და შეძრწუნებული ტროელები გარბიან ქალაქისკენ (XVIII, 200-235). აი, ასეთია აქილევსი. მოკლედ და ამომწურავად ახასიათებს ბერძენთა ლაშქარში აქილევსის მნიშვნელობას ი. ტრონსკი:

«Стоит Ахиллесу появиться, как прочие герои становятся ненужными. Он действует один, заслонив всех других. Этим путем поэт достигает нескольких целей: устанавливается решительное превосходство Ахиллеса над остальными героями, открывается возможность развернуть многостороннее повествование во время его отсутствия и облегчается задача объединения плохо спаянных между собой фессалийских и южногреческих элементов предания. Агамемнон и его круг поданы, в сущности, раздельно от Ахиллеса, но так, что фигура отсутствующего Ахиллеса доминирует над всем ходом действия»¹⁰.

ჰომეროსისთვის აქილევსი ბრძოლაში გამარჯვებას უჭირდებოდა, მაგრამ პოეტს არ შეეძლო არაბერძნული წარმოსმობის გმირის განსაზღვრებად დაემცრო თვით ბერძენი გმირების ავტორიტეტი. პირიქით, აქილევსის ბრძოლაში არყოფნით სარგებლობს პოეტი, რათა აამაღლოს ბერძენი გმირების დიდება, აჩვენოს ბრძოლაში მათ მიერ ჩადენილი გმირობის სასწაულები. ი. ტრონსკი სამართლიანად მიუთითებს:

«Для того, чтобы Ахиллес получил удовлетворение, требуется поражение ахейцев, которое надлежало, однако, обставить так, чтобы не унижить ахейских героев»¹¹.

მართლაც, ჰომეროსის წინაშე ასეთი დილემა დგას: მეათე წელი მიმდინარეობს ბრძოლა ტროის მისადგომებთან. ამ წლების განმავლობაში გმირთა-გმირი აქილევსი ბერძენთა მხედრობაში იმყოფება, მაგრამ ტროა აუღებელი რჩება. ახლა განრისხებული აქილევსი თავისი რაზმითურთ გაცილდა ბერძენებს, ბერძენებს დააკლდათ ბრძოლის ბურჯი — აქილევსი და მასთან ერთად 2 500 მამაცი მეომარი. ჯერ ესეც კი საკმარისია იმისათვის, რომ ბრძოლის ბედი ტროელებისაკენ გადაიხაროს. ამას ემატება ის უბედურებაც, რომ ზევსი აქილევსის შეურაცხყოფის გამო შურისძიების გზას ადგას და ტროელებს ეხმარება. მაშასადამე, ბერძენთა განადგურება გარდუვალი ჩანს. ამიტომ ჰომეროსი სხვადასხვა ხერხით ცდილობს რაწინაირად გაახანგრძლივოს ბერძენთა უძლეველობა, აჩვენოს მათი შეუდრეკელი ბრძოლა და აამაღლოს ავტორიტეტი. პირველ ყოვლისა, საჭიროა ზევსის შერჩევა. მისი ერთი ჭეკა-ჭუხილიც საკმარისია, რომ ბერძენთა მხედრობა განადგურდეს.

ზევსი პოემის პირველსავე სინღრაში პირობას აძლევს აქილევსის დედას თეტისს, რომ შურს იძიებს აქილევსის შეურაცხყოფისათვის მაგრამ ავტორი განგებ აფერხებს ზევსის მოქმედებას. ზევსი რომ მაშინვე ამოქმედდეს, ავტორს დროც არ დარჩება ბერძენთა მამაცობის ასახაზავად. პოეტი დაწვრილ-

¹⁰ Гомер, Илиада, пер, Гнедич, 1935, стр. XXVII.

¹¹ იქვე, გვ. XXVIII.

ბით აღწერს ბერძენი გმირების მამაცობას: ისინი უაქილევსოვლად იოლად გა-
დიან.

დიდი სიყვარულით მოგვითხრობს ჰომეროსი V ქებაში გმირობას ბერძენი
დიომედესი, რომელიც თვით ლმერთებსაც არ ერიდება: დაჭრის აფროდიტეს
და ბრძოლის ღმერთ არესსაც (V, 350 და შმდ.; 855-865). მაგრამ აფროდიტეს
დაჭრის შემდეგ აქაველებს აფრთხილებს, როცა ჰექტორის ზურგს უკან არესს
შენიშნავს:

უკვდავ ლმერთებთან შერკინება არვინ გაბედოს!
(V, 606).

ამის შემდეგ დიომედესს ჰყოფნის ძალა, რომ ათენას ჩაგონებით არესს
შეებრძოლოს. შემდეგ ქებაში კი დიომედე ეუბნება ტროელ გლავკოსს:

თუ უკვდავი ხარ მოვლენილი მაღალ ზეციდან,
იცოდე, ლმერთებს მე არასდროს შევერკინები!
(VI, 128-129).

ამ აზრს ერთხელ კიდევ იმეორებს დიომედე:
ნეტარ ლმერთებთან არა, არ მსურს მე შერკინება!
(VI, 141).

წინააღმდეგობა აშკარაა. წინააღმდეგობას ავტორი ვერ იცილებს იმით,
რომ აფროდიტე და არესი დიომედემ ათენას ჩაგონებით დაჭრა. აქაც, როგორც
ბევრგან სხვაგან, ლმერთის ჩაგონება მხოლოდ მხატვრულ ხერხს წარმოადგენს
გმირში მომხდარი სულიერი ბრძოლის აღსანიშნავად. ესეც რომ არ იყოს,
ლმერთებთან შერკინების ფაქტი უკვე მომხდარია და დიომედესს არ შეუძლია
არ აღიაროს იგი, როცა ამბობს — ნეტარ ლმერთებს არ ვებრძოლებო, მაგრამ
იგი ხომ ებრძოდა! რამ გამოიწვია წინააღმდეგობა? უნდა ვიფიქროთ, რომ
მხოლოდ დიომედესს განდიდებისა და თვით აქილევსზე მაღლა დაყენების ცდამ.
ავტორის სურვილზე, რომ ბერძენი გმირების ავტორიტეტი აამაღლოს და რამ-
დენადმე შეამსუბუქოს აქილევსის უბოკმედობის, ჩვენ მეტსაც ვიტყვით,
მტრული მოქმედების, დაძლუპველი შედეგები, ცხადად მიუთითებს აიან-
ტის სიტყვა, რომლითაც იგი ბრძოლის წინ მიმართავს ჰექტორს:

ჰექტორ, დღეს ნახავ, პირისპირ რომ შემერკინები,
დანაელთ შორის სხვა გმირები როგორნი გვეყვანან —
ფალანგთმნგრეველი აქილევსის, ლომგულის გარდა!
(VII, 226-228).

ნათელია ავტორის განზრახვა: მას უნდა, რომ აქილევსის, მირმიდონელი
აქილევსის, დიდებამ არ დასცეს აქაველი გმირების ავტორიტეტი.

როგორც აღვნიშნეთ, ზევსი ჯერ კიდევ უმოკმედოდ არის, რადგან აქტიუ-
რობით ხელს შეუშლიდა ავტორს განსაზღვრული მიზნის განხორციელებაში.
უფრო მეტიც: ბრძოლის ველზე გამოდიან სხვა ლმერთები — ჰერა, ათენა, არესი,

აფროდიტე, აპოლონი და ზევსი კი იმის ნაცვლად, რომ მიცემული პირობა შეასრულოს, უცნაურად იქცევა. მაგალითად, არესი, რომელიც ტროჯეზს ეხმარებოდა და ზევსის საქმეს აკეთებდა, შესწირვებს „უკვდავთა და მოკვდავთა მამას“ დიომედეს თავხედობას, რომელმაც, მოკვდავმა, უკვდავი ღმერთი დაჭრა ზევსი საოცარ პასუხს აძლევს ომის ღმერთს:

ჩემთან ნუ ღმუი, შე მერყევო, მესხვადასხვიე!
ოლიმპოს მკვიდრთა შორის მძულხარ ყველაზე მეტად.
შენ მხოლოდ შულდი, მხოლოდ მტრობა და ბრძოლა ატკობის!
დედის სული გაქვს — მიწვივ ჭინჭული და ჭირვეული
პერასი! მას ხომ სიტყვით ძლივსლა მეც ვიმორჩილებ!
ახლაც, ვეჭვ, მისმა ჩაგონებამ შეგძრა ტკივილით!
მაგრამ არ ძალმიძს კვლავ გიუურო ასე წამებულს,
შენ ხომ შვილი ხარ ჩემი, დედამ შენ ჩემგან გშობა.
სხვისი რომ იყო, გულბოროტო, დიდი ხნის წინათ
ურანიდებთან ჯოჯოხეთში გადაგკარგავდი!

(V, 889-898).

აქაც ერთგვარ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე, რომელიც გამოწვეულია იმით, რომ ჰომეროსი განგებ აფერხებს ზევსის ჩარევას ბრძოლაში და ამიტომაც იძულებულია მიზეზის დაუსახელებლად იგი კვლავ ტროელთა მოძულედ დაგვისახოს. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ზევსი მაინც უნდა ჩაერიოს ბრძოლაში და ეს ხდება მხოლოდ VIII ქებაში.

თავისთავად ცხადია, რომ აქაველების აღსასრული კარზეა მომდგარი. ცხრა წლის განმავლობაში მებრძოლ ბანაკებს შორის არსებული წინასწორობა ირღვევა, ბრძოლის ბედი ტროელთა მხარეს იხრება. იმისათვის, რომ ზევსის ჩარევამდე აეცილებინა აქაველებისათვის არასასურველი საბრძოლო პირობები, ავტორი ღმერთთა სამყაროს ორ ბანაკად ჰყოფს. მაგრამ ღმერთების საქციელი რომ პოეტის ნება-სურვილითაა გაპირობებული, ეს ჩანს იქიდანაც, რომ ომის ღმერთი არესი, რომელსაც ფიცი ჰქონდა პერასა და ათენას წინაშე დადებული, რომ მუდამ ტროელების წინააღმდეგ იბრძოლებდა, ფიცს ტეხს და აქაველებს ებრძვის (V, 233 და შმდ.). რატომ დასჭირდა ჰომეროსს არესის გადაყვანა ტროელთა მხარეს? ეტყობა, იმიტომ, რომ, როცა საქმეში ზევსი ჩაერეოდა, აქაველთა სიმამაცე გასაკვირი აღარ ყოფილიყო. ავტორი თითქოს გვეუბნება: აი, ხომ იბრძვიან აფროდიტე და აპოლონი ტროელთა მხარეს, აქაველებს აქილევსი აღარ ეხმარება, ახლა არესიც მტრების მხარეს გადავიდა, მაგრამ ისინი მაინც არ მარცხდებიან!

როდესაც ზევსმა უშუალოდ ხელი მოჰკიდა ბრძოლის საქმეს, საჭირო იყო აქაველთა მფარველი ღმერთების ამოქმედება, რომ მათ შეეფერხებინათ უზენაესი მეუფის შემშუსვრელი ძალა. იმიტომ ათენა კრებაზე ეუბნება ზევსს, რომელმაც მკაცრად მოსთხოვა ღმერთებს შეეწყვიტათ აქაველების დახმარება, რომ მისი სიტყვა კანონია, მაგრამ მეუფემ ნება დართოს ღმერთებს რჩევით მაინც გაუწიონ დახმარება აქაველებს. ჰომეროსს სჭირდება ზევსის თანხმობა და ისიც თანახმაა.

ზევისს მეუღლე ჰერა VIII ქებაში ღმერთ პოსეიდონს სთხოვს დახმარება გაუწიოს ბერძნებს, მაგრამ პოსეიდონს ეშინია ზევსის რისხვისა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ VIII ქებაში პოსეიდონი არა მარტო რწევით ეხმარება ბერძნებს, არამედ არღვევს ზევსის ბრძანებას და უშუალოდ იბრძვის მათს რიგებში. ეს წინააღმდეგობაც გამოწვეულია მტრულ ბანაკებს შორის დარღვეული წონასწორობის რამდენადმე აღსადგენად. როდესაც ირისი ვადასცემს პოსეიდონს ზევსის ბრძანებას ბრძოლის ველიდან გასვლის შესახებ, ზღვის ღმერთი ამაყად უპასუხებს შიკრიკს:

არა, მე ზევსის წესი არ მწამს! ხომ დიადია
და ძალმოსილი, თავის წილხვედრს ფლობდეს მესამედს,
მე ნუ მაშინებს მელავის ძალით, ვით საწყალობელს!
(XV, 194-196).

ამ სიტყვებში როდი ჩანს, რომ პოსეიდონს ზევსის ეშინია. ამ შემთხვევაშიც იმავე სასიათის წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე.

ჰერა VIII ქებაში ჩააგონებს აგამემნონს, რომ მან გაამხნევოს ჯარი ძართლაც, აგამემნონი ლაშქარს მიმართავს გამამხნევებელი სიტყვით და ევედრება ზევსს, იხსენიო ბერძენთა მხედრობა. ზევსს გული მოუღებება აცრემლებული აგამემნონის სიტყვებზე ბერძენები მამაცურად იბრძვიან. მაგრამ ზევსი ბრძოლის ბედს ისევ ტროელებისკენ გადახრის. ამ დროს ათენა ეუბნება ჰერას, ბოლო მომენტში მაინც ვუშველოთ აქაველებს, უშუალოდ ჩავებათ ბრძოლაში და ლანძღავს ზევსს. მაგრამ ღრუბელთბატონი შიკრიკს აგზავნის მათთან და უკრძალავს ბრძოლას. აქაველებს კი განადგურებისაგან ღამე იხსნის. გამაფრებული მდგომარეობის შესანელებლად ჰომეროსი ტოვებს ბრძოლის ველს, აგვიწერს ოლიმპოზე ღმერთებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას და გვაუწყებს, რომ ტროელებმა ღმერთებს მსხვერპლი შესწირეს, მაგრამ ღმერთები მას არ იღებენ. რადგან ტროელებზე განრისხებული არიანო.

მაგრამ ჰომეროსს კარგად ესმის, რომ მარტო ეს არ კმარა. საჭიროა ზევსის ყურადღების მოდუნება. ამიტომაც ჰერა სიყვარულით თავბრუს დაახვევს მეუღლეს და დააძინებს ხოლო ამ დროს აქაველებს აფრთხილებენ, რომ ჰერამ და ძილმა დაიმორჩილეს ზევსი, ახლა აქაველებს არ ჭირდებათ აქილევსიც კი, ისედაც შეუძლიათ გაიმარჯვონ (XIV, 368-369).

ასეთი ხერხებით ცდილობს ჰომეროსი თავიდან აიცილოს წინააღმდეგობები, აქილევსის მიერ ბრძოლის ველის დატოვებას რომ მოჰყვება. მაგრამ ეს ყოველთვის როდი ხერხდება.

„ილიადა“, როგორც აღვნიშნეთ, აკებულია აქილევსის რისხვის თემაზე. აქილევსი თითქოს მხოლოდ აგამემნონზეა განრისხებული, რომელმაც მას სიამაცისათვის მიძღვნილი ჯილდო, საყვარელი ბრისეისი წაართვა. თითქოს მხოლოდ ესაა აქილევსის რისხვის მიზეზი, თითქოს ამიტომ ეუბნება გმირი მასთან შესარიგებლად მისულ დანაელებს: განა აქაველები აქ მშვენიერ ელენეს გულისთვის არ მოვიდნენ? განა ფიქრობს აგამემნონი, რომ მხოლოდ ატრიდებს უყვართ თავიანთი ცოლები? აქილევსსაც უყვარდა ბრისეისი, მიუხედავად იმისა,

რომ იარაღით მოიპოვა. აგამემნონმა კი საყვარელი არსება გამოსტაცა (IX, 340 და შმდ.).

მაგრამ აქილევისსათვის რომ აგამემნონის საქციელი რისხვის არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთ მიზეზი, შეიძლება, საბაბიც იყო, ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოება: აგამემნონზე განრისხებული აქილევისი თავს იკავებს მისი მოკვლისაგან და შურისძიების სხვა გზას ირჩევს. გადის ბრძოლის ველიდან და ფაქტიურად ბერძენთა მოწინააღმდეგე ბანაკში გადადის. მას სურს ბერძენთა დამარცხება, სწადია არა მარტო აგამემნონის, არამედ აქაველთა მთელი მხედრობის განადგურება. სწორედ ამ მიზნით სთხოვს იგი ზევსს, რომ ღმერთთა მეუფემ ტროელებს გაამარჯვებინოს. შურისძიების ასეთი გზა მხოლოდ აქილევისის პელაზგობით შეიძლება აიხსნას. თავისთავად ცხადია, შურისმაძიებელი აქილევისი გულგრილი იქნებოდა ბერძენთა წარუმატებლობისადმი, პირიქით, მათი მარცხი გაახარებდა. განა შემთხვევითია, რომ პელიდი პატროკლეს ეუბნება: ისეც უქნიათ, ბერძნებს და ტროელებს ერთმანეთი გაუნადგურებიათ. ამიტომაც აქილევისი უმოქმედოდ არის, სანამ შესაძლებელია. ავტორი ერიდება დამარცხებული აქაველების ფონზე აქილევისის სიხარულის ჩვენებას და პელიდის ასამოქმედებლად ჰომეროსი მახაონის დაჭრის მომენტს იყენებს. დაიჭრება თუ არა მახაონი, ასპარეზზე გამორჩნდება შემფოთებული აქილევისი. პარისი დაჭრის მახაონს, შემდგომ ევრიპილოსს და მალე ავტორი გადადის იმის აღწერაზე, თუ როგორ უყურებს ბრძოლას აქილევისი. იგი ეუბნება პატროკლეს, წადი, ნახე, ვიღაც დაიჭრა, მგონი მახაონიაო (XI, 608 და შმდ.). აქილევისი არ დაინტერესებულა ბერძნების ბედით, მიუხედავად იმისა, რომ აგამემნონის გარდა მახაონის დაჭრამდე დიომედე და ოდისევსიც დაიჭრნენ. განა ისინი, თვით აქილევისის სიტყვით, აქაველთა შორის ყველაზე უფრო არ უყვარდა მას? (IX, 198-199). მაგრამ ეს სიტყვები მხოლოდ გულთბილი მასპინძლის სიტყვებია. ამიტომაც აქილევისს მათი დაჭრა კი არ აშფოთებს, არამედ მახაონისა. მახაონი კი მასთან ერთად არის პელაზგებზე სიაში. აქილევისის მეგობრის პატროკლეს აქაველთა ბანაკში დაბრუნების მიზეზი მაინც და მაინც პელაზგი მახაონი გახდა. ეს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება შემთხვევითობად მივიჩნიოთ.

პატროკლე მიდის ბერძენთა ბანაკში და აქ მას ნესტორი მიმართავს: რატომ აინტერესებს გმირ აქილევისს აქაველთა ამბავი? განა მან იცის, რომ დაჭრილნი არიან დიომედე, ოდისევსი, აგამემნონი... მაგრამ „მძლავრი პელიდი როდილა სწუნს აქაველებზე!“ (XI, 664).

პატროკლე ბერძენთა ბანაკში ყოფნისას შეხედება დაჭრილ ევრიპილოსს. საშინელ სიბრალულს განიცდის მისდამი. ევრიპილოსი ევედრება, ხომ იცი, მკურნალი მახაონი დაჭრილია და შენ მიაქიმე, შენ ხომ ეგ ხელობა აქილევისისგან გისწავლიაო. პატროკლეს აქილევისთან ერქარება, მაგრამ უპატრონოდ ვერც ევრიპილოსს სტოვებს (XI, 840). ევრიპილოსიც პელაზგია და პატროკლეს შესტკივა მასზე გული. განა შემთხვევითია, რომ პატროკლეს მისვლა ბერძენთა ბანაკში პელაზგი მახაონის მიზეზით მოხდა და მას, ბანაკში მისულს, სააქიმოდ სწორედ პელაზგი ევრიპილოსი შეხვდა? პოეტმა იცის, თუ რამ შეიძლება უფრო მოუღბოს გული აქილევისს და მის მეგობარს: ამიტომ, იგი შეახვედრებს პატროკლეს თვისტომებთან, რომ უნიც ბერძენთა მხედრობაში იყვნენ

დარჩენილნი და დამარცხების სიმძიმესაც იწვნევდნენ. პატროკლე გადაწყვეტს წავიდეს აქილევსთან, იქნებ ომში ჩასაბმელად დაიყოლიოს. საშინელ დღეში არიან ბერძნები, ტროელებმა უკვე აიღეს პელაზგი პროტესილაოსის გემი... როცა აქილევსი ნებას დართავს პატროკლეს, რომ მან მიიღოს ბრძოლაში მონაწილეობა, პატროკლეც, ბუნებრივია, ბრძოლას იწყებს პროტესილაოსის გემთან.

ჩვენ დავრწმუნდით, თუ რაოდენ ძლიერია აქილევსის რისხვა, გმირი საქმით ამტკიცებს თავის სიტყვას. ბერძენთა გაერთიანებული ლაშქრის ბედი მას არ ედარდება, მხოლოდ თვისტომთა ხვედრი აწუხებს. რატომ ბრუნდება აქილევსი ბერძნების ბანაკში? ვანა იმიტომ, რომ აგამემნონმა აღიარა საბედისწერო შეცდომა, უთვალავი საზღაური მიუძღვნა და ბერძენთა მხედართმთავარმა აქილევსის წინაშე თავი დაიმცირა? აქილევსის რისხვა ბერძნების მიმართ შეიცვალა შურისძიების გრძნობით პატროკლეს დალუპვის გამო. პატროკლეს სიკვდილი იყო ბერძენთა ბანაკში აქილევსის დაბრუნების ერთადერთი საშუალება. სწორედ ამიტომაც, როცა აქილევსმა ლოცვით მიმართა ზევსს და სთხოვა, რომ პატროკლესთვის სახელი მოეხვეჭა და მირმიდონელთა ბანაკში უვნებელი დაებრუნებინა, ღრუბელთუფალმა მხოლოდ თხოვნის ერთი ნაწილი შეუსრულა: პატროკლე უნდა მომკვდარიყო, რომ აქილევსი ბერძენთა მხედრობას დაბრუნებოდა. ამიტომაც ზევსი წინასწარ ეუბნება პერას: ტროელები ბერძნებს ხომალდებთან მიიმწყვდევენ, ამ დროს ისინი აქილევსის გემებსაც შეეხებიან, აქილევსი ბრძოლაში გაუშვებს პატროკლეს, მას კი მოკლავს ჰექტორით (XV, 60 და შმდ.). თუმცა პოემაში ნათლად არ ჩანს, რომ ტროელებს თავდასხმა ნოწყოთ აქილევსის რომელიმე გემზე, მაგრამ ზევსის სიტყვა იმითაა საყურადღებო, რომ ცხადყოფს აქილევსის რაზმის ბრძოლაში ჩაბმის ნამდვილ მიზეზს — თავდაცვის საჭიროებას, სწორედ ამიტომ ადარებს პომეროსი მირმიდონელთა საომრად გასვლას ბუდეებიდან კრაზანების გამოცვენას, როცა ბავშვებისგან გაღიზიანებულ მწერებს უნებურად შეაშფოთებს შემთხვევით გამვლელი მგზავრი (XVI, 275 და შმდ.).

ბრძოლით გართულ პატროკლეს ავიწყდება აქილევსის დარიგება, რომ ილიონის ზღუდემდე არ გადავებოდა მტერს და დანგრევი მიზნით სამჯერ თავს ესხმის ქალაქს, მაგრამ ღმერთი აპოლონი სამჯერვე უკუაქცევს, ხოლო მეოთხე შეტევის დროს აფრთხილებს: მამაცო პატროკლე უკან დაიხიე, შენი ხვედრი არ არის ტროის დაქცევა. არც აქილევსისაჲ (XVI, 707 და შმდ.). ილიონის ზღუდესთან პატროკლეს ჰკლავს ჰექტორი

შესანიშნავად არის აღწერილი პატროკლეს გლოვის სცენები. აქილევსი დასტირის დალუპულ პეგობარს, ნაცარს აყრის თავზე, ტირიან ტყვე ქალაქი, თეტისი, ზღვის ნიძფები. თეტისი მიმართავს მგლოვიარე ვაჟს: რატომ ტირი, ზევსმა ხომ ყველაფერი აგისრულა, რაცა სთხოვეო (თეტისი გულისხმობს იმას, რომ ზევსმა ყველაფერი გააკეთა, რათა ბერძნებს მოენანიებინათ თავიანთი შეცდომა). მაგრამ აქილევსისთვის ფასი აღარა აქვს თავმოყვარეობის დაკმაყოფილებას, რაკი პატროკლე დაკარგა. თეტისი აფრთხილებს — პატროკლეს სისხლის აღებას შენი სიკვდილიც მოჰყვებაო. აქილევსს ეს არ აშინებს, მისთვის სიცოცხლეს ფასი არა აქვს, თუ მეგობრის სისხლი არ აიღო. ამისთვის კი ერთადერთი გზაა: იგი უნდა შეურიგდეს აგამემნონს,

ბერძნებს, მათთან ერთად კვლავ შეებას ჰქვტორს. აქილევსი ბრუნდება ბერძენთა ბანაკში და წარმოთქვამს სიტყვას, სადაც აღნიშნავს: ნეტავ რატომ არტემიძმა ისრით არ განგმირა ის ქალი, ვისთვისაც ჩვენ წავიკიდეთ და ესოღენი უბედურება მოვუტანეთ დანაელთ, ახლა მე უარს ვამბობ ჩემს რისხვაზეო: „რისხვას ჩავიხშობთ, თუ მოითხოვს საჭიროება“ (XVIII, 113).

ამ სიტყვაში საყურადღებოა ორი მომენტი. ჯერ ერთი, აქილევსის სიტყვაში ჩანს, რომ მას, წინააღმდეგ მის მიერ IX ქებაში აგამემნონის მოციქულთაღმი ნათქვამი აზრისა, არც ისე ჰყვარებია ბრისეისი, რომ მისთვის მთელი გაერთიანებული მხედრობა გაეწირა და მეორეც: გმირი არ ახსენებს ბერძნებთან დაბრუნების ნამდვილ მიზეზს, მაგრამ ეს მიზეზი მაინც ვამოსჭვივის ჩვენს მიერ ციტირებულ სიტყვებში, კერძოდ, სიტყვაში — „საჭიროება, აუცილებლობა“ (ἀνάγκη). ბერძენთა ბანაკში აქილევსის დაბრუნების ერთადერთი მიზეზი რომ პატროკლესთვის შურისძიებაა, ამას გვაფიქრებინებს აგრეთვე შემდეგი გარემოება: აგამემნონი აქილევსს მიმართავს სიტყვით, სადაც იგი თავის შეცდომას აღიარებს და სთხოვს პიიღოს ვჰირმა შერიგების აღსანიშნავად საჩუქრები (XIX, 140 და შმდ.). აქილევსი კი გულგრილად ხვდება ამას და უპასუხებს: აგამემნონ, შენ შეგიძლია ეს საჩუქრები მომცე ან დაიტოვო, შენი ნებაა. ახლა კი სჯობია ბროლაზე ვიფიქროთ; დროს ამოდ რად ვკარგავთო (XIX, 145 და შმდ.). საუბარში ჩაერევა ოდისევსი. იგი ამბობს, რომ ჯარი დამშეულია და დაღლილი, ბროლას ვერ შეძლებს. ამიტომ, დაე, აქვე, ყველას წინაშე, ჩამოთვალოს აგამემნონმა საჩუქრები და ფიცი დადოს, რომ ბრისეისს არ შეხებიაო. აგამემნონი სიხარულით იღებს ოდისევსის წინადადებას, მაგრამ აქილევსი კვლავ უარზეა. შემდეგ ვიფიქროთ ამისთანებზე, მაშინ, როცა მეგობარი მეყდარი მისვენია, ფიქრი არაფერზე შემიძლიაო (XIX, 200 და შმდ.). აქილევსს მხოლოდ შურისძიების გრძნობა ასულდგმულებს, მისთვის ამქვეყნიურს სხვას არაფერია აქვს ფასი, მაგრამ იძულებულია თავი შეიკავოს, ოდისევსის ნებას დაჰყვეს. რა არის ეს, მხოლოდ აქილევსის მოუთმენლობა და ბერძენთა სიჯიუტე? არა, რა თქმა უნდა. მთავარია, მოხდეს აქილევსისა და აგამემნონის შერიგების ფიქსაცია. ამას მომავალში დიდი მნიშვნელობა აქვს. პირდაპირ საერთო მტერთან ბროლის დაწყება ჯერ კიდევ არ ნიშნავს შერიგებას. შუღლის მიზეზი მოუხსნელი რჩება. აქილევსს შერიგება არ აინტერესობს. ბერძენი კი ბროლაზე უარს ამბობენ, სანამ შერიგების რიტუალი არ შესრულდება. ბოლოს აქილევსი რწმუნდება, რომ სხვა გამოსავალი არ არის და ბედს ურიგდება. აგამემნონი ფიცს დებს. აქილევსი კი მიმართავს ზევსს: აგამემნონს ჩემს უნებურად არ წაუგვრია ბრისეისი, ეს შენ ჩამოაგდე ჩვენს შორის განხეთქილება, ალბათ, ვსურდა აქაელებსთვის უბედურება მოგეტანაო (XIX, 270 და შმდ.). ჩვენ კი ვიცით, რომ ზევსი სინამდვილეში არაფერ შუაშია. „ილიადაში“ არ ჩანს, რომ აგამემნონსა და აქილევსს შორის უთანხმოება ზევსს ჩამოეგდოს. ეს ერთგვარი წინააღმდეგობა იმით არის გამოწვეული, რომ აქილევსი კიდევ ერთხელ იქცევა დიპლომატიურად: სურს დაფაროს რისხვის ნამდვილი მიზეზი, მისი სიმძიმე და დანაშაული ზევსს გადააბრალოს. ეს მიღებული ხერხია ჰომეროსის გმირებისთვის. „ოდისეა-

ში“ ერთგან პომეროსი თვით ზევსს ათქმევინებს: „ვაგლახი როგორ გვამტყუნებენ კაცნი, თითქოს ჩვენ ვიყოთ ყოველგვარი ბოროტების სათავე ნამდვილად ხომ თავიანთი უმეტერების გამო ატყდებათ თავს ხეედრით არმიგებული უბედურება“.¹² სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „ილიადაში“ აქილეუსსა და აგამემნონს შორის დავა თითქოს ზევსის ნებითაა ამტყდარი: „ზევისს ნება აღსრულდა მაშინ...“ (I, 5). მაგრამ პოემაში არსად არ არის ეს ლიტონი განცხადება მოტივირებული. თუ ზევსს ტროელებისთვის მდგომარეობის შემსუბუქება უნდოდა ამით, რატომ VIII ქებამდე აღარ დაეხმარა მათ, მით უმეტეს, რომ თეტისისთვის პირობა I ქებაშივე ქონდა მიცემული?

პომეროსს შესანიშნავად აქვს აღწერილი აქილეუსის ბრძოლის სცენები. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ბრძოლა მდინარე სკამანდროსის პირას. იმდენად ძლიერია აქილეუსის გულში შურისძიების გრძნობა, რომ ზევსს ეშინია ტროა აქილეუსმა არ დაღწეოსო და ღმერთებს აგზავნის ბრძოლის ველზე (XX, 30). აქილეუსს შემოეყრება პრიამოსის ძე ლიკაონი, რომელიც ოდესღაც ტყვედ ჰყოლია. ლიკაონი მუხლებში ჩაუვარდება აქილეუსს და შებრალებას სთხოვს — ნუ მომკლავ, მეთორმეტე დღეა მშობლიურ ტროაში ჩამოვედიო. მაგრამ შეუბრალებელია შურისმაძიებელი აქილეუსი: სანამ პატროკლე ცოცხალი იყო, მას ზოგჯერ სიამოვნებდა ტროელების შებრალება, ახლა კი ნურავინ მოელის შეწყალებას (XXI, 100-105). ფეხმარდი აქილეუსი იმ დღეს ტროას აიღებდა, მაგრამ ღმერთმა აპოლონმა შეაცდინა გმირი და ქალაქი გადარჩა. საერთოდ კი აქილეუსი დიდბუნებოვანი ჩანს ამას ამტიკიციებს XXIV ქება. შერიგების შემდეგ აქილეუსი ეკითხება პრიამოსს — რამდენ ხანს განაგრძობ ჰექტორის გლოვას, ამ ხნის განმავლობაში მე ბრძოლისაგან თავს შევიკავებო. იგი პირდება მოხუცს, რომ 12 დღე მონაწილეობას არ მიიღებს ბრძოლაში. აქილეუსმა უკვე შური იძია, მოკლა პატროკლეს მკვლელი და აღარ მიაჩნია აუცილებლად ტროელების განადგურება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ, როგორც ჩანს, აგამემნონი ბერძენთა მხედართმთავარი, ისე არ მოიქცეოდა, როგორც მოიქცა მირმიდონელი აქილეუსი. პერმესი აფრთხილებს აქილეუსის კარავში მყოფ პრიამოსს: აგამემნონმა არ შეგნიშნოს, თორემ დაგატყვევებს და ტროელებისგან საზღაურს მოითხოვს შენი განთავისუფლებისთვისო (XXIV, 697-698).

XXIII ქებაში ნათლად იგრძნობა, რომ პატროკლეს უშუალო ჭირისუფლები მირმიდონელები არიან, ისინი მტკივნეულად განიცდიან გმირის დაღუპვას, ბერძნები კი აამძიმრისთვის მოდიან მათთან.

ამავე ქებაში არის აღწერილი პატროკლეს ხსოვნისადმი მიძღვნილი სპორტული შეჯიბრებანი. პელაზგი ადმეტოსის ვაჟს ევმელოსს დოღში ხიფათი შეემთხვევა და ფინიშზე ეტლით ბოლოს მივა. აქილეუსს სურს მას მეორე ჯილდო მისცეს. მაგრამ აღშფოთდება ნესტორის ვაჟი ანტილოქოსი. თუ გინდა, რომ მან საჩუქარი მიიღოს, შენ თვითონ მიეცა. საკუთარი ნადავ-

¹² პომეროსი, ოდისეა, თარგმ. ზ. კიკნაძისა და თ. ჩხენკელისა, თბ., 1975, გვ. 12, შდრ. დედანი — 1, 32 და შმდ.

ლიდანო (XXIII, 645 და შმდ.), თუმცა, გამარჯვებულთაჟიკის გათვალისწინებული ყველა ჯილდო თვით აქილევსის საგანძურთან გაიცემოდა. მეგობრობის დამადასტურებელი მრავალი ფაქტის გვერდით, რომელთაც ვხვდებით ცალკე აქაველთა და ცალკე მირმიდონელ მეზობელთა შორის, ეს კიდევ ერთი ფაქტია, სხვადასხვა ტომის წარმომადგენელთა უთანხმოების მაჩვენებელი.

„ილიადაში“ აისახა მცირე აზიის სანაპიროთა ადრეული კოლონიზაციის პირობებში ბერძნული და წინაბერძნული მოსახლეობის ქიშპობა. ამკარად ჩანს ამ მოძრაობაში პელაზგების დაქვემდებარებული და მეორეხარისხოვანი როლი, რასაც ისინი ჯერ კიდევ არ ურიგდებიან. ჰომეროსის ეპოქაში პელაზგები ჯერ კიდევ იყვნენ ცნობილი როგორც არაბერძნული ტომი და მათ საკუთარი, პანელინურისგან განსხვავებული, ინტერესები ჰქონდათ. ჰომეროსის პელაზგები ჩრდილო საბერძნეთის მხარის — თესალიის მკვიდრნი არიან, სწორედ იმ თესალიისა, სადაც ჰეროდოტეს დროსაც „ბარბაროსულ“, ე. ი. არაბერძნულ ენაზე ლაპარაკობდნენ.

პელაზგი გმირის რისხვის თემაზე პირველი ბერძნული ნაწარმოების შექმნა გვაფიქრებინებს, რომ ბერძნული ეპოსის შექმნაში წინაბერძნულ მოსახლეობას გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი. „ილიადაში“ შეინიშნება თქმულებათა ორი ფენა. ერთი ბერძნულ სამყაროს უკავშირდება, მეორე კი წინაბერძნული მოსახლეობის წიაღიდან უნდა მომდინარეობდეს. ამ მხრივ საყურადღებოა ს. ყაუხჩიშვილის შემდეგი სიტყვები: „პირველი ბერძნული ეპიკური ნაწარმოები ამუშავებს თემას არა ბერძენი, არამედ წინაბერძნული მოსახლეობის ერთ-ერთი მეფის, აქილევსის თავგადასავალზე. თუ ეს ასეა, მაშ ბერძნებს არა მარტო სალექსო ზომა (დაქტილური ჰეგზამეტრი) შეუთვისებიათ მათზე ადრე ამ ტერიტორიაზე მოხინაძრე მოსახლეობისაგან, არამედ თვით ეპიკური ჟანრიც, ადგილობრივი გმირის შესახებ არსებული სიმღერებიც დახვედრიათ“.¹³

ჩვენ ჰომეროსის ეპოსთან დაკავშირებულ მხოლოდ რამდენიმე საკითხს შევხებით. ცალკე მსჯელობის საგანია ისეთი პრობლემები, როგორცაა ჰომეროსის ლექსთწყობის საკითხი, ჰომეროსის პოემების მიმართება ისტორიასთან, ჰომეროსი და მსოფლიო ლიტერატურა და ა. შ. გაკვრით მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰომეროსის პოემებს, კერძოდ, „ილიადას“ ძველ საქართველოშიც კარგად იცნობდნენ. არსებობს მოსაზრება, რომ, თითქოს, „ილიადა“ ჩვენში ადრევე უნდა ეთარგმნათ. სამწუხაროდ, ამის დამადასტურებელი საბუთები არ გვაქვს, გარდა იმისა, რომ ჩვენამდე მოუღწევია ქართულად თარგმნილ „ილიადის“ რამდენსამე ტაეპს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ციტატები გვხვდება ბერძნულიდან ნათარგმნ თხზულებებში და, შესაძლოა, გადმოღებული იყოს იმავე თხზულებებთან ერთად. პოეტ მ. გურიელს უცდია „ილიადის“ თარგმნა და გამოუქვეყნებია კიდევ ჰირველი ქება. ფრანგულიდან ათმარცვლიანი ლექსით მთლიანად უთარგმნია პოემა პ. მირიანაშვილს (არ არის გამოქვეყნებული). წიგნში „ელაღის მუზა“

¹³ ს. ყაუხჩიშვილი, მით. ნაშრ., გვ. 88.

(1963 წ.) და აღმანახ „საუნჯეში“ (1977 წ.) გამოქვეყნდა ჩვენს მიერ თარგმნილი რამდენიმე ნაწყვეტი „ილიადიდან“. ახლახან ქართველმა მკითხველმა მიიღო „ოდისეის“ პროზაული თარგმანი, შესრულებული ზურაბ კიკნაძისა და თამაზ ჩხენკელის მიერ. დღეს კი მკითხველთა სამსჯავროზეა „ილიადის“ სრული პოეტური თარგმანი, რომელიც შესრულებულია ბერძნული ტექსტის დინდორფისეული გამოცემიდან (ლაიფციგი, 1914, 1915) და ითვალისწინებს სხვა უახლეს გამოცემებსაც.

რომან მიმინოშვილი

ილიკაძე

ქება პირველი

ჯამიანობა. რისხვა

რისხვას, ღმერთქალო, უგალოზე აქილევსისა,
აქაველთ თავს რომ დაატეხა ვნება ულევით!
გმირთა სულელები გადახვეწა ქვეშეთის მხარეს,
გვამნი დაყარა ყვავ-ყორანთა დასაყვივარად
5 და ძაღლთა წილად... ზევსის ნება მაშინ აღსრულდა,
მტრად მოეკიდნენ ოდეს ერთურთს მამაცთა მეფე
აგამემნონ და აქილევსი, ღმერთის სადარი.

რომელმა ღმერთმა გააღვივა ნეტავი შუღლი?
— ლეტოს და ზევსის ძემ, მეფეზე განრისხებულმა.
10 სასტიკი ჭირი ჯარს შეჰყარა, მუსრი გაავლო:
რად მოეპყრაო უპატიოდ ქურუმს ატრიდი!
მოსულა ქრისე აქაველთა მალემსრბოლ გემთან,
სურდა ასული გამოეხსნა ურიცხვი ძღვენით.
ხელთ ჰქონდა ოქროს კვერთხი უფალ აპოლონისა,
15 თავსაკრიანი, აქაველებს ევედრებოდა,
ყველაზე მეტად — ორსავ ატრიდს, სპათა მესვეურთ:

„სპანო საბარკულმშვენიერნო! ატრევსის ძენო!
ოლიმპოს ღმერთნი შეგეწიონ, რომ პრიამოსის
ციხე დალევით და მშვიდობით ეწვიოთ მამულს!
20 ოლონდ ასული დამიბრუნეთ, ძღვენი ინებეთ,
პატივი დასდეთ შორსმოისარ უფალ აპოლონს!“

ერთხმად გაისმა აქაველთა მძლავრი ყიჟინა —
მოგვს პატივი ვცეთ, მივიღოთო ძღვენიც მდიდარი.

მხოლოდ ატრიდმა გულთან ახლოს არ გაიკარა
25 მამის ვედრება, მოიშორა მრისხანე სიტყვით:
„გასწი, ბებერო! ხომალდებთან აღარ გიხილო!
ფეხს ნუ აითრევ და ნურასდროს ნურც მობრუნდები,
თორემ ვერ გიხსნის ვერც კვერთხი და ვერც ღვთის
გვირგვინი!

ქალს ვერ გავუშვებ, ტყვეობაში შემაბერდება,
30 არგოსში წავალთ, მოვაშორებ მშობლიურ მხარეს,
რომ სარეცელიც დამიმწვენოს სელის მბეჭველმა.
ნულარ მარისხებ, გამეცალე ცოცხალი თავით!“

ასე თქვა, თრთოლვით შეისმინა სიტყვა მოხუცმა.
უხმოდ გაუყვა მრავალხმიან ზღვის სანაპიროს...
35 გასცილდა გემებს.

შეევედრა გულამომჯდარი
ლამაზთმიანი ლეტოს პირმშოს უფალ აპოლონს:
„მიხსენ მე, ვერცხლისმშვილდოსანო, ქრისეს ქომაგო,
კილას მფარველო, მძლე მეუფევე ტენედოსისა,
სმინთევსო!

თუკი შემიმკია ტაძარი შენი,
40 თუ შემიწირავს საზვარაკო მსუყე ბარკალი
ჩიხვთა და ხართა, შემეწიე!
რაც ცრემლი ვღვარე,
ბასრი ისრებით აზღვევინე დანაელთ ლაშქარს!“

ასე ღალად-ყო და სხივოსან აპოლონს ესმა.
გული ირისხა, გადმოიჭრა ოლიმპოს მთიდან,
45 ბეჭზე კაპარტი მოსალტული, მშვალდი მოეგდო
და ფრთოსან ისრებს აწივლებდა სისწრაფე სრბოლის, —
ღმერთი მალალი მოღელავდა პირლამიანი.

გემებთან ახლოს ჩაიმუხლა, სტყორცნა ისარი,
ზარისმცემელი ვერცხლის მშვილდი ააზუზუნა.
50 მუსრი გაავლო მაწანწალა ძაღლებს, სახედრებს,
შემდეგ სიკვდილის მთესველ ისრით მისწვდა მხედრობას.
გვამთა შთანმთქმელი კოცონები დააგზნო ყველგან.

ცხრა დღე და ღამე ღვთის ისარი მუსრავედა ლაშქარს.
მეთაე დღეს კი კრებად უხმო ხალხს აქილეესმა.

- 55 ხელთებრა ჰერამ შთააგონა ვაჟკაცს ეს აზრი,
ქალღმერთს დაჩაელთ სპათა ხილვით გული ეწვოდა.
ოდეს აქაველთ ხოიყარეს კრებაზე თავი,
ადგა ფეხმარდი აქილეესი და ასე ბრძანა:

- „აგრე მგონია, მრავალტანჯულთ გემართებს, მეფეო,
60 შინ გავეშუროთ, თუ გეწაღია. გავექცეთ სიკვდილს;
აქაველთ მუსრავეს სნეულება, სასტიკი ომი!..
ქურუმს მივმართოთ, ან მისანა? აგვისსნას ეგებ —
სიზმრის ამხსნელმა (სიზმარსაც ხომ ზევსი მოგვივლენს) —
აპოლონ ღმერთი ასე რისთვის შემოგვეწყრომი?“
65 აღთქმის გატეხამ განარისხა, თუ ითხოვს ჩვენგან
ასზვარაკეულს და საზორავს ვერძთა და ჭიხვთა,
რომ შეგვეწიოს, აგვაშოროს იავარყოფა!“

- ასე თქვა. მაშინ თესტორის ძე კალქანტი ადგა,
ფრთოსან ჩიტებზე მიხიბაობით სახელგანთქმული,
70 წარსულის, აწმყოს და ნყოფადის საქმეთა მცოდნე.
ილიონისკენ გემებს იგი გამოსძლოლია,
აპოლონისგან რაკი ერგო მისნობის ნიჭი.
ახლაც კეთილი აზრით უთხრა გმირს თესტორიდმა:
75 „ო, აქილეესო, ღვთის რჩეულო, გიბრძანებია
აგისსნათ რისხვა შორსმმუსვრელი აპოლონისა.
ნე თანახმა ვარ, ოლონდ შენგან ველი ზენაარს:
შემფიცე, გმირო, რომ დამიცავ სიტყვით თუ საქმით!
გშიშობ — ვაი თუ მხოლოდ მეფე გავაგულისო,
80 არგიველთა და აქაველთა ლაშქრის უფალი.
მდაბიოს მართებს არ აღაგზნოს სახმილი რისხვის,
ძრწოდეს, თუ სცოდა!

მეფე ბოლმას თავდაპირველად
გულში ინახავს, ჯავრს სანამდის არ ამოიყრის...
მაშ, თვით განსაჯე, შეძლებ იყო შემწე, შემხიდე?“

- 85 ფეხმარდმა გმირმა აქილეესმა მიუგო კალქანტს:
„ღვთის ნება გვამცნე გაბედულად, რაც უნდა იყოს!

ვფიცავ აბლონს, ზევსის რჩეულს, რომელსაც, კალქანტ,
შენც ჰფიცავ ხოლმე, როს დანაელთ ღვთის ნებას

ამცნობ, —

სანამდის პირში სული მიდგას და ვჭკვრეტ მზის ნათელს,
90 დანაელთ შორის შენზე ვერვინ ხელს ვერ შემართავს!
თუნდ იყოს იგი თვით მრისხანე აგამემნონი,
მთელს მხედრობაში ზვიადობით აღმატებული“.

მაშინ თამამად თქვა მისანმა სწორუბოვარმა:

„ალთქმას და ზვარაკს არ მოითხოვს! ღმერთი შემოგვწყრა,
95 რაკილა ქრისე დაუმიცირა აგამემნონმა,
ასული აღარ დაუბრუნა, ძღვენიც უარყო.
არვის დაგვინდობს ამისათვის შორსმოისარი
და არ მოიშლის არგიველთა განადგურებას,
სანამ არ მივგვრით მშობელ მამას პირმშოს შავთვალას,
100 და ჰეკატომბეს არ შევწირავთ კუნძულ ქრისეზე.
მხოლოდ მაშინლა დამშვიდდება ღმერთი მრისხანე“.
ეს თქვა თუ არა, აგამემნონ ზეწამოიჭრა —
სივრცეთმპყრობელი ატრევსის ძე განრისხებული.
უგლიმი გული აღვსებოდა ბოღმით და ბრაზით,
აალებული თვალებიდან სულ ცეცხლსა ყრიდა.
105 კალქანტს შეხედა ჯვარძლიანად და უთხრა ასე:

„შე ყიამყრალო! სასიკეთო რომ არ დაგცდება,
და გეამება ხალხს აუგი აუწყო მხოლოდ!

არასდროს გითქვამს სიტყვა გულის მამებელი.
და აი ახლაც დანაელებს ამცნობ ღვთის ნებას,
110 თითქოს ხალხს ღმერთი შორსმმუსვრელი განრისხებია,
რომ არ მივიღე ქრისეისის გამოსასყიდი!
როგორ მეწადა ეს გოგონა შინა მყოლოდა,
ლამის მერჩივნა კლიტემნესტრას, ჩემს შესართველად
ქალწულად მოსულს! ქრისეს ასულს ზომ ვერვინ სჯობნის
115 ვერცა მშვენებით, ვერც კონებით და ვერცა საქმით.
მაგრამ მაინც ვთმობ, რაკი არ ჩანს ხსნა არსაიდან,
ვინძლო მხედრობას ავაცილო გაცამტვერება!

ოღონდ სანაცვლოდ სხვა საუნჯე უნდა მომართვათ,
საკადრისია არგვიელთა შორის მე დავრჩე
120 მთლად გაძარცვული? თქვენ ხომ ხედავთ, ვთმობ, რაც
მეზადა!“

მაშინ მიუგო აქილევსმა ღმერთის სადარძა:
„ატრევსის ძეო, თვალხარბო და გაუმაძღარო!
აქაველ მოყმეთ დიდსულოვანთ რა შეუძლიათ
მოგართვან?

განა აქვთ საერთო საუნჯე საღმე?
125 ციხე-ქალაქთა ნანგრევებში განძი გავყავით,
და რაც გავყავით, ხელყოფა ხომ არ გეკადრება.
სჯობს ღვთის გულისთვის შენი დათმე და აქაველნი
სამგზის, ოთხწილად მაგ დანაქარგს გადაგიხდიან,
როს მტკიცე ტროას დაანგრევენ ზევსის შეწევნით!

130 მყისვე მიუგო მძლე ატრიდმა აგამემნონმა:
„უბადლო კი ხარ, აქილევსო, ღმერთის სადარო,
მაგრამ ნუ ფლიდობ, ასე უცხად თვალს ვერ ამიხვევ.
შენ არხეინად გსურს განძს ფლობდე, მე კი დამტოვო
უაზნოქმნილი!

დაბრუნებას მირჩევ ქალისა?

135 მაშინ აქაველთ დიდსულოვანთ სამაგიეროდ
შესაფერისი სხვა საუნჯე უნდა მიბოძონ!
თუ არ ინებებთ, თვითონ მოვალ, დავეუფლები
სიმდიდრეს შენსას, აიანტის, ოდისევსისა,
ვაი — უბედურს, ვისაც რისხვით თავს დაეატყდები!

140 მაგრამ ამაზე შემდეგ ვიტყვით, ახლა კი დროა
შავმკერდა გემი ჩავაცუროთ ღვთაებრივ ზღვაში,
მძლე მეხოფურნი შევარჩიოთ, დავსხათ ზვარაკი,
ტურფალაწვება ქრისეისი დავსვათ გემბანზე.
ხომალდს წარუძღვეს მჭევრმეტყველი ვინმე რჩეული —

145 იდომენევსი, აიანტი ან ოდისევსი,
ან თვითონ შენა, პელევსის ძეგ უმამაცესო;
ზორვა ვყოთ, ვინძლო შეგვიწყალოს შორსმოისარმა!“

- ცერად გახედა აქილევსმა, მრისხანედ უთხრა:
 „ეჰ, შე ურცხვობის საბუღარო, პატრივმოყვარევ!
- 150 ვინლა ისურვებს შეასრულოს ბრძანება შენი?
 ვინლა შეებმის შეუპოვრად ტროელთა ლაშქარს?
 განა მოვსულვარ, რომ ტროელებს, შუბის მტყორცნელებს
 შევერკინებოდი? მე არ მახსოვს მათგან ზიანი:
 ცხენთა რემა და ჯოგი როდი გაუტაცნიათ
- 155 უხვნაყოფიან და ხალხმრავალ ფთიიდან ტროელთ,
 ჭეჭილი როდი უთელიათ! გვაშორიშორებს
 ჩრდილის დამფენი მთაგრეხილი, ზღვა — მოგუგუნე.
 შენდა შემხიდედ შევიკრიბეთ, შენს სახეიროდ,
 მენელაოსის ნამუსისთვის ვიბრძვით, პირძაღლო!
- 160 აინუნშიაც არას აგდებ, მეც მემუქრები,
 ჩემი ნადავლის მიტაცებას იქადი კიდევ,
 აქაველებმა რომ მომიძღვნეს ბრძოლით დაქანტულს.
 მე ანაკლები სულ მხვდებოდა შენზე ნაკლები,
 ოდეს ვიკლებდით აყვავებულ ციხე-ქალაქებს.
- 165 თუმც შერკინების სისასტიკე ჩემი მკლავების
 ხარჯზე წყდებოდა, როს გაყოფა დაიწყებოდა,
 შენ უდიდესი წილი გქონდა, მე — უმცირესი...
 უხმოდ ბანაკში ვბრუნდებოდი ბრძოლით მაშვრალი.
 ახლა ფთიაში მივიჩქარი, ო, რა ტკილია
- 170 შინ დაბრუნება მალემსრბოლი გემებით! კმარა —
 შენგან შერცხვენილს არ მსურს შენი განძი ვამრავლო!..“

მყისვე მიუგო თემისთავმა აგამემნონმა:

- „თავიდან მომწყდი, გაიქეცი, თუ გული გერჩის!
 და არ გეგონოს, რომ ვერ დაგთმობ! ღირსებას ჩემსას
 სხვაც ჰყავს ქომაგი, უწინარეს — ზევსი დიადი!
- 175 ყველაზე მეტად შენა მძულხარ ბელადთა შორის!
 შენ მხოლოდ ომი გიხარია, სისხლისღვრა გატკობს,
 თუმც ძალა გამკობს, ეგეც ღვთისგან მოგნიჭებია!
 შენი გემებით გამეცალე! მხედრობას შენსას —
- 180 მირმიდონელთა ტომს უმეფე! არად მიღირხარ!
 რა ბედენაა რისხვა შენი! გიქადი თვითონ:
 რაკი აპოლონს ქრისეისის გაშვება უთქვამს,

დავთმობ! ჩემივე გემით წავა, ჩემს რაზმს ვაახლებ...

185 თვით კი აწ მნებავს ბრისეისი ლამაზლაწვება
შენ გამოგტაცო, რომ შეიცნო, ამაყო კაცო,
ჩემი უფლების სისასტიკე! დე ყველა ძრწოდეს,
ვინცა ეცდება გამიტოლდეს და გამეჭიბროს!“

ასე თქვა. პელიდს მწუხარება მოჰგვარა ამით.
ფიქრით მი-და-მო ორ აზრს შუა კრთებოდა გული:

190 ან უნდა ეძრო ხმალი, თეძოს რომ ეხლებოდა,
დამხვდურს დასხმოდა, დაცაეკლა აგამემნონი,
ან დაეთრგუნა მრისხანება, გული დაეცხრო.
როცა ამ ფიქრით ემღვრეოდა სული, გონება,
საზარელ მახვილს იშიშვლებდა, ცით მოევლინა

195 ათენა ჰერას დავალებით: ღმერთს თეთრხელებას
თურმე ორივე მოყმის ბედით გული ეწვოდა.
ღმერთქალი გმირის ქერა კულულს ხელით შეეხო —
მისთვის საჩინო, სხვათათვის კი უჩინოქმნილი.
შეერთა აქილევს, უკუმიდგა, იცნო პალასი,

200 ათენას თვალნი შესაზარი ცეცხლით აენთო.
ქალღმერთს მიმართა აქილევსმა ფრთიანი სიტყვით:
„ფაროსან ზევსის პირმშოვ, მამცნე, რად მომევლინე,
აგამემნონის ვერაგობა გსურდა გენახა?
მითქვამს და ვიცი, რომ ნათქვამი ამისრულდება:

205 ამ თავხედობას გადაჰყვება ამპარტავანი!“

ფეხმარდ აქილევსს თვალმცეცხლია ათენამ უთხრა:
„ცით მოველ, რათა რისხვა დათმო, დაგვემორჩილო.
მე მომავლინა თეთრხელება ქალღმერთმა ჰერამ,
ორივე მოყმის ბედით გული ეწვის თანაბრად.

210 სჯობს შუღლს ერიდო, დაიმშვიდო მრისხანე გული,
სიტყვებით კენწლე, ხოლო მახვილს ნუ შეეხები.
მითქვამს და ვიცი, რომ ნათქვამი ამისრულდება:
მოვა დრო, სამჯერ უძვირფასეს ჯილდოს მიიღებ
დამცირებისთვის! დაშოშმინდი, დაგვემორჩილე!“

215 ქალღმერთს ფეხმარდმა აქილევსმა ასე მიუთხო:
„ვალად მმართველსო შევასრულო სურვილი თქვენი,

- რაც უნდა რისხვით ვმძვინვარებდე, დაგყვებით ნებას,
 ვინც ღმერთს მორჩილებს, მოწყალებას მისგანვე ელის“.
- მძლავრი მარჯვენა დააბჯინა ვადას ვერცხლისას,
 220 საზარი ხმალი კვლავ ჩააგო, ღმერთს დაუჯერა.
 ათენამ მყისვე მიაშურა ოლიმპოს მწვერვალს,
 ეგიოხ ზევსის სრა-სასახლეს და უკვდავ ღმერთებს.
 ხოლო პელიდმა კვლავ მიმართა განრისხებულმა
 ატრიდს — თემისთავს, გულში ბოღმა არ დასცხრომია:
- 225 „მშიშარავ, ირმისგულიანო, ძაღლისთვალებავ,
 მეძთერალევე, ლოთო! არ აგისხამს თორნ-მუზარადი
 და სანგარშიაც არასოდეს ჩასაფრებულხარ
 ლაშქართან ერთად, სიკვდილივით შიშს გგვრიდა ბრძოლა.
 რა სათქმელია, ბანაკში მყოფს არაფრად გიღირს
- 230 ომნაცად მებრძოლს გამოსტაცო მონაპოვარი!
 კაცთა შთანმთქმელო, ლაჩართ ზედა მეფობის ღირსო,
 ვაჰ, სხვა დროს ვინლა შეგარჩენდა მაგ თავხედობას!
 გეტყვი ჩემს სათქმელს და შეგფიცავ საფიცარს ჩემსას, —
 ამ კვერთხსა ვფიცავ, აწ რომ ველარ აიყრის ფოთლებს,
- 235 ან შტოებს, მთაში მოკვეთილი ერთხელვე ხიდან,
 არც იყვავილებს, რადგან მძიმე ბრინჯაოს ცულმა
 შტონი მოსხება და ფოთოლნი... დღეს ხელთ უპყრიათ
 აქაველთ ძეებს, კრინიონის წესთა დამცველებს...
 დე საწინდარად ექმნეს კვერთხი ზენაარს ჩემსას —
- 240 დრო მოვა, კვლავაც აქაველებს მოენატრებათ
 პელევსის შვილი. შენც ინანებ, როდესაც ლაშქარს
 ველარ დაიხსნი კაცთამჟღეტი ჰექტორის ხმლისგან.
 დაღუპვა გელით, სინანულით მჯიღს იცემ მკერდში,
 რადგან შენ დამთმე, შენ შერისხე უმამაცესი!“
- 245 ასე მიმართა პელევსის ძემ. ძირს დასცა კვერთხი
 ირგვლივ ოქროთი მოოჭვილი. თქვა და ჩამოჯდა.
 პირისპირ ჰყავდა აგამემნონ გააფთრებული.
 ნესტორმა ამოდ მოუბარმა, პილოსის მეფემ,
 გოლეულივით ტკბილი სიტყვით მიმართა მოყმეთ.
- 250 უკვე გამქრალა ქვეყნად მოკვდავთ ორი თაობა,

- მის დროს შობილი და პილოსში დასახლებული.
მესამე მოდგმას ხელმწიფობდა ახლა მოხუცი.
კეთილი გულით მიუბრუნდა თანამებრძოლებს:
„ღმერთო, აქაველთ მიწას დიდი ურვა დაატყდა,
255 გაიხარებენ პრიამე და პრიამეს ძენი,
ყველა ტროელი სიხარულით სულსაც აღივსებს,
თუ ყური მოჰკრა თქვენს ქიშპობას, დანაელთ შორის
სწორუპოვარნო ბრძოლის ველზე თუ საფიხვნოზე!
ნებას დამყევით, თქვენ ხომ ჩემზე უმრწემესნი ხართ!
- 260 ბევრი მიხილავს მამაცი და სვიანი გმირი
და ხშირად ტკბილი საუბარიც მქონია მათთან.
მაგრამ ვერც ვნახავ, არც მინახავ ვინმე სადარი
პერითოესი, გინდ დრიანტის ხალხის ბელადის,
ექსადიესი, კაინევისის, პოლიფემისა,
265 ეგეოსის ძის თესევსისა, უკვდავთა სწორის!..
აი, ვინ იყო მოკვდავთაგან დიდების ღირსი!
თვით უძლეველნი უძლიერესთ ძლევენენ სპილენძით,
ტოლს არ უდებდნენ მთის ურჩხულებს და ამარცხებდნენ.
მათ ვმეგობრობდი, როს განვშორდი პილოსის მხარეს,
270 აპიეს მიწას შორეულსა. თვითონ მიმიხმეს.
რაც ძალა მქონდა, მეც ბრძოლაში მხარს ვუმაგრებდი.
ვინ შეედრება დღეს იმ გმირებს ძალგულოვნებით,
ვინ გაუბედავს შერკინებას? მაგრამ ჩემს რჩევას
ყურად იღებდნენ, არც თქვენ გაწყენთ ნათათბირევი.
- 275 შენ, აგამემნონ, რაც არ უნდა ძლიერი იყო,
აქაველთ ჯილდოს — ლამაზ ასულს ნუ სტაკებ პელიდს.
და შენც აქილევსს, მოერიდე მასთან ქიშპობას!
არ ღირსებია ესოდენი დიდება არც ერთს
მეფეს სკიპტროსანს, ზევსის მიერ აღზევებულსა.
- 280 შენ განთქმული ხარ სინამაციოთ, გშობა ქალღმერთმა,
მაგრამ ის შენზე ძლიერია: უთვალავ ხალხს ფლობს.
გული იყუჩე, აგამემნონ, მე გთხოვ, მსცოვანი,
დაიცხრე რისხვა აქილევსზე, ყველა აქაველს
აღემატება, უძლეველი ბურჯი ბრძოლისა!“
- 285 უმაღ მიუგო მამაცო მეფემ აგამემნონმა:
„სამართლიანად. ვონივრულად ბრძანებ, მოხუცო!

მაგრამ ამ კაცმა აღზევება მოიწადინა,
სურს მბრძანებელად მოკლინოს ლაშქარში ყველას,
მე კი ფიქრადაც მორჩილება არ გამივლია!
290 განა მამაცად რომ უშვიათ უკვდავ ღვთაებებს,
იმიტომ აძლევს თავს უფლებას პირში მაგინოს?

სიტყვა მრისხანედ ჩამოართვა გმირმა ფეხმარდმა:
„მხდალად მიხმობენ და ლაჩარი ვიქნები მართლაც,
თუ შენს ბრძანებას უდრტვინველად დავემონები!
295 სხვისგან ელოდე მორჩილებას და არა ჩემგან!
აინუნშიაც არ ჩაეგდებ მე შენს ბრძანებას!
ერთს კიდევე გეტყვი და განსაჯე გულში, მეფეო:
ქალისთვის არც შენ, არც არავის შევებრძოლები —
ნება თქვენია, თქვენვე მიგაქვთ თქვენივე ჭილდო!
300 ოლონდ გახსოვდეს, ჩემს მალემსრბოლ, შავ ხომალდებზე
სხვას უნებართვოდ ველარაფერს ვერ ახლებ ხელსა!
თუ გული გერჩის, ერთი სინჯე, იხილოს ყველამ —
ეგ შენი შავი სისხლი შუბზე ვით დამელევნეთოს!“
ასე კენწლავდნენ ერთურთს გმირნი მხედართმთავარნი.
305 წამოიმართნენ, წამოშალეს აქაველთ კრება.
მირმიდონელთა გემებისკენ გამწყრალ აქილევსს
გაჰყვა ერთგული მენეტიდი და რაზმი მისი.
აგამემნონმა ჩააცურა ზღვაში ხომალდი,
ოცი მენიჩბე შეარჩია, დასხა ზვარაკი
310 და ქურუმ ქრისეს ქალიშვილი დასვა ხომალდზე.
გემს მიუძღოდა ოდისევსი, ჭკუაუღლევნი.
სწრაფად გასწიეს, სველ შარაზე გაფრინდა გემი.
ლაშქარს უბრძანა მხნე ატრიდმა — განწმენდილიყვენ.
აქაველთ მტვერი სხეულისა ზღვას გაატანეს.
315 აპოლონისთვის აარჩიეს შემდეგ ზვარაკი,
ჩიხვნი და ხბონი უნაყოფო ზღვის პირას დაწვეს,
აბოლქვილ კვამლით ცას აღწევდა მსხვერპლის სურნელი.
ასე იღვწოდნენ არგიველნი.

ატრიდს კი რისხვა
არ დასცხრომია და ახსოვდა, რაც დაიქადა.

- 320 მალე მოიხმო ევრიბატე და ტალთიბიოს,
მრისხანე მეფე თვის შიკრიკებს ასე მოძღვრავდა:
„ჩემო ერთგულნო, აქილევსის ბანაკს ეწვიეთ,
ხელი ჩასჭიდეთ, აქ მომგვარეთ ბრისეს ასული.
თუ არ დაგიტმოთ, გამობრუნდით, მე თვითონ მივალ,
325 ძალით მოვტაცებ და გაჩენის დღეს ვაწყევლინებ!“

ასე დამოძღვრა, დაადევნა მრისხანე სიტყვა.
უხმოდ გაუდგნენ მრავალხმიან ზღვის სანაპიროს.
ბანაკს ეწვივნენ, მირმიდონელთ მალემსრობოლ გემებს,
და იქ იხილეს აქილევსი კარავთან მჯდომი,

- 330 ჩაფიქრებული.

ნახვა მათი როდი ეამა.

ორივ დაიბნა.

შიშით ძრწოდნენ, ელოდნენ რიდით.
დანაბარევი ვერც რა უთხრეს და ვერც რა ჰკითხეს,
მალე მიუხვდა გულისწადილს, მიმართა გმირმა:
„სალამი თქვენდა, უკვდავთა და მოკვდავთ მაცნენო!

- 335 თქვენ კი არა და ბრალი ატრიდს მოეკითხება —
მან მოგაველინათ ჩემი ნორჩი ბრისეისისთვის.
ძმოდ პატროკლევ, მოიყვანე და მიეც ქალი,
დე წარიტაცონ, მაგრამ თვითვე მეყოლონ მოწმედ
ღმერთთა წინაშე, ყველა მოდგმის კაცთა წინაშე,
340 წინაშე მეფის მძვინვარისა, რომ დრო დადგება —
დაუმძიმდება ჩემი გაცლა, არ აცილდება
ლაშქარს შერცხვენა და სიკვდილი... მძვინვარებს ალბათ,
არ ძალუძს აწმყოს და მყოფადის დაკავშირება,
არ იცის, როგორ უზრუნველყოს ხსნა მხედრობისა“.

- 345 ასე თქვა. ძმობილს მენეტიდი დაემორჩილა,
ხელით მოჰგვარა კარავიდან ლამაზლაწვება,
მოციქულთ მისცა. გზას გაუდგნენ აქაველთ მხარეს,
თან ქალი გაჰყვათ ნაღვლიანი.

ცრემლმორეულმა

პელიდმა მყისვე მეგობრები დატოვა მარტო,

350 ჰალარა ზღვასთან დაჯდა, ტალღებს ბნელს გაცქეროდა,
ცრემლებს იშმენდდა ძვირფას დედის მავედრებელი:
„დედაო, როცა მშობე ქვეყნად საწუთრო-მცირე,
რატომ დიდება არ მარგუნა მალლით მგრგვინავმა
დიადმა ზევსმა, რად ღირსება არ მომანიჭა?

355 ძალა-უფლებით აგამემნონს თავს გაუვიდა,
წილ-ხვედრი ჩემი მომტაცა და თვითონ ფლობს ნადავლს!“
ასე გოდებდა ცრემლიანი.

დედა უსმენდა

მოხუც ნერეუსის სავანეში, ზღვის ჭურღმულებში.
თეთრქაფა ზღვიდან ღრუბელივით ამოფრთხილდა,

860 ახლოს მიუჯდა ცრემლის მფრქვეველ პირმშოს

საყვარელს.

ეფერებოდა, ხელს უსვამდა, ეტყოდა ტკბილად:
„რა, შვილო ჩემო, რადა გმინავ, შენს გულს რა დარდი
შემოსევია? ხვაშიადი გამაგებინე!..“

ამოიხვნეშა და მიუგო გმირმა ფეხმარდმა:

865 „განა არ იცი? ყოვლის მცოდნეს რაღა გიამბო?
დავესხით თებეს, ჰეტეონის ღვთაებრივ ქალაქს,
იავარყყავით, რაც ხელთ ვიგდეთ, შინ წამოვასხით;
აქაველებმა, ვით წესია, გაიყვეს დავლა:
ატრიდს ვარგუნეთ ქრისეს ქალი ლამაზლაწვება...“

370 მალე მოადგა აპოლონის ქურუმი ქრისე
არგიველთ გემებს რვალთ ნაჭედს, შავფერდებიანს,
სურდა ასული გამოეხსნა ურიცხვი ძღვენით.
ხელთ ჰქონდა ოქროს კვერთხი უფალ აპოლონისა,
თავსაკრიანი.

აქაველებს ევედრებოდა.

375 ყველაზე მეტად ორსავ ატრიდს, სპათა ბელადებს
ერთხმად გაისმა აქაველთა მძლავრი ყიჟინა —
მოგვს პატივი ვცეთ, მივილოთო ძღვენიც მდიდარი.
მხოლოდ ატრიდმა გულთან ახლოს არ გაიკარა
მამის ვედრება, მოიშორა მრისხანე სიტყვით.

880 წავიდა ქრისე გულნატკენი. ვერცხლისმშვილდამ კი
მალე უსმინა მლაღადებელს — უყვარდა ქრისე:
უსმინა და ჯარს დამღუპველი ისრები სტყორცნა.

მუსრი გაავლო ხალხს.

- უკვდავი ღმერთის ისრები
თავით ბოლომდე მთელს ბანაკში სიკვდილს თესავდნენ.
- 385 ბრძენმა კალქანტმა გვამცნო ნება ფოიბოსისა.
დავაცხროთ-მეთქი, პირველმა ვთქვი, ღმერთი მძვინვარე.
რისხვით აინთო აგამემნონ, ზეწამოიჭრა,
მემუქრებოდა, აღასრულა კიდეც ქადილი!
ქრისეში მიჰყავთ აქაველებს ასული მოგვის,
- 390 მსუბუქი ხომალდით აპოლონის ზვარაკი მიაქვთ.
ჩემთან კი მეფის ორი მაცნე მოვიდა ახლა,
ბრისეს ასული გამომტაცეს, ჯილდო ძვირფასი!
დედაო, შენ ხომ ძლიერი ხარ, შენ შემეწიე,
ოლიმპოს წადი, შეევედრე ზევსს ყოვლისშემძლეს,
- 395 სიტყვით ან საქმით თუ ოდესმე გიაგებია.
სიყმაწვილის ქამს მე მსმენია, მშობლიურ სახლში
ამაყად გითქვამს, რომ თვით ზევსი, ღრუბელთმქუფრავი
უკვდავთა შორის შენლა იხსენ მძიმე ზვედრისგან;
ოდეს ღმერთებმა გაუბედეს მამას შეთოკვა —
- 400 პოსეიდონმა, ათენამ და ხელთეთრა ჰერამ,
ქალღმერთო, შენლა დაამსხვრიე ზევსის ბორკილი!
მრავალქედიან ოლიმპოზე უხმე ასხელას
(ღმერთნი ბრიარეს უწოდებენ, კაცნი — ეგეონს), —
საშინელ ტიტანს, რომ აჭარბებს მამასაც ძალით.
- 405 კრონიდთან დაჯდა ბუმბერაზი, მძლავრი, ამაყი.
ღვთაებებს შიში შეეპარათ, უკუდგნენ მყისვე...
ეს მოაგონე, მუხლზე ხელი მოხვიე აჯით,
რომ მამას ჩვენსას ტროელების ეჭიროს მხარე,
არგიველები გემებამდე, ზღვამდე მიქეჭყოს,
- 410 მოსრას და მოსპოს. დაე, მეფის შეიცნონ ფასიც,
იგრძნოს ატრიდმაც ქედმაღალმა — რა დააშავა,
რომ შეურაცხჰყო გულუმხნესი აქაველთ შორის!“

პასუხად უთხრა შვილს თეტისმა თვალცრემლიანმა:

- „შვილო, რად გზარდე, ვარამისთვის მხოლოდ შობილო!
415 ღმერთმა ქნას, შეძლო აქვე დარჩე უცრემლ-უნადვლოდ,
მცირე გაქვს ღღენი სიცოცხლისა, ახლოა ბოლო,

- ყველა მოკვდავზე უფრო ადრე შეხვდები სიკვდილს!..
 ავ დღესა გშობე, შვილო ჩემო, მშობლიურ სახლში...
 წვეალ თოვლიან ოლიმპოზე და ელვისმტყორცნელს
 420 წვრილად ვუამბობ ყოველივეს, იქნებ მისმინოს.
 ხოლო შენ დარჩი მირმიდონელთ მალემსრბოლ გემთან —
 განრისხებული და ლაშქრობას თავი არიდე.
 მეხისმტყორცნელი წუხელ შორეთს, ოკეანეში
 ღმერთებთან ერთად ეთიოპებს სტუმრად ეწვია.
 425 მეთორმეტე დღეს დაბრუნდება ოლიმპოს მთაზე.
 მაშინ სასახლეს მივადგები სპილენძით ნაგებს,
 მეუფის მუხლებს მოვეხვევი და გულს მოვულობ“.

- თქვა და დატოვა. მოყმე სატრფოს ლამაზსარტყლიანს,
 ატრიდის მიერ მიტაცებულს, დარდობდა ისევ...
 430 ჭკუაულევი ოდისევსიც ამ დროს მიაღვა
 აპოლონ ღმერთის ზვარაკითურთ ლალ ქრისეს ყურეს.
 მსუბუქი გემი შესრიალდა ღრმა ნავსადგურში.
 სწრაფად დაკეცეს იალქნები შავი ხომალდის.
 ანძა ბაგირით დაუშვეს და მოარგეს ბუდეს.
 435 ნავსაყუდელში დაამაგრეს გემი უმაღვე —
 ქეები ჩაყარეს, ნავსაბმელით მიაბეს სადგომს.
 სანაპიროზე გადმოვიდნენ, ჩამოიყვანეს
 ხმელეთზე ხბონი — ჰეკატომბე აპოლონისა.
 მშობელ მიწაზე ქრისეისი ჩავიდა ბოლოს.
 440 საკურთხეველთან მიიყვანა ის ოდისევსმა,
 მოხუცს მიჰგვარა. მიესალმა ბრძნული სიტყვებით:
 „ატრიდის ნებით ფოიბოსის ქურუმს გეახელ,
 თან მომყავს ქალი, ჰეკატომბეს ვუძღვნი აპოლონს
 დანაელთაგან.

- მუხლს მოვიდრეკთ მის საამებლად,
 445 ვინ გაგვირისხდა და არგიველთ ურვა არგუნა“.
 თქვა და მიჰგვარა ქრისეისი, მოხუცი შვებით
 სანუკვარ პირმშოს ჩაეკონა.

აქაველებმა

წმიდა ზვარაკი მიიყვანეს საკურთხეველთან.
 წყლით განიბანნენ, მარილი და ქერი აიღეს,

- 450 ლოცვა წარმოთქვა ქრისემ ცისკენ ხელაპყრობილმა:
 „გენუკვი, ვერცხლისმშვილდოსანო, ქრისეს ქომაგო,
 კილას მფარველო, მძლე მეუფევე ტენედოსისა!
 შენ გულმოწყალე იყავ, ოდეს გეაჭებოდი,
 შენ განმადიდე, როს დათრგუნე აქაველები!
- 455 ახლაც მისმინე, აღასრულე მოხუცის აჯა,
 დანაელთ დასჯა აკმარე და სენი აშორე!“

- ასე ლაღადყო და სხივოსან აპოლონს ესმა.
 მყის წმიდა ზეარაკს მარილი და ქერი აყარეს,
 გადაუწიეს მათ კისერი, გამოჰქრეს ყელი,
- 460 ტყავი გააძვრეს და ბარკლები ქონში ორკეცად
 გახვიეს, ზედვე შემოაწყვეს ხორცის ნაჭრები.
 ნელ ცეცხლზე წვადა მათ მოხუცი და წითელ ღვინოს
 ზედ ასხურებდა. ყრმებს ხუთკბილა ექირათ ხელში.
 ბარკლები შეწვეს და იგემეს შიგნეულობა,
- 465 რაც დარჩა, ისიც წვრილად დაჰქრეს და შამფურებზე
 წამოგებული ნაკვერჩხლებზე ააშიშხინეს.
 როს დაამთავრეს სამზადისი, დასხდნენ ნადიმად.
 საერთო ღვინოში არვინ დარჩა მოუღბენელი.
 როცა დაიციბრო შიმშილი და წყურვილი ყველამ,
- 470 ყრმებმა მარჯვნიდან დაუარეს, ღვინით პირთამდე
 სავსე სასმისი მენახათ ჩამოურიგეს.
 მთელი დღე ჰანგით ამებდნენ უფალ აპოლონს,
 ხმამალალ პეანს უმღეროდნენ ყრმა აქაველნი.
 მას აღიდებდნენ, ისრის მტყორცნელს, მას ახარებდნენ.
- 475 მზე ჩაესვენა და წყვდიადი ჩამოწვა ღამის.
 ძილს მისცეს თავი ზღვაოსნებმა გემის სადგომთან.

- ღამე ვარდისფერთითებიან ეოსს გაეპო,
 როს გზას გაუდგნენ აქაველნი ბანაკისაკენ.
 ზურგქარი ვერცხლისმშვილდოსანმა თან მიადეკნა.
- 480 ანძა დადგეს და თეთრი აფრა ააფრიალეს,
 ქარმა დაბერა მექსეულად, გემის კიჩოსთან
 აფორიაქდნენ, ახმაურდნენ უმალ ზვირთები.
 გემი მიქროდა და ტალღებზე კვალსა სტოვებდა.

როს მიაღწიეს აქველთა მზედრობის ბანაკს,
485 გამოათრიეს ზღვის ნაპირზე გემი შავმკერდა,
მალლა ქვიშაზე ააცურეს, მორი დაუდეს
და გაიფანტნენ თავ-თავიანთ ხომალდებისკენ.

ამ დროს შავმკერდა გემთან მარტო იჯდა მრისხანე
ჯრნა ღვთისმიერი, აქილევსი, გმირი ფეხმარდი.
490 ალარც ბჭობაში — გნირთ დიდების მოსახვეჭელში,
აღარც ბრძოლაში აღარ იყო. დარდი სერავდა
მის გულს, ნატრობდა ბრძოლასა და თავგამოდებას.

ბოლოს გავიდა თორმეტი დღე და დაუბრუნდნენ
მარადიული ღვთაებანი დიად ოლიმპოს.
495 წინ მიუძლოდა ზევსი. დედას შვილის ვედრება
ახსოვდა,

ადრე ამოვიდა ქაფიან ზღვიდან,
დილის ბურუსში გაეშურა ოლიმპოს მთისკენ.
განმარტოებულს ელვისმტყორცნელ კრონიონს შეხვდა
ბრავალქედიან ოლიმპოს მთის მალალ მწვერვალზე.
500 წინ დაუჩოქა, მეყსეულად მარცხენა ხელი
მუხლზე მოხვია, მარჯვინა კი ნიკასს შეახო,
მავედრებელმა ასე უთხრა უკვდავთა მამას:
„თუკი ოდესმე. მამა ზევსო, მიაგებია
სიტყვით ან საქმით, ამისრულე ერთი მუდარა!
505 შური მიძიე პირმშოსათვის.

საწუთრო-მცირე
აგამეძნონმა დაამდაბლა, მანაცთა მეფემ,
ჯილდო წაართვა და თვითონვე დაეპატრონა.
შური იძიე, ზეციურო მეუფე ზევსო!
იყავ ტროელთა შეძწე, სანამ აქველები
510 არ მიაგებნენ კვლავ აქილევსს კუთვნილ ღირსებას“.
ასე ამბობდა. უბრად იჯდა ღრუბელთმჭუფრავი.
თეტისი კვლავაც ჩახვეოდა მეუფის მუხლგბს.
ფეხქვეშ განროხმული ელოდა და ევედრებოდა:
„აღთქმა მომეცი და თანხმობით დახარე თავი.
515 ან უარმყავი, უშიშარო, თქვი და ვირწმუნებ,

უკვდავთა შორის მე რომ გძულვარ ყველაზე მეტად“.

ამოიხვნეშა და მიუგო ღრუბელთმჭეფურავმა:

„ვწუხვარ, რომ ჰერას კვლავ აღუძრავ სიძულვილს ჩემსას.

- 520 დამამცირებელ სიტყვებს მეტყვის და გამაშმაგებს,
უკვდავთ კრებულში განუწყვეტლივ ისეც მაყვედრის,
რომ თითქოს ტროელთ ვეხმარები მძიმე ბრძოლაში.

გამცილდი ახლა, ოლიმპოზე თვალი არ მოგკრას.

სხვა დანარჩენზე მე ვიზრუნებ და შევასრულებ:

აჰა, დამშვიდდი, თანახმა ვარ, დაბლა ვხრი თავსა.

- 525 ეს უკვდავთათვის უდიდესი საწინდარია —
სიტყვას არ გაეტებ, განმტკიცებულს სამაჰადისოდ,
და არ აღსრულდეს — არ იქნება, რასაც კვერს დავკრავ!“
თანხმობის ნიშნად ძირს დახარა შავი წარბები,
მყისვე კრონიდის უქკნობ თავზე სურნელოვანი

- 530 თმები შეირხა და ოლიმპო იძრა დიადი.

შემდეგ ვერცხლისფერმუხლიანი თეტისი ადგა

და ოლიმპოდან გაეშურა ზღვის ჩურღმულისკენ.

ზევსი დაბრუნდა სასახლეში.

წამოიშალნენ

ძვირფასი მამის შესახვედრად მარადუკვდავნი,

- 535 ვერვინ გაბედა, კრონიდს რომ არ შეგებებოდა.

ოლიმპიელი ტახტზე დაჯდა. ქალღმერთმა ჰერამ

იგრძნო ყოველი, ზევსთან ნახა გმირის მშობელი,

ღმერთი ვერცხლისფერმუხლიანი — შვილი ნერეუსის.

ღვარძლით მიმართა მეყსეულად ქალღმერთმა კრონიდს:

- 540 „ვერაგო, შენთან რომელ უკვდავს მოუნდა ბჭობა?

შენ ხომ გჩვევია საიდუმლო ფიქრებს მიეცე

და მე ყოველი დამიმალო! შენი სურვილით

აროდეს გითქვამს ჩემთვის ერთიც რამ ხვაშიადი“.

მას უოხრა ზევსმა, უკვდავთა და მოკვდავთა მამამ:

- 545 „ნუ გაქვს იმედი, ყოველივე იცოდე, ჰერა,

დაგიმძიმდება ცოდნა ეგე, თუმცა ცოლი ხარ!

რისი გაგებაც შეიძლება, არც გაიგება

შენზე უადრეს არც მოკვდავთა, არც უკვდავთ მიერ.

ხოლო თუ ღმერთთა უკითხავად გადავწყვეტ რასმე,
550 ნულარ ჩამკითხავ, ნურც მიხვედრას ეცდები შენით!“
ზევსს კვლავ შესძახა ხარისთვალა ქალღმერთმა ჰერამ:
„ღრუბელთმქუფრავო! კრონიონო, აბა რას ბრძანებ?
მე არც მიკითხავს, უშენოდაც არ მდომებია
მიხვედრილიყავ.

რაიც გინდა, ასრულებ კიდევც.

555 მხოლოდ ერთს ვშიშობ, ვაი თუკი გადაგიბირა
ღმერთმა ვერცხლისფერპუხლიანმა, ნერევისს შვილმა!
პელიდის დედა სისხან დილით მუხლთ გეხვეოდა,
თანხმობა მიეც, როგორც ვატყობ და განიზრახე
არგიველთ ჭარზე პელიდისთვის იძიო შური“.

560 ჰერას მიუგო კრონიონმა ღრუბელთმქუფრავმა:
„მაოცებ, ანჩნეჲ ყოველივეს და მითვალთვალე,
მაგრამ ვერაფერს ვერ იღონებ, ამით მხოლოდლა
მე განმარისხებ. უარესი დღეც დაგადგება!
თუ ასე მოხდა, ჩანს, რომ მსურდა ეს მომხდარიყო!

565 იყუჩე, ჰერა, და ჩემს ნებას დაემორჩილე!
თორემ ვერ გიხსნის ღვთაებათა მთელი კრებული,
თუ ქედზე ჩემი უძლეველი ხელი დაგადე“.
თქვა... და შეძრწუნდა ხარისთვალა ქალღმერთი ჰერა,
ხმა გაიკმინდა, დაიოკა გულისთქმა მყისვე.

570 ზევსის სავანეს ღმერთთა ჩუმი ისმოდა ოხვრა.
ოლიმპიელი დიდოსტატი ჰეფესტო ადგა,
სანუკვარ დედას ამშვიდებდა, მშვენიერ ჰერას:
„აბა, როგორი ასატანი იქნება ჩემთვის,
მოკვდავთა გამო თუ ერთმანეთს წაეკიდებით!

575 რალა დარჩება სიკეთისგან, როცა ნადიმზე
ღმერთების დასში ბოროტების ზარ-ზეიმიია!
დედავ, გარწმუნებ, სანუკვარო, — თუმც თვით ხარ

ბრძენი, —

დაემორჩილე ზევსს, მეუფეს, რათა უკვდავმა
რისხვით ნადიმი უდარდელი არ აგვიშალოს.

580 თუ მოინდომებს ოლიმპელი, მეხით ელვარე
ყველა ღვთაებას დაბლა დასცემს უძლიერესი!

ეცადე. დედავ, ტკბილად სიტყვით დაიყოლიო,
დაუყოვნებლივ მოაწყალეებით მოგვხედოს ყველას!“

- 585 ასე წარმოთქვა და წამოდგა, ბრწყინვალე თასი
ორფსკერიანი მიართვა და კვლავ უთხრა დედას:
„დედავ, იომინე, რაც არ უნდა გული გერჩოდეს,
შვილს ნუ მომასწრებ შენს სატანჯველს, ზევსის განაჩენს,
ვერ გადაგარჩენ გულმოკლული, ვერც შეგელევი!
არ ძალუძს არც ერთ ოლიმპიელს ზევსს შეერკინოს!
590 აკი ერთხელაც გულაღგზნებულს მოსამველებლად,
ფერხთ ხელი მტაცა, გადამტყორცნა ზეცის ზღურბლიდან:
მთელი დღე სწრაფად ძირს მივქროდი და მზის ჩასვლის
უამს
ღვთაებრივ ლემნოსს დავენარცხე, ძლივს დამყვა სული.
სინტიელებმა იქ მიმიღეს და მომიარეს“.

- 595 ასე თქვა, ჰერამ გაიღიმა — ხარისთვალეებამ,
შვილს ღიმილითვე ჩამოართვა ელვარე თასი.
ჰეფესტომ თასით კრატერიდან ამოღებული
ნექტარი ღმერთებს დაურიგა.

მარჯვნიდან დაჰყვა.

- 600 ცის ნეტარ ღმერთებს აუვარდათ სიცილ-ხარხარი,
როცა ჰეფესტო თასით ხელში დაკვლანობდა.
ასე მთელი დღე, მზის ჩასვლამდე, ნეტარნი ღმერთნი
გულს იხარებდნენ და იტკობდნენ საერთო ლხინით,
ფორმინგის ხმებათ, აპოლონი რომ აჟღერებდა,
ნარნარ მუზების ნოძახილი ისმოდა ტკბილი.
605 მაგრამ როდესაც ჩაესვენა მზის ელვარება,
ძილმორეულნი თვის სავანეს ეწვივნენ ღმერთნი,
ყოველს ცალ-ცალკე რომ აუგო კოკლმა ჰეფესტომ
ოლიმპოს მთაზე ოსტატობით და შთაგონებით.
ზევისი ეწვია სამთიობოს — ოლიმპოს მეფე.
610 იქ, სადაც მუდამ მიმწუხრისას ტკბილ ძილს ელოდა.
შევიდა. დაწვა. გვერდით ჰყავდა ქალღმერთი ჰერა.

ქება მეორე

სიზმარი. ბოტი, ანუ ხომალდთა სია

ყველას ეძინა ამ დროს — ღმერთებს და მხედრობასაც,
ტკბილი ზმანება მხოლოდ კრონიდს არ მიეკარა,
ფიქრს მისცემოდა — აქილევსის ღირსებისათვის
ვით შევმუსროო ხომალდებთან სპა აქაველთა.

5 ბოლოს ეჩვენა უწყობესად — სწვევოდა ატრიდს,
მძლე აგამემნონს ავბეჯითი ძილისშორისი.

მყისვე მოუხმო და მიწართა ფრთიანი სიტყვით:

„გასწი, ზმანებავ ავბეჯითო, აქაველთ გემთან,
ეძილისშორე აგამემნონს, ძეს ატრევსისა,

10 დაბეჯითებით უთხარ, რასაც მე დაგავალებ:

ბრძოლად ჩააბას თმახუჭუჭა აქაველები.

ტროელთა ქალაქს აიღებთ-თქო ფართოქუჩიანს,
სხვაგვარად როდი ფიქრობენ-თქო ოლიმპოს მკვიდრნიც,
უთხარი — ჰერამ დაითანხმა მავედრებელმა.

15 თავს დასტრიალებს ტროას დიდი უბედურება!“

ასე უბრძანა და ზმანებამ უსმინა ნათქვამს,
სწრაფად გაფრინდა აქაველთა ხომალდებისკენ,
ატრიდს ეწვია, აგამემნონს, ნახა კარავში,
ამბროსიული ძილი ბელადს დაუფლებოდა.

20 თავთან დაუდგა, ნელევსის ძეს ემსვავსა ნესტორს,

მოხუცს, რომელიც აგამემნონს ყველას ერჩივნა.

ასე აუწყა ღვთაებრივმა ძილისშორისმა:

„გძინავს, ატრევსის — ბედაურთა მხედველის ძეო,
სად გაქვს ძილის დრო, ზრძენო მოყმევ, ამდენი ხალხი

25 რომ გაბარია და ამდენი გაქვს საზრუნავი?

კარგად მისმინე, რასაც გეტყვი: ზევსის მაცნე ვარ —
მაღალ ზეცაშიც შენზე ზრუნავს ავლავ გულმოწყალე.

გიბრძანებს ბრძოლად გაიყვანო აქაველები,
ტროელთა ქალაქს აიღებთო ფართოქუჩიანს,

30 სხვაგვარად როდი ფიქრობენო ოლიმპოს მკვიდრნიც,

ჰერამ ყველანი დაითანხმა მავედრებელმა,
ზევისი მოუვლენს ტროა-ქალაქს უბედურებას.

გულს ჩაიმარხე, რაც გითხარი, არ დაგავიწყდეს,
როცა დაგტოვებს ძილი სულის დამატკობელი“.

- 35 ეს თქვა თუ არა, გაფრინდა და გაუჩინარდა.
ფიქრებს მიეცა აგამემნონ, აღუსრულებელს,
ეგონა, მალე დაანგრევდა პრიამეს ქალაქს.
უგუნურმა მახეს ვერ აულო ღვთისას გუმანი!
კვლავ გადაწყვიტა მოეტანა უბედურება
- 40 სასტიკ ბრძოლაში დანაელთა და ტროელთათვის.
ძილი გაუფრთხა, ყურში მაცნის ხმა ღვთაებრივი
ჭერ კიდევ ჟღერდა.

გადაიკვა მხატე ქიტონი,
ახალთ-ახალი, მოსასხამი წამოიხურა,
მოქნილ ფეხებზე გადაიწია კოხტა წაღები.

- 45 მხარზე მოიგდო ორღესული, ვერცხლით ნაქედი,
ხელთ იპყრა კვერთხი უძღვეველი, მაძისეული,
რვალით მოსალტულ აქაველთა გეგებს ეწვია.

ოლიმპოს მისწვდა განთიადის მაცნე ეოსი,
ზევსს და სხვა ღმერთებს მოელვარე შუქი მოჰფინა.

- 50 ამ დროს უბრძანა ატრევსის ძემ მუღერხიან მაცნეთ
კრებად მოეხმოთ თმახუქუქა აქაველები.
დასკექქეს ბუკი და მოგროვდა მყისვე ლაშქარი.
ბჭობად ჩამოსხდნენ თემისთავნი დიდსულოვანნი
ნესტორის გემთან — პილოსელთა სვიანი მეფის.

- 55 აქ მოიწვია სათათბიროდ აგამემნონმა:
„მისმინეთ, ძმანო! ღვთაებრივი ენახე ზმანება,
ამბროსიული იყო ღამე...“

პილოსელ ნესტორს
ჰგავდა თვისებით, გარეგნობით და აღნაგობით.
დამიდგა ღმერთი სასთუმალთან და ეს მაუწყა:

- 60 „გძინავს, ატრევსის — ბედაურთა მხედღენელის ძეო,
სად გაქვს ძილის დრო, ბრძენო მოყმევ. ამდენი ხალხი
რომ გაბარია და ამდენი გაქვს საზრუნავი?
კარგად მისმინე, რასაც გეტყვი: ზევსის მაცნე ვარ —
მაღალ ზეცაშიც შენზე ზრუნავს კვლავ გულმოწყალე.“

- 65 გიბრძანებს ბრძოლად გაიყვანო აქაველები,
 ტროელთა ქალაქს აიღებთო ფართოქუჩიანს,
 სხვაგვარად როდი ფიქრობენო ოლიმპოს მკვიდრნიც,
 პერამ ყველანი დაითანხმა წავედრებელმა,
 ზეგის მოუწლენს ტროა-ქალაქს უბედურებას.
- 70 გულს დაიმარხე, რაც გითხარო. და რა თქვა ესა,
 მყისვე გაფრინდა. ტკბილი ძილი გამიჭრა კიდევც...
 თქვით, აქაველნი ვით აღვკურვოთ თორნ-მუზარადით?
 ჯერ სიტყვით გემართებს გამოვცადოთ სიმზნევე მათი.
 ვეტყვამ ხომალდებს დაემგზავრეთ მრავალხოფიანს,
- 75 თქვენ კი გაჭეცვა არ ურჩიოთ და დაუშალებთ“.

ეს თქვა და დაჯდა. მეყსეულად წამოდგა ნესტორ,
 ქვა-ლორლიანი და კლდოვანი პილოსის მეფე,
 კეთილი გულით უხუცესმა მიმართა კრებას:

- „ო, საყვარელნო. არგიველთა მხედართმთავარნო!
 80 აქაველთაგან ეს სიზმარი სხვას რომ მოეთხრო
 ყალბად ჩავთვლიდით და ზიზლითაც ზურგს შევაქცევდით,
 მაგრამ ჩვენს შორის იგი ნახა ყველაზე ქველმა!
 მამ აქაველნი ვით აღვკურვოთ თორნ-მუზარადით?“
 როგორც კი ეს თქვა, გაეცალა დასს თემისთავთა.
- 85 ყველა წამოდგა, ხალხთა მფლობელს დაემორჩილა —
 კვერთხის მპყრობელი ბელადები და სპარაზენნი.
 მღვიმეებიდან ფუტკრები რომ გამოცვივიან,
 გუნდი და გუნდი დაფუთფუთებს და მტევნებივით
 აიხორხლება გაზაფხულის გაშლილ ყვავილზე,
- 90 მერე ბზუილით ველს ყოველმხრივ მოეფინება, —
 ასე ხომალდებს, გაშლილ კარვებს გასცილდნენ სპანი,
 ნაპირის გასწვრივ ესწრაფოდნენ ბელადთა კრებულს
 მათ შორის ოსა მიმოქროდა — ზეგისის შიკრიკი
 და აღაგზნებდა აქაველთ სპას თვით აღგზნებული.
- 95 კრებაზე თავი მოიყარეს, მიწა აკვნესდა
 ხალხის სიმძიმით და გნიასით,

ხმამოგუგუნე

ცხრა მაცნემ ძლივსდა დააწყნარა ბრბო ბობოქარი.
 ლაშქარი დაჰყვა ზეგისის შობილ მეფეთა ნებას.

- როცა მიყუჩდა, დაშოშმინდა სპა აქაველთა,
 100 აგაზემნონი წამოიქრა, მამაცთა მეფე.
 ხელთ კვერთხი ეპყრა კოკლ ჰეფესტოს
 გამოჭედილი,
 რომელიც თურმე ზევსს აჩუქა ოდესღაც ღმერთმა,
 ღრუბელთმარეკმა ზევსმა ჰერმესს გადაულოცა.
 მან კი თავის მხრივ ცხენთა მწედღნელს მიუძღვნა პელოპსს,
 105 ხოლო პელოპსმა ხალხთა მეფე ატრევსს დაუთმო,
 მან სიკვდილის წინ კი — თვიესტის, ხვასტაგით მორკმულს,
 ხოლო თვიესტინ დაუტოვა ჰეფესტოს აგაზემნონს,
 არგოსისა და უთვალავი კუნძულის მფლობელს.
 იმ კვერთხს დაეყრდნო და მიმართა მეფემ არგიველთ:
- 110 „ძვირფასო გზირნო დანაელნო, არესის ყმანო!
 დიადმა ზევსმა გამიმეტა დასაღუბავად.
 როს სასწაულით მიმანიშნა ბჭემადალ ტროის
 გაცამტვერება და მშვიდობით შინ დაბრუნება,
 ფუჭი იმედი გამიღვიძა, სახელშერცხვენილს
 115 მარგუნა არგოსს უკუქცევა დამღუპველს სპათა!
 ჩანს, ყოვლისშემძლე კრონიდს ასე უნებებია...
 მან მრავალ ციხეს მოუნგრია კოშკი მაღალი,
 კვლავ მრავალს დასცემს ზვიად გოდოლს მძლეთამძლე
 ზევსი!
- ჩვენ კი სირცხვილი დაგვიბედა შვილთა წინაშე,
 120 რაკი ამოდ აქაველთა სპა უთვალავი
 შესტიღვებია ტროელთ რაზმებს მცირერიცხოვანს,
 ვერც მორეგია და ბრძოლასაც არ უჩანს ბოლო.
 ვთქვათ: აქაველებს და ტროელებს ფიქრად მოსვლოდათ,
 ზავი დაედოთ, დაეთვალათ თვისი ლაშქარიც,
 125 ჰეცყნად რაზდენიც ტროელია, მწკრივად მდგარიყო,
 ხოლო აქაველთ სპა ვაგვეყო ათეულებად
 და პერიქიფედ მიგვეჩინა თითო ტროელი,
 ბევრ ჩვენს ათეულს მერიქიფე არ ეყოფოდა!
 აი ამდენად. გეუბნებით. აქაველთ ჯარი
 130 ჰარბობს ტროელებს ქალაქში მყოფთ. მაგრამ ბევრია
 სხვა ჰეცყნებიდან მათს საშველად მოსული მოყნე.

ბევრი ვეცადე. ვერ ვეწიე მაინც საწადელს,
ვერ დავანგრე ილიონი კეთილნაგები.

- 135 უკვე გავიდა დიად ზევსის ცხრა წელიწადი,
დალბა ძელები. დაიძენდა ბაგირი გემის...
სულმოუთქმელად შინ მიგველის ტკბილი ცოლშვილი,
ძალუმად გვიწვევს, რომ დანგხსნათ ბრძოლას საწადელს...
ბოლო არ უჩანს საქმეს, რამაც აქ მოგვიყვანა.
მისმინეთ, ახლა რასაც გეტყვით, მერწმუნეთ ყველა:
- 140 გემით ვესწრაფოთ უსაყვარლეს მშობლიურ მიწას,
ჩვენ ვერ დავანგრევთ ტროას მტკიცე გალავნებიანს!“
მისმა ნათქვამმა შეძრა სული, ყველა მებრძოლი
აფორიაქდა, გინდ სმენოდა და გინდა არა.
ბრბო აიშალა, ზოგორც ზვირთი იკაროსის ზღვის,
- 145 თითქოს ევროსი და ნოტოსი დარევიანო,
მეუფე ზევსის ღრუბლებიდან გამოქროლილნი.
ვით ზეფირთსა აღელვებს ჭეჭილს კვლებზე,
თავს დააცხრება და შეარხვეს მაღალ თავთუხებს,
ისე აღელვდა მთელი კრება, მძლავრი ყიყინით
- 150 მიაწყდა გემებს, დააყენეს კორიანტელი,
დადგა მტკრის ბული.

არწმუნებდნენ ყიყინით ერთურთს —

- სწრაფად გემები ჩაეუშვათო ღვთაებრივ ზღვაში.
სანგრებს ანგრევდნენ, უკვე თხრიდნენ გემის საბჯენებს,
ცას ასწვდა წასვლის მოწადინე ხალხის ყიყინა.
- 155 ბედისწერსაც ასცდებოდნენ, შინაც ვასწევდნენ,
რომ ქალღმერთ პერას ათენასთვის არ მიეჩართა:
„ვაგლახ! ფაროსან ზევსის შვილო, მუხლმოუღლელო. .
ნუთუ სანუკვარ მამულისკენ არვიველთ ჯარი
უნდა ილტვოდეს, უნაპირო ზღვა ვადალახოს,
- 160 პრიამოსის და ტროის სპათა გასახარებლად,
დათმოს ელენე არგოსელი, რომელსაც ბევრი
ყრმა შეეწირა სამშობლოდან ტროას მოსული?
ჯაკვისპერანვა აქავილებს ეწვიე სწრაფად,
ტკბილი სიტყვებით ყველა მოყმე დაიყოლიე,
- 165 ორმხრივხოფიან ზომალდს სრბოლად ნუ ვაამზადებს“.
ეს თქვა. ათენა დაჰყვა ნებას სკალეებრიალა.

- ზეგარდმოიქრა ოლიმპიდან და მეყსეულად
 მივიდა კიდევ აქაველთა სწრაფმსარბოლ გემებთან.
 ნახა ოდისევს, მკვერმეტყველი, ზევსის სადარი,
 170 იდგა აღჭურვილ შავ ხომალდთან და არ იძვროდა,
 გულში და სულში ჩასახოდა კმუნვა მეომარს.
 ახლოს მივიდა, თვალმცეცხლია ათენამ უთხრა:
 „ღმერთი შობილო, ლაყრტიდო, ბრძენო ოდისევს!
 ნუთუ სანუკვარ მამულისკენ, ნუთუ შინისკენ
 175 გარბიხართ: მრავალწერხიანი შავი ხომალდით
 პრიამოსის და ტროელ სპათა გასახარებლად,
 ელენეს დათმობთ არ გოსელსა, რომელსაც ბევრი
 ყრმა შეეწირა სამშობლოდან ტროას მოსული?
 აბა, აქაველთ მიაშურე, ზედგრად იშრომე,
 180 დაიყოლიე ყველა მოყმე ტკბილი სიტყვებით —
 ორმხრივთოფიან ხომალდს სრბოლად ნუ გაამზადებს!“

- ასე თქვა. მოყმეს ეცნაურა ხმა ქალღმერთისა,
 ისე იჩქარა, მოსასხამიც მოსძვრა ნხრებიდან
 და ევრიბატემ, ითაკელმა მაცნემ აიღო.
 185 გმირი წავიდა შესახვედრად აგაჰემონის,
 მამისეული თან მიჰქონდა კვერთხი საქეფო.
 ჭაქვისპერანგა აქაველთა გემებს მიაღგა.
 მეფეს ხვდებოდა სახელოვანს თუ მებრძოლს ცნობილს,
 შეჩერდებოდა, მიმართავდა მაშინვე მოკლედ:
 190 „შე უგუნურო! განა გმართებს მხდალივით შიში,
 შენცა დამშვიდდი, დაამშვიდე გარშემო ყველა,
 არვინ არ იცის ატრეცის ძის ფიქრთა სამანი.
 მან გამოგვცადა, მაგრამ ახლა დასჯის აქაველთ,
 თანაც ხომ ყველა არ გვესმოდა, რასაც ამბობდა.
 195 თუ გავვირისხდა, სასტიკ სასჯელს მოუვლენს ლაშქარს:
 ღმერთის ნაშიერს, სვიან მეფეს დიდი აქვს ძალა —
 ზევსმა უბოძა, ზევსს უზომოდ უყვარს ატრიდი“.
 თუ შეხვდებოდა მეამბოხეს, კვერთხსაც დასცემდა,
 მრისხანე სიტყვით მოიყვანდა ხოლმე ჭკუაზე:
 200 „შე უგუნურო! იყუჩე და ერწმუნე მუდამ
 შენზე ღირსეულთ. უძლურო და ბრძოლის მოშიშო,

არც ომში და არც თათბირებზე ხარ სათვალავში!
ხომ ვერ ვიმეფებთ ჩვენ ყველანი აქაველებზე,
მრავალმეჯობა არ ეგების, ერთი ხამს მეფე,
205 ერთი უფალი! ვისაც ცბიერ კრონოსის წულმა
კვერთხი უბოძა და კახონი, მეფეც ის არის!“

დაიმორჩილა ძალით სპანი და საფიხენოზე
მოკვივდა ხალხი გემებიდან, ბანაკებიდან —
გულგუნით. თითქოს ნაპირს ზვირთი მრავალხმიანი
210 შეხეთქებია და ზღვის დვინი თან გაჰყოლია.
ყველა დაწყნარდა, ყველამ მშვიდად მოიკალათა,
მხოლოდ თერსიტე ყრანტალებდა უზომოდ ყბედი,
თავში სულ მყარალი უბჭუოდა სიტყვები თავხედს,
მიზეზს ეძებდა, რომ მეფენი ელანძლა მუდამ,
215 და არავითარს სამარცხვინოს არ თაკილობდა.
ტროაში მოჰყვა ლაშქარს გონჯი, უსაზიზღრესი,
ელამი, კოკლი, კუზიანი, მოხრილი მხრები
ზედ გულის კოვზთან რომ შეყროდა, თავის კინკრიხო
წაწვეტებოდა, უწესრიგოდ ეყარა ღინღლი.
220 სძულდა ოდისევს, უფრო მეტად კი — აქილევსი,
მიწყვი ლანძლავდა.

ამჟამად კი მძლე აგამემნონს
უშვერი სიტყვით მიმართავდა.

უკვე აქაველთ
დრტვინვა გაისმა, მრისხანებამ მოიცივა ყველა.
ის კი ყაყანით მისდგომოდა მძლე აგამემნონს:
225 „რალა გაწუხებს, ან რითა ხარ უკმაყოფილო?
რვალთ აგევსო ჩარდახები, ბევრი მხევალიც
ჩაგიმწყვდევია, აქაველნი თავდაპირველად
რომ აგირჩევენ, ციხე-კოშკთა დამაქცეველნი.
კვლავ ოქრო გინდა რომ მოგართვას ტროელმა ვინმემ
230 ცხენტა მხედუნელმა და ძე თვისი გამოისყიდოს,
ვინც მე მოგგვარე შებორკილი, ან სხვა მებრძოლმა?
სხვა გსურს დიაცი, რომ ტრფიალით ისიამტკბილო,
უჩუმრად დაიმართახელო?“

განა შეგფერის

- იყო ბელადი და მხედრობა გასწირო უღვთოდ?
- 235 ო, სულმდაბალნო, მხდალნო, ქალნო, არ-აქაველნო!
გაყვივით ხომალდებს სამშობლოსკენ, დარჩეს მარტოცა,
ტროის ციხესთან ელაციცოს წაგლეჯილ ნადავლს,
ეგება მიხედეს — ბრძოლის ველზე ვინ ემსახურა!
მან დაანჯირა აქილევსი, მოყმე უებრო,
- 240 ჯილდო წარსტაცა და ღღეს თვით ფლობს.

მაგრამ მგონია

დიდად არა სწუხს გმირი, თორე? შენს სიცოცხლეში
ეს იქნებოდა ვერაგობა უკანასკნელი!“

- ასე იყბედა მძლე ატრიდის მაგინებელმა.
მყის ღვთაებრივი ოდისევსი მიიჭრა მასთან,
- 245 რისხვით შეხედა და შესძახა გამძვინვარებით:
„ჰოი, თერსიტევ, ყიამყრალო, რეგვენო, ყბედო!
როგორა ბედავ, მხედართმთავარს პირში ეჩრები!
არავინ არის მოკვდავთ შორის შენზე უგვანი,
ვინც კი ილიონს მოჰყოლია ღვთაებრივ ატრიდს.
- 250 ნუ გაგიჩრია პირში ყველა მეფის სახელი,
მათს ძვირს ნუ ამბობ, გაქცევაზეც ხმა არ გაილო!
მაგრამ ვინ იცის, საქმე როგორ დაგვირგვინდება,
სიამეს მოვმკით თუ სიავეს აქაველთ ძენი?
შენ აგამემნონს, ატრევსის ძეს, ხალხთა მეუფეს
- 255 გულარხეინად ლანძღავ, თითქოს ბევრს აძლევენო
დანაელები მონაპოვარს, ყბად აგილია.
მაგრამ მე გეტყვი და მერწმუნე, არ გავტეხ სიტყვას,
თუ კვლავ ილაყბებ, როგორც ახლა, მაშინ იცოდე:
თავი არ შერჩეს ძლიერ მხრებზე მამაც ოდისევსს,
- 260 ღღეიდან მამაც ნუ ერქმევა ტელემაქოსის,
ტანსაცმელს ხელით ტანზე თუ არ შემოგაძარცვავ,
ქლანას, ქიტონს, იმასაც, რაც ფარავს სარცხვენელს
და აკივლებულს არ გაგაგდებ ხომალდებისკენ
ხალხის დასიდან, სამარცხვინოდ, მკაცრად გაწკეპლილს!“

- 265 უთხრა და დასცხო მყისვე კვერთხი ქედზე, ბეჭებზე,
მოკუნტულ მებრძოლს გადმოსცვივდა ცხარე კურცხალი,

წითელი ზოლი ოქროს კვერთხმა ზურგზე დაატყო,
იქვე უმწეოდ ჩაიკეცა ათრთოლებული.

ტკივილმა სახე დაუმანჭა, მორწყული ცრემლით.

- 270 კმუნვა გაჭრა და ყველამ გულით გადიხარხარა.
ერთი-მეორეს შეჰყურებდა, აზობდა ზოგი:
„ღმერთმანი, ბევრი კარგი საქმის მოთავე გახლავს,
გზიანად ვანსჯის ოდისევისი, წყვეტს ბრძოლის ბედსაც.
ახლაც ჩვენს შორის მან ითავა კეთილი საქმე,
275 როს გაცოფებულ მენაზობენ ხმა ჩაუწყვიტა.
რალა თქმა უნდა, ეს თაღხელი ველარ შეჰკადრებს
აქაველთ მტჯეს უშეგრ სიტყვებს ამიერიდან!“
ასე აზობდნენ.

გწირ ოდისევისს, ქალაქთა დამპყრობს,
ხელთ კვერთხი ეპყრა.

ათენას კი თვალეზბრიალას

- 280 მიეღო მაცნის გარეგნობა. ხალხს აჩუმებდა
წინა რიგებში, მოშორებით მდგომ აქაველთაც,
მოუსმინეთო, მიიღეთო რჩევა გმირისა.
კეთილი გულით მიმართავდა ლაშქარს ოდისევის:
„ხედავ, ატრიდო აგამემნონ, რომ აქაველნი
285 შენს სახელს სირცხვილს უმზადებენ სამარადქამოს,
სიტყვას გატეხენ, ლაშქრობის წინ რომ მოგცეს, მეფევე,
როცა გულდაგულ მოიწევდნენ ილიონისკენ —
ქალაქს ავიღებთ, გამარჯვებით დავბრუნდებითო.
როგორც ბალები მეძუძუნი, ქვრივნი დიაცნი,
290 დღეს შესტირიან ერთურთს და შინ მიუხარიათ,
ძნელია ბრძოლა და იმიტომ მიუხარიათ!
როს მოგზაური ცოლს სცილდება, თვე გასრულდება,
გემი მზადაა, მაგრამ კაცი დგას დარდიანი,
აჩერებს შმაგი ქარიშხალი, ზღვის მღელვარება.
295 ჩვენ კი ცხრა წელი გაგვისრულდა, ომი არ დაცხრა,
მე როდი ვღრტვინავ, მაგრამ ვიტყვი, რომ აქაველნი
ისე დარდობენ ხომალდებთან, როგორც ის მგზავრი:
რცხვენიათ დაცდაც, არხეინად შინ დაბრუნებაც.
ცოტა ხანს კიდევ მოვითმინოთ, ო, საყვარელნო!
300 ვნახოთ, ღირს ვენდოთ მკითხაობას ბრძენი კალქანტის?

ხომ ყველას გვახსოვს, — მოწმენი ვართ, რაც მაშინ

მოხდა. —

ყველას, სიკვდილი ბედისწერით, ვისაც არ ერგო.
ახლახან იყვნენ აქაველთა გემნი ავლიდთან,
პრიამოს მეფის მწუხარების: მოსასწავებლად.

305 მახსოვს, ნაკადთან შევიკრიბეთ. საკურთხეველზე
მსხვერპლად რჩეული. ჰეკატონზე შევსწირეთ ღმერთებს,
სადაც ჰადრის ფესვს ანოსჩქედლა წყარო კამკამა.
ჩვენ სასწაული იქ ვიხილეთ. ჰრელი დრაკონი
საზარი, ზეესის მოვლენილი დღისით და მზისით,

310 საკურთხეველიდან გასრიალდა. ხეს შემოერტყა.
ზემთ ბელურის პაწაწინა ბარტყები იყვნენ,
შეჯარებოდნენ ხშირ ფოთლებს და ჰადრის წვეროებს.
რვა იყო, მეცხრე — დედა, მათი გამომჩეკელი,
ყველა ჩაყლაპა, საცოდავად რომ ქყლოპინებდნენ.

315 ბედშავი დედა არ მოსცილდა, ფრენდა გარშემო,
ზეაიკლაცნა, მასაც პირი ნაკრტენზე სტაცა.
როგორც კი შთანთქა ბარტყები და პატარა ჩიტი,
თვით იქცა მსხვერპლად სასწაულს: ვინც გააჩინა,
მანვე აქცია ქვად — ცბიერი კრონოსის შვილმა.

320 ხმაგაკმენდილნი შევცქეროდით, შეძრწმუნებულნი
ჰეკატომბესთან ამ ღვთაებრივ, საზარ სასწაულს.
კალქანტმა გვითხრა, ღმერთთა ნების მაუწყებელმა:
„რატომ გაჩუმიდით, თმახუჭუჭა აქაველებო?
ამ სასწაულით ზომ თვით ზეესმა მოგვცა ნიშანი,

325 რომ უკვდავება მოსავეს სახელს, გვიან მოხვეჭილს.
რამდენი ჩიტიც გადაყლაპა წელან ურჩხულმა, —
რვა იყო, მეცხრე — დედა, მათი გამომჩეკელი,
სწორედ იმდენხანს ჩვენც ვიბრძოლებთ, მეთათე წელს კი
დავაქცევთ ტროას, ქალაქს ფართოფოლორცებიანს“.

330 მან ასე გვითხრა.

ყველაფერი სრულდება ახლა,
გამაგრდით, ლამაზ საბარკულით მოსილო ყრმანო,
სანამ პრიამეს დიად ციხეს სულ არ დავლევწავთ!“

- თქვა და გაისმა არგველთა მძლავრი კიჳინა,
 გაეპასუხა ამ ხმას გრგვინვით შემოგარენი.
- 335 ხოტბას ასხამდნენ აქაველნი ღვთიურ ოდისეესს.
 სიტყვა წარმოთქვა გერენგლმ: გღირმა ნესტორმა:
 „ღმერთმანი, ნართლაც ჰავშვებივით ვმსჯელობთ ყველანი,
 თითქოს ბრძოლისა არაფერი არ გაგვევება!'
 რალა ფასი აქვს ნაშინ ლოცვას ან წმინდა ალთქმას?
- 340 იქნებ სულ ციციხლია შთანქთა ზჭობაც, ზრუნვაც მამაცთა,
 ზედაშე. ხელის ჭელთ მიციემა ნიშნად კავშირის?
 ერთურთს სიტყვებით ვეჯიბრებით, ვერ წავადექით
 საქმეს ვერაფრით, დიდი ხანი დავყავით აქა.
 ატრიდო! ახლაც, როგორც ადრე, სულით ძლიერით
- 345 იმეფე, ბრძოლად წაუძები მამაც არგველთ!
 თითო-ორლა აქაველი გინდ არ წამოგვეყვეს,
 არ აუხდება მაინც მსდალებს გულის წადილი,
 არ დავბრუნდებით არგოსს, სანამ არ დავრწმუნდებით
 ნატყუარია თუ წრფელია ალთქმა კრონიდის.
- 350 ძლევა გვიმისნა ფაროსანმა მძლეთამძლე ზევსმა,
 იმ ღლესვე, როცა არგველნი გემებზე დასხდნენ —
 ილიონისთვის სიკვდილის და ტანჯვის მომგვრელნი.
 მხარმარჯვნივ ელვით გვანიშნებდა ღმერთი სიკეთეს!
 დე, ნურვინ ფიქრობს შინ გაქცევას, ტროელთ ცოლების
- 355 ხვევნით სანამდის არ დატკებება და არ მიუზღავს
 ელენეს დარდის და ფარული კრემლებისათვის!
 და თუკი ვინმეს მაინც გული შინ მიუჩქარის,
 მრავალხოფიან შავ ხომალდებს შეახოს ხელი
 ყველაზე ადრე და იქ ჰპოვოს სიკვდილი თვისი!
- 360 შენს რჩევას ვისმენთ და შენც ჩვენსას უსმინე, მეფეე!
 ცუდს არას გეტყვი, გონივრულ აზრს ათხოვე ყური:
 ფილებად დაჰყავ სპა, ატრიდო, და ფრატრიკბად,
 ფრატრია გაჰყვეს ფრატრიას და ფილე კი ფილეს.
 თუ აქაველებს დაარწმუნებ, ასე იბრძოლონ,
- 365 მაშინ შეიცნობ ტომებსა და ბელადებს შორის
 მხდალსა და მამაცს და იმასაც გაიგებ მაშინ —
 ღმერთების ნებით ვერ ვძლევთ ტროას ქონგურებიანს,
 თუ უძლურნი ვართ, ანდა ბრძოლის ვართ უმეცარნი?!”

ასე მოუბარს უპასუხა აგამემნონმა:

- 370 „ყველა აქაველს ბრძნული ბჭობით სჯობნი, მოხუცო!
ნაძაო ზევსო, ათენაე და აპოლონ ღმერთო!
ათი მრჩეველი კიდევ შომცა, ნეტაე, ასეთი,
ქედს მოიხრიდი: ჩემს წინაშე ტროა-ქალაქი,
ციხე, ქცეული ნაცარ-ტუტად აქაველთ მიერ.
- 375 მაგრან კრონიდი ფაროსანი მხოლოდ ვაებას,
საბედისწერო და ამო მტრობას თავს მახევეს.
ტყვე ქალისათვის წავეკიდე ფეხმარდ აქილევსს,
დავცილდი ჩემდა საეაგლაზოდ აღელვებული.
თუკი ოდესნე შევერიგდებით, უეჭველია,
- 380 ველარაფერი ვერ ააცდენს ტროას დაღუპვას.
ახლა სადილი გვმართებს, შემდეგ შევუდგეთ არესს,
შუბის წვერები წავმახოთ და ფარი გავფეროთ,
უხვი საკვები მივცეთ ყველამ დარახტულ ცხენებს,
ეტლი გავსინჯოთ და ბრძოლაზე ვიფიქროთ მხოლოდ,
- 385 მთელი დღე ერთურთს შევეჯიბროთ არესის ველზე.
არ ეღირსება დასვენება სპათა ფალანგებს,
მარტო ღამე თუ დააკვებს კაცთ მძვინვარებას,
ოფლი გაწუწავს მებრძოლთ მკერდზე აზიდულ ფარის
ღვედებს, ხელები დაგვაწყდება შუბისტარებზე,
- 390 ელვარე ეტლში ბედაური გაიქაფება...
თუ ვინმეს ვნახავ, რომ გაურბის ხელჩართულ ბრძოლას,
მიილტვის შავი გემებისკენ, აღარ დავინდობ,
ძაღლებისა და ყვავ-ყორნების საყვლეფად ვაქცევ!“
მოყმეთ ყიჟინა დასცეს, თითქოს ზვირთი შხუილით
- 395 შეასკდა ნაპირს, აქოჩრილი ნოტოსის მიერ,
კლდეს შეელეწა, გარს რომ უელის ყოველთვის ტალდა,
როგორც კი ქარი დაუქროლებს რომელიმე მხრით.
მყის გაიფანტნენ აქაველნი ხომალდებისკენ,
კვამლი ავარდა ყველგან, სადილს ეშურებოდნენ.
- 400 ყველა თავის ღმერთს მსხვერპლს სწირავდა, ევედრებოდა
ხსნას სიკვდილისგან და არესის რისხვისგან შეველას.
მსუქანი ხარი ხუთწლიანი აგამემნონმა
მსხვერპლად შესწირა ყოვლისშემძლე უფალ კრონიონს;
აქაველთ შორის ღირსეული ბელადნი იხმო,

- 405 თავდაპირველად ნესტორს თხოვა და ილომენეცს,
 ორთავ აიანტს, ტიდევსის ძეს — გვირს სახელი-განს,
 შემდეგ ოდისევსს, ზევსის სადარს ენამჭევრობით.
 თვითონ მოვიდა მენელაოს კეთილშობილი,
 რამაც აუნთო ძნას გონება, უწყოდა კარგად.
- 410 მოზვერთან დაღგნენ და აიღეს მათ წმინდა ქერი,
 ღმერთს შეჰლალადა აგანენონს ერისმთავარია:
 ზევსო სვიანო, ზეცის მკვიდრო, შავლრუზლიანო!
 არ დაგვიბნელო მზე, წყვილიადი თვალს არ მოჰფინო,
 სანამ არ ვაქცივთ ნაცარ-ტუტად ქერს პრიამოსის,
- 415 კვამლში გახვეულს, ბჭესთან ცეცხლს არ ავაგიზგიზებთ,
 და შენოვახევ რვალით ქიტონს ჰექტორს გულმკერდზე,
 ხოლო გარშემო მანამ მოყმის მოძმე მრავალი
 პირქვე გართხმული მიწას კბილით ჩააფრინდება!“

ასე თქვა, მაგრამ არ ესმოდა კრონიონს ლოცვა:

- 420 მსხვერპლი მიიღო. ხოლო ტანჯვა არ მოუშალა.
 ილოცეს, ქერი და მარილი აყარეს შემდეგ,
 ყელი გამოჭრეს, ამოიღეს ოთხში ზვარაკი,
 მყისვე ნეკნები მოაშორეს, ორკეცი ხორციით
 დაფარეს, ზედვე დააფინეს რბილი ნაწილი,
- 425 დაწვეს ყოველი მშრალ და ფოთოლგაცლილ შტოებზე.
 შამფურს ააგეს, აალებულ ჰეფესტოს ცეცხლზე
 დაატრიალეს და იგემეს შიგანი მსხვერპლის,
 სხვა დანარჩენიც, ნაწილ-ნაწილ, წვრილად დაჭრილი,
 გათლილ შამფურზე ფრთხილად შეწვეს, შემდეგ აიღეს.
- 430 მორჩნენ საზრუნავს და მაშინვე გამართეს ლხინი,
 ყველა შეექცა, არვინ დარჩა მოუღბენელი.
 სმითა და ჭამით როცა ხალხმა იჭერა გული,
 ბრძენმა ნესტორმა თქვა, მხედარმა ვერენიელმა:
 „ატრევსის ძეო, აგამემნონ ერისმთავარო,
 435 თუ კიდევ დიდხანს აქ დავრჩებით და დროს დაკარგავთ,
 ვერ შევასრულებთ ღმერთის მონდობილ საქმეს დიდებულს.
 უბრძანე რვალისქიტონიან აქაველ მაცნეთ,
 ძახილით უხმონ ხომალდებთან ყველა მოლაშქრეს,

ჩამოვუაროთ არგიველოა დაწყობილ რიგებს
440 და მეყსეულად გავალვიძოთ შმაგი არესი!“

ასე თქვა, დაპყვა აგამემნონ ერისმთავარი,
მქუხარეხმთან მებუყეებს უბრძანა მეფემ —
ბრძოლად მოეხმოთ თმახუჭუჭა აქაველები.
ყოინა დასცეს მაცნეებმა, სწრაფად მოგროვდნენ,
445 გარს შემოუდგნენ ატრეიონს ქველნი მეფენი
სპათ დასაწყობად და ათენაც მათთანვე იყო,
ხელთ აიგიდა ეპყრა მარად შეუუმუსვრელი,
ოქრომოსილი ქანაობდა ზედ ასი ფოჩი
და თითო ფოჩი ასი ხარი ეღირებოდა.

450 ელვის სისწრაფით დაუარა აქაველთ ლაშქარს,
ბრძოლად მოუხმო, სიმტკიცე და ძალა შეჰმატა,
გული აღუგზნო მოყმეთ მტერთან შესარკინებლად.
ომი გაუხდათ უამესი, ვიდრე გემებით
ტკბილი სამშობლო მიწისაკენ შემობრუნება.

455 თითქოს მთის თხემზე ავარდნილა ცეცხლი სასტიკი,
უსიერ ტყეს წვავს. შემოგარენს ანათებს ალი,
სპილენძი ისე ლაპლაპებდა, როს სპა დაიძრა,
შუქს ჰფენდა ეთერს და ელაგდა ვიდრე ცათამდე.
ვით უთვალავი ფრინველების გუნდი და გუნდი —

460 გრძელყელიანი გედების და წეროებისა
აზიის ველზე. კავსტრიოსის სანაპიროზე
აქეთ და იქით დაფრთხიანებს, ფრთებს ატყლაშუნებს,
მალლით შრიალით დაეშვება, ისე გაცვივდნენ.
აქაველები კარვებიდან, ხომალდებიდან

465 სკამანდრიოსის ველზე, და მყის ცხენთა ფლოქვეტქვეშ,
გმირების ფეხქვეშ აგუგუნდა საზარლად მიწა.
სკამანდრიოსის ველს მოედო სპა უთვალავი,
როგორც ფოთლები, ვით ყვავილნი ვარდობისთვეში.
ვით უთვალავი ბუზთა გუნდი რიალ-რიალით

470 ირევა სოფლად. მწყემსის ქობთან, გარშემო უელის,
გაზაფხულის ჟამს, რძე ქოთნებში როს მიჩხრიალებს,
ისე ურიცხვი იყო ჯარი აქაველების,

- გულანთებული მტრის გათელვის, ბრძოლის წყურვილით.
როგორც მწყემსები, თხათა არეე რომ აირევა,
475 გამოარჩევენ სხვა მრავალთა შორის თავისას,
ისე აწყობდნენ ჯარს რაზმებად წინამძღოლები.
მათ შორის იყო აგამემნონ ერისმთავარი,
თვალებით ჰგავდა და იერთ ზევსს მეხისმტყორცნელს,
არესს სხეულით, ხოლო მკერდით — თვით პოსეიდონს.
480 როგორც მთელს ჯოგში ერთი კურო გამოირჩევა,
და ახოვნებით ყველა მოზვერს დაჯაბნის ხოლმე,
იმ დღეს ისეთი ძალა მისცა მაღალმა ზევსმა
ხალხთა მეუფე აგამემნონს, გმირს ურჩეულესს.

მიმდერეთ ახლა, ო, მუზებო, ოლიმპოს მკვიდრო, —
485 თქვენ ღმერთები ხართ, შეგიძლიათ ჰკრეტა ყოველის,
ჩვენ კი, უმეცართ, მხოლოდ ძველი თქმულებით ვიცით
წინამძღოლები დანაელთა და მესვეურნი.
მე ბევრს ვერ ვიტყვი და ვერ შევძლებ ყველას
ჩამოთვლას,

- ათი ენა და ათი პირი რომ მქონდეს კიდევ,
490 ხმა-მოუღლეელი და ძლიერი, სპილენძის მკერდი.
მუზებო, მკვიდრო ოლიმპოსი, ზევსის ასულნო,
თქვენ გამახსენეთ, ილიონზე ვინც გაილაშქრა,
ჩამოვთვლი გემთა ძეთაურებს და ყველა ხომალდს.
ბეოტიელებს მოუძლოდნენ: პენელეოსი,
495 არკესილავს, კლონიოსი, პროთონორი
და ლეიტოსი, — პირიასა და ავლიდაში,
სქონოსს, სკოლოსში დასახლებულთ, ეტეონოსის
ხევში, გრაიას, მიკალესოსს, თესპეიაში,
ჰარმას გარშემო, ელესიოსს და ერიორეში,
500 ელესოსშიაც, ჰილესა და პეტეონშიაც,
ოკალეეში, მედეონში, მდიდრულ ქალაქში,
ევრეტრისს, კოპეს და მტრედმრავალ ქალაქ თისბეში,
კორონეიას, ბალახიან პალიასტროში,
პლატაიაში და გლისანტში რომ ჰქონდათ ბინა,
505 ჰიპოთებეში — უხვ ქალაქში, წმიდა ორქესტოსს,
ქალაში, სადაც სამსხვერპლო აქვს ღმერთ პოსეიდონს,

- მიდგიაში და არნეში, სად ჰყვავის ვაზი,
 შორს ანთედონში და ღვთაებრივ. წმიდა ნისაში.
 ორმოცდაათი გემი იყო და ყოველ მათგანს
- 510 ბეოტიელი მოჰყვებოდა ასოცი მოყმე.
 ასპლედონსა და მინიოსის ორქომენს მცხოვრებთ
 ასკალაფოს და იალმენოს, არესის ძენი
 უძღოდნენ. შობა ასტიოქენ აკტორის სხვენზე
 ისინი, როცა შეეუღლა ნორცხვი ქალწული
- 515 მწველი, დარული სიყვარულით უძღლავრეს არესს.
 ძმებს ოცდაათი გემი ჰყავდათ ჩამწყარივებული.
 სქედოსი და ეპისტროფოს — ძენი ნავბოლიდ
 იფიტოსისა მოუძღოდნენ მამაც ფოკეელთ,
 კიპარისოსში, პითონეში, ღვთაებრივ კრისას,
- 520 დავლიდასა და პანოპეესში, ანემორეას,
 ჰიამპოლისის მიდამოში დასახლებულებს
 და ღვთაებრივი კეფისოსის სანაპიროსთან,
 ლილაიაში სამოსახლო ჰქონდათ წყლის პირას.
 ორმოცი გემი მოჰყვა გმირებს შავფერდიანი.
- 525 ფოკეელები მიჯრით მიჰყვენენ მარცხენა მხრიდან
 ბეოტიელებს, ესწრაფოდნენ მტრის ჯართან შებმას.
 თილევსის ძე აიანტი ლოკრებს მთავრობდა,
 ტელამონის ძე აიანტის ვერ შესაღარი,
 მაგრამ აქაველთ შორის სელის თორნით მოსილი
- 530 გმირი ყველაზე მარჯვედ ფლობდა საბრძოლო ბოძალს.
 სახლ-კარი ჰქონდათ ლოკრებს კინოსს, კალიაროსში,
 ოპონტს, ბესას, სკარფესა და ავეგიაში,
 ბოაგრიოსის ნაპირებთან, ტარფეს, თრონიოსს.
 ორმოცი გემი მოჰყვა ლოკრებს შავფერდიანი,
- 535 ლოკრებს — ევბეის მიღმა მხარეს დასახლებულებს.
 ევბეას მცხოვრებ, გულადობით განთქმულ აბანტებს,
 ერეტრიაში, ქალკიდაში, ჰისტაიაში,
 ზღვისპირა ქალაქ კერინთოში, მალალ დიონში,
 კარისტოში და სტირას მხარეს დასახლებულებს
- 540 არესის მოდგმის ელფენორი მეთაურობდა,
 ქალკოდონტის ძე, აბანტების მხნე წინამძღოლი.
 გრძელთმებიანი აბანტები მას მოჰყვებოდნენ,

იფნისტარიან ოროლებით სწყუროდათ მხედრებს.
მომხედურთა მკერდი დაელეწათ, აბჯრით დაცული.
545 ორმოცი გემი მოჰყვა გმირებს შავფერდიანი.

კეთილად ნაგებ ციხე-ქალაქ ათენის მკვიდრებს,
სად ერეკთევისმ: დაივანა, ნაყოფიანი.
მიწის ნაშობმა (ალუზრდია იგი ათენას
და დიდ ტაძარში აოცნისა მოუყვანია,
550 სადაც მოყმენი ათენელნი თავს აედრებდნენ
ყოველ წლის ზოლოს ხბორების და ბატკნების ზორვით),
წინ მენესთესი მოუძლოდა პეტეოსის ძე,
მისი სადარი მოყმე ქვეყნად არა შობილა,
რომ ისე ზარჯვედ შეძლებოდა სპათა დაწყობა.
555 მხოლოდ მხცოვანი ნესტორი თუ შეედრებოდა.
ორმოცდათი მათ ჩამოჰყვა შავი ხომალდი.

სალამინიდან აიანტმა თორმეტი გემი
ჩამოიყვანა, ათენელთა ფალანგთან დადგა.
არგოსში ჰცხოვრებთ, ტირინთოსში გალავნიანში,
560 ჰერმიონეში, ღრმა ყურეში მდგარ ასინეში,
ტროიძენსა და ვაზით განთქმულ ეპიდავროსში,
აიგინაში, მასეტაში მცხოვრებ აქაველთ
წინამძღოლობდნენ დიომედე უმამაცესი
და სთენელოსი, საყვარელი ძე კაპანევსის.
565 მათ მოჰყვა მოყმე ღვთაებრივი — ვერიალოსი,
ტალაონიდი მეფის, გმირი მეკესტევსის ძე.
ყველას სარდლობდა დიომედე უმამაცესი.
ოთხმოცი გემი მოჰყვა გმირებს შავფერდიანი.

კეთილად ნაგებ ციხე-ქალაქ მიკენის მკვიდრნი,
570 კეაილად ნაგებ კლეონეში, უხე კორინთოში,
ორნეიეში მოსახლენი, არაითირეს
და სიკიონში, სად ადრესტოს მეფობდა წინათ,
ჰინერესიეს და ბქეძალალ გონოესაში,
პელეონში და ეგიონის შემოგარენში,
575 ეგიალოსში, ჰელიკეში დამკვიდრებულნი

ასი ხომალდით აგამემნონს წამოეყვანა.
სპა ჰყავდა ატრიდს ყველაზე მხნე, ყველაზე მეტი,
მეფე სპილენძის ელვარებით იყო მოსილი
და ამაყობდა გმირთა შორის გამორჩეული,
580 თვისი სიმხნევით და ლაშქართა თვისთა სიმრავლით.

ლაკედემონის ხეობებში მცხოვრები ხალხი,
ფარისს, სპარტასა და მტრედებით განთქმულ მესემში,
ბრისეიეში და მშვენიერ ავგეიეში,
ამიკლესა და სანაპირო ქალაქ ჰელოსის,
585 ლასის მკვიდრნი და მხარეთა ოიტილოსის —
ძმამ მოიყვანა ატრიდისა — მენელაოსმა
სამოცი გემით, ცალკერძოვე დააბანაკა.
თვით ამხედრებდა, თვისი ძალის სჯეროდა მამაცს,
ბრძოლად უხმობდა. მას სწყუროდა ყველაზე მეტად
590 ელენეს ტანჯვა-ვაებისთვის შურისძიება.
იქვე მოსულან პილოსს, თრიოსს და არენეში,
უხე აიპიში, ალფეოსის ხევში მცხოვრებნი,
კიპარისეენტს, ჰელოსსა და ამფიგენიას,
პტელეოსსა და დიარიონში, სადაც მუზებმა
595 თრაკიელ მგოსანს ხმა წაართვეს თამირისს, მოსულს
ექალიედან, ევრისტოსის ექალიედან
იგი ზვიადად აცხადებდა, გავიმარჯვებო,
თუნდაც მუზებს რომ ვამაჯიბრონ, ზევსის ასულეგს
თვალი დაუვსეს და ღვთიური სიმღერის ნიჭი
600 გაქრა, მუზებმა დაავიწყეს კითარის დაკვრა.
ნესტორ უძლოდა სპას, მხედარი გერენიელი.
ოთხმოცდაათი გარანდული გემი ჩამოჰყვა.
არკადიაში, კილენის მთის ფერდობზე მცხოვრებთ.
სად დგას ტაგრუცი, საფლავია ეპიტოსის,
605 ფენეოსში და არვემრავალ ორქომენოსში,
რიპეს, სტრატის და ენისპეს, სად მიწყევ ქარი
ქრის და ნავარდობს, ტეგეეში, მანტინეეში,
პარასიეს და სტიმფელოსში დამკვიდრებულებს
აგაპენორი მეფე, ვაჟი ანკაიოსის
610 სამოცი გემით მოუძლოდა და ყოველ ხომალდს

ბევრი მოჰყავდა მხნე მხედარი არკადიელი.
მათ თვით უბოძა ხალხთ მეუფე აგაბენონმა
მტკიცე გემები, რომ გაეპოთ ზღვა ღვინისუერა,
რაკიდა თვითონ ზუგაოსნობა ეძნელებოდათ.

- 615 ბუპრასიისა და ღვთაებრივ ჰელიდის მცხოვრებთ,
პირზინესა და ნირსინოსის მიღმა მოსახლეთ,
ოლენიეს ტინს, აღისიას თვისად რომ სცნობენ,
ოთხე ბელადი მოუძლოდა, თვითეულ მათგანს
ათი გემი და ეპეელი მოჰყვა მრავალი.
- 620 ეს ოთხე იყო: ანფიმაქოს და თალპიოსი,
(ერთი ძე იყო კტეატოსის და აკტორიდი
ევრიტოსის ძე კი — მეორე), ამარინკიდი
დიორესი და ღვთის სადარი პოლიქსენიოს —
აგასტინიდეს, ანგვიდელთ ბელადის წული.
- 625 დულიქიელთა მამაც ტომებს, მკვიდრებს ექინის
წმინდა კუნძულთა, ელიდის ზღვის წინ მდებარეთა,
მეთაურობდა მძლე არესის მსგავსი მეგესი,
ძე ფილევსისა, დიად ზევსის საყვარელ მხედრის.
დულიქიაში მამის რისხვას გაექცა იგი.
- 630 ორმოცი გემი მოჰყვა მოყმეს შავფერდიანი.
კეფალენიელთ მოუძლოდა გმირი ოდისევს,
ითაკას მცხოვრებთ, ნერიტოსში — ტყით დაბურულში,
კროკილეაში და სუსხიან ეგილიპეში,
ძაკინთოსშიაც და სამოსის მიდამოებში,
- 635 ეპიროსშიაც რომ სახლობდნენ და მის პირდაპირ.
მათ მოჰყვა სარდლად ოდისევსი ზევსის სადარი,
თორმეტი გემი ჰყავდათ წითილფერდებიანი.
ეტოლიელნი მოჰყვნენ თოანტს ანდრემონის ძეს,
პლევრონის მკვიდრნი, ოლენოსის და პილენესი,
- 640 ზღვის სანაპირო ქალკიდესი და კალიდონის.
აწ აღარ იყვნენ არც ინევს და არც ძენი მისნი,
გარდაიცვალა მელეაგროს ქერათმიანი
და თოანტს ერგო ეტოლიელთ ქვეყნის მეფობა.
ორმოცი გემი მას ჩამოჰყვა შავფერდიანი.

- 645 იდომენევის შუბოსანი უძლოდა კრეტელთ,
 კნოსოსში, მაღალგალაენიან გორტინში მცხოვრებთ,
 ლიქტოსს, მილეტოსს, ფესტოსა და თეთრ ლიკასტოსში,
 რიტონშიაც, სხვა ზალხმრავალ ქალაქებშიაც.
 ასქალაქიან კრეტის მამაც ჰოსახლეობას.
- 650 მეთაურობდნენ იდომენეეს და მერიონე —
 ენიალოს კაცთამჟღელეტის ბადალი გმირი.
 ორმოცი გემი მათ ჩამოჰყვა შავფერდიანი.
 სვიან ჰერაკლიდს ტლებოლემოსს, ახოვან მოყმეს
 ცხრა გემით მოჰყვნენ უძლეველი როდოსელები.
- 655 როდოსს ესახლნენ როდოსელნი სამ დიდ ქალაქში —
 იელოსოსში, ლინდოსსა და კამეიროსში.
 მათ შუბოსანი ტლებოლემოს მეთაურობდა.
 ჰერაკლესაგან შეეძინა ასტიოქეას,
 როცა მდინარე სელეენტთან მოჰყვა ბუმბერაზს.
- 660 ეფირეს ჭვეყნად იავარმქმნელს მრავალ ქალაქის.
 ტლებოლემოსი სასახლეში როს დავაჟკაცდა,
 ბოლო მოუღო მამამისის საყვარელ ბიძას,
 მოხუცს, არესის შთამოშავალს, ჭველ ლიკიმნიოსს.
 გემნი ააგო, ხალხი მრავლად შემოიკრიბა,
- 665 ზღვას მისცა თავი, გამოექცა შურისძიებას
 ჰერაკლეს შვილთა და ბადიშთა.

მას თავს გადახდა

მრავალი ჭირი და როდოსში დასახლდა ბოლოს.
 სამ ფილად გაჰყო ჩამოსულნი, ზევის სწყალობდა,
 ადამიანთა და ღმერთების მამა-უფალი,

- 670 დიდი სიმდიდრე ხალხს უბოძა კრონოსის წულმა.

ნირევსს სიმედან მხოლოდ სამი ხომალდი მოჰყვა,
 ნირევსს, მემკვიდრეს ხაროპის და აგლაიეისი,
 ნირევსს, ილიონს მოსულთ შორის უმშვენიერესს,
 ყველაზე ლამაზს, გარდა ფეხმარდ აქილევისა.

- 675 ცოტა მოჰყავდა ხალხი, მეტი ძალა არ ჰქონდა.

ნისირეს მცხოვრებთ, კრაპათოს და კასოსის მკვიდრებს.
 ევრიპილოსის ქალაქ კოსის, კუნძულ კალიდნის --

ფიდიპოსი და ანტიფოსი წინამძღოლობდნენ,
ორი ძე მეფე თესალოსის, ჰერაკლიდისა.

680 მათ ოცდაათი გარანდული გემი ჩამოჰყვა.

ახლა ვუმღეროთ პელაზგიკურ არგოსში მცხოვრებთ,
ალოსს, ალოპეს, ტრექისსა და ფთიას რომ ფლობენ.
ლამაზ ქალებით სახელგანთქმულ ჰელადის მკვიდრებს
ჰქვიათ ჰელენნი, აქაველნი, მირმიდონელნი.

685 მათს ორმოცდაათ გემს აქილევს მეთაურობდა.
მაგრამ მქუხარე ბრძოლა უკვე აღარ ახსოვდათ,
აღარა ჰყავდათ წინამძღოლი.

ხომალდთა შორის
იწვა ფეხმარდი აქილევსი, რისხვით აღესილი
ლამაზთმიანი ბრისეისის დაკარგვის გამო.

690 ლირნესოსიდან მოიყვანა, როცა დაღეწა
ლირნესოსი და თებე შალაღალავნიანი,
მოკლა მინეტოს, ეპისტროფოს შუბისმტყორცნელი,
სელეპიადელ მეფის შვილნი — ევენოსისა.
იწვა მწუხარე, მაგრამ ბრძოლა მალე ელოდა.

695 ფილაკეს მცხოვრებთ, პარასოსის ყვავილოვანის,
ქალღმერთ დემეტრეს წილხვდომილის და იტონისა,
ზღვის სანაპირო ანტრონესი და პტელეოსის, —
პროტესილაოს ჰყავდა მეფედ, სანამ ცოცხლობდა,
ახლა შავ მიწას იყო გმირი მიბარებული.

700 ის ფილაკეში გულმწუხარე ცოლს დაეთხოვა,
აუგებელი დარჩა სახლიც.

დასცა ტროელმა,
როცა ყველაზე უწინარეს დატოვა გემი.
ბელადი ჰყავდა და ძველ ბელადს სპა დასტიროდა.
ახლა პოდარკე მიუძღოდა არესის მოდგმის,

705 ძე იფიკლოსის ფილაკიდის, არვემრავალის,
პროტესილაოს გმირის ღვიძლი ძმა უმრწემესი.
პროტესილაოს ასაკითაც, ძალითაც სჯობდა
თავის უმცროს ძმას.

უბელადოდ არ დარჩა ჯარი.

710 ზარმოცი გემი მოჰყვა გმირებს შავფერდიანი.

დასახლებულნი ბოიბედის ტბასთან, ფერეში,
ბოიბესა და ჭლაფირეში, იაოლკოსში —
თორმეტი გემით მოეყვანა ძეს აღმეტოსის,
ეკმელოსს.

იგი ალკესტისმა შესძინა მეფეს,
715 ულამაზესმა პელიასის ასულთა შორის.

მეთონესა და თავმაკიეს, მელიბოიას
და სუსხიანი ოლიძონეს მოსახლეობის
შვიდ გემს მოუძღვა ფილოკტეტე. მძლე მშვილდოსანი.
ყოველ ხომალდზე იყო მოყნე ორმოცდაათი,

720 მეხოფური და გეომარი უმაპაცესი.
მაგრამ თვით გმირი აუტანელ ტკივილის ებრძოდა
კუნძულ ლეზნოსზე, სად აქაველთ დატოვეს მარტო
საშინელ ჰიდრას საზარელი გესლით მოწყლული...
მალე არგოველთ ფილოკტეტე გაახსენდებათ

725 შავფერდებიან ხომალდებთან.

არ დარჩა ჯარი
უმეთაუროდ, მაგრამ სწუხდა ბელადის გამო.
მედონი, ბუში ოილევის, რაზმებს აწყობდა.
იგი შესძინა რენემ ქალაქთმმსურველ ოილევის.

ქვალორდიანი ოთომეს და ტრიკეს ბინადართ,
730 ექალიესი, ექალიურ ევრიტოს ციხის —
მეთაურობდა ორი ვაჟი ასკლეპიოსის —
პოდალეიროს, მახაონი — მარჯვე აქიმნი.
მათ ოცდაათი გარანდული გემი ჩაოჰყვა.

ორმენიაში და ნაკადთან ჰიპერეიის,
735 ასტერიონში, ტიტანოსის თეთრ თხემთან მცხოვრებთ
ევრიპილოსი ახლდა, შვილი, ევემონოსის,
ორმოც შავფერდა ხომალდს იგი მეთაურობდა.
არგისასა და გირტონეში, თუ ელონეში,
ოლოოსონში, თეთრ ქალაქში დასახლებულებს

740 წინამძღოლობდა მხნე, მამაცი პოლიპოიტე,

პერთოოსის ძე, უკვდავი ზევსის შობილის.
იგი შესძინა პერთოოსს ჰიპოდამეამ,
იმავე დღეს, როცა კენტავრები დასაჯა გმირმა,
ეთიკელებთან ჩამოყრილნი პელიონიდან.

745 მართო არ იყო, ლეონტივესიც ახლდა მხედრობას,
კაინევსის ძის კორონოსის პირწით მამაცი.
ორმოცი გემი მოჰყვა გმირებს შავფერდიანი.

ოცდარ გემით კიფოსიდან მოვიდა გუნევს,
ენიენელნი მოჰყვნენ და მხნე პერაიბელნი.

750 ცივ დოდონისთან ცხოვრობდნენ და ყანასა ხნავდნენ
ტიტარესისა ნაპირებზე, სადაც მდინარე
პენციოსის მხარეს ზვირთთა ლივლივით მიდის,
თუმც არ შეერთვის ვერცხლის ტალღებს პენეიოსის,
ნსოლოდ ზემოდან გადაუვლის ზვირთი, ვით ზეთი,
755 რადგან საზარი სტიქსის წყლიდან მოსდგამს სათავე.

პროთოოსს მოჰყვნენ მაგნეტები, ტენტრედონის ძეს,
პენეოსსა და პელიონთან დასახლებულნი.

პროთოოს იყო წინამძღოლი, გმირი ფიცხელი,
ორმოცი გემი მოიყვანეს შავფერდიანი.

760 ესენი იყვნენ დანაელთა მხნე ბელადები.
ვინ კთქვა ჰველაზე თვალსაჩინოდ, მიმღერე, მუზავ! —
ვის ჰყავდა ცხენი საუცხოო ატრიდთა ჯარში?
რემა მოასხა ევმელოსმა ფერეტიადმა —

765 მოაქროლენდა ფრინველივით ფრთაშესხმულ რაშებს,
ერთიფერთ: ვრთნაირთ, ერთის ხნისას, ტოლებს და
სწორებს,

ბიერიაში აპალონის მიერ გაზრდილებს.

ქვეყნად მოჰქონდათ მათ არესის საშინელება.

ყველასა სჯობდა ჰიანტი ტელამონის ძე,

სანამ აქილევს პრისხანებდა, მჯობნის მჯობნელი,

770 უებრო იყო ბედაჯირიც პელევსის ძისა.

მაგრამ ამყამად უქმად იდგა გმირი ხომალდთან,
განრისხებული ერისმოთავარ აგამემნონზე.

სანაპიროზე ერთობოდა მისი მხედრობა,
ბაღროს ტყორცნა და მშვილდოსნობა გამართულიყო,
775 ცხენებიც უქმად თავთავიანთ ეტლებთან იდგნენ,
შეექცეოდნენ ტკბილ ლოტოსს და ველურ ნიახურს.
მეფის ჩარდახში ეწყო ეტლის მოსართავეები.
არესის რჩეულს, ფეხმარდ ბელადს დანატრებულნი
მერანნი უქმად ვრცელ ბანაკში დასეირნობდნენ.

780 დაიძრნენ სპანი, თითქოს ცეცხლი მოედო მიწას,
კენესა აღმოხდა, როგორც ზევსის მძვინვარების დროს,
როს ტვიფოვესით აპობს ხოლმე ქვეყანას ღმერთი,
არიმოისთან, ტვიფოვესის სამთიობოსთან.
ისე კენესოდა დედამიწა მებრძოლთა ფეხქვეშ.
785 მინდორი სწრაფად გაიარა აქაველთ ჯარმა.

ტროელთ ეწვია მალემსრბოლი მაცნე ირისი,
ფაროსან ზევსის მოციქული, მრისხანე ცნობით.
ტროელნი ბჭობდნენ პრიამოსის ბჭესთან იმყამად,
ქაბუკს თუ მხცოვანს მოეყარა მეფესთან თავი.
790 მათ შორის დადგა და მიმართა მაცნემ ფეხმარდმა,
ხმით მიემსგავსა პრიამეს ძეს, მამაც პოლიტეს,
თვისი სიმარდის იმედით რომ იდგა გუშაგად
მალალ ყორღანზე მხცოვან გმირის აისვეტესი,
რათა გაეგო აქაველთა თავდასხმა დროზე.
797 მიიღო მისი გარეგნობა და თქვა ირისმა:
„მოხუცო, მრავალსიტყვაობა ახლაც გჩვევია,
ვით მშვიდობის უამს, მაგრამ გელის სასტიკი ბრძოლა.
მე არაერთგზის მოვსწრებივარ სისხლისმღვრელ ომებს,
მაგრამ არასდროს არ მინახავს ამდენი ხალხი!
800 ფოთლებივით და ქვიშასავით ურიცხვი ჯარი
მოემართება საბრძოლველად ქალაქისაკენ...
ჰექტორ! მე მოგცემ სასარგებლო რჩევას, მისმინე:
ბევრი შეყრილა მოკავშირე ტროელთ ქალაქში,
მრავალ ენაზე მოსაუბრე, მრავალ ქვეყნიდან.
805 ყოველ ტომს თითო მიუჩინე მოყმე რჩეული,
რომ უწინამძღვროს მხედრობას და მოქალაქეებს“.

ასე უბრძანა და მიუხვდა ჰექტორი ქალღმერთს.
კრება დაშალა. აღიჭურვა ლაშქარი სწრაფად,
გახსენეს კარიბჭე, გამოცვივდნენ მებრძოლნი გარეთ,
810 ქვეითები და ცხენოსანნი. ატყდა გნიასი.

ქალაქთან ახლოს, ველის პირას, ერთი ბორცვი დგას,
აქეთ-იქიდან შეიძლება შემოუარო,
ბატიეიას ეძახიან ოდითვე კაცნი,
ხოლო უკვდავნი — ფეხმსუბუქი მირინეს საფლავს. ;
815 ბორცვთან გაიყვნენ ტროელნი და მოკავშირენი.
ტროელთ ჰექტორი მოუძლოდა ზუჩმოელვარე,
მის გვერდით იდგა რჩეული და დიდაძალი ჭარი.
ბოძალით ბრძოლას ესწრაფოდა გულანთებული.

დარდანელთ მოჰყვა ანქისეს ძე. გმირი ენეას.
820 იგი ანქისეს აფროდიტენ შესძინა, როცა
იდეს ქალაში თანაეყო მოკვდავს ქალღმერთი.
მარტო არ იყო, ანტიგონის ორი ძე ახლდა:
არქელოქოს და აკანანტი, ომში ნაცადნი.
იდეს ფერდობის. ძელეიას მხარის ბინადართ,
825 რომელსაც სვამდნენ წყაროს შავი აისეპოსის,
ლიკაონის ძე მოუძლოდა, მძლე პანდაროსი,
რომელსაც მშვილდი თვით აპოლონ ღმერთმა უბოძა.

ადრასტეაში, ველ-მინდვრებში აპაისოსის,
პიტეიაში, ტერეიეს ფერდობზე მცხოვრებთ
830 ადრესტოსი და ამფიოსი წინამძღოლობდნენ,
ძენი პერკოსელ მეროპისა, სახელგანთქმული
მისნის, რომელიც ძვირფას შვილებს ნებას არ რთავდა,
დამღუპველ ომში წასულიყვნენ.

მათ არ უსმინეს —
ბედმა უბიძგა ბედკრულთ შავი სიკვდილისაკენ.
835 პერკოტესა და პრაქტიონის მხარეს მოსახლეთ,
სესტოს, აბიდოს და ლეთიური არისბეს მკვიდრებს
წინამძღოლობდა ასიოსი, ჰირტაკეს წული
სწორედ ასიოსს არისბედან მოჰყავდა რაშნი,

ვეება, ფიცხნი, სელენტის სანაპიროდან.

840 ჰიპოთოროსი მოუძლოდა შუბოსან პელაზგთ,
უხვნაყოფიან ლარისაში დასახლებულებს,
არესის მოდგმის ჰიპოთოროს და პილაიოს.
ორივე იყო ტევტამიდი ლეთოსის ვაჟი.

აკამანტსა და პერითოროსს თრაკიელები

845 ქარიშხლიანი პელესპონტის მხრიდან წამოჰყვენენ.
კიკონ ევფემოს მოუძლოდა შუბშემართულებს,
ტროიძენოსის ძე, კეადის — ზევსის შობილრს.
პეონნი მოჰყვენენ პირაიქმეს, მშვილდმორკალულნი,
ამიღონედან და წყალუხვი აქსიოსიდან,
850 აქსიოსიდან, ასე უხვად რომ რწყავს ქვეყანას.

პაფლაგონიელთ მოუძლოდა მხნე პილემენე,
ველურ ჯორებით სახელგანთქმულ ენეტეს მხრიდან,
კიტოროსის და სესამოსის მიდამოებში,
პართენიოსის ნაპირებზე დასახლებულებს,

855 ერითინიოსს, კრომნასა და ეგიალოსში.
ჰალიძონები ეპისტროფოსს, ოდიოსს მოჰყვენენ
ვერცხლის შორეულ საბადოდან — ალიბეს მხრიდან.
წინამძღოლობდნენ მისიელებს ქრომის, ენომოს —
კაცი ჩიტებით მარჩიელი; ვერ არგო ცოდნამ:

860 ბედს ვერ გაექცა, აქილევსმა მოკლა ფეხმარდმა.
წყალში დაახრჩო, ტროელთ, და სხვათა მმუსვრელმა.
ფორკისს მოჰყავდა ფრიგიელნი და ასკანიოსს —
ასკანიიდან, ანთებულნი ბრძოლის წყურვილით.

ანტიფოს, მესთლე მოუძლოდნენ მეონიელებს,

865 ტალიმენეს ძენი, შობილთ გიგაიესთან
მეონიელნი მოჰყვებოდნენ ტმოლოსს შობილნი.
კარელთ, მოუბართ ბარბაროსულ ენა-კილოზე,
მილეტში, ფთირეს ტყით დაფარულ კალთებზე

მცხოვრებთ,

მაიანდროსის ნაპირებთან, მიკალეს თხემთან,

870 ამფიმაქოსი მოუძლოდა და ქველი ნასტე,

ამფიმაქოს და ნასტე — ძენი ნომიონისა,
 რომელიც ომშიც კოპწიობდა, როგორც ქალწული,
 მაგრამ ბედშაღი სიკვდილისგან ვერ იხსნა ოქრომ:
 ბოლო მოეღო მდინარეში პელიდის ხელით
 875 და ოქრო შერჩა გამარჯვებულს — ფეხმარდ აქილკესს.
 სარპედონსა და სვიან გლავკოსს ლიკიელები
 მოჰყენენ ქსანთოსის ხეობიდან და ლიკიიდან.

ქიზა მესამე

ფიცი. ალექსანდროსისა და მენელაოსის შერკინება

- სპათა საბრძოლო წყობა მოჰყვა მამაც ბელადებს
 და გამოიჭრნენ ტროელები მძლავრი ყიფინით.
 ასე ყივიან წეროები ცის კაბადონზე,
 ზამთრის ქარბუქს და თავსხმას როცა თავს დააღწევენ.
- 5 გუნდი და გუნდი გადაუფრენს ჭავლს ოკეანის
 და ქონდრისკაცებს ემუქრება საზარ სიკვდილით,
 გამძვინვარებით დააცხრება ცის წიაღიდან.
 უხმოდ დაიძრნენ აქაველნი, რომ ერთსულოვნად
 მტერსაც შებმოდნენ და ერთმანეთს მიშველებოდნენ.
- 10 თითქოს მთის თხემზე ნოტოსს ნისლი დაუფენია,
 მეხრეთა მტერი, ღამესავით ქურდთა ქომაგი,
 ქვა რომ ისროლო, ნისლში მანძილს თვალს ვერ გააწვდენ...
 ასე ავარდა ტერფებიდან კორიანტელი,
 სწრაფად მიმავალთ ბული მტერისა უკან რჩებოდათ.
- 15 როცა მიაღვნენ ერთურთს სპანი შესარკინებლად,
 ტროელთ ღმრთეებრი გამოეყო ალექსანდროსი,
 ვეფხისტყაოსანს მორკალული მშვილდი ბეჭებზე,
 ხოლო თეძოზე ხმალი სცემდა, სპილენძის ოროლს
 იგი ამაყად იღერებდა, ყველა არგიველს
- 20 შესარკინებლად მოუხმობდა და ორთაბრძოლად.

მენელაოსმა თვალი მოჰკრა, ღმერთის არესის
რჩეულმა გმირმა, როცა მოყმე სპას გამოეყო.
ისე იხარა, როგორც ხარობს მშიერი ლომი,
ქორბუდა ირემს, ველურ ქურციკს რომ წააწყდებდა.

25 გამძვინვარებით ბრღვეინავს, თუნდაც თვითონ იმავე დროს
ფეხმარდ მწევართა, მეძებართა ალყა გარს ერტყას.

ასე იხარა მოყმემ, როცა ალექსანდროსი
თვალნათლივ ნახა, შურისგება მყის განიზრახა,
ეტლი დათმო და ძირს გადმოხტა აბჯარასხმული

30 მაგრამ ტროელმა, ღვთის სადარმა, როცა შენიშნა,
როგორ ბრწყინავდა მეწინავე, გული შეეუკრთა,
ხალხს მიეფარა და ანაზღად ვაექცა სიკვდილს.
თითქოს ურჩხული ხეობაში ნახაო მგზავრმა,
უკუმიიქცა და სახსრები აუცახცახდა

135 ანაზღედულად ლტოლვილსა და ღაწვგაფითრებულს.
ამაყ ტროელთა მწკრივში ასე ჩაკარგულიყო
შეძრწუნებული ღვთის სადარი ალექსანდროსი.

როს თვალი ჰკიდა, შეარცხვინა მოყმე ჰექტორმა;
„ლამაზო პარის, მექალთანევ. მაცდუნებელი!

40 არ შობილიყავ, ან უცოლოდ დახშობილიყავ, —
მე ვინატრიდი! განა ბევრად ეს არა სჯობდა,
ვიდრე სირცხვილი, სიძულვილი საყოველთაო!
ხედავ. ხარხარებს თმახუჭუჭა სპა აქაველთა,
შენ რომ ეგონეთ გმირი, შენი მშვენების გამო.

45 ლამაზი კი ხარ, მაგრამ მხდალი, სულით უძლური.
მაინც გაბედე ბობოქარი ზღვა დაგეძლია,
ერთგული ხალხი შეგეკრიბა, უცხო ტომებთან
შეპარულიყავ, მოგეტაცა ღირსება ქალის, —
დაი და რძალი შეგრჩენოდა მხნე თოროსანთა.

50 ეს შესძელ ხალხის, მამაშენის საუბედუროდ,
შენს ბედზე შესძელ შენდა ჭირად, საამოდ მტერთა.
რად არ შეხვდები მენელაოსს, არესის რჩეულს?
ნახავ, რა კაცის ათქვირებულ ცოლს დაეუფლე!
შენ რომ კითარა, აფროდიტეს მადლი არ გეცხოს —

5.5 ლამაზი თმები და იერი, მტვრად იქცეოდი!

მხდალნი ყოფილან ტროელები, თორემ ქვის ქიტონს
შემოგავლებდნენ ესოდენი ჭირის მიზეზო!“

მყისვე მიუგო ღვთაებრივმა ალექსანდროსმა:

- „ჰექტორ, სწორი ხარ და ნებაც გაქვს ჩემი ყვედრების.
60 მკერდში შენ გიცემს გული მტკიცე, როგორც სეკირა —
ხის მჭრელის ხელით ხეს რომ აპობს და როცა გემის
ძელეებს გამოთლის, ძალას აძლევს მოწადინებას...
ასევე ურყევ სულს ფლობ, მაგრამ ნუ დაამცირებ
სასიყვარულო მადლს ოქროვან აფროდიტესა.
65 ღვთაების ჯილდო არასოდეს დაიწუნება,
რადგან თვით გვაძლევს, ვერ მოვიხვეჭთ ჩვენი სურვილით!
შენ ვინდა ბრძოლად გამოვიდე. მტერს შევეჯიკნო?
უბრძანე ტროელთ და აქაველთ — დაწყნარდეს ყველა,
შუაში გაჯალთ ნუ და გძირი მენელაოსი,
70 ელენესათვის შევეცნებით სპათა წინაშე.
ვინც გაიზარჯვებს ჩვენ ორს შორის, ყველა საუნჯეს
გათათვისებს და ღიაცაა სახლში წაიყვანს.
თქვენ კი, ფიცის და მეგობრობის ერთგულნო, დარჩით
ტროაში!

წავლენ აქაველნი ვემებით არგოსს,

- 75 ლამაზ ქალებით დამშვენებულ აქაიში“.
ასე ბრძანა და გულს მოეშვა ღვთაებრივ ჰექტორს,
შუაში ჩადგა, ჩაარიგა ტროელთ ფალანგნი.
ხელთ ეპყრა შუბი,

დაშოშმინდა მაშინ ლაშქარიც...

- მაგრამ მოზიდეს მშვილდნი კმირმა აქაველებმა,
80 ბრავალს ოროლის და შურდულის ტყორცნა ეწადა.
ხმამაღლივ ლაშქარს მოუწოდა აგამემნონმა:
„არგოსის მკვიდრნო. აქაველნო! იყუჩეთ, ყრმანო!
ზუჩმოვლვარე ჰექტორს სიტყვა უნებებია!“

ასე უბრძანა, დააოკა ბრძოლის წყურვილი.

- 85 ლაშქარს მიმართა ღვთაებრივმა გმირმა ჰექტორმა:
„ყური მომაპყართ, ტროელნო და მხნე აქაველნო,
აი, რა უნდა ალექსანდროსს — ამ ბრძოლის მიჯნებს:

- ტროელთ მოუხმობს და აქაველთ, აბჯრით შემოსილთ,
 უხვნაყოფიან ველზე დადონ შუბ-ფარ-შიმშერი.
- 90 თვითონ შეხვდება მენელაოსს, არესის რჩეულს
 და ელენესთვის მას საჯაროდ შეერკინება.
 ვინც გაიმარჯვებს იმ ორს შორის, ყველა საუნჯეს
 დაეუფლება და დიაცსაც სახლში წაიყვანს.
 ჩვენ კი ძმობა ვთქვათ და შევიკრათ ღვთაებრივ ფიციტ!“
- 95 ასე ამბობდა, სპა უსმენდა სულგანაბული.
 მენელაოსმა კი ასე თქვა კეთილშობილმა:
 „მეც მომისმინეთ! დარდი სერავს ჩემს გულს საზარი,
 დიდიხანია ამას ვფიქრობ: დროა, შერიგდნენ
 ტროელები და არგიველნი.
- ბევრი გხვდათ ჳირი
- 100 ალექსანდროსის და ატრიდის ქიშპობის გამო.
 ვისაც ჩვენს შორის უწერია სიკვდილი ბედად,
 ნურც გადარჩება, თქვენ კი ახლავ უნდა შერიგდეთ.
 მსხვერპლად შეეწიროთ თეთრი კრავი და შავი ცხვარი
 მზესა და მიწას, სხვა ზვარაკი — დიად კრონიონს.
- 105 უხმეთ პრიამოსს და თვითონვე თქვას ზენაარი,
 რაკი მის შვილთა სიტყვას კაცი ველარ ენდობა.
 დე. ვერვინ შეძლოს ღმრთის წინაშე ფიცის გატეხა.
 ვერ ერწმუნები ჳაბუკის გულს, ფუქსავატ ნათქვამს
 ხოლო მოხუცი მუღამ განსჯის წინდახედულად,
- 110 ორსავე მხარეს იგი მხოლოდ კუთვნილს მიუზღავს“.

- აქაველთ ჳარმა და ტროელთა სპამ გაიხარა,
 იგრძნეს, რომ ბოლო ეღებოდა ომის სატანჯველს.
 ცხენნი დააცხრეს, ეტლებს ახსნეს მოსართავეები,
 განიარაღდნენ, საჭურველი ახლოს დაიდვეს.
- 115 მებრძოლთა შორის მხოლოდ ვიწრო მინდორი დარჩა,
 ჳექტორმა ორი ბალემსრბოლი გაგზავნა ტროას,
 კრავნი მოასხით და პრიამოსს თხოვეთო მოსვლა.
 იგივე უთხრა ტალთიბიოსს აგამემნონმა —
 ჳვარაკად კრავნი მოეყვანათ ხომალდებიდან.
- 120 დაემორჩილა ბალემსრბოლი ატრიდის ნებას.

ირისს უნდოდა თეთრხელება ელენესათვის
სიტყვა ეთქვა და ძვირფას მულის სახე მიიღო,
რომელს ქმრად ჰყავდა ჰელიკონ ანტენორიდი.
ლმერთი ემსგავსა პრიამოსის ქალს ლაოდიკეს,
125 ჩარდახს შევიდა, სად ელენე ქსოვდა მშვენიერ,
ორხაულ ფარდაგს.

აესახა ზედ შერკინება
ტროელ მხედართა და აბჯროსან აქაველების,
ბრძოლა, არესის მკაცრი ხელით ტანჯვის მომგვრელი.
ასე მიმართა ქალს ფეხმარდმა მაცნე ირისმა:
130 „ძვირფასო ნიმფავ, ნახე საქმე გასაკვირველი
ტროელ მხედართა და აბჯროსან აქაველების
ნახე ლაშქარი, არესის ხმით გულანთებული
ველზე რომ იდგა, სისხლისმღვრელი ომი სწყუროდა.
როგორ დაწყნარდა!

ბრძოლა შეწყდა და მეომარნი.
135 ფარს დაყრდნობიან. ჩაურჭვიათ შუბი მიწაში.
მხოლოდ გმირ პარისს. მენელაოსს — არესის რჩეულს
სწადიათ ერთურთს შეერკინონ რვალის შუბებით,
რომ შენ სანუქვარ მეუღლედ გცნოს გამარჯვებულმა“.

უთხრა და სულში ჩაუღვარა გრძნობა უტკბესი —
140 ფიქრი ქალაქზე, პირველ ქმარზე, ნათესავეებზე.
ადგა ელენე, სხივმოსილი სპეტაკ ქსოვილით,
სამთიობოდან გამოვიდა, მღუღარე ცრემლი
თვალზე მოადგა. მოახლენი მიჰყვნენ: აითრე —
პიტევესის ქალი და კლიმენე თვალეცმციმა.
145 მალე მიადგნენ სკაიას ბჭეს, მალლა აღმართულს.
იქ იყვნენ: მეფე პრიამოსი და თიმოტიე,
პანთოს, ლამპოსი, კლიტიოსი, ჰიკეტაონი,
უკალეგონ და ანტენორი.

ბრძენნი მოხუცნი
ისხდნენ სკაიას კარიბჭესთან მალალ ვოდოლში.
150 მხცოვანთ აწ ბრძოლა არ შეეძლოთ, მაგრამ ბჭობის

მძლეობდნენ სიტყვით, ვით ჭალებში — ჰიკინობელა,

დროს

- ხეთა შტოებში დამალული და მოქაჩქახე.
 ერთად მოგროვდა კოშკში ტროელ მოხუცთა დასი.
 თვალი რომ მოჰკრეს მათთან მოსულ ლამაზ ელენეს,
 155 ერთურთს მიმართეს დარბაისელთ ფრთიანი სიტყვით:
 „ვერ გააძტყუნებ, რომ ტროელნი და აქაველნი
 ასეთ ქალისთვის ომს და ხანგრძლივ ტანჯვას ითმენენ:
 მართლაც რომ ქალღმერთს შეედრება იგი მშვენიებით!..
 მაგრამ სჯობს, ქალი მშვენიერი დროზე მოგვეშორდეს,
 160 გემს დაუბრუნდეს დამღუპველი სანუკეარ ყრმათა!“
 ხოლო მოხუცმა პრიამოსმა ქალს დაუყვავა:
 „მომიასლოვდი, საყვარელო ასულო, ჩემო!
 აქედან ნახავ პირველ ქმარსაც და ახლობლებსაც.
 შენ უბრალო ხარ, ბრალი ღმერთებს მიუძღვით მხოლოდ:
 165 შემოგვისიეს აქაველნი, ცრემლის მომტანნი.
 ჩამოჯექ, მითხარ მე სახელი დიდებულ კაცის —
 ვინ არის ის ყრმა ახოვანი? აქაველთ შორის
 მასზე მაღალი მეომარი სხვაც შეიძინევა,
 მაგრამ ასეთი მშვენიერი თვალს არ უხილავს,
 170 და არც ასეთი სვიანი ყრმა: მეფეს ჰკავს იგი!“

- მოხუცს მიუგო მშვენიერმა ქალმა, ქალთამზემ:
 „უნდა მიყვარდე, მამამაალო, თან შიშიც მქონდეს!
 ნეტავ, სიკვდილი მღირსებოდა, რიცა გამოვეყვე
 შენს შვილს, დავტოვე საქორწინო, ტყბილი საწოლი,
 175 ქმები, ასული საყვარელი და მეგობრები.
 ასე არ მოხდა და ამიტომ ცრემლად ვიღვრები!..
 შენს შეკითხვაზე გიპასუხებ, დიდო მეფეო:
 ეს კაცი გახლავს ატრევსის ძე აგამემნონი,
 სვიანი მეფე და მებრძოლი ძალგულოვანი.
 180 მაზლი ერქვა და, ვაგლახ-უღირსს, მყოლოდა მაზლად!“

- გაოცდა მეფე, აღტაცებით წამოიძახა:
 „ქუღბედიანო და ნეტარო ატრევსის ძეო,
 რამდენ აქაველს წინამძღოლობ, აბჯრით შემოსილს!
 ოდესღაც ვაზით სახელგანთქმულ ფრიგიას ვიყავ,
 185 შევხელი ფრიგიელთ, მარდ რაშებზე ამხედრებულებს,

ატრევსისა და ღვთის სადარი მიგდონის ლაშქარს.
ბრძოლად იწვედნენ სანგართოსის სანაპიროსთან,
მათს მხედრობაში მოკავშირედ მეც კითვლებოდი.
ამაძონები ჩვენ გვებრძოდნენ კაცთმოძულენი,
190 აქაველებთან თუშე სიმრავლით რას მოვიღოდნენ!“

როცა იხილა ოდისევსი, ჰკითხა ჰოხეცა:
„მითხარი, შვილო საყვარელო, ეს ვინლა არის?
ერთი თავით რომ დაბალია - გამეგნონაზე,
მაგრამ, ჰგონია, არის უფრო მხარბეჭიანი.
195 ვგირს საჭურველი ნაყოფიერ ქიწახე უდევს,
ვერძივით დადის ზეომათა ჯალანგებს შორის.
მე ვერძს მაგონებს, ამაყად რომ კერცხლისფერ მატყლით
დახუჭუჭებულ ცხვრების ჯარას მიუძღვის ხოლმე“.

უთხრა ელენემ მშვენიერმა, ზეუსის შობილმა:
200 „ეს ლაერთიდი, ჰკუაუხვი ოდისევსია,
ითაკის ხალხის და კლდოვანი მიწის აღზრდალი,
მრავალთ მრავალი ხრიკითა და სიბრძნით აღსავსე“.

მყის ანტენორმა ჩამოართვა სიტყვა ელენეს:
„ჰეშმარიტია შენი სიტყვა, სვიანო ქალო!
205 ოდესლაც ჩვენთან მოციქულად იყო ოდისევს,
შენს გამო.“

ასლდა მენელაოსს არესის რჩეულს.
მე მივიწვიე. მეგობრულად გავუნასპინძლდი.
გავიგე სიბრძნეც, ხასიათიც ორივე გვირის.
ტროელთა დასში თუკი ერთად კამოჩნდებოდნენ,
210 ფართო მხარბეჭით ჰოდმეს სჯობდა მენელაოსი,
თუ დასხდებოდნენ, ახოვანი ჩანდა ოდისევს.
როცა კრებაზე გვირებს ჰჭონდათ რამე სათქმელი,
მენელაოსი სიტყვას მალე იტყოდა ხოლმე.
ბერს არ ამბობდა, როდი იყო ენაწყლიანი
215 და მჭერმეტყველი.

შედარებით მასზე უმცროსი
ჰკუაულევი ოდისევსიც წამოდგებოდა,

დინჯად ძირს მიწას დასცქეროდა თვალმბდახრილი,
კვერთხს არ არხევდა, მარჯვენაში ეჭირა მტკიცედ,
ჩვეულებრივი მეომარი გეგონებოდა.

220 ჰგავდა ან უგნურს, ან რამეზე განაწყენებულს,
მაგრამ როგორც კი მძლავრ ხორხიდან ბგერას დაძრავდა,
თოვლის ბუქივით ბაგეთაგან ბორგავდა სიტყვა!
ვინ გაბედავდა ვაჟკაცისთვის სიტყვა მოექრა?
ჯარგად ვიცნობდით ტროელეები მაშინ ოდისეესს“.

225 შემდეგ აიანტს რომ შეხედა, ჰკითხა მოხუცმა:
„ეს აქაველი ვინლა არის ესოდენ მძლავრი,
სხვებზე მაღალიც და ყველაზე მხარბეჭიანი?“

მეფეს მიუგო ღვთაებრივმა ქალმა ელენემ:

„ტელამონის ძე აიანტი — აქაველთ ბურჯი!

230 ხოლო კრეტელთა სპას მოუძღვის იდომენევსი,
ერთად შეყრილან წინამძღოლნი კრეტელთა ლაშქრის.
მას ხშირად ძმურად მასპინძლობდა მენელაოსი,
როცა კრეტიდან გვეწვეოდა სვიანი გმირი.
სხვასაც ბევრს ვხედავ აქ თვალმახვილ აქაველ მოყმეს,
235 ყველას ჯარგად ვცნობ, შემიძლია ჩამოვითვალო.
ორი არა ჩანს მხოლოდ ლაშქრის დამწყობთა შორის:
კასტორ-მხედარი, პოლიდეკოს — მხნე მეომარი,
ჩემთან ერთად რომ შვა ამ ქვეყნად ძვირფასმა დედამ.
იქნებ არ დათმეს მხიარული ლაკედემონი,
240 იქნებ გემებიც მოაყენეს აქ საზღვაოსნო,
მაგრამ არა სურთ ჩაერიონ ქმრების დავაში,
ჩემი მტანჯველი, მწველ სირცხვილით შეწუხებულებს!“

ასე ამბობდა, მაგრამ ამ დროს გმირებს ფარავდა
ლაკედემონში მშობლიური წიაღი მიწის.

245 ილიონიდან მოციქულებს ცხვარი მოჰყავდაო
ველთა ზეარაკად

ღვინო — გულის დამატკობელი
ესხა ახიერში, იდაიოსს ნიჰქონდა, მაცნეს,
ოქროს თასებიც და ფიალა შექმნოელვარე.

- ეახლა მოხუც პრიამოსს და ასე მიმართა:
- 250 „ლაომედონტის ძე, მობრძანდი, გთხოვენ ბელადნი
მხედარ ტროელთა, რვალით მოსილ აქაველების
სურთ ბრძოლის ველზე მათ ეწვიო, რომ ფიცი დასდონ.
ალექსანდროს და ღვთაებრივი მენელაოსი
შუბებით გავლენ ქალის გამო შესარკინებლად.
- 255 ვინც სძლევს, ქალსაც და საგანძურსაც დაეუფლება.
ჩვენ ძმობას ვიტყვი, ღვთაებრივ ფიცს, ტროას
დავიცავთ,
ხოლო ცხენმრავალ არგოსს წავლენ არგიველები,
ქალმშვენიერი აქაიაც აქაველთ ელის“.

- ასე თქვა. მოხუცს ელდა ეცა. მზღებლებს უბრძანა,
260 ეტლში შეებათ ბედაურნი. შვებით დათანხმდნენ.
კოფოზე დადგა პრიამოსი, აღვირს მოსწია,
გვერდს უმშვენიებდა ანტენორი.

- სკაიას ბჰიდან
ველზე გავიდნენ, გააქროლეს მარდი ცხენები.
როს მიაღწიეს ტროელთა და აქაველთ ლაშქარს,
265 ჩამოხდნენ ცოცხალ არსებათა გამზრდელ მიწაზე
და ტროელთა და აქაველთა პირისპირ დადგნენ.
მათ შეეგებნენ მამაცთ მეფე აგამემნონი
და ჰკუაუხვი ოდისევსი.

- უკვე მზად ჰყავდათ
ზვარაკი წმიდა ფიცისათვის,
ერთ ფიალაში

- 270 არიეს ღვინო,
მეფეთ წყალი ასხურეს ხელზე,
აგამემნონმა ორლესული მძლავრი მარჯვენით
იშიშვლა მამინ ქარქაშიდან. ხუჭუჭა მატყლი
წააჭრა ბატკნებს საზვარაკოს,

- ორმა შიკრიკმა
რჩეულ ტროელთ და აქაველებს გაუნაწილა.
275 მეფე ატრიდმა ლოცვით ხელნი აღაპყრო მაღლა:
„იდას თხემიდან მბრძანებელო მამაო ზევსო!
ყოვლის მხედველო, ყოვლის მსმენო მზეო-ჰელიოსი

წყაღნო და ჰინავ, ღმერთნო,

სულთა სასუფეველში

ღამსჯელნო კაცთა,

ვინც ცრუ ფიცის დადება სცადა!

280 მოწმედ გვეყავით; შეგვინახა ფიცი გულწრფელი:
თუ აღექსანდროს დაანარცხებს გმირ მენელაოსს,
შეინარჩუნებს ელენეს და ყველა საგანძურს,
ჩვენ კი გავცურავთ ზღვადნავალი გემებით მაშინ.
თუ აღექსანდროსს სძლევს ატრიდი ქერათმიანი,

285 ტროელთ ელენე დაგვიბრუნონ და საგანძური,
ხარკი მიუზღან არგიველებს შესაფერისი,
რომ ეს ამბავი გადაეცეს შთამომავლობას.
თუ უარს ყოფენ პრიამოსი და ძენი მისნი,
პარისის ცოდვა ხარკით მაინც გამოისყიდონ.

290 კვლავ ამხედრდებით, სანამ ეპოვებთ კუთენილ საზღაურს,
კვლავ აქ დავრჩებით, სანამ ბრძოლი: დასასრულს
უნახავთ“.

თქვა და ცხვრებს ყელი გამოლადრა სასტიკ სპილენძით,
ორივე დასცა სულთმობრძავი; ათრთოლებული,
ბასრმა მახვილმა გააცალა სიცოცხლი: ძალა.

295 მოხაპეს მზინავ კრატერიდან თასებით ღვინო,
ზვარაკს ასხურეს, უკვდავ ღმერთებს ლოცვით მიმართეს.
ასე ღალადყო ტროელთა და აქაველთ წარმა:
„ზევსო დიადო, და ღმერთებო. მარად უკვდავნო!
ვინც კი პირველი შეეცდება ფიცის დარღვევას,

300 ტვინი დასთხიოს, ვით თასიდან იღვრება ღვინო
და ვერაგის ცოლს ეხვეოდეს უცხოტონილი!“

ასე ევედრნენ, მაგრამ ზევსმა არ შეიწყნარა...

ლაშქარს მიმართა პრიამოსმა, ტროელთა მეფემ:

„გესნათ. ტროელნო, აქაველნო აბჯარასხმულნო!

305 გშორდებით. ტროას ვუბრუნდები მაღალბორცვიანს.
ძალა არ მყოფნის, რომ ჩემივე თვალით ვიხილო
საყვარელ შვილის შერკინება მენელაოსთან.
ზევსმა უწყის და სხვა უკვდავმა ღმერთებმა მხოლოდ
მებრძოლთა შორის სასიკვდილო ბოლო ვის ელის“.

310 ასე თქვა, ეტლში ჩასვა ვერძი ქველმა მოხუცმა,
კოფოზე დადგა და პოზიდა სადავეები,
გვერდს უმშვენიებდა ანტენორი.

ბრწყინვალე ეტლი
შემოაბრუნეს, გააქროლეს ილიონისკენ.

მაშინ ჰექტორმა პრიამეს ძემ და ოდისევსმა

315 გაზომეს ბრძოლის ასპარეზი, შემდეგ ჩაყარეს
წილი სპილენძის მუზარადში, რომ გაერკვიათ.
ვის ერგებოდა შუბის ტყორცნა თავდაპირველად.
ირგვლივ ლაშქარი ლოცულობდა ხელაპყრობილი.
ბევრი ტროელი დაღადებდა და აქაველი:

320 „იდას თხემიდან მბრძანებლო მამაო ზევსო!
ვინც მიზეზია დამღუპველი შუღლის და ომის,
დამარცხებული დაანარცხე ჰადესის მღვიმეს,
ჩვენ კი ფიცი და მეგობრობა კვლავ განგვიმტკიცე!“

ჰექტორმა თვალი მოარიდა, ისე უყარა

325 ჩაჩქანში წილი, ჰარისს ერგო პირველი ტყორცნა.
დასხდნენ ვებრძოლნი, ჰიატოვის მარდი ცხენები
და ათასფერი საოპარი აკაზმულობა.

თორნ-მუზარადით აღიჭურვა ლკითური გმირი
აღექსანდროსი, ლაძაზთმიან ელენეს ქმარი.

330 ჯერ თეთრ ფეხებზე დაიმაგრა საბარკულები,
მჭიდროდ შეკრულნი, ვერცხლის სალტით

შემოსალტულნი.

წვივი დაიცვა, შორგებულ ტორნი ჩაიცვა,
სახელოვანი საჭურველი ლიკაონის ძმის,
მხარზემით ხმალი ვადაიდლო, ვერცხლის სამსჭვალნი

335 და რვალის პირი რომ შვენოდა, ფარი ხელთ იპყრა.
მოყმეს ჩაჩქანი მოკაშკაშე ეხურა თავზე.
ზუჩზე მრისხანედ ქანაობდა ძუა მერანის.

მძიმე შუბს დასწვდა. ხელთ რომელიც პირველად მოხვდა,
იმავედროულად აღიჭურვა მენელაოსიცი

340 როცა აისხეს იარაღი თავ-თავის რაზმში.

ორივე ჩადგა ტროელთა და აქაველთ შუა.

თვალნი მრისხანედ უელავდათ, შიშის ზარს სცემდნენ
ლამაზაბჯროსან აქაველებს და მხედარ ტროელთ.
მიუახლოვდნენ ერთუროს გმირნი დათქმულ ადგილზე,
345 შუბი შემართეს მძვინვარებით.

ალექსანდროსმა

პირველმა სტყორცნა მტერს ოროლი გრძელჩრდილიანი.
ატრიდს მრგვალ ფარზე შეელეწა შუბი, სპილენძმა
ვერ გააღწია, გაიღუნა მყისვე ბუნციკი.
მომხვდურს სპილენძი მოუღერა მენელაოსმა,

350 მამაზეციერ ზევსს მიმართა მხურვალე ლოცვით:

„შენ შემეწიე, რომ ოჯახის შემგინებელი
ალექსანდროსი ჩემი ხელით მიწას დაასკდეს.
რომ მოერიდოს შორეული შთამომავლობაც
კეთილი სტუმარ-მასპინძლობის ბოროტად ზღვევას“.

355 ასე თქვა მძლავრად სტყორცნა შუბი გრძელჩრდილიანი

პარისს მრგვალ ფარში ჩაეჭვდა მძიმე ოროლი,
მყის გაარღვია თეთრი ფენა მძლავრმა სპილენძმა,
აბჯარი გაჭრა მოოჭვილი, შიგ გაატანა
და საზარდულთან დაუფხბრიწა ნაზი ქიტონი.

360 შავ სიკვდილს უკან გადახტომით გაექცა მოყმე.

იწიშვლა მეფემ ხმალი ვერცხლის საშსკვალიანი,
მუზარადს დასცა, მაგრამ რვალი ჩაჩქნის კიდებზე
სამ-ოთხ ნატეხად გადაემსხვრა და გაუვარდა.
ზეცას შეხება და შეჰყვირა მენელაოსმა:

365 „ზევსო! ღვთაება არ მეგულვის შენზე ბოროტი!
იმედი მქონდა დამესაჯა ალექსანდროსი
და ხელში ხმალი შემომემსხვრა,

ამაოდ ვტყორცნე

თურმე ოროლიც: მე არ ძალმიძს მისი განგმირვა!“

მტერს თავს დაესხა, ხელი სტაცა ზუჩის ფაფარზე

370 და დაითრია აქაველთა მხედრობისაკენ.

ნაზ ყელთან მტკიცედ ჩაეჭიდა ღვედს მჭიდროდ დაწნულს,
ნიკაპის ქვემოთ რომ შეეკრა მძიმე ჩაჩქანი.

მიჰგვრიდა ლაშქარს, დიდ სახელსაც მოიპოვებდა,

რომ აფროდიტეს არ დაეხსნა თვისი რჩეული
375 და ხარის ტყავი დაჭიმული არ გაეწყვიტა,
მხოლოდ ჩაჩქანი მენელაოსს შერჩა ამოდ.

ბრაზით ჰაერში გაიქნია,

ლამაზაბჭრიან

აქაველთაყენ ძოისროლა, მათ შეინახეს.

კვლავ მიეძალა რვალის შუბით, ბრძოლა სწყუროდა,
380 მაგრამ ქალღმერთმა აფროდიტემ სქელი ბურუსი
გარს შემოავლო, ყრმა რჩეული თვალს მოაშორა.
მალე დატოვა სურნელოვან სამთიობოში.
სწრაფად წავიდა ელენესთან,

მალალ ქონგურზე

ნახა ტროელი დიაცებით გარშემორტყმული

385 და ფრთხილად კეთილსურნელოვან კაბას შეეხო.
ქალღმერთი მოხუც ქალს ემსგავსა, ხნიერ მოახლეს,
ლაკედემონის ქალაქში რომ კაბას უქსოვდა,
გულით და სულით რომ უყვარდა მეფის ასული.
ასე მიმართა აფროდიტემ ჰჰვენიერ, დიაცს:

390 „შინ დაბრუნდიო, ალექსანდრე გახმობსო, ქალო,
სამთიობოში გელოდება ყრმა სხივნათელი,
ვერც იტყვი, ქმარი რომ მამაც მტერს შეხვდა ახლაჩან,
იფიქრებ, ფერხულს საცა არი შეუდგებო,
ან ძილს ინებებს შუშპრობიდან ახალ მოსული“.

395 ასე უთხრა და აუწყეწა სული ელენეს...

მაგრამ როგორც კი შეამჩნია ქალმა ქალღმერთის
მკერდი ქათქათა, ელვარება ვნებიან თვალთა,
ასე მიმართა აფროდიტეს ელდაცემულმა:

„ოი, სასტიკო! კვლავ შეცდენა გწადია ჩემი?

400 ან გსურს ხალხმრავალ, რომელმე შორეულ ქალაქს,
ფრიგიისა და მეონიის ციხეს მიმგვარო?
ვინმე საქმარო იქაც ხომ არ შეგირჩევია?
მენელაოსმა დღეს რაკილა სძლია პარისი,
სურს კვლავ ოჯახში დანაბრუნოს უღირსი ქალი...
405 რად მომეველინე ჩემთვის ისევ ავის მზრახველად?

შენ თვითონ წადი შენს რჩეულთან, დათმე ღმერთები,
ნაზი ტერფებით აწ ოლიმპოს აღარ შეეხო,
ვნებით ეწამე, უალერსე, სანამ მოკვდავი
გიწოდებს მხევალს ან მეუღლეს!

ომის ველიდან

- 410 გაქცეულს აღარ ვეახლები! მრცხვენია კიდევ
გავიზიარო სარეცელი! ტროელ დიაცთა
დაცინვას სადღა გავექცევი? მაკმარე ტანჯვა!“

- რისხვით მიუგო აფროდიტემ, ზევსის ასულმა:
„ხმა გაიკმინდე, უბედურო! თორემ მე ძალმიძს
415 ისე უზომოდ შეგიძლო, როგორც მიყვარდი!
ორივე ხალხის მძვინვარებას შენკენ მოვმართავ
და არ აგცდება საშინელი სიკვდილი ხვედრად!“

- თრთოლვა მოჰგვარა ამ სიტყვებმა მწყაზარ ელენეს.
ვერცხლებრ მზინავი მოსასხამი წამოიხურა,
420 ქალთაგან ჩუმად გაჰყვა ქალღმერთს სასახლისაკენ.
მალე მიადგნენ სამთიობოს ალექსანდროსის.
ორი მხევალი მყის შეუდგა შინაურ საქმეს.
ჩუმად შევიდა კოშკში ქალი,

მომგადოებლად

- მას უღიმოდა აფროდიტე. და სავარძელი
425 თვითონ აიღო, ქპრის წინაშე დაუდგა დიაცს.
დაჯდა ელენე, ფაროსანი ზევსის შობილი,
მეუღლეს თვალი მოარიდა და უთხრა ასე:
„ბრძოლის ველიდან ნეტავ მოსვლა არ გღირსებოდა
ჩემი ქპრის ხელით დაღეწილს და განადგურებულს!
430 აკი ტრაბახით აგვიკელი — გმირ მენელაოსს
ორთაბრძოლაში დავჯაბნიო ძალით და შუბით?
აბა წადი და ერთხელ კიდევ გამოიწვიე!
თუმცა, არ გირჩევ, გიჯობს სახლში იძინო მშვიდად
არ მიეკარო მენელაოსს ქერათმებიანს.
435 ასე უგნურად შერკინება აღარ გაბედო,
ძრწოდე, ოროლმა არ დაგძლიოს ვინძლო გმირისა!“
პასუხად უთხრა ქალს პარისმა ფრთიანი სიტყვა:

- „ნუ დამიღონებ, მეუღლეო, გულს საყვედურით.
 დღეს ათენასთან ერთად მძლია მენელაოსმა.
- 440 მეც მელის ძლევა, ხომ ჩვენცა გვყავს ღმერთი მფარველი
 მო, დავწვეთ ახლა, ვიგრძნოთ სიტყბო ტრფიალებისა
 მკერდში არასდროს აღმგზნებია ასეთი ალი,
 არც იმ ბედნიერ დღეს, როდესაც გამოგიტაცე
 ლაქედემონის ქალაქიდან სწრაფი ხომალდით
- 445 და კრანაეში შეგვაერთა ტკბილმა ალერსმა...
 შენი წადილით გული ახლაც ალაშქრებულა!“
 თქვა და წავიდა საწოლისკენ, თან მიჰყვა ცოლი
 ერთად დიდებულ სარეცელზე დაწვენენ ნებივრად.
- ატრევსის ძე კი ამ დროს მინდვრად, როგორც ნადირი
 450 ისე დაძრწოდა, ალექსანდრე ვნახოო იქნებ.
 მაგრამ ტროელებს და მათს სვიან მოკავშირეებს
 როდი შეეძლოთ მოყმის კვალი ეჩვენებინათ,
 თუმცა არ სურდათ დაემაღათ მეგობრულ გრძნობით,
 მათაც კი სძულდათ, ვით სიკვდილი აუცდენელი.
- 455 მაშინ ხმამალლა განაცხადა აგამემნონმა:
 „მისმინეთ, სპანო ტროელთა და მოკავშირეთა!
 ყველამ იხილა გამარჯვება მენელაოსის.
 მაშ, დაგვიბრუნეთ ელენე და მიტაცებული
 განძი ყოველი და ახლავე ხარკი ვაიღეთ,
 460 რომ ხსოვნა გაწვდეს ჩვენს მორეულ შთამომავლობას!“

აქველებმა მოწონების ყიჟინა დასცეს.

ქება მეოთხე

ფიცის გატახა. აგამემნონის მიერ ლაშქრის შემოვლა

კრონიდის ოქროს სასახლეში ისხდნენ ღმერთები
 და ბაასობდნენ, დედოფალი ჰებე ნარნარად
 ოქროს ფიალით ურიგებდა უკედავებს ნექტარს.

ერთუროს ეტყოდნენ სადღეგრძელოს და ტროის მხარეს
5 გადასცქეროდნენ, როცა ზევსმა ინება ჰერას
გაწიწმატება,

დამცინავად ჩაუარაკა:

„მენელაოსის მოკავშირედ ორ ქალღმერთს ვხედავ:
ჰერას არგიველს და ათენას ალალკომენეს,
მაგრამ ორივე შორს ბრძანდება, შორით უმზერენ

10 და ეს ამშვიდებთ.

ათროდიტე კი მომღიმარი

თან ახლავს რჩეულს, ბედს სწევს ხოლმე.

ახლაც დაიხსნა

მოყმე. სიკვდილის მოლოდინით ათროლოლებული,
თუმც აშკარაა, რომ დაჭაბნა მენელაოსნა.

აბა, რას იტყვით, როგორ გნებავთ დამთავრდეს საქმე?

15 ისევ აღვაგზნოთ ბრძოლის ცეცხლი. შუილი საზარი,

თუ ორ ტონს შორის სანუკვარი ზავი დამყარდეს?

უკეთუ ყველას სიათოვნებს მათი მშვიდობა,

არ დაინგრევა პრიაშოსის ქალაქიც მაშინ

და შინ წაიყვანს მენელაოს ლამაზ ელენეს!“

20 ამოიოხრეს ათენამ და ჰერამ.

ქალღმერთნი

გვერდი-გვერდ ისხდნენ. ტროელთათვის ავს იზრახავდნენ,

მაგრამ პალასი ჩუმად იყო, მრისხანე სიტყვით

ზევსს არ მიმართა, თუმც ბორჯავდა მის სულში ბოლმა.

ჰერამ ვერ შეძლო დაოკება მძვინვარე რისხვის:

25 „ჰოი, 'სასტიკო კრონიონო, რა ბრძანებაა —

რატომ არაუზრად ჩამითვალე მოწადინება?

ქანცი გაუწყდათ ცხენებსაც კი, როს ჩარი დავძარ

პრიაშოსის და მისი მოღვმის გადასათქერად.

ჰქმენ, რაცა ვნებავს, ამით ყველა ღმერთს ვერ აამებ!“

30 მრისხანედ უთხრა ქალღმერთს ზევსმა

ღრუბელთმქუფრავთა:

„ბოლმით აღვსილო! პრიაშოსმა და მისმა მოღვმამ

რა ბოროტება შეგამთხვიეს, რომ გწყურის მიწყურ

გაცამტვერება ილიონოს, სვიან ქალაქის?

- შენ რომ შეგეძლოს შეაღწიო გალავნის შიგნით,
 35 ცოცხლად შთანთქავდი პრიამოსსაც, ეის ნაშიერთაც
 და ყველა ტროელს, დაიცხრობდი მაშინლა ბოლმას!
 ჰქმენ, რაცა გნებავს! ღვიარძლიანად თუნდაც ვიდავოთ,
 ჩემ და შენ შორის არ იელვებს მტრობის სახმილი.
 ერთს კიდევ გეტყვი, დაიხსომე. გულს ჩაიბეჭდე:
 40 როს რისხვით გზნებულს ძსურს დავლეწო ციხე-ქალაქი,
 სამშობლო კაცთა, გულის შენის მამებელთა,
 თავისუფლება მომეც, რისხვას ნუ გამინელებ!
 გითმობ ამ ქალაქს, თუძცა გული პეთანადრება.
 მანათობელ მზის და ხომლიან ცის კამარის ქვეშ
 45 რაც ქალაქი ჩანს, მოკვდავთაგან დასახლებული,
 ყველაზე მეტად ილიონი გულს ეფონება,
 პრიამოსი და სპა შუბოსან პრიამოსისა.
 მარადლე იქ ჩემს საკურთხეველს ზორვა შევენოდა,
 ზედაშე, კვამლი და ყოველი, რაც ღმერთს ეკუთვნის“.

- 50 ზეესს კვლავ მიუგო დედოფალმა ხარისთვალეზამ:
 „ყველაზე მეტად ქვეყნად ვეტრფი სამ ციხე-ქალაქს,
 არგოსს, სპარტას და პიკენს ჟართოფოლორცებიანს.
 იავარჰყავი, თუ შეგაჰულდა, ყველა მათგანი
 არ დავიფარავ არც ერთს და არც შენ გაგიდგები.
 55 რაც უნდა ძწარედ გულს მიკლავდეს მათი მოსზობა,
 ძალა არ შეძწევს მრისხანების, მძლავრზე ძლიერო
 მაგრამ ამაოდ დაიხარჯა ქალღმერთის გარჯა?
 მეც ხომ ღმერთი ვარ, ვით შენ! ჰოდგმით ჩვენ ხომ ერთნი
 ვართ!

- მე, უძველესსა ქალ-ღვთაებას, კრონოსის ასულს,
 60 გული სავსე მაქვს სიამაყით, დად და პეულღედ
 შენ რომ გეკუთვნი, შენ — მეუფეს ყველა უკვდავის!
 მაგრამ დავენსნათ შულღს, შეკრიგღეთ, ერთურთს
 შევეუნდოო.

მე — შენ და შენ კი მე დამითმე და ყველა ღმერთმა
 ჩვენვე ჰოგვბამოს!.. მაშ, უბრძანე ახლავ ათენას

- 65 ჩაებას ტროელთ და აქაველთ სისხლისმღვრელ ომში.

ისე მოიქცეს, რომ ტროელებს დაარღვევინოს
პირველად ფიცი აქაველთა გასაწბილებლად“.

ასე მოუბარს დაეთანხმა უკვდავთა მამა,
ფრთიანი სიტყვა მიაგება ქალღმერთ ათენას:

- 70 „სწრაფად ეწვიე ტროელთა და აქაველთ ბანაკს,
ისე მოიქეც, რომ ტროელებს დაარღვევინო
პირველად ფიცი აქაველთა გასაწბილებლად“.

- ქალღმერთს, ისედაც მოწადინეს, გული მიეცა,
ოლიმპოს მთიდან გადმოიჭრა, როგორც მთიები,
75 კრონოსის ძე რომ სასწაულად მოუვლენს ხოლმე
ზღვას მინდობილ სპას, ან მხედრობას — მტერს
შერკინებულს

- და ნაპერწკლები სცევივა ვარსკვლავს აურაცხელი...
იმ ვარსკვლავივით: მოსწყდა ზეცას მაშინ ათენა,
განცვიფრებული შესცქეროდა ტროელთ მხედრობა
80 და სპა საბარკულმშვენიერი აქაველების.
ასე ეტყოდნენ მებრძოლები ერთმანეთს:
„კვლავ საძულველი, სისხლისმღვრელი ატყდება ომი.
ანდა მშვიდობას დაამყარებს ელვისნტყორცნელი, —
ლაშქართა შორის ბრძოლის საქმე მას ეკითხება“.

- 85 ასე ამბობდნენ ტროელნიც და აქაველებიც,
როცა ქალღმერთი მოევლინა ტროელთა ლაშქარს —
ლაოდოკოსის სახე ჰქონდა — ანტენორიდის
და კითხვა კითხვით: დაეძებდა ღვთიურ პანდაროსს.
მალე იპოვა ლიკაონის მანაცი შვილი.

- 90 გარს მოჯარვოდა ფაროსანთა რაზმი პანდაროსს —
აისეპოსის ხეობიდან მოსულ მოყმეთა.

მივიდა ღმერთი და ჰიმართა ფრთიანი სიტყვით:

„ხომ გაძიგონებ ლიკაონის გულადო ვაჟო?

ხომ შეგიძლია მენელაოსს დასცე ისარა?“

- 95 ტროელი. მადლობას და დიდებას მოიხვეჭ უნალ,
ყველაზე მეტად დაგიმადლის ალექსანდროსი,
განძით აგავსებს, თუკი ნახავს, რომ მენელაოს —

- ატრევისის ძე და სიქადული ღმერთის არვისის,
 ისრით ქდეული დასაწვავად კოცონზე აპყავთ.
- 100 გაბედე, მოსპე მენელაოს სახელოვანი!
 ჭრ ფიცი დასდე, რომ ლიკიელს ვერცხლისმშვილდოსანს
 მსხვერპლად შესწირავ ნორჩ ტარიგთა ასზვარაკეულს,
 თუ ძელეიეს ცინე-ქალაქს დაუბრუნდები“.
- ასე უბრძანა და უგნურის გული აღაგზნო,
- 105 ყრმამ მოიმარჯვა მშვილდი ფენხალ ქურციკის რქისა,
 რომელს ოდესღაც მონადირემ ჩასაფრებულმა
 კლდიდან ასხლეთილს განუწონა მკერდში ისარი.
 გულგანგმირული ტინს დაასკდა ქურციკი უმაღ.
 თექვსმეტ მტკაველზე აღმართოდა საბრალოს რქები.
- 110 სწორედ ისინი შეაერთა რქების ოსტატმა,
 მშვილდი გამართა და ოქროთი მოავარაყა.
 მოყდემ ეს მშვილდი დაუმიზნა, დაბლა დასწია.
 რაზში მშვილდოსანს აეფარა დიდი ფარებით,
 რომ აქაველებს, არვისის ძეთ, არ წინა ესწროთ,
- 115 სანამ დასცემდა მენელაოსს, ძეს ატრევისისა.
 კაპარკს ახადა ხუფი, მხოლოდ ერთი დააძრო
 ისარი, შავი სატანჯველის წყარო ფრთიანი,
 სწრაფად გაჭიმულ ლარს მოარგო და აღთქმა მისცა
 ვერცხლისმშვილდოსან აპოლონ-ღმერთს, ლიკიას
 შობილს, —
- 120 შემოგწირავო ნორჩ ტარიგთა ასზვარაკეულს,
 თუ ძელეიეს ცინე-ქალაქს დაკუბრუნდები.
 მკლავრად მოხიდა ისრის ბოლო და ხარის ძარღვა.
 ძუძუსთავს ძარღვი ზედ ჰიადო და მშვილდს — ბუნიკი.
 როგორც კი შუა გაიღუნა მშვილდი, რქის ქახანს
- 125 ლარის ხუზუნნი თანეგ ჰოჰყვა. ისარი პასრი
 მყისვე გაფრინდა კტრების სიკვდალს დახარბებული.
 მაგრამ არ დაგომეს, მენელაოს, დიდმა ღმერთებმა,
 მონიჭებელმა ნადავლისა — ასულმა ზევსის.
 გადაგეფარა, დაუშალა სიკვდილის მომგვრელს
- 130 შეხება შენი. აგაცილა, ვით ნაზმა დედამ,
 ბუხს რომ აუქმევს ხოლმე ტუბილად ჩაძინებულ შვილს.
 იქით მიმართა მან სპილენძი, სად ოქროს ბალთა

- კრავდა წელსარტყამს და ორმაგი ელავდა თორნი.
 ბასრი ფრთოსანი მყის დაეჭდო ატრიდის სარტყელს,
 135 გააპო კიდევ წელსარტყამი ულამაზესი,
 ჯავშანიც უცხოდ მოკაზმულ გავლითა უშალ,
 რვალის ქამარშიც გააღწია, სხეულს ისრისგან
 რომ იფარავდა, ვერ გაუძლო სპილენძის ფენამ
 ბუნეის ძალას, ვაიკაწრა მეომრის კანი
 140 და ჭრილობიდან ამოხეთქა წითელმა სისხლმა.

ძოწით რთავს ხოლმე ფინიკიურ სპილოს ძვალს ქალი
 მფონიელი — ცხენთა მდიდრულ საყბეთურისთვის,
 ხოლო პატრონი შინ ინახავს.

- ბევრ მხედარს უნდა
 ხელში ჩაიგდოს, მაგრამ განძს ვერ დაუფლებია,
 145 ცხენის და მხედრის სახელოვან. მეფურ სამკაულს.
 და შენც ასევე, მენელაოს, ძოწისფერ სისხლით
 აგიფორაჯდა თეთრი თეძო, ლამაზი ფეხი.

- მამაცთ მეუფე აგამემნონს თავზარი დასცა
 ძმის ჭრილობიდან მომჩქეფარე სისხლის ნაკადმა,
 150 შედრკა არესის სანუკვარი მენელაოსიც,
 როცა იხილა ჩაქედილი წვერი ისრისა.

- მაგრამ კვლავ გული სიმამაცით აევსო ვაჟკაცს.
 აგამემნონმა შეაშველა ძმას ხელი ოხვრით,
 სპაც იქვე იდგა ნაღვლიანი. აღერსით უთხრა:
 155 „ძმაო, ძვირფასო, მე გაგწირე, როს ფიცს დავდე,
 აქაველთ გამო შეგარკინე ტროელთ მხედრობას.

- მათ კი შენ დაგჭრეს. დაარღვიეს აღთქმა ღვთიური!
 რალა ფასი აქვს ზენაარს და ზედაშეს, ზვარაკს,
 ან ერთგულების ნიშნად ნები ნებს რად. დაერთო,
 160 თუ აღთქმას აღარ აღასრულებს ღმერთი მაღალი,
 თუმც გვიან, მაგრამ მაინც მოსთხოვს აღთქმის საზღაურს,
 შვილების, ცოლის და საამო სიცოცხლის ფასად!
 ჩემს სულს ღრმა რწმენა დაეუფლა და გული მითქვამს,
 რომ ილიონის ბჭე ოდესნე განადგურდება,
 165 პრიამოსიც და სპა შუბოსან პრიამოსისა.

მადლივმეუფე კრონიონი, ეთერის მკვიდრი,
ტროელთა თავზე აიგიდას მოიქნევს საზარს,
გაუტანლობით გულგამწყრალი. ასე იქნება!
მაგრამ მე მომკლავს მწუხარება, ო, მენელაოს,
170 თუ სულთმობრძავი აქა ჰპოვებ სიცოცხლის სამანს!
მელის უწყალოდ გაწბილებულს უწყლო არგოსი,
აქაველებსაც სამშობლოში დარდი დასერავს.
ჩვენ აქ დავტოვებთ პრიამოსის, ტროელთ საამოდ
ლამაზ ელენეს.

შენი ძვლებიც დაინაცრება

- 175 შორეულ ტროის მიწა-წყალზე დაშლილ-დაფშენილი.
მაშინ ტროელიც გულზვიადი ამაყად იტყვის,
მენელაოსის საძვალეზე ფეხით შემდგარი:
„ასემც იყრიდეს ხოლმე მტრის ჯავრს აგამემნონი!
ამაოდ ჩვენკენ წამოასხა სპა აქაველთა
180 და კვლავ გაუდგა სამშობლოს გზას დაცლილი გემით,
აქ კი დატოვა უპატრონოდ მენელაოსი!“
იტყვის და მაშინ ჩემს ფერხთა ქვეშ გაიბე, მიწავ!“
დაღვრემილს გული გაუმაგრა მენელაოსმა:
„მხნედ იყავ, შიშის ზარს ნუ დასცემ აქაველთ ლაშქარს.
185 ვერ მომაყენა სასიკვდილო დარტყმა სპილენძმა,
იგი დააცხრო მოოქვილმა ქამარმა, ბალთამ
და წელსარტყამმა, გაჭედილმა ოსტატთა მიერ“.
მაშინ მიუგო გმირს მეუფე აგამემნონმა:
„თუკი ასეა, მენელაოს, ჭვირფასო ძმაო,
190 ახლავ გასინჯავს ნაჭრილობევს ქველი მკურნალი
და მწარე ტკივილს დაგიამებს მისი მალამო“.

თქვა და მიმართა ტალთიბიოსს, ღვთაებრივ მაცნეს:
ო, ტალთიბიოს, მახაონი მაახლე ახლავ,
ასკლეპიოსის ძე, მკურნალი სახელოვანი.

- 195 ნახოს ატრევსის ვაჟი, ქველი მენელაოსი,
ტროელ მშვილდოსანს თუ ლიკიელს რომ დაუჭრია
მათდა საამო-სასახელოდ, ჩვენს სადარდებლად“.

დაემორჩილა სიტყვას მაცნე და შეერია
იგი სპილენძისქიტონიან აქაველთ ლაშქარს.

- 200 ხალხს რომ გახედა, დაინახა მხნე მახაონი,
 იდგა და ირგვლივ ფაროსანთა სპა მოსჯარვოდა,
 ცხენმრავალ ტრიკეს მხრიდან მასთან ერთად მოსული.
 გვერდით დაუდგა და მიმართა ფრთიანი სიტყვით:
 „გასწი, მახაონ, აგამემნონ მოვიხშობს ახლავ,
 205 ნახე ატრევსის ძე, სვიანი მენელაოსი,
 ტროელ მშვილდოსანს თუ ლიკიელს რომ დაუჭრია,
 მათდა საამო — სასახელოდ, ჩვენს სადარდებლად“.
 მისმა ნათქვამმა აუმღვრია სული მახაონს.
 მსწრაფლ გაიარეს აქაველთა სპა უთვალავი,
 210 მიადგნენ დაჭრილ ატრიდს ქერა კულულებიანს
 და კეთილშობილთ, მის გარშემო ერთად თავმოყრილთ.
 მათ შორის იყო მენელაოს, ღმერთის სადარი.
 მკურნალმა სცადა მკვირვ თორნიდან ისრის აგლეჯა,
 მძლავრად მოსწია, გაელუნა ფხა ისარს ფრთიანს,
 215 გაირღვა თორნი მოელვარე და წელსარტყამი,
 მკიდროდ ნაჭედი მესპილენძე ოსტატთა მიერ.
 გასინჯა, ფრთხილად გამოსწოვა სისხლი დაისრულს,
 შემდეგ მკურნალმა დააფინა დაჭრილს მალამო,
 მამამისისთვის ბრძენ ქირონს რომ ესწავლებინა.
- 220 როცა ბელადნი მენელაოსს თავს ევლებოდნენ,
 ფარ-შიმშერიან ტროელთა სპა ბრძოლად დაიძრა.
 კვლავ აღიჭურვა და აღინთო სრულად ლაშქარი.
 იქ ვერ ნახავდი აგამემნონს ჩათვლემილს უქმად,
 შემკრთალს, შედრეკილს, თუ ბრძოლისგან
 თავმოძულებულს.
- 225 ომს ესწრაფოდა სახელის და დიდების მომტანს.

რვალით ელვარე ეტლი დათმო, გაუშვა რაში —
 ძლივს ამავრებდა მოჭიხვინე ცხენს მეჭინიბე
 ევრიმედონტი, ძე ჰეირად პტოლემეოსის.
 უბრძანა ახლოს ყოფილიყო, სანამდის ლაშქარს
 230 შემოვივლიდა და საომრად სპას დააწყობდა.
 ფეხდაფეხ გაჰყვა მებრძოლთ: რიგებს აგამემნონი.
 სადაც კი შეხვდა სწრაფცხენიან დანაელ მებრძოლს,

უფრო ალაგზნო საბრძოლველად მგზნებარე სიტყვით:
„ო, არგველნო! სიმაჰაცე მოიხმეთ. შმაგი!

235 დიადი ზევსი არ იქნება ვერაგთა შემწე,
ფიცის გამტეხთა, პირველ ჩვენთა შემგინებელთა!
დაიჩხება ხმლებით მათი თეთრი სხეული,
საყვარელ ცოლებს და ძუძუთა ბავშვებს მოვტაცებთ,
ხომალდზე დავსხამთ, როცა ქალაქს მოვეუღებთ ბოლოს!“

240 და თუ ნახავდა — ბრძოლას ვინმე თვალს არიდებდა,
არ დაინდობდა, შესძახებდა განრისხებული:
„ვაი, სირცხვილო! არგველნო! თქვე უბადრუკო,
მხდალი შევლივით რას გაშეშდით ზარდაცემულნი?
ველზე გაქრილნი შედგებიან ხოლმე მაშვრალნი

245 და მათ ძარღვებში არ ბოგინობს სული და ძალა.
თქვენც ასე დგახართ და აყოვნებთ ბრძოლის დაწყებას.
განა მოელით, სანამ მოვა ყველა ტროელი
ჩვენს ხომალდებთან, აქაფებულ. თეთრ ზღვის კიდეზე,
რომ იქ გაიგოთ, თუ რა ზეირს დაგაყრით ზევსი?“

250 ასე უვლიდა, ამხნევებდა მებრძოლთა რიგებს.
მიადგა კრეტელთ, როცა განვლო მხედართა დასი.
იღომენევსთან იდგნენ, ბრძოლად ემზადებოდნენ.
მათი ბელადი ტახსა ჰკავდა კამძვინვარებულს,
იქვე ფალანგებს ალაგზნებდა მხნე მერიონე.

255 მათი შემყურე აგამემნონ აივსო ლხენით
და იღომენევსს ტყბილი სიტყვით მიმართა მოყმემ:
„გმირო, ცხენმრავალ დანაელთა მებრძოლებს შორის
ომშიც, საქმეშიც მუდამ ყყავხარ გამორჩეული,
ზეიზის ქამსაც. როცა მწდენი შუშხუნა ღვინოს

260 შეუზავებენ მონადიმე არგველთ ხოლმე.
და წინამძღოლნი თმახუტუტა აქაველების
შეექცევიან სასმისს, მაგრამ შენი ფიალა
მიწყევ სავსეა: სვამ ჩემსავით, რაც გულს სწყურია.
გასწი ამყად, ვით ყოველთვის, მტერთან საომრად!“

265 პასუხად უთხრა კრეტელების მხედარომთავარმა:

„ატრიდო, მარად გიერთგულეებ რჩეულ მეგობარს,
მოცემულ სიტყვას მე არასდროს არ გადავსულვარ.
ნუ დაყოვნდები, გაამხნევე სხვა აქაველნიც.
შევუდგეთ ბრძოლას! წმინდა ფიცი გატეხეს ტროელთ.

270 პირველად მათვე ელით ტანჯვა, განადგურება,
ვინც ფიცი დაგმო, შეურაცხვეყო მუხანათურად!“

ასე ამბობდა და გასცილდა გულმხნე ატრიდი,
სპა გაიარა და მიაღგა გმირ აიანტებს.

275 ბრძოლის თაღარიგს შესდგომოდნენ ლაშქარმრავალნი.
როცა სერიდან ხედავს ხოლმე მწყემსი შავ ღრუბელს,
ზღვაზე დაფენილს, ზეფირი რომ მიერეკება,
შორიდან შავი ეჩვენება, მკვარტლივით შავი,
ზღვის ზემოთ მსრბოლი და ქარიშხლის წინამორბედი.
შეძრწუნებული მწყემსი ფარას მღვიმეში სდევნის, —
280 სწორედ იმ ღრუბელს ჰგავდნენ სპანი აიანტისა,
სისხლისმღვრელ ბრძოლას ესწრაფოდნენ ხშირნი

ფალანგნი,

ხშირი ფარ-შუბი შეემართათ მრისხანედ მალლა.

მათი შემყურე ცას ეწია აგაჰემნონი,

ფრთიანი სიტყვა მიაგება რჩეულ ვაჟაკებს:

285 „ჩაქვისპერანგა არგიველთა ქველნო ბელადნო,
აიანტებო! არ გიბრძანებთ ხალხის ანთებას
ბრძოლის სახმილით. თქვენ ისედაც აქეზებთ ლაშქარს.
ზევსო მამაო, ათენაჲ და მძლეო. აპოლონი!

ყველას ძარღვებში სიმამაცე რომ ჩქეფდეს მსგავსი,

290 ძირს განირთხნოდა პრიამოსის ციხე-ქალაქი,
გმირთა მარჯვენით ნაცარტუტად იაუარქმნილი“.

ასე უთხრა და გაემართა სხვათა მოხილვად.

შეხვდა ნესტორი პილოსელი, ტკბილმოუბარი,

რაზმებს აწყობდა. საბრძოლველად სულს აღუნთებდა.

295 თან პელაგონი, ალასტორი და ქრომიოსი
ახლდნენ წინამძღოლს, ჰაიმონიც, მეფე ბიანტიც.
მხედრები თვისი ეტლებითურთ წინ დააყენა,
მათ უკან ბევრი გულუმხნესი იდგა ქვეითი —

ბრძოლის ბურჯები. ხოლო მხდალნი შუა მოექცნენ,
300 რათა ებრძოლათ იძულებით ან თვისი ნებით.
თავდაპირველად მხედრებს მისცა რჩევა მოხუცმა —
მწკრივს ნუ დაშლითო, რია-რია ნუ ირეცითო:
„არვინ მარულა არ გამართოს წინააწილად,
წინ არ გაიჭრას ტროელებთან შებმის წსურჯელი
305 და არც ჩამორჩეს: ამით თქვენს თავს დააუძლურებთ.
ვინც თვისი ეტლით შეეხლება! ეტლს შემხვდურისა,
შუბი იმარჯვოს წამახულა, ხსნა ჰპოვოს ამით.
ასე ვანგრევდით ჩვენც გალაგნებს, ციხე-ქალაქებს,
ასე შემოგვრჩა გონება და სული ძლიერი“.

310 დინჯად ურჩევდა სპას მოხუცი მრავალნაცადი.
მისი შემყურე ცას ეწია აგამემნონი,
ფრთიანი სიტყვა მიაგება გულმხიარულმა:
„ნეტავი, ნესტორ, რაც გული გაქვს, ისე გერჩოდეს
მუხლები მოხუცს, შეგორჩენოდა ცინცხალი ძალა!
315 მაგრამ სიბერე მოგრევი! სხვებს მორეოდა,
შენ კი, ნეტავი, კვლავ გებრწყინა ჭაბუკთა შორის!“

ატრიდს ნესტორმა უპასუხა გერენიელმა:
„ენა ვერ იტყვის, როგორ მინდა ისეთი ვიყო,
როგორიც მაშინ, როცა ვძლევდი ერევთალიონს!
320 ერთად ყოველი ღმერთს კაცთათვის არ ემეტება.
მაშინ ჭაბუკი ვიყავ, ახლა მთრგუნავს სიბერე.
და მაინც შევძლებ გავამხნევო სიტყვით მხედრობა,
აი, პატივი ერთადერთი, რაც რჩება მოხუცს.
დაე ზოძალი უმრწემესმა მხედრებმა ტყორცნონ,
325 ჩემს შემდეგ შობილთ, თვისი ჯანის იმედი რომ აქვთ“.

ასე თქვა გმირმა და გასცილდა გულმხნე ატრიდი.
ნახა მენესთევს პეტევსის ძე, მძლე მეომარი,
უქმად მდგომარე ათენელთა რაზმიც იხილა,
და იქვე იყო ოდისევსი, ჭკუაუღლევი,
330 გარშემო — სპანი ბრძოლანაცად კეფალენელთა,
უქმადვე იდგნენ, არც სმენიათ ომის გნაისი.

ამ დროს ფალანგნი ბრძოლით ერთუროს ელენებოდნენ
ტროელ მხედართა — სწრაფმსრბოლელთა და აქაველოა.
შემოეშველა აქაველთა ახალი ტალღაც,

335 დასცხო ტროელებს და გაჩაღდა ბრძოლა საზარაო.

უქმად რომ ნახა სპა, განრისხდა აგამემნონი,
ფრთიანი სიტყვით ერისმთავრებს ასე მიმართა:
„პიტევსის ძეო, ღვთაებრივი მეფის მემკვიდრეო,
შენც, ვერაგული ნიჭითა და ხრიკით სავსეო,

340 ნეტა ვიცოდე, რას ელით და რას იმალებით?
უპირველესად თქვენ შეგფერით გაიზიაროთ
მეწინავეთა ხვედრი — ფიცხელ ბრძოლაში ჩაბმა,
თქვენ კი პირველნი მობრძანდებით ხოლმე ნადიმზე,
როს უხუცესთა წვეულები ელით აქაველთ

345 იქ გეამებათ შებრაწული ხორცის ნაჭერი,
ღვინით შექცევა, გულს რამდენიც გაუხარდება,
აქ კი უყურებთ სეირს ყველა, თუნდ აქაველთა
ათი ფალანგი თქვენზე აღრე მტერს შეერკინოს“.

ჭკუაულებმა ოდისევსმა მიმართა მეფეს:

350 „ატრიდო, ეს რა სიტყვა დასცდა შენთა ბაგეთა?
შენ ამბობ — ბრძოლას გავერიდეთ?

თუ აქაველნი

ტროელთ მხედრობას თავს დავატებთ არესის რისხვას,
ნახავ. თუ გინდა მონაწილე გახდე ბრძოლისა,
რომ ტელემაქეს მამა ტროელ მეწინავეთა

355 შორის იქნება!

ამაოა ეგ საყვედური!“

შენიშნა ვაჟკაცს განრისხება აგამემნონნა,
უკან წაიღო თვისი სიტყვა და ასე უთხრა:
„ლაერტის ძეო, ოდისევსო ჭკუაულებო!
მე არც საყვედურს მოგახსენებ, არცა გიბრძანებ.

360 კარგადაც ვიცი, გული გიცემს კეთილშობილი,
კეთილშობილური და ჩემსავით ერთს ფიქრობ შენა!
მაგრამ ისწრაფე! მო, შევრიგდეთ, რაც მოხდა, მოხდა!
რაც ცუდი ითქვა, უკვდავებმა გადაგვავიწყონ!“

ასე უთხრა და გაემართა სხვათა მოხილვად.

- 365 ნახა ტიღიდი დიომედე უმამაცესი,
ცხენებთან იდგა, თვალისმომკრელ, ბრწყინვალე ეტლთან,
იქავე იყო სთენელოსიც, კაპანევსის ძე.
მათაც მრისხანედ მიუვარდა აგამემნონი,
ფრთიანი სიტყვით საყვედური აკადრა მწარე:
- 370 „ცხენთა მხედველი ტიღევსის ძევ, რა გაცახცახებს?
ბრძოლის სარბიელს ნირწამხდარი მისჩერებხარ!
ჩვევად არ ჰქონდა ტიღევსს შიშით ასე წახდენა,
ყველაზე უწინ შეებზოდა ხოლმე მტრის ლაშქარს.
ასე ამბობენ, მე მის ბრძოლას არ მოვსწრებვიარ,
375 მაგრამ — ნუ იტყვი — თურმე, ვერვინ შეედრებოდა.
ოდესლაც სტუმრად და არა მტრად მიკენს გვეწვია,
პოლინიკესთან ერთად სწადდა სპათა თაემოყრა
ღვთაებრივ თებეს გალაჯანთა დასალაშქრავად.
ითხოვეს ჯარი სახელოვან მოკავშირეთა.
- 380 დაპირდნენ, თხოვნის შესრულებაც უნდოდათ, მაგრამ
უცბად საზარი სასწაული ანიშნა ზევსმა.
მყისვე გაგვშორდნენ. როს დაბრუნდნენ, ველს
ამწვანებულს

ენწვივნენ ისევ — სანაპიროს აისებოსის.

იქიდან ელჩად გააგზავნეს აქაველებმა

- 385 ტიღევსი თებეს, სად კადმოსელთ შეხვდა ვაჟკაცი,
ქველ ეტეოკლეს სასახლეში მოქეიფეებს.
ნამგზავრი იყო მხნე მხედარი, მაგრამ არ შედრკა,
მარტო რომ დარჩა კადმოსელთა შრავალთა შორის.
გამოიწვია საბრძოლველად და ყველა მოყმე
- 390 ადვილად სძლია, შეეწია ათენა ვაჟკაცს.
ბოღმით აღივსნენ კადმოსელნი მოჭირითენი
და ვაბრუნებულს აღუშლად ჯრმა ორმოცდაათი
კვალში ჩაუდგა ორი მეთის მეთაურობით.
ესენი იყვნენ მაიონტი ჰაიმონიდი

- 395 და უძლეველი პოლიფონტი ავტოფონტის ძე.
მაგრამ ტიღევსმა მათაც ავი ზვედრი არგუნა:
ყველა დახოცა, ერთს აჩუქა სიცოცხლე მხოლოდ.
შინ გააბრუნა მაიონტი ღვთაების ნებით

400 ასეთი იყო გმირი ტრედეს, მაგრამ ძე შეხვდა
ოცში უნწყო, ბჭობაში კი მამაზე მჭევრი“.

ასე თქვა, მაგრამ დიომედემ არ უპასუხა,
რიდით ისმინა დასარიდალ მეფის ყვედრება.
ვერ მოითმინა ახოვანმა კაპანევსის ძემ:
„სიცრუეს ამბობ, თუმც სიმართლეც იცი, ატრიდო,
405 გვეამაყუება, რომ მამებზე გულუმხნესნი ვართ:
ზევსის იმედით შეიღბქიანი თებეც დაელეწეთ,
თუმცა არესის გალავანთან მცირე სპა მოგვეყვა,
ღვთის სასწაული გვწამდა, ზევსის გვექონდა იმედიც.
ჩვენი მამები უგნურებას გადაჰყვენენ მხოლოდ.
410 მამათ დიდებას ჩვენს დიდებას ნუ შეადარებ!“

რისხვით შეხვდა დიომიდემ და შეედავა:
„ჰაი დედასა!.. იყუჩე და დამიგდე ყური!
მე ბრალს ვერ დავდებ, როს ატრიდი ასე აღაგზნეს
ლაშქარს საბარკულმშვენიერი დანაელების.
415 დიდება — ბელადს, თუკი ძლევენ აქველები
ტროელთა ლაშქარს და ილიონს იავარყოფენ,
ვაებაც ბელადს უნდა ერგოს, თუ დაგვამარცხეს!
გვიჯობს, ვისწრაფოთ, გავიხსენოთ ზნე სამამაცო!“

ბრძანა და მყისვე ძირს გადმოხტა მაღალ ეტლიდან.
420 დაიუღრილა იარაღმა და სამკერდულმა,
უძძლავრეს მტერისაც ძრწოლას ჰგვრიდა ბრძოლად
გაქ ოლი.

თითქოს მქუხარედ ეხეთქება ზღვა სანაპიროს,
ზვირთი ზვირთს მისდევს, ზეფიროსით აგორებული,
ზღვის შუაგულში აჭოჩრილი, გრუხუნით კლდეზე
425 დაწლილ-დაფშხენილი, როს კლდის უკან ნელი
ტყლაშუნით

ტალღა და ტალღა მარილიან ქაფს მოიყენებს.
ასე მიჰყვება დანაელთა ფალანგი ფალანგს,
ბრძოლად ისწრაფვის, ბელადების ბრძანება ისმის,

თვით მეომარნი კრინტს არ სძრავენ, საკითხავია —
430 ამდენ ხალხს მკერდში დახშობია ბგერა ყოველი?
ჩუმაღ მიდიან და მორჩილად, აბჯარი ბრწყინავს
ჭრელი, მდიდრული, საოცარი. რაზმს მისდევს რაზმი.
ამ დროს ტროელნი ცხვრებსა ჰგვანან.

მდიდრის ფარეხში

- ბევრია ცხვარი, იწველება რძე, მიწყივ ისმის
435 კრავთა პეტელის საპასუხო მათი კიკინი.
ასეთი იდგა ღრიანცელი ტროელთ ლაშქარში.
ერთი არ ჰქონდათ ოღონდ ბგერა, სხვადასხვა იყო
ენა სხვადასხვა მიწა-წყლიდან შეკრებილ ხალხთა.
მათ აღაგზნებდა თვით არესი, ამათ — ათენა.
- 440 საშინელება, შიში გაჩნდა, შუღლი — ერისი,
დაი არესის, მეგობარი კაცთამმუსვრელის.
თავდაპირველად ძლივს დახობავს, რომ იგრძნობს ძალას,
თავით ცას სწვდება, ტერფებით კი მიწას ეხება.
ხალხს დაერია, მძვინვარებას თესავდა ირგვლივ:
- 445 ბრბოში დაძრწოდა, კენესას ბოლო აღარ უჩანდა,
როს შეხვდნენ სპანი, საბრძოლველად შედერებულნი,
შეასკდა შუბი შეახვდურთა შუბს, ტყავს მოხვდა ტყავი,
მებრძოლთა ძალა დაიძაბა რკალით მოსილთა.
ფარები ფარებს შეეღეწნენ, ატყდა ჭახანი.
- 450 ძღვევის ყიყინას შეერია ჰონაკედავთ კენესა,
ხმა მძღვეველთა და ხმა ძღვეულთა,

სისხლმა იჩქეფა.

- დიდრობის უამს გადმოსკდება ორი მდინარე
და გაშლილ ველზე შეახეთქებს ტალღებს ბობოქარს,
სათავეს იღებს მთიდან, ჩადის თვით უფსკრულამდე.
- 455 მათი შხუილი. შეაშფოთებს მწყემსს მთის მწვერვალზე, —
სწორედ ასე შორს ღრიანცელი ისმოდა ბრძოლის.
ანტილოქოსმა მეწინავე ტროელი დასცა —
თალისიადი ექებოლოს, განკვეთა შუბით
სქელფარფლიანი ჩაჩქნის სალტე, შუბლი გაუპო,
460 ძვლებში ჭახანით გაეჩხირა რვალის ბუნიკი,
გადაეჟარა მყის წყვილიადი მეომრის თვალებს.
გმირი მალალი გოდოლივით ძირს დაენარცხა.

- მყის ფეხში სტაცა მოკლულს ხელი ელფენორმა,
 ქალკოდონტის ძემ, დიდსულოვან აბანტთა მეფემ,
 465 ისრებს არიდა, საბარკულთა აძრობა სცადა,
 მაგრამ მცირე ხანს შერჩა მძარცველს მოწადინება:
 გვამის წამთრევი აგენორმა დიდსულოვანმა
 როგორც კი ნახა წახრილი და ფარ-დაშვებული,
 დასცა ბოძალი სპილენძისა, დაძრა მოძალე.
- 470 სული აღმოხდა გმირს, ბრძოლა კი უფრო გაჩაღდა,
 ერთურთს ვით მგლები, ტროელნი და აქაველები
 შეჭიდებოდნენ და კაცი კაცს აღარ ინდობდა.

- აგერ აიანტ ტელამონის ძეს განუგმირავს
 ანთემონის ძე, ახალგაზრდა სიმონისოს,
 475 იგი მშობელმა სიმონტის ნაპირთან შობა,
 როს იდას ძირას, ბარში თავის არვეს ეწვია.
 სიმონისოს იმად ერქვა. მაგრამ ყრმამ დედა
 ვერ გაახარა მოკლე იყო მისი სიცოცხლე,
 შუბით: შუაში შეუწყვიტა ტელამონიდმა.
- 480 წინ მიიწვედა, როცა ჰკერდში შუბმა უწია,
 მარჯვენა ძუძუს განეწონა, გაძვრა ბეჭიდან.
 მიწას დაასკდა მოცმე, როგორც ვერხვი მთრთოლვარე,
 ნოტიო ველზე ამოზრდილი, ნასათუთევი,
 სწორი, ხასხასა, ნეტარებით რტოებგაშლილი.
- 485 ალვას შეეტლე რონ შეარჩევს, ელვარე რკინით
 მოჭრის და მოხრის ეტლის ბორბლად, მტვერში მიაგდებს,
 უწყლოდა ხმება ხოლმე მშობელ მდინარის პირას.
 სიმონისოს ასე ეგდო ჯავშანახსნილი
 აიანტისგან. მას კი ამ დროს პრიამეს ვაჟმა
- 490 ყრმა ანტიფოსმა შუბი სტყორცნა ორომტრიალში,
 მაგრამ აუცდა. ოდისევსის მეგობარს ლევკოსს
 ზედ საზარდულთან მოხვდა, როცა გვამს მიათრევედა,
 მყის გაუვარდა, დაენარცხა მოკლული მოკლულს.
 რისხვით აინთო ოდისევსი მეგობრის გამო,
- 495 მეწინავეებს გამოეყო, შემართა შუბი,
 მიმოიხედა, მოელვარე ოროლი სტყორცნა,
 ტროელთა სცადეს აეცდინათ დარტყმა მოყმისა,

- ის კი ამოდ არ გარჯილა: დასცა ოროლი
პრიაშოსის ბუშს დემოკონტს, აბილოსიდან —
- 500 ფეხმსუბუქ ცხენთა საძოვრიდან შინ დაბრუნებულს.
შურისმგებელმა ოდისეესმა შუბი აძგერა
ზედ საფეთქელზე, მეორე მხრით გავიდა შუბი,
გადაეფარა მყის წყვილიადი მეომრის თვალებს.
ზათქით დაეცა, აზრიალდა მძიმე ჯავშანი.
- 505 ჰექტორმა უკან დაიხია, ტროელთ რაზმებმაც.
არგიველებმა შეუყივლეს, გვამნი გაძარცვეს,
კვლავ წინ გაიჭრნენ. გაგულისდა აპოლონ ღმერთი,
ტროელთ აღძგზნები პერგამოსის ბჭიდან ჰყვიროდა:
„წინ, მეომრებო! ნუ დაუთმობთ არგიველთ ბრძოლას,
- 510 ქვის მკერდი არ აქვთ და სხეული მტკიცე რკინისა,
სპილენძის დარტყმა აინუნში რომ არ ჩააგდონ.
ლამაზთმიანი თეტისის ძე აქილეუსიც ხომ
გვერდით არა ჰყავთ, გულის დაძღრღნელ რისხვით
მოცული“.

- ასე გრგვინავდა ღმერთი, მავრამ ზევსის ასული
- 515 ტრიტოგენია ალაგზნებდა აქაველთ ლაშქარს,
იქ გაჩნდებოდა, სადაც შემდრკალ რაზმს შენიშნავდა.
ამარინკოსის ქეს ღიორესს უმუხთლა ბედმა,
წიბოიანი ლოდი მოხვდა მარჯვენა წვივში:
თრაკიელთ მეფემ სტყორცნა ზელით — ანოსიდან
- 520 ტროას მოსულმა იმბრასიდმა — კპირმა პიროსმა.
მუხლზე ძარღვები გადაუჭრა, ქვალი დალეწა,
პირქვე დაამხო ეტიფარნი ქვამ ღიორესი.
მთრთოლვარე ხელნი მეგობართა მხარეს განართხო
ყრმამ სულთმობრძავემა.

გაუქროლა მკვლელმა პიროსმა,

- 525 მუცელში შუბი აძგერა და სულ გამოშიგნა.
გადაეფარა მყის წყვილიადი მეომრის თვალებს.
პიროსს თოანტმა სტყორცნა შუბი ეტოლიელმა,
მკერდში, ძუძუსთან, შიგ ფილტვებში გავიდა შუბი.
სწრაფად მიეჭრა, გამოგლიჯა ბასრი ოროლი,
- 530 იშიშვლა ხმალი მოოქვილი გპირმა თოანტმა,

დასცა, გააპო, ამოარსვა სული მონაკვდავს.
ბექთარის აცლა ველარ ზეპლო, შუბი შემართეს
და შეუტრეს გრძელთმიანმა თრაკიელებმა.
თუმც მძლავრი იყო და ვეება, ძალგულოვანი,
535 მაინც აჯობეს, უაუშიდგა, გაცლა არჩია;
ასე სისხლიან ველზე ეგდო ერთურთის გვერდით
თრაკიელთა და ეპეიელთ შუბით მოკლული
ორი ბელადი, სხვაც მრავალი იმათ გარშემო.

ვერვინ იტყოდა ძვირს საგმირო ამა საქმეზე,
540 ვინც უვნებელი მტრის ბასრ მახვილს გადურჩებოდა,
ვისაც ათენა დაიხსნიდა ბრძოლის ველიდან,
მძვინვარე ისარს ააცდენდა ომის თვიაშხილველს.

იმ დღეს მრავალი აქაველი, ბევრიც ტროელი
ერთურთის გვერდით დამხობოდა სისხლიან მიწას.

ქება მისუთა

დიომელეს გვირობა

ამ დროს ათენაძ ტიდევსის ძეს, გმირ დიომედეს
მეტი სიმტკიცე მიანიჭა, ძალგულოვნებით
გამოარჩია, მოუპოვა დიდი სახელი.
ალი აუნთო ჩაუქრალი შუბ-ფარ-შიმშერზე,
5 ისე ელვარე, ვით ვარსკვლავი შემოდგომისა,
ცად მოკაშკაშე, ოკეანის წყლით განბანილი.
თავსა და მხრებზე გმირს ეს ალი გადასდიოდა,
როცა ქალღმერთმა გაიყვანა ბრძოლის ქარცეცხლში.
ტროელთა შორის იყო დარეს სახელოვანი,
10 ჰეტესტოს მოგვი, ორი ვაჟი ჰყავდა სვიანი —
იდაიოსი და ფეგევსი, ომში განთქმულნი.
სპას განოეყვნენ, წინ გაიჭრნენ მტრის შესახვედრად
ამხედრებულნი.

დიომედე ქვეითად იყო.

ერთუერთს პირისპირ რომ მიადგნენ, მყისვე ფეგვესმა
15 გრძელჩრდილიანი მოუღერა მომხვედურს ბოძალი
წვერწამახული, მოელვარე.

მხარმარცხნივ გასცდა,
არ გაუქენწლავს შუბს.

სპილენძი შემართა მაშინ
ტიდიდმა, მის ხელს შუბი ფუჭად არ უტყორცნია:
ძუძუებს შუა გაუარა, დასცა ფეგვესი.

20 იდაიოსმა მშვენიერი ეტლი მყის დათმო,
გულაძგერებულს არ შეედლო ძმის გადაარჩენა.
თვითონაც თავს ვერ დაალწევდა შავ ბედისწერას,
მაგრამ ჰეფესტომ მოახვია ლამის წყვილიადი,
რომ შვილებზე დარდს მამა თან არ გადაჰყოლოდა.

25 ამ დროს შეიპყრო მტრის ცხენები მძლავრმა ტიდიდმა
და გააყოლა მოყმეთ ფართო ხომალდებისკენ.
ტროელთ იხილეს მხნე დარესის ვაჟთაგან ერთი
შედრწუნებული და მეორე მიწას განრთხმული.
სულგანახული შედგა ყველა.

მაშინ ათენამ

30 ხელი ჩაავლო და შესძახა მძვინვარე არესს:
„არეს, ო, არეს! ბჭისმლეწველო, პირსისხლიანო!
სომ არ დაეტოვოთ ტროელნიც და აქაველებიც,
რომ მამა ზევსმა თვით არგუნოს ძლევის დიდება,
ჩვენ კი დავეხსნათ, ვინძლო ზევსის რისხვას გავექცეთ?“

35 ასე უთბრა და გაიყვანა შმაგი არესი,
დატოვა ველზე, სკამანდროსის სანაპიროზე.
უკუაქციეს ტროელები ღანაელებმა,
მარჯვედ იბრძოდნენ ბელადები.

ამამემნონმა

პირველმა დასცა ოდიოსი, ზალიძონთ მეფე,
40 ოროლი სტყორცნა ლტოლვილს, შუბი ზურგში მოარტყა,
და ბეჭებს შუა გაუყარა, გაუპო მკერდი.
მიწას დაასკდა, შორს გაისმა აბჯრის ჟღარიალი.

იდომენევსმა ფაისტოსი, მევონიელი
ბოროსის ვაჟი, ტარნესიდან ტროას მოსული

45 განგმირა მძლავრმა შუბოსანმა; ეტლზე აპავალს
მარჯვენა მხარი შეუღეწა;

მიწას დაასკდა

მყისვე ტროელი და თვალთ ღამე გადაეფარა.
იღომენევისის რაზმელეებმა მყის გააშიშველეს.

სკამანდრიოსი მონადირე, ძე სტროფიოსის,

50 მენელაოსმა ბასრი შუბით მაშინ განგმირა.
მარჯვედ მოისარს, გაზრდილს ქალღმერთ არტემისისა,
ნადირი რომ ვერ გაურბოდა მთისა და ტევრის,
ველარ უშველა არტემისმა ისრის მოყვარემ,
ვერც შორსმოისრის სიამაყემ და ხელოვნებამ.

55 მენელაოსმა შუბოსანმა ჭაბუკ მეომარს,
სულ ერთი წამით შორი-ახლო რომ გაირბინა,
ბეჭს და ბეჭს შუა გაუტარა მკერდში ოროლი.
პირქვე დაეცა... შორს გაისმა აბჯრის ყლრიალი.
ფერეკლოს დასცა მერიონემ, ძე ტეკტონესი,

60 ჰარმონიდისა, გაწაფული ყოველ საქმეში.
ერთობ უყვარდა ფერეკლოსი ქალღმერთ ათენას,
ამან აუგო პარისს გემი ხოფებმრავალი, —
სათავე ტროელთ და საკუთარ უბედობისა:
მოყმე ღვთაებრივ ბედისწერას ვერ ჩასწვდომია.

65 წამოეწია მერიონე ლტოლვილ მეომარს,
შუბი ღუნდულას მოახვედრა, საშარდე ბუშტი
გაჭრა ბუნკმა, შიგვე ჩარჩა, იბღავლა მოყმემ,
მუხლთ მოეკვეთა და სიკვდილი მყის დაეუფლა.

მეგესმა მოკლა პედაიოს, ანტენორის ძე.

70 ბუში იშვილა ღვთაებრივმა თეანომ თურმე
და ქმრის საამოდ გამოზარდა, ვით საკუთარი.
მოყმეს მიეჭრა ფილეიდი, მძლე შუბოსანი,
კეფაში დასცა მოოჭვილი ბასრი ოროლი,
ბუნკიე გასცდა კბილებს, ენა გაეპო ჭაბუკს,

75 მიწას დაემხო მოყმე, ცივ რვალს ჩაასო კბილი.

ევრიპილოსმა ღვთაებრივი ჰიპსენორ მოკლა,
ღოლოპიონის, ძალგულოვნის ძე, სკამანდროსთან

ქურუმ-ყოფილი და ღვთის დარად ხალხის რჩეული
ევრიპილოსი, სვიანი ძე ევაიმონის,

- 80 ლტოლვილს სირბილით დაეწია, ბასრი მახვილი
მხარში დაჰკრა და ყრმას დაღლილი ხელი მოჰკვეთა.
დავარდა ხელი სისხლიანი.

თვალი დაუვსო

მოყმეს სიკვდილმა და მოირამ დაუძლეველმა.

ასე გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა საზარი.

- 85 მაგრამ ტიდევის ძეს თვალს მაშინ ვერ მიაწვდენდი,
ვის გვერდით იყო, ტროელთა თუ აქაველთ შორის.
ისე ბორგავდა, ვით ღდინარე დიდროობისას,
შემოდგომით რომ აზვირთდება, ხიდ-ბონდებს დაშლის,
ველარ აჩერებს ჩაკირულ მძლავრი თალები,
90 ვერც მწვანე ველთა მობიბინე სანაპირონი,
როცა იქუხებს ზევსის წვიმით აზვავებული
და გადაუვლის ვაჟკაცების ნაჯათარ ყანებს.
ასე შეირხა ტროელების ხშირი ვალანგიც,
ველარ გაუძლო დიომედეს მძვინვარე ძალას.

- 95 მალე შენიშნა ლიკონის განთქმულმა ვაჟმა,
თუ ვით არხევდა გმირი ველზე ტროელთ ფალანგებს.

მყისვე მიზანში ამოიღო მან დიომედე

სტყორცნა ისარი ველზე მსრბოლელს, მარჯვენა მხარზე
ფრთიანი ისრით შეუნგრია გმირს სამკერდული,

- 100 ბეჭში ჩაეჭდო რვალი, სისხლმა შეღება თორნი.

ძლევის ყოყინა დასცა მყისვე ლიკონის ძემ:

„მტკიცედ, სულდიდო ტროელებო, ცხენთა მხედვენელნო!

დაიჭრა ქველი აქაველი, ვგონებ, ვერ შეძლებს

დიდხანს გაუძლოს ისარს, თუკი ლიკონის მხრიდან

- 105 ამაოდ ზევსის ძეს, მეუფეს, არ მოეუხმივარ!“

ასე ზვაობდა, მაგრამ ისარს ყრმა არ დანებდა,

ოდნავ უკუდგა, მოეფარა ეტლსა და ცხენებს.

სთენელოსს უხმო, კაპანევსის ვაჟს სახელოვანს:

„ო, კაპანიდო, მეგობარო, ჩამოხედ ეტლით

- 110 და სწრაფად მხრიდან ამომგლიჯე მწარე ისარი!“

ასე ევედრა. სთენელოსი მყისვე ჩამოხტა,
 მის ზურგთან მდგომმა ამოგლიჯა მხრიდან ისარი.
 სისხლმა იჩქეფა მეწამულმა ყრმის ქიტონიდან.
 ღმერთს შელალადა დიომედემ კეთილშობილმა:
 115 „ყური მომაპყარ, უძლეველო ზევსის ასულო!
 მეც და მამაჩემს თუკი შემწედ მოვლინებიხარ
 ოდესმე, ახლაც, ო, ათენავ, ჰყავ სიყვარული,
 მეოხ-მეყავი, რომ მტერს მივწვდე შუბის სატყორცნად,
 ვინც თვით დამასწრო. თავხედურად აცხადებს კიდეც,
 120 რომ დიდხანს აღარ მიწერია მზის სხივთა მზერა!“

ასე ლაღად-ყო და უსმინა მოყმეს ათენამ,
 მეომრის სახსრებს მოქნილობა, ძალა შეჰმატა,
 მიუახლოვდა და მიმართა ფრთიანი სიტყვით:
 „ახლა, ტიდილო, შეერკინე კვლავაც ტროელებს!
 125 სული აგინთე უშიშარი, მამისეული,
 ფარის მრხეველი ტიდევსისა, მამაცი მხედრის.
 ბინდი გაცილე, შენს თვალებს რომ გადაფარვოდა,
 ახლა ღმერთსაც და მოკვდავ კაცსაც გაარჩევ კარგად.
 გასწი და ღმერთმა თუ ისურვა შენი გამოცდა,
 130 ოლიმპიელზე, დიომედევ, ხელს ნუ შემართავ,
 ვინც უნდა იყოს! მაგრამ ბრძოლად თუ აფროდიტე
 გამოცხადდება, შეუტიე მყისვე სატყვართ!“
 ასე უთხრა და ჩამოცილდა მოყმეს ათენა.
 კვლავ მეწინავეთ შორის ჩადგა მხნე დიომედე.
 135 წინათ თუ მის სულს მოსდებოდა ბრძოლის სახმილი,
 ახლა სამმაგი ცეცხლი სწვავდა.

ლომს ჰგავდა იგი,
 ცხვრების ფარეხთან რომ დაჰკოდა მწყემსმა მსუბუქად.
 ძელყორის იქით მსრბოლს ვერ მისწვდა, მხოლოდღა

ძალა

ლომს გაუღვიძა, მყის იმედიც დაჰკარგა ძლევის.
 140 მწყემსი ფარეხში მიიმალა, ერთურთს მიაწყდნენ
 ცხვრები რიალით, გადაჯეგა ერთმა მეორე...
 ბაკს გადმოეველო შემალღებულს მძვინვარე ლომი...
 ასე შევარდა დიომედეც ტროელთ რიგებში.

ასტინოს მოკლა, ჰიპერიონ ხალხთა მეუფე,

145 ერთს ზედ ძუძუზე დასცა შუბი ბუნიკიანი,
ხოლო მეორეს ორლესულით მხარი მოსხეპა,
ჩამოათალა მყის ხერხემალს მეომრის ბეჭი.
შემდეგ მიეჭრა პოლიიდოსს და სვიან აბანტს,
ვერიდამანტის მამაც შვილებს, სიზმრის ამხსნელის.

150 ვაგლახ, მოხუცმა ვერ აუხსნა ვაჟებს სიზმარი!
განგმირა. თორნი ააგლიჯა მათ დიომედემ.
შემდეგ წაეგება ქსანთოსს, თოონს ფენოპოსის ძეთ —
ლუხჭირ სიბერის ჟამს შეძენილთ.

მიღეულ მოხუცს

სხვა ძე არ ესვა სამემკვიდროდ, ხოლო ვინც ჰყავდა,

155 დასცა მამაცმა, უბედურებს ტკბილი სიცოცხლე
მყის მოუსწრაფა.

მამას ცრემლი და შავი სევდა

არგუნა:

ველარ დაუბრუნდნენ ომის ველიდან,
ვერ მოეხვივნენ მშობელს, დარჩა ქონება არმად.
იქვე ხელთ იგდო პრიაპოსის ორი ძე გმირმა —

160 ერთ ეტლში მდგომნი — ექემონი და ქრომიოსი.
ასე დაესხმის ხოლმე ლომი, ერთბაშად დასცემს
ხბორებს ჭალაში, მწვანე მოლზე მოიალადეთ.
ორივ ძირს დასცა ტიდევსის ძემ მათს უნებურად,
სული აართვა, თორნი ახსნა, ხოლო ცხენები
165 მეაბჯრეთ მისცა გასარეკად ხომალდებისკენ.

კაცთა მმუსვრელი როს შენიშნა ენეას გმირმა,
ბრძოლის ქარცეცხლში გაერია, ისრის ზუზუნში,
მიმოიხედა. პანდაროსი ვნახო ეგებ
და მალეც ჰპოვა ლიკაონის ძე გულზვიადი.

170 შემოეფეთა და მიმართა აღშფოთებულმა:
„პანდაროს! მწვილდი და ფრთიანი ისრები სად გაქვს?
სახელს რა უყავ, ვერავინ რომ გეცილებოდა?
შენთან როგელი ლიკიელი მოსულა ახლოს!
ზევსს აღთქმა მიეც, მოყმეს ისრით მოუღე ბოლო,

175 ვინც გინდა იყოს!

ბევრი ქირი არგუნა ტროელთ,
მრავალთ, ჯანმრავალთ მან მუხლები გადაუმსხვრია.
ღმერთია განა ტროელებზე განრისხებული
ზვარაკის გამო? ..

ღვთის რისხვა ხომ დაგვლუპავს კიდევ!“

ენეასს უთხრა ლიკაონის სვიანმა ვაჟმა:

180 „გმირო, სპილენძისქიტონიან სპათა მრჩეველო!
ტიდევისს პირმშოს მომაგონებს მე ეს ვაჟაკი:
ფარსა ვცნობ მისას და მუზარადს ნასვრეტებიანს,
ცხენებსაც, მაგრამ იქნებ ღმერთიც იყოს, რა ვიცი!
თუ იგი მართლაც არის მძლავრი ძე ტიდევისისა,

185 ეტყობა, ღმერთის უნებურად როდი მძვინვარებს,
მას ღმერთი იცავს, მხრებზე ნისლი დაუფენია
მოფრენილ ისარს მეყსეულად აშორებს ხოლმე.

190 მეგონა, ჰადესს გავისტუმრე, თურმე სადა ხარ!
ეტყობა, ჩემზე თვით ღმერთია განრისხებული.
ცხენები არ მყავს, თან არა მაქვს საბრძოლო ეტილი,
შინ კი თერთმეტი მეგულეა — ძელიის მხარეს.
ახალთ-ახალი, დიდებული, სპილენძის ბორბლით

195 აელვებულნი.

ყოველ ეტლთან ჯუფთი ცხენი დგას
თეთრი ქერით და ასლით მოვლილ-გასუქებული.

მოხუცმა მამამ — ლიკაონმა სახლში ამოდ

მირჩია განა ტროისაკენ ომში მიმავალს —

საომარ ეტლზე ამხედრებულს, რომ ცხენოსანი

200 სასტიკ ბრძოლაში ტროელთ ლაშქარს წინ გაძდოლოდი.

არ დავეუჯერე, მაგრამ სჯობდა, მიმელო რჩევა.

მსურდა ცხენები დამეზოგა, ციხე-ქალაქში

არ მოჰკლებოდათ კვება რჩეულ საზრდოს ჩვეულებს.

ასევე ფეხით გავეშურე ილიონისკენ

205 მშვილდის იმედით, მაგრამ მშვილდი ვერ შემეწია!

ორ კეთილშობილ ბელადს ვსტყორცნე ბასრი ისრები:

- ტიდევსის ძეს და ატრევსის ძეს, ორივე დაკვერი,
სისხლი ვადინე, მაგრამ უფრო დავბოღმე მხოლოდ.
ვხედავ, უკულმართ ბედზე მოვხსენ დედაბოძიდან
- 210 მშვილდი, როდესაც გადავწყვიტე ილიონისკენ,
სპას გავძლოლოდი საამებლად გმირი ჰექტორის, 15
თუ კვლავ ველირსა დაბრუნება, თუ კვლავ ვიხილავ
მამულს და ცოლშვილს და დიდებულ სასახლეს ჩემსას,
დაე მაშინვე უცხო მტერმა მომხსიპოს თავი,
- 215 თუ მშვილდ-ისარი ცეცხლს არ მივცე: თუ ნამსხვრევებად
სულ არ ვაქციო: მეგზურობა ვერ გამიწია!“
ტროელთ ბელადმა ენეასმა მოყმეს მიუგო:
„ასე ნუ იტყვი! თუშეც ვერაფერს მიკალწევთ მართლაც,
სანამ პირისპირ მას ცხენდაცხენ არ მივექრებით,
- 220 მხოლოდღა მაშინ იარაღით გამოვცდით მოყმეს.
მომყევი, ეტლზე შემომიდექ, ნახავ ახლავე
ტროსის რაშები მინდორ-ველზე როგორ მიქრიან
ფრთაშესხმულები შეტევის თუ უკუქცივის დროს.
გაგვაქროლებენ ბობოქარნი ისევე ქალაქში,
- 225 თუ დიომედეს კვლავ არგუნებს კრონიდი ძლივას.
მომყევე, ხელთ იპყარ მათრახი და სადავეები,
მე კი ეტლს დავთმობ, რომ პირისპირ შევხვდე მეომარს,
ან შენ შეები, ხოლო ცხენებს მე დავიუტრებ!“
- გმირს უპასუხა ლიკაონის ძემ მშვენიერმა:
- 230 „ენეას, თვითონ შენა მართე შენი ცხენები,
ეტლს უფრო მარჯვედ. უფრო მარდად გააქროლებენ,
როს ტიდევსის ძეს მივექრებით.

და თუ გვძლევს გმირი,

ფეხი დაეზმით, შეკრთებიან, ბრძოლის ასპარეზს
ვერც გააღწევენ, თუ ნაცნობი ხმა არ შეესმით.

- 235 ამ დროს დაგვესხმის თავს ტიდიდი ძალგულოვანი,
ბოლოს მოგვიღებს და რაშებსაც თვით გაიტაცებს.
ანიტომ გვიჯობს, რომ შენ გეპყრას ეტლის სადავე,
იმავდროულად მე მტერს ვტყუორცინი ოროლს წამახულს“.

ასე ისურვეს, ორივე დადგა მოხატულ ეტლზე,

- 240 ტიდევსის ძისკენ გააქენეს რაშნი ფეხმარდნი.

შენიშნა გპირნი სთენელოსმა, კაპანეგის ძემ
და ტიდევსის ძეს მიაგება ფრთიანი სიტყვა:
„ტიდევსის ძეო დიომედევ, სულზე უტკბესო!
ვხედავ ვაუკაცებს, შენთან ბრძოლას მოესწრაფვიან,
245 ძალაულენი.

ერთს, მოისარს, მამაც პანდაროსს
ეამაყება, რომ შვილია ლიკაონისა,
მეორე გახლავს ენეასი, ანქისეს ვაჟი.
თავს მის ძედ თვლის და აფროდიტე ეგულვის დედად.
ეტლით გავქუხლოთ, რა ჩანია! ზომას არ ასცდე,
250 მეწინავეთა წინ ნუ წახვალ, ერიდე სიკვდილს“.

მრისხანედ უთხრა დიონედენ ძალგულოვანმა:
„სიტყვა არ დაძრა გაქცევაზე! ვერ დამარწმუნებ,
ბრძოლის ველიდან არ სჩვევია ჩემს ჭილაგს ლტოლვა,
ანდა მიმალვა: ჭერაც მომდგამს ძალა ზვიადი!
255 არც მინდა ეტლი, როგორც მხედავ, ასე ფეხდაფეხ
მივალ, პალასი არ მიბრძანებს შიშით: ვთრთოდე.
ველარ იხსნიან სვედავსებულთ მარდი ცხენები,
ხელიდან ველარ გამისხლტება, ახლავ ერთ-ერთი
გინდ დაიმალოს. ამისა გთხოვ, გულს ჩაიმარხე:
260 თუკი დიდებას მომანიჭებს ბრძენი ათენა,
და ვძლევ ორთავეს, აქ დააბი მარდი ცხენები,
მტკიცედ მოზიდე სადავენი ეტლის კაუჭებს.
არ დაგავიწყდეს, რომ ენეასს წაჰგვარო რაში.
და თორწმუნენიერ აქაველთა ბანაკში გყავდეს.
265 შორს მოგუგუნე ზევსმა მისცა ამ ჭიშის ცხენი
ნორჩ განიშედის საფასურად ტროსის ვაჟიშვილს.
მზის და ეოსის სავანეში არ ჰყავთ ბადალი
რაშებს.

ანქისეს, ხალხთ მეუფეს, მიუჩენია
მათთვის ჭაკები, არც იცოდა ლაომედონტმა.
270 ამ ჭიშის ცხენი შეეძინა ანქისეს ექვსი,
ოთხი საკუთრად გამოზარდა საჯინბოში,
შიშის ღომგვრელი ორი ცხენიც მისცა ენეასს.
თუ ხელთ ჩავიგდეთ, ხომ უდიდეს სახელს მოვიხვევთ!“

ოდეს გმირები ბჭობდნენ, სწრაფად ჩამოუქროლეს
275 მტრებმა,

ფიცხ რაშებს ტროელები მოაგელვებდნენ.
თავდაპირველად ლიკაონის ვაჟმა შეჰყივლა:

„ტიდევსის ძეო, სიმამაცით სახელგანთქმულლო!
თუმც ფრთაშესხმული მწარე ისრით ვერ დაგაჩოქე,
შუბით გამოგცდი, ვინძლო ზუსტი მქონდეს მიზანი!“

280 თქვა და გასტყორცნა გმირმა შუბი გრძელჩრდილიანი,
ფარს განუწონა, ფარი გაჭრა ბასრმა სპილენძმა
და გმირის აბჯარს შეეხეთქა რვალი ხმაურით.

გახარებულმა მყის შესძახა ლიკაონის ძემ:

„მოგხვდა! ო, ვესავ, დიდხანს შენი კენესა არ გასტანს!
285 ბოლოს ხომ მაინც მომანიჭე სახელ-დიდება!“

უმალ მიუგო დიომედემ კეთილშობილმა:

„ამაოდ მტყორცნე, ო, მოტყუედი! მაგრამ ჩვენ აღბათ
ვერ მოვისვენებთ, სანამ ერთ-ერთს ბედად არ ხვდება
სისხლით გააძღოს არეს, ომით გაუძღომელი!“

290 ეს თქვა თუ არა, შუბი სტყორცნა, ხოლო ათენამ
მიმართა რვალი თვალეზუა,

კბილებს რომ გასცდა,

ენა გაფლითა, ცხვირიც გაჭრა სასტიკმა რვალმა,
შუბის ბუნიკი გაეჩხირა მოყმეს ნიკაპში.

ეტლიდან მიწას დაენარცხა ელვარე ჯავშნის

295 საზარ გრუხუნით.

შედრკნენ ტროსის მარდი ცხენები,
მოყმეს სული და ძლიერება გამოეცალა.

ფარ-შუბოსანნა ენეასმა ეტლი დატოვა:

ვაი-თუ მტრებმა ზომტაცონო მოკლულის გვამი.

გვერდით დაუდგა, როგორც ლომი ძალაზვიადი,

300 შუბი შემართა, მრგვალი ფარი იმარჯვა გმირმა,
მტერს ახლოს მოსულს უქადოდა სულის ამოხდას
საზარ ყიჟინით.

მაგრამ ამ დროს ტიდევსის ვაჟმა

ლოდს უზარმაზარს ხელი სტაცა, ორი კაციც რომ
დღეს ძვრას ვერ უზამს. მან კი მარტომ შემოიქნია
305 და გმირს ბარძაყზე შეახეთქა, ზედ მენჯის ძვალთან,
რომელსაც ჰქვია მენჯის ფოსო. სულ დაამსხვრია
ქვამ ძვალი იგი და გადაჭრა ბარძაყის ძარღვიც,
გადაატყავა, განგმირული მუხლზე დაეცა,
ძლიერი ხელი წინ უღონოდ დაუშვა გმირმა,
310 მიწას დაემხო.

თვალთ წყვედიადი გადაეფარა.

არ ასცდებოდა აღსასრული მეფე ენეასს,
რომ აფროდიტეს, ზევსის ასულს, არ შეენიშნა.
დედამ, ვინც შობა ანქისესგან, ღამაზ მწყემსისგან,
საყვარელ პირმშოს მოათარა თეთრი ხელები,
315 წინ გაუშალა მოსასიამო შუქმოელვარე,
მტრისგან დაიხსნა, რომელიმე დანაელ მხედარს
რვალით რომ გული არ გაეპო ენეასისთვის.
ასე გაიხმო კვიპროსელმა ბრძოლიდან შვილი.
ამ დროს ახსოვდა დარიგება კაპანევსის ძეს,
320 ხმამოგუგუნე დიომედიმ რომ მისცა ძმობილს.
ფლოქვებთქარუნა ცხენნი ბრძოლის ველს მოაშორა,
სადავეები მყის მოჭიმა ეტლის კავებზე.
ცხენნი გადენა ენეასის, იქ, სად რაზმები
იდგნენ საბარკულშვენიერი აჭაველების.
325 მყის დეიპოლოსს, უსაყვარლესს ტოლფერთა შორის,
სულით და გრძნობით უახლოესს მან დაავალა
ხომალდებისკენ გაელალა, თვით კი უშიშრად
ეტლზე ამხედრდა, ხელი ჰკიდა ელვარე აღვირს
და ტიდიდს მიჰყვა მოთქარუნე მარდი ცხენებით.
330 ის კი კვიპროსელს კვლავ მისდევდა საზარი შუბით,
რაკი უწყოდა, რომ ქალღმერთი არ ეკუთვნოდა
ომის აღმძვრელი ქალღმერთების ძალშეუვალ დასს,
როგორც ათენა ან ენიო კომკთა მნგრეველი.
მისწვდა თუ არა, ბრბოთა შორის გზის გამკვალავი,
335 შუბი შემართა ტიდევის ძემ დიდსულოვანმა,
ძალუმად სტყორცნა და მტევანთან ქათქათა ხელი

გაკენწლა,

- მყისვე გააღწია შუბის ბუნეკმა
ქარიტთა ნაქსოვ ამბროსიულ სამოსს ქალღმერთის
და ხელის ნებთან ამოჩქეფა უკვდავმა სისხლმა,
340 დღენეტარ ღმერთებს რომ სლით ხოლმე, ოლიმპიელებს.
ისინი პურს არ მიირთმევენ, არც ყურძნის მტევანს,
მათ სხვა სისხლი აქვთ, უკვდავებიც იმიტომ ჰქვიათ.
მწარედ შეჰკივლა, გაუვარდა ხელიდან შვილი.
მსწრაფლ შეეშველა აპოლონი, ყრმა აიტაცა,
345 ღრუბლით დაფარა, რომელიმე დანაელს ვინძლო
არ განეგმირა რვალით, სული არ ამოერთვა.

- მაშინ მრისხანედ დიომედემ შესძახა ქალღმერთს:
„ზევისის ასულო, ომს დაეხსენ და მიიმაღე!
არ კმარა განა სუსტ ქალებს რომ შეაცდენ ხოლმე?
350 თუ კვლავ გაბედავ გაერიო მებრძოლთა შორის,
მჯერა, ხსენებაც თავზარს დაგცემს შერკინებისა!“

განშორდა ღმერთი დაბნეული, დარდმორეული.
ირისმა ბრბოდან გაიყვანა.

- ტანჯვას ღვთაება
სულ მიებნიდა, დაცაეჰკნო მშვენება მისი.
355 ბრძოლის გნიასში შეამჩნია ღმერთი არესი,
მის შუბს და მერანს გარს წყვილიადი შემოხვეოდა,
ძმის წინ მუხლებზე დაემხო და გულამოხვინჩვით
ეტლსა და ცხენებს სთხოვდა ოქროსმოსართავიანს.
„ძმავ საყვარელო! მომაწველე სწრაფად ცხენები,
360 ვინძლო ოლიმპოს მივალწიო, უკვდავთ საცხოვრისს,
ჭრილობა მტანჯავს საშინელი, დამჭრა მოკვდავმა
ტიდიდმა, ის ხომ თვით მამა ზევსს შეერკინება!“
არესმა მისცა ცხენნი ოქროს ავეანდიანნი.
ეტლზე ავიდა გულმწუხარე, ირისიც აჰყვა,
365 მტკიცედ ეჭირა სადავენი ღვთაებას ხელში,
შოლტი უცხუნა და მორჩილად გაფრინდნენ რაშნი.
მსწრაფლ მიაღწიეს ოლიმპოს თხემს, ღმერთთა

საცხოვრისს.

ირისს ფერხთ ქარი შედგომოდა,

შედგა ღმერთქალი,

ცხენნი გამოხსნა, ამბროსია და საზრდო მისცა.

- 370 ხოლო კიპრისი მყის დაემხო დედის მუხლებთან,
დიონემ გულში ჩაიხუტა ტურფა ასული,
ნაზად ეფერა და მიმართა ალერსიანად:
„ვინ გიმტრო, შვილო, რომელ უგნურ ზეციერს სურდა
შენი ცრემლები, თითქოს ავი რამ ჩაგედინოს?“

735 ამოიოხრა აფროდიტემ, ღმერთმა ღიმილის:

„ძალგულოვანმა დიომედემ, დამჭრა, ტილიდმა,
ბრძოლის ველიდან ენეასი როცა გამყავდა,
ძე სანუკვარი და ყველაზე უსაყვარლესი.

- განა ტროელთა და აქაველთ ბრძოლა მძვინვარებს,
380 ახლა დანაელთ თვით ღმერთებზე აღმართეს ხელი!“

ქალღმერთს დიონემ უპასუხა სახელგანთქმულმა:

„გამხნევედი, შვილო საყვარელო, თუნდაც გიმძიმდეს,
ოლიმპოს მკვიდრებს ბევრი ტანჯვა გამოგვიცდია
კაცთაგან, ოდეს ღმერთნი ერთურთს ვუგებდით მახეს.

385 ასე შებოჭეს ოტოსმა და ეფიალტესმა

არესი, ორმა მამაცმა ძემ ალოესისა.

ღმერთი ცამეტი თვე სპილენძის დილეგში ეგდო,
ვერც დაიხსნიდა თავსა ბრძოლით გაუმაძლარი,
ერიბოიას პირმშვენიერს, მათს დედინაცვალს,

390 რომ ჰერმესისთვის არ გაენდო საქმე ფარული.

მან იხსნა არეს, ბორკილებით ძლეული ღმერთი.

ჰერაც ასევე დაიტანჯა, ამფიტრიონის
ძემ როს ძუძუში გაუყარა მწარე ისარი.

ქალღმერთს ტკივილის დაამება აღარ ეღირსა!

395 თვით აიღესიც, ღმერთთა შორის უსასტიკესი,

ისრით იმავე კაცმა დაჭრა, ზევსის შობილმა,
ზედ კარიბჭესთან, მკვდართა გვერდით აგება ტანჯვა.

ზევსის სამკვიდროს, ოლიმპოს თხემს ეწვია ღმერთი,
გულდარდიანი, დატანჯული, ავბედით ისარს

400 ბეჭი გაეპო, აიღესის სული შეეძრა.

დაკრილს პენამა გაუყუჩა ტკივილი წამლით,
მალე განკურნა არაშვილი წუთისოფლისა.
ავთა საქმეთა საზარკმედი მშვილდით უშიშრად
შეურაცხოფდა უკვდავ ღმერთებს, ოლიმპოს

მფლობელთ!

405 შენს წინააღმდეგ აღამხედრა ათენამ გმირი.
უგნური კაცი! არ კი უწყის ტიდევსის შვილმა,
რომ ვინც ღმერთებზე ხელს აღმართავს, დღეს

მოისწრაფებს.

შვილებს კალთაში ვერ ჩაისვამს, ვერ უხმობს მამად
ბრძოლის ველიდან დაბრუნებულს მხოლოდშობილი.

410 დაე ტიდიდი ჩაუფიქრდეს, თუცა ძალა მოსდგამს,
სხეასაც, მასზე მძლავრს. შენთან შებმა როდი შერჩება!
ეგიალეა, ადრესტოსის ბრძენი ასული,

ძილში იკივლებს, შინაურებს ფეხზე წამოჰყარის,
გულდასერილი ახალგაზრდა კმარზე წუხილით,
415 ერთგული ცოლი ცხენთა მხედვენელ დიომედესა'.

ასე უთხრა და შვილს მოსწმინდა უკვდავი სისხლი.
ხელი მოურჩა. დაუამდა ტკივილი მწარე.

ამ დროს ათენა და თვით ჰერა ყოვლის მხედველი
ღვარძლიან სიტყვით აღვიძებდნენ რისხვას კრონიდის,

420 თავდაპირველად თვალმცეცხლია ათენამ უთხრა:
„ზეესო, მამაო, მითხარ, ხომ არ გამირისხდები?
აქაველ ასულს კვიპროსელი, ვგონებ, აცდენდა,
რომ კვლავ მის რჩეულ ტროელ ვაჟკაცს ნდობოდა ქალი.
და, იქნებ, როცა მიეფერა მდიდრულ სამოსზე,

425 ოქროს სარტყელმა გაუკაწრა ნაზი ხელები?“

ასე თქვა. ღიმი მოეფინა ღმერთთა მეუფეს.

მოიხმო ოქრო-აფროდიტე და ტყბილად უთხრა:

„შენ არ შეგშვენის, შვილო ჩემო, ომის გუგუნნი.

მიხედე ვნებამორეული ტრფიალის აღმურს,

430 ბრძოლრს სადავე ათენას და არესს დაუთმე“.

ასე მიმართეს ოლიმპოზე ერთურთს ღმერთებმა.

ამ დროს ენეასს თავს დაესხა გმირი ტიდიდი,
თუმცა უწყოდა, რომ სწყალობდა ყრმას აპოლონი,

- თვით დიად ღმერთსაც არ შეუდრკა, სურვილი სწევავდა
 435 მოყმის მოსპობის და მის აბჯრის დაუფლებიას.
 სამგზის მიეჭრა აღგზნებული, სამგზის შემართა
 ძლიერმა ღმერთმა აპოლონმა მეომრის ფარი,
 როცა მეოთხედ მიეძალა, ვით დაიმონი,
 მრისხანედ უთხრა აპოლონმა ისრის მტყორცნელმა:
 440 „გონს მოდი, შესდექ! არ გაივლო გულში ფიქრადაც,
 ღმერთს გაუტოლდე! არასოდეს დაემსგავსება
 ქვემეთრევ კაცთა ჯილაგს მოდგმა უკვდავ ღმერთების!“

- ასე უბრძანა. შორიახლოს შედგა ტიდიდი,
 შორსმოისარი აპოლონის რისხვით შემდრკალი.
 445 ღმერთმა ჭაბუკი ენეასი ბრბოს გაარიდა
 და პერგამოსის თხემზე დასვა თავის ტაძარში.
 იქ მოყმეს ლეტო და არტემის — ისრის მტყორცნელი
 კვლავ უბრუნებდნენ ძალასა და მშვენიერებას.

- შექმნა ვერცხლისფერმშვილდო! ანმა აპოლონ ღმერთმა
 450 ამ დროს აბჯროსან ენეასის ცოცხალი ხატი.
 მის ახლოს ტროელთ და აქაველო სპა აირია,
 ხარის ტყავს, მკერდზე გადაჰიმულს, აპობდნენ გმირნი,
 დიდთა თუ მცირე ფართა ბრწყინვა თვალებსა კრიდა.
 შმაგ არესს უთხრა სხივოსანმა აპოლონ ღმერთმა:

- 455 „არეს, ო, არეს! კაცთა მჟღეტო, ბჭეთა მნგრეველო!
 განა არ გინდა გაიყვანო ბრძოლის ველიდან
 მოყმე, რომელიც თვით მამა ზევსს არ შეუდრკება?
 ჯერ ხელში დაჭრა კვიპროსელი შუბით და შემდეგ
 მე შემეგება საშინელი, ვით დაიმონი!“

- 460 ასე უთხრა და პერგამოსის თხემზე დაბრუნდა.
 ხოლო არესი გაეშურა ტროელთ საშველად,
 თრაკიელთ მეფის აკამანტის სახე მიიღო,
 პრიამოსის ძეთ, ზევსის შობილთ შეჰყივლა ღმერთმა:
 „ზევსის შობილი პრიამოსის ძენო სვიანნო!

- 465 დიდხანს გასურთ ჟღეტა შეარჩინოთ აქაველოთ ლაშქარს?
 თუ უცდით, სანამ კარიბჭესთან მოიჭრებიან?
 ღვთიურ ჰექტორის დარი კაცი უკვე დაეცა —

ამაყი მოყმე ენეასი, ანჭისეს ვაჟი!

შევებათ, ბრძოლის ქარცეცხლიდან დავიხსნათ მოძმე!“

470 ასე თქვა. მებრძოლთ კვლავ შემატა ძალგულოვნება.

ჰექტორს მიმართა სარპედონმა მაშინ ვედრებით:

„გმირო, რა იქნა საამაყო სიმტკიცე შენი?

მოკავშირეთა სპაც არ გსურდა, ამბობდი, ქალაქს
მარტოც დავიცავ, ძმა-სიძეთა ძალაც მყოფნისო.

475 აბა, მითხარი, სად არიან? ვერც ერთს ვერ ვხედავ!

ომს გაურბიან, ვით ძაღლები ლომს გაშმაგებულს.

ჩვენ კი თავს ესწირავთ, დახმარებაც ამასა ჰქვია!

შორიდან მოვედ მოკავშირედ, შენდა შემხიდედ,

შორს შეგულეება ლიკია და ქსანთოს-მდინარე,

480 ცოლი იქ მივის საყვარელი, პატარა პირმშო,

განძი დიდძალი, უპოვარს რომ სიხარბეს მოჰგვრის.

მაგრამ ლიკიელთ წამოყყევი, ახლაც მზადა ვარ

შევება ვაჟკაცს, თუმც აქ არა მამადია რა,

რომ ან წამგვარონ ან წამართვან აქაველებმა.

485 შენ კი არც იძვრი, მხედრობასაც არ მოუწოდებ,

რომ მტკიცედ იდგნენ და ცოლშვილი დაიცვან მედგრად.

ვინძლო არა გხვდეს მახე ყოვლის შემამთხვეველი,

შენც, შენიანნიც მტერს არ ერგოთ ტყვედ და ნადავლად!

მალე თქვენს მჭიდროდ დასახლებულ ქალაქს მოსპობენ!

490 ახლა ეს ფიქრი უნდა გქონდეს ღლითა და ღამით,

ეაჭებოდე მოკავშირეთ, შორიელ მეფეთ,

დაეხსნან ქადილს და აღივსონ ბრძოლის წადილით!“

თქვა სარპედონმა და გაკენწლა ჰექტორის გული.

აბჯარასხმული დაქვეითდა გმირი ეტლიდან.

495 შუბი შემართა, დაიარა სწრაფად ლაშქარი,

გული აღაგზნო მეომართა, გაჩაღდა ბრძოლა.

შემოუბრუნდნენ კვლავ აქაველთ ტროელთა სპანი.

არგიველები შემჭიდროვდნენ, როდი შემდრკალან.

გეგონებოდათ, ბრეს ფანტავსო კალოზე ქარი,

500 ალოობაზე მოსულაო ოქროსთმიანი

დემეტრე, ქარის სუნთქვით ხორბალს აცილებს ბჯელოს

და თეთრად ველზე მიმოფენსო... სწორედ ასევე

თავით ფეხამდე აქაველნი გათეთრებულან:
505 ცას სპილენძისფერს ცხენთა ფლოქვით მოედო მტვერა,
როს მისაქციელს მიაღწიეს.

ეტლებს მხედრები

ზედ ახეთქებდნენ მტრებს, სადავეს მართავდნენ მტკიცედ.
ბნელი მოჰფინა ველს არესმა, ტროელთა შემწემ,
მათ შორის მსრბოლი აპოლონის მიენდო ნებას —
ოქროსისრიან ფოიბოსის, ვინც დაავალა

510 ტროელთ შემწევნა, დანაელთა მძლავრი ქომაგი
ათენა რაკი დაიგულა სხვაგან წასული.

თვით ენეასი გამოიხმო მალალ ტაძრიდან,
და განამტკიცა ხალხთა მწყემსის მკერდი მამაცი.

515 დადგა ენეას სპათა შორის კვლავ დიდებული,

ყველას ეამა, როს იხილეს გმირი უვნებლად,
მაგრამ შეკითხვა ვერვინ მისცა, სხვა დარდი ჰქონდათ,
სხვას რასმე ვერცხლისმშვილდოსანი აიძულებდა,
კაცთა მმუსვრელი არესი და შმაგი ერისი.

ამ დროს ორივე აიანტი, მძლე დიომედე

520 და ოდისევსი ბრძოლის ეინით სპას აღაგზნებდნენ,
მაგრამ თვითონაც ტროელთ შიში არ ჰქონდა ლაშქარს.

ურყევად იდგნენ და ელოდნენ, ვით ღრუბლის ქულა,
უქარო დღეს რომ წამოქუფრავს მთაზე კრონიდი.
წევს ჩაშავებულ-ჩაეამული, სანამდის სძინავს

525 ქარ-ბორეასს და სხვა ქარიშხალს, რომელთა ბაგე
მძლავრი შებერვით ცაზე ღრუბლებს წამოშლის ხოლმე.
ასე ელოდნენ გულუშიშრად ტროელთ მოყმენი,
ხოლო ატრიდი ამხნევებდა დანაელთ ლაშქარს:

„იყავით მხნენი, აღამალღეთ სული მედგარი,

530 მებრძოლს რცხვენოდეს ბრძოლის ველზე თანამებრძოლის,
ვინც გრძნობს ამ სირცხვილს, უფრო მეტად ის

გადარჩება,

ხოლო ლტოლვილი ვერც ხსნას ჰპოვებს და ვერც

დიდებას!“

თქვა და მყის შუბი მეწინავე ვაეკაცსა სტყორცნა —

მამაც მეგობარს ენეასის, მძლე დეიკონტს,

- 535 პერგასიდს; ტროელთ პრიამოსის ძეთა შორისაც
 არ ერჩეოდათ, ისე ომში უწევდა გული.
 ფარში უწონა შუბი გმირმა აგამემნონმა,
 ფარმა კი ველარ შეაჩერა ბასრი სპილენძი,
 სარტყელსაც გასცდა და ჩაიფლო მუცელში შუბი.
- 540 მიწას დაასკდა, აგრუხუნდა მოყმის აბჯარი.
 დასცა დანაელთ გმირნი მაშინ მძლე ენეასმა —
 დიოკლეს ძენი კრეთონი და ორსილოქოსი.
 მათი მშობელი იყო ფერეს მკვიდრი მდიდარი,
 გვარი მოსდგამდა ალფეიოს-მდინარისაგან,
- 545 რომლის ნაკადი პილიონის მიწას ჩაუდის.
 მან შვა მრავალთა მოყმეთ მეფე ორსილოქოსი.
 ორსილოქოსმა შვა დიოკლეს დიდსულოვანი,
 ხოლო დიოკლესს შეეძინა ტყუპი ვაჟები —
 ორსილოქოსი და კრეთონი ბრძოლანაცადნი,
- 550 ორივე ვაჟკაცი, მოწიფული, შავფერდა გემით
 არგიველთ მოჰყვნენ ცხენმრავალი ტროის მხარეში,
 ატრევსის ძეებს — აგამემნონს და მენელაოსს;
 სახელს ეძებდნენ, საგლოველი სიკვდილი ჰპოვეს.
 ვით ლომნი ორნი მაღალი მთის ქედზე ნაზარდნი,
- 555 ძუ ლომის ძუძუ უღრან ტყეში რომ უწოვიათ,
 ცხვრებს იტაცებენ, დეკეულებს რქამორკალულებს
 და კარ-მიდამოს კაცთ უქცევენ, სანამ თვითონაც
 კაცთა ხელითვე ნატყორცნ რვალთ დაეცემიან, —
 ასე ძლეულნი ენეასის მტკიცე მარჯვენით
- 560 მიწას დაასკდნენ ძმები მაღალ ფიჭვთა სადარნი.
 აღშფოთდა მაშინ ატრევსის ძე მენელაოსი,
 მეწინავეებს გამოეყო რვალთ მოსილი,
 შუბი შემართა, აღაგზნებდა მის სულს არესი
 ფარული აზრით: ვინძლო სძლიოს ენეასმაო.
- 565 მაგრამ შენიშნა ნესტორის ძემ ანტილოქოსმა
 და თვით გაიჭრა, რომ ხალხთა მწყემსს, მტრის
ბოროტებით
- რისხვად ანთებულს, სპათა მძიმე შრომის ნაყოფი
 არ წაეხდინა.
- ამ დროს გმირნი შუბმოდერებით

- ერთურთს უქადდნენ შერკინების ჟინით აღესილნი.
 570 გვერდით დაუდგა ანტილოქოს ატრიდს და თუმცა
 მგზნებარე იყო ენეასი, ველარ თავს იღვა
 ერთიმეორის ღირს ორ მამაც მოყმესთან ბრძოლა.
 მათ კი მოკლულნი გაათრიეს თავის რაზმგებთან,
 მწუხარე მოძმეთ მისცეს გვამნი სვეუბედურთა.
 575 თვითონ დაბრუნდნენ, მეწინავეთ შორის იბრძოდნენ.

- დასცეს არესის მსგავსი მოყმე პილაიმენევს,
 პაფლაგონიელ ფარისმფლობელ ვაჟაკათა მეფე.
 იგი განგმირა შუბოსანმა მენელაოსმა,
 ყელში აძგერა წინამდგომელს ბასრი ოროლი.
 580 ანტილოქოსმა მყის მეეტლე მიღონიც მოკლა
 ატიმნიადი, როცა იგი ცხენს აბრუნებდა.
 იდაყვზე მოხვდა ქვა, აღვირი სპილოსძვლიანი
 და მოელვარე გაუვარდა, მტვერში დაეცა,
 ანტილოქოსმა ხმალი ჩასცხო ყრმას საფეთქელში,
 585 ამოიგმინა მან, მშვენიერ ეტლის ძარადან
 ძირს გადმოეშვა თავდაყირა. მხრებით ჩაემხო
 ერთხანს ქვიშაში, სანამ ცხენმა არ გაჰკრა გვერდი
 და გააგორა; ანტილოქოს ცხენს სცემდა მათარახს
 და ეტლს არგოველთ ლაშქრისაკენ მიაქროლებდა.
 590 ჰექტორმა გმირნი რა შენიშნა, შმაგი ყიყინით
 მყის გამოიჭრა და თან მოჰყვენენ ტროელთ ფალანგნი,
 წინ მოუძლოდნენ არესი და მძლავრი ენიო,
 გუნდი და გუნდი მეომართა მოჰყვა ფიცხელი.
 მტკიცე მარჯვენით ღმერთი არეს შუბს იღერებდა,
 595 ხან წინ გაუსწრო ჰექტორს, ხან კი მიჰყვა კვალდაკვალ.

- ღმერთი რომ ნახა, დიომედე შეკრთა დიადი.
 ვით მგზავრი, ფართო ველ-მინდორზე გზას აცდენილი,
 უცაბედად რომ წააწყდება ნაკადს ქაფიანს,
 ზღვაში შეეარდნილს, შეკრთება და უჟან დაიხევს,
 600 ასე ტილიდიც უკუმიდგა და სპას შესძახა:
 „ძმანო, რად გვიკვირს, რომ ჰექტორი ზუჩმოელვარე

ვახდა პირველი შუბოსანი და მძლე მებრძოლი?
მიწყვიც ღვთაება თან დაჰყვება, სიკვდილს აცილებს!
ახლაც გვერდით ჰყავს, კაცის სახით — ღმერთი არესი!
605 მტერთან პირისპირ მიმართულნო, უკუმოდექით,
უკვდავ ღმერთებთან შერკინება არვინ გაბედოს!“

- ასე თქვა, მაგრამ მსწრაფლ მოიჭრნენ სპანი ტროელთა.
ჰექტორმა დასცა ორი მოყმე, ომში ნაცადი:
ერთ ეტლში მყოფნი მენესთეესი და არქიალოს.
610 ამას როგორც კი თვალი მოჰკრა ტელამონიდმა,
იქავე გაჩნდა და ელვარე ოროლი სტყორცნა,
დასცა ამფიოს სელაგიდი; შორს, პაისოში
ვრცელი ველ-მინდვრის და დიდძალი განძის მფლობელი.
ბედს პრიამოსის დასაცავად წამოჰყოლია.
615 სარტყელში მოხვდა აიანტის შუბი მეომარს
და შიგნეულში გაეჩხირა გრძელჩრდილიანი,
ზათქით დაეცა. მოირბინა ყრბამ ღვაწლისამძლემ,
რომ აეყარა საჭურველი, მაგრამ ტროელნი
ოროლს სტყორცნიდნენ, ბევრი შუბი ისხლიტა ფარმა.
620 ტერფით დააწვა გვამს, ბოძალი მოკლულს მოძალემ
მყის ამოგლიჯა, ვერ აართვა აბჯარ-ბექთარი
ოლონდ მხრებიდან, დაუშინეს ისარი მტრებმა.
ზვიად ტროელთა ალყის შიში გმირს შეეპარა:
ბევრნიც იყვნენ და ძლიერებიც ხმალ-შუბოსანნი.
625 თუმც მძლავრიც იყო, დიდიც იყო, სახელოვანიც,
მაინც უკუდგა უფრო დიდი ძალით ძლეული.

- ასე შეიბნენ აბჯროსანნი ფიცხელ ბრძოლაში.
ტლებოლემოსი ჰერაკლიდი, ვეება, მძლავრი
ბოროტმა ბედმა შეახვედრა მამაც სარპედონს.
630 ოღნავ უკუდგნენ გმირნი, ერთურთს როს შეეჩეხნენ —
ღრუბელთმარეკი ზევსის ძე და ზევსის ბადიში.
ასე მიმართა მტერს პირველად ტლებოლემოსმა:
„ლიკიის მეფევ სარპედონო! ნეტავ შენ რა გრჯის,
აქ რომ შიშით თრთი, უმეცარო ბრძოლის ველისა?
635 ტყუის, ვინც გაქებს და გადიდებს ზევსის შვილობით.

- ახლოს ვერ მიხვალ იმ გმირებთან, ვინც ზევსმა შობა
 უხსოვარ დროს და უუძველეს ვაჟაკთა შორის.
 ამბობენ, ძალა შესაშური ჰქონდა ჰერაკლეს
 იმ დროს, მამაჩემს, კადნიერს და ლომგულ მეომარს.
- 640 აქ მოსულს სურდა წაეგვარა ლაომედონტის
 რაშნი, სპა ახლდა ექვსი გემით, რაზმი მცირედი.
 ტროა დალეწა, შარა-შუკა ქმნა უკაცური!
 შენ კი, ჯაბანო, სიკვდილისკენ მიუძღვი ლაშქარს.
 ვგონებ, ტროელთა ტომის მცველად ვერ გამოდგები,
- 645 ამაოდ მოხვედ ლიკიიდან.

ასჯერ ძლიერიც

რომ იყო, ჩემგან ჰადესის ბჭეს ეწვევი მკვდარი!“

- ლიკიის მეფემ სარპედონმა უმაღ მიუგო:
 „ტლეპოლემოსო! ვინც დალეწა ბჭე ილიონის,
 ლაომედონტის უგნურების გამო დალეწა:
- 650 კეთილისმყოფელს მეფემ სიტყვა უთხრა უშვერი,
 რაშნი არ მისცა, შორი გზიდან ამ მიზნით მოსულს.
 შენ კი წინასწარ ამას გეტყვი: შავ ბედს, სისხლისღვრას
 ვეღარ ასცდები, აეგები ჩემს შუბს, მარგუნებ
 ძლევა-დიდებას, სულს კი — ჰადესს, კვიცებით
 განთქმულს!“

- 655 ასე თქვა გმირმა.

მოიღერა იფნის ოროლი,

- ტლეპოლემოსმაც სტყორცნა შუბი, ბასრი სპილენძი
 მოსწყდა მათს ხელებს. სარპედონმა დასცა ლახვარი
 მტერს ყელში, გარეთ გაატანა მყის შუბისწვერმა.
 გადაეფარა გმირის თვალებს ღამის წყვილიადი.
- 660 ტლეპოლემოსის შუბი ფერდში მოხვდა სარპედონს,
 ხორცი გაკვეთა, გაატანა, ძვალს მოხვდა წვერი,
 მაგრამ სიკვდილი ააცილა შვილს მამა ზევსმა.
 მყის სარპედონის მებობრებმა მოიწადინეს
 სამშვიდობოზე გაეყვანათ გმირი მოწყულლი.
- 665 არვის მოსვლია ამ დროს ფიქრად, აეძრო შუბი,
 სწრაფად გასცლოდნენ ოლონდ ბრძოლას. ამ დღეში

იყვნენ,

როცა ცდალობდნენ აქაველნიც რვალმშვენიერნი,
ტლებოლემოსიც გაეყვანათ სამშვიდობოზე
ბრძოლის ველიდან.

თვალი მოჰკრა მას ოდისევსმა

670 სულდიდმა, გულმა მოყვარულმა მყის რეჩხი უყო,
და ორ აზრს შუა მერყეობდა სულით და გონით:
რა ექნა, ზევსის ძეს დასხმოდა, თუ სხვა ლიკიელთ
და მრავალთათვის ამოერთვა სპილენძით სული?
მაგრამ არა მას, გმირ ოდისევსს, ეწერა ბედად

675 მეხთამცემელის, ზევსის შვილის ბრძოლაში მოკვლა.
ლიკიელთ მიმართ მიუქცია გული ათენამ.

კოირანოსი, ალასტორი, ქრომიოს დასცა,
ალკანდროსი და ჰალიოსი, შემდეგ ნოემონ
და პრიტანისი, მეტსაც სძლევედა გმირი ოდისევს,

680 რომ ჰექტორს — ჩაჩქანმოელვარეს არ შეენიშნა:
რაზმს გამოეყო მოკიაფე რვალთ მოსილი
და ზარდამცემი დანაელთა.

მეგობარს შვეებით

შეხვდა სარპედონ და მთრთოლვარე ხმით შეეგება:

685 „ნუ დამაგდებო დანაელთა ნადავლად, მიხსენ,
ო, მეგობარო! და უკვე თქვენს ციხე-ქალაქში
დამთმოს სიცოცხლემ! ვხედავ, ბედად არ მიწერია
შინ მისულს ჩემი სანუკვარი ქვეყნის მიწაზე
რომ გავახარო მეუღლე და ძე უწლოვანი!“

ეს მიაძახა, მაგრამ ჰექტორს არა უთქვამს რა,

690 არა ჰყოფნიდა მოთმინება, ბრძოლად გაიჭრა
არგიველთ მღევრად და მრავალთა სულთამხუთველად.
ხოლო სარპედონ ღვთაებრივი ველზე ჩამოსვეს
ეგიოხ ზევსის მშვენიერი წიფელის ძირას.

და მაშინ შუბი ამოაძრო მყის ბარძაყიდან

695 მისმა მამაცმა მეგობარმა, მძლე პელაგონმა.
სულმა დატოვა, დაულამდა თვალნი სარპედონს.
კვლავ დასცდა კენესა, დაუჭროლა ქარ-ბორეასმა
გამოაცოცხლა. სამშვინველით აევსო მკერდი.

არგიველთ სპანი მედგრად დახვდნენ არესს და ჰექტორს,
700 მკიდროდ შეკრულნი: არც გარბოდნენ ხომალდებისკენ,
არც წინ გაჭრილან. ნელა თმობდნენ ბრძოლის სარბიელს,
რა ესმათ, ტროელთ გვერდით თვითონ არესი დგასო.

ვინ იყო პირველ, ანუ ბოლო, რომელთ აღხადა
ჰექტორმა ფარი და ბეჭთარი. ანუ არესმა?
705 უკვდავთ სადარი ტევთრანტი და გზირი ორესტე,
ტრექოსი, აინომანტი ეტოლიელი,
ენოპოსის ძე ჰელენოსი, ორესბიოსი
ჰილეს მცხოვრები, სიმდიდრეზე დახარბებული.
კეფისის ტბასთან ჰქონდა სახლი, სად იყვნენ სხვანიც
710 ბეოტიელნი, ნაყოფიერ ყანის მფლობელნი.

ეს რა იხილა მხრებქათქათა ქალღმერთმა ჰერამ —
მამაც არგიველთ ხოცვა-ყლეტა შერკინებისას,
სწრაფად ათენას მიაგება ფრთიანი სიტყვა:
„ვაგლახ, ასულო უძლეველო ეგიოხ ზევსის!
715 მე და შენ სიტყვა მენელაოსს ვამცნეთ ამაო —
ვითომ რაო და, ტროას დასცემ ქონგურებიანს,
შინაც მიხვალო. ჩვენ კაცთამყლეტ არესსა ვწყალობთ,
მაგრამ თვით გემართებს ფიქრი ბრძოლის სიმამაცეზე!“

თქვა და მას აჰყვა თვალმცეცხლია ღმერთი ათენა;
720 ჰერამ შეკაზმნა რაშნი ოქროსავეყანდიანნი,
ქალღმერთმა ძველთაძველი მოდგმის, კრონოსის შვილმა
და ეტლს მოარგო მორკალული სპილენძის თვლები
რვამანიანი, რკინის ღერძზე სწრაფად მბრუნავი
ფერსო ოქროსი, უყანგავი, სპილენძის სალტე
725 ზედ მორგებული, ხილვად ერთი რამ საოცარი.
მორგვი ვერცხლისა ელვარებდა მომრგვალებული,
ძარაც ვერცხლისა და ოქროსი, კაშკაშა ღვედით
იყო შეკრული, ორი კავი ზედ მოსდებოდა
მათ შუა ვერცხლის დიდი ხელნა იყო გაჩრილი.
730 ჰერამ გამართა ზედ უღელი, შიგვე გააბა

ოქროს სადავე და ხელთ იპყრა, უკვდავნი რაშნი
გამოაქროლა ადგზნებულმა ბრძოლის წყურვილით.

ამ დროს ათენამ, ეგიონი ზევსის ასულმა,
მჩატე პეპლოსი ტანთ გაიძრო, ნაქეც-ნაქეცად
735 დაბლა დაუშვა მის მიერვე ნაქსოვ-ნაკაზმი.
ნაცვლად აიღო მეხისმცემელ ზევსის ჯავშანი
და შეიმოსა ცრემლის მომგვრელ საბრძოლო აბჯრით.
მკერდთან მოიგდო აიგიდა ფოჩებიანი,
ზარდამცემი და შემოსილი საშინელებით:

740 შულლით, მძლავრებით, ლტოლვით, დევნით, ერთად
ყოველით

და გორგოს თავით, საზარელი ურჩხულის სახით —
უმრისხანესი სასწაული ეგიონ ზევსის.

ჩაჩქანი ჰქონდა ოქროვანი, ოთხბალთიანი,
მოზარნიშული, ას ქალაქს რომ გადასწვდებოდა.

745 ასე ფიცხელი შედგა ეტლზე, შემართა შუბი
მძიმე, ძლიერი და იმ ლაშქრის დაცამლეწველი,
რომელსაც რისხვა წილად ხვდება ზევსის ასულის.
ჰერამ მათრახი ფეხმარდ რაშებს დასცხო, განახვნეს
გრუხუნით ბჰენი ზეცათანი მყისვე ჰორებმა,

750 რომელთ ოლიმპოს და ცისკიდის დაცვა მიენდოთ,
ხან ღრუბელს შლიან, ხან შეკრავენ ცის კარიბჭესთან
ამ ბჰეთა გავლით გააქროლეს რაშნი ღმერთებმა.

მალე იხილეს უკვდავთაგან შორს მყოფი ზევსი,
მარტო მჯდარიყო ბორცვებიან ოლიმპოს თხემზე.

755 ცხენი მოთოკა მხრებქათქათა ქალღმერთმა ჰერამ.
და კრონოსის ძეს, ღრუბელთმარეკს ასე მიმართა:
„მამაო ზევსო! ნუთუ რისხვას არ გგვრის არესი?
რამდენი გმირი და როგორი მოსპო და მოსრა —
მძლე აქაველი მოძალადემ!

მზარავს სილადე

760 ვერცხლისმშვილდოსან აპოლონის და კვიპროსელის,
განუხჯელად რომ ეს უგნური ომში ჩააბეს.
ზევსო მამაო! ხომ არ მიწყენ, თუ არესს ბრძოლას
დავათმობინებ დარტყმით, იქნებ მძიმე დარტყმითაც?“

მყისვე მიუგო ჰერას ზევსმა ღრუბელთმარეკმა:

- 765 „დე, აუმხედრდეს მას ათენა — ძალისმხმეველი,
მისი ალაგმვა უფრო კარგად მას ეხერხება“.
დაემორჩილა თეთრხელება ქალღმერთი ჰერა,
რაშებს მათრახი დასცხო, ისევ გაფრინდნენ რაშნი,
ხომლიან ცას და მიწას შუა მოლიევიენი.
- 770 რამდენ სივრცესაც კაცის თვალი გაატანს ხოლმე,
როცა სერიდან გადასცქერის ზღვას ჩაშავებულს,
იმდენს ერთბაშად ქედზვიადნი ღმერთთა მერანნი
გადაივლიან, ტროას მივლენ, სად ერთ ნაკადად
შეერთებულა სიმოეის და სკამანდროსი.
- 775 იქ კი რაშები დააოკა ქალღმერთმა ჰერამ,
მოხსნა ულელი და მოჰფინა მრუმე ღრუბელი,
სიმოეისმა ამბროსია აგემა რაშებს.
ისე ჩქარობდნენ, ვით ქედნები მოფრთხიალენი,
მსუბუქ რონინით არგიველთა სპას მიელტვოდნენ
- 780 მისაშველებლად და წაადგნენ ურიცხვ მეომარს
ცხენთა მტერფავი დიომედეს გარშემო შეყრილს.
დასად ეხვივნენ, ვით ლომები სისხლისმსმელები,
ან ვით ტახები მძლენი, ძნელად გასაფანტაენი.
და იქ ქალღმერთმა, მხრებქათქათა ჰერამ შესძახა,
- 785 სახე მიელო რვალისხმიან მოყმის — სტენტორის,
რომლის ყვილი ორმოცდაათ კაცის ხმას ჰგავდა:
„სირცხვილი, სპანო უსუსურნო, თვალ-ტანად ბრგენო!
წინათ, ღმერთებრი აქილევსი მტერს რომ ებრძოდა,
ტროელნი ვერც კი სცილდებოდნენ ტროის კარიბჭეს,
- 790 თრთოდნენ პელიდის ულმობელი შუბის წინაშე!
დღეს კი იბრძვიან ხომალდთა წინ, შორს გალავნიდან!“

თქვა და ალაგზნო სიმამაცე და ძალა სპათა.

ტიდიდთან მიდის თვალმცეცხლია ღმერთი — ათენა,
ხედავს, რომ ეტლთან ახლოსა დგას მეფე, ჭრილობას

- 795 იგრილებს, გმირმა პანდაროსმა რომ მიაყენა.
ოფლი წურწურით დასდის ღვედზე, რომლითაც ფარი
უპყრია მოყმეს. უშეშდება ხელი, ღვედს ასწევს
და სისხლიანი ჭრილობიდან სისხლს იწმენდს ხოლმე.

- გადაიხარა ცხენებისკენ და უოსრა ღმერთმა:
- 800 „ასეთ ვაჟიშვილს გმირი ტიღევს ვერ გააჩენდა!
ტანმორჩილს გული ბრძოლისათვის მუდამ ერჩოდა.
ოდესღაც მე მას ავუკრძალე მტერთან კვეთება,
როს ერთადერთი აჭაველი სულანთებული
თებეს მოვიდა კადმოსელთა მოდგმასთან ელჩად.
- 805 ეუბრძანე, მშვიდად ექეიფა მტრის სასახლეში.
მაგრამ სიშმაგე ნამაცური მიწყვიტე სჩვიოდა,
ბრძოლად იწვევდა და იოლად სძლევდა კადმოსელთ.
სწორედ ასეთი გმირთაგმირის შემეწე ვიყავი!
შენც გაეხლები და ჯოველთვის გიცავ, გამხნევიბ,
- 810 რომ გულმხნედ წეხვდე, შეერკინო ტროელთა ლაშქარს.
ან მამვრალი ხარ და დაგიცხრა შმაგი გმირობა,
ან გძლევის სიმხდალე უსულგულო! და ამის შემდეგ
შვილი ხარ განა ტიღევსისა — ოინეიდის?!“
ჰრქვა და მიუგო დიომედემ ძალისმხმეველმა:
- 815 „გიცან, ქალღმერთო, ეგიოხი ზევსის ასულო!
გულწრფელად გეტყვი ყოველივეს, არც რას დაეფარავ:
არც დაღლილობა, არც სიმხდალე არ მთრგუნავს ახლა,
არამედ მახსოვს გარდუვალი შენი ზრძანება:
არც ერთ ნეტარ ღმერთს არ შეეცნა, გარდა ერთისა —
- 820 თუ ზევსის ასულ აფროდიტეს ომში ვიხილავ,
ბასრი სპილენძი წამახული ვაძგერო უმალ.
ამიტომ ვიხვე ახლა უკან, ყველა არგიველს
იგივე ვუთხარ, რომ სპას თავი აქ მოეყარა:
ვხედავ, არესი თვით წარმართავს ბრძოლის სადაკეს!“
- 825 კვლავ გმირს მიმართა თვალმცეცხლია ღმერთმა ათენამ:
„გმირო ტიდიდო, დიონედე, გულის რჩეულო!
ნურც არესს უფრთხი, და ნურც უკვდავს სხვას
რომელიმეს,
თვილ მე ვიქნები შენი შემწე, შენი შემხიდე!
მიეპერ არესს მელერფეხება ცხენებით გულმხნედ,
- 830 შეხვდი, შეებო, ნუ შეგაკრთობს ღისი სიშმაგე,
თვით ამასწინათ მე აღმიტქვა და ქალღმერთ ჰერას,

ტროელთ შებმოდა, მოვლენოდა შემწედ არგიველთ,
მაგრამ მათ უმტრო და კვლავ ტროელთ შველის ვერაგა!:"

835 თქვა და სთენელოსს მყისვე ეტლი დაათმობინა,
თვითონ უბიძგა და მორჩილად ჩამოხტა მოყმეც.
დიომედესთან დადგა ეტლზე ქალღმერთი თვითონ,
ბრძოლით გზნებული,

მუხის ღერძმა დაიკრიალა
მრისხანე ღმერთის და მამაცი მოყმის სიმძიმით.

840 ხელში მათრახი და სადავე იპყრა ათენამ
და არესისკენ გააქანა შმაგი ცხენები.
იგი პერიფანტს, ეტოლიელთ ბელადს თავს ადგა,
ძეს მხნეს და ძლიერს სახელოვან ოქესიოსის,
სისხლიან არესს აეხადა აბჯარ-ბექთარი.

845 ჰადესის ზუფი ჰქონდა ქალღმერთს, რომ ღმერთს არ

ეცნო.

კაცთა მმუსვრელმა რომ იხილა მძლე დიომედე,
იქვე დააგდო პერიფანტი უზარმაზარი,
სადაც განგმირულს ამოხადა სული ახლახან.
სწრაფად მიეჭრა დიომედეს, მერანთა მტერფავს.

850 ზედ მივარდნილი ღმერთი უცებ გადაიხარა
ცხენების მხარეს, საყევრისკენ, სპილენძის შუბი
სტყორცნა მეომარს მოწადინემ სულის ამოხდის.
ხელი უტაცა თვალმცეცხლია ქალღმერთმა ბუნიკს,
გვერდზე ამაოდ ღმერთის ოროლს რომ გაეჭროლა.

855 მაშინ უშიშრად შეუტია ღმერთს დიომედემ
სპილენძის შუბით, ძალა მისცა დიბლიგს ათენამ
და ზედ ბოქვენთან, სადაც არესს ერტყა სარტყელი,
დაჭრა ტიდიდმა და გაფლითა უკვდავი ტანი.

შუბიც დააძრო, და ხაფი ხმით იბღავლა ღმერთმა,

860 თითქოს ცხრა, გინა ათი ათას კაცს ეღრიალოს,
ძლიერ მეომარს, გადამწყვეტი, სასტიკ ბრძოლის წინ.
შიშმა შეაკრთო აქაველნიც, ტროელთა სპანიც,
ისე ღმუოდა ღმერთი ომით გაუმადლარი.

როგორც შავია ზეცა, მრუმე ღრუბლით მოცული,

865 როს შმაგად სუნთქავს ქარიშხალი, ქარი-ხორშაკი,

ისე ეშავა რვალმოსილი არესი ტიდიღს,
ვრცელი ზეცისკენ მიმავალი.

სწრაფად ავარდა

უკვდავი უკვდავთ სამკვიდროზე, ოლიმპოს თხემზე.
ზევსთან ჩამოჭდა და მწუხარე ღმერთმა აჩვენა

870 უკვდავი სისხლი ჭრილობაზე აჩქეფებული.
მძიმედ კვნესოდა და ეტყოდა ფრთიანი სიტყვით:
„მამაო ზევსო! ნუთუ რისხვას არ გგვრის ეს საქმე?
ღმერთნი ერთმანეთს როდი ვინდობთ, ღმერთი ღმერთსა
ვნებს

უკეთურებით, როს სიკეთე მოგვაქვს კაცთათვის.

875 ყველა გემდურის: ხარ მძვინვარე ასულის მამა,
გულში რომ მხოლოდ ბოღმა აქვს და ბოროტი საქმე!
სხვა ყველა ღმერთი, ვინც კი სუფევს ოლიმპოს თხემზე,
გემორჩილება და მზად არის მორჩილი იყოს,
მხოლოდ ერთს ვერა და ვერა ფლობ სიტყვით თუ
საქმით,

880 ხელსაც კი უწყობ, უბოროტეს ასულის მამავ!
ახლაც სულდიდი დიომედე, ძე ტიდევსისა,
ველური რისხვით წააქეზა ღმერთებთან ბრძოლად.
ადრე კვიპროსელს გაუკაწრა ნაზი იდაყვი,
ახლა კი შუბით მე მეძგერა, ვით დაიმონი!

885 მიშველა მხოლოდ ფეხმარდობამ, სხვაგვარად დიდნანს
გვამების საზარ ზედაზორას ზედ ვეგდუპოაღი.
არ ამცდებოდა სატანჯველი დამღუპველ რვალს“.

ღრუბელთძარეკმა შეხედა და პრისხანედ უთხრა:

„ჩემთან ნუ ღმუი, შე მერყევო, მესხვადასხვიევ!

890 ოლიმპოს მკვიდრთა შორის მძულზარ ყველაზე მეტად:
შენ მხოლოდ შუღლი, მხოლოდ მტრობა და ბრძოლა
გატკობს!

დედის სული გაქვს — მიწყვიე კინკყელი და კირვეული,
ჰერასი!

მას ხომ სიტყვით ძლივსლა მეც ვიმორჩილებ!

ახლაც, ვეკვ, მისმა ჩაგონენამ შეგძრა ტკივილით!

895 მაგრამ არ ძალმიძს კვლავ გიყურო ასე წამებულს,

შენ ხომ შვილი ხარ ჩემი, დედამ შენ ჩემგან გშობა.
სხვისი რომ იყო, გულბოროტო, დიდი ხნის წინათ
ურანიდებთან ჯოჯოხეთში გადაგკარგავდი!“
თქვა და უბრძანა აქიმობა პეანს კრონიდმა.

- 900 მან მალამოთი დაუამა ტკივილი არესს,
განკურნა ღმერთი სიკვდილისთვის არგაჩენილი.
როგორც თეთრ რძეში გაერევა ლელვის ნაჟური
და როგორც სწრაფად იღვრიბება, დედდება ხოლმე,
ისევე სწრაფად მოარჩინა პეანმა ღმერთი.
- 905 ჰებემ განზანა და შემოსა.

დაჯდა არესი
ზევისის მახლობლად, მოამაყე თვისი ღიღებით.

იმ დროს კრონიდის სავანეში დაბრუნდნენ კიდევ
არგიველთ ჰერა და ათენა ალაღკომენე.
ასე დაორგუნეს ღმერთი არეს — კაცთა მმუსვრელი.

ქება მემეკსა

კეპტორისა და ანდრომაქეს შეხვედრა

უკვდავთ დატოვეს ტროელთა და აქაველთ ბრძოლა,
მაგრამ აქა-იქ ისევ ენთო ომის სახმილი
და კვლავ უტევდნენ სპანი ერთურთს ბასრი შუბებით
სიმოეისის და ქსანთოსის სანაპიროზე.

- 5 ჯერ აიანტმა, აქაველთა ბურჯმა, გააპო
ტროელთ ფალანგნი და მოჰფინა ხალხს შუქი შვების,
როს თრაკიელთა შორის დასცა უმამაცესი
ევსოროსის ძე აკამანტი ძალისმხმეველი.
ცხენისძეიან მუზარადში დასცა სპილენძი
- 10 და გაატანა შუბისწვერმა ძვლებში ხრიალით,
შავი წყვედიადი მოკლულს თვალზე გადაეფარა.
აქსილოს დასცა დიომედემ კეთილშობილმა,
ძე ტევთრანისა: არისბეში ცხოვრობდა იგი,

ყოველად მდიდარი და ყოველთა კაცთა მოყვარე.

- 15 გზის პირას მცხოვრებს ღია ჰქონდა სტუმრისთვის კარი.
მაგრამ ვერავინ იხსნა მოყმე მეგობართაგან,
ვერვინ უშველა, ორს მოუსპო მხნე დიომედემ
სიცოცხლე: მას და კალენიოსს, ეტლით ეძგერა
და განუყრელნი სამარეშიც ჩავიდნენ ერთად.
- 20 ევრიალოსმა დასცა დრეოს და ოფელტიოს,
აისეპოსიც, პედასოსიც, ნიმფამ რომ უშვა
გმირ ბუკოლიონს — მშვენიერმა აბარბარეემ.
ბუკოლიონი, უფროსი ძე ლაომედონტის,
დედამ ფარულად, უქორწინოდ შობა.

ქაბუკი

- 25 ფარას მწყემსავდა, თანაეყო როს ნიმფას ტრფობით.
მან მუცლად იღო და ტყუბი ძე შესძინა მოყმეს.
ერთად გაუფრთხო სული ტყუბებს მეკისტიადმა
და მშვენიერ მხრებს აავლიჯა აბჯარ-ბექთარი.
ასტილოსი დასცა იქვე პოლიპოიტემ,
- 30 პიდიტე დასცა ოდისევსმა პერკოსიელი
სპილენძის შუბით, ტევკროსმა კი — არეტაონტი.
ანტილოქოსმა აბლეროსი სძლია ოროლით,
ხოლო ელატოს — მამაცთ მეფემ აგამემნონმა,
პედასს მცხოვრები, სატნიონტის სანაპიროზე.
- 35 ლტოლვილ ფილაკოსს ლეიტოსმა მოუღო ბოლო,
ევრიპილოსმა გააშიშვლა მელანთიოსი.
ადრესტოს ცოცხლად ხელთ ჩაიგდო მენელაოსმა,
როცა ცხენები, ბრძოლის ველზე შიშით დამფრთხალნი,
გაქანებულნი ზედ შეასკდნენ მთის ყოლოს ბუჩქებს,
- 40 ხელნა გახლიჩეს და გაცვივდნენ ილიონისკენ,
საითაც სხვათა მრავალ ცხენსაც აეღო გეზი.
ეტლიდან თვლისკენ გაგორებულს, პირქვე დაცემულს,
ზედ წამოადგა მისკენ მსრბოლი მენელაოსი,
მუქარით შუბი შეემართა გრძელჩრდილიანი.
- 45 ადრესტოს ფეხზე მოეხვია და შეევედრა:
„სიცოცხლე მომეც და ღირსეულ საზლოს მიიღებ!
დიდი საუნჯე სახლში უდევს მდიდარ მამაჩემს —
სპილენძი, ოქრო და ილეკრო ძნელად საჭედი.

ხალისით მოგცემს აურაცხელ გამოსასყიდსაც,
50 თუკი გაიგო, რომ ტყვედ გყავარ აქაველთ გემთან!“

ასე თქვა. უკვე აუჩვილა გული, ფიქრობდა —
ვინმე მებაჯრეს აქაველთა ხომალდებისკენ
გავატანოო ტყვე.

მაგრამ მყის აგამემნონი
თავს წამოადგა მისკენ მსრბოლი და შეუძახა:
55 „ბეჩავ, რას ვხედავ, მენელაოს, ახლა ესოდენ
ლმობიერი ხარ? მშვენიერი საქმე კი გიქნეს
ტროელთ შენს ჭერქვეშ! არვის ასცდეს შავი სიკვდილი
ჩვენი ხელითა! არვის, ჩვილსაც — დედის წიაღში
რომ ფშვინვიერობს! დაე, მკვიდრნი ილიონისა
60 გაწყდნენ ყველანი უკუბოლდ, დაუკრძალავად!“
უთხრა და გმირმა ძმას განზრახვა შეაცვლევინა,
სიმართლე უთხრა! ადრესტოსი ქერათმიანი
მყის უხმოდ, ხელით მოიშორა.

აგამემნონმა

მუცელში ჩასცა შუბი, მკერდზე დაადგა ფეხი
65 და ამოჰგლიჯა შუბისწვერი მიწაზე განრთხმულს.

ამ დროს ნესტორი არგიველებს გულს უმაგრებდა:
„დანაელთ გმირნო, მებაჯრენო ღმერთის არესისი
დროს ნუ დაკარგავთ ბრძოლის ნადავლს დახარბებულნი,
ვინძლო მეტ-მეტი წავიღოთო ხომალდებისკენ.

70 ჯერ მოვსპოთ მტერი, შემდეგ ძალგვიძს გულარხეინად
ხელი მივჰყოთ და გავაშიშვლოთ მათი ცხედრები!“

ასე თქვა, სული სიმამაცით აუნთო ყველას.
არესის მსახურთ — აქაველებს სულის სიმდაბლით
ძლეული მტერი შეასწრებდა კიდევ ქალაქში,

75 რომ არ ერჩია ჰექტორისთვის, ენეასისთვის
პრიამოსის ძეს, ბრძენ ჰელენოსს, ჩიტებზე მჩხიბავს:
„ენეას, ჰექტორ! ტვირთი გაწევთ ყველაზე მეტი,
ზრუნვა ტროელთა მხედრობაზე, ლიკიელ ხალხზე.
ომშიც, ბჭობაშიც ერთნაირად ხართ ჩინებულნი!

- 80 აქ დახვდით, ბჭესთან შეაჩერეთ ლტოლვილნი სპანი,
სანამ ცოლებთან შევარდნილან, ქალის კალთაში
თავი ჩაურგავთ და გამხდარან მტრის სახარხარო!
როცა ფალანგებს გაამხნევეთ, ჩვენ აქ დავრჩებით,
შევერკინებით დანაელებს, რაც უნდა ძლიერ
- 85 გვიკირდეს ბრძოლა. გვაიძულებს გარდუვალობა!
შენ კი ისწრაფე, ჰექტორ, ტროას! და ჩემი რჩევა
დედაჩვენს უთხარ: მოუყაროს დიაცებს თავი
კოშკში, სადაც დგას თვალმცეცხლია ღმერთის ბომონი,
გახსნან ათენას დიად ტაძრის წმინდა კარიბჭე,
- 90 უცხო პეპლოსი, დიდებული, ყველა საუნჯეს
რაცა სჯობია მეფის სახლში, რაც თვითონ უყვარს,
მუხლზე დაუდოს თვალმცეცხლია ათენას, ქალღმერთს.
თორმეტი უღელდაუდგმელი და ერთწლიანი
მოზვერი დაკლას, ვინძლო ღმერთმა ლოცვა ისმინოს
- 95 და შეიწყალოს ილიონი და დედა-წულნი,
ვინძლო ტროიდან უკუაგდოს გმირი ტიდიდი,
შმაგი მებრძოლი და აღმძვრელი შიშის და ლტოლვის,
აქაველთ ტომში, ვფიქრობ, უმხნეს-უმამაცესი!
ასე აქილევს ვერ გვაფრთხობდა — მეფე მამაცთა,
- 100 ძე, ვით ამბობენ, ქალღმერთისა!

ეს ხომ ბრძოლაში
უფრო მძვინვარებს, სიმამაცით ვინ შეედრება!“

- ასე ამბობდა და ჰექტორმაც ისმინა რჩევა.
სწრაფად ეტლიდან ძირს გადმოხტა აბჯარასხმული,
ბასრ შუბს იქნევდა, გარს უვლიდა ტროელთა რაზმებს,
- 105 ომში უხმობდა, გააჩალა კიდევაც ბრძოლა,
დადგნენ ტროელნი, შეეგებნენ აქაველთ ლაშქარს.
არგიველთ სპანი შეკრთნენ, ბრძოლის გზნება მინავლდა,
ფიქრობდნენ, ღმერთი ჩამოხდაო ხომლიან ციდან,
ის თუ გვებრძვისო, ისე მტკიცედ იდგნენ ტროელნი.
- 110 ჰექტორი ტროელთ კვლავ უხმობდა ომახიანად:
„გულმხნე ტროელნო და სვიანნო მოკავშირენო!
იყავით მძლენი, გაიხსენეთ ზნე სამამაცო!
მცირე ხნით წავალ ილიონში. დაგეთხოვებით

115 მოხუცებს ვნახავ და დიაცებს ვეტყვი, მხურვალედ
ილოცონ; ღმერთებს ჰეკატომბეს ზორვა აღუთქვან“.

თქვა და გაუდგა გზას ჰექტორი ზუჩმოელვარე.
გმირის ნაკვალევს ეხებოდა, ქედზეც ურტყამდა
შავი რამ ტყავი, ვეება ფარს შემოხვეული.

120 ამ დროს გლავკოსი, ძე სვიანი ჰიპოლოქოსის
და ტიდევსის ძე შეხვდნენ ერთურთს ბრძოლის წადილით,
როს ორივე მხრიდან ისწრაფოდნენ საპირისპიროდ.
პირველმა შემხედურს მიაგება სიტყვა ტიდიდმა:
„ვინ ხარ, რომელი კაცთაგანი, ზვიადო მოყმევ?
ადრე არ მახსოვს, სამამაცო ომში მენახო.“

125 დღეს კი, ასე ჰგავს, სიგულევანით აჭარბებ ყველას,
რაკი გულდინჯად გრძელჩრდილიან ჩემს შუბს მოელი.
მხოლოდ ბედკრულთა შვილნი სცდიან ჩემს უშრეტ

ძალას!

130 თუ უკვდავი ხარ, მოვლენილი მაღალ ზეციდან,
იცოდე, ღმერთებს მე არასდროს შევერკინები!
დრიანტის ძემაც, ლიკურგოსმაც ცოტა იცოცხლა,
რაკი აღმართა ხელი ზეცად მცხოვრებ ღმერთებზე.
ოდესღაც შმაგი დიონისეს მხლებელთ დაესხა,
წმიდა ნისემდე მიჰყვა.

135 მათ კი სუროს და ვაზის
კვერთხი დააგდეს, კაცთა მმუსვრელ ლიკურგოსისგან
დაკოდლებმა.

დიონისეც შეშინებული
ტალღებს შეერთო და თეტისმა მიიღო ღმერთი,
ათრთოლებული მძვინვარებით შმაგი მოყმისა.
ყველა ნეტარი ღმერთი იყო აღშფოთებული,
ზევსმა კი იგი დააბრმავა.

140 სულ მცირე ხნითღა
შერჩა სიცოცხლე უკვდავთათვის საძულველ მოყმეს.
ნეტარ ღმერთებთან არა, არ მსურს მე შერკინება!
თუ მოკვდავი ხარ და ნაზარდი მიწის ნაყოფით,
ახლოს მოიწი და სიკედელის ზღურბლსაც მიაღწევ!“

- მყისვე მიუგო მამაცმა ძემ ჰიპოლოქოსის:
- 145 „სულდიდო გმირო, მოდგმას ჩემსას რად მეკითხები?
 რაც არის მოდგმა ხის ფოთოლთა, იგია კაცთა:
 ქარი მიწაზე მიახვეტავს, კვლავ აყვავდება.
 მუხა, აღრიან გაზაფხულზე აიყრის ფოთლებს.
 ასეა კაცცი: ზოგი ჩნდება, ზოგი კი ქრება.
- 150 მაგრამ თუ გინდა წინაპართა ჩემთა ამბავი,
 ახლავე გეტყვი, ბევრმა იცის, რა გვარი მოგვდგამს.
 ცხენმრავალ არგოსს აღმართულა ეფირეს ციხე,
 სადაც ცხოვრობდა სისიფოსი, განთქმული კაცი,
 ბრძენი სისიფოს ეოლიდი, ვინც შვა გლავკოსი.
- 155 გლავკოსმა შობა უცოდველი ბელეროფონტი,
 ღმერთებმა უძღვნეს მას მშვენიება და სიმამაცე.
 პროიტისს სურდა დაეღუპა მოყმე უმწიკვლო
 და გააძევა არვიველთა მრისხანე მეფემ,
 რომლის კვერთხის ქვეშ ზევსს მონობდა ხალხი დიდძალი.
- 160 ანტიეიამ, მეფის ცოლმა, ისურვა ყრმასთან
 იღუმალ ტრფობით ტკობა, მაგრამ არ დაჰყვა წადილს
 კეთილშობილურ გრძნობით სავსე ბელეროფონტი.
 ცილი დასწამა ყრმას ქალმა და პროიტისს უთხრა:
 — შენ მომიკვდიო, ბელეროფონტს თუ არ მოაშთობ!
- 165 ჩემთან, არ მდომთან, მოინდომა სიტკბო ტრფობისა, —
 ასეთი ცილი სწამა: მაშინ განარისხდა მეფე,
 მაგრამ მოკვლა კი ვერ თავს იღვა — შეძრწუნდა სულით.
 მოყმე ლიკიას გადახიზნა, თან გაატანა
 ავი ნიშნები, ფირფიტებზე ამოკაწრული —
- 170 სიმამრისათვის, რომ მისგანვე დაღუპულიყო.
 გაშორდა ღმერთთა შემწეობით, მშვიდობიანად
 ეწვია ქსანთოსს აზვირთებულს, ლიკიის მიწას.
 კეთილად დახვდა მბრძანებელი ლიკიელ ხალხის.
 ცხრა ღღეს პურობდა, ცხრა ღღეს ხბორებს უკლავდა

მეფე,

- 175 და როს მეათედ ადგა ეოს ვარდისთითება,
 სტუმარს მოსთხოვა მან ჩვენება იმა ნიშანთა,
 საყვარელ სიძეს — პროიტოსს რომ გამოეგზავნა.
 როცა ნიშანი ნახა ავის მაჯწყუბელი,

- ჭაბუჯის მოკვლა დაავალა სასტიკ ქიშერას,
 180 მას უკვდავ ღმერთთა, არა კაცთა, მოსდგამდა ჭიში:
 თავი ლომისა, ტანი თხისა, კუდი დრაკონის.
 საშინლად ქშენდა, ეფრქვეოდა ხახიდან ალი.
 ყრმამ სძლია, ღმერთთა სასწაულით გამხნევებულმა.
 შემდეგ ეომა ომნაცად ხალხს, განთქმულ სოლიმებს,
 185 ბრძოლა ასეთი საშინელი არც მოსწრებია.
 მესამედ შეხვდა მამაკაცთა მსგავს ამადონებს.
 როს ბრუნდებოდა შინ, კვლავ დიდი საფრთხე ელოდა,
 საფარში დახვდნენ ლიკიელთა მამაცნი სპანი,
 და მათგან ვერვინ ვერ იხილა კვლავ სახლი თვისი.
 190 ყველა გაწყვიტა უცოდველმა ბელეროფონტმა.
 ბოლოს მიუხვდა მეფე მოყმეს ღვთაებრივ მოდგმას,
 შინ დაიტოვა, მიათხოვა თვისი ასული.
 მისცა ბრწყინვალე ნახევარი მეფურ დიდების,
 ლიკიელთაგან დიდებული წილი მიიღო —
 195 სამეფოდ ვრცელი ბაღები და ხოდაბუნები.
 ბრძენ ბელეროფონტს შეეძინა სამი მემკვიდრე:
 ჰიპოლოქოსი, ისანდროსი, ლაოდამია.
 ლაოდამიას პირმშვენიერს ზევსი შეეტრფო,
 მან სარპედონი შობა, გმირი რვალშემოსილი.
 200 ბოლოს შეძულდა ყველა უკვდავს ბელეროფონტი,
 ალგიოსის ველს მიენდო მოხეტიალე.
 გულს ღრღნიდა დარდი, გაურბოდა კვალს კაცთა მოდგმის.
 არესმა, ბრძოლით უმაძღარმა დასცა ისანდროს,
 როცა სოლიმებს, ომნაცად ხალხს, ებრძოდა გმირი.
 205 ასული მოკლა არტემისმა, მძლე მშვილდოსანმა.
 ჰიპოლოქოსი დარჩა. მისგან მე ვარ შობილი.
 აქ გამომგზავნა და მიბრძანა, მუდამ მეცადა
 სხვისთვის მეჯობნა, მიწყვიტ ბრძოლის გზნებით აღვსებულს.
 არ შემერცხვინა მამა-პაპა, თვისი დიდებით
 210 ეფირეში და ლიკიაში სახელგანთქმულნი.
 აჰა, ესერა ჩემი სისხლი, ვამაყოფ ამით!“

ალივსო შვებით დიომედე კეთილშობილო,
 სპილენძის შუბი ნაყოფიერ მიწას ჩააქლო

- და მიესალმა სახელგანთქმულს, მამაცთა ჩეფეს:
- 215 „შენ ხარ სტუმარი მამა-პაპურ ადანით ჩემი!
 ოდესღაც პაპა ოინევის გმირ ბელეროფონტს
 ოცი დღე სახლში მასპინძლობდა, როგორც ზეგობარს.
 ერთურთს უბოძეს საჩუქარიც საუკეთესო:
 პაპამ მიართვა მას სარტყელი ძოწია, ელვარე,
- 220 ბელეროფონტმა — ოქროს თასი ორფსკერიანი,
 ახლაც შინ მიღევს თასი იგი, სადაც დავტოვე.
 მამა არ მახსოვს, ჩვილი დავრჩი ტიღევს, როდესაც
 თებე-ქალაქთან აქაველნი დამარცხებულან.
 დღეიდან არგოსს მეგობრად და სტუმრად მეგულვი.
- 225 მეც ლიკიაში თუ გეწვიე, მიგულე ასე.
 ერთურთს დავშორდეთ, შევერიოთ შუბებით ლაშქარს.
 ბეკრს ვნახავ ტროელს, სახელოვან მოკავშირესაც,
 ბევრსაც ვძლივ, ვისაც შემახვედრებს ღმერთი მაღალი.
 შენც სხვა აქაველს, ვისაც შეძლებ, გაუსწორდები!
- 230 გაცვალათ ახლა საქურველნი, ყველამ იცოდეს,
 როგორ ვამაყოფთ პაპათა დროს დაწყებულ ძმობით!“

ასე ამბობდნენ და ჩამოხტნენ მყის ეტლებიდან,
 ხელი ხელს მისცეს. მეგობრობა ერთურთს შეჰფიცეს.
 გლავკოსს წაართვა ამ დროს ჭკუა კრონიდმა ზევსმა:

- 235 ოქროს აბჯარი რვალისაში გააცვლევინა —
 ასზროხიანი ტიდიდს მისცა ცხრაზროხიანში!
- მიადგა მუხას, სკაიას ბჰეს გმირი ჰექტორი.
 ტროელნი ქალნი და ქალწულნი შემოეგებნენ
 ზოგი შვილს სწუხდა, ზოგი ძმას და ზოგიც ზეულღეს.
- 240 მან კი უბრძანა, ილოცეთო უკვდავთა მიმართ,
 ზეცის მკვიდრთადმი — ბევრს ვაება ემუქრებაო!
 მიუახლოვდა პრიამოსის სახლს ლაღად ნაგებს.
 სწორად ნათალი ტერასები გასდევდა გასწვრივ
 მის ორმოცდაათ სამთიობოს, მიჯრით მიწყობილ
- 245 თლილი ქვებისგან აშენებულს.
 იქა ცხოვრობდნენ
 პრიამეს ვაჟნი პირმშვენიერ მეულღეებთან.

მეორე მხარეს კი თორმეტი ოთახი იყო,
მიჯრით მიწყობილ თლილი ქვებით აშენებული,
მოხუც პრიამეს ასულების სამთიობონი —

- 250 იქ პირმშვენიერ, მორცხვ ცოლებთან იყვნენ სიძენი.
ჰეკაბეს, ძვირფას დედას, გზაში შეხვდა ჰექტორი,
ლაოდიკესთან — თვის ასულთან მიმავალ მოხუცს,
ხელი მოჰკიდა მორიდებით ჰექტორს მშობელმა:
„სად მიხვალ, შვილო, რად დატოვე მძვინვარე ბრძოლა,
- 255 ალბათ თუ გძლევენ საძულველი აქაველები,
ქალაქის კედელს შესევთან... შენ ჩვენთან მოხველ,
ლოცვა-ვედრებით რომ ზევსისკენ აღაპყრო ხელნი?
ნულარ აყოვნებ, შვილო ჩემო, მოვიტან ღვინოს,
რათა ასხურო ზევსისთვის და ღმერთებისათვის,
- 260 შემდეგ თვითონაც ნება-ნება გული იმაგრო;
კაცს, შრომით დაღლილს, კვლავ უახლებს ღვინო
დალ-ღონეს,
შენც, შვილო ჩემო, ამ საზარმა ბრძოლამ დაგლალა“.
დედას მიუგო გმირთა გმირმა ზუჩმოელვარემ:
„არ მომიტანო ტყბილი ღვინო, ძვირფასო დედავ,
- 265 ჩემს ძალას დასცემს, ჯანს დაეკარგავ და სიმამაცეს,
როგორ გავებდავ, უწმინდური ხელით ვასხურო
ზვარაკს ზედაშე? სისხლიანი რომ ვლოცულობდე,
ღრუბელთა შემკრებს ვადიდებდე, როგორ იქნება
მაგრამ შენ წადი და ეწვიე ათენას ტაძარს,
- 270 ნელსურნელოვან საკმეველით ქალებთან ერთად,
უცხო სამოსი უმდიდრესი, ულამაზესი,
რაც გეგულება მეფის სახლში, რაც უფრო გიყვარს,
აიღე, მუხლზე დააფინე ქალღმერთ ათენას.
თორმეტი ხარი, ერთწლიანი, ლალი მოზვერი
- 275 ტაძრად წაასხი საზვარაკოდ. ვინძლო გისმინოს,
ქალაქს მოხედოს, ქალებსა და უცოდველ ბაღლებს,
წმიდა ტროიდან დიომედე ყოს ოტებული —
მძვინვარე გმირი, გასადევნად რომ გვეძალება.
საზღოსმოყვარე ღმერთის ტაძარს ეწვიე, დედავ!
- 280 მე კი პარისთან გეახლები, თუ გამიგონა,

ეგებ საომრად წავიყოლო.

ო, ნეტავ აქვე

მიწამ პირი ყოს, ჩაიტანოს კრონიდმა შობა

ტროის, პრიამეს და მის შვილთა დასაღუპავად.

მას რომ ჰადესის ჭურღმულებში მოვესწრო შთანთქმულს,

285 ვგონებ, გულს ყველა სატანჯველი გადამეყრება!“

ასე ამბობდა. ჰეკაბემაც მოუხმო მსახურთ,

მათ მოიყვანეს ილიონის მანდილოსანნი.

ღედა შევიდა სურნელოვან სრა-სასახლეში,

ტურფად ნაქარგი მოსასხამი შემოენახა,

290 სიდონელ ქალთა ნახელავი. ღვთაებრივ პარისს

მოუტანია, რა მოსულა ზღვით სიდონიდან,

როცა ელენე თან მოჰყავდა კეთილშობილი.

სხვათაგან ერთი შეარჩია ათენასათვის,

საუკეთესო, სინატიფით გამორჩეული,

295 როკორც ვარსკვლავი, მოციმციმე, შუქმოელვარე.

ტაძრად მივიდა და თან მიჰყვნენ მანდილოსანნი.

მიუახლოვდნენ ქალაქის კოშკს, ათენას ტაძარს,

კარნი ვანახვნა მათ წინაშე ტურფა თეანომ,

კისეს ასულმა, ცოლმა მხედარ ანტენორისა.

300 იგი ტროელებს აერჩიათ ღმერთის ქურუმად.

ხელნი აღაპყრეს, შეღალადეს ვედრება ქალღმერთს

და ის სამოსი ქალ-ქურუმმა ტურფადაწვებამ

მუხლზე დაუდო პირმშვენიერ ღმერთქალის ბომონს

და აღავლინა ლოცვა ზევსის ასულის მიმართ:

305 „ომში ძლიერო ათენაო, ქალაქთმეოხო!

გადაუმსხვრიე დიომედეს ოროლი ზასრი

ჰქმენ ისე, რომ თვით დაენარცხოს სკაიას ბჭესთან!

აწ ზორმეტ მოზვერს, თითოწლიანს, უღელდაუდგმელს,

ტაძრად მოვასხამთ საზვარაკოდ, ვინძლო გვისმინო,

310 ქალაქს მოხედო, ქალებსა და უცოდველ ბალებს!“

ასე ღალადყო, არ ისმინა ათენამ ლოცვა.

როცა მლოცველნი შეველას თხოვდნენ კრონიდის შობილს,

უკვე პარისის სავანესთან იყო ჰექტორი.

- ეს სახლი მისთვის მთაგორიან ტროის მხარეში
- 315 სახელმობხევექილ კირითხუროთ უშენებიათ.
ჰქონდა ლამაზი ეზო-ბაღი და სამთიობო
ტროის ციხეში, პრიამეს და ჰექტორის სახლთან.
კარებს მიადგა მოყმე, ეპყრა მარჯვენა ხელში
თერთმეტწყრთიანი გრძელი შუბი და ელვარებდა
- 320 სპილენძის წვერი წამახული, სალტე ოქროსი.
ჰექტორს ძმა დახვდა უმაქნისი, თვის სავანეში
ფარ-ისრისა და საჭურვლების სინჯვით გართული.
იქვე ელენე არგიველი, პირმშვენიერი
შინამოახლე ქალებს საქმეს უნაწილებდა.
- 325 ასე მიმართა ძმას ჰექტორმა მოსაყივნებლად:
სვედავსებულო, რისხვის დროც კი არა გცოდნია!
ტროელთა მოდგმა ილუპება, ქალაქის ბჭესთან
მტერს ერკინება, შენთვის ტროა-ქალაქის ირგვლივ
ბრძოლა მძვინვარებს, განა შენ თვით სხვას არ აძაგებ,
- 330 თუ ნახავ ვისმე, გამოქცეულს ბრძოლის ველიდან?
გასწი, სანამდის ილიონი ცეცხლს არ შთაუნთქავს!”

მყისვე მიუგო ალექსანდრემ ღმერთის სადარმა:
„ჰექტორ, ნება გაქვს მლანძლო, შენგან მეკუთვნის კიდევ.
გულს გადაგიხსნი, მოთმინებით მომაპყარ ყური:

- 335 განა ტროელთა გამარისხეს, განა რისხვისთვის
ვიჯექი ქუშად? მსურდა დარდებს დავნებებოდი...
აწ კი მეუღლემ შთამაგონა კეთილი სიტყვით —
ბრძოლაში გასვლა, მეც მგონია, ასე სჯობია:
ცვალებადია გამარჯვება მოკვდავთა შორის...
- 340 თუ შეგიძლია — დამელოდე, ავისხამ აბჯარს,
თუ გინდა — წადი, ვიჩქარებ და წამოგეწევი!”

- თქვა მან. არცა რა უპასუხა ქველმა ჰექტორმა.
სტუმარს ელენემ მშვიდი სიტყვა უთხრა ალერსით:
„მრავალ ვაების მომგვრელ ქალის მაზლო ზვიადო,
345 ნეტავ იმ ღღესვე, როცა ქვეყნად მშობელმა მშობა,
მძვინვარე გრიგალს ავეტაცე უდაბურ მთაზე,
ან ზათქიანი ზღვის ტალღებში ჩავეგდე უმაღ,

- ზვირთი მშთანთქავდა, ეს ამბებიც არ მოხდებოდა...
 მაგრამ ვაი, რომ თვით ღმერთებმა ინებეს ასე!
- 350 რა იქნებოდა, უფრო ქველი ქმარი მოეცათ,
 ეგრძნო სირცხვილი, ეცნო თვისი მოვალეობა!
 ეს ბედოვლათი ბედოვლათად დარჩება მუდამ,
 როდი შერჩება! რაც ეკუთვნის, იმას მოიმჯის!
 შემოდი ჩვენთან და ჩამოგეკ, დამშვიდდი, მაზლო!
- 355 შენს სულსა სტანჯავს საზრუნავი აურაცხელი,
 უღირს ქალისთვის, ალექსანდრეს შეცდომისათვის.
 ღმერთმა გვარგუნა ავი ხვედრი: სიკვდილის მერეც
 შემდგომ თაობებს შემოვრჩებით უღირს სიმღერად“.

- მყისვე მიუგო ქალს ჰექტორმა ზუჩმოელვარემ:
- 360 „ნუ ჰთხოვ ჩამოვჯდე: თუმც სათნო ხარ, არ
 დაგთანხმდები —
 გული მიმიწევს -- მივეშველო მამაც ტროელებს,
 ბრძოლის ველზე რომ მიმელიან, მოიმედენი.
 შენ კი პარისი წააქეზე, რომ ალიპურვოს
 და დამეწიოს ქალაქიდან ველზე ვასვლამდე.“
- 365 სახლში შევივლი და მცირე ხანს თუ დავყოვნდები:
 გალაბსა ვნახავ, ძვირფას ცოლს და შვილს პაწაწინას
 არ ვიცი, იქნებ ვერც დავბრუნდე ბრძოლის ველიდან.
 იქნებ ღმერთებმა დამცენ იქვე დანაელთ ხელით“.
 ასე უთხრა და განეშორა ზუჩმოელვარე.
- 370 სწრაფად მიაღვა თვის სასახლეს ლალად აზიდულს.
 შინ ვერა ჰპოვა ანდრომაქე ტურთალაწევბა,
 შვილთან და ლამაზპეპლოსიან ძიძის თანხლებით
 კოშკზე ასულა. მოთქვამდა და ცრემლევასა ღვრიდა.
 ჰექტორმა შინ რა ვერა ნახა ცოლი უზადო,
- 375 ზღურბლთან შეჩერდა, მოახლეებს ეკითხებოდა:
 „ნუ დამიმაღავთ, დიაცებო, მამცნეთ სიმართლე:
 სად არის ჩემი ანდრომაქე, იქნებ მულებთან
 წავიდა, იქნებ რძლებს ეწვია მორთულ-მოკაზმულთ?
 იქნებ ათენას ტაძარშია, სადაც ტროელი
- 380 მანდილოსნები ლოცულობენ ქალღმერთის მიმართ?“

- მას გამჭრიახმა მეკუჭნავე ქალმა მიუგო:
 „ჰექტორ, რაკი გსურს, მოგახსენებ მხოლოდ სიმართლეს.
 არცა მულეებთან, არც მოკაზმულ რძლებთან წავიდა,
 არცა ათენას ტაძარშია, სადაც ტროელი
- 385 მანდილოსნები ლოცულობენ ქალღმერთის მიმართ.
 არა, კოშკშია ილიონის, შეშფოთდა ძლიერ,
 ოდეს გაიგო, აქაველნი მოგვეცაღენო,
 გაიქცა ციხის გაღვენისკენ თავგამეტებით,
 როგორც შეშლილი. მასთან არის ძიძა და ბავშვიც“.
- 390 ასე უთხრა და გამოვიდა ჰექტორიც გარეთ,
 ლაღად აზიდულ სასახლეებს კვლავ ჩაუარა,
 ვრცელი ქალაქი განვლო თითქმის, სკაიას ბჰისკარს
 მიუახლოვდა, სადაც იდო გზა ბრძოლის ველის.
 იქ დახვდა თვისი ანდრომაქე, სწრაფად მოიჭრა,
- 395 ღირსეულ გვარის პირმშო, ქალი ჰეტონისა.
 ტყიან პლაკეში, ფერდობებზე ცხოვრობდა იგი, —
 პლაკიის თებეს, კილიკიელთ, მთავარი მძღავრი.
 მთავრის ასული ცოლად ესვა ჰექტორს აბჯროსანს.
 შეხვდნენ ერთმანეთს, ცოლს მოსდევდა მოახლე ქალი
- 400 და ხელთ ეჭირა ჩვილი ბავშვი, ჯერეთ უენო,
 მათი შობილი, მშვენიერი, კარსკვლავთსადარი.
 მამა ეძახდა სკამანდრიოსს, ტროის მცხოვრებნი
 კი — ასტიანაკტს: ტროის ბურჯი ჰექტორიათ.
 მამა შვილს ჩუმად შესცქეროდა და იღიმოდა.
- 405 იქავე იდგა ანდრომაქე ცრემლმორეული.
 ხელი ჩაავლო ძვირფას ქმარს და მიმართა ასე:
 „ეგ სიმამაცე გლუპავს, კაცო გასაოცარო:
 არ გეცოდება არცა ჩვილი, დედაც ბედშავი!
 დაგიჭვირვდები, უბედური! არგიველები
- 410 თავს დაგესხმიან ვაგლახ, შენგან დატევებულსა
 მიწამც გამისკდეს! ველარასდროს შევბას ვერ ვპოვებ,
 თუ ზედისწერან დაგვაშორა, ხვედრად ვაება
 არ ამცილდება
- არც მამა მყავს, არც სათნი: დედა!
 მოხუცი მამა აქილევსმა ჰოკლა ფეხმარდმა.

415 როცა ქალაქი დაანგრია კილიკიელთა,
მაღალბჭიანი თებე.

მოკლა თვით ჰეტიონი,

ვერ კი გაბედა გაეძარცვა: გულით შეძრწუნდა:
მოხუცი დასწვა აღჭურვილი ძვირფას საჭურვლით.
ფერფლზე ტაგრუცი ააშენა და მის გარშემო

420 ნიმფებმა, ზევსის ასულებმა, გორა აღმართეს.
და ჩემმა ძმებმაც, — დამრჩენოდა შვიდი ღვიძლი ძმა, —
ერთ დღეს ჰადესის ჯურღმულებში სავანე ჰპოვეს.
სვეუბედურებს აქილევსმა მოუღო ბოლო,
ჯოგში მიაგნო ბოჩოლებს და ხუჭუჭა კრავებს.

425 მუხნარი პლაკეს დედოფალი, დედაი ჩემი
ტყვედ წაიყვანა სხვა საბრძოლო ალაფთან ერთად,
თუმცა გაუშვა, უთვალავი საზღოს საფასით.
დედაც მომიკლა ფოიბოსმა საკუთარ სახლში!
ჰექტორ, შენა ხარ ჩემი ყველა — მამაც და დედაც!

430 შენ ჩემი ძმაც ხარ ერთადერთი, ქმარიც უბადლო!
ნუ წახვალ, დარჩი, შემიბრალე, ნუ დამიობლებ
შვილს და შენს ცოლსაც ნუ დასტოვებ ქვრივ-ოხრად,
ჩემო!..

ჩვენი ლაშქარი დააყენე იქ, ლეღვის ხესთან,
სად გალავანზე მტერს ამოსვლა ეადვილება.

435 სამკვზის დაგვეცნენ იმა მხრიდან აქაველები,
ილომენევსი და ორივე მძლე აიანტი,
ატრევსის ძენი, ტიდევსის ძე, მძლავრი მებრძოლი.
აღბათ ურჩია რომელიმე ბრძენმა მისანმა,
ან, შესაძლოა, გულმა უგრძნო ყოვლის მცნობელმა“.

440 პასუხად უთხრა ქალს ჰექტორმა ზუჩმოელვარემ:
„მეც ეს მაშფოთებს, ჩემო კარგო, მაგრამ ტროელთა
და გრძელკაბიან ტროელ ქალთა წინაშე სირცხვილს
სად გავექცევი, თუ ლაჩრულად გავექეც ბრძოლას?
გული არ მიზამს. გავწაფულვარ სიგულვანეში,

445 ტროელთა შორის მარად პირველს ბრძოლა მწყუროდა,
ჩემთვის და ჩემი მამისათვის სახელ-დიდება!
განა არ ვიცი, ჩემს გონებას და გულსაც სჯერა —

ოდესმე მართლაც დაინგრევა ტროა-ქალაქი,

და: ღუპება პრიაზე და პრიაშეს ტომი.

450 მაგრამ გულს მიკლავს ხვედარი უფრო არა ტროისა,
მშობელ პრიაშეს, მხცოვან დედის ჰეკაბეს ბედი,
საყვარელ ძმათა და მოყმეთა ურამაცესთა,
გამძვინვარებულ მტრების ხელით ძლეულთა გმირთა, —
არამედ შენი, მეუღლეო, მყოფადი შენი!

455 ტყვედ გაგიტაცებს აქაველი, თავისუფლებას
წაგართმევს ძალით და არგოსში უცხო ქალთათვის
მოჰყვები ქსოვას... მესეისის ან ჰიპერეის
წყაროებიდან წყალს მოიტან მკაცრ იძულებით!
ცრემლებმორეულს განახავს ვინმე და იტყვის ასე:

460 „ეს ხომ ჰექტორის ცოლიაო, ის სიმამაციოთ
ცხენოსან ტროელთ ყველას სჯობდა ტროაში

მებრძოლთ...“

იტყვის და გულში გაგიეღვივებს კვლავ სევდა ძველი,
ქმარს გაიხსენებ; ხომ აგხსნიდა მონობის უღელს!

უწინამც მიწამ პირი მიყოს, სანამ ტყვედ განახავ

465 და შენს გოდებას გავიგონებ საწყალობელსა!..“

თქვა და შვილისკენ საალერსოდ წავიდა მამა,
მაგრამ პაწაწამ შეჰყვირა და გამდელის მკერდში
თავი ჩამალა, აშინებდა მამის შეხედვა,
ჯავშნის სპილენძი მოელვარე, ჩაჩქნის თავ-ბოლო —

470 მრისხანედ ცხენის ფაფარავით ათრთოლებული.

ტბილი ღიმილი მით მოჰგვარა მამას და დედას.

ჩაჩქანი იძრო მეყსეულად გმირმა ჰექტორმა,

მიწაზე დადო მოელვარე, ხელთ აიყვანა

ძვირფასი პირმშო, უნანავა, ასწია მალლა

475 და თქვა ზევსის და სხვა უკვდავთა მავედრებელმა:

„ზევსო, უკვდავნო ღვთაებანო, გემუდარებით
ჩემებრ განათქმული გამიზარდეთ პირმშო ძვირფასი.
იყოს მორკმული, მძლე მეუფე ტროის მხარისა.

დაე მასზე თქვან: ოდეს ბრძოლის ველიდან მოვა:

480 მამასაც სჯობსო! დაე მტრების დათხიოს სისხლი,
დამხვდურსა სძლიოს, დედის გული აავსოს ლხენით!“

- თქვა და საყვარელ ცოლს გადასცა ძე სანუკვარი.
 დედამ მიიკრა სურნელოვან მკერდზე პატარა
 და ცრემლიანი იღიმოდა. მოლბა ჰექტორი,
 485 ცოლს მოეხვია, ხელით ნაზად ეფერებოდა:
 „ჩემო კეთილო, რად იკლავო გულს დარდით აგრე?
 ბედი თუ მწყალობს, ჰადესს ვერვინ ვერ გამაგზავნის.
 მაგრამ ბედს ვერც ვინ გაექცევა მიწის შვილთაგან,
 ქვეყნად შობილი, გინა მხდალი, გინა გულადი.
 490 წა, საყვარელო, დამშვიდებით მიხედე ოჯახს,
 ქსოვას და ქარგვას; მოახლენი დასაქმე შინა,
 ბრძოლის საქმე კი მხოლოდ ჩვენი საზრუნავია —
 ტროელ მამაცთა, და ყველაზე მეტად კი ჩემი!“
 თქვა და აიღო ზუჩი გმირმა ჯავშანელვარემ.
 495 ხოლო შინისკენ ანდრომაქე წავიდა უბრად,
 ხშირ-ხშირად უკუ მოხედავდა და ცრემლებს ღვრიდა.
 მალე მიადგა თავის ბინას ლალად აზიდულს,
 კაცთამმუსვრელი ჰექტორის სახლს.

იქ დახვდა ბევრი

- მოახლე თვისი და სატირლად ალაგზნო ყველა.
 500 მათ ასე ცოცხლად დაიტირეს გმირი ჰექტორი.
 ფიქრობდნენ, რომ შინ სისხლისმღვრელი ბრძოლის
 ველიდან
 ველარ მოვაო, ვერ წაუვა აქ-ველთ რისხვას.

- პარისმაც აღარ დააყოვნა შინ, შეიმოსა
 რვალმოოქვილი დიდებული აბჯარ-ბექთარით.
 505 სწრაფად გაიქრა ფეხმარდობით იმედუელი.
 ზოგჯერ თავლაში ცხენი, ქერით ნასათუთევი,
 გაწყვეტს საბელს და მიქრის მძლავრი ფლოქვების ცემით,
 სჩვევია ფართოდ მოჩუხჩუხე ნაკადში ცურვა,
 ჭიხვინებს, ძლიერ ქედზე უცემს თავმოღერებულს
 510 ხშირი ფაფარი, თვითონ ხარობს თვისი მშვენებით.
 ფეხნი ფაშატთან, ნაცნობ ველთან მიაქროლებენ.
 ასე პარისიც, პრიამოსის ძე, პერგამოსის
 გზით მოდიოდა, მოელავდა, როგორც შუქურა,
 მხიარული და მოამაყე, მალე მიუსწრო

515 ღვთაებრივ ჰექტორს, როს დატოვა ძმამ ის ადგილი, სადაც ახლახან ესაუბრა თვის ცოლს თვინიერს. პირველად უთხრა ღვთაებრივმა ალექსანდროსმა: „აღბათ ღიდი ხნით დაგაყოვნე, ვერ მოვედ დროზე, როგორც მიბრძანე, შეგაფერხე, დამაგვიანდა?“

520 ჰრქეა და მიუგო მას ჰექტორმა ზუჩმოელვარემ: „შე კაი კაცო! ალალმართალს ვის შეუძლია ომში დაგცინოს: მებრძოლი ხარ მართლა მამაცი! მხოლოდ აყოვნებ, გეზარება შრომა და მე კი გული მიკვდება, შენზე აუგ სიტყვას რომ ვისმენ

525 მათგან, ვინც შენთვის ღვრის უწყალოდ სისხლსაც და ოფლსაც.

ახლა ვიჩქაროთ! ვისაუბროთ მხოლოდ მას შემდეგ როდესაც ზევსი უკვდავ ღმერთთა სამადლობელოდ თავისუფლების თასს ტროაში დაგვაცლევინებს, როს აქაველთა სპას განვდევნით, რვალმშვენიერთა!“

ქება მეშვიდე

ჰექტორისა და აიანტის შერკინება

მყის კარიბჭისკენ გაემართა გმირი ჰექტორი, ალექსანდროსიც მიჰყვა. მოყმეთ გული აღევზნოთ კვლავ ბობოქარი და გმირული ბრძოლის წადილით. თითქოს ზღვაოსნებს მიაღდევნა ზევსმა ზურგქარი,

5 როს ხოფმრავალი ხომალდები ზვირთებს აპობდნენ და მეხოფურებს აატკივა სახსარი შრომამ, — ასე მიიჭრნენ ტროელებთან მათი თავკაცნი.

არეითოოს მეფის შვილი დასცა პარისმა — მენესთიოსი, არნეს მკვიდრი, არეითოოსს

10 რომ შესძენია. როს შერთვია ფილომედუსას. ჰექტორმა ბასრი შუბით დასცა ეიონევსი — ქედში, სპილენძის ზუჩის ქვემოთ, ძელები გაუპო.

ჰიპოლოქოსის ძემ გლავკოსმა, ლიკიელთ მეფემ
იფინოსის ძე ფიცხელ ომში შუბით განგმირა —
15 ყრმა დექსიადე, ცხენდაცხენ რომ მიეჭრა სწრაფად.
მიწას დაასკდა, დაეღეწა მყისვე სახსრები.

ოდეს იხილა თვალმცეცხლია ათენამ ბრძოლა
და არგიველთა სპა სასტიკად დამარცხებული,
ოლიმპოს მთიდან გარდმოიჭრა ილიონისკენ.
20 მის შესახვედრად აპოლონიც გამოემართა
პერგამოსიდან. ღმერთს ტროელთა დიდება სურდა.
უკვდავნი ერთურთს ხშირფოთლოვან მუხასთან შეხვდნენ.
თავდაპირველად აპოლონმა მიმართა ქალღმერთს:
„ზევსის ასულო, მღელვარებით გულანთებულო,
25 ოლიმპოს მთიდან რად მოიწევ, რას მიესწრაფვი?
გსურს გადახარო გამარჯვება დანაელთ მხარეს?
განა ტროელნი არასოდეს შეგბრალებია?
მიიღე, ღმერთო, რჩევა ჩემი, ფრიად კეთილი:
მოდო, შევწყვიტოთ ხოცვა-ჟლეტა. როს განახლდება
30 კვლავ შერკინება, ნუმც დაცხრება, სანამ აღსასრულს
არ ნახავთ ტროის! რაკი უკვდავთ გულს ეამება
იავარყოფა, დაცალეწვა ამ ციხე-ბურჯის!“

უმალ მიუგო თვალმცეცხლია ღმერთმა ათენამ:
„დე ასეც მოხდეს, მოისარო. ვფიქრობდი ასეც,
35 როს ოლიმპოდან აქაველთ და ტროელთ ვეწვიე.
მაგრამ მაუწყე, როგორ გინდა დააცხრო ბრძოლა?“

ისევ მიუგო აპოლონმა შორსმოისარმა:
„ჰექტორს, ცხენტ მხედნავს, სიმამაცე გულს ჩაეღუნერგოთ,
რომ გამოიხმოს დანაელი ვინმე ვაჟკაცი
40 შესარკინებლად და ფიცხელი ბრძოლა გამართოს.
მაშინ სპილენძისლექვერთხიან აქაველთ სპანი
თვით მოუხმობენ, ვინც გმირ ჰექტორს შეერკინება.“

ასე უთხრა და დაეთანხმა მყისვე ათენა.
ამ დროს პრიამეს საყვარელმა ძემ ჰელენოსმა

- 45 იგრძნო, ღვთაებას მოთათბირეს რაცა ეწადა.
 მიუახლოვდა და მიმართა ღვთაებრივ ჰექტორს:
 „ჰექტორ, პრიამეს ძე, გულისხმით ზევსის სადარო!
 ხომ ერწმუნები გულმოდგინე ჩემს ნათათბირევს?
 ნება ყავ, დასხდნენ ტროელნი და აქაველები,
- 50 გამოიწვიე აქაველთა შორის მძლეთამძლე
 და შეერკინე უმოწყალოდ, შეურიგებლად.
 შენ ახლა ბედად დამარცხება არ გიწერია,
 ასე გავიგე მარადუკვდავ ღმერთთა თათბირი!“

- დიდად იხარა მისი სიტყვით გმირმა ჰექტორმა,
 55 ტროელთ ფალანგებს გამოეყო, წინ გამოიჭრა.
 ხელთ ეპყრა შუბი. სპა დაწყნარდა სულგანაბული,
 აგამემნონმაც შეაჩერა აქაველები.
 ამ დროს ათენა, აპოლონიც შორსმოისარი,
 ვით მარბიელი ორბები და ქორ-შევარდენნი,
 60 ზევსის მუხაზე ჩამოსხდნენ და სპას შეხაროდნენ:
 გუნდად და გუნდად ირხეოდნენ ხშირი რაზმები,
 რისხვით ელავდნენ ჩაფხუტები, შუბ-ფარ-შიმშერი.
 თითქოს აიჭრა ზეფიროსი, ზღვას დაუქროლა,
 აათამაშა ზვირთთა ვარჯი, ჩაშავდა წყალი...
- 65 ასე ღელავდნენ აქაველთ და ტროელთ ლაშქარნი,
 ველზე ისხდნენ და თან უსმენდნენ ჰექტორის სიტყვას:
 „ყური მომაპყართ, ტროელნი და მძლე აქაველნი,
 მინდა გაუწყოთ, რასაც მითქვამს გული:

პირობა

- არ შეგვისრულა კრონიონმა მალღვიმეუფემ,
 70 კვლავაც გვიმზადებს ყველას ურიცხვ უბედურებას,
 სანამ არ დასცემთ ტროას მტკიცექონგურებიანს.
 ან ზომალდებთან ჩემს მხედრობას არ შეაკვდებით.
 აქაველთ შორის უმამაცეს გმირებს აქ ვხედავ,
 მათ, ვისაც ჩემთან შერკინების მსჭვალავს სურვილი.
- 75 რაღას უდგანან, შეერკინონ ღვთაებრივ ჰექტორს!
 ასე ვამბობ და ზევსი იყოს ჩემი თავმდები:
 თუ მძლე სპილენძით გულს გამიპობს მე აქაველი,
 აბჯარ-ბექთარი თან წაილოს ფართო გემებთან,

- გვამი ქალაქში დააბრუნოს, რომ კოცონს შერთონ
- 80 ტროელთ კაცებმა და ტროელთა დედაკაცებმა.
 თუ ღვაწლისამძლე მყო შეწევნამ აპოლონისა,
 მტრის აბჯარ-ბეჭთარს ილიონის ბჭეში შევიტან,
 შორსმოისარი აპოლონის შევამკობ ტაძარს.
 გვამს დავუბრუნებ თქვენს ხომალდებს ორმხრივხოფიანს.
- 85 დამარხონ იგი თმახუჭუჭა აქაველებმა
 და ჰელესპონტის პირას დიდი ბორცვი აღმართონ.
 ოდესმე საფლავს ჩამოუვლის შთამომავალი,
 ღვინისფერ ზღვაზე გემით მსრბოლი და ასე იტყვის:
 — ეგერ საფლავი ძველთა ძველ დროს განგმირულ
გმირის,
- 90 იგი ბრძოლაში ღმრთიებრწყინვალე ჰექტორმა ძლია!
 ბადიშთ ბაგეზე არ ჩაქრება ჩემი დიდება“.

ასე ბრძანა და ყველა დუმდა: რცხვენოდათ მებრძოლთ —
 უარი ეთქვათ, ჰო-ყოფაც ხომ თავზარსა სცემდა...
 ბოლოს წამოდგა მენელაოს, სასტიკ საყვედურს

- 95 ამბობდა იგი, გული დარდით აკვნესებოდა:
 „თქვენ აქაველნი უნდა გერქვათ? არა, ქალები
 ვაი სირცხვილო, ხომ მოგვეჭრა თავი, ჩვენს შორის
 თუჯი ვერავინ ვერ შეება ღვთაებრივ ჰექტორს!
 წყლად დაიდვრებით თქვენ — ყველანი, მტვრად
დაიყრებით,

- 100 თქვე უსულგულო, უსაქმურო, უღირსო ხალხო!
 აბჯარს ავისხამ და მე გავალ, ღმერთების ნებით,
 ვიცი, ზეცაში გამარჯვების წილი იყრება“.

ასე ამბობდა და ისხამდა ძვირფას საჭურველს.

- მაშინ დათმობდი, მენელაოს, სიცოცხლეს ალბათ,
 105 ჰექტორის ხელზე სულს დაღვედი, მძლეთა მძლე გმირის,
 რომ აქაველთა თემისთავეებს არ დაეშალათ!
 თვითონ ატრიდი წამოიჭრა, აგამემნონი,
 ძმას ხელი სტაცა მარჯვენაზე და არწმუნებდა:
 „ღმერთშემოსილო მენელაოს, დაღლილ-დაქანცულს
 110 არ გმართებს ბრძოლა. გონს მოეგე, გული დაიცხრე!

ბოლმით აღვსილი შენზე ძლიერს ნუ შეებმები,
ჰექტორს ღვთაებრივს, ის ხომ ყველას შიშის ზაფრას

ჰგვრის!

თვით აქილევსიც ერიდება მასთან პირისპირ
შეხლას, და ის ხომ შენზე ბევრად უმძლავრესია!

115 იყავ შენს რაზმთან, დაიყუჩე გული, დაწყნარდი.
აქაველთაგან სხვას მოვნახავთ მასთან მეომარს.
რაც უნდ მამაცი იყოს, ბრძოლას დახარბებული,
მუხლებს მოიყრის სიხარულით, თუკი უვნებლად
გადაურჩება ორთაბრძოლას ფიცხელს, საზარელს!“

120 ასე უთხრა და ძმას განზრახვა შეაცვლევინა,
მართალიც უთხრა! ატრევსის ძე დაჰყვა მის ნებას,
მეაბჯრეებმა სიხარულით ახსნეს ბექთარი.
შემდეგ ნესტორმა აქაველებს მიმართა სიტყვით:
„ვაგლახ, ეწვია დიდი სევდა აქაველთ მიწას!

125 მწარედ ცრემლს დაღვრის ცხენოსანი მოხუცი პელევს,
მირმიდონელთა სვიან ტომის ბრძენი მრჩეველი.
მახსოვს სიხარულს ვერ მალაყდა, როს თავის სახლში
მეკითხებოდა არგიველთა წარმომავლობას.
ახლა გაიგებს, რომ თავზარს გვცემს ყველას ჰექტორი

130 და უეჭველად შელალადებს უკვდავ ღვთაებებს,
რომ მისი სული ჯურღმულებში შთანთქან ჰადესის!
მამაო ზევსო, ათენავ და აპოლონ ღმერთო!
ნეტავ ყრმა ვიყო, ვით იმ ხანად, როს კელადონტთან
პილოსელთა და არკადიელთ სპანი შეიბნენ —

135 თებეს კოშკებთან, და ნაპირთან იარდანოსის!
სპას მოუძლოდა ღმრთის სადარი ერევთალიონ,
არეითოოს-გმირის ეცვა აბჯარ-ბექთარი,
არეითოოს გმირის, კომბლედ სახელდებულის —
ასე ეძახდა ყრმა თუ ქალი ჭრელსარტყლიანი.

140 არა მშვილდით და არა შუბით იბრძოდა გმირი,
არამედ რკინის კომბლით ფლეთდა ფართო ფალანგებს.
ის ლიკურგოსმა სძლია, მაგრამ არა ძალ-ლონით,
ვიწრობში შეხვდა, ვერ იხმარა რკინის კომბალი;
მარჯვედ მოუჭრა ლიკურგოსმა გზა, შუბისწვერი

- 145 მუცელში ჩასცა, დაანარცხა მიწას პირალმა
და ღვაწლისამძლემ საჭურველი, არესის რვალი
ახსნა განგმირულს და ბრძოლის ჟამს თვით ატარებდა.
როცა მოხუცდა ლიკურგოსი, დაკარგა ძალა,
ერევთალიონს, თანამებრძოლს, მისცა აბჯარი.
- 150 თავს გაუვიდა ახალ აბჯრით გაამაყებულს,
ვაჟკაცთ იწვევდა, მათ კი შიშმა წაართვა ძალა.
გული ამენტო, სიმამაცის იმედი მქონდა,
გავბედე, თუმცა გახლდით ლაშქრად ყველაზე მრწემი.
პირისპირ შეეხვდი და მარგუნა ძლევა ათენამ!
- 155 ყველაზე დიდი და ყველაზე ძლიერი კაცი
მიწაზე ეგდო უილაჯოდ ხელებგანრთხმული.
ახლა რომ ვიყო იმავე ხნის, არა უძლური,
მალე ჰპოვებდა მტერს ჰექტორი ზუჩმოელვარე!
თუმც ლაშქრად ბევრი გულფიცხელი აქაველი გვყავს,
- 160 ვერავენ ბედავს შეერკინოს ღვთაებრივ ჰექტორს!“

ასე არცხვენდა სპას მხცოვანი და მყის ცხრა გმირი
წამოიმართა: აგამემნონ იყო პირველი,
მკლავმოუღლედი დიომედეც ადგა — ტიდიდი,
ძალისმხმეველი ორი გმირი — აიანტები,

- 165 იდომენევსი და ძმობილი იდომენევსის —
არესის სწორი მერიონე, გმირი უბადლო,
ევაიმონის ძე — ბრწყინვალე ევრიპილოსი,
ანდრაიმონის ძე თოანტი და ოდისევსი.
ყველა მზად იყო — ღვთიურ ჰექტორს შერკინებოდა.

- 170 კვლავ თქვა ნესტორმა, ცხენოსანმა გერენიელმა;
„რიგ-რიგად ვყაროთ, ძმებო, წილი, ვისაც შეხვდება,
მწამს, გაახარებს ვაჟკაცს, ლამაზ საბარკულიანს.
თვითონაც ძლიერ გაიხარებს, თუკი უვნებლად
გადაურჩება ორთაბრძოლას ფიცხელს, საზარელს!“

- 175 ასე წარმოთქვა, აირჩიეს გმირებმა წილი,
აგამემნონის, ატრევსის ძის, ზუჩში ჩაყარეს.
სპა ერთსულოვნად აღაპყრობდა ზეცისკენ ხელებს!

მლაღადებელი, ღმერთს შესთხოვდა ბევრი მათგანი:
„მამაო ზევსო! შეახვედრე წილი აიანტს,
180 ან ერისმთავარს მიკენისა, ოქრომრავალის“.

ასე ამბობდნენ და ნესტორი ჩაჩქანს ანჯღრევლა,
და ამოვიდა ყველასათვის ნანატრი წილი
აიანტისა.

მაცნემ ლაშქარს ჩამოუარა,
მარჯვნიდან დაჰყვა და აჩვენა ყველა აქაველს.
185 ნიშანი თვისად ვერავინ სცნო, ბოლოს შიკრიკი,
ხალხში რომ ჩაჩქანს ატარებდა, მასაც მიაღვა,
ვინც ის ნიშანი ზუჩში ჩასდო, მძლე აიანტმა
მაცნეს მარჯვენა გაუწოდა, წილი მიიღო,
იცნო ნიშანი და შეჰყვირა გულანთებულმა,
190 მიწაზე დადო და მიმართა სპას აღტაცებით:
„წილი ჩემია! გული ლხენით ახლა ამევსო, .
ისე მწყურია გამარჯვება დიად ჰექტორზე!
სანამ საჭურველს ავისხამ და შევიმოსები,
ილოცეთ, ძმანო, კრონიონი მეუფისადმი,
195 უხმოდ ილოცეთ, რომ ტროელებს არ გააგონოთ,
თუნდაც ხმამალლა: ჩვენ ხომ შიში არ გვაქვს ვინმესი!
ვინც უნდა იყოს, ასპარეზს ვერ დამათმობინებს,
ვერც ძალით, ვერცა ბრძოლის ფანდით, ვგონებ, უმეცრად
არ გავუზრდივარ სალამინში ჩემს მამას, მშობელს!“
200 ასე თქვა. უფალ ზევსს მიმართეს ლოცვით დანაელთ.
შელაღადებდნენ ზეცის მიმართ თვალაპყრობილნი:
„ზევსო მამაო! მძლევე, დიადო, იდას მფლობელო!
ძლევა არგუნე აიანტს და სახელ-დიდება!
თუკი ჰექტორიც გიყვარს, თუკი ჰექტორზეც ფიქრობ,
205 მას სხვა, ამას სხვა სიხარული უბოძე ძლევის!“
ასე ამბობდნენ.

აიანტი ელვარე რვალით
იმოსებოდა; * .

როს აისხა აბჯარ-ბექთარი,
წინ გამოიქრა, ვით არესი, ომში ჩაბმული,

მამაცთა ომში,

კრონიონმა გულის დამღრღნელი

- 210 შუღლით ერთმანეთს საბრძოლველად რომ მიუსია.
არესსა ჰგავდა აიანტი, აქაველთ ბურჯი,
შუბლმოდუშული გმირი ფართოდ მოალაჯებდა
და ერთი ამბით იღერებდა შუბს გრძელჩრდილიანს.
ყველა არგიველს გულს მოედო აღფრთოვანება
- 215 და ყველა ტროელს აუთრთოლდა სახსარი შიშით.
თვით ჰექტორსაც კი შეუქანდა გული ძლიერი.
მაგრამ დამალვა, არიდება არ ეგებოდა:
თვითონვე იხმო აქაველი შესარკინებლად.
სწრაფად მოადგა აიანტი, წინ, ვით გოდოლი,
- 220 სპილენძის ფარი აეფარა შვიდტყავიანი,
ჰილეს მცხოვრები სახელოვან კაცის ნაჭედი,
ფარს გადაკრული ჰქონდა შვიდი ტყავი ხარისა,
მერვე — სპილენძის ზედაპირი ალამპრებული.
მკერდზე მიედო გმირ აიანტს, ტელამონის ძეს.
- 225 ჰექტორს დაუდგა წინ, შესძახა განრისხებულმა:
„ჰექტორ, დღეს ნახავ, პირისპირ რომ შემერკინები,
დანაელთ შორის სხვა გმირები როგორნი გყვანან —
ფალანგთმნგრეველი აქილევსის, ლომგულის გარდა!
იგი გეწებთან, თავის რაზმთან წევს მხარ-თედოზე,
- 230 აგამემნონზე, ხალხთა მწყემსზე განრისხებული.
ჩვენ კი ბევრნი ვართ, ვისაც შენთან ბრძოლა სწყურია,
ბევრნი ვართ-მეთქი! მაშ, დაიწყე, ნულარ აყოვნებ!“

მას უპასუხა მძლე ჰექტორმა ზუჩმოელვარემ:

- 235 „კეთილშობილო აიანტო, ხალხთა მეუფევე,
რად მცდი ამაოდ, თითქოს ვინმე ყმაწვილი ვიყო,
ანუ დიაცი, უმეცარი საომარ საქმის.
ომიც ვიცი და სისხლიანი ხოცვა და ჟლეტა!
ძალმიძს მარჯვნივ და გინა მარცხნივ ავიკრა ფარი,
ფარშემართული ბრძოლის ველზე არ დავიღლები.
- 240 ქვეითად ძალმიძს ომახიან ყიჟინას გავჰყვე,
ფეხმარად ფაშატზე ამხედრებულს ძალმიძს ჯირითი.
მხოლოდ შენნაირ მეომართან არა მჩვევია

ჩუმად მიპარვა! არა! ასე, აშკარად, მედგრად!“
თქვა და ძალუმად სტყორცნა შუბი გრძელჩრდილიანი
245 და შვიდტყავიან, გამობერილ ფარში მოარტყა,
კაშკაშა სპილენძს რომ ეფინა ზედ მერვე ფენად.
ექვსი ტყავეცი რომ შეგლიჯა შუბმა, შეჩერდა.
მეშვიდე ტყავში.

აიანტმაც, ღმერთის სადარმა,
მოიღერა და სტყორცნა შუბი გრძელჩრდილიანი.
250 და იარაღი ბაკმულ ფარში გაურჭო ჰექტორს.
შუქმოელვარე ფარი გაჭრა ძლიერმა შუბმა,
თორნი გააპო მოხატული, სწრაფად ჩაეჭდო
ნეკნებს ქვეშ, მყისვე გაუფხრიწა ნაზი ქიტონი.
გმირი უკუდგა მეყსეულად, გაექცა სიკვდილს.
255 კვლავ მოიღერეს მათ შუბები გრძელჩრდილიანნი,
შეიბნენ, როგორც სისხლისმსმელი, შმაგი ღომები,
ვით ტყის ნადირნი, ტახნი, ძნელად დასაძლეველნი.
ფარის შუაში პრიამიდმა მოარტყა შუბი,
ველარ გააპო, შუბისწვერი მოდრიკა რვალმა.
260 ფარსვე უმიზნა აიანტმა, გაღმით გავიდა
შუბი გამჭოლი, უკუიქცა მყის თავდამსხმელი,
ყელს მიწვდა რვალი, შავი სისხლი აამჩქეფარა.
როდი შეწყვიტა ბრძოლა გმირმა ზუჩმოელვარემ,
გადაიზნიქა, მძლავრი ხელით მოგლიჯა ღოდი,
265 ველზე რომ ეგდო, შავი, მქისე, უშველებელი:
გაშლით ტყორცნა და შვიდტყავიან ფარს მოახვედრა
შიგ შუაგულში, აჟღერიალდა ჟღალი სპილენძი.
უფრო დიდ კლდე-ლოდს ხელი სტაცა ტელამონიდმა,
დაძაბა ძალა, მოიქნია, სტყორცნა ძალუმად
270 და გაამსხვრია დოლაბის ქვამ ფარი ბაკმული,
დაუზიანა ჰექტორს მუხლი, პირადმა დასცა,
ფარიც დაამხო. აპოლონი მყის გაჩნდა შემწედ.
ხელჩართულ ომში ხმლით აჩეხვა არ ასცდებოდათ,
რომ არ ხლებოდნენ მათ მაცნენი ღმერთთა და კაცთა,
275 ერთი ტროელი, მეორე კი აქაველთაგან,
ტალთიბიოს და იდაიოს, ორი ბრძენ-კაცი.
მებრძოლთა შორის კვერთხი გადეს და ტროელთ მაცნემ

მიმართა კეთილგონიერმა იდაიოსმა:

გეუოთ, შვილებო, საყვარელო, აწ შერკინება.

280 ორივე ერთგვარად თქვენ უყვარხართ ზევსს

ღრუბელთმარეკს

ორივე გმირნი ხართ, — ყველა ვხედავთ, — უმამაცესნი.

მწუხრი ჩამოწვა, მაშ, მივეცეთ ღამის სიამეს“.

მიუგო და ჰრქვა აიანტმა ტელამონიდმა:

„შენ რაც თქვი, იგივე თქვას ჰექტორმა, ო, იდაიოს!

285 მან იხმო ბრძოლად ჩვენი გმირი უმამაცესი.

მისგან დაიწყე, მეც მზადა ვარ, თუ ის ისურვებს!“

მას უპასუხა მძლე ჰექტორმა ზუჩმოელვარემ:

„ღმერთმა გაჩუქა შენ, აიანტ, ძალაც და ჭკუაც,

აქაველთ შორის შუბოსანო ურჩეულესო!

290 შევწყვიტოთ დღეს ჩვენ ორთაბრძოლა და შერკინება.

შემდეგ კი შევხვდეთ და შევებათ, სანამ არ გაგყვრის

დაიმონი და ორთაგან ერთს არგუნებს ძლევას.

მწუხრი ჩამოწვა. მაშ, მივეცეთ ღამის სიამეს.

გასწი გემებთან, გაახარე აქაველთ სპანი,

295 მეგობარნი და სანუკვარნი, ვინც გეგულება.

მე გავახარებ პრიამოსის ციხე-ქალაქში

ტროელთ მამაცებს, გრძელკაბიან ტროელ დიაცებს,

ჩემ გამო ლოცვად რომ დამდგარან დიად ტაძარში.

ერთურთს მიეუზღათ სახსოვარით ახლა პატივი,

300 ოდესმე ეს თქვას აქაველთა და ტროელთ მოდგმამ:

გულის მჭამელი შუღლით შეხვდნენ გმირთაგმირები,

მაგრამ დასცილდნენ მეგობრული გრძნობით სავსენი“.

თქვა და უბოძა ხმალი ვერცხლისსამსჭვალისანი,

ლამაზ ქარქაშით, ლამაზ ღვედით დამშვენებული.

305 მძლე აიანტმა ძოწეულის სარტყელი მისცა.

ასე დასცილდნენ, ერთი გაჰყვა აქაველთა რაზმს,

ხოლო მეორე იჩქაროდა ტროელთ ლაშქრისკენ.

შვებით შემოხვდნენ, უვნებელი რომ დაუბრუნდა,

რომ გადაურჩა აიანტის უძლეველ ძალას.

310 შინ შეიყვანეს, ვისაც ცოცხალს არც კი ელოდნენ,
ასევე შეხვდნენ აიანტსაც აქაველები.
მოჰგვარეს ძლევით ალტაცებულ მხნე აგამემნონს.

ხალხთა მბრძანებლის, ატრევსის ძის, ჰერკლემ შემოსულთ
აგამემნონმა ხუთწლიანი ხარი დაუკლა,

315 მსხვერპლად შესწირა ყოვლისშემძლე უფალ კრონიონს.
ფიცხლავ შრომობდნენ, გაატყავეს და ნაჰერ-ნაჰერ
აქნეს, ცვრიანი ზორცი შემდეგ შამფურს ააგეს
ფრთხილად შეწვეს და როცა ნორჩნენ, მოთაღეს მწვადი.
შრონა დამთავრდა და პურო?ა დაიწყო დიდი.

320 ერთობლივ ლხინში არვინ დარჩა მოუღბენელი.

ხოლო აიანტს პატივი სცა განსაკუთრებით
სუკის ნაჰრებით თვით ატრიდმა აგამემნონმა.

როცა იჯერეს გული, როცა დაცხრა შიმშილი,
პირველად იწყო სჯა-ბაასი ბრძენმა ნესტორმა,

325 ადრეც რჩეულმა სიბრძნითა და მქვერმეტყველებით.

კეთილმზრახველი გმირი ასე ურჩევდა კრებულს:

„ატრიდო, და თქვენც — აქაველო, მხედართმთავარნო!

ბევრი დაეცა აქაველი რვალმშენიერი,

ვისაც არესმა სკამანდროსის სანაპირონი

330 დაალტობინა სისხლით. ჰადესს შთანთქა სულები.

სისხამ დილაზე ხამს მესწყყეიტონ ბრძოლა აქაველო.

ჩვენც გულმოდგინედ გმირთა გვამნი ასპარეზიდან

გამოვიტანოთ საზიდრებით, ერთად ცეცხლს მივცეთ,

ნავ-ხომაღდებთან, რომ მამათა ძელები შვილებმა

335 შინ წაასვენონ, როს სამშობლო მხარეში მივლენ.

შემდეგ აღვმართოთ ყველასათვის ერთი ტაგრუცი,

იქვე ავაგოთ გალავანი, კოშკი მაღალი,

რომ საიმედო კელად გვექცეს ჩვენ და ხომაღდებს.

ბჭე გავუმაგროთ მტკიცედ შეკრულ საკლიტურებით,

340 ეტლებს და ცხენებს დავუტოვოთ გზა გასასვლელი,

შემდეგ გალავნის გარეთ ფართო სანგარი გავქრათ,

გარს შემოვარტყათ, რომ ცხენოსნებს, გინდა ქვეითებს

გზა შეუშალოს, თუ ტროელთა სპა თავს დაგვესხმის“.

ასე თქვა. ყველამ მოიწონა მოხუცის რჩევა.

- 345 ტროელნიც ამ დროს ილიონის ბეჭობზე იდგნენ,
 ხმამაღლა ბჭობდნენ პრიამოსის სასახლის ახლოს.
 იწყო თათბირი ანტენორმა თავდაპირველად:
 „ტროელთა სპანო, დარდანელნო, მოკავშირენო!
 ყურნი მომაპყართ, გეტყვით, რასაც მითქვამს ეს გული.
- 350 ახლავ გადაწყდეს — არგიველი ელენე მივცეთ
 სხვა განძთან ერთად კვლავ ატრიდებს. გავტეხეთ ფიცი
 და ვერაგულად ვიბრძვით. მჭერა, რომ სასიკეთოს
 ვერას ვეწევით, სანამ, რაც ვთქვი, არ ასრულდება“.

თქვა და ჩამოჯდა. ღმრთის სადარი ვაჟკაცი ადგა —

- 355 ალექსანდროსი, თმამშვენიერ ელენეს ქმარი.
 ფრთიანი სიტყვა მიაგება მან მეყსეულად:
 „ანტენორ, სიტყვა გითქვამს ჩემთვის მიუღებელი!
 სჯობდა სხვა რჩევა რამ კეთილი გესურვებინა!
 თუკი რაც ბრძანე, წრფელი გულით იყო ნათქვამი,
- 360 შენი გონება, ვეჭვობ, ღმერთებს მიუტაცნიათ!
 ტროელთა, ცხენთა მომთოკველთა წინაშე წრფელად
 ვიტყვი: ვერ დავთმობ ჩემს მეუღლეს დალალმშვენიერს!
 ხოლო საუნჯე, არგოსიდან რაც მოვიტანე,
 მზადა ვარ გავცე, საკუთარიც დავეურთო უხვად!“

- 365 თქვა და ჩამოჯდა. მაშინ ადგა ტროელთ წინაშე
 მერე პრიამოს, დარდანიდი, ღმერთთა ტოლფერი.
 კეთილმზრახველი გმირი ასე ურჩევდა კრებულს:
 „ტროელთა სპანო, დარდანელნო, მოკავშირენო!
 ყურნი მომაპყართ, გეტყვით ყველას, რას მითქვამს გული.

- 370 ახლა ქალაქში გაითენეთ ღამე, ვით წინათ,
 მხოლოდ განსოვდეთ — ფხიზლად იყვნენ ღამის გუშაგნი.
 ხვალ კი მივიდეს იდაიოს ფართო გემებთან,
 ატრევსის ძეებს — აგამემნონს და მენელაოსს
 შუღლის აღძგრელი ალექსანდრეს აზრი გადასცეს.

- 375 მათ გონიერი სიტყვა უთხრას: ისურვონ იქნებ.
 ბრძოლას ერიდონ, სანამ მოკლულთ გვამებს დაწვავდეთ
 შემდეგ შევებათ, ვიდრე გაგვყრის კვლავ დაიმონი,
 ერთს ან მეორე მებრძოლ მხარეს შემოსავს ძლევით“.

- მოხუცს უსმინეს ყურადღებით, ირწმუნეს კიდევ.
- 380 და მეომრები დამშვიდებით შეუდგნენ ვახშამს.
 დილით წავიდა იდაიოს ხომალდებისკენ,
 დანაელთ დასში შეხვდა მაცნე არესის მსახურთ,
 გემის კიჩოსთან — აგამემნონს, მამაცთა მთავარს.
 შუაში ჩადგა და აუწყა ხმამალა მაცნემ:
- 385 „ატრიდო, და თქვენც — თემისთავრო მთლად აქაველთა!
 მეფე პრიამოსს, სხვა ბელადებს ტროის მხარისა,
 ვინძლო საამო იყოს თქვენთვის, სურთ გამცნონ აზრი
 ალექსანდროსის, რომლის გამოც აღიძრა შულღი.
 ის განძი, მრავალმერხებიან გემით ტროაში
- 390 რაც მოიტანა (ნეტავ, მანამ ტალღებს შთაენთქა!)
 სურს დაგიბრუნოთ, საკუთარიც დაურთოს უხვად,
 მენელაოსის ახალგაზრდა ცოლის გაშვებას
 კი უარსა ჰყოფს, მერე რამდენს სთხოვდნენ ტროელნი!
 ესეც მიბრძანეს მოგახსენოთ: ისურვოთ იქნებ
- 395 ბრძოლას ერიდოთ, სანამ მოკლულთ გვამებს ცეცხლს
შევერთავთ,
 შემდეგ შევებათ, ვიდრე გაგვყრის კვლავ დაიმონი,
 ერთს ან მეორე მებრძოლ მხარეს შემოსავს ძღვევით“.

- თქვა და მოიცვა ღრმა დუმილმა აქაველთ, დასი.
 ბოლოს წარმოთქვა დიომედემ კეთილშობილმა:
- 400 „ალექსანდროსის განძს ჩვენს შორის ნურვინ მიიღებს,
 თვით ელენესაც! გონნაკლულსაც კი გაეგება,
 რომ ტროელთ ქალაქს მალე ელის იავარყოფა!“
 ასე წარმოთქვა და ხმამალა შესძახა ყველამ,
 გმირ დიომედეს ვაჟკაცური სიტყვით გზნებულმა.
- 405 აგამემნონმა იდაიოსს მიმართა შემდეგ:
 „შენ თვითონ გესმის, იდაიოს, აქაველთ სიტყვა,
 ასე ინებეს მათ პასუხი, მეც ასე ვფიქრობ!
 ხოლო რაც მოკლულთ შეეხება, მეც ხომ მანდა ვარ:
 გვმართებს, პატივი ვუზღაოთ მოყმეთ,
დღემოსწრაფებულთ,
- 410 მიცვალებულნი ხამს მოვალბოთ ცეცხლის აღმურით.
 ზევსმა მისმინოს, ჰერას ქმარმა მეხთამტყორცნელმა!“

თქვა და ზეცისკენ, ღმერთთა მიმართ აღაპყრო კვერთხი.
იდაიოსიკ გზას გაუდგა ილიონისკენ.

- 415 ამ დროს საფაჩენოს იყვნენ ერთად ტროელთა სპანი
და დარდანელნი, იდაიოსს ელოდნენ, მაცნეს.
ისიკ დაბრუნდა, შუა ჩადგა, უთხრა ამბავი.
ყველა წამოდგა და სამზადისს მყისვე შეუდგა:
ვინ — ძლეულთ გვამთა მოსატანად, ვინ — ტყიდან შეშის.
არგიველებიკ გაეცალნენ ფართო ზომალდებს:
420 ვინ — ძლეულთ გვამთა მოსატანად, ვინ — ტყიდან შეშის.

მზემ — ჰელიოსმა სხივი სტყორცნა გაშლილ
ველ-მინდორს,
გასცდა რა ნელა მონანავე ჰავლს ოკეანის,
ზეცის გზას ადგა,

- ველზე შეხვდნენ ლაშქარნი ერთურთს.
ცნობა უჭირდათ ასპარეზზე მოკლულ მოყმეთა.
425 წყლით რომ განბანდნენ, სისხლს და ტალახს
მოაცილებდნენ,
ურემზე დებდნენ ცხედრებს, ღვრიდნენ ცრემლებს
მხურვალეს.

მალღივ გოდება პრიამოსმა აკრძალა: უხმოდ
კოცონზე გვამებს ასვენებდნენ გულმწუხარენი,
ცეცხლს რომ მისცემდნენ, ჰრუხდებოდნენ კვლავ
ილიონში.

- 430 იქით მშვენიერლევკვერთხიან აქაველთ გმირნი
კოცონზე გვამებს ასვენებდნენ გულმწუხარენი,
ცეცხლს რომ მისცემდნენ, კვლავ ზომალდებს
უბრუნდებოდნენ.

ჭერ კიდევ დილა არ დამდგარა, ღამის ბინდ-ბუნდში
კვლავ სამუშაოდ გაემართნენ აქაველები.

- 435 იქ სად ცხედრები დაწვეს, ყველას ერთი ტაგრუცი
აუგეს, იქვე გალაგანი აღმართვის მალე,
მტკიცე კოშკები დასაცავად გემთა და სპათა.
ბჭე გაუმაგრეს მტკიცედ შეკრულ საკლიტურებით.
ეტლებს და ცხენებს. დაუტოვეს გზა გასასვლელი,

440 შემდეგ გალავნის გარეთ ფართო სანგარი გაჭრეს,
ღრმად ამოთხარეს და ჩაარქვეს პრავალი პალო.
ასე იღწვოდნენ თმახუჭუჭა აქაველები.

ამ დროს ღმერთები ელვისმტყორცნელ კრონიდთან
ისხდნენ,

უკვირდით რვალისკურტაკიან აქაველთ საქმე.

445 პოსეიდონმა მათ მიმართა მიწისმრყეველმა:

„ზევსო მამაო, ამ უსაზღვრო დედამიწაზე
რომელი კაცი ღმერთს გაანდობს აწ თავის სურვილს?
ხედავ, ამღამით თმახუჭუჭა აქაველებმა
გემებს კოშკები მიუშენეს და მის წინ გაჭრეს

450 სანგარი, მაგრამ ღმერთებს განა შესწირეს მსხვერპლი?
მათ შეაქებენ ყველგან, სადაც სხივს აფრქვევს დილა,
დაივიწყებენ, რაც ავუგეთ შრომით მაშვრალმა
მე და აპოლონ ფოიბოსმა მძლე ლაომედონტს!“

მრისხანედ უთხრა პოსეიდონს ღრუბელთმარეკმა:

455 „ბიკოს! რას ამბობ, ძალმრავალო, მიწისმრყეველო?
მესმის, სხვა ღმერთს რომ აშინებდეს ზრახვა უკვდავთა,
შენზე უსუსურს სულითა და მკლავის სიმტკიცით!
შენ გადიდებენ ყველგან, სადაც სხივს აფრქვევს დილა.
შემდეგ ნება ყავ, თმახუჭუჭა აქაველები,

460 სწრაფი გემებით რომ გასწევენ მშობლიურ მხარეს,
დაამხე კოშკნი, ზღვას მიეცი საძირკვლიანად,
კვლავინდებურად სანაპირო დაფარე ქვიშით,
კვალიც რომ გაჭრეს აქაველთა დიადი ბურჯის!“

ასე ერთურთთან საუბრობდნენ ოლიმპოს ღმერთნი.

465 მზე ჩაესვენა და განსრულდა აქაველთ საქმე.

ხბორები დაკლეს და სამხრისად ეშაადებოდნენ.

ამ დროს გემები, დატვირთულნი ლემნოსურ ღვინით,
მოადგნენ ნაპირს. გმირ ევენოსს გამოგვზავნა.
ჰიპსიპილეს ვაჟს, შობილს მეფე იესონისგან.

470 ორ ატრეიონს, აგამემნონს და მენელაოსს

საჩუქრად უძღვნა მან ათასი მეტრონი ღვინო,

სხვა აქაველნი ცვლით იძენდნენ თმავარჯოანნი:
ვინ — რვალ-სპილენძით, ვინ — ჭალარა რკინით, ვინ —

ტყავით

- მრუდერქიანთა საქონელთა, ვინ — თვით მოზვერით,
475 ვინ — ტყვე მონებით. მხიარული ლხინი გაჩაღდა.
და მთელი ღამე აქაველნი ველზე სერობდნენ,
ხოლო ტროელნი ნადიმობდნენ ციხე-ქალაქში.
მთელს ღამეს ქუხდა ზევსი ნიშნად ცოდო-ბრალისა,
შიში შეუდგათ მოქეიფეთ ფერის ამხდელი:
480 ღვინოს ასხამდნენ თასებიდან, ვერვინ ბედავდა,
სანამ ზედაშეს ასხურებდა, თვით დაელია.
დაწვნენ და ძილის საჩუქართა იგემეს სიტკბო.

ქება მერვე

ღმერთების ზოგა. შაფყვატილი ბრძოლა

მიწას ეფინა ეოს ყვითელპეპლოსიანი,
როს კრებად უხმო ღმერთებს ზევსმა

ელვისმტყორცნელმა;

მრავალბორცვიან ოლიმპოს მთის მწვერვალზე; მჯდომი
ბრძანებდა სიტყვას, ყველა ღმერთი უსმენდა ჩუმად:

- 5 „მისმინეთ სიტყვა, ყველა ღმერთნო, ყველა

ღმერთქალნო,

ახლა გაგანდობთ, რასაც მკერდში მითქვამს მე გულა.

ღმერთქალთა შორის, ღმერთთა შორის ნურვინ იფიქრებს:
ჩემი ბრძანების გარდაღლენას, ყველა ერთობლივ
მე მმორჩილებდეს, ვიქნე საქმესა დაუბრკოლებლად!

- 10 ვინც ღმერთთა შორის ჭანყს ისურვებს, უმაღლესი გაციგებ.
ტროელთა, გინა დანაელთა შიგნედ ჩასული.

სირცხვილნაჭაძე კვლავ ოლიმპოს დაუბრუნდება,
რათა იტანჯოს; ხელსა ვტაცებ, შთანჯვებან ტარტარში,
იქ, სად უღრმესი ჭურღმულია დედანჩინის ქვეშ,

- 15 სად რკინის ბჭინი და სპილენძის ფილაქანია.

ჰადეს შორის არის ტარტარიდან, ვით ცა-მიწიდან.

- იქ იგრძნობს, ყველა ღმერთს რამდენად ვაჭარბებ ძალით!
 გნებავთ, გაბედეთ და დარწმუნდით ყველანი, ღმერთნო:
 მაღალ ზეციდან ახლავ ოქროს ჩაქვს ჩამოვუშვებ,
- 20 რაც კი ღმერთია ოლიმპოზე, რაც კი ღმერთქალი,
 ჩაებლაუქეთ და ვერ შეძლებთ ზეცით მიწამდე,
 წელში რომ გაწყდეთ, ჩაათრიით ზევსი ზესთამნე!
 მე კი უკეთუ კეთილ მიჩანს თქვენი წათრევა,
 დედამიწითურთ, და თვით ზღვითურთ ჩაქვს ამოვზიდავ,
- 25 გარს შემოვახვევ ამ მარჯვენით ოლიმპოს მწვერვალს,
 მთელი სამყარო ზედ უმწეოდ დაეკიდება,
 ეგზომ ღმერთთა და ეგზომ კაცთა ვარ უზესთაეს!“
 ასე ბრძანა და ღრმა ღუმილი ჩამოღვა. ყველას
 თავზარი დასცა, ისე მკაცრად ბრძანებდა ზევსი.
- 30 ბოლოს ათენამ, თვალმცეცხლიამ, მიჩართა უფალს:
 „ყოვლისშემძლეო, მამა ზევსო, ზესთა მეუფევი!
 ჩვენ კარგად ვიცით. ხარ მძლავრთამძლე ძალისმხმეველი.
 ოღონდაც გულით თანავუგრძნობთ მამაც დანაელთ,
 თუ მათს სასტიკ ბედს აღასრულებ. ელით დაღუპვა,
- 35 მაგრამ ომში არ ჩავებმებით, თუ შენ გვიბრძანებ.
 მხოლოდღა რჩევას მივცემთ მამაც არგოველ მოყმეთ,
 რომ შენს მძვინვარე რისხვას ყველა თან არ გადაჰყვეს“.

გაულიმა და უთხრა ზევსმა ღრუბელთმარეკმა:

- „ნუ გეშინია. შეილო, მე ხომ არა გულისთქმით
 40 მითქვამს, რაცა კთქვი. მინდა შენი მოწყალე ვიყო!“

თქვა და შეაბა ეტლში რაშნი რვალისფეხება,
 შმაგად მფრინაენი და მრხეველნი ოქროს ფაფართა.
 თვითონაც ოქრო შეიმოსა, ოქროს მათრახი

- ხელთ იპყრა, შედგა მოელვარე, ლაპლაპა ეტლზე.
- 45 ცხენნი ჰორჩილნი გააქენა, სწრაფად გაფრინდნენ
 მოლივლივენი ხომლიან ცას და მიწას შორის —
 ნადირთა დედის, უხვწყლიანი იდას მთისაკენ,
 გარგაროსისკენ სად ჭალა და ბომონი ჰქონდა.
 იქ დააკა ცხენნი კაცთა და ღმერთთა მამამ.
- 50 ვამოხსნა და გარს მოახვია სქელი წყვილიადი.

- თვით თხემზე დაჯდა სიდიადით განბრწყინებული,
 ტროელთა ქალაქს დასცქეროდა, აქაველთ გემებს.
 გული იჭერეს როს ჭამადით გრუზა აქაველთ,
 კარვებს მიადგნენ, შეიმოსნენ აბჯარ-ბექთარით,
 55 ტროელნიც ამ დროს ციხე-კოშკში აბჯარს ისხამდნენ,
 ლაშქარ-მცირენი, მაგრამ მაინც სისხლიან ომის
 მოწადინენი იძულებით, რომ დედაწულნი
 დაეცვათ. გახსნეს ყველა კარი. სპა გამოცვივდა
 ცხენშეკაზმული თუ ქვეითი, ატყდა გნიასი.
 60 რაზმი რაზმს შეხვდა გამოჭრილი საპირისპიროდ,
 ხმალ-სატევარი შეეხალა, შუბნი და ძალა
 კაცთა სპილენძის თოროსანთა, ბაკმული ფარი
 ფარს შეეღეწა, საშინელი ატყდა გრუხუნნი,
 ერთურთს შეერთო ძლევის ვაშა, სიკვდილის ვიში.
 65 მკვლელთა, მოკლულთა და ქვეყანა დაალტო სისხლმა.

- სანამდის იყო დილა, წმინდა დღე იზრდებოდა,
 ისარნი ამათ და იმათაც მუსრავდნენ შმაგად.
 მაგრამ როგორც კი მიადწია მზემ ცის შუაგულს,
 ოქროს სასწოროზე მამამ დადო ორი წილხვედრი,
 70 სიკვდილის წილი, გაულევიძარ ძილში შთანმთქმელი —
 მხედარ ტროელთა, კურტაკიან აქაველ სპათა.
 ხელით ასწია. აქაველთა საბედისწეროდ
 დაბლა დაეშვა, ნაყოფიერ მიწამდე წილი,
 ხოლო ტროელთა აღიმართა ხომლიან ცამდე.
 75 დაიგრუხუნა, ცის ლაქვარდი გაკვეთა ელვით,
 აქაველთ რაზმებს სტყორცნა ცეცხლი. ყველა შეძრწუნდა,
 სახეს მოედო ფერმიხდილი საშინელება.
 იდომენევსი შეძრა შიშმა, აგამემნონიც,
 აიანტებიც, მძლე არესის ორი მსახური.
 80 მხოლოდ ნესტორი ამ საშინელ ორომტრიალში
 ველარ დაიძრა, თურმე ცხენი დაშავებოდა:
 ალექსანდროსმა, თმამშვენიერ ელენეს ქმარმა,
 ცხენი იქ დაჭრა, სად ფაფარი თავისქალიდან
 კისრისკენ მიდის: სახიფათო მხარეა ფრიალ!
 85 ყალყზე შემართა, ცხენს შიგ ტვინში მოხვდა ისარი,

გონდაკარგულმა, ჯანგაცლილმა სხვებიც დააფრთხო.
ცხენს რომ მივარდა და ცდილობდა მხცოვანი მეფე
მისი სადავე გადაეჭრა, ჰექტორის რაშნი
ლტოლვილთა შორის შემოჭრილნი მოაქროლებდნენ
90 საშინელ ჰექტორს! დასტოვებდა მოხუცს სიცოცხლე,
რომ კეთილშობილ დიომედეს არ შეენიშნა.
შეჰყვირა გამირმა და მოუხმო მამაც ოდისევს:
„ლაერტის ძეო, ოდისევსო, ჰყუაულებო!
ზურგს როგორ აქცევ და გარბიხარ, ვით სულმდაბალი?
95 უფროსილდი, შუბი არ გაგირჭონ ლტოლვილს ბექებში
შესდექ! განვდევნოთ მოხუცისგან მძვინვარე მოყმე!“

ვერ გაიგონა ღვთაებრივმა მრავალტანჯულმა.
როცა მის გვერდით ხომალდისკენ მიჰქროდა სწრაფად.
ტიდიდმა მარტომ გადაწყვიტა მოხუცის დაცვა,
100 გაიჭრა, ეტლის წინ დაუდგა ანაზღეულად
და ნელევსის ძეს მიაგება ფრთიანი სიტყვა:
„მოხუცო, მედგრად შეგიტიეს ახალგაზრდებმა
ძალა გელევა და სიბერემ დაგაძაბუნა.
მეეტლეც უკვე უძლური გყავს, ცხენებიც ზანტი.
105 მოდი და ეტლზე ამომიდექ, შენ თვიონ ნახავ:
ენა ვერ იტყვის, ვით ჩვევიათ ტროსის ქურანებს
გინდ აქეთ ფრენა, გინდა იქით — დევნაც და ლტოლვაც.
გუშინ ენეასს გამოვტაცე, სპათა გამფანტველს.
შენი ცხენები სხვას მიანდე, ხოლო ესენი
110 მხედარ ტროელებს მივაგებოთ. ჰექტორიც ნახავს,
ჩემს ხელში შუბი მძვინვარეობას შეძლებს თუ არა“.

არ იუარა ეს ნესტორმა გერენიელმა.
მის ცხენებს ზრუნვა არ მოაკლეს მაშინ მებაჭრეთ —
სთენელოსმა და გულმამაცმა ევრიმედონტმა.
115 თვით დიომედეს ეტლზე დადგნენ თანამებრძოლნი.
სადავეს დასწვდა მყის ნესტორი, გადაუჭირა
ცხენებს მათრახი და მიუხდნენ უმაღვე ჰექტორს.

მის წინ გამოჭრილს ტიდევისის ძემ სტყორცნა ოროლი,
ვერ მოახვედრა, მაგრამ მისვე სადავეთმპყრობელს,

- 120 თებაიოსის ძეს მოარტყა, მხნე ენიოპევსს —
 ზედ ძუძუსთავთან, როცა იგი ცხენს ძათრახს სცემდა.
 მიწას დაასკდა, გვერდზე გახტენენ მარდნი მერანნი.
 ძალა დაუშრტა ენიოპევსს, სული გააფრთხო.
 გმირ ჰექტორს გული შეუკუმშა სასტიკმა დარდმა,
- 125 ებრალეობდა მეგობარი, მაგრამ მეეტლეს
 ახალს დაუწყო ირგვლივ ძებნა, არ დაუყოვნდათ
 დიდხანს მის ცხენებს, ღირსეული გამოჩნდა მოყმეც —
 არქექტოლემოს იფიტიდი, მას დაავალა
 მარდ ცხენთა მართვა და ხელთ მისცა სადავეები.
- 130 ველარაფერი დაიხსნიდა სისხლისღვრისაგან
 ცხვრებივით ქალაქ ილიონში შეყუჟულ ლაშქარს,
 რომ კაცთა მამას, ღმერთთა მამას არ შეენიშნა.
 ელვა ვერცხლისფერცეცხლიანი სტყორცნა ქუხილით,
 ძირს დაანარცხა დიომედეს ცხენის ფეხებთან.
- 135 მალლა ავარდა საშინელი გოგირდის ალი.
 უკან მიაწყდნენ ძრწოლით ცხენნი ათრთოლებულნი,
 ნესტორს წაართვეს მყის დაწნული სადავეები.
 შეძრწუნებულმა დიომედეს მიმართა ლომგულს:
 „ტიდილო, ცხენი მოაბრუნე ახლავ სილტოლვად,
- 140 ვერ გრძნობ, რომ ზევსი დღეს დიდებას არ მოგანიჭებს?
 ახლა კრონიდი განადიდებს მხოლოდ მძლე ჰექტორს,
 შემდეგ, თუ ნებავეს, ჩვენც შეგვმოსავს ძლევის დიდებით.
 ვერვინ გადავა წინამბჭობელ ზევსის განგებას —
 ძლიერიც იყოს, მასზე ბევრად მძლავრია იგი!“
- 145 მყისვე მიუგო დიომედემ კეთილშობილმა:
 „გონივრულს ამბობ განგებაზე, ბრძენო მოხუცო,
 მაგრამ გულს მიღრღნის, სულს მოედო მწველი იარა!
 როდესმე ტროელთ დასში იტყვის გმირი ჰექტორი:
 მიაშურაო გემს ტიდილმა შეძრწუნებულმა.
- 150 იტყვის ტრაბახით. გასკდი, მიწავ, წინაშე ჩემსა!“
 მოყმეს მიუგო კვლავ ნესტორმა გერენიელმა:
 „რას ბრძანებ, გმირო, თოროსანო ტიდევსის ძეო?
 ჰექტორმა კიდევც რომ გიწოდოს სუსტი, ლაჩარი,

არ ირწმუნებენ არც ტროელნი, არც დარდანელნი,
155 არც დიდსულოვან ტროელთ ცოლნი, შენ რომ დაუმხე,
გროვად და გროვად დაუნარცხე რჩეული ქმრები“.

ასე თქვა. ფლოქვებმოთქარუნე ცხენნი გაქცეულ
სპას გაადევნა.

მყის ჰექტორმა და ტროელებმა
სასტიკ ყიყინით დააყარეს ისართა სეტყვა.
160 ომახიანად მისძახოდა გმირი ჰექტორი:
„ტიდილო, როგორ გსურს იდილო დანაელთ შორის,
სავსე თასებით რომ გამკობდნენ მონადიმენი?!
აწ რალა ეთქმით; დიაცადლა მათ მოვლენიხარ!
გაჰჭრი, გომბიოვ, გოგო-ბიჭავ! ვიდრე მე დამცემ,
165 კოშკზე აძვრები, ტყვედ წაასხამ გემზე ჩვენს ცოლებს,
მანამ დაგამხოვ, დაიმონთან დაიკარგები!“

და ორ აზრს შუა ყოყმანობდა გმირი ტიდილი:
უქუექცია ცხენნი, თუ მტერს შებმოდა მედგრად?
სამჯერ ეს აზრი უკარნახა გულმა და ჰქუამ
170 სამჯერ იქუხა ბრძენმა ზევსმაც იდას თხემიდან —
ტროელთ აუწყა საჰოქმანო ბრძოლაში ძლევა.
ჰექტორი ტროელთ ამხნევებდა ომახიანად:
„ტროელთა ძენო, ლიკიელნო, მძლენო დარდანნო!
იყავთ მამაცნი, გულადობა თან გახლდეთ შმაგი!
175 ვგრძნობ, კრონიონი მეხით გვამცნობს კეთილმოწყალე
ძლევა-დიდებას, დანაელთ კი დანთქმას და სირცხვილს!
უგნურთ იგულვეს გალავნები ვადასარჩენად,
უბადრუკ გოდოლს შეჩერება ჩენი არ ძალუძს!
სანგრებს: იოლად გაანგრევენ, გავლენ ცხენები.
180 მაგრან. როცა კი მივადგები გემებს, გახსოვდეთ,
მზად გქონდეთ ცეცხლრ მოგიზგიზე და მუგუზლები,
ცეცხლს მივცემთ გემებს და არგიველთ ზედ გემების წინ
გავანადგურებ გავუდულებს იმ ხანძრის კვამლით!“

ასე შესძახა. მიუბრუნდა, მიმართა ცხენებს:
185 „ქსანთოს, პოდარგოს, ღვთაებრივო ლამპოს, აითონ!

დღეს მიზღავთ თქვენ მე დიდებული საზრდოს სანაცვლოს:
ხშირად სვიანი ეტიონის ქალს — ანდრომაქეს
მოურთმევია თქვენთვის პური უადრეს სხვაზე,
ლენოსაც წყალში გიზავებდათ გულის საამოდ,
190 ჩემზე უადრეს, უსაყვარლეს ქმარზე უადრეს!
გასწით, გაკურცხლეთ, ო, მერანნო! მტერს გამოვტაცოთ
ნესტორის ფარი, ცას რომ აღწევს მისი დიდება,
ლამის სულ ოქრო მოვლებია წრესაც, სახელურს.
გმირ დიომედეს, ცხენთა მხედნავს, მხრებიდან ავხსნათ
215 აბჯარ-ბექთარი საოცარი, ჰეფესტოს ქმნილი!
თუ შევძლებთ, ექვიც არ გვექნება, რომ აქაველნი
ამღამევე სწრაფმსრბოლ ხომალდებით გაგვეცლებიან!“

ასე ზვიადად ბრძანა.

მაშინ განრისხდა ჰერა,
ტახტზე შეტოკდა, შეარხია ოლიმპოს თხემი.
200 მყისვე მიმართა პოსეიდონს. ღვთაებას დიადს:
„ყოვლადძლიერო! ახა-ვაი!.. მიწისმრყეველო!
გული არ გტკივა ოდნავ მაინც დანაელთ გამო,
ჰელიკესა თუ აიგაში ტკბილი ზვარაკით
რომ გიზორავენ? გაუმარჯვე, მეოხ ეყავი!
205 დანაელთ მფარველთ რომ გვენება ყველას ერთპირად,
ტროელთაც ვძლევდით და შორს მგრგვინავ კრონიონ
ზევსაც,
ისიც კი, იდას მართო მჯდომი, შეგვიდრკებოდა!“

უქმაყოფილოდ უთხრა მძლავრმა მიწისმრყეველმა:
„ყიამიმწვარო ჰერავ! ეს რა სიტყვა წამოგცდა?
210 სულაც არა მსურს, კრონიონთან გაბედოს ვინმემ
შებმა ჩვენს შორის! ის ხომ ყველას სჭარბობს
სიმძლავრით!“

ასე ერთმანეთს მიმართავდნენ მალაღნი ღმერთნი.
ხოლო გემებთან, სანგარსა და გალავანს შორის
სულ გაეჭედა სივრცე ცხენთა და კაცთა დასებს,
215 შევიწროებულთ, არესივით მათ მიდგომოდა
გმირი ჰექტორი, თვით ზევსისგან განდიდებული.

ცეცხლით მოსპობდა ზღვასთან გემებს, დედოფალ ჰერას
ავამემნონი აქაველთა გასამხნევებლად
რომ არ აღეძრა, თუმც თვით გმირსაც ესა სწყუროდა:

- 220 ფართო ნაბიჯით მიაშურა გემებს და კარვებს,
ხელით ეჭირა ძოწეული სამოსის კალთა.
დადგა ატრიდი ოდისევსის მაღალ ხომალდზე,
რომ მიეწვდინა ხმა შუაში მდგომი გემიდან
ტელამონიდის აიანტის და აქილევისის
225 ბანაკებისთვის.

მოსდგომოდნენ თავსა და ბოლოს
საიმედონი მკლავის ძალით და სიმამაცით.
მქუხარე ხმით მან შეუძახა დანაელთ ლაშქარს:

- „სირცხვილი თქვენდა, სახით მშვენნო, საქმით უგევანნო!
რა იქნა თქვენი დაქადება — ჩვენ ვართ, რაც ვართო,
230 ლემნოსზე ეგრე მედიდურად რომ ლალადებდით?
ლხინის დროს თქვლევდით რქოსან ხარებს, სკლიდით
ძირამდე

ფიალებს, ღვინით სულ პირამდე ალიცლიცებულს.
ას, ორას ტროელს, თქვენ ამბობდით, თითოეული
თავს აუვალთო! ახლა ერთიც არ ღირხართ ყველა,

- 235 ერთი ჰექტორი?! ცეცხლით გემებს მოადგა იგი!
ზეესო მამაო! ქვეყნის ძლიერ მეფეთა შორის
ვისა სჯი ასე და ვის ართმევ სახელ-დიდებას?
მე გვერდი როდი ამივლია შენი კერპისთვის,
ხოფმრავალ გემით როს ვესწრაფე ამ ცოდვისტრიალს?
240 არა, ხბოს ფერდთა კვამლი ყოველ ბომონს ვაკმიე.

გულით მეწადა დამელეწა მაღალი ტროა.
ერთი სურვილი შემისრულე ოლონდაც, ზევსო,
შეგვაძლებინე მტრებს გავექცეთ, ნულარ დაუთმობ
დასალუპავად აქაველთა ლაშქარს ტროელებს!“

- 245 თქვა და მოუღბო გული მამას, ცრემლთა მფრქვეველმა.
ზეესმა ნიშანი მისცა — ხალხი გადარჩებაო:
ზეცით არწივი მოუვლინა, სანდო ფრთოსანი —
მძლავრი ჭანგებით ჩაებლუჯა ნაზი შვლის ნუკრი,
ბომონის ახლოს სისხლიანი მსხვერპლი დააგლო,

255) სად აქაველნი თაყვანს სცემდნენ ზევსს ღრუბელთბატონს.
როცა არწივი ნახეს ზევსის მოვლინებული,
მედგრად შეებნენ ტროელთა სპას. გაჩაღდა ომი.
თუმც ბევრი იყო დანაელი, ვერ შეეცილნენ
ტიდიდს დიდებას.

ქედფიცხელი ცხენები გმირმა

255) სანგართა მიღმა გაიყვანა და მტერს შეება.
პირველად დასცა ფრადმონის ძე აგელაოსი,
მოყმე მეაბჯრე, როცა შიშით ცხენს აბრუნებდა,
ზურგი აქცია მტერს. ტიდიდმა ბასრი ოროლი
ბეჭებში ჩასცა და სისხლიან მკერდში გაურქო.

260) ძირს დაენარცხა, აულარუნდა ტანზე ჯავშანი.
აგამეძნონ და მენელაოს მიჰყვენენ გმირ ტიდიდს,
შემდეგ ორივე აიანტი, მკლავმოუღლელები,
იდომენევსი და ძმობილი იდომენევსის —
მხნე მერიონე, კაცთა მმუსვრელ არესის სწორი.

265) ევაიმონის ძე მათ მიჰყვა — ევრიპილოსი,
ხოლო ტევკროსი მეცხრე იყო.

შემართა მშვილდი,

ტელამონის ძის აიანტის ფარს ამოუდგა.

გვერდზე გასწევდა ხოლმე თვის ფარს ტელამონიდი,
მაშინ ტევკროსიც შეხედავდა ტროელთ და ისარს

270) როდი აცდენდა, სულს დაფავდა მტერი დაჭრილი.
ვით დედას ჩვილი, კვლავ აიანტს მივარდებოდა,
ისიც მზრუნველად შემალავდა ბაკმულ ფარის ქვეშ.

რომელს მოუღო ტროელთ შორის ტევკროსმა ბოლო?

— ჯერ ორსილოქოსს, ოფელესტეს, შემდეგ ორმენოსს,

275) დაიტოროსს და მხნე ქრომიოსს, ღვთის სწორ

ლიკოფონტს,

პოლიემონიდ ამოპაონს და მელანიპოსს, —

ერთი მეორის მიყოლებით დასცა მიწაზე.

აგამეძნონმა შვება იგრძნო, როცა იხილა

ტროელთ ფალანგთა შემმუსვრელი მხნე მშვილდოსანი.

280) აღტაცებული მივიდა და ასე მიმართა:

„ტელამონის ძე, გმირო ტევკროს, ყრმავ საყვარელო!

დასცხე ტროელებს! შენ იქნები დანაელთ შუქი!
დიდებით მოსავ მამაძქედეს, სვიან ტელამონს,
ბავშვობიდანვე გზრდიდა გმირი, თავს გეველებოდა.

- 285 თუმცა შორსაა, განადიდე მისი სახელი!
მე ამას გეტყვი და ნათქვამი ამისრულდება!
თუ ათენა და მამა ზევსი, ღრუბელთობატონი,
შემეწევიან, რომ დავლენო ტროის ბურჯები,
ჩემს შემდეგ ჭილდოს შენ მიიღებ, გმირო, ღირსეულს:
- 290 სამფეხას უცხოდ მოელვარეს, ან ეტლს და ცხენებს,
ან ნორჩ შიმუნვარს, სარეცელი რომ დაგიმშვენოს“.

ასე მოუბარს მყის მიუგო უბადლო გმირმა:
„ატრევსის ძეო, განა მე თვით ამას არ ვცდილობ?

- 295 შენ რად მაქეზებ? წამითაც კი, სანამ მაქვს ძალა,
არ ჩავიმუხლებ! რაც ხანია მტერი განვდევენთ
ილიონისკენ, იმას აქეთ ვმუსრავ უწყალოდ.
უკვე რვა ვტყორცნე წამახული სეფქა-ისარი,
ყველა მიზანში მოხვდა მებრძოლს, ვინც წინ დამიდგა.
და მხოლოდ ამას, ამ მძვინვარეს, ვერ მოვერიე!“

- 300 ეს თქვა თუ არა, კვლავ გატყორცნა ფრთოსანი სეფქა.
მოკვლა სწყუროდა, უმიზნებდა ღვთაებრივ ჰექტორს,
მაგრამ აუცდა, გორგითიონს სამაგიეროდ
გაუპო გული, სახელოვან პრიამოსის ძეს.
იგი ეყოლა მეფეს, როცა მეუღლედ ესვა

- 305 კასტიანირა მშვენიერი, აისიმელი.
ვით ყანობირში თავს ყაყაჩო გადახრის გვერდზე,
ნაყოფისა და გაზაფხულის ნესტის სიმძიმით,
ისე ჩაქინდრა ყრმამ ჩაჩქანით ძლეული თავი.
ტევკროსმა ისევ მშვილდს მოარგო ფრთოსანი სეფქა,
- 310 მოკვლა სწყუროდა, უმიზნებდა ღვთაებრივ ჰექტორს
და კვლავ აუცდა, აპოლონმა გმირს განაშორა.

- სამაგიეროდ მის მეეტლეს, არქეპტოლემოსს,
ბრძოლის მოწადეს, ბასრმა სეფქამ ძეძუ გაუპო.
მიწას დაასკდა და ფრუტუნით ფეხმარდნი რაშნი
- 315 გაექცნენ, სული და სიცოცხლე დათმო ჭაბუკმა.
ჰექტორს თუმც გული შეეკუმშა მოკლულზე დარდით —

ებრალეზობდა მეგობარი, მაინც დატოვა.

იქვე, გვერდით მდგომ ძმას მოუხმო, მხნე კებრიონეს,
ცხენთა სადავე ხელთ იპყარო. ძმაც დაჰყვა ნებას.

- 320 თვით კი ჩამოხტა მოელვარე ეტლიდან სწრაფად,
ერთი საზარლად შეჰყივლა და ლოდს სტაცა ხელი,
ტევკროსს მიეჭრა ანთებული მოკვლის წადილით.
იმავ წამს მტერმა კაპარჭიდან იძრო ისარი,
ლარს მიაბჯინა და როდესაც მშვილდი მოზიდა
- 325 მაშინ ჰექტორმა იმ ადგილას, სადაც ლავიწი
ყელს ჰყოფს მკერდისგან, სად სიკვდილის საფრთხე

იქმნება,

მოარტყა შემხვდურს კლდის ნათალი უზარმაზარი.

ძარღვი გაეჭრა, დაუბუჟდა მტევანი ხელის,
მუხლთ მოეკეცა, გაუვარდა მშვილდი მოისარს.

- 330 არ მიატოვა აიანტმა ძმა დაცემული,
სწრაფად მიიჭრა, ზე აღმართა ბაკმული ფარი.
ორი ერთგული მეგობარიც მყის მიეშველა.
ექიოსის ძე შეკისთევსი, ყრმა ალასტორი,
შავ გემებისკენ გააქანეს მძიმედ მგმინავი...

- 335 კვლავ სიმამაცე ტროელთა სპას შეჰმატა ზევსმა,
ღრმა სანგრებისკენ გადარეკეს აქაველები.
პირველთა შორის წინ გაიჭრა ჰექტორ ზვიადი
როგორც მწვევარი მისდევს ხოლმე ლომს ან ველურ ტახს,
კვალში მიჰყვება და სისწრაფის თვისის იმედით
- 340 ხან ფერდზე გაჰკრავს, ხან გავაზე კბილს, არ ეშვება,
ისე მისდევდა თმანუჭუჭა აქაველთ ჰექტორ,
მუსრი გაავლო უკუქცეულთ. სხვები გარბოდნენ.
მაგრამ როს გასცდნენ მესერსა და სანგარს ლტოლვილნი,
როს ტროელებმა მრავალ მებრძოლს მოუღდეს ბოლო,
- 345 შეჩერდნენ გემთა სიახლოვეს აქაველები.
გული მოიცეს, გაამხნევეს ერთურთი.

ღმერთებს

ლოცვით მიმართეს და ზეცისკენ აღაპყრეს ხელნი.
მოაქროლებდა ხშირფაფრიან ცხენებს ჰექტორი,
გორგოსთვალემა, კაცთამჟლეთი არესის მსგავსი.

- 350 როცა ამ დღეში სპა იხილა, ჰერა შეწუხდა
და მყის ათენას მიეგება ფრთიანი სიტყვით:
„ვა-ვაი! ზევსის ქალიშვილო! ნუთუ დანაელთ
დალუპვის პირად ერთხელ მაინც არ შევეწევით?
ვხედავ, ვერავინ გადურჩება დღეს მძვინვარებას
- 355 ერთი გმირისას! ვინ გაუძლებს ღვთაებრივ ჰექტორს,
ბოროტი საქმე რაოდენი მათ შეამთხვია!“
მყისვე მიუგო თვალმცეცხლია ღმერთმა ათენამ:
„დიდი ხნის წინათ დააცხრობდა რისხვას და სულსაც,
მშობლიურ მხარეს არგიველთა ხელით ძლეული,
- 360 რომ მამაჩემი კვლავ სულმრუმედ არ მძვინვარებდეს.
იგი უგლიმი მარადღე და მარადღამითაც
ხელს მიშლის, განა დამიხსომა, რომ მისი შვილი
ვისხენ მტანჯველი მონობისგან ევრისთევსისა!
გმირმა ღალადყო და მაღალი ერისიონით
- 365 შვილის საშველად მიმავლინა მაშინ კრონიდმა.
მე რომ წინასწარ არ შემეცნო მისნობის ძალით,
რომ მტკიცებჰიან ჰადესს ძალის უნდა სწვეოდა,
იმ დღეს ქვესკნელის ღმერთის, საზარ ერებოსისგან,
დაინთქმებოდა კიდევ გმირი სტიქსის ნაკადში.
- 370 მე შემიძულა და თეტისის ნებას ასრულებს:
ფეხს უკოცნიდა და ლაციციტ წვერზე შეეხო,
ქალაქთმმუსვრელი აქილევსის დიდებას სთხოვდა.
აბა, კვლავ მითხრას, საყვარელი ასული ხარო!
ნულარ აყოვნებ, მჟღერფეხება რაშნი შეკაზმე,
- 375 მე კი მანამდე ვესტუმრები დარბაზებს ზევსის.
მრისხანე აბჯარს ავისხამ და ვნახავ, თავხედი,
ზუჩმოელვარე პრიამეს ძე, გმირი ჰექტორი
შევებით შეგვხვდება ბრძოლის ველზე გამოცხადებულთ?
ბევრი ტროელი საკუთარ გვამს ძალებს და ფრთოსნებს
- 380 არგუნებს დღესვე აქაველთა ნავ-ხომალდებთან!“

ასე უთხრა და დაეთანხმა ქალღმერთი ჰერა,
კაზმავდა ცხენებს ოქროს ლაგამ-აყვანდებიანს,
ჰერა, ქალღმერთი ღირსეული, კრონოსის წული.
იმ დროს კრონიდის სასახლეში ქალწულ ათენას

- 385 თხელი სამოსი იატაკზე ნაკეც-ღვარებად
 ჩამოეშალა, მისივ ხელით ნაქსოვ-ნაქარგი.
 ნაცვლად აბჯარი ტანთ აისხა ღრუბელთბატონის
 და საჭურველი შეიმოსა გლოვის მომგვრელი.
 ცეცხლოვან ეტლზე შედგა, შუბი მალლა შემართა,
 390 მძიმე და მძლავრი, მრავალ სპათა დამამსხვრეველი,
 სპათა, რომელთაც რისხვა ელის ზევსის ასულის.
 ჰერამ მათრახი დასცხო ცხენებს, გრგვინვით განახვნეს
 ბქენი ზეცისა მის წინაშე მყისვე ჰორებმა,
 (ოლიმპოს მწვერვალს დარაჯობენ და ზეცის თავანს,
 395 წაგრაგნილ ღრუბელს ხან გაშლიან, ხან შეეკუმშავენ).
 ამ გზით, ამ ბქიდან გააქენეს ეტლი ღმერთებმა.
 ზევსმა რომ მოჰკრა იდას მთიდან თვალი, განრისხდა,
 მაცნედ ირისი დაადევნა ოქროსფრთიანი:
 „გასწი, ირისო, მოაბრუნე, არ მისცე ნება,
 400 თორემ ერთმანეთს ცუდ ბრძოლაში შევეგებებით!
 უთხარ, რომ ვბრძანებ, აღვასრულებ კიდევ, რაც

ვბრძანე:

ცხენებს დაეუმსხვრევ ფეხებს, შებმულთ ელვარე

ეტლში;

მათ გადმოვათრევ, დავალეწავ ეტლსაც მიწაზე!
 მგრგვლივ მბრუნავ ათ წელს ქალღმერთები ვერ

მოირჩენენ

- 405 ღრმა წყლულს, ნამეხარს!

დაიხსომებს კარგად ათენა

თვალეზბრიალა, თუ რა გულით შეეება მამას!
 მაგრამ ჰერაზე არ ვარ მწყრალად, ველარ ვბრისხანებ:
 უკვე ჩვევად აქვს, რაც მსურს, უმაღ ჩაშალოს იგი!“

- ასე უბრძანა და ქარიშხლის მსგავსი ირისი
 410 იდას თხემიდან ოლიმპოსკენ მყისვე გაიქრა.
 მრავალბორცვიან ოლიმპოს მთის მისადგომებთან
 შეხვდა, კრონიდის სიტყვა უთხრა მაცნემ ქალღმერთებს:
 „რა გსურთ, თქვენს მკერდში გული აგრე რატომ
 ბობოქრობს?
 გიკრძალავთ ზევსი შეეწიოთ არგიველთ ლაშქარს.

415 ასე გიბრძანებთ, აღასრულებს კიდევ, რაცა თქვა:
ცხენებს დაუმსხვრევს ფეხებს, შებმულთ ელვარე
ეტლში,
თქვენ გადმოგათრევთ, დააღწავს ეტლსაც მიწაზე.
მგრგვლივ მბრუნავ ათ წელს ვერ მოიჩინოთ სასტიკ
იარას —
ღრმა წყლულს, ნამეხარს!

დაიხსომებ კარგად, ათენავ,
420 თვალეზბრიალავ, თუ რა გულით შეეები მამას!
მაგრამ ჰერაზე კრონიონი ველარ მრისხანებს:
ჩვევად გქონია, რაც სურს, უმალ ჩაშალო იგი!
შე უსირცხვილო ძუენავ, ნუთუ ბედავ, საზარო,
უზარმაზარი შუბი გეპყრას ზევსის წინაშე?“

425 სიტყვას რომ მორჩა, მყის გაფრინდა სწრაფი ირისი.
მაშინ ათენას მიუბრუნდა ქალღმერთი ჰერა:
„ა-ვანმე! რა ვქნა, ზევსის ქალო, მე თავს ვერ ვიდებ,
ბრძოლას კრონიდის უნებურად მოკვდავთ მხარდამხარ!
დაე იცოცხლოს ერთმა, ხოლო მეორე მოკვდეს,
430 რაც სურს განგებას.

გულსა ჰკითხოს, განსაჯოს ზევსმა —
ტროელთ რა ელის, დანაელებს რა უწერიათ“.

ასე წარმოთქვა, მოაბრუნა რაშნი ფეხმარდნი,
ფაფარაყრილნი როს გამოხსნეს ცხენნი ჰორებმა,
ღვედით მიაბეს ამბროსიით სავესე თავლაში,
435 ხოლო ეტლი კი მიაყუდეს კრიალა კედელს.
ქალღმერთნი ოქროს სავარძლებზე სხვა ღმერთთა
გვერდით
დასხდნენ მღუმარედ, სასტიკ დარდით გულდასერილნი.

ზევსმა ცხენები, ლამაზთელიან ეტლში შებმულნი
ილით ოლიმპოს მოაქენა, ღმერთთა კრებულთან.
440 რაშნი გამოხსნა დედამიწის შემარხველმა
პოსეიდონმა, ეტლს ზედ ტილო გადაათარა.
ღაბრძანდა ოქროს ტახტზე ზევსი შორითმგრგვინაივი

და მის ფერხთა ქვეშ აცახცახდა ოლიმპოს თხემი.

გაოგნებულნი მოშორებით ისხდნენ ათენა

445 და ჰერა.

კითხვას ვერ ბედავდნენ, ვერც ენის დაძვრას.

თვითონ კრონიდმა შეაგება სიტყვა ქალღმერთებს:

„რამ დაგაღონათ, დედოფალო ჰერავ, ათენავ?

განა მოყმეთა საამაყო ბრძოლას ვერ შერჩით,

ტროელთა — თქვენთა საძულველთა იავარმყოფელს?

450 დიახაც, მკლავი უძლეველი და ძალა მომდგამს,

რაც კი ღმერთთა ოლიმპოზე, გზას ვერ მომიჭრის!

თქვენ კი შეგიპყროთ თრთოლვამ გული, ნაზი სახსრები,

ჯერ კიდევ სანამ ბრძოლის ქარცეცხლს მიაღდგებოდით.

მე თქვენ გიბრძანეთ, და რაც ვბრძანე, ვიქმოდი კიდევ.

455 თქვენსავე ეტლში დამეხილნი ველარასოდეს

ვერ მოხვიდოდით ოლიმპოზე, ღმერთთა სამეფოს!“

ასე ბრძანა და ოხვრა დასცდათ ათენას, ჰერას —

გვერდი-გვერდ ისხდნენ, ტროელთათვის ავს იზრახავდნენ.

ხმა არ გაიღო გულმრისხანე ათენამ,

მამას

460 ველარ შეჰკადრა სიტყვა, თუმც კი ბოლმა აღრჩობდა.

ჰერამ კი გულში მრისხანება ვერ დაიტია:

„პირქუშო ზევსო! ეს რა სიტყვებს ბრძანებ, სასტიკო?

განა არ ვიცით, ხარ უძლეველ ძალისმხმეველი.

მაგრამ გვეწყალვის დანაელნი, გულადი ტომი,

465 რომ აღსრულდება ხვედრი მათი, ელით დაღუპვა!

თავს შევიკავებთ ბრძოლისაგან, როგორც გვიბრძანე,

მხოლოდღა რჩევას მივცემთ, რათა არგიველთ სპანი

თავით ბოლომდე არ გადაჰყვენენ შენს სასტიკ რისხვას“.

მას მიუბრუნდა და მიუგო ღრუბელთმარეკმა:

470 „სისხამ დილაზე შეგიძლია ნახო, თუ გნებავს,

ხარისთვალემა დედოფალო ჰერავ,

კრონიდი

ყოვლადძლიერი ვით დაამხობს არგიველთ ლაშქარს:

მკლავს მოსვენებას არ აღირსებს შმაგი ჰექტორი,

სანამ ფეხმარდი აქილევსი არ ამხედრდება,
475 როს ხომალდებთან შეებმება ლაშქარი ლაშქარს,
შეეხლებიან გმირ პატროკლეს ცხედრის გარშემო.
აჰა, ესერა ხვედრი მათი! მე კი რა მგამა,
თუნდ მრისხანებით გადახვიდე სულ ბოლო საზღვარს
ზღვის და ხმელეთის, სად კრონოსი და იაპეტი
480 გამომწყვდეულან.

ვერცა ქარით, ვერც მზის სინათლით,
ვერ დატკბებიან — მათს გარშემო ღრმა ჯურღმულია!
მე მითქვამს, შენ რომ იქამდისაც წახეტიალდე,
არ მგამა რისხვა, თავხედურად თუმც მეგლისპები!“

ეს თქვა და ჰერაც გაუყუჩდა ხარისთვალება.
485 ამ დროს ჩაეშვა მზის ლამპარიც ოკეანეში
და შავი ღამე მოუტანა ნოყიერ მიწას.
მწუხრი ჩამოდგა სამწუხხაროდ ტროელთა ლაშქრის,
ღამე ჩამოდგა სასურველი აქაველ სპათა.

ტროელ მეომრებს მხნე ჰექტორმა ბჰობად მოუხმო,
490 მოცილდა გემებს, მდინარისკენ, ტრიალ მინდორში
გავიდა, სადაც არ ეყარა გვამთა გორები.
ჩამოქვეითდნენ და უსმენდნენ ჰექტორის სიტყვას,
ზევსის რჩეულს.

ხელში ეპყრა ლომგულს ხელშუბა
თერთმეტწყურთიანი, შორს აფენდა სხივების არილს
495 შუბის ბუნიკი და გარშემო ოქროს არშია.
გმირი დაეყრდნო შუბს და ტროელთ მიმართა სიტყვით:
„ყური მომაპყარო, ტროელნო და მოკავშირენო!
იმედი მაქვს, რომ მოვსპობთ გემებს, ყველა აქაველს,
მოზეიმენი კვლავ ილიონს დავუბრუნდებით.

500 ღამემ მოგვისწრო, ღამემ იხსნა სპა არგიველთა,
და მოგუგუნე ზღვის ნაპირას — მათი გემები.
დავემორჩილოთ ჩვენც შავ ღამეს და ვყოთ სერობა.
ფაფარაშლილნი გამოხსენით ცხენები მარდად
და, მეომრებო, მიუჩინეთ უხვად საზრდელი;
505 სწრაფად მოასხით ქალაქიდან ჯოგი და ფარა

ნასაჟი-ნაზარდი და პურ-ლენო ცხოველმყოფელი.
შენდევ იჩქარეთ, მოიტანეთ შეშა უზომო,
რომ მთელი ღამე, ვიდრე დილის რიბი-რაბომდე
კოცონთა ალი, დაფიონი ცას დაეფინოს.

510 ღამის წყვდიადში თმახუჭუჭა აქაველებმა
ვინძლო ზღვის ტალღებს გასაქცევად არ მისცენ თავი,
ვინძლო უშიშრად და უსაფრთხოდ გემს არ მიაღვენენ.
ვერცერთმა შინაც თვის იარას ვერ მოუაროს,
წამახულ შუბით დაკოდილმა, ისრით ძლეულმა,

515 გემს მიღწეულმა.

ეკრძაღვოდეს ყველა ცრემლმრავალ
ბრძოლის ატეხას ცხენთა მხედნავ ტროელთ წინაშე!
მაცნენო, ზევსის საყვარელნო, თქვენ აუხსენით,
ყველა ყმაწვილს და თმაშერთვილულ მოხუცს ქალაქში
ღვთის მიერ შექმნილ კოშკებიდან ველს უღარაჯონ.

520 ხოლო დიაცებს, მათზე სუსტებს, მართებთ დიახაც
სახლში კერია გააჩაღონ, ყველა ფხიზლობდეს,
მტერი რომ გარეთ დაგვიგულებს, შინ არ შეგვექრას.
როგორც მე ვამბობ, ასე იყოს, ტროელთა სპანო!
ღღეს ჩვენ მოგვიტანს სარგებლობას ჩემი ნათქვამი,

525 ხვალ ტროელთ სხვასაც ვეტყვი — მამაც ცხენთა
მხედნავებს.

ვესავ მლოცველი, ზევსის, ღმერთთა მსასოოველი —
მე გავაძევებ შემოსეულ მძვინვარე ძალებს,
(ავმა განგებამ შავ გემებით რომ მოგვაყენა).
ღამის წყვდიადში ხამს ბანაკიც დავიცვათ ფხიზლად.

530 ხვალ კი სისხამზე საჭურველი ავისხათ მალე
და ხომალდებთან გავაჩაღოთ ბრძოლა სასტიკი.
ვნახოთ, ტიდიდი, დიომედე ძლევაშოსილი
მე უკუმაგდებს ქალაქისკენ, თუ მე მას მოვსპობ
ბასრი სპილენძით და ნადავლი წამყვება შინა?

535 ხვალ ჩვენს წინაშე გამოჩნდება, როგორ გაბედავს
შეხვდეს ჩემს ოროლს!

იგი ერთი პირველთაგანი
დაენარცხება თავის ურიცხვ ლაშქართან ერთად

ამომავალი მზის წინაშე!

ნეტამც კი ისე

- 540 გაზხდე უკვდავი, განმადიდონ მარად ჭაბუკი,
ვით აპოლონი ან ათენა, როგორც ეს დილა
მოუტანს სიკვდილს უეჭველად არგიველთ ლაშქარს!“
ჰექტორის სიტყვას მხნე ყოყინით შეხვდნენ ტროელნი.
ცხენები ოფლით გაღვარულნი სწრაფად გამოხსნეს,
თავ-თავის ეტლთან სადავეებს ახვევდნენ გპირნი.
- 545 შემდეგ მოასხეს ქალაქიდან ჯოგი და ფარა,
პურ-ღვინო უხვად მოიტანეს ცხოველმყოფელი.
მერმე იჩქარეს, დაახვავეს შეშა უზომო,
ქარმა ზეცამდე აიტანა კვამლის ღრუბელი.
- 550 ისხდნენ ტროელნი ველზე ლამით და ოცნებობდნენ,
ურციცხვი ცეცხლით ჩახჩახებდა მთელი მიდამო.
გეგონებოდა, ნათელ მთვარეს სხივმშვენიერი
ვარსკვლავთა ხომლი მოჰფენია უქარო ცაზე.
- 555 ამ დროს ჩანს ბორცვი, ველ-მინდვრები, ზვიადი მთები,
მალლით ეთერი განფენილა უკიდევანო,
ჩანან მთიებნი. შესციცინებს მწყემსი მათ შვებით.
სწორედ ამდენი შავ გემთა და სკამანდროსს შორის
- 560 ჩანდა კოცონი, ილიონის წინ მოგიზგიზე.
ათასი ენთო და ყოველთან ორმოცდაათი
მებრძოლი იჯდა ალანძული კაშკაშა ალით.
ცხენები ეტლთან თეთრი ქერით და ტკბილი სპელტით
- 565 იცოხნებოდნენ ტახტმშვენიერ ეოსის ცდაში.

ქება მეცხრე

ელჩობა

ასე იცავდნენ თავს ტროელნი, ხოლო აქაველთ
ძრწოლა შეუდგათ — მოცახცახე ლტოლვის მეგზური,
სულს უწეწავდა მამაცთ დარდი აუტანელი.
თითქოს ქარები აღელვებენ ლურჯ ზღვას

თევზმრავალს,

“ 5 ბორეასი და ზეფიროსი, თრაკიის მხრიდან
გამოქროლილნი.

უცხად ზვირთი ჩაშავებული
აიბურცება, მიემსხვრევა წინწყლებად ნაპირს.
ასე აქაველთ სულიც მკერდქვეშ იფლითებოდა.

აგამემნონი მწუხარებით გულგანგმიური
10 მიმოდოდა, აგზავნიდა მკლერხმიან მაცნეთ,
რომ ბჭობად ეხმოთ ბელადები, ოლონდაც ჩუმად
და სახელდებით.

მბრძანებელი ბევრს თვით ეახლა.
დალონებულნი ისხდნენ... ადგა აგამემნონი,
ცრემლი სდიოდა, ვით მთის ნაკადს — შავი ტალღები,
15 ციცაბო კლდიდან რომ მოჰყვება და მოემსხვრევა.
გმინვა აღმოხდა და მიმართა გმირმა არგიველთ:
„ბრძენო ბელადნო, მბრძანებელნო არგიველთანო!
დიადმა ზევსმა გარდუვალი ვნება მარგუნა.
თითქოს აღმითქვა სასწაულით შინ დაბრუნება
20 დამაქცევარად ბჭემაღალი ილიონისა.
მიმუხთლა!

ახლა მაიძულებს არგოსს გაქცევას
სახელგატეხილს და ამდენი ხალხის დამღუპველს!
უეჭველია, ასე ნებავეს ზევსს ყოვლისშემძლეს.
მან მრავალ ქალაქს დაუღეწა კოშკი მაღალი,
25 კვლავაც დაღეწავს, ზღვარი არ აქვს მის ძლიერებას.
ახლა მისმინეთ, რასაც გეტყვით, ის აღასრულებთ:
უნდა გავიქცეთ, დაეუბრუნდეთ სანუკვარ მამულს,
ჩვენ ვერ დავაქცევთ ტროას ფართოქონგურებიანს!“

ასე ამბობდა. ღრმა დუმილმა მოიცვა ყველა.
30 სულდათრგუნვილნი უხმოდ ისხდნენ აქაველთ ძენი.
ბოლოს წარმოთქვა დიომედემ კეთილშობილმა:
„ატრევსის ძეო! არ მივიღებ სიტყვას უგუნურს,
კრებაზე ასე ხდება ხოლმე და ნულარ გიკვირს.
ხალხის წინაშე მიწუნებდი ამასწინებზე
35 შენ მამაცობას, მიწოდებდი მხდალს და ცუდ მებრძოლს,

მაგრამ არგიველთ, ყრმას თუ ქარმაგს, ეს არ ეშუღება
მხოლოდ ერთი რამ მოგანიჭა ცბიერმა ზევსმა —
მამაცთა შორის გერგო კვერთხი ძალაუფლების,
არა სიმტკიცე — უმაღლესი უფლება კაცთა!

40 ბეჩავო, ნუთუ მართლა გჯერა, რომ აქაველნი
შენ რომ გგონია, მართლა ისე უძღურები ვართ?
აგრე მხურვალედ თუ გწყურია ლტოლვა, ინებე!
გზა გახსნილია, ზღვასთან ყველა გემი მზადა დგას,
ასე მრავლად რომ მოაქროლე შენ მიკენიდან.

45 აქ დარჩებიან თმახუჭუქა სხვა აქაველნი,
სანამდის ტროას დააქცევენ!

იქნებ სხვებსაც სურთ?
სხვაც მოგყვეს თუნდაც საყვარელი სამშობლოსაკენ!
მე და სთენელოს აქ ვიბრძოლებთ, სანამ არ ვნახავთ
ტროის აღსასრულს! მჯერა, ღმერთი ჩვენ შეგვეწევა!“

50 ასე წარმოთქვა და ყიჟინა დასცეს აქაველთ,
გმირის მხნე სიტყვა აოცებდათ, ცხენთა მხედვნიელის.
ბოლოს წამოდგა და მხედარმა ნესტორმა ბრძანა:
„ტიდევისის ძეო, ვით ბრძოლაში ხარ უმტკიცესი,
ისე ბჭობაში თანატოლებს ერჩევი სიბრძნით.

55 ვინცა ვინ არის აქაველი, შენს აზრს ვერ დაგმობს,
ხმასაც ვერ დაძრავს, მაგრამ არ თქვი ბოლომდე მაინც.
ჯერ ჭაბუკი ხარ, უეჭველად ძედ მერგებოდი,
ძედ უმრწემესად.

მაგრამ მუდამ ამბობ გონივრულს
არგიველთ შორის და მეტყველებ სამართლიანად.

60 აწ კი სიბერით მოქადული მე ვიტყვი სიტყვას,
ბოლომდე ვიტყვი შენს წინაშე და ვერვინ დაგმობს
ჩემს ნათქვამს, ვერც თვით მბრძანებელი აგამემნონი.
მხოლოდ უკეთურს, უთვისტომოს და უსახლკაროს
უყვარს სისხლისღვრა, დამლუპველი კაცთა მოდგმისა!

65 აწ გვმართებს ღამეს მორჩილ ვექმნეთ შავად ჩამომდგარს,
ჯარმა ივახშმოს, გუშაგები კი გამოვიდნენ
გალავნის გარეთ და განლაგდნენ გათხრილ სანგართან.

ჭაბუკთ მივანდოთ საქმე ეგე.

შემდეგ გამართე,

ატრიდო, რაკი მბრძანებელთა მბრძანებელი ხარ,

70 უხუცესთათვის ლხინი:

გზართებს და ძალგიძს კიდევ.

ბევრი გაქვს ღვინო: აქაველებს თრაკიელთაგან
ყოველდღე ზღვიდან ხომალდებით შემოაქვთ ხოლმე.
ყველას მოუხმე, მბრძანებლო ხალხთა მრავალთა!
მეინახეთა მრავალთ შორის მას მოუსმინე,

75 ვინც უკეთ გირჩევს.

აქაველებს სჭირდება ახლა
კეთილი სიტყვა — მტერი ლამის ზედ მოგვდგომია
და სწევას ხომალდებს.

ვის ჰგვრის შვებას ამის შეხედვა?
ამალამდელი ღამე მოგვსპობს, ან იხსნის ლაშქარს!“

თქვა და უსმინეს გულისყურით, დაემორჩილნენ.

80 ლამის გუშაგთა დასს წარუძღვნენ აბჯარასხმულნი
ძე ნესტორისი — თრასიმედე, ლაშქართა მწყემსი,
ასკალაფოს და იალმენოს — არესის ძენი,
მხნე მერიონე, აფარევსი, დეიპოროსი,
კრეიონტის ძე ლიკომედე, მძლე, ღვთაებრივი.

85 შვიდ მოყმეს მოჰყვნენ გუშაგები, თითოს ას-ასი,
ლალად მოსდევდნენ ჭაბუკები შუბშემართულნი.
მივიდნენ, დასხდნენ სანგარსა და გალავანს შუა,
ცეცხლი დაანთეს და სავახშმოდ იწყეს მზადება.
ატრიდმა უხმო აქაველთა ლაშქრის უხუცესთ

90 კარავში,

ლხინი შესთავაზა გულის საამო.

მირთმეულ ნუგბარს გაუწვდინეს ხელი გმირებმა
და როს დაიციხრეს მათ შიმშილი სმითა და ჭამით,
თავდაპირველად წამოიწყო ნესტორმა სიტყვა,
ადრეც რომ მუდამ აზრის სიღრმით იყო რჩეული.

95 ასე ამბობდა და ურჩევდა ბრძენი მოხუცი:

„კაცთა მეუფევე აგამემნონ, სახელმორკმულო!
შენით დავიწყებ და შენითვე მოვრჩები სათქმელს:

მრავალი ხალხის ხელმწიფე ხარ, ზევსმა გარგუნა
კვერთხი, კანონი, სკრი სამართალს, ხალხს აძლევ რჩევას.

100 შენ გევალება სიტყვის თქმაც და სიტყვის მოსმენაც,
უკეთუ კეთილს გეტყვის ვინმე გულის კარნახით,
მისი სრულყოფაც, თუნდაც შენ არ გევალებოდეს.

ახლა გაუწყებთ, რაც მგონია დღეს უკეთესი.

105 იმაზე კარგი აზრი ფიქრად არვის მოუვა,
რაც გულში მიდევს აქამომდე სწორედ იმ დღიდან,
როცა შენ, მეფევე ღვთაებრივო, ბრისეს ასული
ძალით წაგლიჯე გმირ აქილევსს, რისხვით ანთებულს,
არ დაგვიჭერე!

აგამემნონ, რა არა ვცადე,

რომ ეს არ გექნა! მაგრამ გძლია სულწასულობამ.

110 უმამაცეს გმირს, უკვდაენიც რომ განადიდებენ,
ჯილდო წაჰგვარე, მაგრამ ახლა მაინც, მეფეო,
ერთად ვიფიქროთ, ვით მოვალბოთ პელიდის გული,
საამო ძღვენით, ალერსიან, მეგობრულ სიტყვით“.

მყისვე მიუგო ხალხთა მწყემსმა აგამემნონმა:

115 „მოხუცო, მცდარად როდი იტყვი ცოდვათა ჩემთა,
დიახ, შევეცოდე! მაგრამ ღირს კი ერთ ხალხის ფასად
ერთი მოკვდავი, ზევსმა გულით ვინც შეიყვარა,
ვინც ალაზევა, ანაცვალა აქაველთ ტომი!

დიახ, შევეცოდე, როს მივენდე გულს აღბორგებულს

120 და მზად ვარ თვითონ ვზლა ეს ცოდვა უზომო ძღვენით.

აქვე ჩამოვთვლი ჩემს საბოძვარს ყველას წინაშე:

შვიდი სამფეხა, ათიც კიდევ ოქროს ტალანტი,

ოცი კარდალა მოლაპლაპე, თორმეტი ცხენი

ფეხმარდი, მძლავრი, მარულაში გამარჯვებული,

125 მართლაც მდიდრულად იცხოვრებდა, გაუჭირვებლად

კაცი, რომელსაც ექნებოდა იმდენი ოქრო,

რამდენიც ჯილდოდ მოიპოვეს ჩემმა ცხენებმა!

ხელგარჯილობით განთქმულ შვიდ ქალს ვუძღვნი უბიწოს,

ლესბოსს პელიდი რომ დაესხა, მაშინ ვიგულე

130 ჩემად ისინი, ქალთა მჯობნი მშვენიერებით.

მე მათთან ერთად დავუბრუნებ, ვინც წამიგვრია —

- ბრისეს ასულსა, და შევფიცავ დიად ზენაარს —
 მის სარეცელზე არ ავსულვარ, არც შევხებივარ,
 როგორც სჩვევია მოკვდავთ შორის კაცსა და ღიაცს.
- 135 მიიღებს ამას ყოველივეს და კიდევ, ოდეს
 დაგვამხობინებს ღმერთი ტროას პრიამოსისა,
 ოქრო-სპილენძით ხომალდები გაავსოს თვისი,
 ნახოს, ვით გავჰყოფთ აქაველნი საბრძოლო ნადავლს.
 ტროელ ქალთაგან, ვინც გულს უნდა, ის აირჩიოს,
- 140 ელენეს გარდა, არგიველის, მშვენთა მშვენისა.
 თუ მივალთ არგოსს, აქაველთა კეთილ მხარეში,
 სიძედ გავიხდი, გავუტოლებ ჰაბუკ ორესტეს,
 ერთადერთ ჩემს ძეს, ფუფუნებით შობილს და ნაჯარდს.
 მშვენიერ სახლში სამი ტურფა ასული ჰყვავს —
- 145 ქრისოთემისი, ლაოდიკე, იფიანასა.
 გულის საამოდ ვინც ეგულვოს, ძღვენიც არ მინდა,
 ისე შეირგოს, წაიყვანოს პელეგისის სახლში.
 მზითევს კი ისეთს მივცემ, არვის რომ არ ხვდომია.
 შვიდს აყვავებულს და ხალხსავსე ქალაქს უზბოძებ:
- 150 უხვ კარდამილეს, ამწვანებულ ჰერეს, ენოპეს,
 უსაჩინოეს ფერას, ველზე გაშლილ ანთეას,
 პედასს, მტევნებით მთლად დახუნძლულს და აიპეას —
 ესაზღვრებიან ეს ზღვისპირა ქალაქნი პილოსს,
 იქ ცხოვრობს ხალხი საქონლით და ცხვრებით მდიდარი,
- 155 მას რომ დოვლათით განადიდებს, როგორც ღვთაებას
 და კვერთხის მფლობელს გადაუხდის ხარკს აურაცხელს.
 ამას ვიქმ ყოველს, შეგვირიგდეს ოლონდაც გმირი!
 მხოლოდ ჰადესი არა ცნობს ზავს, მაგრამ ჰადესი
 ყველაზე მეტად სძულთ ღმერთებსაც და მოკვდავებსაც.
- 160 უნდა დამითმოს! მას ეს მართებს: ძალაუფლებით
 და ასაკითაც მეტი ვარ და ვამაყობ კიდევ!“

ატრიდს მიუგო მყის ნესტორმა გერენიელმა:

„სახელგანთქმულო აგამემნონ, ხალხთა მეუფევ!
 ძღვენს სათაკილოს არ სთავაზობ ფეხმარად აქილევსს!

- 165 მაშ, კარგი, ახლა მოციქულნი გავგზავნოთ ჩქარა,
 რჩეულნი გმირნი აქილევსის კარავს მიადგნენ.

დავასახელებ და იმათგან არც ველი უარს:
წარგზავნილთ გაპყვეს მეტაურად მხნე ფოინიქსი,
წავიდეს გმირი აიანტიც და ოდისევსი,
170 შიკრიკად ახლდეს ოდიოსი და ევრიბატე.
ხელზე გვასხურეთ წყალი, ვიყოთ მსასოფარნი,
ჩუმად ვილოცოთ, შეგვიწყალოს ეგების ზევსმა!“

ასე ბრძანა მან ყველასათვის საამო სიტყვა.
ხელზე ასხურეს გმირებს წყალი მაცნეთ უმაღლე,
175 თასნი პირთამდე შავი ღვინით მოყმეთ აავსეს,
მიართვეს ყველას, დაპყვენ რიგებს მარჯვენა მხარედან.
წმიდა ზედაშე ასხურეს და მიირთვეს ღვინო
და გაიკრიფნენ მსწრაფლ ატრიდის კარვიდან ელჩნი.
მიჰყვა ნესტორი, რჩევა მისცა და ყოველ მათგანს
180 წამუყო კიდეც, უფრო მეტად — მეფე ოდისეკსს,
ილონეთ რამე, ვინძლო ნებას დაგყვეთო გპირა.

უხმოდ გაუდგნენ ხმამრავალი ზღვის სანაპიროს,
ბევრი ილოცეს ქვეყნის მომცველ ღმერთის წინაშე,
პელიდის გულის მოსალბობად რომ შეწეოდა.

185 როს მირმიდონელთ ზომალდებს და კარვებს მიადგნენ,
ნახეს აქილევს, გულს იტკობდა მეღერი ფორმინგით;
ნატიფად მორთულ საკრავს ვერცხლის ჯორა შვენოდა.
იგი გმირს ერგო, ეტიონის ციხის დამლეწავს.
სულს იამებდა, უმღეროდა გმირთა დიდებას.
190 მხოლოდ პატროკლე იყო იქვე, ელოდა ჩუმად
ეაკიდს, სანამ მორჩებოდა მისი გალობა.
ამ დროს მივიდნენ. ოდისევსი წინ მოუძლოდა.
გმირის წინ დადგნენ.

წამოიჭრა განცვიფრებული
და ფორმინგითურთ გაემართა მათკენ აქილევს.

195 პატროკლეც ადგა, სტუმრებს თვალი როგორც კი მოჰკრა.
მოსულთ მიმართა აქილევსმა კეთილი საღმით:
„მეგობრებს გხედავთ ჭეშმარიტად! გიჭირთ, ეტყობა!..
აქაველთ შორის მაინც ყველას თქვენ მირჩევნიხართ!“

ასე უთხრა და ღვთაებრივმა გმირმა სტუმრები
200 სავარძლებზე და ძოწეულის ფარდაგზე დასვა,
შემდეგ პატროკლეს, მის გვერდით მდგომს, მიმართა ასე:
„დიდი ფიალა, მეგობარო, აქვე მოგვართვი
და ყოველ ჩვენგანს წინ დაუდგი თასი ღვინისა,
ჩემს ჭერქვეშ თავი მოუყრიათ სასურველ სტუმრებს!“

205 პატროკლემ სიტყვა შეუსრულა მოძმეს საყვარელს,
თვით კი ხის დაფა დადო იქვე კოცონის შუქზე,
ზედ ხერხემლები დაალაგა თხისა და ცხვრისა,
დაკოდელ ტახის სუკიც დადო ცხიმით მბზინავი.
ავტომედონტი შეეშველა, პელიდმა დაჭრა

210 ხორცი ნაჭრებად, წამოაცვა შამფურზე შემდეგ.
ამ დროს პატროკლე უფრო მეტად აგზნებდა კოცონს.
როცა მინავლდა ცეცხლი, დაცხრა ლაქლაქა ალი,
გაჩხრიკა გმირმა ნაკვერჩხლები, შამფური დადო,
წმინდა მარილი მოაყარა, ხორცი ორკაპზე

215 დაატრიალა, შეწვა, შემდეგ შეჰმატა ტაბლას.
პატროკლემ ლამაზ ხონჩით პური შემოიტანა,
თვით მიაწოდა აქილევსმა ნუგბარი სტუმრებს.
შემდეგ ღვთაებრივ ოდისევსის პირისპირ დაჯდა.
ღმერთებისადმი ზორვა სთხოვა ძმობილ პატროკლეს.

220 იმანაც ცეცხლში მყის ჩააგდო წმინდა ზვარაკი.
სტუმართ ხელები წაუწვდინეს საზრდოს გემრიელს.
როცა იჯერეს გული ჭამით, მოხუც ფონიქისს
წამუყო გმირმა აიანტმა.

მიხვდა ოდისევს,

თასი აავსო, ხელი ჰკიდა გმირს, მიესალმა:

225 „ღღეგრძელი იყავ, აქილევსო! მეგობრულ სუფრას
აქ არაფერი არ აკლია, ატრიდის ჭერქვეშ
რაც იპოვება, აქაც გვალხენს გულის საამოდ,
მაგრამ ამჯერად სანადიმოდ როდი გვაქვს საქმე!
ღმერთშემოსილო! ჩვენ მოველით საზარ განსაცდელს,

230 არ ვიცით, გემებს გადავარჩენთ, თუ არ ჩანს შველა,
სანამ შენ, გმირო, საბრძოლველად ძალას მოიკრებ!
ჩვენს ხომალდებთან ტროელებმა ბანაკი დასცეს

- და მათს საშველად შორეთიდან მოსულმა ჯარმა.
 კოცონს ანთებენ, ბანაკიდან გვემუქრებიან,
 235 რომ ვერაფერი შეაჩერებთ, დაწვავენ გემებს.
 ზევსიც მოუვლენს ხოლმე ტროელთ კეთილ სასწაულს,
 ელვით ელვარებს! და ჰექტორიც იქადის ძალით,
 ზევსის იმედით შმაგობს, სულაც არაფრად აგდებს
 არც კაცს და არც ღმერთს საშინელი სიცოფით საგსე.
- 240 ინატრის: ოღონდ გათენდესო ღვთიური დილა,
 უნდა მოგლიჯოს ხეალვე კიჩო ხომალდებისა,
 აბობოქრებულ ხანძარს მისცეს გემი და ჩვენ კი
 მოგვესპოს საკუთარ ხომალდების კვამლში დამხრჩვალნი.
 ო, გული მითრთის, ვაი თუ ეს მუქარა ღმერთმა
- 245 მას აღუსრულოს და გვარგუნოს ბედმა ტროაში,
 შორს ცხენმრავალი არგოსიდან, განადგურება!
 ადრე თუ გვიან, აღსდექ გმირო! აქაველთ ძეებს,
 ესოდენ ჩაგრულთ, ააცილე ტროელთ სიცოფე!
 თვითონ ინანებ, მაგრამ უკვე გვიან იქნება,
- 250 თუ ბოროტება მოხდა, რალა გამოასწორებს.
 დროით ისაზრე დაღუპვისგან ხსნა დანაელთა!
 ო, საყვარელო! განა მამამ არ დაგარიგა,
 როცა ფთიიდან აგამემნონს გაახლა ლაშქრად:
 — შვილო, სიმტკიცეს ათენა და ჰერა გიძღვნიან,
- 255 როს ისურვებენ, შენ კი გმართებს დათრგუნო მკერდში
 ამაცი სული: სათნოება გერჩიოს მუდამ.
 შულლს მოერიდე, სანამ შეძლებ, რომ კიდეც უფრო
 ყრმამ თუ მხცოვანმა შენ გადიდოს არგიველთ შორის.
 ასე გითხრა და დაივიწყე... ო, ახლა მაინც
- 260 დაგიცხრეს რისხვა დამღუპველი!

აგამემნონი

- გიბოძებს მრავალს ძვირფასეულს, თუ დამშვიდდები.
 გინდა, მისმინე, ჩამოგითვლი მე ყოველივეს,
 რასაც გპირდება აგამემნონ ერისმთავარი:
 ცეცხლშეუხებელ შვიდ სამფეხას, ათ ოქროს ტალანტს,
 265 ოც კარდალასაც მოელვარეს, თორმეტ მარდ მერანს,
 მრავალ მარულის მონაწილეს და გამარჯვებულს.
 კაცი ნამდვილად ოქრო-ვერცხლით აივსებოდა,

გაუჭირვებლად იცხოვრებდა, თუ იმდენ ჯილდოს
თავს მოუყრიდა, რაც ცხენებმა ატრიდს არგუნეს!
270 შვიდ ქალს უბიწოს გიძღვნის, მარჯვე ხელმოსაქმეებს,
ლესბოსელთ.

ოდეს შენ დაამხე ტურფა ლესბოსი,
თვით აირჩია ლამაზთ შორის ულამაზესნი
და მათ დაგიტმობს.

- დაგიბრუნებს მას, ვინც მოგტაცა —
ბრისეს ასულსა. და დიადი ფიციტ გაუწყებს,
275 არ ჩასწოლია სარეცელში, არ მოხვევია,
ვით ხდება ხოლმე მამაცთა და დიაცთა შორის.
ახლავ მიიღებ ყოველივეს და კიდევ, როცა
პრიაშეს ტროას იავარყყოფთ ღმერთის შეწევნით,
ოქრო-სპილენძით შეგიძლია აავსო გემი.
280 თვით ნახე, როგორ გავყოფთ ნადავლს აქაველები,
თვით აირჩიე ტყვე ქალთაგან ოცი ტროელი,
გარდა არგიველ ელენესი, მშვენთა მშვენისა.
თუ აქაველნი კეთილ არგოსს დავუბრუნდებით,
სიძედ გაგიხდის, შეგიყვარებს როგორც ორესტეს —
285 მხოლოდშობილ ძეს, ფუფუნებით გაზრდილ ყმაწვილკაცს.
მას უცხოოდ ნაგებ სასახლეში ქალი ჰყავს სამი:
ქრისოთემისი, ლაოდიკე, ამფიანასა.
რომელიც გსურდეს, გულს რომელიც უფრო გიამებს,
პელეგისის სახლში წაიყვანე, გერგება ჰზითვად,
290 რაც კი არავის მიუცია პატარძლისათვის.
შვიდ ქალაქს მჭიდროდ დასახლებულს მოგცემს სამეფოდ:
ენოპეს, ჰერეს საძოვრიანს, და კარდამილეს,
ფერეს, ანთეას — თვალუწვდენელ ვაკეზე გაშლილს,
აიპეიას, პედასს — ზვრებით, ვენახით მდიდარს.
295 ყველა ქალაქი ზღვის პირას დგას, პილოსის საზღვრად.
იქ ცხვარ-მრავალი, ჯოგ-მრავალი ხალხი ბინადრობს,
ღმერთივით შენდა სადიდებლად ხარკს აურაცხელს
გადაგიხდიან შენი მეფურ კვერთხის მორჩილნი.
მყის შეასრულებს ნათქვამს, როცა შულლს შეეშვები.
300 მაგრამ ატრიდი თუ ისევ გძულს და მისი ძღვენიც,
მაშინ სხვა მაინც შეიბრაღე, სხვა აქაველნი,

ბანაკში სასოწარკვეთილნი, შეიწრებულნი!
მაშინ, ვით ღმერთი, სპათა შორის მოიხვეჭ სახელს!
სძლევ ჰექტორს, იგი მოგეჭრება, თავს გაუვიდა,
305 ისე მძვინვარებს! ტოლად არ თვლის არცერთ დანაელს,
ამდენი გემით რომ მოსულან მის შესახვედრად!“

ასე მოუბარს აქილევსმა უთხრა ფეხმარდმა:
„ლაერტის ძეო, ოდისევსო, ჭკუაუღევო!
მინდა გაუწყო გულახდილად, რაც მიფიქრია.
310 სხვა რა ვიღონო, რომ შეწყვიტოთ ფუჭი ჭრიჭინი,
თავს რომ მამბეზრებს, ერთ სიტყვას რომ მეორე მოსდევს?
მე მძულს ატრიდი, ვით კარიბჭე ჯოჯოხეთისა;
სულში ერთს მალავს, ხოლო ბაგით მეორეს ამბობს.
პირდაპირ გეტყვით, რაც მგონია ახლა მთავარი:
315 ვერც აგამემნონ, დანაელი ვერც სხვა რომელი
გულს ვერ მომიღობს!

რა მადლობა ერგო იმ ვაჟკაცს,
ვინც მიწყვიტ ტროელთ სპას ებრძოდა მკლავმოუღლელი!
ერთი ფასი აქვს თქვენში მხდალსაც და მეომარსაც,
ერთი ფასი აქვს უსულგულოს და ძალგულოვანს,
320 ყველა ერთია — უქმად კვდება, თუ საქმე მოკლავს!
ჩილდოდ რა მერგო საიზისო, რაც იგრძნო გულმა,
როს მიწყვიტ სული დასალუპად მემეტებოდა?
ვით ჩიტი თავის ფრთაშეუხსნამ, ღინღლიან ბარტყებს
საზრდოს ნისკარტით აძლევს, თავი არ ედარდება,
325 ისე რამდენი გამითენდა უძილო ღამე
და რამდენი ღლე დამიღამდა სისხლიან ომში,
როს მამაცურად მტრის ფალანგებს ვერკინებოდი!
გემით მივადექ და თორმეტი ციხე დავლენე,
ფეხით მივადექ და ავიღე ციხე თერთმეტი,
330 ყოველ ქალაქში ვპოვე განძი აურაცხელი
და რაც მოვხვეჭე, აგამემნონს მივართვი ყველა.
ის კი გემებთან იყო ხოლმე, იღებდა ნადავლს,
ბევრს იტოვებდა თავისთვის და ცოტას გასცემდა.
რაც გასცა ჩილდო, ყველა გმირს და ყველა თემისთავს

335 შერჩა აქამდე.

მხოლოდ მე ერთს აქაველთ შორის
წამგვარა ქალი სანუკვარი.

დღეს მისით ტკბება

ავხორცი მეფე!

რად ებრძვიან მტერს არგიველნი?
რისთვის შეკრიბა ეს მხედრობა აგამემნონმა?
ლამაზთმიანი ელენესთვის შეკრიბა განა?

340 ნუთუ ცოლები უცოდველნი მიწიერთ შორის
მხოლოდ ატრევსის ძეებს უყვართ?

ქველი ვაჟკაცი

ყველა თავისას უფრთხილდება და თავს ევლება.
მეც ხომ მიყვარდა, იარალით თუმც მოვიპოვე!
იგი წამგლიჯა მან ხელიდან და მომატყუა!

345 იმედი ნუ აქვს, ახლა ვიცნობ, ველარ შემაცდენს!
დე შენთან ერთად, ლაერთილო, და სხვებთან ერთად
იფიქროს, როგორ ააცდინოს გემებს ხანძარი.
მან ხომ უჩემოდ მართლაც ბევრი რამ გააკეთა:

ააგო მტკიცე გალავანი, გაქრა სანგარიც
350 ფართო სანგარი, პალოებიც ჩაარქო შიგნით.
მაგრამ ყოველი ამოა, ჰექტორის ძალას
ვერ შეაკავებს!

სანამ ვიყავ აქაველებთან,

გმირი ჰექტორი ციხის ბურჯებს ვერ სცილდებოდა,
სკაიას ბჭესთან და მუხასთან იბრძოდა მხოლოდ.

355 ერთხელ იქ შემხვდა და ჩემს რისხვას ძლივს გადაურჩა.
აწ აღარა მსურს შერკინება ღვთიურ ჰექტორთან.
ხვალ ზევსს მივუძღვნი და სხვა უკვდავ ღვთაებებს

ზვარაკს,

გემებს დავტვირთავ, ჩავაცურებ მყისვე ტალღებზე
და ხვალვე, თუკი სურვილი გაქვს და ეს გაწუხებს,

360 სრსხამ დილაზე ნახავ როგორ გაიჭრებიან
ჩემი გემები თევზმრავალი ჰელესპონტიდან.
თუ ბედნიერ გზას დამილოცავს მიწისმრყეველი,
მესამე დღესვე ბორცვებიან ფთიას ვეწვევი.
იქ საკმაოა, რაც დავტოვე ტროას მოსულმა,

- 365 და აქედანაც ბევრი მიმაქვს ოქრო, სპილენძი,
რკინაც, დიაცნიც მიმყვებიან წელქამრიანნი.
მიმაქვს, რაც მერგო, ოღონდ ერთი განძი საამო
შერჩა მბრძანებელ აგამემნონს, ჩემს შემგინებელს!
აუწყეთ, რასაც გეუბნებით, ყველას წინაშე
- 370 ამცნეთ ყოველი! დაე სხვებიც, ვით მე, განრისხდნენ,
თუკი ეცდება რომელიმე დანაელ ვაჟკაცს
კვლავ შეუგინოს პირისწყალი მარადის ურცხვმა!
თუმცა ძალღივით თავხედია, ვერც გამიბედავს
თვალი მისწოროს! არც სიტყვა მსურს მისი, არც საქმე!
- 375 რაკი ვერაგმა ერთხელ შეძლო ჩემი შერცხვენა,
მეორედ სიტყვით ვერ შემბოროკავს, კმარა, გაპცილდეს!
როგორ წაართვა ჭკუა ზევსმა ღრუბელთბატონმა!
მძულს მისი განძიც და თვითონაც არაფრად მიიღოს!
მან რომ ათმაგი ან ოცმაგიც შემომთავაზოს,
- 380 რამდენიც დღეს აქვს და რამდენსაც კიდევ მოიხვეჭს.
მომცეს ყოველი, ორქომენში, ეგვიპტელთ თებეს
რაც ინახება უთვალავი განძი ქალაქის,
რომელს ასი ბჭე აქვს, თითოდან ორას-ორასი
მხედარი ეტლით, მარდ ცხენებით გამოდის ხოლმე,
- 385 მომცეს იმდენიც, რაც მიწაზე ქვიშა ჰფენია, —
ვერ მომიბრუნებს გულს ამითაც აგამემნონი,
სულის ამომგდებ ბოლმას სანამ არ გამიქარწყლებს.
მე არ დავისვამ ცოლად ასულს თემისთავისა,
თუნდაც მშვენებით აფროდიტეს ედავებოდეს
- 390 და ხელოვნებით თვალმცეცხლია ქალღმერთ ათენას,
არა, არ მინდა! დე მოძებნოს სხვა აქაველი,
ვინც მას შეჰფერის, მეფურ ძალით ჩემზე მაღლა დგას.
თუკი ღმერთები დამინდობენ, შინ დავბრუნდები,
იქ გამირიგებს კეთილშობილ ქალწულს პელევსი.
- 395 ბევრი ქალია ჰელადაში, ლამაზ ფთიაში,
ციხე-ქალაქთა და ქვეყნების მეფეთ ასული,
მე შევიყვარებ რომელიმეს იმ ქალთა შორის!
ო, გულს სწყურია კეთილშობილს საყვარელ ქალთან
წმინდა კავშირი საქორწინო, მთელი ცხოვრება
- 400 მინდა ვიკმარო მონახვეჭი მოხუც პელევსის.

- სიცოცხლეს რაღა შეედრება! — არც ეს სიმდიდრე,
 რითაც ჰყვარდა ილიონი გალალებული,
 მშვიდობიან დროს, აქაველთა შემოსევამდე,
 არც განძი, სალი კლდის კამარა რომ ეფარება
- 405 პითოსს, სხივოსან აპოლონის დიად ტაძარში!
 შეიძენ ყოველს: ხარებს, ცხოვარს ვერცხლისმატყლიანს,
 მშვენიერ ცხენებს დარაბტულებს, ოქროს სამფეხებს,
 მაგრამ სულს როდი დაიბრუნებ, სულს ვერ მოიხვეჭ,
 ველარ დაიჭერ, თუ ბაგიდან ერთხელ გაფრინდა.
- 410 დედამ ვერცხლისფერმუხლიანმა მაუწყა ასე:
 ორი რამ ხვედრი მიმაცილებს საფლავის ზღურბლთან:
 თუ დავყოვნდები ტროელთ ციხის დასალეწავად,
 შინ ველარ წავალ, სახელი კი ჩემი დარჩება,
 თუ დავბრუნდები შინ, ვეწვევი საყვარელ მამულს,
- 415 სახელს ვერ ვპოვებ, სიცოცხლეს კი გავიხანგრძლივებ
 და არ მეწვევა ავბედითი სიკვდილი ადრე.
 ამასვე გირჩევთ ყველა თქვენგანს, შინ გაემგზავრეთ,
 ვერ მოესწრებით იავარქმნას ილიონისა!
 შორით მქუხარმა კრონიონმა, ღრუბელთბატონმა
- 420 მფარველი ხელი დააფარა, ხალხს ძალა მისცა.
 უკან დაბრუნდით, გადაეცით ყველა აქაველს,
 ვით გმართებთ ელჩებს, გარდუვალი ჩემი პასუხი.
 დაე, თვითონვე უმჯობესი რამ მოიფიქრონ,
 რომ იხსნან გემნი და ძლეული სპა აქაველთა
- 425 იმ გემთა გვერდით.

ხოლო რაცა აქამდე გსურდათ,
 ის არ მოხდება, ჩემი რისხვა გარდუვალია!
 აქ დარჩეს ჩვენთან ფოინიქსი და სამშობლოსკენ
 წამოგვყვეს სწრაფი ხომალდებით სისხამ დილაზე,
 თუკი ისურვებს, — სრულებითაც არ ვატან ძალას“.

- 430 ასე ბრძანა და ხანგრძლივ დუმილს ზარდაცემული
 მიეცა ყველა:

გულმრისხანედ ბრძანებდა იგი.
 ბოლოს წარმოთქვა ფოინიქსმა ცრემლმორეულმა,
 ჭაღარა გმირი თრთოდა გემთა დაღუპვის შიშით:

„თუ გულში გიდევეს, აქილევსო, შინ დაბრუნება
435 და სულაც არ გსურს ჩვენს ხომალდებს ცეცხლი
შთანმთქმელი

რომ ააშორო, გულში რისხვა ჩაგბუდებია,
შვილო ძვირფასო, როგორ დავრჩე აქ მე უშენოდ?
ერთად გაგვიშვა ჩვენ მოხუცმა გმირმა პელევსმა,
როცა ფთიიდან გაგაყოლა ატრიდის ლაშქარს.

440 ჭაბუკო, მაშინ იყავ ომში გამოუცდელი
და საფიხვნოზეც, სად დიდებას იხვეჭენ კაცნი.
მწვრთნელად გამოგყევ, რომ საბჭოზე გებრწყინა მუდამ
მჭევრმეტყველებით, მოქმედებით — ყოველ საქმეში.
არა, უშენოდ, საყვარელო შვილო, არ ძალმიძს

445 დარჩენა, თუნდაც ყოვლისშემძლე ღმერთმა ინებოს
სიბერის ნაცვლად მიძღვნას სიტკბო სიყმაწვილისა,
წლები, ელადა რაც დავტოვე ქალმშვენიერი,
როს მამის, მოხუც ამინტორის, რისხვას გავექვეც —
ორმენიდისა, თმამშვენიერ ქალწულის გამო.

450 მისდამი ვნება ცოლს — დედაჩემს აჰყრიდა პატივს.
მუხლთ მომეხვია, შემევედრა, მამაზე ადრე
ქალწულს შეერთვოდი, რომ მოხუცი შესძულებოდა.
ასეც მოვიქვეც.

მამაჩემმა შენიშნა მალე,

დამწყევლა, საზარ ერიჩიებს ევედრა, დიაცს
455 აღარასოდეს ღირსებოდა ჩასმა კალთაში
ჩემგან შობილ ძის.

შეუსრულეს თხოვნა ღმერთებმა —

ქვეშეთის ზევსმა, პერსეფონემ მარად უწყალომ.
რისხვით აღვენთე, მსურდა რვალით მომეკლა მამა,
დამაშოშმინეს უკვდავებმა, გულს ჩამინერგეს,

460 რომ კაცთა შორის ჭორს და სირცხვილს ვერ ავცდებოდი,
თუ აქაველნი მიწოდებდნენ მშობელ მამის მკვლელს.
აუტანელი გახდა ჩემთვის სევდა-ნალღელი,
დაბოღმილ მამის გვერდით მიწყვი სახლში წრიალი.
მეგობრები და ახლობლები სულ გარს მეხვივნენ,

465 მევედრებოდნენ ერთსულოვნად, შინ ვყოფილიყავ.
მრავალი ცხვარი და მრავალი ხარი დაკლული,

ქონით მბზინავი ღორი უხვად იყო ეზოში,
გამოტანილი შესაწვავად ჰეფესტოს ალზე.
ბლომად მოხუცის დოქებიდან შეისვა ღვინო.

- 470 ცხრა ღამეს ჩემთან ათენებდნენ სულ გადაბმულად,
გუშაგებს ცვლიდნენ და წამითაც არა ქრებოდა
ცეცხლი ეზოში, გალავანი რომ ერტყა მტკიცე
და შინაც — ჩემი სამთიობოს კარებთან ახლოს.
ხოლო მეათე ბნელი ღამე როცა დამიდგა,
475 სამთიობოში ოსტატურად ჩაბმული კარი
გამოვამტკრიე, გადავევლე მაღალ გალავანს,
ვერც ქალმა მნახა შინაურმა, ვერც ვინ გუშავმა.
გადავიქროლე ვრცელი ვაკე ელადის მხარის,
ფთიას ვეწვიე, მთაგორიან მშობელს მერანთა,
480 პირდაპირ — პელევსს.

მან კეთილად მიმიღო მაშინ
და შემეყვარა, მოხუც მამას ვით უყვარს პირმშო,
გვიან შობილი და დიდძალი განძის მემკვიდრე.
მიბოძა ბევრი სიმდიდრე და ხალხი მრავალი.
დოლოპთ ვმეფობდი და ვცხოვრობდი ფთიის მხარეში.

- 485 შენ იქ აღგზარდე, აქილევსო, უკვდავთ სადარო!
გულით მიყვარდი და შენც სხვას არ ეკარებოდი
სტუმართა შორის, ის კი არა, არ ჭამდი სახლშიც,
სანამ მუხლზე არ დაგისვამდი, მოვკრიდი ნაჭერს,
ბაგესთან ფრთხილად მოგადებდი ღვინის ფიალას.
490 რამდენჯერ მკერდთან დამისველე კიდევ ქიტონი,
მოუქნელ ყმაწვილს მაჭარი რომ დაგექცეოდა.
ბევრი ზრუნვა და ბევრი შრომა შემხვდა შენს გამო.
ვფიქრობდი, რაკი არ მარგუნეს შვილი ღმერთებმა,
ძედ შენ მყოლოდი, ო, აქილევს, ღმერთთა სადარო!
495 ვფიქრობდი, შენვე უღირს ბედსაც ამაცილებდი!
დაიცხრე გული, შვილო ჩემო, არ მართებს მამაცს,
თვით უთნო იყოს, თუკი ღმერთიც კი ხდება სათნო —
ჩვენზე დიდებით, ძლიერებით უზესთაესი!

ღმერთსაც მორჩილი აღთქმით, ზორვით, გუნდრუკის

კმევით,

- 500 წმიდა ზედაშით გულს მოუღობოს ხოლმე მლოცველი,

თუმც მის წინაშე ცოდვილია და დამნაშავე.
ლიტები — ზევსის ასულები, დაღარულები,
ელამ თვალებს რომ აცა-ბაცად ახამხამებენ,
მიწყვი მზრუნველნი გულისწყრომას — ატეს —

კვალდაკვალ

505 მისდევენ, მაგრამ ფეხმარდია, ჩამოუქროლებს,
ყველასთან ასწრებს ამა ქვეყნად და სწყლავს კაცთა ტომს,
ხოლო ლიტები — ლოცვის ღმერთნი ჰკურნავენ
მოწყლულს.

ვინც ზევსის ასულთ ღირსეულად მიეგებება,
შველასაც ჰპოვებს და მის ლოცვას ისმენენ ღმერთნი.

510 თუ გულღრძო ვინმე არ მიიღებს, კრონიონ ზევსთან
მყის მიირბენენ, შესჩივლებენ. გულისწყრომა კი
თან მისდევს ცოდვილს და ღირსეულ სასჯელს მიაგებს.
უზღე, აქილევს, რაც ეკუთვნის კრონიდის ასულთ,
რასაც ისურვებს სული ყველა კეთილი კაცის!

515 რომ არ ეძლია ახლანდელი და მერმინდელი
ესოდენ ბევრი ძღვენი ატრიდს, ბოლმას დამლუპველს
ალარ დახსნოდა, არც მე გთხოვდი რისხვის დაცხრომას,
არგიველთ დაცვას, თუმც სწყურიათ შეწევნა შენი!
მრავალს იძლევა და შემდეგშიც გპირდება მრავალს,

520 მდაბალი თხოვნით სახელგანთქმულ გმირებს გაახლებს,
რჩეულ არგიველთ, უსაყვარელსთ შენტვის ესოდენ.
აბუჩად ნურც მათს სიტყვას იგდებ, ნურც მათ ვედრებას.
სამართლიანად მრისხანებდი, უფლებაც გქონდა.
ბევრი გვსმენია ჩვენ თქმულება ძველ გმირებზედაც,

525 რისხვა მხურვალე ედებოდა ხოლმე მათს სულსაც,
მაგრამ ტკბილ სიტყვით მოლბებოდნენ და მოსაკითხით.
მახსოვს მე ერთიც, არ ახალი, ძველი ამბავი,
მინდა გიამბოთ, მეგობრებო, თუ როგორ მოხდა:
იბრძოდნენ ერთხელ კურეტნი და ეტოლიელნი,

530 შეებნენ ერთუროს კალიდონის მისადგომებთან.
ეტოლიელნი მათს საყვარელ ქალაქს იცავდნენ,
ხოლო კურეტებს სურდათ ბრძოლით დაემხოთ ციხე.
არტემის, ოქროსტახტიანი, განრისხებია
ოინევსს, მას რომ ნაყოფიერ ბალიდან ძღვენი

535 არ მიუცია.

ჰეკატომბე უძღვნა სხვა ღმერთებს,
მას არ შესწირა მსხვერპლი, დიად კრონიდის ასულს
არ ისურვა თუ არ ახსოვდა, დიდად შესცოდა.
მრისხანე ღმერთის წულმა, მშვილდით გალაღებულმა,
თეთრეშვიანი შმაგი ტახი მყისვე მიუშვა,

540 დათარეშობდა ოინევის ბაღში ნადირი.

ერთი-მეორეს მიაწვინა, ძირფესვიანად
ამოუთხარა ტანმაღალი ვაშლი, ხეხილი.
ბოლოს ის მოკლა მეღვინეგროს ოინეიდმა,
მოუხბმო ციხით მონადირეთ, მრავალ მწვევრითურთ.

545 ისეთი იყო, მცირე ძალით ძვრას ვერ უზამდნენ,

მრავალი მოყმე სავალალო კოცონს შეერთო.
სასტიკი შულლი მის გარშემო ატეხა ღმერთმა,
ჯაგრით დაფარულ ტყავის, თეთრი ეშვების ეშხით
ერთურთს შეებნენ კურეტნი და ეტოლიელნი.

550 სანამ თან ჰყავდათ ეტოლიელთ მეღვინეგროსი,
კურეტებს ერთობ გაუჭირდათ, აღარ შეეძლოთ
გალავნის გარეთ ბრძოლა, თუმც კი არ აკლდათ ძალა.
მაგრამ ამ დროს გმირ მეღვინეგროსს რისხვა მოედო,
საზრიან კაცსაც მკერდში გულს რომ უფორიაქებს.

555 ძვირფას დედაზე დაიბოღმა — ალთაიეზე.

მიუწვა ლამაზ კლეოპატრეს — ცოლს, ევენინეს
მეუღლის, მსუბუქფეხებიან მარპესეს ასულს
და იდეოსის, იმდროინდელ მამაცი გმირის.

თვით ისრისმფლობელ ფოიბოსზე მას აღუმართავს

560 მშვილდი ფეხნატიფ ნიმფას გამო და იმ დროიდან

მშობელმა მამამ, ღირსეულმა დედამ უწოდეს

ასულს სახელად ალკიონე, რამეთუ დედა

იზიარებდა ხვედრს ტანჯული ალკიონისა,

მას დასტიროდა დღენიადაგ, ღმრთის წარტაცებულს.

565 იწვა თვის ცოლთან, სულის შემძვრელ რისხვით აღსავესე,

გამძვინებული დედის წყევლით: იგი ხომ ღმერთებს
თხოვდა, რომ შური მიძიეთო მოკლული ძმისთვის.

ხშირად შმაგქმნილი მიწას სცემდა ხელებს გოდებით,

საშინელ ჰადესს, პერსეფონეს ევედრებოდა,

570 მუხლზე რომ ეჯდა, მკერდს ურწყავდა ცხარე

ცრემლებით —

ჩემს შვილს სიკვდილი არგუნეთო!

და ბნელში მქროლავს

ესმა ერინისს ერებოსში გოდება გულღრძოს.

მალე ჭრიალი და გრუხუნი გაიღო ბჭემან,

მტრისგან ძლეულმან.

ეტოლიელთ შესარიგებლად

575 გმირს მიუგზავნეს ღმრთის რჩეულნი მოგვნი სვიანნი,

ჯილდოც აღუთქვეს, ოღონდ ეხსნა მოყმეს ლაშქარი.

რაც კი რამ იყო კალიდონზე საუკეთესო —

ორმოცდაათი ქცევა მიწა მას მიუჩინეს.

აირჩიეო ნახევარი ვენახიანი,

580 ნახევარი კი სულ ყამირი გაუტეხელი.

ევედრებოდა მას მოხუცი მამა ოინეცს,

თვითონ ეახლა სამთიობოს მალალ პარმალთან,

აკაკუნებდა კარზე, თხოვდა დაბეჯითებით.

ევედრებოდნენ დები, დედა ევედრებოდა.

585 მაგრამ სულ უფრო უარობდა, თხოვდნენ მოძმენიც,

ყველაზე მეტად ვინც უყვარდა და პატივს სცემდა.

გული ვერაფრით მოუბრუნეს, სანამ საწოლი

არ შეარყია მტერთა დარტყმამ. კოშქში შეიჭრნენ

მძლე კურეტები და ალაგზნეს ცეცხლით ქალაქი.

590 მაშინ წამოდგა ნორჩი ცოლი მეღვინეგროსის,

ქვითინით მოყმეს ამცნო ყველა უბედურება,

დაპყრობილ ქალაქს რაც მოელის და მოქალაქეთ:

კაცებს ჩეხავენ, მოსდებია ცეცხლი მთელს ქალაქს,

ლამაზქამრიან ქალებს, ბალღებს წაასხამენო.

595 სული აენთო, როს სცნო გმირმა საქმე საზარე,

ინება გასვლა, შეიმოსა ელვარე აბჯრით

და განაშორა დამღუპველი დღე ეტოლიელთ.

გულისთქმას აპყვა, თუმც წინასწარ არ მიუღია

ჯილდო მრავალი. ვაებისგან იხსნა ქალაქი.

600 შენ ასეთი რამ არ იფიქრო, გული დაიმონს

არ დაუმონო!

დამღუპველი იქნება უფრო

• ხომალდთა დახსნა ხანძრისაგან!

ბრძოლად ძღვენთათვის

აღსდექ და, ვით ღმერთს, გადიდებენ აქაველები!
ასე თუ არა, იძულებით მხოლოდ თუ გახვალ,
605 ვერ კპოვებ სახელს, თუმც გადასწყვეტ შედეგს
ბრძოლისა!“

მეისვე ფეხმარდმა აქილევსმა მიუგო მოხუცს:
„ფოინიქს, მამი! ღვთაებრივო! არა მჭირდება
მე ეს დიდება, მჭერა, ზევსი მომაგებს პატივს
და ეს შემრჩება სპათ წინაშე, სანამდის სუნთქვა
610 დამივლის მკერდში და იძვრიან მძლავრი ფეხები.
ერთ რამეს გეტყვი და, მოხუცო, გულს ჩაიმარხე:
სულს ნულარ მიმღვრევ, ვედრებით და ოხვრა-გოდებით
აგამემნონის საამებლად! ის არ გიყვარდეს
615 ისე, რომ ვისაც შენ უყვარხარ, შესძულდე, გმირო!
შენ კაცი იგი შემიგინე, ვინც შემაგინა!
(მო, ჩემთან ერთად მოილხინე მეფურ პატივით).
პასუხს ესენი მიუტანენ, შენ კი აქ დარჩი,
ფაფუკ საწოლზე მოისვენე. ხვალ, სისხამ დილით,
ერთად ვიფიქროთ, შინ გავწიოთ, თუ დავრჩეთ აქვე“.

620 თქვა და პატროკლეს მეყსეულად გმირმა წამუყო:
გაუმზადეო სარეცელი, სურდა, რომ სტუმრებს
დროზე ეფიქრათ გაბრუნება. მძლე აიანტმა,
ტელამონიდმა ღვთაებრივმა მიმართა მოყმეთ:
„ლაერტის ძეო ოდისევსო, ჭკუა უღევო!

625 დროა, წავიდეთ.

ვხედავ ამ გზით სასურველ შედეგს
ველარ მივალწევთ.

მალე უნდა ვუთხრათ პასუხი
დანაელთ, თუმცა, სასიკეთოს ვერაფერს ვეტყვით.
გველოდებიან, სხედან სპანი.

ხოლო პელიდმა

გულს ჩაინერგა სიამაყე ზღვარს გადასული!
630 სასტიკს არაფრად ჩაუგდია თვით მეგობრობაც,
მას მთელს ბანაკში ყველასგან რომ გამოვარჩევდით,

გულქვას, უგრანობელს!

ძმაც კი იღებს მოკლული ძმისთვის,
მამა-შვილისთვის გამოსასყიდს და ამ დროს მკვლეელი
ხალხში თავსა გრძნობს არხინად, თუ განძს გაიღებს.

- 635 საზღოს მიმღები შურისმგებელ სულს და ამაყ გულს
დააცხრობს ხოლმე. მაგრამ ღმერთმა შენ უბოლოო
რისხვით აგინთო გული მხოლოდ ერთი ქალისთვის!
ჩვენ ხომ შვიდს გაძლევთ — უკეთესებს უკეთესთ შორის,
სხვა მრავალ ძღვენსაც! შეიმოსე სიკეთით სული!
- 640 შენს კარავს მაინც სცემდე პატივს: ჭერქვეშ გეწვიეთ
დანაელთ ელჩნი! შენგან ველით აქაველთ შორის
ყველაზე უფრო მხარდაჭერას და მეგობრობას!“

მყისვე ფეხმარდმა აქილევსმა მიუგო მოყმეს:

„ტელამონის ძევ აიანტო, კეთილშობილო!

- 645 შენ გულით ამბობ, ვგრძნობ. ყველაფერს, მაგრამ,
მამაციო,

რისხვა შემიძრავს სულს, როგორც კი გამახსენდება,
ვით შემიგინა პირისწყალი არგიველთ შორის
ატრიდმა, თითქოს ვინმე ბილწი ბოგანო ვიყო!
უკან დაბრუნდით, თქვენს გამომგზავნს ასე აუწყეთ:

- 650 გულში ფიქრადაც არ გავივლებ, კვლავ ვღვარო სისხლი,
სანამ ჰექტორი ღვთაებრივი, აბჯარასხმული
არ მოადგება მირმიდონელთ კარვებს, ხომალდებს,
როს დაწვავს გემებს არგიველთა და მოსპობს ლაშქარს.
აქ კი, კარავთან, ჩემს შავფერდა ხომალდთან იგი,

- 655 რაც უნდა დიდად მძვინვარებდეს, ვფიქრობ, დაცხრება!“

თქვა და აიღეს უხმოდ თასი ორფსკერიანი,
ასხურეს ღვინო.

ოდისევსი გაუძღვა ელჩებს:

ამ დროს პატროკლემ მონა ქალებს და თვისთა მოძმეთ
უბრძანა, მალე ფონიქსის რბილი საწოლი

- 660 გაეწყოთ.

მათაც გაუშალეს მოხუცს მორჩილად
ვერძის საწმისი: და საბანი უნაზეს სელის.

- იქ მოისვენა, ელოდა რა ნათელ განთიადს.
აქილევს დაწვა ურდულგაყრილ კარავის შიგნით.
მიუწვა გვერდით ლესბოსელი ფორბასის ქალი,
665 ლამაზლაწვება დიომედა, ტყვექმნილი მისგან.
იქით პატროკლე ისვენებდა და გვერდით ეწვა
იფისი, ქალი ტანკენარი.

იგი პელიდმა
უძღვნა, როს დასცა ენიევსის ციხე სკიროსი.

- როცა მიადგნენ ელჩნი კარავს აგამემნონის,
670 აქაველთ ძენი შეეგებნენ ოქროს თასებით,
მოყმეთ ერთურთის მიყოლებით ეკითხებოდნენ.
პირველმა ბრძანა თემისთავმა აგამემნონმა:
„მძლეო ოდისევს, აქაველთა დიდებავ, ბრძანე,
ისურვებს გმირი აგვაცილოს შთანმთქმელი ალი,
675 თუ კვლავ გაგვიდგა, ამაყ სულში იმარხავს მტრობას?“
ასე მიუგო ოდისევსმა მრავალტანჯულმა:
„დიდებით მშვენო აგამემნონ, ხალხთა მეუფევი!
არ სურს დააცხროს მტრობა, ძველი მრისხანებით დულს,
კვლავ სძულხარ, გმირი უარს ამბობს შენს საბოძვარზე.
680 შენ და არგიველთ რჩევას გაძლევთ, ამ უბედურ ჟამს,
თუ ვით დაიცვათ გემები და სპა განწირული.
თვით იმუქრება, უკვე ხვალვე, გამთენიისას,
ორმხრივხოფიან გემებს ზღვაში ჩავაცურებო.
გმირს განუზრახავს სახლში წასვლა ურჩიოს სხვასაც:
685 ვერასდროს, უთქვამს, აღსასრულს ვერ მოვესწრებითო
ილიონისა.

დააფარა მეხისმტყორცნელმა
მფარველი ხელი, ამაღლდაო სიმტკიცე ხალხის.
ასე მოგვიგო.

- თანამგზავრნიც ამას გეტყვიან —
აიანტი და ორივ მაცნე, ორივ ჭკვიანი.
690 ფონიქსი კი იქვე დარჩა, პელიდმა ბრძანა —
ხვალ გამყვებაო სანუკვარი მამულისაკენ.
მაგრამ თუ არ სურს, გმირი მოხუცს ძალას არ ატანს“.

ასე ამბობდა. ღრმა ღუმელმა მოიცივა ყველა
ზარდაცემული:

სასტიკ სიტყვას ამბობდა იგი.

695 ხმა არ გაიღეს დიდხანს დარღით დანაელებმა.

კეთილშობილმა დიომედემ წარმოთქვა ბოლოს:

„მძლეო ატრიდო აგამემნონ, ხალხთა მეუფევე!

ჯობდა არ გეთქვა გულზვიადი აქილევსისთვის;

არც შეგეძლია ძღვენი: იგი, ისეც ამაყი,

700 ამ ამბის შემდეგ კიდევ უფრო გაამაყდება!

მოვეშვათ პელიდს, დარჩეს იგი, სამშობლოსაკენ

წავა თუ არა, ცხადია, რომ ბრძოლად გამოვა.

თვისი გულისთქმით, თუ ეს უნდა ღმერთს

ყოვლისშემძლეს.

მისმინეთ და, რაც გითხრათ, კვერი დამიკრას ყველამ:

705 ხამს დავისვენოთ, მანამ უნდა ვიმაგროთ გული

პურ-ღვინით, ღვინოს სიმხნევეც და სიმტკიცეც მოსდევს.

ხვალ კი, ეოსი რომ იელვებს ვარდისთითება,

მხედარნი გემთა წინ გააწყვე და სპაც ქვეითი,

გული აღუგზნე, შეუერთდი მეწინავეებს!“

710 ასე თქვა და მხნედ ყველა მეფემ დასცა ყიჟინა,

გაოცებულმა დიომედეს გაბედულ სიტყვით.

ბოლოს ასხურეს ზედაშე და თავის კარვებში

ძილისშორისის საჩუქრებით დატკბნენ მოყმენი.

ქება მებათე

ღოლონია

თავ-თავის გემთან კეთილშობილ ყველა აქაველს

კეთილი ძილით ძლეულს მთელი ღამე ეძინა,

მაგრამ ხალხის მწყემსს აგამემნონს, მართლმორკმულ

ატრიდს

არ უგემნია ტკილი ძილი ფიქრმოძალეებულს.

5 ვით ელავს ელვა ლამაზთმიან ჰერა დედოფლის,

აშხაპუნდება თქორი, მავნე სეტყვა ტყაცუნებს,
გადაათეთრებს თოვლით ველებს შმაგი ქარბუქი,
ან კაცთამელეტი ომი საზარ ხახას დააბჩენს, —
10 ისე ბორგავდა აგამემნონ, გულის სიღრმიდან
ოღეს ხედავდა ტროელთ ბანაკს.

გმირს აოცებდა

ილიონის წინ მოგიზგიზე ურიცხვი ცეცხლი,
ხმა სალამურთა, ხორხოცი და გნასი ხალხის.
ხოლო აქაველთ ბანაკის და გემთა შემყურე
15 თმებს ბლუჯა-ბლუჯად იგლეჯდა და ხელს ალაპყრობდა
ზევისისკენ,

მწარედ უკვნესოდა ამაყი გული.

ბოლოს ეს აზრი მოეჩვენა საუკეთესოდ:
ენახა ნესტორ, ნელევსის ძე, რომ მასთან ერთად
მსწრაფლ მოეწვია საბჭო, რამე აზრს დასდგომოდნენ
20 დანაელთ ლაშქრის დაღუპვისგან გადასარჩენად.
ადგა, ჩაიცვა აჩქარებით გმირმა ქიტონი,
ქათქათა ფეხზე შემოიწნა ლამაზი წულა,
მხრებზე მოისხა ლომის დიდი, მწითური ტყავი,
ვეება, ქედით — კოჭებამდე, შუბი აიღო.

26 შიშითვე თრთოდა მენელაოს და მის თვალებსაც
არ მიეკარა რული: ვახ-თუ უბედურება
ელისო ლაშქარს, უნაპირო ზღვით რომ მოვიდა
ტროის მხარეში და ჩაება აბეზარ ომში.
ადგა, ბეჭებზე წამოისხა კრელლაქიანი
30 ავაზის ტყავი, ჩამოიმხო ჩაჩქანი თავზე
რვალმოელვარე, შუბი იპყრა ხელთ წამახული
და გაემართა, რომ აღეგზნო ძმა,

არგიველთა

ხელისუფალი უმაღლესი, ღმერთის სადარი,
გემის კიჩოსთან დიდებული საჭურვლით მოსილ
35 ძმას შეხვდა, მისთვის ეს სტუმრობა საამო იყო.
უმაღ მიმართა მძლე მებრძოლმა მენელაოსმა:

„რად აღქურვილხარ ასე, ჩემო ძვირფასო ძმაო,
გსურს განა ტროელთ გაუგზავნო ვინმე მსტოვარი?
მე ვალიარებ, მეშინია, ვინმემ ეს საქმე

40 თვით არ ითავოს და თამამი გულის პატრონი
ლამის წყველიადში არ წავიდეს მზვერავად მარტო“.

პრქვა და მიუგო კაცთ მეუფე აგამემნონმა:

„გვქირდება რჩევა, მენელაოს ღმერთშემოსილო,
რომელსაც ძალუძს დაიცვას და გადაარჩინოს

45 არგიველთ გემნი.

შეიცვალა ზევსის გულისთქმა:

ჰექტორისაკენ მიდრკა მისი სული მოწყალე!

არცა მინახავს, არც მსმენია, რომ მარტოსულმა
ერთ დღეს ამდენი სასწაული საქმე აკეთოს,
რაც დააწია აქაველებს გმირმა ჰექტორმა,

50 თუმც არც ქალღმერთის ძე ბრძანდება და არცა ღმერთის.

მაგრამ რაც შეძლო, არგიველნი ივიშვიშებენ
იმაზე დიდხანს, სპას ისეთი დღე დაათენა!

წადი, მოუხმე აიანტს და გმირ იდომენევს,

გემისკენ გასწი, მე ნელევსის ღვთაებრივ ძესთან

55 თვით წავალ და ვთხოვ ადგეს.

ეგებ ინებოზ კიდეც

გუშაგთა ნახვა, რომ უბრძანოს სიფხიზლე ღამით.

მას ხომ მორჩილად მოუსმენენ, გუშაგთ უფროსობს

მისი ძე, იქვე ჰყავს მებაჯრე იდომენევსის,

მხნე მერიონე. მათ მივანდეთ ბანაკის დაცვა“.

60 ომახიანმა ჰკითხა ბელადს მენელაოსმა:

„მე რას მიბრძანებ, აგამემნონ, რას დამავალებ?

დავრჩე იმათთან და შენს მოსვლას ველოდო განა,

თუ კვლავ ვიჩქარო, როცა რჩევას მივცემ მეომრებს?“

კვლავ მენელაოსს უთხრა მეფე აგამემნონმა:

65 „იქ დარჩი, ვინძლო ერთმანეთი სულ არ აგვებნეს

ამ ხეტიალში — ბევრი გზაა ფართო ბანაკში.

სადაც კი მიხვალ, რჩევა მიეც, რომ ფრთხილად იყონ,

მამის სახელით, გვარ-ტომობით მიმართე მებრძოლთ,

რიდით მოეპყარ, არავისთან არ იყოყოჩო.

70 ჩვენც სხვებთან ერთად გავისარჯოთ, ეს გვერგო ბედად!
ზევსმა მის შობილთ დაგვატეხა თავს გასაჰირი!“

ასე თქვა, ჰკუა დაარიგა და ძმა გაუშვა.

თვითონ წავიდა სწრაფად მოხუც ნესტორისაკენ.

შავ გემთან ნახა, თავისსავე კარვის პირდაპირ,

75 რბილ ქვეშაგებზე იწვა, ჰქონდა თან საქურველი —

ფარი ბაკმული, ორი შუბი, ელვარე ზუჩი,

ქრელი სარტყელიც იქვე ეგდო, ჯერ კიდევ გმირი

წელზე ირტყამდა ხოლმე, ლაშქარს რომ მოუძლოდა,

არ ნებდებოდა, არ უხრიდა ჯერ ქედს სიბერეს.

80 იდაყვს დაეყრდნო, სარეკლიდან წამოიწია

და ატრევისის ძეს შეეკითხა გმირი ხმამაღლა:

„ვინ ხარ? რას დაძრწი გემთა შორის ღამის წყვდიადში,

მებრძოლთ ბანაკში მარტოდმარტო, როს სძინავს ყველას?

მეგობარს ეძებ, თუ გაქცეულ ჯორს გაეკიდე?

85 რა გსურს? ხმა გამეც, ჩუმად ნუკი მოიპარები!“

მყისვე მიუგო მამაცთ მეფეს აგამემნონმა:

„ნელეიადო ნესტორ, ბურჯო დანაელების!

შენ ხედავ ატრიდ აგამემნონს, რომელსაც ზევსმა

არგუნა ჯაფა უსასრულო, სანამდის მკერდში

90 შთენია სუნთქვა და ლასლასი ფეხს შეეძლება.

ჰო, ასე დავძრწი, ჩემთა თვალთა არ ატკბობს ძილი,

თავში სულ ფიქრი მიტრიალებს აქაველთ ბედზე,

შიში გულს მიკლავს, აღარ შემწვეს ძალა, სიმტკიცე

რომ შემრჩეს სულის, გული უკვე აღარ მიდგება

95 აწ საგულეში, მიცახცახებს, მითრთის მუხლები!

თუ რამეს ფიქრობ, — ვხედავ, ძილი არ გეკარება, —

ადექ, მივიდეთ გუშაგებთან, ვინ იცის, შრომით

ყველას დააწყდა სახსრები და ძილს მისცემია,

დავიწყებია საგუშაგო საფათერაკო.

100 მტერი ახლოა გულზვიადი და ჩვენ არ ვიცით,

ღამის წყვდიადში თავდასხმა ხომ არ გვემუქრება“.

უთხრა ნესტორმა, მხნე მხედარმა გერენიელმა:

„ძღვეით მოსილო აგამემნონ, ხალხთა მეუფე!

- ჰექტორს განზრახვას ახლა ზევსი წინამბჰობელი
 105 არ შეუსრულებს, როგორც ზვიად ვაჟკაცს ჰგონია,
 მასაც დალაზვრავს უფრო მეტად, როს აქილევსი
 გულს მოიბრუნებს წრესგადასულ მრისხანებისგან.
 მე მიხარია შენ გეახლო, სხვაც გავალვიძოთ —
 ტიდიდი — გმირი შუბოსანი და ოდისევსი,
 110 მერე ფეხმარდი აიანტიც, ძეც ფილევსისა,
 ვინმემ იჩქაროს და მოუხმოს კრებად აიანტს,
 მებრძოლს ღვთაებრივს და თემისთავს იდომენევსსაც,
 მათი გემების სადგომი ხომ არ არის ახლოს.
 ხოლო საყვარელ ჩემს მეგობარს, გმირ მენელაოსს
 115 ვერ ვაპატიებ, გინდ გეწყინოს, მე მაინც გეტყვი, —
 მხართედოზე წევს, გაიძულე მარტო იშრომო!
 თვითონაც სხვებთან ერთად ახლა ოფლს უნდა ღვრიდეს,
 სხვებს სთხოვდეს კიდევ, აღარ ითმენს აწ ვითარება!“
 ნესტორს მიუგო კვლავ ბელადმა აგამემნონმა:
 120 „მოხუცო, გირჩევ, საყვედური მისი თქვა სხვა დროს:
 ზანტია ხშირად, თითქოს, შრომას გაურბის კიდევ,
 მაგრამ სიზნანტით ეს როდი სჭირს, ან უმეცრებით.
 მულამ მე მიცდის, ჩემგან ელის საქმის დაწყებას.
 ახლა დამასწრო, ადგა, მყისვე მოვიდა ჩემთან.
 125 გაუეშვი, რათა უხმოს გმირებს, ვინც შენ ახსენე.
 ვიჩქაროთ, ვიცი, მათ მივეუსწრებთ ახლა გოდოლთან,
 გუშაგთა რაზმთან ერთად, ვბრძანე მე იქ შეკრება“.

ატრიდს მიუგო კვლავ მხედარმა გერენიელმა.

- „ჰო, თუ აგრება, არგიველი ვინ რაღას ჰკადრებს,
 130 ყველა მოუსმენს, რასაც ბრძანებს, რასაც აკრძალავს“.
 ასე თქვა, მკერდზე მყის მოისხა ფართო ქიტონი,
 ფეხზე შეიკრა მშვენიერი წაღები შემდეგ,
 მოისხა მხრებზე ორხაული, ფართოდხვეული
 ძოწის ქლაინა, აქარგული, ხაოიანი.
 135 ხელი ჩაავლო შუბს, წამახულს ბასრი სპილენძით,
 გასცდა სპილენძისქიტონიან აქაველთ გემებს.
 გამოალვიდა ოდისევსი თავდაპირველად
 მალღივ მყვირალმა მხნე მხედარმა გერენიელმა,

უმალვე მისწვდა ლაერტიდის სულს ხმა ნესტორის.
140 კარვიდან სწრაფად გამოსულმა ბელადებს უთხრა:
„ნეტავ, რას დახვალთ გემთა შორის ღამის წყვდიადში,
მარტოდ-მარტონი? გარდუვალი რა საქმე გაჩნდა?“

მცისვე მიუგო გმირს ნესტორმა გერენიელმა:
„ლაერტის ძეო, მძლე ოდისევს ჰკუაულებო!
145 ნუ წყრები! გაჩნდა მართლაც საქმე უცილობელი!
მოგვეყვ და სხვებიც გავაღვიძოთ, ახლავე ყველამ
ხამს გადავწყვიტოთ, ვიბრძოლოთ, თუ გაქცევა
გვმართებს!“

მცისვე შებრუნდა ოდისევსი ჰკუაულები,
მხარზე მოიგდო უმალ ფარი და გმირებს გაჰყვა.
150 ნახეს ტიდიდი დიომედე, აბჯარასხმული
დაწოლილიყო კარვიდან შორს.

თანამებრძოლთაც
იქვე ეძინათ, თავით ფარი დაედოთ, შუბი
ტარით ჩაერჭოთ და სპილენძი შორს ციალებდა
ღამის წყვდიადში, როგორც ელევა მამა ზევსისა.
155 მებრძოლთ შუაში ქვეშაგებად ტიდიდს დაეგო
ველური ხარის ტყავი, თავქვეშ — ხალი ბრწყინვალე.
ახლოს მივიდა, აღვიძებდა გერენიელი,
ფეხიც კი წაჰკრა, აყვედრიდა დაურიდებლად:
„ტიდევსის ძეო, არხეინად მთელს ღამეს გძინავს,
160 დაგვიწყებია, რომ დაიპყრეს ტროელთ ზეგანი,
გემთან მოგვადგნენ, ვიწრო ზოლი გვეყოფს
ერთუერთისგან?“

ასე თქვა. გმირი სარეცლიდან წამოხტა მცისვე,
მოხუცს მიმართა საპასუხოდ ფრთიანი სიტყვით:
„მოუსვენარო, თავს არასდროს ანებებ შრომას!
165 განა არა გყავს აქაველი შენზე უმცროსი,
რომ შეჭფეროდეს რიგრიგობით ჩვენი თავმოყრა,
ბანაკში ძებნა? დაუღლეელი ვინმე ხარ მართლაც!“

მიუგო მოყმეს მხნე მხედარმა გერენიელმა:

„სამართლიანად, გონივრულად ამბობ, ძვირფასო.

- 170 შვილებიცა მყავს, მეომრებიც გარს მახვევიან,
შემძლო სხვებიც მომეგზავნა თქვენს შესაკრებად.
მაგრამ სასტიკი ხვედრი ელის ახლა აქაველთ:
მახვილის წვერზე აწერია სპას ბედისწერა —
ან სამარცხვინოდ დამარცხება, ან გადარჩენა!
- 175 გასწი ფილევსის ძესთან ახლავ, მარდ აიანტთან
მოიხმე: „შენ ხომ უმცროსიც ხარ და გეცოდები!“

მყისვე მოისხა ამ სიტყვაზე ყრმამ ლომის ტყავი,
მწითური, თხემით — კოჭებამდე, შუბს სტაცა ხელი.
სწრაფად წავიდა, გააღვიძა, უხმო ბელადებს.

- 180 როს მიაღწიეს ღამის გუშავთ ერთად თავმოყრილთ,
მათს წინამძღოლებს, ნახეს, როდი დაეწყით თვლენა,
ფხიზლადვე ისხდნენ, აღჭურვილნი, აბჯარასხმულნი.

[ნაგაზები რომ დარაჯობენ ცხვრებს მოუსვენრად,
სუნს რომ იკრავენ დამშეული, ძლიერ ტყიურის,

- 185 ატყდება ხოლმე მოდარაჯე კაცთა და ძაღლთა
განგაში მხეცის დასაფრთხობად. სადღაა ძილი!
აქაველთ თვალზეც გამქრალიყო ძილი საამო, |
მრისხანე ღამის მზირნი წყვილიადს თვალს უშტერებდნენ,
ვაი-თუ ველზე მოდიანო ტროელთ რაზმები.
- 190 ხალისით შეხვდა მათ მოხუცი, წასაქეზებლად
(გულმხიარულად მიაგება ფრთიანი სიტყვა):
„ასე იფხიზლეთ, საყვარელო შვილებო, ნურვინ
იფიქრებს ძილზე, არ ვახაროთ მტერი ჩვენზედა!“

ასე თქვა. სანგარს გადაევილო, მიჰყვენენ მეფენი

- 195 არგიველთანი, ვინც კი იყო ბჭობად მოსული.
ახლდნენ მერიონ და განთქმული ძე ნესტორისი
ისინიც თურმე თემისთავეს მოუწვევიათ.
სანგარი განვლეს გალავნის წინ ღრმად ამოთხრილი,
მინდორს მიაღდგნენ, სად არ იყო გვამების გროვა,
200 სად ჰექტორს აღარ უქლეტია სპა არგიველთა,

- რომელნიც მხოლოდ შავმა ღამემ გადაარჩინა.
 იმ ველზე დასხდნენ და მიმართეს ერთმანეთს სიტყვით.
 კეთილი რჩევა პილოსელმა ნესტორმა ბრძანა:
 „ვინმეს ხომ არ სურს, მეგობრებო, მხნე გულს მიენდოს
 205 და მიაღწიოს სულზვიადთა ტროელთა ბანაკს?
 ვინძლო შემოხვდეს მტერს, გარე-გარ მოხეტიალეს,
 ან მოისმინოს საუბარი ტროელ ბელადთა:
 რა გადაწყვიტეს, მოშორებით ილიონიდან
 რჩებიან ისევ ხომალდებთან, თუ ქალაქისკენ
 210 ფიქრობენ წასვლას, თითქოს უკვე სძლიეს აქაველთ?
 თუ ეს გაიგო, დაგვიბრუნდა კვლავ უვნებელიც,
 დიდება ელის ცისქვეშეთში, დიდი სახელი
 მოკვდავთა შორის, საამაყო ჯილდოც ძვირფასი!
 ვინცა-ვინ არის მეთაური ნავ-ხომალდების,
 215 ვინცა-ვინ არის, დაბრუნებულს შავ ცხვარს აჩუქებს,
 ჩვილი კრავითურთ — რა სჯობია ასეთ საბოძვარსა
 გაინაწილებს მუდამ ზეიმს და ღვინის მეგობრულს“.
 ასე თქვა. არვინ უპასუხა. დუმდნენ ყველანი.
 პირველმა ბრძანა დიომედემ ომახიანმა:
 220 „ნესტორ! მიმიწევს გული, მიხმობს სული მამაცი,
 რომ მტრის ბანაკში შევალწიო, შორს როდი არის.
 მაგრამ მეორეც თუ ისურვებს ვინმე წამოსვლას,
 მეტი სიმხნევე მელის, მეტიც მხიარულება.
 ორი რომ მიდის, ერთიც ფიქრობს, ფიქრობს მეორეც —
 225 საქმეს რა უფრო წაადგება. ჭკუა ერთსაც აქვს,
 მაგრამ ზანტია ერთის აზრი, სულის მხნეობა“.

- ასე ამბობდა და მოსურნეც გამოჩნდა ბევრი:
 ორთავ აიანტს წასვლა სურდა, არესის მსახურთ,
 სურდა მერიონს, სურდა მამაც ნესტორის ძესაც,
 230 სურდა შუბოსან მენელაოსს — ატრიდს თემისთავს,
 სურდა ოდისევსს ჩუმად შესვლა ტროელთ ბანაკში.
 მუდამ საფრთხისკენ მიუწევდა გული ლაერტიდს.
 მაგრამ წამოდგა ხალხთა მეფე აგამემნონი:
 „ტიდევსის ძეო დიომედევ, უსაყვარლესო,
 235 თვით აირჩიე, ვინც გენებოს და ვინც გგონია

უმამაცესი, ხომ ხედავ, რომ სწყურია მრავალს.
გულის ნადები აქაო-და არ გამიგონო,
კარგს ნუ დათმობ და ცუდს ნუ იხმობ ამა საქმისთვის,
გვარ-ტომს ნუ მისდევ, მეფე იყოს თუნდ მეფეთ შორის!“

- 240 ასე თქვა. ბედი აშინებდა მენელაოსის.
ისევ მიუგო დიომედემ ომახიანმა:
„თუკი მიბრძანებთ, მეგობარი თვით ავირჩიო,
ოდისევსს როგორ დავივიწყებ ღმერთების რჩეულს?
არვინ ასეთი გულითადი არ მეგულება.“
- 245 მტკიცეა ჭირშიც და შრომაშიც, უყვარს ათენას!
თუ წამყვა, ცეცხლსაც გადავლახავთ გავარვარებულს,
ისე მრავალ ხრიკს იტევს ხოლმე მისი გონება“.

თქვა ოდისევსმა, ღვთაებრივმა მრავალტანჯულმა:
„ტიდილო, ძლიერ ნუკი მაქებ და ნურც მაძაგებ,
250 მიცნობს არგიველთ ყველა გმირი და თემისთავი.
გვიჯობს გავწიოთ, ღამე გარბის, ახლოა დილა.
შორს მიილიგნენ ვარსკვლავები, ორ წილზე მეტი
გზა განვლო ღამემ და მესამე წილილა დარჩა“.

ასე წარმოთქვა, შეიმოსნენ მტკიცე საჭურვლით,
255 ტიდიდს უბოძა ორლესული რვალის ხანჯალი
მძლე თრასიმედემ (დარჩენოდა გმირს ხმალი გემზე).
ფარიც მიართვა. თავზე ხარის ტყავით დაწნული
ზუჩი დაჭხურა, უკბილო და უბიბილოო.
ასეთი ჩაჩქნით იმშვენებენ ხოლმე თავს ყრმები.
260 ოდისევსს მისცა მერიონემ მშვილდიც, კაპარჭიც,
ხმალიც, თავზე კი დაახურა ტყავის ჩაჩქანი,
შიგნიდან მკიდროდ ამოწნული ხშირი ღვედებით,
გადატკეცილი.

ხოლო გარეთ ეკიდა ჩაჩქანს
ტახის ეშვები, აქეთ-იქით მიქანაობდა
265 თეთრ, ღამაზ მწკრივად, გაყოფილი იყო შუაში.
ავტოლიკოსმა ელეონის ციხიდან იგი,
როს ჰორმენიდი ამინტორის სახლი დაამხო,

წაილო,

მისცა სკანდიაში გმირ ამფიდამანტს
კითერიელსა.

- 270 მან საამო ძღვნად მისცა მოლოსს,
ხოლო მოლოსმა — მერიონეს, მამაც ვაჟიშვილს.
ახლა ამ ზუჩმა დაამშვენა გმირი ოდისევს.
მათ საშინელი საჭურველი მსწრაფლ შეიმოსეს
და გაემართნენ.

თავკაცები დატოვეს მარტო.

- 275 მათ მოუვლინა სასწაულად ათენამ წერო
გზიდან ხელმარჯვნივ.

- ვერ ხედავდნენ ლამის წყველიადში
ფრთოსანს გმირები, მაგრამ მჟღერი ყვირილი ესმათ.
ჩხარა ბრძენმა ოდისევსმა, ქალღმერთს შესძახა:
„მისმინე ზევსის მძლე ასულო, შენ მეგულები
შრომაში შემწედ, და ამიტომ შენგან არ ვფარავ,
280 რაც მიფიქრია... იყავ ახლაც კეთილმოწყალე!
კვლავ ხომალდისკენ დაგვაბრუნე ძღვევამოსილნი,
ოდეს მოვრჩებით საქმეს, ტროელთ საბედისწეროს!“

ღმერთს შეევედრა დიომედეს, მძლე მეომარი:

- „ო, მეც მისმინე, უძღვეველო ზევსის ასულო!
285 მეყავ მეგზურად, როგორც ახლდი მამაჩემს ტიდევსს
თებე-ქალაქში.

ასოპოსის პირას დასტოვა

- გმირმა სპილენძისკვართიანი აქაველები,
რათა კადმოსელთ მოვლენოდა მშვიდობის ცნობით.
გზად კი სასმენად საზარელი რამ ჩაიდინა
290 და შენ, ქალღმერთო, შეეწიე, კეთილმოწყალევ!
ყავ სიყვარული და ბრძოლაში მეოხ-მეყავი!
ფართოშუბლიან და ბრწყინვალე მოზვერს გიზორავ,
ქედფიცხელს, კაცს რომ ჯერაც უღლით არ მოუხრია,
მსხვერპლად შეგწირავ ოქროცუტრვილ რქით
დამშვენებულს“.

- 295 ასე ილოცეს და უსმინა ღმერთმა პალასმა.

[როს დაამთავრეს ლაღადისი, ორივე გაიჭრა,

როგორც ლომები უკუნეთში, სიკვდილის ველზე
გადაიარეს სისხლის გუბე და გვამთა გროვა.]

ამ დროს ჰექტორმა ტროელთ ძილის ნება არ დართო.

- 300 ბჭობად შეკრიბა თავკაცები კეთილშობილნი,
მოუხმომო ყველა ერისმთავარს, ბრძენ მოთათბირეს.
და რა შეკრიბა, საზრიანი სიტყვა უბრძანა:
„ღიადი განძის საფასურად ვინ დამპირდება
საქმეს მამაცურს? ჯილდოს მართლაც მიიღებს

მდიდრულს:

- 305 ეტლს და ამაყად ქედმორკალულ ფეხმარდ უღაყებს,
მჭობთა უმჭობესთ, რასაც ვნახავთ აქაველთ გემთან,
ვინც კი გაბედავს (ღმერთმა მისცეს დიდების ძალა!)
ლამის წყვილიადში ხომალდების ჩუმად დაზვერკას.
ისევ იქ დგანან დარანდული მძიმე გემები,

- 310 თუ აქაველნი, ჩვენი ძალით ღონემიხდილნი,
ერთურთს ურჩევენ უკულტოლვას და აღარ ნებავთ
შრომით მაშვრალი გუშაგები ჰყავდეთ ამაღამ?“

ასე ამბობდა, ღრმა დუმილი იყო პასუხად.

ტროელებს ახლდა ვინმე დოლონ, ძე ევმედესი

- 315 ოქრომრავალი მეომარი, სპილენძმრავალი,
შეუხედავი, თუმც ფეხმარდი.

მის მამას, მაცნეს,

ხუთი ასული გარს ეხვია, ძე ჰყავდა ერთი.

ტროელთ წინამძღოლს ასე უთხრა მაშინ დოლონმა:

„ჰექტორ, აღმენტო ახლა სული, გული მიმიწევს —

- 320 ღამის წყვილიადში აქაველთა გემნი დავზვერო.
აღაპყარ კვერთხი, შემომფიცე, იმედი მომეც,
ცხენებს ქედფიცხელს რომ მარგუნებ, რვალით მოოქვილ
ეტლსაც, ლომგული აქილევსის დამამშვენებელს.
როდი ვიქნები ცრუმაცნე და ამაოდ მთქმელი:

- 325 თავით ბოლომდე ვნახავ ბანაკს, ვიხილავ გემებს,
აგამემნონის ხომალდებსაც, აქაველ თავკაცთ,
რომელნიც ბჭობენ იომონ, თუ დასტოვონ ბრძოლა“.

ასე თხოვა და პრიამეს ძემ შემართა კვერთხი:

„ზევისი მყავს მოწმედ, ჰერას ქმარი, რისხვით მქუხარი!

330 არ ამხედრდება სხვა ტროელი პელიდის ცხენზე,
მხოლოდ შენ გელის ეს დიადი პატივ-დიდება!“

თქვა და ამოა ფიცი მისცა გულის აღმგზნები.

გმირმა მოიგლო ბეჭზე მრუდე მშვილდი, კაპარჭი,
მხრებზე რუხი მგლის ბანჯგვლიანი ტყავი მოისხა,

335 ქრცვინის ჩაფხუტი ჩამოიცვა, შემართა შუბი
და გემებისკენ გაუტია, მაგრამ უკანვე

როდი ეწერა კვლავ მოსვლა და ამბის მოტანა.

შორს მოიტოვა ცხენთა რემა და ბრბო მხედართა,
ძნელ გზას დაადგა.

მსტოვრის მოსვლა შენიშნა მალე

340 ზევსის შობილმა ოდისევსმა და მეგზურს უთხრა:

„ვატყობ, ტროელთა ბანაკიდან მოდის ეს კაცი,

მაგრამ არ ვიცი, ჩვენს ხომალდებს მიერჩის მსტოვრად,
თუ ვისმე გვამის გასაძარცვად მოიძურწება?

მიუშვათ, გვერდზე ჩაგვიაროს გულდანდობილმა,

345 შემდეგ მივექრათ და ხელიდან ველარ წაგვივა.

იცოდე, როცა შეეცდება ჩვენგან გაქცევას,

უყელე, რომ სულ გემებისკენ ეჭიროს გეზი,

შუბი მრისხანედ მოუღერე, რომ ვერ დაგვისხლტეს“.

ასეც გადაწყდა და გზისპირას, გვამთა გროვასთან

350 ორივე ჩაჭდა.

გაურბინა უგნურმა ცხვირწინ.

იმდენზე გასცდა, რამდენსაც ხნულს გაიტანს ჯორი:

მათ ხომ უფრო შორს გააქვთ ხოლმე, ვიდრე ზანტ ხარებს
ერკვეანი, ხნულში ღრმად ჩამჭდარი, კულან-მაგარი.

ფეხდაფეხ მიჰყვნენ.

ჩქამი ესმა, მყისვე შეჩერდა.

355 გულში გაივლო, ბანაკიდან თუ მომდევნო,

რომ ისევე უკან გამიხმონო ჰექტორის ნებით.

როგორც კი შუბის მისაწევი მანძილი დარჩა,

მყის იცნო მტრები და სილტოლვად მოსწყდა ფეხმარდი.

სწრაფად მდევრები გამოენთნენ მსტოვარს გაქცეულს.
360 როგორც კბილბასრი მისდევს ხოლმე ორი მწვეარი
ქურციკს თუ კურდღელს, წამოაგდებს და არ ეშვება,
წარაფის გასწვრივ მიხტის მსხვერპლი წივილ-წივილით,
ასე ტიდიდი და ოდისევს ქალაქთმნგრეველი
ლაშქარს მოწყვეტილს მსტოვარს წამით არ ეშვებოდნენ.†

365 როდესაც ლამის აქაველთა გუშავს წაადგა
ლტოლვილი, ტიდიდს შეაპარა ექვი ათენამ,
ვინძლო აქაველს რომელიმეს რვალისკვართიანს
არა რგებოდა წილხედომილი მისი დიდება.

მსტოვარს ოროლი მოუღერა და შეუყვილა:
370 „დადექ, ტიალო! არ აგცდება ჩემი ხელშუბა
და იმედი მაქვს, ვერ წაუხვალ გარდუვალ სიკვდილს!“

თქვა და გასტყორცნა, მაგრამ განგებ გვერდზე უმიზნა:
მარჯვენა მხართან გაუქროლა ელვარე შუბმა,
მიწას დაერჭო.

მოყმე შედგა გახევებული.
375 ბაგეს აუტყდა თრთოლვა, პირში კბილებს — კაწკაწი.
გაფითრდა.

მსტოვარს მყის მიეჭრნენ გმირნი ქოშინით
და ხელი სტაცეს.

შელაღადა აცრემლებულმა:
„ო, შემიბრალეთ! გამოსასყიდს მოგცემთ უთვალავს,
სახლში მიყრია ოქრო-ვერცხლი, რკინა, სპილენძი,
380 ვერც კი დაითვლით, მამაჩემი იმდენ განძს მოგცემთ,
თუ ყური მოჰკრა, რომ ცოცხალი აქაველთ ტყვე ვარ“.

პასუხად უთხრა ოდისევსმა ჭკუაუღევმა:
„იყუჩე და გულს განაშორე სიკვდილზე ფიქრი.
სჯობს მიპასუხო, ოღონდ მარტო სიმართლე მითხრა:
385 გემებთან ახლოს მარტო რატომ დაეხეტები
ლამის წყვდიადში, როცა ქვეყნად ყველა კაცს სძინავს,⁹
მკვდრების გაძარცვა გინდა, ბრძოლის ველზე რომ

წვანან?
იქნებ ჰექტორმა გამოგგზავნა, რომ ჩვენ დაგვხვევრო,

თუ შენმა გულმა გიკარნახა გემებთან მოსვლა?“

- 390 ფერმიხდილ დოლონს მუხლთ უთრთოდა, როცა მიუგო:
„ჰექტორმა ჩემდა სავალალოდ გადამაცდინა,
დამპირდა მტკიცეფლოქეებიან პელიდის ცხენებს,
ეტლს გიბოძებო საუცხოოს, რვალით მოოჰვილს.
მაგრამ მიბრძანა ღამის წყევდიადს შევფარებოდი,
395 თქვენს მტრულ ბანაკთან მოვსულიყავ და დამეზვერა —
ისევ აქ დგანან დარანდული ძძიმე გემები,
თუ აქაველნი, ჩვენი ძალით ღონემიცილინი,
ერთმანეთს ურჩევთ უკულტოლვას და აღარ გნებავთ
შრომით მაშვრალი გუშაგები გყავდეთ ამალამ“.

- 400 ღიმლით უთხრა ოდისევსმა ჰკუაულებმა:
„ო, საჩუქარი შენს სულს დიდი მოსურვებია —
პელიდის ცხენნი! სასტიკია მისი ცხენები —
კაცი არ არის, არ უჭირდეს მართვა იმათი,
გარდა დიადი აქილევსის, ქალღმერთის ძისა!
405 ესეც მითხარი, ოლონდ იყოს მხოლოდ სიმართლე:
როს მოდიოდი, სად დატოვე გმირი ჰექტორი?
სადაა მისი საჭურველი, მარდი ცხენები?
სად დგას ტროელთ სპა, სად — ბანაკი, სად — გუშაგები?
რა აზრს დაადგენ — მტკიცედ თუ აქვთ გადაწყვეტილი,
410 აქავე დარჩნენ ქალაქგარეთ, თუ სურთ, ხომალდებს
მოსცილდნენ, თითქოს უკვე დასცეს აქაველები?“

ოდისევსს უთხრა ევმედეს ძემ დოლონმა ისევ:
„გმირო, სიმართლეს მოგახსენებ.

- როცა წამოვედ,
ჰექტორი დარჩა მოთათბირე თემისთავებთან,
415 მყუდრო ადგილას, სად საფლავი არის ილოსის.
გუშაგებზედაც მკითხე, ბევრი არაფერია,
რომ შეძლონ დაცვა ბანაკისა ან ფხიზლად ყოფნა.
სადაც კოკონი ღვივის, მხოლოდ იქ დგას გუშაგი,
გუშაგი გუშაგს სიფხიზლეს სთხოვს.

- ამ დროს შორჰყევნელთ,
420 ტროელთ ქომავებს არხეინად სძინავთ და ღამით

ბანაკის დაცვას მართო ტროელ მოყმეთ ანდობენ,
თვით დედაწული ახლო-მახლო რაკი არ ახლავთ“.

კვლავ ჩაეკითხა დოლონს მაშინ გმირი ოდისევს:
„როგორ, ტროელებს შეერივნენ მოკავშირენი,

425 თუ ცალკე სძინავთ? მსურს ვიცოდე, აბა, მითხარი!“

ოდისევსს უთხრა ევმედეს ძემ დოლონმა ისევ:

„გეტყვი ყველაფერს და მოგითხრობ სიმართლეს მხოლოდ.

ზღვასთან კარიელთ და მშვილდოსან პეონთ რაზმია,

აქ ლელეგთა, კავკონთა და ღვთიურ პელაზგთა:

430 თიმბრესთან დგანან ლიკიელნი და მისიელნი,

მეონიელთა მხედრობა და სპა ფრიგიელთა...
მაგრამ რად გინდათ, რატომ მკითხავთ წვრილად

თუ ორივეს გსურთ შეაღწიოთ ტროელთ ბანაკში,

აგერ კიდევ ახალმოსულ თრაკიელთ ნახავთ.

435 მათ ახლავთ მეფე რესოს, ვაჟი ეიონევსის.
მინახავს მისი მშვენიერი, ფიცხელი რაშნი,
თოვლზე სპეტაკნი, მარულაში ქარზე სწრაფები.

ოქრო და ვერცხლით მოოქვილი ეტლი აქვს რესოსს.

თვით შვენის ოქროს საჭურველი, თვალს ვერ უსწორებ!

440 ისეთი მოსავს მშვენიერი აბჯარ-ბეჭთარი,

რომ კაცს კი არა, უკვდავ ღმერთებს დაამშვენებდა!

ახლა მალემსროლ აქაველთა ხომალდს მიმგვარეთ,

ან აქ დამტოვეთ შებორკილი და როცა უკან

მოხვალთ, გმირებო, უეჭველად თვით დარწმუნდებით —

445 სიმართლეს ვამბობ, თუ სიმრუდე ისმინეთ ჩემგან“.

მრისხანედ უთხრა დიომედემ შეუდრეკელმა:

„დოლონ, თუმც ბევრი რამ გვიამბე, გულს არ გაივლო

იმედი ხსნისა, რაკი ახლა ხელთ ჩაგვივარდი!

დღეს რომ გაგიშვათ კვლავ ბანაკში თავისუფალი,

450 შენ ისევ მოხვალ აქაველთა სწრაფ ხომალდებთან

დასაზვერადად ან აშკარად შესარკინებლად,

მაგრამ თუ სული ჩემს ხელთა ქვეშ აღმოუტევე,

შემდეგ არგიველთ ველარაფერს დააკლებ შენა!“

ასე თქვა. თრთოლვით რომ შეახო ნიკაპზე ხელი
455 მავედრებელმა, დიომედემ მაშინ აძგერა
ყელში ხანჯალი, გადაუჭრა მყისვე ძარღვები,
ჯერ კიდევ მეტყველს დაუხეთქა მიწაზე თავი.
მსტოვარს მოაძვრეს მუზარადი ქრცვინის ტყავისა,
მოქნილი მშვილდი და ვეება შუბი წაპგლიჯეს
460 და ოდისევსმა ეს ყოველი უძღვნა ათენას,
ხელაღპყრობილმა შეჰლაღადა მხურვალე ლოცვა:
„ზორვა, ღმერთქალო, გიხაროდეს! შენ ოლიმპოზე
მუდამ პირველნი შეგლაღადებთ, ოდეს ვლოცულობთ!
მიგვეყვ თრაკიელთ ცხენ-მხედართა ბანაკისაკენ!“

465 ასე თქვა, შემდეგ საჭურველი მწვანე ყოლოზე
ღადო, ნიშანიც ზედ დაურთო გამოსაჩენი:
ღერო, შტოები მოამტვრიეს მწიფე ყოლოსი,
რომ შავ ღამეში ამ ადგილს არ ასცილებოდნენ.
გადაიარეს გვამთა გროვა, სისხლის ნაკადი.

470 და თრაკიელთა განაპირა ბანაკს მიადგნენ.
მებრძოლთ ეძინათ შრომით მაშვრალთ და საჭურველი
გვერდით, ღამაზად მოკაზმული ეწყო სამ რიგად
და ყოველ რიგში ჩამდგარიყო წყვილი მერანი.
რესოსს ეძინა შუაგულში, მარდი ცხენები

475 გვერდით ეყენა, საუცხოო ეტლზე მიბმულნი.
პირველად იგი ოდისევსმა აჩვენა ტიდიდს:
„აჰა, ეს კაცი, დიომედევ, ჰა, ეს ცხენებიც,
ჩვენ რომ დოლონმა მიგვანიშნა, აწ განგმირულმა.
დაიწყე, ძალა საშინელი წარმოაჩინე,

480 დრო არ გვაქვს ბასრი იარაღით უქმად დგომისა.
ცხენებს მიხედე! ან მტერს დასცხე, სხვა ჩემზე იყოს!“

ტიდიდს შთაბერა თვალმცეცხლია ათენამ ძალა,
ჩეხვა დაიწყო გმირმა, გმინვა გაისმა ირგვლივ,
ხმლით განგმირულთა სისხლმა წითლად შეღება მიწა.

485 [ლომი რომ არვეს წააწყდება, ფარას დაუცველს,
თხათა და კრავთი სისხლის მდომი მსწრაფლ დააცხრება, —
ასე თორმეტი თრაკიელი მოსრა-ტიდიდმა.]

- ხოლო იმავ დროს ოდისევსი ჭკუაუღევი
 გვამებს, აჩეხილს ორლესულით ტიდიდის მიერ,
 490 ფეხებით სწრაფად დაითრევედა, გვერდზე გაჰქონდა,
 რათა ცხენები თრაკიელთა, სქელფაფრიანნი,
 თან წაჰყოლოდნენ თვინიერად, არ შემკრთალიყვნენ,
 როცა გვამებზე გაივლიდნენ მიუჩვეველნი.
 ბოლოს მიადგა დიომედე თვით მძინარ მეფეს
 495 და იგი იყო მეცამეტე, ვისაც სიცოცხლე
 წარსტაცა. მოყმეს თავს წაადგა სიზმარში ჩაფლულს,
 ათენას რჩევით მოსული ძე ოინეიდის.
 ერთ მთლიან ფლოქვად ქვეულ ცხენებს ახსნა სადავე
 ერთურთს მიაკრა ოდისევსმა, გამოატარა,
 500 მშვილდს სცემდა, ფიქრად არ მოსვლია, ჭრელი მათრახი
 აელო მეფის ჩუქურთმებით მორთულ ეტლიდან.
 შემდეგ ტიდევსის ძეს ნიშანი მისცა მან სტვენით.
 ის კი ფიქრობდა, სამამაცო რა ვქნაო კიდევ:
 ეგების ეტლი დავითრიო საჭურვლით სავსე,
 505 ხელნაზე ვტაცო ხელი, ან მთლად ციმ-ციმ წავიღო,
 თუ მეტ თრაკიელს ავართვაო სული მახვილით?
 როცა ამ ფიქრში იყო, მაშინ მიუახლოვდა
 თვითონ ათენა და მიმართა მძლე დიომედეს:
 „გაცლა იფიქრე, ო, ტიდევსის ძევ სულზვიადო!
 510 გემს გამოფულრულს დაუბრუნდი, ვერც კი გააღწევ,
 თუ ტროელთ ღმერთი გააღვიძებს, მტრად მოვლენილი“.

ასე უთხრა და მოყმემ იცნო ხმა ქალღმერთისა,
 სწრაფად ამხედრდა, ოდისევსი ორსავე მერანს
 მშვილდს სცემდა, ცხენნი მიგელავდნენ ხომალდებისკენ.

- 515 ამ დროს მზრუნველმა აპოლონმა შორსმოისარმა
 შენიშნა, გმირებს რომ თან ახლდა ღმერთი ათენა,
 გამწყრალი მყისვე გაექანა ტროელთ ლაშქრისკენ.
 იქ გააღვიძა თრაკიელი ჰიპოკოონტი,
 მეფე რესოსის ნათესავი.

წამოხტა გმირი,

- 520 ფერი წაერთვა, რომ შეხედა ცხენების სადგომ . . .

ცარიელ ადგილს, ჯერაც მფეთქავ მებრძოლთა გვამებს.
გმინვით ეძახდა სახელს თავის მოძმეს საყვარელს.
ტროელთ ბანაკში საშინელი განგაში ატყდა.
მოიჭრნენ გმირნი საზარ საქმით გაოცებულნი,
525 გემს შეფარებულ აქაველთა ნამოქმედარიით.

როს მიაღწიეს ადგილს, სადაც დასცეს მსტოვარი,
შმაგი ცხენები შეაჩერა მყის ოდისევსმა.
ტიდიდმა ხელში სისხლიანი დავლა აიღო,
მისცა ოდისევსს, კვლავ ამხედრდა, ცხენს აჩქარებდა,
530 მაგრამ მორჩილად მიგელავდნენ გამოფულრული
გემებისაკენ, იქითკენვე უწევდათ გული.

პირველად ნესტორს შემოესმა თქარუნი და თქვა:
„ო, არგიველთა საყვარელო თემისთავებო!
ვცდები თუ არა, მაინც ვიტყვი, მე გული მიგრძნობს:
535 ფეხმარდ მერანთა თქარა-თქური მოესმა ყურთა.
ნეტავ ლაერთის ძე მოჭროდეს, ან დიომედე
ერთ მთლიან ფლოქვად გადაქცეულ ტროელთა ცხენითი
მაგრამ გული თრთის, ახა-ვაი, თუ დაზარალდნენ
ტროელთ ბანაკში არგიველთა მძლე მეომრები:“

540 სიტყვა ბოლომდე არც კი უთქვამს, ამ დროს გამოჩნდნენ,
დაიქვეითეს.

შეეგებნენ აღტაცებულნი
გაშლილი ხელით, ტკბილი სიტყვით არგიველები.
პირველმა ჰკითხა მათ ნესტორმა გერენიელმა:
„გვამცნე, ოდისევს, აქაველთა ლაშქრის დიდებავ,
545 როგორ ჩაიგდეთ ხელთ ცხენები?

განა ტროელებს
შეხვდით ჩიქურად?

თუ გზად ღმერთმა გაჩუქათ რაშნი,
მზის ნათელ სხივებს მშვენებით რომ ემსგავსებიან?
ბევრი მინახავს ტროელები, ვიცი, რომ უქმად
არ ვისვენებდი გემების წინ, თუმც ვარ ჭალარა,
550 მაგრამ ჯერ ასეთ ბელაურებს არ მოვსწრებივარ!

უეჭველია, ღმერთი შეგხვდათ გზად და გიბოძათ!
ორივე უყვარხართ ერთნაირად ზევსს ღრუბელთმარეკს
და ზევსის ასულს, თვალმცეცხლია ქალღმერთ ათენას!“

მიუგო მოხუცს ოდისევსმა ჰკუაულებმა:

555 „ნესტორ, ნელევსის ძევ, აქაველთ ლაშქრის დიდებავ!
ღმერთს, თუ ინებებს, უკეთესი ცხენებიც ძალუძს
გვაჩუქოს, ღმერთი ხომ უსაზღვროდ მძლავრი ბრძანდება!
ჰოდა, მოხუცო, თრაკიელთა რაშნი ბანაკში
მხოლოდ ასლახან გაჩნდნენ.

მათი მეფე ტიდიდმა
560 მოკლა, დააკლა ზედ თორმეტი თანამებრძოლიც.
ერთიც მოვკალით, მეცამეტე, მსტოვარი გემთან,
იგი ამ ღამით მზირად ჩვენი დიადი ლაშქრის
გამოეგზავნათ ჰექტორსა და სხვა დიდებულებს“.

თქვა და ერთ ფლოქვად ქცეულ ცხენებს თხრილზე

გადაჰყვა

565 ამაყი მოყმე, გმირთა დასით გარსშემორტყმული.
მაღე მიადგნენ დიომედეს მშვენიერ კარავს,
კოხტად დაჭრილი ღვედებისგან შეკრულ სადავით
თავლას მიაბეს ბედაურნი, სად დიომედეს
ჰყავდა სხვა რაშნიც, ტკბილი პურიც ნასაზრდოებნი.

570 ხოლო დოლონის საჭურველი მძლე ოდისევსმა
გემზე წაიღო, შესწირავდნენ ვიდრე ათენას.
შემდეგ ჩაყვინთეს ზღვის ტალღებში, ოფლი და მტვერი
ჩამოირეცხეს წვივებზე და მუხლისთავეებზე
და როცა ზღვის წყლით განიწმინდნენ ოფლისგან,
მტკრისგან,

575 გამოაცოცხლეს სხეული და გული ხალისით,
ლამაზად გათლილ გობში ტანი კვლავ განიბანეს,
სხეული ზეთით დაიზილეს სურნელოვანით
და სანადიმოდ დასხდნენ.

თასით დიად ათენას
ღვინო უსხურეს საზედაზე, თაფლზე უტკბესი.

ქება მეთერთმეტი

აბაშონის გმირობა

- ტითონის ტკბილი სარეცელი დათმო ეოსმა,
სხივი საამო მოაფინა მოკვდავთ და უკვდავთ.
ამ დროს ერისი აქაველთა სწრაფმსრბოლ გემებთან
საბრძოლო ნიშნით მოავლინა ღრუბელთბატონმა.
- 5 ბანაკის შუა რომ ეყენა ოდისევსს გემი,
ერისი დადგა ზედ, მისი ხმა რომ მისწვდენოდა
შორეულ კარვებს აიანტის, აქილევისა,
მრავალხოფიან ხომალდებით სულ განაპირას
აქეთ და იქით მდგომთა თვისის ძალის იმედით.
- 10 საშინელი ხმით შემოჰკვივლა შულლის ქალღმერთმა
აქაველ მოყმეთ და ყოველთა გულში შთაბერა
ძალა ფიცხელი, კვლა და კვლაცა ომის მსურველი.
ყველას ეტკბილა სისხლისმღვრელი ბრძოლა იმ წამსვე,
ვიდრე ფუღღრო ხომალდებით შინ დაბრუნება.
- 15 ატრიდიც ბრძოლად სარტყლის შეკვრას ხმამალღივ
სთხოვდა
სპას არგიველთა და თვითონაც ისხამდა სპილენძს.
თავდაპირველად მძლავრ ფეხებზე საბარკულები
მჭიდროდ შეიკრა გმირმა ვერცხლის წვივსაკრავებით;
მკერდს დიდებული სამკერდული შემოტმასნოდა,
- 20 იგი კინირეს მიუცია საძღვნოდ ოდესლაც:
ხმა გავარდნილა კვიპროსშიაც, რომ აქაველებს
სურთ ხომალდებით დალაშქრონო ქვეყანა ტროის,
და იმ დღეებში ძღვენით მეფე უამებია.
სამკერდულს ათი დაჰყვებოდა ფოლადის ზოლი,
- 25 თორმეტი ოქროს ხაზი, ოციც — თეთრი ბრპენისა.
კლაკვნიტ იწევდნენ დრაკონები ზევით, კისრამდე,
სამ-სამნი, მსგავსნი ცისარტყელის, რომელსაც ზევსი
ღრუბელს დააფენს ხოლმე კაცთა გასაოცებლად.
მხარზე აისხა ხმალი, ვადა უელვარებდა
- 30 ოქროს სამსკვალით, ხმლის ქარქაში ჰქონდა ვერცხლისა
და ოქროს ღვედზე იყო იგი დაკიდებული.

- ასწია ყოველის დამფარველი ვეება ფარი,
 ირგვლივ რომ ერტყა ათი სალტე სპილენძ-რვალისა
 და გარდიგარდმო ოცი ბრპენის თეთრი კორტოხი,
 35 ამოჩრილიყო მათს შუაში შავი ფოლადი,
 საზართვალემა გორგო ბოლოს ფარს ამშვენებდა,
 რომელსაც თან სდევს სილტოლვაც და საშინელებაც.
 ვერცხლისა ჰქონდა სახელური ფარს, ზედ ღრაკონი
 იკლაკნებოდა; ერთმანეთზე გადაეხლართა
 40 მას სამი თავი, ამოსული ერთი კისრიდან.
 ზუჩი დაიდო, ოთხი ჰქონდა ზედ ოდრიკალი,
 ძუის ჯილაზე ირხეოდა მკაცრი ბიბილო.
 ორი ოროლი ხელთ აიღო, რვალით ნაჰედი,
 სპილენძის სხივი შორს, ზეცამდე, ულაპლაპებდა.
 45 გრგვინვით მალლიდან ათენა და ქალღმერთი ჰერა
 ესალმებოდნენ ოქროუხვი მიკენის მეფეს.

ყოველმა მოყმემ თავის მეაბჯრეს უბრძანა მაშინ
 ცხენნი დაეწყათ და სანგრის წინ მწკრივად ჰყოლოდათ.
 თვით კი ქვეითად წინ გაიჭრნენ აბჯარასხმულნი,
 50 შუბშემართულნი.

საზარელი გნიასი ატყდა,
 მხედრებს გაასწრეს და სანგრის წინ დაეწყვნენ ბრძოლად.
 შორს მოჰყვებოდნენ ცხენოსნები; ძრწოლა და შიში
 მათ შეაპარა მალლით ზევსმა, ციდან ცვარ-ნამი
 ასხურა სისხლში აღრეული.

იგი უქადდა

- 55 ჰადესის შავბნელ სავანეში შთანთქმას მამაცებს.

- ტროელთ ზეგანი ეპყრათ, ბრძოლად ემზადებოდნენ,
 ჰექტორს შეუდგნენ, პულიდამანტს და გმირ ენეასს,
 რომელსაც, ვით ღმერთს, აღიდებდა ყველა ტროელი,
 ანტენორის ძეს — სამს: პოლიბოსს, ღმრთებერ აგენორს
 60 და მათს უმრწემეს ძმას — აკამანტს, უკვდავთა სადარს.
 ჰექტორს პირველთა შორის ეპყრა ბაკმული ფარი.
 როგორც ვარსკვლავი გამოჩნდება ღრუბლის ქუელიდან,
 დროდადრო ბრწყინავს და დროდადრო მიიმალება,

ისე ჰექტორიც, მეწინავე სპათა დამწყობი,
65 კვლავ მეომართა ბოლო რიგებს უბრუნდებოდა.
რვალი ელავდა, როგორც ელვა ეგიოხ ზევსის.

[როგორც მომკელნი ეწყობიან ხოლმე პირისპირ,
ქერის თუ ხორბლის მოსამკელად მდიდრის ყანაში,
სვეს მიჰყვებიან შესახვედრად, ძნა ძნაზე ცვივა, —

70 ასე მიაწყდნენ ტროელნი და აქაველები
ერთუროს, ფიქრადაც არ მოსვლია არვის გაქცევა.)
ერთგვარად მისცეს თავი ბრძოლას, ბრდღვენდნენ, ვით
მგლები.

უბედურების მიზეზს ერისს შვება მიეცა,
ღმერთთაგან მხოლოდ იგი განდა მოწამე ქლეთის.

75 სხვა ღმერთნი ბრძოლას განერიდნენ დიდხანია,
მშვიდად სუფევდნენ თავ-თავიანთ სავანეებში,
დიდი ოლიმპოს ზთაგრეხილზე რომ უდგას ყოველს.
მაინც კილავდნენ ღრუბელთმარეკ სასტიკ კრონიონს,
რომელმაც ტროელთ მიანიჭა ძლევის დიდება.

80 ყურს არ უგდებდა დრტვინვას მამა, ყველას გასცილდა
და ცალკე იჯდა, სიხარულით თვისით ამაყი,
ქვრეტდა ტროელთა ციხე-ქალაქს, აქაველთ გემებს,
სპილენძის ციგლიგს, ბრძოლის ველზე მკვლელსა და
მოკლულს.

სანამდის დილა მიიღია და დღემ იძალა,
85 აქაც და იქაც ისრის წვიმა სპობდა მეომრებს.
[შეშისმკრელი რომ სადილს იწყობს, სერის ჩეროში
მოიკალათებს, მას შემდეგ რაც გაძლა მარჯვენა
კორომთა ბელვით და სულს ტკბილი სიმშვიდე ელის,
გრძნობას დაიპყრობს საზრდოს ნდომა, სწორედ ასეთ
დროს]

90 დანაელებმა გაარღვიეს ტროელთ ფალანგნი.]
ატყდა ყიჟინა უცაბელი.

თავდაპირველად
ფგამემნონმა ბიენორი დასცა სვიანი,
ზედ მიაყოლა ოილევსიც, ცხენთ მარბიელი,
როს წინ აღუდგა ჩამომხტარი რვალის ეტლიდან.

95 ბასრი ოროლი განუწონა შუბლში მოსისხარს,

ვერ დააკავა შუბისწვერი სპილენძის ზუჩმა,
ძვალი გააპო, გაიჭედა თავის ქალაში,
სისხლი და ტვინი აღურია, გზნება დააცხრო.
თეთრად ელავდა მტერთა გვამნი.

მამაცთა მეფემ

- 100 ავამემნონმა ტყავკაბა და კვართი გააძრო.
შემდეგ მიეჭრა ანტიფოსს და ისოსს ჭიქურად —
პრიამოსის ძეთ — ერთს საკუთარს და ერთს ნაბუშარს.
ეტლსა მართავდა ბუში, ხოლო გმირი ანტიფოს
გულმხნედ იბრძოდა.

ამასწინათ აქილეუსს ძმები

- 105 შეეპყრა, როცა ცხვრებს მწყემსავდნენ ილას კალთებზე,
წკნელით შეეკრა, მაგრამ საზლოს ფასად გაეშვა.
ახლა ისინი ატრევსის ძემ დასცა ძლიერმა,
ზედ ძუძუსთავთან გაუყარა ოროლი ისოსს,
ხოლო ანტიფოსს ორლესული ჩასცხო ყვრიმალში,
110 სწრაფად ახადა მშვენიერი ბექთარი მოკლულთ
და გაახსენდა: აქაველთა გემთან ენახა,
როს ილას მთიდან მოიყვანა ტყვენი პელიდმა.

- (ლომი უმწეო ირმის ნუკრებს რომ დააცხრება,
საზარ კბილებით ბუნაგისკენ მყის გააქანებს,
115 ქანგებით დაფლეთს, ნორჩ სიცოცხლეს მოსტაცებს
ბედკრულთ.

რაც უნდა ახლოს იყოს დედა, ვეღარ უშველის,
რადგან მის გულსაც შიშის თრთოლვა დაუფლებია:
წყვდიად ქალაში, ხშირ ბუჩქებში მიჭრის ფეხმარდი,
ოფლი სდის ღვარად და გაურბის ნადირს ულმობელს, —

- 120 ასე განწირულთ ხელი ვერვინ ვერ შეაშველა:
თვით გაურბოდნენ ტროელები მამაც არგიველთ?

შემდეგ კი მისწვდა პეისანდროსს და ჰიპოლოქოსს,
თურმე მათს მამას — ანტიმაქოსს პარისისაგან
დიდძალი ქრთამი მიუღია და თავსა სდებდა,

- 125 რომ მენელაოსს არ მივცეთო ისევ ელენე.
ამ კაცის ორსავ ძეს მიეჭრა ავამემნონი,
ისინი ეტლზე იდგნენ, ცხენებს მიაგვლვებდნენ,

მაგრამ ბოლომდე აღარ შერჩათ ხელში სადავე.
ორივე დაიბნა და მივარდა ვით შმაგი ლომი

130 მებრძოლთ ატრიდი;

საწყალობლად მათ შეღალადეს:

„ატრევსის ძეო, ნუ დაგვლუპავ! მიილე საზღო:
ბევრი განძი აქვს ანტიმაქოსს, ბევრი სპილენძი,
ბაჯალლო ოქრო, ოსტატურად ნაქედი რკინა.
ხალისით მოგცემს აურაცხელ განძს მამაჩვენი,

135 თუ ხმას მიაწვდენ, რომ აქაველთ გემებთან გყავართ!“

ასე ევედრნენ შეწყალებას სათნო სიტყვებით,
მაგრამ პასუხმა არასათნომ შეზარა სმენა:

„ანტიმაქოსის ძენი თუ ხართ, რომელიც ტროელთ
ურჩევდა, როცა მათ ეწვია მენელაოსი

140 ელჩად ღვთაებრივ ოდისევსთან ერთად მისული:

აქვე მოვსპოთო, არ გავუშვათ აქაველებთან, —
მაშინ ამ ბოლმას ღირსეულად მე გაზღვევინებთ!“
თქვა და ძლიერი დარტყმით დასცა პეისანდროსი,
მკერდგანგმირული ყრმა პირალმა დაასკდა მიწას.

145 ჰიპოლოქოსი ძირს გადმოხტა, ისიც განგმირა,
ხელი მოჰკვეთა ორლესულით, მოსხიპა თავი,

(გვამი გაგორდა, ვით დოლაბი ძალით დაძრული.)

შემდეგ გასწია, სად შეეკრათ რკალი ფალანგებს,
მიჰყვნენ საბარკულმშვენიერი აქაველებიც.

150 ქვეითი ქვეითს გაედევნა, მხედარი — მხედარს

(ცად აიმართა მტერის ყომრალი კორიანტელი,
ცხენთა ფლოქვების მძლავრი ცემით ველზე აღმდგარი).
რკალი აძგერეს ერთურთს სპათა, აგამემნონი
სპობდა ოტებულთ და ყიჟინით ჯარს ამხნევებდა.

155 შთანთქმელი ალი ყაჩაღურად ტევრს რომ შეებმის,

მყისვე სანახებს გადააწვდენს ცეცხლს ქარაშოტი
და ხე ტკაცუნით ენარცხება ხანძრით ძლეული.

ასე ატრიდის ხელით ტროელთ თავნი ცვიოდა,

სპათა ლტოლვილთა, ქედფიცხელი ცხენნი გრუხუნით

160 მიაქროლებდნენ ბრძოლის ველზე ეტლებს ცარიელს,

მხედართ ეძებდნენ, ისინი კი მინდვრად ეყარნენ
ცოლებზე უფრო ყვაე-ყორანთა საამებელად.

ხოლო ჰექტორი გაარიდა კრონიდმა ბრძოლას,
მარცხი აშორა, სისხლისღვრა და შმაგი განგაში.

- 165 ატრიდი მაინც არ მოეშვა, სპაც წააქეზა,
მტერი აოტა, სად ილოსის იდგა ტაგრუცი.
ილტვოდნენ სპანი, ქალაქისკენ უწევდათ გული
და იყო ერთი რია-რია ლელვის ხის ახლო.
ფეხდაფეხ სდია, ხელი სისხლში დაალტო მეფემ.
- 170 მაგრამ მუხასთან, კარიბჭესთან შედგნენ ტროელნი
და ოტებულთა უკანასკნელ ბრბოებს ელოდნენ.
მორბოდნენ სპანი, ვით ზმუილით გაურბის ზროზა
შუალამისას დამშეულ ლომს, მთელ ჯოგს რომ ზარავს.
მაგრამ მხოლოდ ერთს აღსასრული მოელის მისგან,
- 175 კისერს მოუგრებს, როს ჩააველებს ალესილ ღოჯებს,
გაშმაგებული დააცხრება სისხლს და შიგნეულს.
ასე მისდევდა აგამემნონ სულმოუთქმელად,
ჩამორჩენილებს სულსა ხდიდა შუბით, სრბოლის დროს
პირაქვე, პირადმა ასკდებოდნენ მიწას ტროელნი —
- 180 ატრიდის მსხვერპლნი — მძვინვარებდა ბასრი ოროლი.

როს ღვაწლისამძლე ქალაქსა და მადალ გალავანს
მიადგა, მაშინ ზევსი — მამა ღმერთთა და კაცთა
ჩამოსულიყო წყალმრავალი იდას თავქედზე,
მარჯვენა ხელში ელვა ეპყრა.

მყისვე მიმართა

- 185 ღმერთების მაცნეს, ქალღმერთ ირისს ოქროსფრთებიანს:
„გასწო, ირისო, გადაეცი ბრძანება ჰექტორს:
ჯერ შორით ნახოს, ხალხთა მწყემსი აგამემნონი
ვით დარევია და მუსრს ავლებს აბჯროსანთ რიგებს!
თვით გაერიდოს ატრიდს, მაგრამ სხვები აღავზნოს,
- 190 რომ გაუმართონ ხელჩართული ბრძოლა აქაველთ.
მაგრამ როს ისრით ან ოროლით მოერევიან,
ეტლზე ამხედრდეს, მივცემ ღონეს, ძალგულოვნებას,

მტერს მუსრს გაავლებს და როს სწრაფმსრბოლ გემს
მიადგება,

მზეც დაეშვება და წყვდიადი დადგება ღამის“.

- 195 ასე უთხრა და ნებას დაჰყვა ფეხმარდი ირის,
იღას თხემიდან ილიონის მხარეს გასწია.
ნახა ჰექტორი ღვთაებრივი, პრიამოსის ძე
მხედართა დასში მბზინავ ეტლზე აღმართულიყო.
წინ აელანდა და აუწყა მარდმა ირისმა:
- 200 „ჰექტორ, პრიამეს ძევ, გონებით ზევსის სადარო!
მამამ მიბრძანა და გაუწყებ მეუფის ნებას:
ჯერ შორით ნახე, ხალხთა მწყემსი აგამემნონი
ვით დარეგია და მუსრს ავლებს აბჯროსანთ რიგებს!
თვით განერიდე, მაგრამ სხვები აღაფრთოვანე,
- 205 რომ გაუმართონ ხელჩართული ბრძოლა აქაველთ.
მაგრამ როს ისრით და ოროლით მოგერევიან,
ეტლზე ამხედრდი, ზევსი მოგცემს ძალგულოვნებას.
მტრებს მუსრს გაავლებ და როს სწრაფმსრბოლ გემს
მიადგები,

მზეც დაეშვება და წყვდიადი დადგება ღამის“.

- 210 ასე აუწყა და გაფრინდა ირის ფეხმარდი.
აბჯარასხმული მყის გადმოხტა ეტლიდან ჰექტორ,
შუბი შემართა წამახული, სპა მოიარა,
გული აუნთო მხედართ, ბრძოლა გაჩაღდა ისევ,
კვლავ აქაველთა დასახვედრად დადგა ლაშქარი.
- 215 არგიველთ მყისვე გაამაგრეს ფალანგთა წყობა.
თავდაპირველად გამოიჭრა აგამემნონი,
გულანთებული წინ უსწრებდა მეწინავეებს.

გვამცნეთ, მუზებო, ოლიმპო რომ გეგულვით სახლად,
ვინ შეეგება აგამემნონს შესარკინებლად,

- 220 ტროელთა, გინა მოკავშირე მებრძოლთა შორის?
— ანტენორის ძე იფიდამანტ, მძლე ბუმბერაზი —
მთაგორიანის, ცხვართა მშობელ თრაკიის მკვიდრი.
იქ აკვნიდანვე აღუზრდია ყმაწვილი კისევსს —
მართლმორკმულ პაპას, თეთრფეხება თეანოს მშობელს.

- 225 მაგრამ ყმაწვილი ჭაბუკობას რომ მოიყარა,
 პაპამ თავისთან დაიტოვა და ქალიც შერთო.
 დიდების ჟინმა სარეცელი დაათმობინა
 მას საქორწინო, გაემართა თორმეტი გემით,
 მაგრამ დატოვა პერკოტეში სწრაფი ხომალდნი.
- 230 ფეხით გაუდგა რაზმთან ერთად გზას ტროისაქენ.
 ახლა სწორედ ის შეეტაკა პირველად ატრიდს.
 როგორც კი ერთურთს მეომარნი მიუახლოვდნენ,
 სტყორცნა ატრიდმა, გაუქროლა შუბმა მოშულარს,
 ხოლო ტროელმა სარტყლის ქვემოთ მოარტყა შუბი,
- 235 მძლავრად დააწვა შუბისტარსა, ძალაც ერჩოდა,
 მაგრამ ამაოდ შეეჭიდა მოოჭვილ ქამარს,
 ვერცხლმა გაღუნა შუბისწვერი, ვით რბილი ბრპენი.
 აგამემნონმა მყის უტაცა ხელი შუბისტარს,
 გამძვინვარებით გამოგლიჯა, ვით მძლავრმა ლომმა,
- 240 ქედზე მახვილი დაჰკრა, მყისვე ძირს დაანარცხა.
 მიწას განრთხმულმა მიიძინა სპილენძის ძილით.
 საბრალო, იგი სხვებს იცავდა, ცოლი კი დათმო,
 ალერსიც კი არ ღირსებია.

უძღვნა ბევრი რამ —

ასი მოზვერი მოულალა, დაპირდა ნობათს —

- 245 კიდევ ათას თხას და ტარიგებს ურიცხვ ფარიდან.
 მაგრამ ატრიდმა ტანშიშველი დატოვა მტვერში,
 ძლეულს აართვა საჭურველი და თან წაიღო.
 კოონტმა მოჰკრა თვალი ატრიდს, მძლე მეომარმა,
 უფროსმა ვაჟმა ანტენორის.

გული მოუკვდა,

- 250 თვალთ დაუბნელდა, ძმა რომ ნახა მიწას განრთხმული.
 შეუძჩნეველად მიეპარა გვერდიდან ატრიდს,
 შუბი აძგერა და იდაყვთან დაჰკრა ბუნიკი,
 ხელი გაუპო გმირს ელვარე ილეკროს წვერმა.
 შიშის ციებამ აათრთოლა აგამემნონი,
- 255 მაგრამ არ დათმო ბრძოლის ველი, კოონტს მიეპრა,
 მრისხანედ შუბი მოულერა — ქარში ნაზარდი.
 კოონტი ამ ღროს გულმოდგინედ თვის საყვარელ ძმას
 ფეხში სწვდომოდა, მოუხმობდა საშველად მოძვეთ

და მიათრევდა უზარმაზარ ფარს მინდობილი.
260 ბოძალი დასცა წამახული მოყმეს ატრიდმა
და მიაყოლა იფილამანტს, წააძრო თავი.
ასეთი მწარე ხვედრი ერგოთ ატრიდის ხელით
ანტენორის ძეთ და ჰადესის მღვიმეს შთაინთქნენ.

ის კი, ძლიერი, დაერია სხვა ტროელებსაც,
265 შუბი აძგერა, ხმლით აჩეხა, ლოდით გააპო.
მჩქეფარე სისხლი კვლავ სდიოდა ახალ იარას.
ჭრილობა შეშრა, შავი სისხლი როცა შედედდა,
მწველმა ტკივილმა შეძრა გმირი ატრიდის სული.
ვით მშობიარეს წეწავს ხოლმე ბასრი ისრები,
270 ელეთიებებს — ჰერას ასულთ მზად რომ აქვთ ხოლმე
მშობელ დიაცთა სატანჯველად, ისე შეიჭრა
აგამემნონის სულში ბასრი ტანჯვა უღვევი
ეტლზე ავიდა და უბრძანა სადავეთმპყრობელს
სწრაფად ცარიელ გემებისკენ გეზი აეღო,

275 ხმამალლივ უხმო დანაელებს ტანჯვით აღვსილმა:
„არგიველთ გმირნო მეთაურნო, ო, საყვარელნო!
ახლა თქვენ გმართებთ ბრძოლის ცეცხლი ამოროთ

მე კი როდილა დამანება ღრუბელთმარეკმა
ეს დღე ბოლომდე ტროელებთან მედგრად მებრძოლა!“
გემებს,

280 ეს თქვა. მათრახი დასცხო ცხენებს ლამაზფაფრიანთ
და გააქროლა მყის შეაბჯრემ ხომალდებისკენ.
ქედზე მოადგათ რაშებს ქაფი, ბული ავარდა.
ბრძოლის ველიდან ბრუნდებოდა დაჭრილი მეფე.
თვალი რომ ჰკიდა აგამემნონს ლტოლვილს, ჰექტორმა
285 ტროელთ ლაშქარს და ლიკიელებს მხნედ შეუძახა:
„ტროელთა ძენო, ლიკიელნო, დარდანელებო!
გაქნდეთ კაცობა, სამამაცო ზნე გაიხსენეთ!
უმამაცესი გმირი სტოვებს ბრძოლას და ძლევას
მარგუნებს ზევსი!

მელერფეხება ცხენით მიაწყდით
290 ზვიად დანაელთ, მოიხვეჭეთ სახელ-დიდება!“

ასე შესძახა, სიმამაცე შთაბერა ყველას.
ვით მონადირე თეთრლოჯიან ძალებს აქეზებს
გამოსადევნად ლომისა თუ ტყიური ტახის,
ისე ტროელებს მიმართავდა აქაველებზე
295 ჰექტორ, სადარი კაცთამჟღეტი ღმერთის არესის.
ღიად საქმეზე მეოცნებე წარუძღვა ლაშქარს,
მტერს ეცა, როგორც ქარაშოტი, ზეცად მბრუნავი
ძირს რომ აწყდება და ღვინისფერ ზღვას ააქაფებს.]

რომელი იყო პირველი და რომელი ბოლო,
300 ვინც დასცა გმირმა, როს არგუნა კრონიღმა ძღვევა?
— ასაიოსი, ავტონოს, შემდეგ ოპიტე,
დოლოპ, კლიტიდი ოფელტიოს, აგელაოსი,
აისომნოსი და ოროსი, ჰიპონოსი —
სპათა ბელადნი ჩინებულნი, სხვაც — უამრავი.

305 ვით ზეფიროსი მთარეკავს ღრუბელზე ღრუბელს,
ცივი ნოტოსი შმაგი ბერვით აწეწავს, აშლის,
იბორცვებიან ზღვის ტალღები, ბრუნავს მორევი,
ქაფებს აშხეფებს მრავალ მხრიდან ქარიშხლის ქროლვით,
ისე ცვიოდა მოლაშქრეთა თავები ირგვლივ.]

310 აღსრულდებოდა კიდევც საქმე გამოუვალი,
ლტოლვილნი სპანი ხსნად ხომალდებს მიაწყდებოდნენ,
რომ დიომედე არ მოეხმო ომში ოდისევეს:

„რაო, ტიდიდო, რისთვის დავთმეთ ზნე სამამაცო?
ჩემთან ჩამოდექ! საშინელი სირცხვილი გველის,
315 თუ გემს აიღებს გმირი ჰექტორ, ზუჩმოქანავე!“

რქვა და მიუგო დიომედემ შეუკრთომელმა:

„მე აქაც ძალმიძს მედგრად დგომა, რა ბედენაა
სიმხნევე ჩვენი, ღრუბელთმარეკ ზევსს ნდომებია
ტროელთ არგუნოს გამარჯვება, არა ჩვენს ლაშქარს!“

320 თქვა და იმავ წამს დააქვეყნა თიმბრაიოსი,
მკერდში, ძუძუსთან დასცა შუბი;

მძლე ოდისევესმა
ღმერთის მსგავს მოლიონს, მის მებაჯრეს, მოუღო ბოლო.

დასტოვებს იქვე, ბრძოლის უინი სადაც დაუცხრეს.
თვით სპათა შორის გაიარეს;

როგორც ტახები

- 325 მწევრებს ანაზღად ძალმოსილნი შემოუტევენ,
ისე ტროელებს დაერივნენ, ხოლო აქაველთ
სული მოითქვეს ლტოლვილებმა ჰექტორის მიერ.

ხელთ იგდეს ეტლი, ორნი ძენი პერკოსიელი
მეროპოსისა,

იგი იყო სახელოვანი

- 330 ბედის მცნობელი, არ აძლევდა თვის შვილებს ნებას,
სასტიკ ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ.

არ დაუჭერეს.

პირქუშ სიკვდილთან ბედისწერას მიჰყავდა ძმები.
მათ ღიომედემ, შუბოსანმა სახელგანთქმულმა
დღე მოუსწრაფა და მოსტაცა აბჯარ-ბექთარი.

- 335 ჰიპოდამანტი დასცა, შემდეგ ჰიპეიროქოს
მძლე ოდისევსმა.

იდას მთიდან შემყურე ზევსმა
თანაბარ ომში შეარკინა სპანი ერთმანეთს.
შუბით ბარძაყში აგასტროფოს დაჭრა ტიდიდმა,
პაიონიდი.

არა ჰყავდა გვერდით ცხენები,

- 340 რომ გაექუსლა და შეძრწუნდა სული მოყმისა.
ეტლი შორს დარჩა, თვით ქვეითად იბრძოდა გმირი
მეწინავეთა შორის, სანამ სული არ დათმო.

შენიშნა მტერი მძლე ჰექტორმა, საზარ ყიყინით
მათკენ გაიჭრა, თან ტროელთა ფალანგნი გაჰყვნენ.

- 345 გულმა უმატა ძგერას, როცა მას მოჰყრა თვალი
ტიდიდმა და მყის იქავე მდგომ ოდისევსს უთხრა:
„უბედურება დაგვტრიალებს თავს — მძლე ჰექტორი!
მაგრამ ფეხი არ მოვიცვალოთ, აქ შევეგებოთ!“
თქვა და გასტყორცნა მძლავრად შუბი გრძელჩრდილიანი,

- 350 მოარტყა კიდევ შეუცდომლად პრიამიდის თავს
ჩაჩქანის ზემოთ, მაგრამ რვალი ისხლიტა რვალმა,
მშვენიერ სხეულს ვერ შეეხო, თვალამოდებულ
ზუჩს ველარ გასცდა სამმაგს, ღმერთი აპოლონისგან

ნაჩუქარს.

გმირი უკუიქცა, რაზმს შეერია,

355 მუხლთ მოეკეცა, მძლავრი ხელით დაეყრდნო მიწას,
თავი ჩაქინდრა, ღამე თვალზე გადაეფარა.
მაგრამ ტიდიდი სანამ ოროლს, შორს გადაფრენილს,
მეწინავეთა შორის გაჰყუვა ამოსაძრობად,
სული მოითქვა, გონს მოეგო გმირი ჰექტორი,

360 შეახტა ეტლს და საზარ სიკვდილს უმაღ გაექცა.
შუბით მისდევდა, მისძახოდა მძლე დიომედე:
„ძალო, გაექეც ისევ სიკვდილს? თავს განსაცდელი
დაგტრიალებდა.

კვლავ გიშველა აპოლონ ღმერთმა!
მასზე ლოცულობ, სანამ ისრის სტვენას მოისმენ!

365 გაგისწორდები, თუ შეგხვდები ოდესმე კიდევ,
ვინძლო მეც მყავდეს ღმერთთა შორის ვინმე მფარველი!
ახლა დავამხობ სხვა ტროელებს, ვისაც მიეწვდები!“

პაიონიდის საჭურველის აყრა ეწადა,

როცა პარისმა, თმამშვენიერ ელენეს ქმარმა,

370 მშვილდით ნიშანში ამოიღო ძე ტიდევისისა,
ამოეფარა საფლავის სვეტს მოხუც ილოსის,
დარდანოსის ძის, ძველისძველ დროს განთქმული კაცის.
რა დაინახა, აგასტროფოსს რომ აშიშვლებდა,
ფარს მხრიდან გლეჯდა, ზუჩს — თავიდან, ხოლო

სამკერდულს

375 მკერდზე აცლიდა დიომედე, დაჭიმა მშვილდი,
სტყორცნა ისარი და ამაოდ როდი გარჯილა:
მარჯვენა ტერფში მოახვედრა, გაკენწლა სეფქამ
და ძირს დაეცა.

მოზეიმე პარის სიცილით

მოსცილდა საფარს და შესძახა ძლევიტ ამაყმა:

380 „მოგხვდა! ამაოდ მაშ ისარი არ გაფრენილა!
მუცელში მორტყმით, გმირო, სულსაც ამოგართმევდი!
და რამდენადმე ამით შევებას მოვგვრიდი ტროელთ,
შენ რომ თავზარს სცემ, როგორც ლომი — კიკინა

კრავებს!“

მოყმეს უშიშრად უპასუხა მძლე დიომედემ:

385 „ვერაგო, თმებით მოამაყევე, ქალთა შემცდენო
აშკარად, ხელში იარაღით რომ შემხვედროდი,
ვერ გიშველიდა ვერც მშვილდი და ვერც ისრის სეტყვა.
შენ მხოლოდ ტერფი გამიკაწრე, ამდენს იკვებხნი!

390 ასე ზღაგვია ისრის წვერი სუსტი კაცისა!
სხვაგვარად მიქრის ჩემი: როცა სხეულს მიაღწევს,
შიგ შეიჭრება და უსულოდ დასცემს მეომარს.
საბრალო ქვრივი დარდით ლაწვებს იხოკავს მაშინ,
ობლდება ბავშვი, მიწა სისხლით ირწყვება.

ირგვლივ

395 ჩიტებს გაუღით რია-რია და არა ქალებს!“

ეს თქვა თუ არა, ოდისევსი ჩამოეფარა,
ჩაჭდა გმირი და გაგლეჯილი ტერფიდან მყისვე
იძრო ისარი.

დაურბინა ტკივილმა ტანში.

ეტლზე ავიდა და მეაბჯრეს სთხოვა გაქცევა
400 ამოფულრული გემებისკენ.

გულს ტანჯვა ფლეთდა.

მარტოლა დარჩა შუბოსანი გმირი ოდისევს,
არგიველები ირგვლივ შიშის ზარმა გაფანტა.

ამოიოხრა, ასე უთხრა თავის მამაც გულს:

„ვაი, რა მელისი შევრცხვე და ბრბოს შიშით გავექცე?“

405 მით უარესი, თუ მომისწრებს ბრბო მარტოშთენილს!

სხვა დანაელნი კრონიონმა მიჰფანტ-მოჰფანტა!

თუმც რად მიშფოთებს სულს სანუკვარს ასეთი ფიქრი?

მხოლოდ უღირსი იხევს ხოლმე ბრძოლის ველიდან,

უეჭველია, კეთილშობილს სხვაგვარად მართებს —

410 მედგრად იცდიდეს, მას მოკლავენ თუ მოკლავს თვითონ!“

როცა ეს ფიქრი გმირს უმღვრევდა გულს და გონებას,
მოადგა ტროელ ფაროსანთა რიგები სწრაფად,
გარს შემოერთყნენ და სიკვდილი ეწადათ მისი.

ტახს რომ მწევრები და ჭაბუკი მღევრები ალყას
415 შემოარტყამენ უსიერი ტყიდან გამოსულს,
ღრიჭო ხახიდან ლოჯები რომ მოუჩანს თეთრი,
მიესევიან.

აღრჭიალებს საშინლად კბილებს.
მაგრამ მრისხანეს არ სტოვებენ მაინც მღევრები.
ასე ესხმოდნენ თავს ოდისევსს კრონილის რჩეულს,
420 ის თავს იცავდა.

ბასრი შუბით დეიოპიტე
დაჭრა პირველად მან მხარს ზემოთ.

შემდეგ თოონი
და ენომოსი დასცა გმირმა ერთურთის გვერდით,
ქერსილდამონტი, ეტლიდან რომ დაბლა ხტებოდა,
ბაკმული ფარის ქვემოთ დაჭრა მუცელში შუბით.
425 ყრმა ძირს განირთხა, მიწა ხელით ჩაბლუჯა მწარედ.
გვამნი დასტოვა.

ჰიპასიდი ქაროპე დასცა,
ძმა საყვარელი სახელოვან გმირის სოკოსის.
საშველად სოკოს გამოიჭრა ღმერთთა ბადალი
ახლოს მივიდა და შესძახა გააფთრებულმა:
430 „ოდისევს! შრომით დაუღლელო და ცბიერებით
დაუშრეტელო!

იამაყებ, რომ ორ ჰიპასიდს
ბრძოლაში სძლიე და წარსტაცე აბჯარ-ბექთარი,
ან ჩემი შუბით ძირს განრთხმული სულს განუტევებ!“
თქვა და ოროლი ფარს აძგერა ოდისევსისა,

435 ელვარე ფენა გაირბინა ძლიერმა შუბმა,
მყისვე გააპო მოხატული აბჯარ-ბექთარი,
გმირს ფერდზე კანი გააცალა, მაგრამ ათენამ
არ დაანება რვალს წიაღი მოყმის სხეულის.
იგრძნო, რომ სიკვდილს არ უქადდა სპილენძი.

ოდნავ

440 უკუდგა გმირი და შესძახა ჰიპასოსის ძეს:
ავის მთესველო, არ აგცდება ახლა დალუპვა!
შენ გადამიდექ ფრიგიელთა ფალანგთან მებრძოლს
და ამიტომაც წინასწარვე სიკვდილს გიმისნებ.

შუბით ძლეული მომანიჭებ სახელ-დიდებას,
445 ჰადესს — რაშებით მოამაყეს სულსაც არგუნებ!“

ეს თქვა თუ არა, მყის სოკოსმა აქცია ზურგი
და მომართული შუბი მოყმეს ქედში ჩაერჭო
ზედ ბეჭთა შუა და გამქოლად გააპო მკერდი.
ზათქით დაცემულს ოდისევსმა ჰრქვეა მოზეიმემ:
450 „სოკოს, ო, ბეო ცხენთა მხედვნელ ჰიპასოსისა!
ვერ გაეჭეცი სასიკვდილო ხვედრს, საცოდავო!
აწ ველარც დედა ღირსეული და ველარც მამა
ვერ დაგიხუჭავს თვალს,

შენვდები მტაცებელ ფრინველთ,
ფრთების ფართქუნით დასაფლეთად დაგაცხრებიან!
455 მე კი, თუ მოვკვდი, არგიველნი დამდებენ პატივს!“

ასე შესძახა და ძლიერი სოკოსის შუბი
ფარს და იარას მოაშორა მძლე ოდისევსმა,
სისხლი იარაღს თან ამოჰყვა.

სული შეეკრა.

ტროელთ როგორც კი ოდისევსის შენიშნეს სისხლი,
460 ერთურთს შესძახეს და ერთისკენ გაიჭრა ყველა.
უკან იხვედა გმირი, მოძმეთ შველასა თხოვდა.
სამჯერ იყვირა, რაც კი ხმა აქვს ერთ ადამიანს,
სამჯერ ისმინა ეს ძახილი მენელაოსმა,
ატრიღმა იქვე მყოფ აიანტს სწრაფად მიმართა:

465 „ტელამონიდო, აიანტო კეთილშობილო!
ხმა მესმის გმირი ოდისევსის, ხმა მომხმობელი!
ასე ჰგავს, თითქოს, შესევია, ტანჯავს მარტოსულს
ტროელთა რაზმი, ასპარეზზე გზა მოუჭრიათ.
უნდა დავიცვათ ოდისევსი, ჩქარა, ძმობილო!

470 შიშით ვთრთი, მარტო ტროელთ შორის არ დაიღუპოს,
თუმც მამაცია!

დარდი მოგვსპობს მაშინ აქაველთ!“

თქვა და გაიჭრა უკვდავთ სადარ მოყმის თანხლებით.
მალე შენიშნეს ოდისევსი.

(ბრბო გარს უვლიდა,

- ვით მთის ფერდობზე მგლები, სისხლის მოწადენენი.
 475 ქორბუდა ირემს, მონადირემ ფრთიანი ისრით
 დაჭრა, თუმც ველარ დააკავა. მიქრის ფეხმარდი,
 სანამდის სისხლი მხურვალეა და მუხლი ერჩის.
 მაგრამ როს ძალას დაუწრიტავს ავი ისარი,
 მგლები დაფლეთენ, გაშმაგებით დააცხრებიან
 480 პირქუშ მუხნარში.

ამ დროს ლომი მოჰყავს დაიმონს,
 მგლები გარბიან და ნადავლი რჩება მძლავრ ნადირს.
 ბრძოლანაცადი ოდისევსის ირგვლივ ასევე
 დაძრწოდა ტროელთ მკლავმაგარი მოყმე მრავალი,
 ის კი უშიშრად იცილებდა შუბით გარშემო.

- 485 ტელამონის ძეს აღემართა კოშკივით ფარი,
 გმირს წინ ჩაუდგა, გაიფანტნენ ირგვლივ ტროელნი.
 გამოიყვანა ოდისევსი მენელაოსმა,
 სანამ მეეტლე ეტლს საშველად მოაქროლებდა.
 ტროელთ შეება აიანტი,

დორიკლოს დაჭრა,

- 490 პრიამოს მეფის ბუში, იქვე დასცა პანდოკოს,
 შემდეგ — ლისანდროს, პირასოსი და პილარტოსი.
 როგორც მდინარე ველს დატბორავს დიდროობისას,
 მთით მოვარდნილი, ზევსის თქეშით დამძიმებული,
 მუხას მოათრევს, ფიკვის მორებს, ადუღებს მორევს
 495 და შლამს თუხთუხით მიაქანებს ღვინისფერ ზღვისკენ,
 ისე ყოველი აამტუტა ტელამონიდმა.]
 ცხენ-კაცს აპობდა.

მაგრამ ჰექტორ ამ ორომტრიალს
 როდი ხედავდა, მტერს უტევდა მარცხენა მხარეს,
 აზვირთებული სკამანდროსის სანაპიროზე,

- 500 სად თვლა არ ჰქონდა გვამებს, იდგა ბრძოლის გნიასი.
 იდომენევსთან, გერენიელ ნესტორთან ახლოს
 გმირი ჰექტორი უსაზარლეს საქმეს იქმოდა,
 შუბით ცხენდაცხენ დანაელთა მუსრავდა ფალანგს
 მაინც ბრძოლის ველს არ დათმობდნენ დანაელთ სპანი,
 505 თამამშენიერი ელენეს ქმარს, გმირ ალექსანდროსს,
 რომ მახაონი ბრძოლისაგან არ მოეწყვიტა:

მარჯვენა მხარში დაკრა მოყმე სამწვერა ისრით.

მის გამო შიში გულს მოედო მამაც დანაელთ,
მხნე მახაონი ვინძლო მტერმა არ მოგვიკლასო.

- 510 იდომენევსმა იმწუთსავე შესძახა ნესტორს:
„ნელიდო ნესტორ, სიქადულო აქაველთ ლაშქრის!
დაუყოვნებლივ ეტლზე ადი და მახაონიც
თან გაიყოლე, გემებისკენ გაქუსლე ცხენით.
ზრავალ მებრძოლს სჯობს დასტაქარი სახელოვანი,
515 წყლულს რომ მოარჩენს, ამოაცლის ისარს იარას“.

როდი ეურჩა ამ სიტყვაზე გმირი ნესტორი,
მყის მოაყენა ეტლი, ჩასვა შიგ მახაონი,
სახელგანთქმული ძე აქიმის შესანიშნავის.

- მათრახი დასცხო ცხენებს, გული რომ მიუწევდათ
520 და სიხარულით მიფრინავდნენ გემებისაკენ.
ამ დროს მეაბჯრემ ჰექტორისა, მხნე კებრიონტმა,
შენიშნა ტროელ სპათა რღვევა და გმირს მიმართა:
„ჰექტორ! ჩვენ როცა დანაელთა ფალანგებს ვუტევთ,
იქ, ველის კიდეს, სადაც ბრძოლა გაჩაღებულა,
525 ლაშქარი ღელავს, არეულა ცხენი თუ კაცი,
ტელამონიდი ავიწროვებს, ვცნობ სპათა ბელადს:
მას მხარს უმშვენებს ფარი თვისი უზარმაზარი.
შმაგი რაშები მივაგელვოთ, იქ უფრო, მეტი
ქვეით-მხედართა ბრბო სასტიკად შერკინებულა,
530 ერთუროს ჩეხავენ და ყიჟინა ქუხს გამუღმებით“.

თქვა და მათრახი ფაფარაყრილ ცხენებს უცხუნა
ზუზუნით: გმირმა კებრიონტმა, მორჩილნი რაშნი
მეომართ შორის მიფრინავდნენ მჩატე ეტლითურთ,
გვამნი, ფარები გადათქერეს, სისხლმა შეღება
535 ქვემოთ სპილენძის ღერძი, ზემოთ — ძარა ეტლისა.
სისხლს აშხეფებდა ეტლის თვალი, ცხენთა ფლოკვები.
მიისწრაფოდა პრიამიდი, რომ სპათა შორის
შთანთქმულს ლაშქარი გაეფანტა.

არივ-დარია
ჯარი და ოროლს მოსვენებას აღარ აძლევდა.

- 540 რიგდარიგ გაჰყვა და გააპო აქაველთ სპანი
 შუბით, მახელით და ვეება კლდის ნამსხვრევებით.
 და მაინც თავი მოარიდა ტელამონის ძეს:
 გაახელებდა ზევსს, უმძლავრეს გმირს რომ შებმოდა.
- მეუფე ზევსმა მოუვლინა შიში აიანტს,
 545 შეკრთა, მოიგდო ზურგზე ფარი შვიდტყავიანაი,
 უკუმიიქცა, ვით ნადირი, თვალს აცეცებდა
 და ფეხაკრფით გაეცალა ნელ-ნელა ტროელთ.
 ფეხმრუდ ხარების ფარეხიდან როცა ამაყ ლომს
 სდეენიან გლეხნი გაბედულნი, ავი ძაღლები
- 550 არ ანებებენ მხეცს საქონელს გასატაცებლად,
 ღამით ფხიზლობენ, ის კი ხარბად კვლავ ეტანება,
 მაგრამ მძვინვარებს სულ ამაოდ, მოიერიშეს
 გზას უღობავენ გულად კაცთა ხშირი შუბები,
 ცეცხლმოდებული მუგუზლები და მათი შიშით
- 555 დილის რიქრაქზე იპარება გულდარდიანი.
 ტელამონიდიც უკუიქცა გაოგნებული,
 გმირს აშინებდა აქაველთა გემების ბედი.
 [ზანტი ვირი რომ ყანობირში შეეხეტება,
 ბავშვებსა სჯაბნის, ბევრი სახრე ემსხვრევა ფერდზე
- 560 და მაინცა სძოვს მალალ თაველს, მარდი ყმაწვილნი
 ურტყამენ, მაგრამ რა ფასი აქვს მათს ბავშვურ ძალას!
 როცა გაძღება თავთუხებით, ძლივს იცილებენ.
 ასე აიანტს, ტელამონის ძეს, ტროელთ სპანი
 და შორჭვეყნელი მოკავშირე მებრძოლნი შუბით
- 565 ზედ ფარზე სცემდნენ და მგზნებარედ ერეკებოდნენ.]
 ხანდახან გმირი მოიციმდა ხოლმე შმაგ ძალას,
 მობრუნდებოდა და ფალანგებს ატორტმანებდა
 მამაც ტროელთა, ზოგჯერ ისევ გარბოდა სწრაფად,
 მაგრამ გზას მაინც უკეტავდა მტერს გემებისკენ.
- 570 ხშირად აიანტ მძვინვარებდა ორ ლაშქარს შორის,
 მარტოსულს ბევრი შუბი, მამაც ტროელთ ნატყორცი,
 მისკენ მსწრაფველი, შვიდტყავიან ფარში ხვდებოდა,
 ბევრი ოროლი შუაგზაზე ჩაესო მიწას,
 არ შეხებია გმირის თეთრ ტანს სისხლის მწყურვალი.

- 575 ევემონოსის ძემ შენიშნა მძლე აიანტი —
 ევრიპილოსმა, როს გმირს შუბთა ღრუბელი აღგა.
 ახლოს მივიდა, მოელვარე სტყორცნა ოროლი,
 სპათა ბელადი აპისაონ, ფაუსოსის ძე
 გულს ქვემოთ, ღვიძლში დაჭრა, უმაღ იქვე ჩაკეცა.
- 580 მივარდა მკერდზე ასაგლეჯად აბჯარ-ბექთარის.
 მაგრამ შენიშნა ფაუსოსის ვაჟის მძარცველი
 პარისმა, ღმერთის მსგავსმა, სწრაფად მოზიდა მშვილდი,
 ფრთიანი ისრით გაუკვეთა მარჯვენა თეძო,
 სეფქა გადმისხვრა, დაამძიმა მოყმის ბარძაყი.
- 585 გმირი რაზმისკენ უკუმიდგა, გაქეცა სიკვდილს,
 მაშინვე ყველას გასაგონად შესძახა ლაშქარს:
 „მამაც დანაელთ თემისთავნო, ბრძენო ბელადნო!
 ტროელთ შეებით, ააშორეთ ტელამონის ძეს
 დღე სიკვდილისა!
 ისრით ტანჯულს, ვგონებ, არ ძალუძს,
- 590 თვით იხსნას თავი ჩეხვისაგან! მტრის შესახვედრად
 დავდგეთ, დანაელთ სადიდებელ აიანტისთვის!“
 ასე იძახდა ყრმა დაჭრილი, დანაელები
 მხარს ამოუდგნენ ევემონიდს ფარშემართულნი.
 შუბი ხელთ ეპყრათ.
 უვნებელი ტელამონიდი
- 595 მათთან მიიჭრა და პირისპირ მტერს შეეგება.
 ასე იბრძოდნენ აბჯროსნები გულანთებულნი.
- ბრძოლის ველიდან ნესტორს რაშნი მიაჭროლებდნენ,
 ქაფმორეულნი და მახაონს, მართლმორჭმულ მოყმეს.
 მოხუცი იცნო აქილევსმა პელეიონმა.
- 600 გემის კიჩოზე იდგა ამ დროს ფეხმარდი გმირი.
 ხედავდა ბრძოლას, აქაველთა ცრემლისმგვრელ ლტოლვას.
 ხმამაღლა უხმო ხომალდიდან საყვარელ მოძმეს,
 მამაც პატროკლეს, გამოვიდა კარვიდან იგი
 არესის მსგავსი... და ეს იყო საწყისი გლოვის.
- 605 ჰკითხა პირველად პელეიონს პატროკლემ მაშინ:
 „რატომ მომიხმე, რას მიბრძანებ, გმირო აქილევს?“

პრქვა და მიუგო აქილევსმა, ფეხმარდმა გმირმა:
„ო, მენეტიდო, მეგობარო უსაყვარლესო!
ვფიქრობ, მუხლებში არგიველნი ჩამიცვივიან
610 სულ მალე! ველარ გაუძლებენ ამდენ გასაჭირს.
მაგრამ იჩქარე, მენეტიდო, და ნესტორს ჰკითხე,
ვინ მიჰყავს მოხუცს, ბრძოლის ველზე დაპრილი გმირი?
ასკლეპიოსის ძეს მახაონს ჰგავს ის სავსებით
ზურგიდან, სახის დანახვა კი ვერ მოვასწარი,
615 ისე უეცრად გამიქროლეს სწრაფმა ცხენებმა“.

ასე თქვა და მყის მეგობარი დაემორჩილა,
სწრაფად გავარდა ხომალდთა და კარავთა გასწვრივ.
ამ დროს გმირებმა მიაღწიეს ნესტორის კარავს,
მასაზრდოებელ მიწაზედაც დაადგეს ფეხი.
620 ცხენები ახსნა მყის მსახურმა ევრიმედონტმა,
ხოლო მხურვალე ოფლი კვართზე შეაშრათ გმირებს,
როცა ნაპირზე ქარს მიენდგნენ გასაგრილებლად.
შემდეგ კარავში ორივ დაჯდა რბილ სავარძელზე,
სასმელს ხუჭუჭა ჰეკამედე მათ უზავებდა,
625 არსინოოსის ქალი.

იმ დღეს, როს ტენედოსი
დასცა პელიდმა, მოხუცს თვითონ აქაველებმა
უძღვნეს ქალწული უპირველეს მრჩეველს და მბჭობელს.
ტაბლა დაუდგა ჰეკამედემ, შავი ფეხებით
დამშვენებული, მოკიაფე.

სპილენძის სინზე

630 ხაზვი დაუწყო მათ სასმელზე დასაყოლებლად,
დასდო ფქვილი და გოლეული, ლამაზი თასა,
რომელიც ნესტორს წამოეღო თურმე სახლიდან,
ოქროს სამსკვალაი ჰქონდა იმ თასს, ოთხ სახელურზე
ორ-ორი ოქროს მტრედი იჯდა, თითქოს კორტინდნენ
635 თასის ზედაპირს. ორი ფსკერი ჰქონდა ფიალას.
მძიმე თასს ტაბლას ვერ მოსწყვეტდა ვინმე იოლად,
სასმელით სავსეს.

ადვილად კი ძლევდა მოხუცი.
შიგ ჰეკამედემ გააზავა, ქალღმერთის მსგავსმა,

ღვინის ნარევი პრამნეულს.

თხის ყველი დაფშვნა

- 640 სპილენძის ცხავით, მოაყარა ზედ თეთრი ფქვილი.
როცა სასმელი მოამზადა, თქვა — ინებეთო.
ღვინით დაიცხრეს მეომრებმა უმაღლესი
და საამური საუბარი გააბეს შემდეგ.

უცბად კარებთან ღმრთის საღარი პატროკლე გაჩნდა.

- 645 თვალი რომ ჰკიდა ზერიკაცმა, წამოდგა მყისვე,
ხელი ჩაავლო, სთხოვა, მოდი, დაგვეწვიო.
მაგრამ ეურჩა მენეტიდი, სიტყვა მოუჭრა:
„არა, დრო არ მაქვს, და, მოხუცო, ვერ დამითანხმებ,
ქველია ჩემი წარმომგზავნი, მაგრამ მრისხანეც.
650 მიბრძანა, გკითხოთ, ვინ მოგყავდა დაჭრილი წელან.
ახლა მეც ვხედავ მძლე მახაონს, ხალხთა მბრძანებელს.
ვიჩქარი ისევ, რომ აქილევსს ეს მოვახსენო.
შენც კარგად იცი, ღვთაებრივო, ეჭვიანია,
უბრალო კაცსაც ბრალეულად მიიჩნევს ხშირად“.

- 655 უთხრა ნესტორმა, მხნე მხედარმა გერენიელმა:
„ნეტავ, პელიდი ასე რად სწუხს დანაელებზე,
მახვილით ძლეულ მებრძოლებზე? იცის კი განა,
რაც სჭირს ჩვენს ლაშქარს? თუ ვინმე გვყავს საუკეთესო,
ბანაკში გვიწევს ოროლით და ისრით დაჭრილი!

- 660 ისრით დაკოდეს დიომედე, მძლე მეომარი,
შუბით — ოდისევს და ატრიდი აგამემნონი.
ეს თემისთავიც ძლივს დავიხსენ ბრძოლის ველიდან
მხარში დაჭრილი.

მაგრამ ციხეთ დამაქცევარი

მძლავრი პელიდი როდილა სწუხს აქაველებზე!

- 665 იქნება ელის, ჰელესპონტთან, ამ უშედეგო
ომში აქაველთ ხომალდების აბრიალებას,
ერთი-მეორის მიყოლებით ჩვენს სიკვდილს საზარს?
ძალა სადღა მაქვს, მოქნილ სახსრებს შორის რომ ჩქეფდა!
ნეტავ, ჭაბუკი ვიყო, ღონით სავესე, ვით წინათ,
670 როცა ვებრძოდით გამეტებით ძლიერ ელეელთ,

ჯოგის მტაცებელთ.

როცა ვაჟი ჰიპოროქოსის,
იტომენევსი მე განვგმირე, ელიდის მკვიდრი,
ნადავლი სრულად გამოვჯლიჯე.

ჯოგს რომ იცავდა,

მეწინავეთა შორის დასცა ჩემმა ოროლმა.

675 იმავდროულად გაიფანტნენ შიშით რაზმები.

ელეებისგან წამოვასხით დიდი ნადავლი:

ორმოცდაათი ფარა, ჯოგიც იყო ამდენი,

ლორთა კოლტი და უთვალავი არვე თხებისა,

ცხენების რემა, ფაშატები სულ ასერგასი,

680 ბევრ მათგანს თანაც მშვენიერი კვრიც მოსდევდა.

ღამით მოვალეთ საქონელი მოხუც ნელევსის
პილოსში.

გულით გაიხარა ჩემმა მშობელმა,

რომ ბრძოლად გასულ ჭაბუკს დავლა მომყვა ამდენი.

დილაადრიან მაცნეებმა მოუხმეს ყველას,

685 ვისაც კი ვალი ჰქონდა რამე ელიდის მხარეს.

მოგროვდა ხალხი პილოსელი, გაიყვეს დავლა.

ბევრი გვემართა ეპეელთა ვალი იმჟამად.

როს რიცხვნაკლული ხალხი პილოსს იტანჯებოდა:

ძველ დროს ჰერაკლე მოსდგომია ჩვენს ციხე-ქალაქს,

690 მამაცნი მცველნი დაცემულან მასთან ბრძოლაში.

ნელევსის სახლში მეომარი თორმეტი ძმიდან

მარტო მე დავრჩი, სხვა არავინ გადარჩენილა!

გულზე მოსულნი ამის გამო ეპეელები

აბჯარასხმულნი გვიქადოდნენ დიდ ბოროტებას.

695 მოხუცმა თვითონ დაიტოვა, ვით საზღაური,

ჯოგი და ფარა უხვად, ხოლო მწყემსი — სამასი.

ელიდის მხარეს დიდი ვალი ემართა ნელევსს.

ოთხი მერანი მარულაში გამარჯვებული,

ეტლიც, სამფეხაც ჰქონდა დოღში დათქმული ჯილდოდ,

700 მაგრამ ისინი თავხედურად წაჰგვარა მაშინ

მძლე ავგეასმა და მეეტლე გააგდო უკან.

მოხუცმა მისი საქმითა და სიტყვით ნაწყენმა,

თავისთვის ბევრი დაიტოვა, სხვა ხალხს დაუთმო,

რომ გულნაკლული გაყოფის დროს არეინ ჰყოლოდა.
705 ჩვენ ნადავლს ვყოფდით და ნელევისს ციხე-ქალაქში
ღმერთს მსხვერპლს ვწირავდით.

ხოლო მტერი მესამე დილით,
მტერი სპილენძის აბჯრიანი და ცხენმრავალი,
ჯიქურ მოგვაწყდა.

მოჰყვა ორი ყრმა მოლიონი,
ჯერ კიდევ შმაგი ბრძოლის ყადრი რომ არ იცოდნენ.
710 არის ქალაქი კლდეზე ერთი, ფრიოესოსი,
ალფეოსის წინ, ქვიშიანი პილოსის ბოლოს.
ალყა დაარტყეს მტრებმა, სურდათ ციხის დაქცევა.
მაგრამ როგორც კი ველს მიაღვნენ, ათენა მაცნედ
მყის მოგვევლინა ოლიმპოდან ღამით, გვაუწყა

715 მათი ამბავი, მოუყარა ქალაქთან თავი
აღვზნებულ ლაშქარს.

მამაჩემმა ნელევისმა იმ დროს
ბრძოლაში გასვლა ამიკრძალა, ეტლი დამალა,
ქაბუკი ხარო, სამამაცო ზნის უმეცარი.
მე უცხენოდაც მოვიხვეჭე მხედართა შორის

720 დიდი სახელი.

ბრძოლად მიხმო ასე ათენამ.
მინიეოს არის ერთი მდინარე და ზღვას
არენეს ახლოს ერთვის.

იქვე მხედარნი დილას
ველოდებოდით, ქვეითნი კი გვემატებოდნენ.
იმ ადგილიდან დავიძარით საჭურვლის ძალით

725 და შუადღისას ალფეოსის მდინარის პირას
ზევს ყოვლისშემძლეს აღვესრულეთ აღთქმული ზორვა.
ღმერთ ალფეოსსაც — ხბო, მოზვერი — პოსეიდონსაც,
ათენას უღელდაუდგმელი ხარი შევწირეთ.
შემდეგ სერობდა რაზმი რაზმის გვერდით, ერთობლივ.

730 ბოლოს დავწექით ალფეოსის ნაპირის გასწვრივ,
არ აგვიყრია საჭურველი. ეპეელნი კი
ქალაქთან იდგნენ უკვე, მისი ნგრევა სწყუროდათ.
მაგრამ მანამდის წინ აღუდგათ არესის საქმე.
როგორც კი მიწას დაანათა მზემ მოელვაარემ,

735 ზევსს და ათენას შევევედრეთ და მტერს 'შევებო.
პილოსელებმა ეპეელებს რომ შეუტეიეს,
მოყინე განვგმირე და მოვტაცე მარდი ცხენები
მებრძოლ მულიოსს, ავგეასის — ბელადის სიძეს,
უფროს ასულის, ქერათმიან აგამედეს ქმარს.

740 რაც კი რამ ქვეყნად სამკურნალო ბალახი ხარობს,
ყველა იცოდა.

შემეფეთა და დავკარ შუბი.

ძირს დაენარცხა, მე კი უმალ მის ეტლს შევახტი,
მეწინავეთა შორის გაეჩნდი და ეპეელნი
ერთი-მეორის მიყოლებით ილტვოდნენ.

მოყმე,

745 მათი ბელადი, აბჯროსანი რა ნახეს მკვდარი.

ლტოლვილთ მოვედე, ვით მძვინვარე შავი გრიგალი,
ეტლი ხელთ ვიგდე მე ერგასი თითოსგან ორ-ორს
შუბით განგმირულს ვადრღნევინე მიწა კბილებით.

ორ აკტორიდაც, მოლიონებს, არ დავინდობდი,

750 რომ მრავლისშემძლე მიწისმრყეველს, მათს მშობელ

მამას

არ დაეფარა შავი ღრუბლით და არ ეშველა.

პილოსელ მოყმეთ ზევსმა ძლევა არგუნა მტერთა
მედგრად მივდევილთ მინდორ-მინდორ ლტოლვილთ და
ესპობდით,

თანაც გზადაგზა ვაგროვებდით მდიდრულ საქურველს,

755 სანამ ცხენები მივაგელვეთ უპრასიოსში,

იქ ოლენიეს ტინი გახლავთ, ალესიოსის

სერიც იქვეა.

მაგრამ ამდროს უკვე ათენამ

შემოგვაბრუნა. იქ ბოლო მტერს ავართვი სული.

უპრასიოსით პილოსისკენ ვაჭენეთ ცხენნი.

760 ღმერთთაგან სპა ზევსს ადიდებდა, კაცთაგან — ნელიდს!

ოდესლაც ვიყავ მე ასეთი, გმირთა მძლეველი!

ხოლო პელიდი სიმამაცეს თვის თავს უნახავს.

თუმც ვიცი, იგლოვს ვაი-ვიშით ჩვენს იავარქმნას!

ძმაო, განა შენ არ გამოძღვრავდა მენეტიოსი.

765 როცა ფთიიდან გაგაყოლა ატრიდის ლაშქარს?

მე და ოდისევს გახლდით იმ დროს პელევსის სახლში,
კარგად გვესმოდა, მამაშენი რას გარიგებდა,
პელევსის პალატს, ლაღად მორთულს ვეწვიეთ მაშინ,
რომ ბრძოლად გვეხმო აქაველთა ქვეყნის ლაშქარი.

770 მაშინ ვიხილეთ აქტორიდი მენეტიოსი,
შენც, აქილევსიც იქ იყავით, ხოლო პელევსი
ელვისმოყვარე ზევსს სწირავდა მოზვერის ნეკნებს,
ეზოში იღგა, ხელში ოქროს თასი ეჭირა
და წმიდა ალზე ასხურებდნენ კამკამა ღვინოს.

775 ზვარაკის ნაწილს თქვენა წვავედით.

მე და ოდისევს

შევდექით ბქესთან.

აქილევსი გაოცებულნი

შეგვხვდა, მოგვკიდა ხელი, მყისვე შინ შეგვიყვანა,
საჰმელ-სასმელი მოგვაწოდა, ვით სტუმრებს შვენით.
და როცა დავტკბით მისგან უხვად ნამასპინძლევით,
780 სიტყვა დავიწყე, მოგიწოდეთ ლაშქრად წამოსვლა,
თქვენც ბრძოლა გსურდათ.

გარიგებდნენ მამები ჭკუას.

პელევსი თავის პირმშოს, პელიდს, ეუბნებოდა:
სხვას აჯობეო, მიწყვი გწადღეს გამოჩენაო.

მენეტიოსი შენ გამოძღვრავდა კეთილშობილი:

785 „შვილო, პელიდი გვარ-ტომობით შენზე მეტია,
შენ კი — ასაკით.

მას მეტი აქვს ძალა და ღონე,

მაგრამ შენ რჩევა გააგონე ყოველთვის ბრძნული.
ვით მეგობარმა, გზა აჩვენე და გამოგყვება“.

ასე გირჩია მამამ, მაგრამ შენ გავიწყდება!

790 ო, ახლა მაინც გაუბედე რჩევა აქილევსს!

განა ღვთით, ძმური შეგონებით არ შეგიძლია
გული შეუძრა? მოძმის სიტყვას დიდი აქვს ძალა.
თუკი რაიმე ნამისნევი აშფოთებს მის სულს,
თუკი რაიმე კრონიდისგან აცნობა დედამ,

795 შენ ჩაგრთოს ომში და გაახლოს მირმიდონელნი,
ჟინძლო დანაელთ მოევლინო ძლევის შეუჭურად.
ნება ყოს, მისი საჭურველი რომ შენ აისხა,

იგი ეგონოთ ეგებ ტროელთ, გაექცნენ ბრძოლას,
დანაელნი კი ბრძოლის ველზე სულს მოითქვამენ,
800 უკვე მაშვრალნი.

ხანმოკლეა ომში მშვიდობა.

დასვენებული თქვენი რაზმი სპას ბრძოლით დაღლილს
ხომალდებიდან უკუაქცევს გალავნისაკენ“.

ასე თქვა. მკერდში შეუტოკდა გული პატროკლეს.
გემების გასწვრივ პელიდისკენ გაქანდა გმირი.
805 მაგრამ ღმრთის მსგავსი ოდისეისის გემს რომ მიადგა,
სად მოედანი და სახალხო სამსჯავრო იყო,
ირგვლივ ბომონნი აღმართულნი უკვდავ ღმერთების,
შეხვდა დაჭრილი ევრიპილოს ევემონის ძე,
თედოში ჰქონდა გმირს გაყრილი ბასრი ისარი.

810 კოკლობდა გმირი, დასდიოდა ოფლი ღვარ-ღვარად,
ცივად ბეჭებზე ჩაურბენდა, სისხლი მოჩქეფდა
ღია ჭრილობას, სული მაინც რჩებოდა მტკიცე.
რომ დაინახა, სიბრალული იგრძნო პატროკლემ
და თანაგრძნობით მიაგება ფრთიანი სიტყვა:

815 „ვაი, აქაველთ მებრძოლნო და თემისთავებო
ნუთუ სანუკვარ მამულიდან და მოძმეთაგან
შორს თეთრ სხეულით ილიონის ძაღლებს დააძლობთ?
დგანანლა სპანი, მითხარ, გმირო, ზეესის ნაზარლო,
ომში საოცარ გმირ ჰექტორთან შესარკინებლად?

820 თუ სულს ლაფავენ დათრგუნვილნი მისი მახვილით?“

მყისვე მიუგო ევრიპილოს ევემონიდმა:

„არა, პატროკლე, არსაიდან ხსნა აღარა აქვს
აქაველთ ლაშქარს, შავ გემებთან ელით დაღუპვა
ვინცა ვინ გვყავდა მთელს ლაშქარში უმამაცესი,

825 ბანაკში გვიწევს დაკოდილი, ან ბრძოლის ველზე
რვალით დაშლილი.

ტროელთ ძალა მიწყევ მატულობს...
მიშველე, ძმაო, მიმაცილე შავფერდა გემთან,
სეფქა ამგლიჯე და თბილი წყლით მომბანე წყლულზე

სისხლი,

მალამო სამკურნალო ზედ დამაფინე.

- 830 ამბობენ, იცი შენ ეს საქმე აქილევსისგან,
მას კი ქირონი ასწავლიდა, კენტავრი სათნო.
პოდალეიროს გვყავს აქაველთ და მანაონი,
მაგრამ ეს, ვგონებ, მოწყულელია, ახლა კარავში
თვით წევს უმწეო და გამოცდილ დასტაქარს ელის,
835 ის კი ველზე დგას, ეგებება არესის რისხვას“.
მენეტიოსის ძემ მიუგო კეთილშობილმა:
რით დამთავრდება ჩვენი საქმე, რალა ვილონოთ?
ვიჩქარი, რათა ყოველივე ვუამბო პელიდს,
რაც მე მიბრძანა აქაველთა მცველმა ნესტორმა.
840 მაგრამ ნაწამებს, ევრიპილოს, ვერც შენ დაგტოვებ!“

ხელი მკერდის ქვეშ შეაშველა, მიჰყვა კარვამდე.
მსახურმა კარვის კალთა — მოზვრის ტყავი გასწია.
დანით ამოსჭრა წამოწოლილს მწარე, ფრთიანი
ისრის წვერი და მოუბანა წყლულზე თბილი წყლით

045 სისხლი,

შემდეგ კი გახეხილი ბალახის ფესვი
ზედ მოაყარა, დაუნმა უმალ ტკივილი,
სისხლი შეჩერდა, წყლული გაშრა და განიკურნა.

ქება მეთორმეტე

ბალავანთან შერკინება

მენეტიოსის მამაცი ძე მალალ კარვის ქვეშ
ევრიპილოსის წყლულს უვლიდა, როს ქუხდა ბრძოლა
არგიველთა და ტროელთ შორის.

ამიერიდან

- ვერ დაიცავდა დანაელებს მტკიცე სიმაგრე,
. 5 გემების გასწვრივ აღმართული, ველარც სანგარი,
მის წინ გაჭრილი:

ჰეკატომბე არ უძღვნეს ღმერთებს,

- არცა ილოცეს, რომ გემნი და ხალხის დოვლათი
 ეხსნა სიმაგრეს, არა ღმერთთა ნებით აგებულს.
 დიდხანს ვერ გაძლო მიწის პირზე იმ გალავანმა:
- 10 სანამ გმირ ჰექტორს სული ედგა, ხოლო პელიდი
 განს გამდგარიყო, მტკიცედ იყო ჭერ კიდევ ტროა,
 აქაველთ ვრცელი გალავანი იდგა უვნებლად.
 მაგრამ, როს ტროელთ გმირნი ბრძოლის ველზე დაეცნენ,
 ბევრი მოისპო არგიველიც, გადარჩა ბევრიც
- 15 და მეათე წელს პრიამოსის დაინგრა ციხე,
 ხოლო გემებით არგიველნი შინ გაეშურნენ,
 პოსეიდონმა, აპოლონმა გამართეს ბჭობა:
 როგორ მიეშვათ გალავანზე ყველა მდინარე,
 იდას მთიდან რომ ზღვას შეერთვის აბობოქრებულს:
- 20 ჰუპტაპოროსი, კარესოსი, რესოს, როდიოს,
 აისეპოსი, გრენიკოსი და სკამანდროსი,
 სიმოეისიცი, რომლის პირას ფარ-მუზარადი
 ქვეყნის ეყარა და გვამები ნახევარღმერთთა.
 ყველა მდინარე აპოლონმა მიმართა ერთ გზით —
- 25 გალავნისაკენ, ცხრა დღე-ღამე ზევსმაც მიწყვიად
 დელგმა დაურთო, რომ ზღვის ტალღებს წაელოთ ციხე.
 მიწისმრყეველიც სამკბილათი იდგა ზვირთებთან
 და ყოველივეს წყალში ჰყრიდა ძირფესვიანად —
 მორებს და ლოდებს, აქაველთა ნაშრომ-ნაჯაფარს.
- 30 ზედ ზღვისპირამდე გაასწორა მიწასთან ციხე
 და ყოველივე ნაგებობა, ფართო ნაპირი
 გაავსო ქვიშით, მოამწყვდია მდინარეები
 ძველ კალაპოტში, სადაც აღრე მილივლივებდნენ.

ასე ენებათ პოსეიდონს და ღმერთ აპოლონს
 35 ერთად ეშრომათ მომავალში.

ხოლო ამჟამად

კვლავ ბრძოლა ატყდა გალავანთან.

გაიღეს ზათქი

კოშკის ძელებმა.

არგიველნი, ზევსის ნაგვემნი,
 გემების ახლოს გალავანში ჩაკეტილიყვნენ,

- დამარბეველი გმირ ჰექტორის შიშით დამფრთხალნი.
- 40 ის კი, ვით წინათ, მძვინვარებდა მსგავსი ქარიშხლის.
მონადირეთა და ძაღლების ალყაში მყოფი
ტახი ან ლომი ბრდღვინავს ხოლმე, თვალანთებული,
წრე მის წინაშე შეიკვრება, როგორც კედელი,
თავს დაატყდება ბასრ ოროლთა ღრუბელი მრუმე,
- 45 მაგრამ მამაცი გული როდი აუთრთოლდება.
არსად არ გარბის, გულადობით თავსაც იღუპავს:
ხან აქ აწყდება, ხან იმ მხარეს სცდის მონადირეთ,
და საითაც კი გაიჭრება, გაეცლებიან.
ასე ჰექტორიც წინ მიქროდა, სანგრის გადასვლას
- 50 სთხოვდა ტროელებს, მაგრამ მათი ფიცხი ცხენები
ყალყზე დგებოდნენ, ფრუტუნებდნენ შეშინებულნი
ზედ თხრილის პირას, თავზარს სცემდათ ფართო სანგარი,
არც გადახტომა ეგებოდა, არცა გადასვლა.
მას მთელ სიგრძეზე ნათალი კლდის წიბო გასდევდა.
- 55 ერთი-მეორის მიყოლებით ორსავე მხარეს
ხშირ-ხშირად იყო ამოჩრილი ბასრი სარები,
აქაველებს რომ დასაცავად თხრილში ჩაერჭოთ.
შიგ მსუბუქთვლიან ეტლით ცხენი ვერ ჩააღწევდა,
მხოლოდ ქვეითნი კვლავ ცდილობდნენ როგორმე
ჩასვლას.
- 60 პულიდამანტმა ბოლოს მამაც ჰექტორს შესძახა:
„ჰექტორ! ტროელთა ბელადნო და მოკავშირენო!
უგზურებაა ამ სანგარზე ცხენთა ჰენება,
ეტლით გადასვლა არ იქნება.
- ყოველ ნაბიჯზე
- ბასრი სარია და მას იქით — აქაველთ ციხე.
- 65 თხრილში ვერ ჩავალთ, იქ მხედრები ვერ იბრძოლებენ,
სივიწროვება, აგვაგებენ სარებზე ყველას.
თუ მეხისმტყორცნელს ჰეშმარიტად უნებებია
მტრის შემუსვრა და ხსნა ტროელთა მამაც მხედრობის,
მეც ხომ ეს მინდა: აქაველებს დაუყოვნებლივ
- 70 ბოლო მოეღოთ არგოსიდან შორს გადმოხვეწილთ.
მაგრამ თუ უცბად მოგვიბრუნდნენ, დაიწყეს თვითონ
გემთა წინ ბრძოლა, ღრმა სანგარში ჩამოგვრეკავენ.

მე კი ღრმად მჯერა, ვერვინ წავა ამბის წამლები
მტრის გასადევნად შუბშემართულ აქაველთაგან.

75 მისმინეთ, ძმანო და ჩემს რჩევას დაემორჩილეთ:
ცხენნი დავტოვოთ, სანგრის პირას მივანდოთ მსახურთ,
თვით კი ქვეითად, შემოსილნი სპილენძის ჯავშნით,
წავჰყვეთ გმირ ჰექტორს.

აქაველთა სპა ვერ გაგვიძლებს,
ვერ შეგვაჩერებს, ვერ წაუვა ბელის მუქარას“.

80 დაემორჩილა ჰექტორ რჩევას პულიდამანტის,
ეტლიდან მყისვე ძირს გადმოხტა აბჯარასხმული.
და ფიცხელ ცხენებს აღარც სხვები მიჰკარებიათ.
ჰექტორის შემდეგ ყველა მოყმე ჩამოქვეითდა.
მსახურთ უბრძანეს ტროელების თემისთავებმა

85 ცხენების მწკრივი მზად ჰყოლოდათ სანგარის პირას.
ჯარი გაიყო, შემჰიდროვდა მტკიცე რიგები —
ხუთ დიდ ნაწილად და ბელადებს ბრძოლაში გაჰყვა.
პულიდამანტი და ჰექტორი წარუძღვა ერთ რაზმს,
სიმრავლითა და სიმამაცით მოწადინებულს

90 ციხის დანგრევის და გემებთან მტრის იავარქმნის.
მათ კებრიონე მიჰყვა, უფრო სუსტ კებრიონეს,
მეორეს, ეტლთან მიუჩინა საქმე ჰექტორმა.
პარის, აგენორ, ალკათოს გაუძღვენ სხვა რაზმს,
ხოლო მესამეს — ჰელენოს და დეიფობოსი —

95 პრიამეს ძენი, მათვე ახლდათ გმირი ასიოს,
გმირი ასიოს ჰირტაკიდი, ამხედრებული
არისბეს მხრიდან, სელეენტის სანაპიროდან.
მეოთხე ლაშქარს მიუძღოდა ძე ანქისესი —
გმირი ენეას, ანტენორის ორი ძეც ახლდა —

100 არქელოქოს და აკამანტი ბრძოლანაცადნი.
მოკავშირეთა ჯარს გაუძღვა გმირი სარპედონ,
თან გაიყოლა გლავკოსი და ასტეროპეოს,
ორივე უყვარდა — მამაცთ შორის უმამაცესნი.
თვით კი სიმხნევით აქარბებდა ყველა წინაპიროსს.

105 ასე ეჭირათ თადარიგი, ფარშემართულნი

მტრისკენ იწვევდნენ მგზნებარენი, ოცნებად ჰქაჩნდათ --
ვერ შეგვბედავენ, გემებისკენ განილტვიანო.

- როგორც ტროელნი, ისე ტროელთ მოკავშირენი
დაემორჩილნენ კეთილ რჩევას პულიდამანტის.
- 110 მხოლოდ ჰირტაკიდს არა სურდა, ასიოსს მამაცს
ცხენნი მიენდო მეეტლისთვის სანგართან ახლოს.
ფიცხი ცხენებით ესწრაფოდა არგიველთ გემებს.
ეგ შლეგი! აბა ბედს როგორღა გაეჭკეოდა,
რას ყოყოჩობდა — ეტლით უკან არ მომიწევსო
- 115 გემთსადგომიდან გაქროლება ილიონისკენ!
თავხედს უწია ადგილზევე სასტიკმა ხვედრმა,
ოროლი მისწვდა დევკალიდის იდომენევსის.
მარცხნივ მიქროდა გემებისკენ, სად აქაველნი
მსუბუქ ეტლებით სცილდებოდნენ ბრძოლის სარბიელს.
- 120 ზედ კოშკს მიაღდა ასიოსი ფეხმარდ ცხენებით,
ვერც საკლიტური ვერ იხილა, ვერც ბჭე დახშული:
ფართოდ გაეხსნათ, რომ ეშველათ ბრძოლიდან მოსულ
მოლაშქრეთათვის, შეემალათ ნაე-ხომალდებთან.
ჯიქურ მიეჭრა მეოცნებე, მოსდევდნენ სხვებიც
- 125 საზარ ყიყინით, მათ ეგონათ, რომ აქაველნი
ვერ შეგვბედავენ, გემებისკენ განილტვიანო.
ვაი, მათს ჰკუას! კოშკთან ორი შემოხვდა მოყმე,
მამაცნი შვილნი შუბოსანი ლაპითებისა:
პეირითოოს-გმირის ვაჟი პოლიპოიტე
- 130 და ლეონტეესი, სულთამხუთავ არესის მსგავსი.
მალლა შემართულ გოდოლის წინ იდგა ორივე,
ვით ტყიან ბორცვზე მოშრიალე მუხა ამაყი,
ღღენიადაგ რომ ქარიშხალი, წვიმა ძირს უთხრის,
ზაგრამ მიწაში გაუშლია ფართოდ ფესვები.
- 135 მათაც მკლავის და მამაცობის იმედი ჰქონდათ,
ურყევად იდგნენ და ელოდნენ ფიცხელ ასიოსს.
როს მტერი შმაგად გალავნისკენ ბრძოლის ყიყინით,
ფარშენართული მოიწვედა, მოსდევდა მოყმეთ:
ბელად ასიოსს, იაშენოსს, ოინომაოსს,
- 140 ასიოსის ძეს ადამანტს და ორესტეს, თოონტს,

- იმ დროს ლაპითნი, ბჰესთან მდგომნი გეზი დასაცავად
 უხმობდნენ ლამაზ საბარკულთა მფლობელ აქაველთ.
 მაგრამ ზედ ციხეს რომ მოაწყდა ტროელთა ძალა
 და დანაელთა მეომრებმა შექმნეს განგაში,
 145 ორივე კარიბჭის წინ გავარდა და მტერს შეება.
 ველური ტახი გულუშიმირად ხედება მუხნარში
 მონადირეთა და დაგეშილ ძაღლთა თაედასხმას,
 ბუჩქნარს გაარღვევს ლაწა-ლუწით, ფესვებიანად
 ამოთხრის ხეებს და ჭახანი ისმის ეშვების,
 150 სანამ ოროლი მოუსწრაფებს ნადირს სიცოცხლეს.
 ასე გაჰქონდა ლაპითების მკერდზე რეალს ჟღერა
 მტერთაგან ნაკრავს, ფიცხი იყო კვეთება მათი,
 ირგვლივ მყოფ სპათა და საკუთარ ძალის იმედით.
 ვეება ლოდებს მეომრები მალალ კოშკიდან
 155 მომხვდურს სტყორცნიდნენ და იცავდნენ გეზებს და
 ბანაკს.

- როგორც ფარფატით დაეშვება თვალისმომჭრელი
 თოვლი, ქარბუქი რომ მოხვეტავს, აღმძვრელი ღრუბლის
 და ფანტელებად ნაყოფმრავალ მიწას დააფენს,
 ისე აქაველთ და ტროელთა ხელით ცვიოდა
 160 ისრის ფანტელი.
 უზარმაზარ ქვების დარტყმისგან
 ყრუდ გუგუნებდნენ ფარები და მუზარაღები.

- შეჰყვირა, ბოღმით ბარძაყზედაც დაირტყა ხელი
 ბრგე ასითსმა ჰირტაკიდმა ცოფმორეულმა:
 „მამაო ზევსო, შენც გამხდარხარ ცრუთა მოყვარე!
 165 ვერც ვიფიქრებდი, რომ შეიძლებდნენ აქაველები
 ჩვენს სიმამაცეს, მკლავთა ძალას წინ აღდგომოდნენ!
 მაგრამ არც ფუტკრებს, არც აბეზარ და ჰრელ კრაზანებს
 ბუდეს კლდე-ღრეზე, მტვრიან გზებზე რომ მოიწყობენ,
 არ სურთ არაფრით მიატოვონ მღვიმე საამო
 170 და მიმტაცებელ გლეხებს, ბავშვებს კბენენ სასტიკად,
 ასე, თუმც ორად ორი დარჩა, ბჰეს არ სტოვებენ,
 სანამ არ ძლევენ ყველას ან თვით არ იძლევიან!“

ასე ღალად ყო, მაგრამ როდი უსმინა ზევსმა,
ჰექტორის სახელ-დიდებაზე ზრუნავდა იგი.
175 სხვა რაზმი ამ დროს მტერს ებრძოდა მეორე კოშკთან.
არ ძალმიძს გითხრათ ყველაფერი მე, როგორც ღმერთმა
ვრცელი გალავნის გაყოლებით გაჩაღდა ბრძოლა,
სულმიღეუღნი არგიველთა სპანი ლოდებით
იკავდნენ გემებს.

მოიღუშნენ დარდით ღმერთებიც —
180 ტროის ბრძოლაში დანაეღთა ლაშქრის ქომავნი.

ერთუროს შეუდგნენ ლაპითები საშინელ ომში
პეირითოოს-გმირის ვაჟმა პოლიპოიტემ
შუბით დამასოსს გაუნგრია რვალის სალაწვე,
სპილენძმა დარტყმას ვერ გაუძლო, ოროლის წვერმა
185 ძვალი გააპო, ჩაეჭედა თავისქალაში,
სისხლში არია ტვინი. გზნება დაუცხრო მომხედურს.
მზე დაუბნელა პილონოსს და ორმენოსს ბოლოს.
ანტიმაქოსის ძე განგმირა მძლე ლეონტევსმა —
ჰიპომექოსი. შიგ სარტყელში გაურჭო შუბი.

190 იძრო მახვილი ქარქაშიდან, ბრბოს გაერია,
პირველი დასცა ანტიფატე, აძგერა ხმალი
და სულთმობრძავი დაენარცხა მიწას პირალმა.
იამენოსი, მენონი და ბოლოს ორესტე
ერთი-მეორის მიყოლებით ძირს დაანარცხა.

195 იმ დროს, როს აბჯარს მოლაპლაპეს ხდიდნენ დაცემულს,
პულიდამანტს და ჰექტორს მოჰყვა ჭაბუკთა რაზმი
სიმრავლით, სიმხნით, სიმამაცით გულმიცემული
ციხე-გალავნის დასანგრევად, გემთ დასაწველად.
მაგრამ სანგართან მამაცთა სპა შედგა ყოყმანით:

200 გულაგზნებულებს სასწაულად გამოეცხადა
მალლით არწივი, ჩაუქროლა მარცხნიდან ლაშქარს.
ბრწყალებში ჰყავდა სისხლიანი ვეება გველა,
ჯერაც ცოცხალი.

იბრძოდა და იკლავებოდა.
გადაიზნიქა, მიმტაცებელს კისერთან ახლოს
205 მკერდზე უკბინა, და ტკივილით გამწარებულმა

არწივმა გველი ჩამოაგდო მხედრობის შუა.
თვით კი ყივილით გააყოლა ქარ-ნიავს ფრთები.
ძრწოლა მოჰგვარა ტროელთ ჳრელი გველის დანახვამ,
მათს წინ მიწაზე განრთხმულიყო ღვთის სასწაული.

210 პულიდამანტმა ასე უთხრა გულმტკიცე ჰექტორს:
„ჰექტორ, ყოველთვის რად მაყვედრი, როცა ბჳობისას
სამართლიანად ვიტყვი ხოლმე? ხამს მოქალაქემ
ჳეშმარიტება არ უარჳყოს გინდა საბჳოზე,
გინდა ბრძოლაში, არამედ შენს ნებას იცავდეს.

215 მე მოგახსენებთ, რაც მგონია ღღეს სასიყეთო:
ნულარ შევეუტევთ დანაელებს ნავ-ხომაღდებთან.
ჩვენ აგვიხდება სასწაული, თუ ბრძოლის მსურველ
ტროელებს მართლაც სასწაულად მოვლინებია
მალღით არწივი, მარცხნისაკენ გამოჳროღიღი.

220 ცოცხალი გველი სისხლიანი ეჳირა ჳანგით,
მაგრამ გაუშვა, სანამ ბუღეს მიაღგებოდა
და ვერ მოასწრო მართვეთათვის მირთმევა მისი.
ჩვენც, თუმც აჳავეღთ კარიბჳეს და მალალ გაღავანს
ძალით დავღეწავთ, დავღითმობენ გზას აჳავეღნი,

225 მაგრამ უკანვე იმავე გზით ვერ დავბრუნდებთ,
ბევრი დავგრჩება აჳ ტროელი.

აჳავეღთ სჳანი
დასცემენ რვაღით, გემებისთვის თავდაღებულნი.
ასე ახსნიდა მოგვიც, ვისმა ნათელმა სულმა
უწყის ყოვეღი სასწაული. ხალხსაც სწამს მისი“.

230 მწყრალად შეხედა და მიუგო გმირმა ჰექტორმა:
„პულიდამანტო, არა მგამა სიტყვა ასეთი!
შეგეძღლო, რჩევა უკეთესი გეაზრებინა!
თუკი ეს, რაც თჳვი, წრფელი გულით გჳონდა ნათჳვიამი,
ეტყობა, ჳკუა შენთვის ღმერთებს მიუტაცნიათ.

235 შენ ამბობ, ნება დავივიწყო მგრგვინავი ჳევსის,
რაც მიგვანიშნა და მე რისიც მმართებს სრულყოფა?
არა ღმრთის მწამღეს, არამედ ცად მფრინავი ჩიტის?
ჩირად არ მიღირს მე ჩიტები, რა მენაღვლება,

- 240 თუ მარცხნივ, პირქუშ და ფერმიმქრალ დასავლეთისკენ.
ჩვენ მხოლოდ დიად ზევსის ნებას უნდა ვერწმუნოთ,
მოკვდავ კაცთა და მარადნეტარ ღმერთთა მბრძანებლის!
ყველაზე დიდი სასწაული ქვეყნის დაცვაა!
რად გეშინია შერკინების და ომის საფრთხის?
- 245 ტროელთა ძენი თუ არგიველთ გემების გვერდით
ვეყრებით მკვდრები, ნუ გექნება სიკვდილის შიში;
შენ სული მტრებთან შესაბამელად როდი მიგყვება!
მაგრამ თუ ბრძოლას გაექცევი, ან სხვა მეომარს
აედუნებ სიტყვით, განაზრდებ საომარ საქმეს,
- 250 ამ ჩემი შუბით ამოგხდება სული, იცოდე!“

ასე წარმოთქვა. გზა განაგრძო. გაჰყენენ რაზმები
საზარ ეციენით.

ზევსმა, მეხით გალაღებულმა,
იდას თხემიდან ქარი აღძრა და გემების წინ
დაატრიალა მტვრის ქარქვეტი.

აქაველ გმირებს

- 255 სული დაუმცრო, აღამალა ტროელთ დიდება.
ენდენენ სასწაულს ღვთაებისას, ენდენენ თვის ძალას
და აქაველთა ციხის ნგრევა დაიწყეს ტროელთ.
ქონგურებს გლეჯდნენ, ლაწა-ლუწი გაჰქონდა გოდოლს,
ძალაყინებით ძირს ურყევდნენ ღრძად. ჩათხრილ ბოძებს,
- 260 მაღალ კოშკების დასაყრდენად მიწაში ჩასმულთ.
იმედი ჰქონდათ. რომ გალავანს მალე დაშლიდნენ.
მაგრამ ჭერ ფეხსაც არ იცვლიდა სპა დანაელთა.
ფარებით მტკიცედ კოშკს იცავდნენ, ქვებით, შუბებით
ებრძოდნენ ტროელთ, შემოსეულთ გალავნის ძირას.
- 265 ორივე გმირი აიანტი გოდოლს იცავდა,
მეციხოვნეებს დაუვლიდნენ, გულს უმაგრებდნენ,
ზოგს მოფერებით მიმართავდნენ, ზოგს კი მრისხანედ,
თუ თვალს მოჰყარავდნენ ბრძოლის ველით
- შემობრუნებულს:
„ო, არგიველნო, წინანი ხართ თუ უკანანი,

270 თუ ლაშქრის შუა მოქცეულხარო, — ყველას ხომ ერთი
არ მოსდგამს ძალა, — დღეს ერთი გვაქვს ჩვენ
განსაცდელი!
თვით ხედავთ!

გულში ლტოლვას ფიქრად ნურვინ გაივლებს,
როს გალავანთან თავზარს დასცემს მტრების ყოყინა!
წინ გაიჭერით, ერთმანეთიც ბრძოლით აღაგზნეთ!

275 ვინაწლო ინებოს კრონიონმა მალლით ელვარემ
ხსნა მოგვანიჭოს და მივსდიოთ მტერს ქალაქამდე!“

ასე აქაველთ ამხნევებდნენ აიანტები.
თითქოს გადმოსკდა თოვლის თქორი ხშირ ფანტელებად
ზამთრის ქამს, ოდეს ზევსი გრგვიანეს.

მეხთამტყორაცნელი.

რომ კაცნი თოვლში გაახვიოს, სტყორცნის თვის ისრებს,
280 ქარს მიაყუჩებს, განუწყვეტლივ ბარდნის და ბარდნის,
ფარავს მწვერვალებს და აღესილ კლდეთა წვეროებს,
გაშლილ ველ-მინდვრებს, კაცთა ნაშრომს და ნამუშავეს,
ნაპირს ეფრქვევა, შეესევა კიდეს ზღვაური,

285 ტალღა თარეშობს, ფიფქებს შთანთქავს. სხვას

ყოველივეს

ზედ აფენია თეთრად, ბორგავს ზევსის ქარბუქი.

ასე მიქროდნენ აქედან და იქიდან ქვები —

ტროელთ ბანაკში, ტროელთაგან — აქაველთ მხარეს.

სწრაფად ტყორცნიდნენ, ბურჯს გაჰქონდა გრიალ-გრიალი.

290 როდი შეძლებდნენ ტროელნი და გმირი ჰექტორი,
ბჭე შეეღწათ, შეემტვრიათ საკლიტურები,
რომ ძეს — სარპედონს მამა-ზევისი არ შეწეოდა.

ვით რქამრუდ ხარებს ლომმა, მოყმემ მტერს შეუტია.

მყის აიფარა მკერდზე ფარი მან მორკალული,

295 მძიმე სპილენძით მოჭედილი და მოელვარე.

ქველ ოქრომჭედელს კრავის ტყავი ოქროს სამსკვალით
ფარის სიმრგვალის გაყოლებით გადაუჭიმავს.

მკერდზე ეფარა გმირს, ხელთ ეპყრა ორი ხელშუბა;

გაიჭრა ლომი, მოწადინე სისხლის და ხორცის,

300 მამაცი სული აღგზნებია, ცხოვართ საელეტად
უნდა შევარდნა შემორაგულ ფარებსში უმაღ,

თუმც ძელუორის წინ კომბლიანი დახვდნენ მწყემსები,
ფხიზელ ნაგაზთა ხროვით ფარას რომ დარაჯობდნენ.
ფიქრად არ მოსდის დაცხრეს, სანამ სისხლს არ იგემებს.

- 305 გადაევლება ძელუორეს და მიიღებს დარტყმას,
უმაღვე შუბით განგმირული დაენარცხება.
ასე სარპედონს წინ უსწრებდა სული, ღვთაებრივს,
სურდა გალავანს თავს დასხმოდა, ბურჯი დაემხო.
მიმართა გლავკოსს, ძეს სვიანი ჰიპოლოქოსის:
- 310 „გლავკოს! ყველასგან რატომ ვყავართ გამორჩეული,
ნადიმში რატომ მოგვართმევენ სავეს ფიალებს,
ვითარცა ღმერთებს, ლიკიაში რად გვადიდებენ?
ქსანთოსის პირას რად გაშლილა ჩვენი მამული,
ღოვლათიანი, თავთუხიან-ვენახიანი?
- 315 ჩვენ ლიკიელთა მეწინავე გმირებთან გვმართებს
მგზნებარე ბრძოლა, უპირველესთ პირველთა შორის.
დე თოროსანმა ლიკიელმა ვერცერთმა ვერ თქვას:
ვრცელი ლიკიის სახელმწიფოს უქმი მეფენი
განაგებენო, მიირთმევენ ნოყიერ საზრდოს;
- 320 ტკბილ ღვინოს სვამენ, მაგრამ ძალა როდი მოსდგამთო.
არა! გვადიდონ, ვით პირველნი ლიკიელთ შორის
ო, საყვარელო! ჩვენ რომ ომზე დღეს უარი ვთქვათ,
უბერებელი და უკვდავი დავრჩეთ ორთავე,
კარგი იქნება.

მაშინ წინ არც გავიჭრებოდი,

- 325 არც ჩაგითრევედი სამამაცო ბრძოლის საფრთხეში,
მაგრამ ჩვენ ახლაც, ვით ყოველთვის, სიკვდილი გვახლავს,
მოკვდავი მას გვერდს ვერ აუვლის.

რაკი ასეა,

წინ — დიდებისკენ! ან დავეცეო მტრის სადიდებლად!“

ასე მოუხმო და გლავკოსიც არ გაერიდა.

- 330 ორივე გაიჭრა ლიკიელთა დიდი ლაშქრის წინ.
პეტეოსის ძე მენესთევსი შეკრთა, როს ნახა —
ემუჭრებოდა მის კოშკს ძალა დამანგრეველი.
მიმოიხედა, ვინძლო ვინმე აქაველთაგან
საბედისწერო ჟამს მის ლაშქარს მიშველებოდა.

335 იხილა ბრძოლით უმაძლარი აიანტები,
ერთურთის გვერდით, იქვე ტევკროს ახლად მისული;
მაგრამ იქამდე არ შეეძლო ხმა მიეწვდინა —
ცამდე აღწევდა ღრიანცელი, იდგა გრუხუნნი
გამსკდარ ფარების, მუზარადის, საკლიტურების.

340 ბქე ძიგძიგებდა, შემორტყმოდა ბრბო საშინელი,
სურდათ გაეპოთ, გაეხლიჩათ, შიგ შეჭრილიყვენენ.
აიანტებთან მსწრაფლ აფრინა მაცნე თოოტი,

345 „გასწი, თოოტო, ღვთაებრივო, უხმე აიანტს,
გვიჯობს ორივე! ახლა მართებთ ჩვენი შეწევნა,
რამეთუ სწორედ აქ ატყდება ბრძოლა საზარი!
მოდსწრაფვიან ლიკიელნი, რომელთ წინათაც
ქარიშხალივით ბრძოლის ველზე შეჭრა ჩვეოდათ.
თუ ჭაფა ადგათ, ცხარე ბრძოლაც გაჩაღებულა,
ერთი მოვიდეს აიანტი, ტელამონის ძე,

350 ტევკროსიც მოჰყვეს, მოისარი სახელოვანი“.

ასე უბრძანა, მალემსრბოლიც დაჰყვა მის ნებას,
რვალისკვართიან აქაველთა გალაუნის ბოლოს
ორთავ აიანტს მიეახლა მაცნე და უთხრა:

355 „რვალისკვართიან აქაველთა ქველნო ბელადნო!
ღმერთშემოსილი, საყუარელი ძე პეტეოსის
გთხოვთ, თუნდ ნაწილი თქვენ იტვირთოთ მძიმე შრომისა.
უჯობს ორივე! ახლა გმართებთ მათი შეწევნა,
რამეთუ სწორედ იქ ატყდება ბრძოლა საზარი!
მიისწრაფვიან ლიკიელნი, რომელთ წინათაც

360 ქარიშხალივით ბრძოლის ველზე შეჭრა ჩვეოდათ.
თუ ჭაფა გადგათ, ცხარე ბრძოლაც გაჩაღებულა,
ერთი მივიდეს აიანტი, ტელამონის ძე.
ტევკროსიც მიჰყვეს, მოისარი სახელოვანი!“

365 თქვა და ხალისით დაეთანხმა ტელამონის ძე,
ფრთიანი სიტყვით ოილევის ძეს მიუბრუნდა:
„გმირო აიანტ, ლიკომედევ გულუშიშარო!
დარჩით, დანაელთ შთააგონეთ ბრძოლა გმირული.
მე კი საშველად მივიჩქარი მოძმეთა ჩემთა,
მტერს იქ შევმუსრავ და უმაღვე თქვენთან გავჩნდები“.

370 თავისიანებს ასე უთხრა.

ტელამონის ძეს

გაჰყვა ტევკროსიც, მამით ძმები იყვნენ მოყმენი.
ტევკროსს თან მიჰყვა პანდიონი, მშვილდი მიჰქონდა.
მენესთევსის კოშკს როს მიადგნენ გალავნის შიგნით,
ნახეს, რომ მართლაც მტერი ბურჯებს შემოსჯარვოდა.

375 გადაუვლიათ მიწაყრილი, ვით სასტიკ გრიგალს
ლიკიელთ ლაშქრის უმამაცეს მეფე-ბელადებს.
მებრძოლი მებრძოლს საომარი ყიყინით შეხვდა.

პირველად დასცა მეგობარი სარპედონისა
ტელამონის ძემ — ეპიკლევის დიდსულოვანი.

380 მარმარილოს ქვას ხელი სტაცა: ეგდო ვეება
ლოდი, ბასრი და წამახული, სანგრის კიდესთან.
ჩვენი დროისას ორ მოწიფულ ვაჟკაცსაც დაძვრა
ძნელად შეეძლო, მან კი სტყორცნა ლოდი იოლად.
ზუჩი ბაკმული გაუჰყლიტა და თავის ქალა

385 სულ მიუმსხვრია.

მოყმე მოსწყდა როგორც მყვინთავი
მაღალ კოშკიდან.

სულმა ძვლები დატოვა მყისვე.
ტევკროსმა გლავკოს — ძლიერი ძე ჰიპოლოქოსის,
გალავნით მისკენ გამოჰრილი, ფრთოსანით დაქრა,
იქ, სადაც ტანს ვერ უფარავდა თორნი მეომარს.

390 მოყმე გალავანს მიეფარა, ვინძლო აქაველთ
არ შეენიშნათ დაკოდილი, ყბად არ აელოთ.
ბოლმა მოაწვა გმირ სარპედონს, ოდეს გლავკოსის
გაცლა შენიშნა.

ბრძოლის ველზე თვით დარჩა მაინც.

395 ბასრი ოროლი თესტორის ძეს ალკამონს სტყორცნა,
უკუ მოქაჩა, შუბს ბარბაცით მოჰყვა სხეული
და აეღრიალდა რვალის მძიმე აბჯარ-ბექთარი,
მაგრამ ძალუმად ამოგლიჯა მოყმემ დიბლიგი,
მოსწყდა შუბისწვერს მტერი, მიწას პირქვე დაასკდა.
მაღლით გაიხსნა გალავანი, გზა გაიცალა.

400 აიანტი და ტევკროს დახვდნენ ყრმას ერთდროულად,

ერთმა ჩსარი განუწონა ფარს კაცის სიგრძეს
და გმირის სარტყელს, მაგრამ ზეესი შვილს შეეწია,
აზრად არ ჰქონდა ხომალდებთან დაღუპვა მისი.

ფარი გაუპო აიანტმა, შუბმა გამქოლად

- 405 გაკვეთა, მტერი უკუიქცა გულდაზაფრული.
ბრძოლის ასპარეზს მაინც როდი გარიღებია,
იმედი ჰქონდა. რომ დიდება არ ასცდებოდა.
ლტოლვილმა უთხრა ლიკიელებს, ღვთაების სადართ:

„ო, ლიკიელნო! სიმამაცე რად გაგეცალათ?

- 410 განა მე ძალმიძს, გაცილებით მძლავრიც რომ ვიყო,
ბურჯიც დავამხო და გავკაფო გზაც ხომალდისკენ?
მომყევით! ერთად შრომა ძლევის საწინდარია!“

ეს რომ თქვა, ლაშქარს მართლაც შერცხვა სვიანი მეფის,
მტკიცედ შეიკრა, გაბედულად მიჰყვა წინამძღოლს.

- 415 არგიველებმაც გაამაგრეს თვისნი ფალანგნი
გალავნის შიგნით, მათს სიმხნევეს მხნე ძალაც დახვდა:
როგორც ლიკიელთ არ შეეძლოთ დანაელთ ძლევა,
ბურჯის გარღვევა, გზის გაკაფვა ხომალდებისკენ,
ისე უჭირდათ დანაელთაც კარზე მომდგარი

- 420 ლიკიელთ ლაშქრის უკუგდება ციხის ზღუდიდან.
ვით ორი გლეხი ყანობირთან წაიკნკლავდება,
ხელთ აქვთ საზომი — უტევანი, დგანან სამანთან,
სადაც სვე გადის, ყაყანებენ, მეტს იჩემებენ,
ასევე ჰყოფდა სპას კედელი, აქეთ-იქიდან

- 425 ერთურთს უპობდნენ მკერდზე აკრულ მოზვერის

ღველებს,

მდიდრულ ტყავკაბას, ბაკმულ ფარებს მსუბუქს და

დიდსაც.

ბევრს სამარცხვინოდ მიეწია ბასრი სპილენძი,
ზურგი გაუპო, ხერხემალი გადაუშხხვრია,
მრავალს კი მკერდი გაუნგრია — ფარმაც ვერ იხსნა.

- 430 კოშკიც, სანგარიც შეიღება მებრძოლთა სისხლით,
აქაც და იქაც, აქველთა და ტროელთ მხარეს.
მაგრამ აქველთ არ იცვალეს ფეხი, არ შედრკნენ.
როგორც ურყევად დგას სასწორი დიასახლისის,

თუ ქალი პინას გულმოდგინედ აწონასწორებს,
435 რომ მშიერ ბავშვებს მიუჩინოს კერძი საზრდელი,
ისე ლაშქარმა მტრის ლაშქარი ვერ გადაწონა,
სანამ ჰექტორი გმირულ საქმით დიადმა ზევსმა
არ დაამშვენა.

გაარღვია გმირმა გოდლედი.

გამაყრუებელ ხმით შესძახა ტროელთა ლაშქარს:

440 „ტროელნო გმირნო, გაანგრეთ არგიველთ ზღუდე
და მათს ხომალდებს ალი სტყორცნეთ ყოვლის

შთანმთქმელი!“

ასე აღაგზნო, კილით-კიდე ხმა მისწვდა ყველას,
გოდოლს მიაწყდნენ, სწრაფად იწყეს ასვლა კედელზე,
ყოველ ღრიჭოდან გამოჩრილი შეხვდათ სათხელი.

445 ჰექტორს ხელთ ლოდი აეტაცა, იქვე რომ ეგდო
ძირგანიერი, კენწეროსკენ თანდათან წვრილი.

მას ჩვენი ღროის ორი კაციც, თუნდ მჯობთა მჯობი
ეგრე იოლად ბერკეტითაც ვერ დაუდებდა
ურემს, მაგრამ ლოდს მოერია მოყმე ადვილად.

450 შეუშუბუქა ტვირთი ვაჟკაცს ცბიერმა ზევსმა.

მწყემსს რომ საწმისი მიაქვს, ფეხსაც არ მოუნელებს,
იგი ვერც კი გრძნობს, ხელს არ უშლის ტვირთის სიმძიმე.
ასე მსუბუქად კარიბჭისკენ მიჰქონდა ჰექტორს
ვეება ლოდი.

კარი დახვდა მტკიცედ დახშული

455 საკლიტურებით, შიგ გაყრილი მძიმე საძალნი
სალტით შეეკრათ ორივ, ურდულს ეჭირა კარი.
დადგა ყრმა ბჭესთან.

ღარტყმა რომ არ გაცუდებოდა,
ლაჯი გაშალა, გაიზნიქა, შუაში დასცხო.

ორივ საძალი ჩამოგლიჯა, შიგ დაეხეთქა

460 ლოდი.

კარიბჭემ დაიქუხა, ველარც ურდულმა
უშველა, ირგვლივ გაიფანტა მყის ნაფოტები.
ბჭეში შეიჭრა საშინელი გმირი ჰექტორი.
ღამესა ჰგავდა ქარიშხლიანს, რვალი ელავდა,

ყრმა მთლად სპილენძის თორნ-ჯავშანით შემოსილიყო.
465 ხელთ შუბი ეპყრა, გმირს ღმერთიც ვერ დააკავებდა,
როცა კარიბჭე შევლო. ცეცხლი ენთო თვალებში.
ტროელთ უბრძანა ბრბოდ მოჯარულთ, რომ მეყსეულად
გალავნის თავზე აპრილიყვნენ.

ასეც მოიქცნენ,
დაუყოვნებლივ შეესივნენ კოშკს და გალავანს,
470 გახსნილ კარიბჭეს.

გაიფანტნენ დანაელთ სპანი,
გემს მიაშურეს.

საშინელი განგაში ატყდა.

ქება მეცამეტე

ბრძოლა ხოვალღებთან

ზევსმა ჰექტორი და ტროელნი მტერს შეატოვა,
რომ ვაება და ომის ჯაფა არ ასცდენოდათ,
ხოლო თვით თვალნი სხივოსანნი მიაპყრო შორეთს —
თრაკიელთ მიწას — ცხენოსანთა, მისიელების —
5 მხნედ მორკინალთა, მხარეს განთქმულ ჰიპემოლოგოსთა —
რძით გაზრდილ, ღატაკ, მაგრამ მუდამ მართალი ხალხის.
ტროისკენ თვალი შექმოსილი არ მიუმართავს.
როგორ ეგონა, რომ უკვდავთა შორის კვლავ ვინმე
ქომაგად ტროელთ ან დანაელთ აღუჩნდებოდა!

10 მაგრამ არ დადგა უქმად ღმერთი პოსეიდონი,
ომს და კვეთებას რომ დამზერდა მთის მწვერვალიდან.
ტყიან სამოსის ციცაბოზე ჩამომჯდარიყო
თრაკიის მხარეს.

შორს მოჩანდა იდე დიადი,
აქაველთ გემნი და ქალაქი პრიამოსისა.

15 ზღვის წიაღიდან ამოსული სთნავდა დანაელთ,
ტროელთა ძალით დათრგუნვილებს, დრტვინავდა ზევსზე.
ადგა მრისხანე, გამოიჭრა მთის მწვერვალიდან,
თრთოლვა შეუდგათ მუხნარსა და უღელტეხილებს,

- განაბულთ ტერფქვეშ უკვდავ ღმერთის პოსეიდონის.
- 20 სამი ნაბიჯი რომ გადადგა, მეოთხეზევე
გაჩნდა აიგას, ზღვის ყურეში სადაც ეგულვა
ოქროს სასახლე, სხივმოსილი, მარად უხრწნელი.
ეტლში შეაბა რაშნი რვალისფლოქვეებიანნი,
შმაგად გაფრენილთ ერხეოდათ ოქროს ფაფარი,
- 25 ოქრო აისხა, მარჯვენაში ოქროს მათრახი
შვენოდა ღმერთსა, შედგა სწრაფად კაშკაშა ეტლზე
და ზღვის ზვირთებზე გააქროლა, შეძრა ჯურღმული.
თავი ამოყვეს ვეშაპებმა, იცნეს მეუფე.
ლაღად გაშლილ ზღვას მყის რაშებმა გადაუქროლეს,
- 30 სპილენძის ღერძი წყლის ჭავლს თითქმის არ ეხებოდა.
ხომალდებისკენ ფეხმარდ მერნებს აეღოთ გეზი.
არის ყურეში ერთი მღვიმე ზვირთების ზემოთ,
ტენედოსის და კლდე-პიტალო იმბროსის შუა.
იქ შეაჩერა რაშნი ღმერთმა პოსეიდონმა.
- 35 მოხსნა ეტლიდან, მისცა საზრდო ამბროსიული
და მკვირცხლ ფეხებზე ამოაკრა ოქროს ხუნდები,
ჯაჭვით დააბა, რომ ადგილზე კვლავ დახვედროდნენ
და თვით გასწია აქაველთა მხედრობისაკენ.

- ტროელთ სპა მძღავრი, ვით გრიგალი, ალი მგზნებარე,
- 40 ჰექტორს საომრად მიჰყვებოდა საზარ ყიყინით,
გულშიცემულნი ოცნებობდნენ: დაწვავთო გემებს
და აქაველებს ხომალდებთან მივაყუყავთო.
მაგრამ ღრმა ზღვიდან ამოსული ქვეყნისმრყეველი
პოსეიდონი არგიველთ სულს ალაზევებდა.
- 45 კალქანტს ემსგავსა, სახითა და ომახიან ხმით,
თავდაპირველად სიტყვა უთხრა ფიცხ აიანტებს:
„აიანტებო! თქვენდა ძალგიდთ ხსნა აქაველთა,
გამკობთ სინხსევე, ლტოლვაც ფიქრად არ გაგივლიათ.
სხვაგან ტროელთა მძღე მარჯვენის შიში არა მაქვს,
- 50 ქონგურებიან გალავანში ბრბოდ შემოჰკრილთა,
ყველგან მამაცად დახვდებიან აქაველთ სპანი.
აქ კი უსაზღვრო შიში მიპყრობს, ვაი თუ გვძლიონ,
აქ ხომ ღველფივით მოგიზგიზეს სპა მოჰყავს ჰექტორს,

თავის თავს ყოვლისშემძლე ზევის შვილს რომ უწოდებს!
55 ნეტავ, ღწერთებმა ჩაგინერგონ გულში სიმტკიცე,
რომ თქვენი თავიც გაამხნევოთ და სხვაც შეეკრთალო!
რაგინდაც შმაგი იყოს, გემებს არ დაანებებთ,
თუნდ აქეზებდეს თვითონ ზევისი ოლიმპიელი!“

თქვა და თვით კვერთხით ღმერთი ქვეყნა-ს შემარყეველი.
60 შეეხო გმირებს, საშინელი ძალით აღავსო.
მსუბუქ-ყო მათი სახსრები და მძლავრი მარჯვენა.
თვით კი გაიჭრა, ვით ალალი, ცად მოლივლივე,
ციცაბო კლდიდან სანადიროდ რომ ჰკრავს ირაოს,
რათა დააცხრეს ფრინველს, შიშით აფრთხილებულს.

65 იმასა ჰგავდა პოსეიდონ ქვეყნის მრყეველი.
პირველად იცნო ღმერთი გმირმა ოილევისის ძემ,
პირველად მანვე უთხრა მამაც ტელამონიონს:
„უქველია, აიანტო, ოლიმპოს მკვიდრი
ემსგავსა მისანს და გვიბრძანა დაცვა ხომალდთა.

70 არ კალქანტია იგი, ბრძენი ჩიტთაჩხიბავი,
კვალით შევიცან, მძლავრ წვივებით ღვთაება,
ჩვენგან

უკუქცეული.

ღმერთის ცნობა ძნელი როდია.

ჰოდა, ვგრძნობ კიდევ, მკერდში გული გამხნევებული
საომრად მიწევს წინანდელზე უფრო მგზნებარედ,
75 მძლავრი მხარ-მკლავი და სახსრები ბრძოლად ამენტო“.

ჰრქვა და მიუგო აიანტმა ტელამონიდმა:

„ოლონდაც! შუბზე მეწვის ხელი ბრძოლის სურვილით,
სული აღმენტო, მოუსვენრად მითრთის ტერფები,
ლამის წამილონ!

ახლა მინდა მარტო გავიჭრა

80 პრიამეს ძესთან, მძვინვარესთან შესარკინებლად!“

ასე ერთმანეთს უთხრეს სიტყვა აღგზნებულებმა
ბრძოლის კოცონით, ღმერთმა გულში რომ გაულღივა.
იმ ღროს ღვთაება აქეზებდა მათს უკან მდგომ სპას,

ნავ-ხომალდებთან სულს დაშრეტილს რომ იბრუნებდნენ.

85 მებრძოლებს, სასტიკ ჯაფით ძალაგამოლეულებს,
გულს მოსწოლოდათ მწუხარება, რაკი ხედავდნენ
ტროელთა ლაშქარს გალავანთან ბრბოდ შემოსეულს.
მათი ზეიმი ცრემლებს ჰგვრიდათ, სირცხვილს და
სიკედელს

ვერ ავიცდნეთო.

მაგრამ ღმერთი ქვეყნის მრყეველი

90 ანაზღად გაჩნდა, წამოშალა ფალანგნი სპათა.
პირველად ტევკროსს და ლეიტოსს მიადგა ღმერთი;
იქ — პენელეოსს, მამაც თოანტს და დეიპოროსს,
აქ — მერიონეს, ანტილოქოსს, ბრძოლანაცადებს
ფრთიანი სიტყვით მიმართავდა გასამხნეველად:

95 „ვაი, სირცხვილი, არგიველნო ჭაბუქნო!

მე ვთქვი,

რომ დაიცავდით მამაცურად ზღვად მცურავ გემებს!
მაგრამ თუ შიშით თქვენც ასპარეზს გამოქცევინართ,
საბედისწერო დღე დამდგარა! გძლევენ ტროელნი!
ახა-ვაიმე! ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა,

100 რა სასწაული, რომ მეგონა არ მოხდებოდა:

ტროელნი გემებს თავს ესხმიან, წინათ დაზაფრულ
და მოცახცახე შველებსა ჰგავდნენ, უსიერ ტევრში
ფეხაკრეფილებს, ომისათვის არ გაჩენილებს,
საზრდოდ განწირულთ ტურა-მგელთა და

ფოცხვერთათვის.

105 განა ტროელნი აქაველთა შიშით არ თრთოდნენ,
ვერ უდგებოდნენ წინ წამითაც მათს სიმამაცეს!
ახლა კი, დახეთ ციხიდან შორს, გემთან იბრძვიან!
მეფის საქციელს მოჰყვა ეს და სისუსტეს ჯარის,
მბრძანებლის ჯიბრით რომ არ უნდა გემების დაცვა

110 და მტრის ალყაში დასალუპად თავსაც იმეტებს!
გრცხვენოდეთ!

თუნდაც დამნაშავე იყოს საშინლად
გმირი ატრიდი, თემისთავი ავამემნონი,
თუნდ პელიდისთვის აეყაროს მართლაც პატივი,
ერთი წამითაც არ გმართებდათ უკან დახევა!

115 ჩვენც თავს ვუშველოთ: კეთილშობილ გულს ეშველება!
ზნეს სამამაცოს თქვენ ივიწყებთ, მთელს მხედრობაში
უმამაცესნი!

მე თავს რისხვას არც დავატეხდი
მეომარს, თუკი მხდალია და გაურბის ბრძოლას,
მაგრამ თქვენს გამო აღშფოთებით შემეძრა სული!

120 ვაი-ბეჩავენო! თქვენ მოუტანთ ვაებას ყველას
ამ სიძაბუნით!

გონს მოეგეთ, საით წაუხვალთ
სირცხვილს, ყვედრებას!

გადამწყვეტი იწყება ბრძოლა!

ჰექტორი უკვე თავს დაესხა მაღალ ხომალდებს;
ბჭენი დალეწა, დაამტვრია საკლიტურები!“

125 ასე უხმო და გაამხნევა სპა აქაველთა.

აიანტებთან დადგნენ გმირნი კედლად შეკრულნი.
არესს, ათენას — სპათა განმწყობს როდი შეეძლოთ
შეება არ ეგრძნოთ მათი ნახვით:

მძლე მეომართა

ფალანგი ტროელთ და ღვთაებრივ ჰექტორს ელოდა.

130 შუბი ებჯინა შუბს, ფარი-ფარს გაუთავებლად,
ჩაჩქანი — ჩაჩქანს, და კაცი კაცს ედგა მხარდამხარ.

ზუჩის თავბოლო კაშკაშებდა, ზუჩი და ზუჩი
ხშირ ფალანგებში ირხეოდა ხოლმე მრისხანედ,
ვაჟკაცთა ხელში შემართული შუბი ტოკავდა.

135 ტროელთ მიეჭრნენ, შერკინება სწყუროდათ გმირებს.
მაგრამ დაასწრეს, ტროელებმა დასცხეს,

ჰექტორი

ეკვეთა, როგორც მძიმე ლოდი, კლდეს მოხეთქილი.
როს შემოდგომით მთის ნაკადი ანგრევს წახნაგებს,
თქეში გააობს პიტალო კლდის საძირკველს მტკიცეს,

140 ლოდი მოფრინავს, ტკაცა-ტკუცი ხეებს გაუდის,
არსად არ უხვევს, ჩიქურ მოდის, სანამდის ველზე
დაენარცხება. იქ კი ბოლოს წყნარდება შმაგი.

მას ჰგავდა ჰექტორ, ისწრაფოდა ზედ ზღვამდე გაქრას,
გემთა, კარავთა, აქაველთა გვამების გავლით,

145 მაგრამ, როს შეხვდა მტრის ფალანგებს შემჭიდროებულთ,

ზედ მივარდნილი შედგა.

მედგრად აქაველთ ძენი
ორმხრივ წამახულ ოროლებით და ხმლებით დახვდნენ.
უკუაქციეს.

დაიხია ძლეულმა ძალით.

ყურისწამლები ხმით შესძახა ტროელთა რაზმებს:

150 „ტროელებო და ლიკიელნო, დარდანელებო!
შესდექით, დიდხანს აქაველნი ვერ გამიძლებენ,
თუნდაც კოშკივით წინ აღმართონ მთელი ლაშქარი.
შუბით გარშემო მიმოვფანტავ. თუკი ნამდვილად
ღმერთი მყავს შემწედ, ყოვლისშემძლე, ჰერას მეუღლე!“

155 ასე შესძახა, აღაზევა სული მებრძოლთა.
დეიფობოსი მეოცნებე, პრიამოსის ძე,
სპას გამოეყო, მკერდს მიიკრა ბაკმული ფარი,
წინ მიიწევდა ტერფმსუბუქი, ფარს შეყუყული.
მაგრამ უსწორა მერიონემ ელვარე შუბი

160 და ბაკმულ ფარში გაეჭედა შმაგი დიბლიგი,
ვერ გაატანა მოზერის ტყავში, და შუბისტარი
ზედ გადაემსხვრა, სულშეძრულმა დეიფობოსმა
ოროლის შიშით მოიშორა ფარი ბაკმული,
ტყავგადაკრული.

მერიონე მეგობართ კრებულს

165 კვლავ შეუერთდა გამწყრალი და ბედზე მჩივანი,
რომ შუბთან ერთად გამარჯვებაც დაჰკარგა ნაღდი.
სწრაფად წავიდა აქაველთა ბანაკისაკენ,
რომ დიდი შუბი მოეტანა თვისი კარვიდან.

სხვები იბრძოდნენ, საშინელი გმინვა ისმოდა.

170 ტევკროსმა დასცა მძლე მებრძოლი თავდაპირველად —
იმბრიოს, ვაჟი მენტორისა, ცხენმრავალ კაცის.
აქაველთ ლაშქრის შემოჭრამდე პედაიოსში
შედესიკასტე ესვა ცოლად, პრიამეს ბუში.
მაგრამ გემებით არგიველთა სპა რომ მოადგა

175 ილიონს, ომში ტროელთ შორის ბრწყინავდა მოყმე.
პრიამეს სახლში, ვით მეფის ძეს, ერგო პატივი.
მას შიგ ყვრიმალში დასცხო შუბი ტელამონიღმა

და კვლავ დააძრო.

- მოიკვეთა, როგორც კოპიტი
სერზე გაშლილი, შესამჩნევი უკვე შორიდან,
180 რვალით მოჭრილი, მწვანე შტოით დანარცხებული.
დაეცა მოყმე და ქლრიალი გაიღო თორნმა.
მივარდა ტევკროს, რომ აერთვა აბჯარ-ბექთარი,
მაგრამ ჰექტორმა მოელვარე ოროლი სტყორცნა.
შენიშნა გმირმა, ძლივს გაუსხლტა შუბს, შმაგად ნასროლს,
185 ამფიმაქოსს, აქტორიონ კტეატოსის ძეს,
ბრძოლად შემოჭრილს, განეწონა მკერდში ოროლი.
ზათქით დაეცა და გაიღო ზრიალი თორნმა.
გაიჭრა ჰექტორ, რომ ჩაჩქანი რვალით ნაჭედი
მსწრაფლ ხელთ ჩაეგდო განგმირული ამფიმაქოსის.
190 მაგრამ აძგერა აიანტმა თავდამსხმელს შუბი.
ველარ გაკვეთა შუბმა ტანი, ირგვლივ სპილენძით
შემოსალტული, მაგრამ ფარის შუაგულს მოხვდა,
ძალა იგრძნო და უკუიქცა ჰექტორი. მოკლულთ
თავი ანება.

გაათრიეს გვამნი არგიველთ.

- 195 ამფიმაქოსი სტიქიოსმა და მენესთევსმა,
მხნე ათენელთა ბელადებმა თან წაიყვანეს,
ხოლო იმბრიოსს მიათრევედნენ აიანტები,
როგორც ლომი — ჯიხვს, კბილგაბასრულ ძაღლებს
ნადავლს.

- ამაყად მიაქვს ფოთლებაშლილ ხშირ ბუჩქნარებში,
200 სისხლიან ყელში ჩაუვლია ხარბი ღოჯები.
ასე ეჭირათ გვამი მალა, აიანტები
მკერდზე აგლეჯდნენ ბექთარს, თავი ძირს ჩაქინდრული
ოილევის ძემ მოაკვეთა, შურისმგებელმა
შორს მოისროლა, როგორც ბურთი, ტროელებისკენ
205 და გმირ ჰექტორის ფეხების წინ გაგორდა თავი.

რისხვით აინთო პოსეიდონ მისი ბადიშის
მკვლელობისათვის,

სასტიკ ომში რომ სძლია მტერმა.
მოისწრაფოდა აქაველთა ბანაკისაკენ,

დანაელთა გულს ალაგზნებდა ტროელთ საგლოვად.
210 იდომენეესი ღმერთს შემოხვდა,

გმირი მეგობარს
დასცილებოდა სულ ახლახან,

ბრძოლის ველიდან
ახლად მოყვანილს და მუხლს ქვემოთ სასტიკად დაჰკრილს.
მოყმე მოძმეთა მოყვანილი მიანდო აქიმს,
თვით კი დაბრუნდა, კვლავ ბრძოლის ველს

მიესწრაფოდა.

215 მამაცს მიმართა პოსეიდონ მიწისმრყეველმა,
ომახიან ხმით ანდრემონის ძის თოანტისა,
პლევრონის მკვიდრის, კალიდონის მთიან მხარეში
ეტოლიელთა მეფის, ღმრთეებრ პატივდებულის:
„კრეტელთ მრჩეველო იდომენეეს, რა უყავ ქადილს,
220 აქაველთ ძენი რომ ეტყოდნენ ტროელთა ლაშქარს?“

მას შეესიტყვა იდომენეეს, კრეტელთ ბელადი:
„თოანტო, ვგონებ, დამნაშავეს ვერ ნახავ ვერვის,
ძალას არ ვზოგავთ, მზად ვართ კიდევ მტერს

შევერკინოთ.

სიმხდალეს არვინ შეუბორკავს, არვინ გვყავს უქმად,
225 არვინ გაურბის სასტიკ ბრძოლას.

მაგრამ ეტყობა,
ზევსს ყოვლისშემძლეს ურჩევნია, შორს არგოსიდან
აქვე იხილოს უსახელოდ დაცემა ჩვენი!

შენ კი, თოანტო, მარად მტკიცე სულით განთქმულო,
მუდამ ამხნევებ, ვინც ივიწყებს ზნეს სამამაცოს,

230 ახლაც ნუ დათმობ სულს მებრძოლთა, შთაბერე ძალა!“

მყისვე მიუგო პოსეიდონ მიწისმრყეველმა:

„ო, იდომენეეს, ნურც გასცლია ტროელთ ნაპირებს,
შინ ნურც წასულა, სათამაშოდ ქცეულა ძაღლთა,
ვინც თვისი ნებით დაეთხოვოს ჭირ-ვარამს ბრძოლის!
235 გასწი, აისხი იარაღი, ჩვენ ერთად გვმართებს
ღღეს მოქმედება.

შესაძლოა, გავუძლოთ ორმაც,

ორი უძლურიც ძლიერია, თუ ერთად იბრძვის,
ჩვენ კი ცალ-ცალკეც უძლიერესთ ვერკინებოდით!“

- 240 თქვა და კვლავ ღმერთი დაუბრუნდა კაცთა საზრუნავს.
ილომენევისი კეთილნაგებ კარავს მიაღვა.
შეიარაღდა, ხელთ აიღო ოროლი ორი
და გამოიჭრა, როგორც ელვა,

- რომელსაც ზევსი
ყოვლადძლიერი ტყორცნის ხოლმე ოლიმპოს მთიდან
კაცთ სასწაულად, მოჭრის, იწვის თვალისმომჭრელი...
245 ასე მსრბოლს ვაჟკაცს უელავდა მკერდზე სპილენძი.
შეხვდა მსახური მერიონე სახელგანთქმული.
კარავთან, სადაც რვალის შუბის ალება სწადდა,
მოყმეს მოჩქარეს სიტყვა უთხრა ილომენევსმა:
„მოლოსის ძეო მერიონევ, ფეხმარღო კაცო,
250 აქ რას მოსულხარ, დაგიგდია ბრძოლა სასტიკი?
ისრით დაკოდილს სალმობა ხომ არ მოგრევეია?
იქნება ბრძოლის ამბავს მეტყვი? თუმცა მე თვითონ
იქ მივალ, არა კარვის ჩრდილში მოსასვენებლად!“

- ბრძენმა მსახურმა მერიონემ მიუგო ბელადს:
255 „რვალისაბჯროსან კრეტელთ მეფევ ილომენევსო!
მოვედი, ვინძლო შენს კარავში ამელო შუბი,
თუკი შემოგრჩა.

რაცა მქონდა, ნაფოტად იქცა,
დეიფობოსის ფარს რომ მოხვდა, უზომოდ მძლავრის“.

- კვლავ უთხრა კრეტელთ წინამძღოლმა ილომენევსმა:
260 „შუბი თუ გინდა, ერთსაც ნახავ და ბარე ოცსაც
კარვის კედელთან ჩამწკრივებულს და მოელვარეს.
ყველა მათგანი ომში მოკლულ ტროელთ ავართვი.
გავბედავ, ვიტყვი, ბრძოლაში შორს როდი ვიდექი,
ამიტომ უხვად შუბებიც მაქვს, ფარებიც რვალის,
265 თორნ-მუხარადნი მოკაშკაშე-მოელვარენი“.

ბრძენმა მსახურმა მერიონემ მიუგო ისევ:
„ჩემს კარავშიაც, შავ გემშიაც უხვად მიყრია

ნაალაფევი ტროის მხრიდან.

შორსა მაქვს ოლონდ.

თვით მე ვიქადი: არ მჩვევია სიმხნის დაკარგვა.

- 270 მებრძოლთ სახელის მოსახვეჭელ სასტიკ ბრძოლებში
მეწინავეთა შორის მყისვე გავჩნდები ხოლმე.
იქნებ სპილენძისქიტონიან აქაველთ ჯარში
სხვამ ეს არ იცის, მაგრამ, ვგონებ, შენ მაინც მიცნობ!“

კვლავ უთხრა კრეტელთ წინამძღოლმა იდომენევსმა:

- 275 „ვიცი მე შენი სიმამაცე, თქმა აღარ გინდა!
ყველაც გაიგებს, თუ გემებთან დავრჩით საფარში,
რადგან იქა ჩანს ხოლმე ძალა ჩასაფრებულთა.
იოლად იცნობ მებრძოლს მამაცს და კაცს წახდენილს.
ფერი ფერსა ცვლის ნირწამხდარი მოყმის სახეზე,
280 სიმტკიცეს აცლის მინავლული ძალი სულისა.
ხან ერთ მუხლს ჩახრის, ხან ორივე ჩაეკეცება,
მკერდში გაუდის ბაგა-ბუგი გულს აძგერებულს.
სიკვდილის შიშით აკაწკაწებს კბილებს მთრთოლვარე.
ფერი არ მისდის მამაცს, გული უცემს თანაბრად,
285 ზის მტკიცედ სანგარს ჩასაფრებულ მამაცთა გვერდით,
მტერთან ბრძოლაში მალე ჩაბმის მსასოველი.
შენს სიმამაცეს იქ სწორედ რომ ვერ გაკილავდნენ!
მტერთან მორკინალს თუ განახავდნენ მოწყულულს ან
მოკლულს,

არა კისერი, არა ზურგი განიპებოდა,

- 290 შეაგებებდი გულმკერდს ოროლს, გულისკოვზს ისარს,
მეწინავეთა შორის მედგრად მტრისკენ გაჭრილი.
კმარა ბაასი! ბავშვებივით ვთამაშობთ თითქოს!
ვაი-თუ ვინმემ თავხედური გვაკადროს სიტყვა!
შედი კარავში, კვლავ დაბრუნდი შუბზემართული!“

- 295 დაემორჩილა მერიონე არესის მსგავსი,
აიღო შუბი, მოჭედილი ელვარე რვალით,
ბრძოლის წყურვილით ანთებული გაჰყვა წინამძღოლს.
გეგონებოდა, მოჭრის არეს, კაცთა მმუსვრელი,
თან ძე მოჰყვება — შიშის ღმერთი, მისებრ უშიში,

300 მამაცის სულსაც რომ თავზარს სცემს საზარ ბრძოლის
უამს.

მთიან თრაკიას მოჰყვებიან ეფიროსისკენ,
ან ფლეგიელებს თავს ესხმიან, არც შეისმენენ
ხალხის ხმას, ძლევას არგუნებენ მხოლოდ ერთს, რჩეულს.
ასე გაიჭრნენ მერიონეც და იდომენევს

305 ბრძოლის ველისკენ, შემოსილნი ელვარე რვალით.

გზად მერიონემ მიაძახა გმირ იდომენევს:

„ო, დევკალიდო, სად გასურს ბრძოლის ალში ჩაება?
მარჯვენა კიდეს მხედრობისა, თუ შუაგულში?
იქნება მარცხნივ? მე მგონია, იქ უფრო მეტად

310 სჭირდება შველა ხუჭუჭთმიან აქაველთ ლაშქარს“.

მიუგო კრეტელთ წინამძღოლმა იდომენევსმა:

„გემთა შუაგულს მამაცურად სხვებიც იცავენ:
აიანტები და ტევკროსი, აქაველთ შორის
მძლე მშვილდოსანი, მორკინალიც არანაკლები.

315 იქ იკმარებენ, რომ გააძღონ გაუმაძღარი
ომით ჰექტორი, თუნდაც უფრო ძლიერი იყოს!
გაუჭირდება, თუმც სიშმაგე მოსჭარბებია,
მათს სიმამაცეს მოერიოს და მკლავთა ძალას,
თუნდ ერთი გემი გადაბუგოს, უკეთუ ზევსი

320 თვით არ გატყორცნის ხომალდისკენ ფიცხელ ჩირაღდანს.
ტელამონიდი არ დაუთმობს მოყმეს ბრძოლაში,
მოკვდავის შობილს და დემეტრეს ნაყოფით ნაზარდს,
თუკი სპილენძით ან ქვით ძალუძს იყოს ვნებული.

325 თვით აქილევსსაც, სპათა მნგრეველს, არ შეუდრკება
ხელდახელ ომში, ჩამორჩება მხოლოდ სიმარდიით.
მარცხენა მხარეს მივაშუროთ და მალე ვნახავთ,
სხვას განვადიდებთ, თუ დიდებას მოვიმკით თვითონ!“

თქვა და გაიჭრა მერიონეც არესის მსგავსი,
ნაჩვენებ ლაშქარს მიაღწია გმირმა ფეხმარდმა.

330 იდომენევსი რა იხილეს — ქვა და პიტალო
ველს მოანგრევდა, მოჰყვებოდა მძლავრი მებაჭრე,

- ერთხმად იხუვლეს, შეეგება ყველა ერთობლივ
და ხომალდების კიჩობთან ატყდა გნისი.
როს მოსისინე ქარს ქარქვეტი შეეხეთქება
- 335 გაგანია დღეს, ბულით რთა გზა დაფარული,
გაშმაგებულნი მტკრის სქელ ღრუბელს აიტაცებენ.
ასე გააფთრდა მაშინ ბრძოლა, აენტოთ გული
შესარკინებლად და ორლესულ რვალთა კვეთებად.
გარს სარბიელი გადაშავდა შუბისტარებით,
- 340 ისე გრძელით და ისე ხშირით, ვით ტყე უღრანი.
თვალს ჭრიდა ჩაჩქნის ელვარება (ცეცხლი ეკიდა),
შუქი ბექთართა, სხივოსანთა ფართა, ბაკმულთა.
მართლაც გულადი უნდა იყოს ამის მნახველი,
რომ სიმხნე შერჩეს და ყელს სული არ მიებჯინოს!
- 345 მრავლის შემძლე და უძლეველმა კრონიონებმა
ორ აბჯარასხმულ ტომს ასეთი ურვა არგუნეს.
ზევისი ტროელებს და გმირ ჰექტორს მოსავდა ძლევიტ,
განადიდებდა ამით იგი ფეხმარდ აქილეესს,
მაგრამ აქაველთ აღსასრული ტროის კედლებთან
- 350 არ სურდა, მხოლოდ თეტისსა და მის ძეს აღხენდა.
პოსეიდონი არგიველებს გაჰყვა ბრძოლაში,
ჭაღარა ზღვიდან ამოსული, სწყალობდა მოყმეთ,
ტროელთა ძალით დათრგუნვილებს, დრტვინავდა ზევსზე
ორივ ღვთაება ერთი სისხლის და მოდგმისაა,
- 355 მხოლოდ ზევსს, ადრე დაბადებულს, უნახავს მეტი.
უფროსის შიშით ხალხს აშკარად ვერ ქომავობდა,
მოკვდავის სახით მოევლინა ღმერთი მებრძოლებს.
ღმერთებმა შუღლის, დამღუპველი ბრძოლის ბაგირი
ორივე ლაშქრის წინ გაჭიმეს და გადანასკვეს
- 360 გაუწყვეტელი, ზედ მრავალს რომ მიემსხვრა ფეხი.
სპათა აღმგზნები მეომარი, უკვე ჭაღარა
იდომენევსი ტროელთ შეხვდა და ჰყო სილტოლვად.
კაბესიელი ოთრიონევს დასცა,

ახლახან

- ტროას მოსული, მოიმედე სახელ-დიდების.
- 365 პრიამოსს სთხოვა მან ასული, ტურფა კასანდრე,
ძღვენი არ მისცა, მაგრამ დიდი საქმე იქადა:

გავაძევებო ქალაქიდან აქაველთ ძეებს.

ასულს დაპირდა პრიამოსი, მისცემდა კიდევ
და ამიტომაც თავდადებით იბრძოდა გმირი.

370 იდომენეესმა მას ელვარე სტყორცნა ოროლი,
დაჭრა ამაყად გამოჭრილი,

სპილენძის თორნმა

ვერ იხსნა მოყმე, ჩაეჭედა მუცელში შუბი.

ზათქით დაეცა და ამაყად უთხრა ნძღვეველმა:

375 „ოთრიონეესო! მე უდიდეს კაცად ჩავთვლიდი,
თუ აღასრულებ, რაც აღუთქვი მოხუც პრიამოსს,
იგი ხომ ცოლად ულამაზეს ასულს დაგპირდა.
ჩვენც დაგპირდებით, შევასრულებთ კიდევაც აღთქმას:
მიიღებ ასულს ატრიდისას, საუკეთესოს,
მას საქორწილოდ არგოსიდან მოვიხმობთ,

ოლონდ

380 დაგვანგრევიან ილიონი ლალად ნაგები!
გამომყევ, გემთან დავამთავროთ ჩვენ გარიგება,
განა მზითევეზე ხელმომჭირნე მაჰანკლები ვართ?“

თქვა და ფეხებით დაითრია ბრძოლის ველიდან,
მაგრამ მიეჭრა ასიოსი შურისმგებელად.

385 იგი ცხენებს წინ მოუძლოდა.

ზედ მის ბეჭებთან

მოფრუტუნეებს წარმართავდა მარჯვე მეეტლე.
მიეჭრა ტიდიდს, მაგრამ უმალ დაასწრო გმირმა,
ხორხში, წვერს ქვემოთ გაუტარა ბასრი ოროლი.
მიწას დაასკდა, როგორც ალვა, მუხა ან ფიჭვი,

390 რომელსაც მთაში შეშისმჭრელნი გალესილ ცულით
გარს უვლიან და ჭრიან გემის მორად განზრახულს.
ასე განირთხა თვის ეტლის წინ გმირი ასიოს,
კბილთა ღრჭიალით რომ ფხოჭნიდა სისხლიან მიწას.
მეეტლეს ჭკუა გაფანტვოდა, გაშეშებული

395 და ფერძიხდილი იდგა, მტერსაც ვერ გაქცეოდა.
მას ანტილოქემ ბასრი შუბი ბრძოლისმოყვარემ
მკერდქვეშ აძგერა, ვერ დაიცვა რვალის ჯავშანმა
შუქმოელვარემ, ჩაიძირა ნაწლავში შუბი.

- ამოიგმინა, ჩამოვარდა ძვირფას ეტლიდან.
400 ანტილოქოსმა, ნესტორის ძემ მარდი ცხენები
მსწრაფლ გააქროლა რვალმშვენიერ აქაველებთან.

- დეიფობოსი იდომენევს ასიოსისთვის
შურისმგებელი მსწრაფლ მიეჭრა ელვარე შუბით,
მაგრამ შენიშნა, რვალს გაექცა ჰომაკვდინებელს
405 იდომენევსი, უზარმაზარ ფარს შეეფარა,
მოზვრის ტყავით და მოელვარე რვალით გაჭედილს.
ზედ გარდიგარდმო ფარს ჰშვენოდა ორი კაუჭი,
მის ქვეშ შემაღულს შუბმა თავზე გადაუქროლა.
წვერილა გაპქრა და ჟღრიალი გაიღო ფარმა.
410 მაგრამ ძლიერ ხელს შუბი ფუჭად არ დასცდენია:
ჰიპასიდს მოხვდა, ხალხთა ჰეკუს, მამაც ჰიპსენორს,
მკერდში ჩაეჭდო, ჩაუკეცა იქვე მუხლები.
დეიფობოსმა მყის შესძახა ძლევეთ ამაყმა:
„ავიღე სისხლი ასიოსის და ახლა, მჯერა,
415 ჰადესის პირქუშ სასახლეში შევა შევებითაც,
გმირს მიუფჩინე ღირსეული თანამეგზური!“

- ასე რომ ბრძანა, არგიველნი მით აღაშფოთა,
ყველაზე მეტად ანტილოქეს სული მებრძოლი.
მან არ დატოვა განგმირული მეგობრის გვამი,
420 სწრაფად მიიჭრა, მიაშველა ელვარე ფარი.
იმავდროულად დაიხარა ორი მებრძოლი —
ექიოსის ძე მეკისტევისი და ალასტორი,
გლოვა-გოდებით გემებისკენ წაიღეს გვამი.

- იდომენევსი არ ცხრებოდა, არ ილღებოდა,
425 რომ ტროელთათვის მოეტანა ღამის წყვდიადი,
ან თვით ეგემნა და აქაველთ ლაშქარი ეხსნა.
ესიეტაოს-ღვთისშობილის ძე დასცა გმირმა —
ალკათოოსი, გმირ ანქისეს ძვირფასი სიძე.
ჰიპოდამიას ქმარი იყო, მეფის ასულის,

- 430 თავს რომ ერჩინათ მამასა და ღირსეულ დედას:
იგი მშვენებით, ღიღი ჭკუით, სიტყვით და საქმით

მეგობარ ქალებს ყველას სჯობდა, აკი ამიტომ
ერგო ქმრად ტროის მოქალაქე საუკეთესო.
ეს კაცი დასცა გმირის ხელით პოსეიდონმა,
435 ამოულამა თვალი, ფერხნი მყის დაუბორკა,
ალარც გაქცევა, არც დაბალვა შეეძლო მოყმეს,
შიშით შეკრული, ვით ბოძი, ხე ტოტებმაღალი
გაშეშებული იდგა იგი,

ილომენეესმა

მკერდში აძგერა შუბი, კვართი გაჭრა სპილენძის,
440 ომში მრავალგზის რომ იცავდა გმირს სიკვდილისგან.
ბექთარმა, შუბით გაპობილმა ყრუ ხმა გაიღო,
მოყმე დაეცა, შუბისწვერი გულს განეწონა,
და გულისძგერამ აათრთოლა თვით შუბისტარი.
მალე არესმა ძლიერება დააცხრო გმირის.

445 ილომენეესმა, ღვაწლისამძლემ, რიხით შესძახა:
„ო, დეიფობოს, ღირსეულად ხომ ვუზღე ვალი?
სამი დავაკალ ერთს!

შენ კვებხნა გჩვევია მხოლოდ,
ტიალო! აბა ერთი თვითონ მოდი და ნახავ —
ზევისს ნაზარდი რა ვაუკაცი მოვსულვარ ტროას!

450 მან შვა მიწასი, კრეტის მცველი,

მინოსმა შობა

დეკალიონი, სვიანი ძე,

დეკალიონმა

მე მშობა, კრეტის უთვალავი ტომის მეუფე
და ხომალდებმა მომიყვანეს იქიდან ტროას,
შენს დასალუჰად, შენი მამის, ყველა ტროელის!“

455 ასე თქვა. მაგრამ ყოყმანობდა დეიფობოსი:
რა ექნა, ვინმე ტროელ ვაუკაცს შეერთებოდა
და ორს ებრძოლათ, თუ პირისპირ ესინჯა ძალა.
ამ ფიქრში იყო და იაზრა: უმჯობესია
გამოვძებნო ენეასი. რაზმების ბოლოს

460 იხილა გმირი.

მრისხანებდა კვლავ პრიამოსზე,
რამეთუ მეფე არ მოსავდა მამაცს პატივით.

მის წინ დადგა და მიაგება ფრთიანი სიტყვა:

„ენეას, ტროელთ მბრძანებლო,

თუკი ახლობელთ

ბედი გაწუხებს, შეეწიო უნდა მეგობრებს.

465 წამო, დავიცვათ ალკათოოს, რომელიც ჭაბუქს,
სიძედ რომ გერგო, თავის სახლში თავს გვევლებოდა.
ილომენევსმა დასცა იგი, მძლე შუბოსანმა“.

ასე უთხრა და მკერდში სული აუბობოქრა.

დეკალიდისკენ გამოიჭრა ბრძოლის მსურველი.

470 მაგრამ არ შედრკა, ყმაწვილივით ილომენევსი.

იღვა ურყევად, ვით მთის ტახი ძალმოცემული,
მონადირეთა თავდასხმას რომ მოელის სასტიკს
უკაცურ ტყეში,

აუბურძგლავს მრისხანედ ქედო,

თვალი უკვესავს მხეცს, ვით ალი წვეტიან ღოჯებს

475 აჩენს, მზად არის ყირამალა დაუშვას მტერი.

ასე ელოდა ილომენევს ფეხმოუცვლელად

მისკენ გამოჭრილ შმაგ ენეასს,

მხოლოდ მებრძოლებს

მხნედ მოუხმობდა: ასკალაფოსს და დეიბოროსს,

აფარევსსა და მერიონეს, ბრგე ანტილოქოსს.

480 ომნაცად გმირებს მიმართავდა ფრთიანი სიტყვით:

„აქეთ, ო, აქეთ, საყვარელნო, ნუ მტოვებთ ძარტო —
საშინელია ენეასი! იგი თავს მესხმის,

ორთაბრძოლაში, კაცთა კვლაში ვინ შეედრება!

ბრწყინავს პირველი სიყმაწვილის ფერით და ძალით!

485 ჩვენ რომ ტოლფერნი ვიყოთ ხანით, ვითარცა სულით,
ან მე ან იგი გამარჯვებით ვიამაყებდით!“

ასე ამბობდა, ერთსულოვნად მივიდნენ მასთან

მებრძოლნი, გვერდით ამოუდგნენ, ფარი შემართეს.

ხოლო ენეას აქეზებდა თავის ლაშქარსაც,

490 უხმობდა პარისს, დეიფოროსს, ღმრთეებრ აგენორს,

ტროელთა რაზმებს მასთან ერთად რომ მოუძლოდნენ.

ყველა მოვიდა, როგორც მძლავრ ვერძს მიჰყვება ფარა
იალალიდან სარწყულელბლად და მწყემსიცი ხარობს.

ასე ლაღობდა სულით მოყმე, მძლე ენეასი,
495 როცა ხედავდა მისკენ სწრაფად მომავალ ლაშქარს.

ალკათოოსის ირგვლივ ბრძოლა გაჩაღდა მძაფრი,
ვეება შუბებს იღერებდნენ, სპილენძი მკერდზე
ხშირი კვეთებით ჟღერიალებდა ყურის წამლებად.
ორი მედგარი აბჯროსანი, ორი მამაცი

500 ენეასი და იდომენევს, არესის მსგავსნი
ერთუროს უშენდნენ რვალს, სიკვდილის მომასწავებელს.
პირველად სტყორცნა იდომენევს მხნე ენეასმა.
შენიშნა შუბი, აიცდინა დამხვდურმა რვალი.

505 შეტოკდა შუბი და ჩაეჭდო მიწაში თრთოლვით,
ფუჭად ძლიერი გმირის ხელით გამოტყორცნილი.
იდომენევსმა დაქრა შუბით ოინომაონ,
გაუპო რვალმა სამკერდული და ნაწლავები
გამოუყარა.

მტვერში ხელით ფხოჭნიდა მიწას.

იდომენევსმა მოკლულს შუბი გრძელჩრდილიანი
510 ისევ ააძრო, მაგრამ თორნი ვერ ააგლიჯა
მოკლულს მკერდიდან, დააყარა მტერმა ისარი.
ისე მოქნილი როდი იყო, რომ მეყსეულად
შუბს მივარდნოდა, აეცდინა ოროლიც სხვისი.
მედგარი ბრძოლით და სიკერპით გაშორდა სიკვდილს.

515 ფეხებს გაჰყავდათ ნელა-ნელა ბრძოლის ველიდან.
ოროლი სტყორცნა უკუქცეულს დეიფობოსმა,
მეორედ სტყორცნა, აღვსებულმა ბოლმით და ბრაზით,
კვლავ ააცდინა, ასკალაფოსს ეწია შუბი —
ენიალიოს-ღვთაების ძეს.

მხარი ოროლმა

520 გაუპო, ნები დაცემულმა შეახო მიწას.
ხმამოგუგუნე ძლიერ არესს კიდევ კარგახანს
არ გაუგია, რომ დაეცა მისი გმირი ძე:
ოლიმპოს თხემზე ოქროს ღრუბლით გარემოცული
ყოვლადძლიერი ზევსის ნებით იჭდა ღვთაება,

525 იქ სხვა ღმერთებიც იყვნენ, ბრძოლას ვინც აერიდა.
ასკალაფოსის გვამთან ფიცხლად შეიბნენ გმირნი.

დეიფობოსმა ააგლიჯა ზუჩი ელვარე.

არესის მსგავსმა მერიონემ მას ჰკრა ოროლი,
ზუჩი, თვალთ გასწვრივ გახვრეტილი, გააგდებინა.

- 530 მქახე უღრიალით გადაგორდა ჩაფხუტი იქვე.
ქორივით ეცა მერიონე, კუნთში ჩასული
შუბი უკანვე გამოგლიჯა და მეყსეულად
კვლავ თვის რაზმისკენ უკუმიდგა, ხოლო პოლიტემ —
ძმამ დაკოდილ ძმას მკერდზე მძლავრად მოხვია ხელნი,
535 ბრძოლის ველიდან გაიყვანა, ეტლამდე მიჰყვა.
მარდი ცხენები, ბრძოლის გნიასს არიდებულნი,
ელოდნენ.

ეტლზე შემდგარიყო ცხენთმარბიელი.

მყის გააქანეს, დეიფობოს მწარედ კვნესოდა,
სისხლი მოსჩქეჟდა ჭრილობაზე ტკივილით ტანჯულს.

- 540 ბრძოლა გაგრძელდა, ირგვლივ იდგა კვნესა-გოდება.
კალეტორის ვაჟს ენეასი შეხვდა — აფარევსს,
ბასრი ოროლი განუწონა თავდამსხმელს ხორხში.
თავი ჩაკიდა, ზედ დააწვა ფარი და ზუჩი,
მოყმეს სიკვდილი დაეუფლა სულის შთანმთქმელი.

- 545 ანტილოქოსმა თვალი მოჰკრა ოტებულ თოონტს
და გაიმეტა სასიკვდილოდ:

გადაუწყვიტა

მარჯვენა მხრიდან ყელს რომ მალლა მიჰყვება ძარღვი.
ბარბაცით შედგა მოყმე, შემდეგ დაასკდა მიწას,
მთრთოლვარე ხელნი მეგობართა მხარეს განართხო.

- 550 ანტილოქოსი აბჯარ-ბექთარს აგლეჯდა ტროელს,
თან მტერს მოჯარულს თვალს წამითაც არ აცილებდა.
ფართო ფარს ჩხვლეთდნენ მეომრები, მაგრამ ამაოდ.
თეთრ სხეულს მაინც ვერ შეახეს ბასრი სპილენძი.
პოსეიდონი ანტილოქოსს, ნესტორის პირმშოს

- 555 თვითონ იცავდა გულმოდგინედ შუბთა ღრუბლისგან:
შორს როდი იდგა, მებრძოლთ შორის დაქროდა ღმერთი.
შუბს არ აღირსა მოსვენება, მიწყვი უთრთოდა
მოღერებული საბრძოლველად.

ბასრი სპილენძი

ახლოს საგმერად, შორს სატყორცნად მზად ჰქონდა

მუღამ.

560 შენიშნა გმირი ადამანტმა ასიოსის ძემ,
მყის გამოიჭრა,

ალესილი სპილენძის წვერი
ფარში აძგერა, მაგრამ ოროლს წაართვა ძალა
პოსეიდონმა,

ყრმის სიცოცხლე არ დათმო ღმერთმა.

ვით შერუჯული პალო, ფარში შერჩა ბუნიკი,

565 ხოლო დიბლიგი დაბლაგული ეგდო მიწაზე.
სპას მოეფარა ადამანტი, გაექცა სიკვდილს.
ოროლით მისწვდა მერიონე ლტოლვილს,

ბოქვენთან

ჩააქდო შუბი, იმ ადგილას, სადაც ჰრილობა
უბედურ მოკვდავს საზარ ტანჯვას აგემებს ხოლმე.

570 ზედ წამოეგო სპილენძს მოყმე და ფართხალებდა,
ვით ურჩი ხარი, სიჯიუტეც რომ ველარ შველის
და მეჯოგეებს გაბაწრული ეთრევეინება.

ასე ბორგავდა მიჭედილი, ცურავდა სისხლში,
მაგრამ სულ წამით: ამოგლიჯა შუბი ტანიდან

575 მტერს მერიონემ.

თვალს წყვდიადი გადაეფარა.

ჰელენოს შეხვდა დეიპოროსს — თრაკიელს და ხმლით
შუბლი გაუპო, ააგლიჯა ჩაფხუტი თავზე.

მიწაზე ეგდო ზუჩი, სანამ აქაველ მხედარს
წილად არ ერგო ფეხებშუა გაგორებული.

580 დეიპოროსის თვალს წყვდიადი მოედო ღამის.
ომნაცად ატრიდს მენელაოსს ყრმა შეებრაღა,
მეფე ჰელენოსს დაექადნა, შემართა შუბი,
მან კი მყის მშვილდი მოიმარჯვა მტრის შესახვედრად.
ერთს შუბი ჰქონდა საიმედოდ, ხოლო მეორეს

585 გაკიმულ ლარზე გადებული ბასრი ისარი.

გულში უმიზნა ფრთაშესხმული ისარი ატრიდს,
მაგრამ სამკერდემ აისხლიტა ბოროტი რვალი.
საცეხველიდან იფანტება ხოლმე ველ-მინდვრად

- ბარდის მარცვალი მოლისფერი, შავი ლობიო,
 590 თუ ანიავებ, როცა სტვენით ქრის ქარიშხალი.
 მენელაოსის სამკერდულზე ასე აიჭრა
 და ასხლეტილი შორს დაეცა ველზე ისარი.
 ატრევსის ძემ კი, ომნაცადმა მენელაოსმა
 მშვილდიან ხელში მშვილდოსანი ისე დაკოდა,
 595 რომ შუბისწვერით მიაჭედა ზედვე მტევანი.
 სიკვდილს გაექცა, მეგობართა დასს მიაშურა,
 ხელს მიჭდობილი იფნის ტოტი მოსთრევედა მიწას.
 იგი სულდიდმა აგენორმა მყის მოაცილა,
 ხელი შეუტრა რბილ სახვევით მოხერხებულად,
 600 მებაჯრეს მუდამ თან დაქქონდა თემისთავისთვის.

- პეისანდროსი შეხვდა ამ დროს გმირ მენელაოსს,
 უახლოვებდა ტროელს ბედი სიკვდილის სამანს.
 შენ, მენელაოს, შენ დააცხრე ყრმის მგზნებარება
 ერთურთს მიეჭრნენ და იმავე წამს სტყორცნა ატრიდმა,
 605 მაგრამ ამოდ, გაუქროლა ოროლმა გვერდით.
 პეისანდროსმა მენელაოსს, დიდებით მოსილს,
 ფარი გაუპო, მაგრამ ვერ კი გასცილდა შუბი,
 შიგ გაიჭედა, შუბისტარი ძირში გადატყდა.
 გული მოეცა ყრმას, ეგონა ვძლიეო მტერი.
 610 ატრიდმა დასცა ხმალი ვერცხლის სამსჭვალიანი,
 მაგრამ ბაკმულმა ფარმა იხსნა პეისანდროსი,
 სპილენძის ცული მოიმარჯვა მან მოლაპლაპე
 და შეუტია, შეერკინნენ ერთურთს მებრძოლნი.
 დასცხო ჩაჩქანზე, სადაც ჯილა აფოფრილიყო,
 615 ზედ ზუჩის თხემთან.

მან კი შუბლში ჰკრა პეისანდროსს,
 წარბთან.

- გაისმა ძვლის ღრქიალი. თვალნი მიწაზე
 გადმოუცვივდა და მაშინვე დაეცა მოყმეც.
 ფეხით ზედ შედგა მენელაოს, აბჯარს აგლეჯდა
 და გაპყიოდა ამაყი და გამარჯვებული:
 620 „ასე დატოვებთ ცხენთმარბიელ დანაელთ გემებს
 დამლუპველ ომით გაუმადლარ ტროელთა სპანი!

მეტ თავლაფდასხმას ვერც იფიქრებთ. რაც თქვენგან
მერგო,
თქვე ძალლთაპირნო!

- ზევისის რისხვაც არ გაშინებდათ —
იგი ხომ სტუმარ-მასპინძლობის არის მფარველი
625 და ნაცარ-ტუტად აქცევს მალე თქვენს მალალ ციხეს!
ცოლიც წამგვარეთ ახალგაზრდა, განძიც გაზიდეთ,
ურცხვად წახვედით მეგობრულად ნამასპინძლევნი!
ახლა სურვილი გწევათ, ზღვადმავალ აქაველთ გემებს
რომ ცეცხლი მოსდოთი მაგრამ ბოლოს მაინც დაწყლებით,
630 რაგინდაც ხარბად ემსახუროთ არესის საქმეს!
მამაო ზევსო შენზე უთქვამთ, სიბრძნით სჭარბობსო
კაცთაც და ღმერთთაც, ყოველივე მოდისო მისგან.
ნუთუ ესოდენ სწყალობ ტროელთ უპირისწყლოებს,
მოძალადეებს, უმაძლართა მოაქამომდე
635 ყველა კაცთათვის საძულველებს ხოცვა-ჟლეტითა?
ბოლო აქვს ყოველს — ძილისშორისს თუ ტრფიალებას,
ტკბილ ჰანგს, უმწიკვლო გოგოს ცეკვით აღძრულ
ერუანტელს,
უფრო სანუკვარს, ვიდრე ბრძოლის ღრიანცელია.
მაგრამ ტროელებს ეამებათ ომი უფრორე!“
640 მყის საჭურველი სისხლის ორთქლით აბოლქვილ სხეულს
ახადა გმირმა და მებაზრეთ გადაულოცა.
კვლავ მეწინავეთ შორის ჩადგა მენელაოსი.
პილაიმენევს მეფის ვაჟი ჰარპალიონი
მას თავს დაესხა.

- მოჰყოლია ტროაში მამას,
645 მაგრამ სამშობლოს უბედური ვერ დაუბრუნდა!
ფარში აძგერა ატრიდს შუბი ანაზდეულად,
მყისვე გაქცა სიკვდილს, თავის ხალხს მიაშურა,
სულ მზერად იქცა, ვინძლო შუბმა არ მიწიოსო.
650 მაგრამ მოარტყა მერიონემ ლტოლვილს ისარი
მარჯვენა მხარეს უკანალთან და ბასრმა რვალმა
ძვალი გააპო, ბუშტში ჩარჩა. სულ დაიგრიხა
სიმწრით, მოძმეთა ხვევნაში ყრმას აღმოხდა სული,
შემდეგ, ვით ჰია, გაიშალა სისხლიან ველზე.

655 მიწა დაალტო შავი სისხლის სქელმა ნაკადმა.
პაფლაგონელნი აწრიალდნენ მოყმის გარშემო,
მოკლული ეტლზე დაასვენეს, ილიონისკენ
მიაცილებდნენ, მამაც ახლდათ ცრემლთა მფრქვეველი,
ალარ შეეძლო შვილისათვის შურისძიება.

660 მაგრამ პარისი შურისგების გრძნობით აღინთო:
ახსოვდა მისი მასპინძლობა, როს პაფლაგონელთ
ეწვია სტუმრად.

მტერს ისარი სტყორცნა ფრთიანი.
ექვენორ იყო ძე მისანი პოლიიდოსის,
კაცი მორჭმული, აყვავებულ კორინთოს მკვიდრი.

665 იცოდა თუმცა ბედისწერა, ილიონისკენ
წავიდა მაინც.

პოლიიდოს სულ აფრთხილებდა:
შინ მოკვდებოო მძიმე სენით, ან ბრძოლის ველზე
აქაველთ გემთან მოგიღებენ ბოლოს ტროელნი.
ყრმა სახადივით გაურბოდა ომსაც,
აქაველთ

670 რაც არ სჩვევიათ,

სასტიკ სენსაც და ფუჭ სატანჯველს.
ყვრიმალში მოხვდა მას პარისის ბასრი ისარი,
სული გაფრინდა, თვალს წყვდიადი გადაეფარა.
ასე იბრძოდნენ მეომარნი, აღმოდებულნი.
გმირ ჰექტორს ზევსის რჩეულს, შორით არც კი ესმოდა,

675 გემებთან, მარცხნით თუ რა მარცხი ელოდა ლაშქარს
არგიველთაგან.

და სულ მალე მტრის ჯარს დიდება
არ ასცდებოდა.

ამხნევებდა მიწისმრყეველი
აქაველთ სულებს, თვის ძალასაც არ იშურებდა.
ჰექტორი იმ დროს კარიბჭესთან იბრძოდა მედგრად,

680 სადაც თვით სძლია ფაროსანთა დანაელთ სპანი.
პროტესილავს თემისთავის და აიანტის
გემები იდგნენ იქვე, ზღვიდან ამოთრეულნი.
იმ მხარეს იყო გალავანი ერთობ დაბალი.

ფიცხელ ცხენებს და მამაც მებრძოლთ ეკისრათ დაცვა,
685 სპას ბეოტიელთ, ჭითონიან იაონების,
ფთიელთა, ლოკრთა, სახელოვან ეპეელთ რაზმებს.
თუმცა ხომალდებს თავდამსხმელებს არ ანებებდნენ,
მაინც ვერ სძლევდნენ ქარიშხლიან ჰექტორის ძალას.
რჩეულ ათენელთ პეტეოსის ძე მენესთეუსი
690 ედგა წინამძღვრად, შემდეგ იყო სპა ფეიდასის,
სტიქიოსის და ბიანტისა.

ეპეელთ ახლდათ
ამფიოსი და ფილევის ძე მეგეს. დრაკიოს,
ფთიელთ-მედონტი და პოდარკე ბრძოლის მოსურნე.
იყო ღვთაებრივ ოილევის ბუში მედონტი,
695 ოილიადი აიანტის ძმა უმრწემესი.
შორს ფილაკეში თავის დროზე გადახვეწილა,
როს ძმა მოუკლავს დედინაცვლის — ერიოპისის,
იფიკლოსის ძე ფილაკიდთა მოდგმიდან იყო.
ორივ სარდლობდა დიდსულოვან ფთიელთა რაზმებს.
700 გემებს იცავდნენ ბეოტიელ სპათა მხარდამხარ.
გმირი აიანტ, ოილევის ფეხმარდი ვაჟი
არ შორდებოდა მხნე აიანტს, ტელამონის ძეს.
ულელში შებმულ ხარებს გააქვთ სვე ხოდაბუნზე,
შავებს, ტოლძალებს. მიათრევენ გულდაგულ ერქვანს,
705 რქის ძირას ოფლი ჟონავს, ჯუფთად ვლიან ტაატით,
და სვლის დროს ქედი ქედთან მიდის, რომ კვლავ
დასცილდეს.

სვეს გაიტანენ და ბელტები ბელტებზე წვება.
ასევე ერთურთს მხარში ედგნენ აიანტები.
ტელამონის ძეს მოჰყვებოდა ბევრი ვაჟკაცი
710 თანამებრძოლი, მეყსეულად მის ფარს იღებდნენ,
თუ გმირის მუხლებს დაღლილობა შეეტყობოდა.
იოლიადს კი არვინ გაჰყვა ომში ლოკრთაგან.
მათ ხელჩართული ბრძოლა: როდო ემარჯვებოდათ,
არც რვალის ზუჩი ჰქონდათ, ცხენის ძუით შემკული,
715 არცა ფარები; არც მალალი შუბები იფნის,
მხოლოდ მშვილდები და გრაგნილი ტყავი შევენოდათ.
იმედიანად მოსულიყვნენ ტროის მხარეში.

ისრით უცდომლად თავზარს სცემდნენ ტროელთ
ფლანგებს.

ელავდა რვალი, მედგრად იდგნენ მეწინავენი,
720 სპილენძის ჯავშნით მოსილ ჰექტორს, ტროელთ
ებრძოდნენ,

ხოლო მათ უკან ზუზუნებდა სეფქა ლოკრების.
ტროელთ წაერთვათ სიმამაცე ისრით დაბნეულთ.
სირცხვილეულნი გემს დათმობდნენ, რათა დღებნელნი
შეკედლებოდნენ ტროას, ქარით ახმაურებულს,
725 რომ საყვედურით პულიდამანტს არ მიემართა:

„ჰექტორ! არა გსურს სხვისი რჩევა, კაცო სასტიკო!
ღმერთმა გარგუნა სხვაზე მეტი სამხედრო ნიჭი,
შენ კი სიბრძნითაც გინდა იყო აღმატებული!
ეგრე არ არის, ერთს რომ ჰქონდეს ყველა სიკეთე!
730 ღმერთი ანიჭებს ვაჟკაცს რჩეულს უნარს ბრძოლისა,
სხვას კი — სიმღერის, კითარის და როკვის ნიჭს აძლევს,
სხვას კიდევ მკერდში ბრძენი ზევსი აუნთებს ჭკუას,
მისი ნაყოფით ზნეკეთილობს კაცობრიობა,
მისით შენდება ქალაქები, მისი სწამს ყველას.

735 შენც გწამდეს რჩევა, მე რომ ახლა კარგი მგონია.
შემოგნთებია ცეცხლის რკალად გარშემო ბრძოლა,
მას შემდეგ, ციხე რაც აიღეს ტროელთ ჯარებმა,
ზოგი დაეხსნა ბრძოლას, ზოგი ახლაც შებმია
მტერთა სიმრავლეს, გაფანტულან გემების გასწვრივ.

740 ბრძოლას მოეშვი და მოუხმე სპათა წინამძღოლთ
და გადავწყვიტოთ ერთად საქმე მნიშვნელოვანი:
ერთბაშად დავცხოთ მტრის ხომალდებს მრავალმერხიანს,
თუკი ინება ძლევა ღმერთმა, ან იქნებ ახლავ
უკუმივიქცეთ, სანამ გვძლევენ!

აბა, რა გითხრა?

745 შიშით ვთრთი, ვინძლო გუშინდლისთვის არ დაგვიბრუნონ
აქაველებმა სისხლიანი ვალი:

გემებთან

მოგველის გმირი, ვეჭვობ, ბრძოლად კვლავ არ ჩაებას!“

ასე ამბობდა პულიდამანტ.

მიიღო რჩევა

სამართლიანი და გადმოხტა ეტლიდან ჰექტორ,
750 მყისვე მიუგო, მიაგება ფრთიანი სიტყვა:
„პულიდამანტო, დააყოვნე აქ ყველა მოყმე,
მე კი წავალ და ბრძოლის ქარცეცხლს დავუბრუნდები,
კვლავ აქ გავჩნდები, როს ბრძანებას გადავცემ ყველას“.

თქვა და გაიჭრა ტანით მსგავსი თოვლიან მთათა.
755 შემოუფრინა მოწოდებით ტროელთა რაზმებს.
პულიდამანტთან, პანთოიდთან, ძლევის მოყვარე
გმირთან მივიდა ყველა, ვისაც მისი ხმა ესმა.
ჰექტორ ეძებდა დეიფობოსს, მეფე ჰელენოსს,
ადამანტის ძეს ასიოსს და ჰირტაკოსის ძეს —
760 ისევ ასიოსს, მეწინავეთ შორის ეძებდა.
ნახვით კი ნახა, მაგრამ არა ყველა ცოცხალი:
ზოგი მიწაზე განაპირა გემებთან იწვა
ფერმილეული, სულმიხდილი არგიველთ ხელით,
ზოგი მოწყლული შუბ-ისრისგან იტანჯებოდა.
765 ბრძოლის მარცხენა ფრთაზე ნახა მხოლოდ ღმრთეებრი
ალექსანდროსი, თმამშვენიერ ელენეს ქმარი,
თავის ლაშქარს რომ ამხნევებდა შესარკინებლად,
გმირს წინ დაუდგა და მიმართა ყვედრებით ასე:
„სახელამაზო მექალთანევ, მაცდუნებელო!
770 სად გყავს ჰელენოს, დეიფობოს ან ასიოსი
ადამანტის ძე, ასიოსი — ჰირტაკოსის ძე?
ოთრიონევისი სადლა არის?

დღეს დაიქცევა,
დღეს — ილიონი, დღეს მოგელის შენვე დაღუპვა!“

მყის შეესიტყვა ალექსანდროს ღმერთის სადარი:
775 „ჰექტორ! შენ გინდა ბრალი დასდო უბრალო კაცსაც!
ადრე ეგების ვგავდი კიდევ უქმს და უზრუნველს,
ახლა კი არა! მეც ხომ დედამ მშობა ვაყვაცად!
იმავე ეამიდან, გემებთან რომ ატეხე ბრძოლა,
იმავე ეამიდან დანაელებს აქ ვებრძვით მიწყვი.
780 მაგრამ დავკარგეთ მეგობრები, შენ ვინც ახსენე.
მხოლოდ ჰელენოს მეფე. გმირი დეიფობოსი

გასცილდნენ ბრძოლას მტრის შუბებით მკლავში
დაჭრილში,

მაგრამ სიკვდილი ააცილა მოყმეთ კრონიდმა.

785 გაგვიძეხ, ჰექტორ, სადაც გული მიგიწევს, გმირო!
ყველანი მზად ვართ თან გამოგყვეთ, ჩვენს სიმამაცეს,
ვფიქრობ, წუნს მანამ ვერ უპოვი, სანამ გვაქვს ძალა,
ხოლო ძალს ზევით ბრძოლა არვის არ შეუძლია!“
ასე მიუგო და დააცხრო ძმის მკაცრი სული.

790 ორივე გაიჭრა იქით, სადაც გაფიცხდა ბრძოლა,
სადაც იბრძოდნენ კებრიონე, პულიდამანტი,
ორთაიოსი, პოლიფეტე, ფალკე, პალმისი,
ასკანიოსი და მორინი, ჰიპოტიონის
ორი ვაჟკაცი, ჩამოსული ასკანიიდან

795 წინამორბედთა შესაცვლელად მხოლოდლა გუშინ.
ზევსმა აღანთო, მტერს ეკვეთნენ, ვით ქარიშხალი.
ქუხს მამა-ზევსი, ველზე მიქრის ქარი მრისხანე,
შეეხეთქება ზღვას ღმუილით, მიჯრით და მიჯრით
ამთაგორებს მოგუგუნე ზვირთების წყებას,
მალა აღმართულს, აქაფებულს, ათუხთუხებულს.

800 ასე ტროელნიც შემპყიდროვდნენ, მიჯრით და მიჯრით.
რვალის კიაფით და ზრიალით მიჰყვენენ ბელადებს.
ჰექტორ წინ ედგა სპას, კაცთამელეტ არესის მსგავსი.
მკერდზე ეფარა ვეება წრე ბაკმული ფარის,
ტყავგადაკრული, მოჭედილი უხვად სპილენძით.

805 თავზე ჩაჩქანი ერხეოდა შუქმომფინარე,
ფარშემართული ყოველ ფალანგს ემუქრებოდა,
ყველგან ზედს სცდიდა, ვინძლო რიგი გავარღვიოო.
მაგრამ ვერსაით ვერ აკრთობდა სულს აქაველთა.
გამოიწვია აიანტმა, წინ გამოჭრილმა:

810 „აქ მო, ტიალო! რა შორიდან გვაფრთხობ არგიველთ,
ომის საქმეში უმეცარნი არც ჩვენ გახლავართ!
ჩვენ მხოლოდ ზევსის საშინელმა ძალამ დაგვთრგუნა.
გულში იმედი გიკიაფებს, ალბათ, რომ დღესვე
დალეწავ გემებს, მაგრამ ჯერ ხომ გვიჭრის მარჯვენა!

815 უფრო ცხადია, რომ გოდლედი თქვენი ქალაქის
ჩვენს ხელთ იქნება, გასწორდება უმალ მიწასთან!

მე შენ გიცხადებ, შორს არ არის დღე, როს ლტოლვილი
შეევედრები მამა-ზევსსაც და ყველა უკედავს,
ქორ-შევარდენზე უსწრაფეს-ყონ მარდი ცხენები,
820 თვალს რომ მოსწყდები, ააყენებ მტკრის კორიანტელს!“

ამას ამბობდა, როს ანაზღად მარჯვნივ იხუვლა
არწიგმა, ერთხმად სასწაულით გამხნეებულმა
შესძახა ჯარმა.

მაგრამ მტკიცედ გმირმა მიუგო:

- „აბა, რას მიედ-მოედები, ზვაობ ამოლ!
825 ნეტავ ისევე უეჭველად ვიყო ძე ზევსის,
მარად ცოცხალი და დედოფალ ჰერას შობილი,
განდიდებული, ვით ათენა და აპოლონი,
როგორც ის არის უეჭველი, რომ არ აცდებათ
დაღუპვა ყველას, შენც მათ შორის, თუ გამიბედავ.
830 შემოეფეთო ჩემს შუბს! იგი გაგიპობს სხეულს!
უდაბნოს ფრინველთ და ტროელთა ძალებს გააძღებ
მაგ შენი გვამით, აქაველთა გემთან ძლეული!“
ასე უთხრა და წინ გაიჭრა, საზარ ყიყინით
მიჰყვა მხედრობა, მხნედ შესძახა უკანა რაზმმაც,
835 იქუხა სპამაც არგიველთა, არა ჰკარგავედა
გულის სიმტკიცეს და ელოდა ტროელთა დარტყმას.
ხმამ ერთობლივმა მიაღწია ეთერს, ზევსის შუქს.

ქება მეთოთხმეტი

ზევსის მოხიზვა

- ხმამ შეაშფოთა მხნე ნესტორიც კარავში მყოფი,
ასკლეპიოსის ძეს მიმართა ფრთიანი სიტყვით:
„ძმაო მახაონ, რა მოჰყვება ამ უგვან საქმეს?
გემებთან ჩვენი მებრძოლების გმინვამ იმატა!
5 ჩემთან იყავი. წითელ ღვინით იჯერე გული,
წყალს თმახუტუტა ჰეკამედე გაგიტობს ახლავ
და სისხლიან მტვერს მოგაცილებს მყისვე სხეულზე.
მე სერზე ავალ და გავიგებ, რა ხდება ჩვენს თავს“.

ფარი ბაკმული, ძისეული აილო გმირმა,

- 10 ის დარჩა მხედარ თრასიმედეს რვალით მზინავი,
თვით კი იბრძოდა მამის ფარით.

მოხუცმა შუბი

ხელთ იპყრა, წვერზე წამახული სპილენძი ჰქონდა.
კარვის წინ დადგა, მყის იხილა სასირცხვო საქმე:
გარბოდნენ სპანი, მიჰყვებოდნენ კვალში ტროელნი

- 15 გულმიცემულნი, დაქცეულა აქაველთ ციხე!
ზღვა რომ შავდება მუნჯი ჰავლით, მგრგვინავ გრიგალის
სწრაფ შემოტევას მოასწავებს ადრე და მალე.
მხოლოდ შავდება, როდი იძვრის, არც შეირხვევა,
სანამ გრიგალი, ზევსის მაცნე, აატორტმანებს.
- 20 ასე მოხუცი ყოყმანობდა, შეეძრა სული
ორგვარი ფიქრით: დანაელთ სპას შეშველებოდა,
თუ მისულიყო ხალხთა მეფე აგამემნონთან.
ბოლოს ფიქრებით აღელვებულს ეუკეთესა
ატრიდთან წასვლა.

ამ დროს სპანი ჟღეტდნენ ურთიერთს

- 25 და ჟღრიალებდა მათს მძლავრ ტანზე რვალი საზარლად
ორლესულთა და ორბუნინან ოროლთა ცემით.
ნესტორს შემოხვდნენ თემისთავნი ღმერთშემოსილნი,
ადრე დაჭრილნი წამოსულან ხომალდებიდან —
ტიდევისის ძე და ოდისევსი, აგამემნონი.
- 30 ბრძოლის ველიდან შორს ეყენათ მათ ხომალდები:
ქაღარა ზღვიდან სულ პირველებს აუთრევეიათ
ხმელეთზე.

შემდეგ სხვებთან ერთად აღმართეს კოშკიც.

ფართო თუმც იყო სანაპირო, ორმხრივხოფიან
ხომალდებს მაინც ძლივს იტევდა. სპა იდგა ვიწროდ.

- 35 ამოეთრიათ აქაველებს გემნი ქვიშაზე,
ყურე გაევისოთ, სანაპირო კონცხთაშორისი.
სამი ბელადი, მოწადინე ბრძოლის თვალთვალის,
ერთურთის გვერდით მოდიოდა.

შუბს ეყრდნობოდნენ.

დარდი უკლავდათ გულს.

შემოხვდათ გმირი ნესტორი

- 40 და კიდევ უფრო სული მათი აფორიაქდა.
მყისვე მიმართა მოხუცს მეფე აგამემნონმა:
„ნესტორ, დიდებავ აქაველთა, ნელეიადო!
აქ რად შემოგვხვდი, რად დასტოვე ბრძოლა მძვინვარე?
ო, გული მითრთის, რომ არ სრულქმნას სიტყვა

ჰექტორმა:

- 45 ტროელთა დასში დაიქადა მოყმემ ამაცმა,
აღარ მივალო ილიონში. სანამ მტრის გემებს
ცეცხლს არ მივცემო, არ მოვსპობო თავად მხედრობას.
ასე იქადა და ქადილი სრულდება კიდევც!
ნუთუ საბარკულმშვენიერთა აქაველთ ჭარი
- 50 გულში ჩემდამი სიძულვილს გრძნობს, ვით აქილევისი,
რომ აღარ უნდა მტერს შეებას გემის კიჩოსთან?“

უთხრა ნესტორმა მას, მხედარმა გერენიელმა:
„აღსრულდა საქმე! ველარ შეძლებს თვით მამა ზევსი,
რაც მოხდა, იგი მოახდინოს უკვე სხვაგვარად!

- 55 დაეცა ციხე, ჩვენ რომ დიდი იმედი გვქონდა —
მტრისგან დაიცავს ხომალდებსაც და მხედრობასო.
ხომალდებისკენ მოიწევენ ჭიუტად მტრები,
ირგვლივ მოგვადგნენ, ვერც გაიგებ, ბევრიც ეცადო,
საით გარბიან არგიველნი აგრე ურიგოდ.
- 60 ყველგან — ვნიასი, ყველგან — გმერა, გმინვა — ცათამდე!
განვსაჯოთ ახლა, რა მოჰყვება ამ საზარ საქმეს?
იქნებ გონებამ გვიხსნას.

ხოლო თქვენ შერკინებას

არ გირჩევთ, ბრძოლა როდი მართებს დაჭრილ მეომარს“.

კვლავ შეესიტყვა კაცთა მეფე აგამემნონი:

- 65 „ნესტორ, თუ ბრძოლა გაიმართა გემის კიჩოსთან,
ვერც გალავანი გადაგვარჩენს, ვერც ღრმა სანგარი,
დანაელებმა რომ იღვაწეს. იმედი გვქონდა,
მტრისგან დაიცავს ხომალდებსაც და მხედრობასო.
ეჭვი არ არის, ყოვლადძლიერ ზევსს სურს იხილოს

- 70 შორს არგოსიდან უსახელოდ აქაველთ ქლევთა.
 დრო იყო, იგი დანაელებს სწყალობდა გულით,
 დრო დადგა, ვხედავ, ტროელთ სწყალობს, ვით ნეტარ
 ღმერთებს,
 დიდებით ამკობს, ჩვენ კი მკლავთა ძალა შეგვიკრა!
 ისმინეთ, რასაც გეტყვით, ყველა ასე მოვიქცეთ:
- 75 ზედ ზღვის კიდესთან ახლო მდგომი ჩვენი გემები
 დავძრათ, ჩავუშვათ სათითაოდ ღვთაებრივ ზღვაში.
 გემბანზე დავდგეთ, სანამ ღამე უკაცრიელი
 ჩამოწვებოდეს.

იქნებ შეწყდეს მათი თავდასაჯა.

შემდეგ ჩავუშვებთ ზღვის ნაპირას დარჩენილ გემებს.

- 80 არ მრცხვენის ღამის მწუხარში ლტოლვა მწუხარებისგან,
 სჯობს რომ გაექცე ბედს, ვიდრეღა სიკვდილს დანებდე!“

ცერად გახედა და მიუგო მხნე ოდისეესმა:

„ო, აგამემნონ, ეგ რა სიტყვა დასცდა შენს ბაგეს?
 რა უღმობელი!

სჯობს ჯაბანთა ჯარს თავკაცობდე,

- 85 ვიდრე ჩვენ გეყავდე მეთაურად, ჩვენ, ვისაც ზევსმა
 სიყმაწვილიდან სიბერემდე საქმე საბრძოლო
 დაგვიდო წესად, სანამ რვალი სულს ამოგვართმევს.
 შენ გსურს დატოვო ხალხმრავალი ტროელთ ქალაქი,
 რომლის გარშემო ესოდენი ურვა გვეწვია?
- 90 ჩუმად! აქაველთ შორის ვისმე არ ესმას სიტყვა,
 რომლითაც კაცი არ ისურვებს დაგესლოს ბაგე!
 ვის ძალუძს სიტყვა შეათანხმოს ჭკვიანურ აზრთან,
 ვინ ფლობს კვერთხს, ვის ჰყავს სპა ამდენი, აურაცხელი,
 რამდენიც შენა, თემისთავო არგიველთ ტომის!
- 95 შენს აზრს უარვეყოფ და იმ სიტყვას, რასაც შენ ამბობ!
 ამ გაგანია ომში გინდა შემოგვთავაზო,
 რომ ზღვაში გემნი ჩავაცუროთ ტროელთ საამოდ,
 ისეც ბრძოლის დროს მოლხინართა, მოზეიმეთა?
 არც ერთს დალუპვა არ აგვცდება, სპა ვერ გაუძლებს,
- 100 როცა ხომალდი ზღვის ტალღებზე ატივტივდება:
 სულ უკან-უკან ყურებაში ზნე სამამაცო

გამოეცლებათ.

შენი რჩევა დაგვლუპავს, მეფევ!“

მყის შეუყვირა ხალხთ მეუფემ აგამემნონმა:
„ჰოი, ოდისევეს! საყვედურით სული შემიძარ!..
105 მე ხომ აქაველთ არ ვუბრძანებ მათს უნებურად
ტალღებში მრავალმერხიანი გემი ჩაუშვან.
თქვას უკეთესი რჩევა კაცმა, ვინც გინდა იყოს,
ყრმა თუ მოხუცი, გამახარებს ამით დიახაც!“

მაშინ წარმოთქვა დიომედემ კეთილშობილმა:
110 „თქვენს წინაშეა კაცი იგი! ძებნა არ უნდა
კეთილის მრჩეველს!

მაგრამ ნურვის მოხედება გულზე,
თუკი თქვენს შორის უმრწემესი ვიწყებ ლაპარაკს.
ჯეროვნად მმართველს ვიამაყო ჩამომავლობით,
ტიდევსის სისხლით, თებეში რომ ფარავს საფლავი.

115 პართევს ეყოლა სამი ვაჟი, პლევრონს ცხოვრობდნენ,
მთაგორებიან კალიდონში, მდიდარ მხარეში:
გმირი აგრიოს და მელანტი, მხნე ოინეესი.
მათ შორის მამა ტიდევსისა ყველასა სჯობდა.
იქვე ესახლა. მამაჩემი მიადგა არგოსს

120 გადახვეწილი,

ასე სურდა ზევსს და სხვა ღმერთებს.
ცოლად დაისვა ადრესტოსის ასული მაშინ
სახლის უფალმა სვეკეთილმა. მას ეკუთვნოდა
ხოდაბუნები თავთუხების, უხვი წალკოტი,
ჯოგი მრავალი და აქაველთ შუბის ტყორცნაში

125 ყველასა სჯობდა.

მაგრამ ეს თქვენც მშვენივრად უწყით.
ასე, რომ არ მაქვს გვარ-ტომობა არც მე უგვანი.
ჩემს რჩევას ახლა თქვენც მოისმენთ. გეტყვით ალაღად:
თუმც დაჭრილნი ვართ, სარბიელზე უნდა გავიდეთ,
ლაშქარს ვეჩვენოთ, მაგრამ ომში ნუ ჩავებმებით,
130 ისრებს ვერიდოთ, რომ კრილობა არ მოგვემატოს.

სხვა წავაქეზოთ: რამდენია, გულს რომ აპყვება,
გულს აჩვილებულს და შორსა დგას ბრძოლის კელიდან¹.

ასე მოუბარს ყურადღებით უსმინა ყველამ.
წავიდნენ, გმირებს წინ გაუძღვა აგამემნონა.

- 135 მათ შესცქეროდა პოსეიდონ მიწისმრყეველი,
გამოეცხადა თემისთავებს მოხუცის სახით,
ხელი ჩაავლო მარჯვენაზე ბრგე აგამემნონს
და მიაგება ატრევსის ძეს ფრთიანი სიტყვა:
„ატრიდო, ახლა აქილევსის უგლიმი გული
140 ძგერს სიხარულით, როს აქაველთ ვაებას ხედავს,
არ შერჩენია სიბრალულიც მცირეოდენი
დაე, დაინთქას, შეარცხვინოს ღმერთმა ზვიადი!
შენ კი, ატრიდო, ნეტარ ღმერთებს არ ეჯავრები.
ეგების მალე ტროელთ მეფე-თემისთავებმა
145 გზაზე აყარონ ბული მტერისა, ეგების მალე
ნახო ლტოლვილნი ბანაკიდან და გემეზიდან!“
თქვა და ყოყინით ეტლისაკენ გაქანდა ღმერთი,
თითქოს იქუხა კაცმა ცხრა თუ ათი ათასმა
ომში საზარელ შეტაკების მოსასწავებლად.
150 მიწისმრყეველის მკერდს ასეთი გრგვინვა აღმოხდა.
ყველა აქაველს ჩაუნერგა გულში სიმძლავრე,
რომ დაუღლელად ჩაბმულიყვნენ ისევ ბრძოლაში.

- ოლიმპოს იყო ჰერა ოქროს ტახტის მფლობელი,
მწვერვალს მიაპყრო თვალი ღმერთმა, უმაღლ შეიცნო
155 გმირთ სადიდებელ ბრძოლის ველზე შმაგად გაჭრილი
ძლიერი მაზლი და ძმა თვისი, შვება მოეცა.
ზევსიც შენიშნა მდგომი ჩანჩქერმრავალ იდაზე
და ქალღმერთს გული შეეკუმშა მისდამი ბოღმით.
ფიქრებს მიეცა დედოფალი ხარისთვალემა,
160 თუ ვით დაეპყრო ღვთაებრივი გონება ზევსის.
ბოლოს ეს აზრი მოეჩვენა საუკეთესოდ:
იდაზე მისვლა, დამშვენება სამკაულებით —
ვინძლო დაწვესო ჩემთან, ტრფობის აღმურით დატკბეს,

მშვენიერებით მოხიბლული მიეცეს ტკბილ ძილს
165 და მის წამწამებს დაეუფლოს ძილისშორისი.
შევიდა ჰერა სამთიობოს, იგი ჰეფესტოს
აეგო მისთვის.

მკვრივ კარებზე იდუმალ კლიტე!
ჯერ რომელიმე სხვა ღვთაება არ შეხებია.
ჰერამ ჩაკეტა მოელვარე საკლიტურები.
170 ამბროსიული სითხით, ოდნავ თუკი რამ ეცხო,
მშვენიერ სხეულს მოაშორა: უნატიფესი
ციური ზეთით დაიზილა ტანი ქათქათა.
სუნამო ზევსის სასახლეში ოდნავ შეხებით
დაბლა მიწამდე, მალლა ცამდე აფრქვევდა სურნელს.

175 მკერდი საცხებლით დაიზილა, თმა დაივარცხნა,
ცბიერად წნული ნაწნავები,

ამბროსიული

კულულთა ტალღა გადმოღვარა უკვდავ თავიდან.
სურნელოვანი კვართი ეცვა, ათენას მიერ
უცხოდ ნაქარგი, მოქსოვილი.

ძუძუებს ზემოთ

180 შეკრა პერანგი ძვირფას ოქროს ღილაკილოებით
წელზე მოირგო ფოჩიანი ჭრელი ქამარი,
ბიბილოებზე — სამთვლიანი საყურეები,
მოთამაშე და მოციმციმე. ეშხით ელავდა.
თავზე მანდილი მოიხურა სულ სიფრიფანა,

185 ახალთ-ახალი, მზის სხივებზე აელვებული.
ფეხი შეიკრა წვივსაკრავით, თვალისმომკრელად
სამკაულეები ლამაზ ტანზე ააელვარა.
სამთიობიდან გამოსულმა გაიხმო გვერდით
პირმშვენიერი აფროდიტე და ასე უთხრა:

190 „ჩემო ასულო საყვარელო, გსურს შეასრულო
ჩემი სურვილი? თუ შენს გულში რისხვა მძვინვარებს,
რომ მე დანაელთ, შენ კი ტროელთ ექომაგები?“

მყის უპასუხა აფროდიტემ, ზევსის ასულმა:

„ო, დედოფალო ღირსეულო, კრონოსის წულო,

195 რა გსურს? გული მთხოვს აგისრულო, რასაც მიბრძანებ, თუ შემძლია და საერთოდ თუ შეიძლება“.

ცბიერი სიტყვით დედოფალმა მიუგო ასულს:
„მო, საყვარელო, მომეც ძალა, ვნება-სურვილი, რომლითაც იპყრობ გულს უკვდავთა ღმერთთა და

კაცთა.

200 შორს მივალ, რათა მოვიხილო მიწის სამანთან უკვდავთა მამა ოკეანე, დედა ტეთისი. მათ გამომზარდეს, სათნოებით თავს მეველებოდნენ, ოდეს მიმიღეს რეასაგან, როს მგრგვინავ ზევსმა კრონოს მიწის ქვეშ, უნაყოფო ზღვათა ქვეშ შთანთქა.

205 მინდა ვეწვიო, რომ სასტიკ შულს მოეულო ბოლო. დიდი ხანია საქორწინო საწოლს და ხვევენას განრიდებიან საყვარელნი, მტრობა ღრღნის მათს სულს. თუ შევარიგებ მშობლებს, თუკი მათ სარეცელზე ავიყვან და კვლავ სიყვარულით შეერთდებიან,

210 მარად პატივით შემხედებიან და ვეყვარები“.

მყის აფროდიტემ მომხიბვლელი ღიმილით უთხრა:
„არ შემძლია წინ აღვუდგე მე შენს ბრძანებას — შენ ხომ ღიალი ზევსის ხვევნა გრგებია წილად“.

ასე უთხრა და შემოიხსნა ნემსით ნაჩხვლეტი

215 სარტყელი, იგი ყველა წადილს იტევდა:

ტრფობას,

ტრფობის განდობას, სურვილს, ჩურჩულს სიყვარულისა, სიტყვებს მომნუსხველს გონებისა და გონიერთა.

ჰერას მიართვა და ასეთი სიტყვა მიუგო:

„აჰა სარტყელი მოხატული, უბეს ჩაიდე,

220 მანში აპოფი, რასაც ეძებ.

ვფიქრობ არ მოხვალ,

სანამ საწადელს არ ეწევი და გულისნადებს“.

შვილს გაუღიმა დედოფალმა ხარისთვალეებამ, ღიმილით უბეს ჩაიცურა ჭრელი სარტყელი.

- კვლავ შინ შებრუნდა აფროდიტე, ასული ზევსის.
- 225 ჰერამ დასტოვა მეყსეულად ოლიმპოს თხემი,
პიერიის მთებს, გაშლილ ველებს ემათიოსის
და თრაკიელთა თოვლიან ქედს გადაუქროლა,
არ ეხებოდა ტერფით მიწას ცად მოლივლივე.
ათონის მთიდან ჩამოვიდა ზვირთმრავალ ზღვაზე.
- 230 ლემნოსს ეწვია და ღვთაებრივ თოანტის ქალაქს.
ძილისშორისი ნახა, ღვიძლი ძმა სიკვდილისა.
ხელი მოჰკიდა ხელზე, უთხრა სახელმიგებით:
„ძილო, ღმერთთა და ყველა კაცთა მძლე მბრძანებლო!
თუკი ოდესმე მისრულებდი სიტყვას ხალისით,
- 235 დღესაც მისმინე! უსაზღვროა მაღლობა ჩემი.
ძილო, სძლიე და დამიძინე თვალები ზევსის,
როს სარეცელზე სიყვარულით ჩავეკონები.
ჯილდოდ მიიღებ ტახტს მშვენიერს, ოქროთი ნაქედს,
ღმერთი ჰეფესტო კელოვანი და ხელოვანი
- 240 შენთვის შეამკობს და მდიდრული ფარდაგით მორთავს,
რომ მოასვენო მეინახემ ნაზი ფეხები“.

დედოფალ ჰერას მოახსენა ძილმა ნეტარმა:

„ჰოი, ქალღმერთო ღირსეულო, კრონოსის წულო,
ყველა ღვთაებას, ზეცად მსუფევეს თუ ქვეყნად

მცხოვრებს,

- 245 მე ვძლევ ადვილად, მივაძინებ ხოლმე ტალღებსაც
ძველი ნაკადის — ოკეანის, ყოველთა მშობლის.
მხოლოდ კრონოსის ძესთან, ზევსთან, ვერ მივალ ახლოს,
ვერ მივაძინებ, სანამ თვითონ არ მოისურვებს.
მახსოვს, მან მეხით მომიყვანა ერთხელაც გონზე,
- 250 როს სულმაღალი ბრუნდებოდა კრონიონის ძე
ილიონიდან, ტროელთ ციხის დამაქცეველი.
იმ დღეს მოვწუსებ ყოველად ძლიერ ზევსის გონება,
ტკბილად მოვთენთე. შენ კი ლომგულ გმირს თავს დაესხნი
და შეარყიე ზღვის ლაქვარდი შმაგი ქარიშხლით,
- 255 მოყმე გარიყე შორს, კოოსის ნაპირებისკენ,
მოსწყვიტე ყველას.

გაიღვიძა ზევსმა და მეხით

მიყარ-მოყარა ყველა ღმერთი.

და მე მით უფრო

მერჩოდა, ალბათ მომისროდა ზღვის ჭურღმულისკენ.
ღმერთთა და კაცთა დედოფალმა ღამემ მიშველა.

260 მას შევეფარე.

დაშოშმინდა ზევსი მრისხანე,

ველარ გაბედა ძალადობა წინაშე ღამის.

შენ კი მიბრძანებ, კვლავ საშიში საქმე ვიტვირთო?“

მიუგო ჰერამ, დედოფალმა ხარისთვალეზამ:

„ძილისშორისო, რად ეძლევი აბეზარ ფიქრებს?

265 ნუთუ გგონია, ზევსი ტროელთ ისე დაიცავს,
როგორც ჰერაკლეს, საყვარელ ძეს, იცავდა იგი?
მომყევ!

სანაცვლოდ ქარიტს მოგცემ ნორჩსა და ნატიფს,
ბოლოს და ბოლოს მოეხვევი, ცოლად დაისვამ,
ვინც სიყვარულით აგაკენესა — შენს პასითეას“.

270 ასე რომ უთხრა, სიხარულით შესძახა ძილმა:

„მაშ დაიფიცე სტიქსის წყალი, მოწყალე ღმერთო,

ხელით შეეხე, დედოფალო, მადლიან მიწას

და ზღვას კამკამას, დაე, ფიცის იყონ მოწმენი

ქვეშეთის ღმერთნიც, თანაარსნი ძველი კრონოსის,

275 შემფიცე, ცოლად რომ მარგუნებ ნორჩს, ნატიფ ქარიტს,
ვინც სიყვარულით ამაკენესა — ჩემს პასითეას!“

თქვა და უსმინა თეთრხელება ქალღმერთმა ჰერამ.

ხელნი აღაპყრო ფიცი დასდო, ქვეშეთის ღმერთებს

მოუხზო, ქვეყნად ტიტანებად სახელდებულთა.

280 როგორც კი მორჩა ფიცს საშინელს, ორივე აფრინდა,
დათმეს სამანი ლემნოსისა, იმბროსის მხარე.

გარს ღრუბლის ფთილა მოეფინათ, სწრაფად მიქროდნენ.

წყალუხვი იდა, ტყის ნადირთა დედა, იხილეს.

ლექტოსთან ზღვის ჭავლს რა გასცილდნენ, სამყაროს

თავანს

285 გადაუქროლეს, ტერფით წვერებს არხევდნენ მუხის.
ერთუერთს დასცილდნენ.

ძილი კრონიდს ემალებოდა.

დიდ ნაძვზე დაჯდა, იდას მთაზე რომ აკრილიყო,
ამაყი თავით ჰაერს ჰკვეთდა, ეთერს წვდებოდა.
თავს იფარავდა ძილი ნაძვის შავი ტოტებით.

- 290 ფრინველს ემსგავსა ხმაწკრიალას, მთების ბინადარს.
ღმერთნი ქალკიდად თვლიან იმ ჩიტს, კაცნი კომინდად.

ჰერა ეწვია იდას მთაზე გარგაროსის თხემს.
იქ დაინახა იგი ზევსმა ღრუბელთმარეკმა.
და რა იხილა, სული შეძრა ძლიერმა ვნებამ

- 295 იმავ სახმილით, რითაც დატკბა პირველ ტრფობისას,
როს ეზიარა მშობელთაგან ფარულად ჰერას.
ცოლს შეეგება და სახელით მიმართა ზევსმა:
„ჰერავ, ოლიმპოს მწვერვალისაგან ასე რად მოხველ,
ვერც ფეხმარდ რაშებს ვხედავ სადმე და ეტლიც არ

ჩანს“.

- 300 ცბიერად უთხრა დედოფალმა ჰერამ მეუფეს:
„მივდივარ, რათა მოვიხილო მიწის სამანთან
მშობელი ღმერთი ოკეანე, დედა ტეთისი,
მათ გამომზარდეს, სათნოებით თავს მევლებოდნენ.
მინდა ვეწვიო, რომ სასტიკ უშულს მოვეულო ბოლო.
305 დიდიხანია საქორწინო საწოლს და ხვევენას
განრიდებიან უკვდავები, მტრობა ღრღნის მათს სულს.
აქ მყავს მერანნი წყალმრავალი იდას მთის ძირას,
მე მიმელიან, გადიფრენენ ზღვასა და ხმელეთს.
მაგრამ მოვედი და გაახელ ოლიმპოს თხემზე,
310 რისხვას ვერიდე, არ მინდოდა შენს უნებურად
ნაკადთა მფრქვეველ ოკეანის მღვიმეს ვწვეოდი“.

მყისვე მიუგო ჰერას ზევსმა ღრუბელთმარეკმა:
„ნება შენია, მოესწრები წასვლას შემდეგაც.

- ახლა კი დავწვეთ, კვლავ ვიგემოთ ტრფობის აღმური.
315 ასეთი ტრფობა არც ქალღმერთის, არც ქალწულისა
გულს არ მდებია,

სული ასე არ აღმგზნებია

არც მაშინ, როცა იქსიონეს ცოლი მიჰყვარდა,

- რომელმაც შობა პერიტოოს, სიბრძნით ღვთის სწორი,
 ან აკრისიეს ქალს დანაეს როცა ვეტრფოდი,
 320 რომელმაც შობა პერსეეს, მოყმე სახელოვანი.
 ასე არ ვთრთოდი, როცა ვფლობდი ფენიქსის ასულს,
 (ვინც შვა მინოსი, ღვთაებრივი რადამანთოსი),
 არც როს სემელე და ალკმენე მესვა თებეში
 (ალკმენემ შობა მძლე ჰერაკლე დიდსულოვანი,
 325 სემელემ შობა დიონისე, კაცთა სიამე),
 არც როს ვეტრფოდი თვით ღემეტრეს —

დალაღმშვენიერს,
 ლეტოს, მომხიბვლელს, ან თვითონ შენ, ჰერავ
 ღმერთქალო!

ღღეს შენ აღმანთე და აღმავსე ტყბილი წადილით!“
 ცბიერად უთხრა დედოფალმა ჰერამ მეუფეს:

- 330 „ო, კრონიონო საშინელო, რა სიტყვას ბრძანებ?
 გინდა აქ დავწვეთ, სიყვარულის სიტკბოს მივეცეთ?
 აქ, იდას თხემზე, საიდანაც ჩანს ყოველივე?
 რა გველის მაშინ, რომელიმე ღმერთმა თუ გვნახა
 ჩახუტებულნი და ყველა ღმერთს უამბო ღვარძლით?

- 335 როგორ გავბედავ: სარეცლიდან როცა ავდგები,
 შინ დაბრუნებას, სად გამოვყო სირცხვილით თავი?
 მაგრამ თუ შენს სულს ეამება, რასაცა ბრძანებ,
 გაქვს სამთიობო, საყვარელმა ძემ რომ შეგიძკო —
 კოჭლმა ჰეფესტომ, კარს მოარგო საკლიტურები.

- 340 იქ დავწვეთ, როცა მოსვენებას ისურვებ, ღმერთო!“
 ჰერას მიუგო მყისვე ზევსმა ღრუბელთმარეკმა:
 „მენდე, ვერც ღმერთი, ვერც მოკვდავი თვალსაც ვერ

მოგვეკრავს,

- შემოგებხვევა შენ გარშემო ოქროს ღრუბელი,
 შიგ ვერ შეაღწევს შუქმფინარი მზე — ჰელიოსიცი,
 345 რომლის მახვილ თვალს არაფერი გამორჩენია“.

თქვა და ძლიერად მოეხვია ზევსი მეუღლეს.
 მიწაზე მყისვე ამოხეთქა მოღმა ხასხასამ,
 ლოტოსმა ფოთოლნამიანმა, ხშირმა სუმბულმა,
 მოქნილ კვირტებით ღმერთნი ნაზად ასწიეს მაღლა.

350 იწვნენ უკვდავნი, მოებურათ ოქროს ღრუბელი
და მოწვეთავდა იმ ღრუბლიდან წვიმა კამკამა.

ასე ეძინა გარგაროსის მწვერვალზე მამას,
ტრფილით ძლეულს და მეუღლის მკერდს ჩახუტებულს.
მსწრაფლ აქაველთა გემს მიაღდა ძილისშორისი,

355 და პოსეიდონს საამური ამბავი უთხრა,
მის წინ დადგა და მიაგება ფრთიანი სიტყვა:
„მედგრად, ღვთაებავ, იყავ შემწე დანაელების!
უბოძე ძლევა თუნდ მცირედი და წამიერი,
სანამ ზევსს სძინავს.

ტკბილი თვლენა მოვგვარე მამას.

360 ჰერამ აცდუნა სარეკლით და ტრფობის სიამით.“-

თქვა და გაფრინდა სახელოვან კაცთა ტომისკენ,
ოდეს აღაგზნო დანაელთა ქომაგად ღმერთი-
მეწინავეთა შორის ჩადგა და მხნედ შესძახა:

365 „ო, არგიველნო! ისევ ჰექტორს ვარგუნებთ ძლევას?
გემებს დავუთმობთ და აღვავსებთ სახელ-დიდებით?
იმიტომ გასდის თავს მზვაობარს, რომ აქილევსი:
ფულურო გემთან რჩება ჩვენზე განრისხებული..
მაგრამ ისიც არ დაგვჭირდება, თუ ერთობლივად
მტრებს მივეჭრებით, მხარს ავუბამთ ერთი-მეორეს!

370 მისმინეთ, რჩევა მომიცია, თქვენც დამიჯერეთ:
რაც კი ფარი გვაქვს ბაკმული და საუკეთესო,
მკერდი დავიცვათ, დავიხუროთ მუზარადები,
რვალის შუბები მოვიღეროთ, მტერს შევხვდეთ მედგრად,
წინ გაგიძღვებით,

არ მგონია, გმირი ჰექტორი

375 გზად გადავიდგეს, რაზომ შმაგიც არ უნდა იყოს.
ვინც ძლიერია და არა აქვს ფარის იმედი,
სუსტს მისცეს თვისი, თვით კი დიდი ფარი ატაროს!“

თქვა და დასთანხმდა ყველა დიდი მოწადინებით.
მეფეებს წყლულიც დაავიწყდათ, დარაზმეს ჭარი.

380 გმირმა ტიდიდმა, ოდისეესმა, აგამემონმა

სპა მოიარეს, საჭურველი ბევრს შეუცვალეს,
ძლიერთ არგუნეს ბასრი რვალი, უძალოთ — ბლაგვი.
როს აღიჭურვნენ მოკაშკაშე, მტკიცე სპილენძით,
დაიძრნენ.

ლაშქარს მიუძღოდა პოსეიდონი,

- 385 ღმერთს ყოვლისშემძლე ხელში ეპყრა ბასრი მახვილა,
ცეცხლოვან ელვის დასადარი. რომ შეხვდეს კაცი,
შიშის ზარს დასცემს, სულს გაუფრთხობს მარტო შეხედვა.
ტროელთ ლაშქარი შეაგება ლაშქარს ჰექტორმა.
შუღლი შეუდკათ საშინელი ღმერთ პოსეიდონს,
390 ძლიერს, შავთმიანს და გმირ ჰექტორს ზუჩმოელვარეს,
ეს ძვირფას ტროელთ, ის არგიველთ ლაშქარს იცავდა.
ზღვა აღდგა, ტალღა შეეხეთქა ბანაკს ღმუილით.
საზარ ყიჟინით შეერია ლაშქარი ლაშქარს.
ზღვის ნაპირებთან ასე შმაგად ზვირთი არ ბორგავს,
395 გამოტყორცნილი ბორეასის მძვინვარე სუნთქვით,
კოცონიც ასე არ გუგუნებს ხანძრად ქცეული,
როს მოედება მთაში ტევრს და ხეებს ნთქავს ხარბად,
ქარი არ ღმუის მაღალმთიან მუხის წვეროზე,
როს დააცხრება ხეს მძვინვარე, გაშმაგებული,
400 როგორც გრგვინავდა ხმა ტროელთა და აქაველთა,
ერთი მეორეს გაცოფებით რომ აწყდებოდნენ.

ჯერ გმირ აიანტს სტყორცნა ბასრი შუბი ჰექტორმა,
როცა უტევდა აიანტი.

უწია სწორად.

- მკერდზე, საკიდი ღვედი სადაც ღვედს ედებოდა,
105 ერთი მახვილის, ხოლო ერთიც ბაკმული ფარის,
იქ მოახვედრა. ღვედმა იხსნა. განრისხდა მოყმე,
რა ნახა, რვალი მის მარჯვენას ამოდლ გასცდა.
უკუდგა ჰექტორ და ანაზდად გაექცა სიკვდილს.
მაგრამ დაკოდა აიანტმა უკუქცეული
410 ლოდით.

ქვა-ლორღი ძირს ეყარა გემთა საბჯენად,
მებრძოლთ ფეხებში ედებოდა.

ერთი გასტყორცნა,

მკერდში, ფარს ზემოთ, ყელთან ახლოს მოარტყა

ჰექტორს,

როგორც ჩიკორი, გაფრენილი ბზრიალ-ბზრიალით.

415 დიადი ზევსის დამანგრეველ დარტყმით თვით მუხა
ძირფესვიანად ყირავდება, ხეს ასდის მყრალი
გოგირდის კვამლი.

დგას გამვლელი სულმიხდილივით
გაშეშებული.

ზევსის ზეხი დამღუპველია.

420 ასე დაემხო მეყსეულად გმირი: ჰექტორი,
შუბი ხელიდან გაუვარდა, მკერდზე დაეცა
ფარი ბაკმული, აჟღერიალდა ქრელი აბჯარი.
ყაყინით მისკენ გამოიჭრნენ აქაველთ ძენი,
სურდათ გათრევა, უამრავი ოროლი სტყორცნეს,
მაგრამ ვერ შეძლო ხალხთა მეფის დაჭრა ვერც ერთმა,
ვერ მოახვედრეს, რადგან მყისვე გმირს აეფარნენ

425 პულიდამანტი, ენეასი და აგენორი,
ლიკიის მეფე სარპედონი, ქველი გლავკოსი.
არ იყო კაცი, რომ ჰექტორის ხსნა არ ეფიქრა.
ფარი აღმართეს დასაცავად.

მყის მეგობრებმა

430 ხელი დაავლეს, გაიყვანეს ბრძოლის ველიდან.
ფეხმარდნი ცხენნი ახლოს ჰყავდათ, მყურრო ადგილას
დიდებულ ეტლთან, იქვე იდგა ქველი მეეტლე.
ეტლმა ციხისკენ გააქანა მკვნესარი გმირი.

მაგრამ როგორც კი მოლივლივე ნაკადს მიადგნენ —

435 ღვთაებრივ ქსანთოსს, უკვდავ ზევსის შობილ მდინარეს,
მოყმე მიწაზე დაასვენეს,

მობანეს სახე

მოკამკამე წყლით.

ძლივს თვალეებში გამოიხედა.

წამოიწია და გადმოსკდა პირიდან სისხლი.

ისევ წაიქცა, კვლავ თვალეებში ღამე ჩაუდგა:

ჯერ კიდევ სული დარტყმით ჰქონდა გაბრუებული.

440 არგიველთ ჰექტორს თვალი მოჰკრეს, ბრძოლიდან

გასულს

და უფრო ფიცხლად შეუტიეს ზვიად ტროელებს.
პირველად მარდმა აიანტმა ოილევის ძემ
დასცა სატნიოს, როს დაატყდა თავს ბასრი შუბით,
ნიმფა ნეადას შესძენია იგი ყრმა მწყემსი

445 ენოპოსისგან, ნაპირებთან სატნიოესის.
მძლე აიანტმა ოილიდმა ბოქვენში დაჭრა
და ძირს განრთხმული შუბოსანის გვამის გარშემო
შეიქმნა ერთი ხოცვა-ჟლეტა მებრძოლთა შორის.
პულიდამანტი შურისმგებლად შუბმოღერებით

450 გაიჭრა, სტყორცნა პროთოენორს ბასრი ოროლი,
არეილიკოს-მამაცის ძეს, მხარი გაუპო
და განრთხმულს ხელით აფხოკინა შავი ტალახი.
პულიდამანტი გაამაყდა, შესძახა კიდეც:
„იტყვის კი ვინმე, რომ პანთოიდს მძლავრი მარჯვენით

455 ახლა ამაოდ უტყორცნია შუბი ვეება?
ვილაც არგიველს მოხვდა იგი და, იმედი მაქვს,
ყავარჯნად იხმარს, რომ ჰადესის ეწვიოს მღვიმეს“.
თავხედის სიტყვამ დაამწუხრა არგიველთ სპანი.
ყველაზე მეტად აიანტის სული დაფლითა,

460 ტელამონიდის.

სწორედ მის წინ დაეცა მოყმე.

მრისხანე გმირმა დაადევნა ტროელს ოროლი.
პულიდამანტი ძლივს გაექცა შავ ბედისწერას,
განზე გადახტა. რვალი მისწვდა ანტენორის ძეს,
გმირ არქელოქოსს. მას არგუნა დაღუპვა ღმერთმა.

465 შუბმა დალახვრა, სად ერთდება თავთან კისერი,
ხერხემლის ზემოთ, გაუწყვიტა ბედკრულს ძარღვები.
დარტყმით ძლეული ტუჩ-პირით და თავით უაღრეს
დაემხო მიწას, ვიდრე მუხლებს ზედ შეახებდა.
რისხვით შესძახა პულიდამანტს მძლე აიანტმა:

470 „პულიდამანტო, მითხარ მაინც, პროთოენორის
სანაცვლოდ სიკვდილს ეს მებრძოლი თუ იმსახურებს?
არც თუ ურიგო მხედარი ჩანს, არც უგვარტომო,

იგი ანტენორს, ცხენთა მხედუნელს: ძედ თუ ერგება,
ეგების ძმადაც, მისი მოდგმის ჩანს შეოშარი“.

475 ასე თქვა, ნალც აღ კი იცოდა.

ღარღმა მოიცვა

ტროელთა სული.

აკამანტმა შური იძია

ძმის გვამის გამთრევე პრომაქოსზე, ბეოტიელზე.

ღვარძლით ამბობდა აკამანტი გამარჯვებული:

„უქმად ქედმაღლად მოქადულნო აქაველთ მცველნო!

480 საბრძოლო ჯაფა და ვაება განა მხოლოდლა
ჩვენი ხვედრია?

არ აგცდებათ თქვენც სივალაღე!

ხომ ხედავთ, როგორ მიიძინა ამ მეომარმა

შუბით ძლეულმა!

შურისგებამ არ დაახანა!

გონიერია, ვინც დატოვა ამ ჩემს ძმასავით

485 შურისმგებელი, ძა ძმისათვის სისხლის აწლები!“

არგიველები შეურაცხყო თავხედის სიტყვამ.

ყველაზე მეტად პენელევსის სული აღელდა.

მიეჭრა,

მაგრამ აარიდა ტროელმა თავი.

მხნე პენელევსმა მაშინ დასცა ილიონევსი,

490 ძე ფორბანტისა, ჯოგმრავალის.

ჰერმესს უყვარდა

ფორბანტი ფრიად და სიუხვით ავსებდა მის სახლს,

სხვა ძე არ ესვა მოხუცს, მარტო — ილიონევსი.

ისიც განგმირა პენელევსმა, თვალის ფოსოდან

გუგა უმაღვე ამოუგდო,

თავისქალაშიც

495 გავიდა შუბი.

ჩაიკეცა ბედშავი მოყმე

ხელებგაწვდილი.

ქარქაშიდან იძრო მახვილი,

კისერში დასცა გმირმა, თავი იქვე გაგორდა,

ჯერ კიდევ თვალში გასჩხეროდა შუბი,

მომგვრელი

საზარ სიკვდილის.

- ვით ყაყაჩოს, მის თავს სისხლიანს
500 ტროელთ ზეიმით აჩვენებდა ყრმა მზვობარნი:
„ტროელთა ძენო, მოახსენეთ ილიონევის
საყვარელ მამას, მშობელ დედას — ძე დაიტყრონი
ვერც პრომაქოსის ახალგაზრდა ცოლი გამოვთ
მის შესახვედრად სიხარულით, ოდეს ტროიდან
505 შინ დავბრუნდებით ხომალდებით აქაველთ ძენი!“

ეს თქვა და ტროელთ სახე შიშის ფითრმა დაფარა,
და სიკვდილისგან სალტოლველად გაექცათ თვალი.

- ახლა, მუზებო, სახლად რომ გაქვთ ოლიმპოს თხემი,
მამცნეთ, პირველმა ვინ აილო ნადავლი ომში,
510 აქაველთ ძლევა რის არგუნა მიწისმრყეველმა?
ტელამონიდმა აიანტმა დასცა ჰირტიოს
გირტიოსის ძე, მძლე ბელადი მისიელების.
ანტილოქოსმა ფალკე დასცა და მერმეროსი,
მერიონემ კი მორინი და ჰიპოტიონტი.
515 ტევკროსმა დასცა პროთონტი და პერიფეტე,
ჰიპერენოროს — მძლე ატრიდმა, მან სპათა ბელადს
ფერდი გაუპო.

გაიარა შუბმა სტომაქი
და გამოყარა ნაწლავები.

- შიშველ წყლულიდან
გაფრინდა სული, გმირს ჩაუდგა თვალში წყვილიადი.
520 ყველაზე მეტი ოილევის ძემ აიანტმა
განადგურა, ვერვინ სჯობდა მას, როგორც მდევარს
ლტოლვილ მებრძოლთა, თავზარს რომ სცემთ ზევსი
ლიადი“.

ქება მითხუთმეტი

განდევნა ხომალდებიდან

„გადაირბინეს სანგარი და განვლეს ძელყორე,
ბევრიც დაკარგეს განგმირული დანაელთ მიერ
და მაშინ შედგნენ თვის ეტლებთან შიშით ფერმკრთალნი

და მთრთოლვარენი.

ამ დროს ადგა იდაზე ზეესი,

5 ოქროსტახტიან ქალღმერთ ჰერას ნაალერსევი.

უმალ შენიშნა ტროელნი და აქაველთ სპანი:

რიგებ არეულ ლტოლვილ ტროელთ ხარბად მისდევდნენ
არგიველები, მათთან იყო პოსეიდონიც.

ჰექტორიც ნახა ძირს განრთხმული, მასთან მწუხარედ

10 მსხდომი მოყმენიც.

გრძნობამიხდილს სუნთქვა უჭირდა,

სისხლი მოსჩქეფდა, გაეგმირა მამაც აქაველს.

ყრმა შეეწყალა ღვთაებათა და კაცთა მამას,

ჰერას მრისხანედ მიუბრუნდა და ასე უთხრა:

„შენი ხრიკია, ბოროტმკმედო, მარად ცბიერო,

15 გმირი ჰექტორის და მებრძოლი ხალხის დათრგუნვა!

ჯერ არც კი ვიცი, რას მოიმკი ამ ვერაგობით,

მაგრამ ცხადია, ელვის მათრახს ველარ ასცდები!

ნუთუ არ გახსოვს, ვით ეკიდე ზეცად?

ფეხებზე

ორი ბორკილი გედო, ხელზე — გაუწყვეტელი

20 ოქროს ხუნდები.

ეთერსა და ღრუბელთა შორის

ცად ქანაობდი.

ოლიმპოზე წუხდნენ ღმერთები,

სცადეს და ვერვინ შეგეწია.

ვისაც კი მივწვდი,

ზეცის ზღურბლიდან გადმოვუშვი ფრიალ-ფრიალით.

ძლივს დაჰყვათ სული.

მაგრამ ამით როდი დამცხრალა

25 რისხვა ღვთაებრივ ძის — ჰერაკლეს ტანჯვათა გამო.

შენ დაადევნე ბორეასი და ქარიშხალი,

უდაბურ ზღვაზე უმზადებდი უბედურებას,

ხალხმრავალ კოოსს გადახვეწე, უცხო მხარეში.

მე დაეაბრუნე სამშობლოში — ცხენმრავალ არგოსს

30 მოყმე, რომელსაც დიდი ჯაფა გადახდომია.

კარგად გახსოვდეს, მოერიდე ვერაგულ ფანდებს,

არ გმართებს ღვარძლი შეაზავო ტრფობის ალერსია,
ღმერთთაგან ჩუმაღ რომ მაგეგე მოსახიბლავად!“

- თავზარი დასცა ქალღმერთ ჰერას ზევსის ნათქვამა
35 და მეყსეულად მიაგება ფრთიანი სიტყვა:
„მოწმედ მეყავით, დედამიწავ, ცავ უნაპიროვ,
სტიქსის ნაკადნო — საშინელნო დასაფიცარნო,
ზარის მომგვრელნო თვითონ ნეტარ ღვთაებათათვის!
შენი თავის მზემ, ზევსო, ჩვენი სასიყვარულო
40 სარეცელის მზემ, — მას ხომ ლიქნით არ შემოგფიცავ, —
პოსეიდონი მიწისმძვრელი ჩემ გამო ტროელთ
როდი ვნებს, ჰექტორს როდი სდევნის და იცავს მის მტერს!
თვითონ სწადია საკუთარი გულის კარნახით.
თვით შეებრალა აქაველნი, გემს მიქეჰყილნი.
45 განა არა თუ? მეც ვურჩევდი. მაგრამ ყოველთვის
შენი გზით დადის, შენი ნებით. შავლრუბლოანო!“

ასე თქვა ჰერამ.

- ღვთაებათა და კაცთა მამას
ჩაეცინა და მიაგება ფრთიანი სიტყვა:
„ამიერიდან. დედოფალო ხარისთვალეზავ,
50 უკვდავთა დასში ერთი აზრით თუ შევეთანხმდებით,
პოსეიდონიც, რაც არ უნდა სხვასა ფიქრობდეს,
მყის აზრს შეიცვლის, მიენდობა ჩემსა და შენს გულს,
ახლა, მას შემდეგ, რაც გულწრფელად ფიქრი გამანდე,
გასწი ღმერთების საფიხვნოზე, უბრძანე ირისს
55 იდაზე მოსვლა, აპოლონსაც — ვერცხლისმშვილდოსანს.
მაცნე ეწვიოს აქაველთ სპას რვალისკვართიანს
და პოსეიდონს მოახსენოს ჩემი ბრძანება:
ბრძოლას მოეშვას, დაუბრუნდეს მყუდრო სავანეს.
ისევე ჩააბას ფოიბოსმა ომში ჰექტორი,
60 სიმხნევე მისცეს და განკურნოს სატანჯველისგან,
გმირის სულს რომ ფლეთს.

აქაველნი გარეკოს ისევ,
აღავსოს შიშით, გააქციოს შეძრწუნებულნი.
ამ სიჩქარეში ტროელეზი თავს დაესხნიან

პელიდის გემებს, აქილევსი ჩააბამს ბრძოლად
65 პატროკლეს.

მას კი ილიონთან მოუღებს ბოლოს
მძლავრი ჰექტორი, ბევრ მძლეთამძლე მოყმის მძლეველი.
მტერი ჩემს ძესაც — გმირ სარპედონს მოკლავს.

მას შემდეგ

შურისმგებელი აქილევსი განგმირავს ჰექტორს.
მაშინვე გემებს განვაშორებ ტროელთ მხედრობას,
70 ველარაფერი შემაჩერებს!

და აქაველნი

ათენას რჩევით აიღებენ ქალაქ ილიონს.

მანამ ჩემს რისხვას არ დავაცხრობ და არც სხვა

ღმერთებს

მივცემ უფლებას, გაუწოდონ ხელი დანაელთ.
უნდა შესრულდეს აქილევსის ნება-სურვილი:

75 ასე დავპირდი, თავის დახრით თანხმობა მივეც
თეტისს, როდესაც მუხლმოყრილი მევედრებოდა —
კოშკთა მღვწველი აქილევსის სახელ-დიდებას“.
თქვა და მორჩილად დაჰყვა ნებას ქალღმერთი ჰერა.
იდას თხემიდან ოლიმპოსკენ მსწრაფლ გაეშურა.

80 როგორც სწრაფია კაცის აზრი, რომელსაც ძალუძს
მთელი ქვეყანა მოიაროს გონების ძალით:
„აქ ვიყავიო და იქაცო“ — ბევრს მოიგონებს,
ისევე სწრაფად დედოფალმა გადაიფრინა,
ოლიმპოს მწვერვალს მიადწია.

მრავალი ღმერთი

85 იხილა ზევსის სასახლეში.

შემოეგებნენ

და მიესალმა თვითეული თასით დედოფალს.

ჰერამ მიიღო დაწვლამაზი თემიდასაგან

თასი, რადგან ის გამოიჭრა ყველაზე უწინ

შესაგებებლად და მიმართა ფრთიანი სიტყვით:

90 „ო, ჰერა, რატომ მოხველ ასე შიშით შეძრული?
ჩანს, კრონოსის ძემ, შენმა ქმარმა დაგცა თავზარი!“

მას უპასუხა თეთრხელება ქალღმერთმა ჰერამ:

„რად მეკითხები, ო, თემიდავ? განა არ იცი,
რა სასტიკი და გულგოროზი ვინმე ბრძანდება?

- 95 სჯობს დასხდეთ ღმერთნი, სავანეში მდინახენი. .
უკვდავთა შორის შენც მოისმენ, რა ცუდი საქმე
ზევესს განუზრახავს. გულით ვერვინ ვერ გაიხარებს
ამა საქმითა, ვერც მოკვდავი, ვერცა ღვთაება,
რა ნეტარი და მხნეც არ იყოს მოაქვამამდე!“

- 100 თქვა და დაბრძანდა დედოფალი.

ყველა ღვთაება

შეშფოთდა.

ქალღმერთს ბაგეებზე აჩნდა ღიმილი,
შავ წარბებს ზემოთ კი შუბლს სხივი არ დაჰფენია.
ანაზღად ღმერთებს მიუბრუნდა განრისხებული:
„უგნურნო! ჩვენ ხომ ზევსის სამტროდ ქკუა არ

გვყოფნის!

- 105 ამოდ ვცდილობთ მის მოდრეკას სიტყვით თუ ძალით.

იგი ამჟამად ცალკეა და ჩვენზე არც ფიქრობს,
აბუჩად გვიგდებს, მიაჩნია, რომ უკვდავთ შორის
შეუღარებლად სჭარბობს ყველას ძალაუფლებით.
რა გაეწყობა, რაც არ უნდა თავს დაგვატეხოს,

- 110 მოთმენა გვმართებს.

არ დაინდო, ვგონებ, არესიც —
ღღეს ბრძოლის ველზე სანუკვარი დაეცა მოყმე,
ასკალათოსი, არესი რომ თავის ძედ თვლიდა“.

ეს რომ თქვა, მყისვე ძარღვიანი ხელი არესმა
მოქნილ ბარძაყზე დაიკრა და გმინვით შესძახა:

- 115 „ნუ გამამტყუნებთ, თუ ძის გამო, ოლიმპოს მკვიდრნო,
შურისმგებლად აქაველთა გემებს ვეწვევი!
თუმც მოსჯილი მაქვს ზევსის მიერ ელვადაცემულს —
სისხლის გუბეში, მტვერში ვიწვე გვამებთან ერთად!“

თქვა და უბრძანა მყისვე შიშს და საშინელებას —

- 120 რაშნი შეებათ ეტლში, იპყრა ხელთ საქურველი,

ალისმფრქვეველი.

- მაგრამ ზევსი წინათ აროდეს
განრისხებულა ღმერთთა დასზე ასე სასტიკად.
სწორედ ამიტომ უკვდავთ ბედით შეშფოთებული
ბჭესთან მივარდა მყის ათენა, დასტოვა ტახტი.
- 125 მკერდიდან ფარი, თავზე ზუჩი მოგლიჯა არესს,
შუბი წაართვა წამახული, გვერდზე გადადო
და მრისხანე ღმერთს შეუძახა მოგუგუნე ხმით:
„შმაგო, უგნურო, ფეთიანო, რისთვის გაქვს ყური,
თუ არას ისმენ? სირცხვილიც და ჭკუაც დაკარგე?
- 130 ველარ გაიგე, თეთრხელება ჰერა რას ამბობს?
იგი ოლიმპოს დაუბრუნდა ახლა ზევსისგან.
იქნებ გსურს, რაკი ზევსის რისხვას მაინც ვერ ასცდი,
კვლავ შეირცხვინო თავი, შემდეგ დაბრუნებულმა
თვითელ ჩვენგანს შეამთხვიო უბედურება?
- 135 მალე ტროელთა, ძალგულოვან აქაველთ ჯარზე
ხელს აიღებდა ზევსი, ღმერთებს თავზარს დაგვცემდა,
ვერ ასცდებოდა მას ვერც მრუდი და ვერც მართალი!
დამყევ ნებას და ნუ იძიებ შურს შვილის გამო,
მასზე მამაციც, მასზე მძლავრიც ბევრი დაეცა,
- 140 კვლავ დაეცემა ბრძოლის ველზე.
სად გაგონილა,
გარდუვალ სიკვდილს კაცთა მოდგმა გადაარჩინო!“

- თქვა და არესი ტახტზე დასვა გაცოფებული.
ჰერამ კი ზევსის სასახლიდან უხმო აპოლონს
და უკვდავ ღმერთთა ფეხმარდ მაცნეს, მშვენიერ ირისს.
- 145 ფრთიანი სიტყვა მიაგება ღმერთებს ქალღმერთმა:
„ზევსმა მიბრძანა, რომ მოგიხმოთ ილას მწვერვალზე.
იცოდეთ, როცა მიხვალთ, ნახავთ ზევსს ღრუბელთმარეკს,
მისი სურვილი და ბრძანება მყის შეასრულეთ.“

- ასე უბრძანა, სასახლეში დაბრუნდა ჰერა,
150 ტახტზე დაბრძანდა.

ისინი კი გაფრინდნენ უმაღ.
მყის წყალუხვ ილას, ტყის ნადირთა დედას, ეწვივნენ.

იქ, გარგაროსის თხეზე ნახეს მეუფე ზევსი.
მკდომარე კრონიდს ადგა ღრუბლის შარავანდელი.
იღგენ ღმერთები ღრუბელთმარეკ ზევსის წინაშე,
155 და მან მოწყალედ შემოხედა.

მყის აღსრულდება
ელოდა მაცნეთ ზევსის ძვირფას ცოლის ნებისა.
პირველად ირისს ღიაგება ფრთიანი სიტყვა:
„პოსეიდონთან, უსწრაფესო ირისო, გასწი,
ამცნე ყოველი, საიშედო მაცნედ მეყავ მე!
160 დაუყოვნებლივ დათმოს ბრძოლა, კვლავ დაუბრუნდეს
ან ღმერთთა კრებულს ოლიმპოზე, ან ზღვას ღვთაებრივს.
თუ არ ისურვოს შესრულება ნაბრძანებისა,
მაშინ გულს ჰკითხოს და გონებას — გაუძლებს განა
ჩემთან შეხვედრას, თვით რაც უნდა ძლიერი იყოს?

165 პოსეიდონზე ძალითაც და ხნოვანებითაც
მეტე ვარ, მაგრამ მას ერთადერთს არ ეშინია
ტოლად ჩათვალოს, ვის წინაშეც ყველა ცახცახებს!“
დაემორჩილა ირის, ქარისფეხებიანი
და იდას მთიდან მყის დაეშვა ილიონისკენ.

170 როგორც მოწყდება ღრუბელს თოვლი, ან ცივი სეტყვა.
გაეკიდება ქარ-ბორეასს, ეთერში შობილს,
ისე ანაზდად გზა ირისმა გადაიფრინა,
მივიდა, უთხრა პოსეიდონს დანაბარევი:
„მოვედი შენთან, შავთმიანო. მიწისმრყეველო,

175 დიადმა ზევსმა ფაროსანმა აქ მომავლინა.
დაუყოვნებლივ დათმე ბრძოლა, კვლავ დაუბრუნდი
ან ღმერთთა კრებულს ოლიმპოზე, ან ზღვას ღვთაებრივს.
თუ არ ისურვებ შესრულებას ნაბრძანებისა,
ზევსი გიქადის, რომ მაშინვე შესარკინებლად

180 გამოიჭრება.

გირჩევს თავი არიდო ბრძოლას.
შენზე მეტია ძალითაც და ხნოვანებითაც.
ეს შენც ხომ იცი, მაგრამ მაინც არ გეშინია,
ტოლად ჩათვალო, ვის წინაშეც ყველა ცახცახებს“.
გაოგნებულმა უპასუხა მიწისმრყეველმა:

185 „ჰაი-ჰაი, რომ ძლიერია! მაგრამ თავხედობს,

რაკი ტოლი ტოლს აგრე მბოჭავს ჩემს უნებურად!
სამი ძმა გავჩნდით კრონოსისა და რეასაგან:
ზევსი, მე, შემდეგ აიდესი — ქვეშეთის ღმერთი.
სამად გაიყო ეს სამყარო, სამივეს წილად.

190 სამარადისოდ სამფლობელოდ ზვირთმოგუგუნე
ზღვა შემხვდა.

ქვეშეთს, უკუნეთში მეფობს აიდესი,
ხოლო ღრუბელს და ეთერს შორის ზევსს ერგო ზეცა.
ჩვენთვის საერთო დარჩა მიწა, ოლიმპოს თხემი.
არა, მე ზევსის წესი არ მწამს! ხომ დიადია

195 და ძალმოსილი, თავის წილხვედრს ფლობდეს მესამედს,
მე ნუ მაშინებს მკლავის ძალით, ვით საწყალობელს!
ის ურჩევნია, თვის ასულებს და ვაჟიშვილებს
მიხედოს, მკაცრი სიტყვა უთხრას.

თვით გააჩინა

და სურთ თუ არა, უნდა მის წესს დაემორჩილონ!“

200 ისევ მიუგო მას ირისმა ქარისფეხებამ:

„ეს ვუთხრა განა, შავთმიანო მიწისმრყეველო,
პასუხად კრონიდს — სიტყვა მკაცრი და საშინელი?
ეგების ოდნავ შეარბილო?“

სათნოა გული

კეთილშობილთა.

ერინიაც უფროსებს შველის“.

205 კვლავ უპასუხა პოსეიდონ მიწისმრყეველმა:

„ქალღმერთო ირის, გონივრულად ამბობ სიმართლეს.
კარგია, როცა მაცნეს ძალუძს რჩევა კეთილი.
გამოგიტყდები, გულს მიმსჭვალავს ძლიერი წყენა,
როცა ამაყად იქადნება და პატივს აპყრის

210 მისვე თანასწორს და ბედითაც მასავით სვიანს.

ახლა, თუმც კი მწყინს, მმართებს დავეყე მის

ნება-სურვილს.

ვაცხადებ, მაგრამ ჩავიმარხავ ამ ქადილს სულშიც:

უკეთუ ჩემდა უნებურად და ათენასი,
ჰერას, ჰერმესის და ჰეფესტოს დაუკითხავად

215 ქალაქ ილიონს შეიწყალებს მტკიცებურჯიანს,

რომ არგველნი გამარჯვების არა ჰყოს ღირსნი,
იცოდეს, მტრობას არ ექნება ჩვენსას საზღვარი!“
ასე წარმოთქვა და დასტოვა სპა აქაველთა.
ზღვაში ჩაეშვა.

- ოხვრა დასცდათ არგველ გმირებს.
- 220 აპოლონს უთხრა მაშინ ზევსმა ღრუბელთმარეკმა:
„რვალისაბჯრიან გმირ ჰექტორთან წადი, ფოიბოს,
ქვეყნის მომგარსველს, მიწისმრყეველს უნებებია
ღვთაებრივ ზღვაში ჩასვლა, რისხვას გაურბის იგი.
ეჰ, რომ სმენოდათ ამ სასტიკი ბრძოლის ამბავი
- 225 ქვეშეთის ღმერთებს, მობინადრეთ კრონოსის ახლოს!
კიდევ კარგი, რომ, თუმც მრისხანებს, არ მეურჩება,
წინაშე ჩემსა უკან იხევს, თორემ ეს საქმე
ორივეს დიდი ოფლის ფასად დაგვიჯდებოდა!
მაგრამ, მიიღე აიგიდა ფოჩებიანი,
- 230 მოიღერე და მით დააფრთხე სპა აქაველთა!
შორსმოისარო, ჰექტორზე კი იზრუნე კვლავაც,
სიმტკიცე მიეც. სანამ ლტოლვილ აქაველ გმირებს
ხომალდებთან და ჰელესპონტის პირას მირეკავს.
სიტყვას ვიტყვი და ერთდროულად მოჰყვება საქმეც,
- 235 რომ ომის ჯაფას გადაურჩნენ აქაველები“.

ასე ბრძანა და არ ეურჩა მამას აპოლონ,
იდას ქედლიდან გადმოიჭრა, ვით შევარდენი,
ქედანთა მტერი, უსწრაფესი მტაცებელთ შორის.
ველზე იხილა პრიამოსის ძე ღვთაებრივი,
[240 წამომჯდარიყო, მოსულიყო გონზე ჰექტორი,
მეგობრებს სცნობდა, სულიც აღარ ეხუთებოდა
ეგიოს ზევსის ნებით ვაჟკაცს მიეცა ძალა.
ახლოს მივიდა და მიმართა შორსმოისარმა:
„პრიამოსის ძევ, ჰექტორ!

ლაშქარს განშორებული

[245 დაღონებული აქ რად ზიხარ, რა დარდი გსერავს?“
მძიმედ სუნთქავდა და მიუგო გმირმა ჰექტორმა:
„ვინ ხარ, კეთილო ღმერთო, სიტყვით რომ მომეგებე?
არა გსმენია, აქაველთა ხომალდების წინ

- ლაშქარს რომ ვსპობდი, აიანტმა მკერდს შემალეწა
- 250 ლოდი ვეება, სიმამაცე დააცხრო ჩემი?
მეგონა უკვე ვიხილავდი ჰადესის მღვიმეს,
რაკილა გული სანუკვარი მიბნედილიყო“.
- შორსმოისარმა აპოლონმა მიუგო მოყმეს:
„მხნედ იყავ, ძლიერ ქომაგს მხედავ, კრონიდის მიერ
- 255 შენდა მფარველად მოვლინებულს იდას თხემიდან.
ფობიბოსი ვარ, აპოლონი ოქროსხმლიანი;
შენ და შენს ქალაქს რომ გიცავდით წინათაც მედგრად.
მიჰყევ სპას, მხედრებს მოუწოდე მრავალრიცხოვანთ,
ამოფულრული გემებისკენ მიმართონ რაშნი.
- 260 წინ წარუძღვები და თვითონვე გზას გავუკვალავ
ცხენებს, სილტოლვად სპას მივაქცევ აქაველების!“
ეს თქვა და სპათა ბელადს ძალა შთაბერა ღმერთმა.
ცხენი რომ გაწყვეტს ხოლმე საბელს, თავლაში მდგარი,
გამოფრინდება და ფლოქვებით აპყრის კოლბოხებს,
- 265 მიქენავს, ცურვას მიჩვეული შმაგ მდინარეში,
თავი ამაყად აღუმართავს და ძლიერ ქედზე
ფაფარს აიფრენს, თვით ამაყობს თვისი მშვენებით.
მიაქროლებენ ჟაშატებთან მარდი ფეხები.
მას ჰგავდა ჰექტორ,
- გამოიჭრა გმირი, როს ესმა
- 270 ხმა ღვთაებისა. აღაგზნებდა ბრძოლად მხედრობას.
როცა მისდევენ ველურ ქურციკს, ქორბუდა ირემს
ჩიუტი, ფიცხი მწევრები და მონადირენი,
ციცაბო კბოდე, დაბურული ჭალა იფარავს
ნადირს და მდევარს დასაქერად არ სწყალობს ბედი.
- 275 გამოაღვიძებს ღრიანცელი ლომს ფაფარაყრილს,
გზაზე გამოდის, ბრბოს გაფანტავს აქლოშინებულს.
ასე მისდევდნენ დანაელნი ტროელთა ძეებს,
ხმლითა და შუბით ზურგს უპობდნენ, მაგრამ შენიშნეს
გმირი ჰექტორი, გამოკრილი მხედრობისაკენ,
- 280 ყველა შეკრთა და აღარ შერჩათ გული საგულეს.
ანდრაიმონის ძე თოანტი სპას ამხნევებდა,
ეტოლიელი მოყმე, ისრის ტყორცნით განთქმული,

ომში მედგარი, აქაველთა კრებაზეც ბრძენი,
თუმც, ვით მჭევრმეტყველს, ბევრი ჰყავდა მოყმე მოცილე.
285 იგი, სიფიცხით აგზნებული, ასე ამბობდა:

„ბიკოს! რა ნახა — სასწაული ჩემმა თვალებმა!
სიკვდილს გაექცა ჰექტორი და აგერ არ არის?
ჩვენ კი იმედი გვექონდა, რომ ეს ზვიადი მოყმე
სულს გააფრთხობდა აიანტის მძლავრი მარჯვენით.
ცხადია, ღმერთმა დაიფარა და აღადგინა

290 ჰექტორი, მრავალ დანაელის მუხლთა მსხვრეველი.
რა ღლეს დაგვაყრის, წინასწარ ვკვრეტ! ზევსის ნებით

ღვას

ლაშქრის წინ იგი, ანთებული ბრძოლის სახმილით.
ერთ რჩევას მოგვემთ და ყველანი დამყევით ნებას.

295 ლაშქარს ვუბრძანოთ, გემებისკენ აიღონ გეზი,
ჩვენ, ვინცა-ვინ ვართ მიჩნეულნი უმამაცესად,
მტერს დავხვდეთ, ვინძლო შევაჩეროთ აღმართულ შუბით.
ვფიქრობ, გმირს, რაგინდ გზნებით გული ბრძოლად
ერჩოდეს,

დანაელთ რაზმში შესაჭრელად აღარ გაუწევს!“

ასე მოუბარს ყურადღებით უსმინა ყველამ.

300 მყის დიომედე და ორივე მძლე აიანტი,
ტევკროს, მეგესი, მერიონე დადგნენ საომრად,
სხვებსაც მოუხმეს — კეთილშობილ არგიველ გმირებს,
რომ დახვედროდნენ მამაც ჰექტორს და სპას ტროელთა.

305 მათს უკან გემებს აფარებდნენ თავს აქაველნი.
მოაწყდნენ მტრები, მოუძლოდა მტკიცე ნაბიჯით
ჰექტორი, სულ წინ მოდიოდა თვით აპოლონი,
მკერდს უფარავდა სქელი ნისლი, ხოლო ხელთ ეპყრა
ღმერთს აიგიდა საშინელი, მხატვარ ჰეფესტოს

310 რომ მიუძღვნია ზევსისათვის კაცთ დასაფრთხობად.
ამ აიგიდით მოუძლოდა ლაშქარს ფოიბოს.
მჭიდრო რიგებით არგიველნი ელოდნენ მომხვდურს.
ყიჟინა დასცდა ორსავე ლაშქარს,

ლარს მოსწყდა უცბად

ბასრი ისარი, გადიქროლა რვალის ოროლმა,

315 მრავალ მშვენიერ მოყმეს ტანში ჩაეჭდოა შუბი,
მრავალიც გზაში, თეთრ სხეულთა დაუწაფებლად
ნიწაში ჩარჩა მოცახცახე, სისხლის მწყურვალი.

სანამ აპოლონს აიგიდა ხელთ ეპყრა წყნარად,
თანაბრად ფრენდა სეფქა, მებრძოლთ თანაბრად სპობდა,
320 მაგრამ როგორც კი დანაელებს შეხედა ღმერთმა

და აიგიდა აუქნია, ხაფად დასქეჭა,
სული შეეძრათ, დააიწყდათ ზნე სამამაცო.
როგორც ხართა ჯოგს, თხათა არვეს ღამის წყვდიადში
მიმოფანტავენ მტაცებელი მხეცეები უცბად,

325 როს ახლო-მახლო მათი მწყენსი არ ეგულებათ,
ისე გაფანტა აქაველნი, მოჰგვარა ძრწოლა
მათს გულებს ღმერთმა, ხოლო ჰექტორს —

ძლევა-დიდება.

მებრძოლი მებრძოლს შეერკინა სასტიკ ბრძოლაში.

სტიქიოს დასცა ჰექტორმა და არკესილაოს.

330 ერთი — რვალმოსილ ბეოტიელთ ჯარის ბელადი,
მეორე — სანდო მეგობარი მენესთევსისა.
რვალს შეეწირნენ ენეასის მეღონტ, იასოს.
მეღონტი იყო ბუში ღმრთეებრ თილევსისა,
თილიადი აიანტის ძმა უმრწემესი.

335 შორს, ფილაქეში, ყრმა მას შექდეგ გადახვეწილა,
რაც დედინაცვლის ძმა მოუკლავს — ერიოპისის.
იასოსი კი ათენელთა იყო ბელადი,

ძედ სფელოსისა წოდებული, ბუკოლიონის.

პოლიტემ დასცა ექიოსი, პულიდამანტმა

340 მოკლა მეკისტე, აგენორმა კი — კლონიოსი.
პარისმა ახლოს გარბენილი დეიოქოსი
დასცა და რვალმა გაატანა მეორე მხარეს.

ტროელნი მოკლულთ რომ ძარცვავენდნენ, შეშინებული
აქაველები იმ ღროს ირგვლივ მიმოიფანტნენ

345 და სანგარს გაღმა გზას ეძებდნენ გადასარჩენად.

ომახიანი ხმით ჰექტორი ეტყოდა ტროელთ:

„გემებს დაჰკარით, ჯერ მოეშვით სისხლიან ნადავლს.

თუკი შევნიშნავ ვისმე ლტოლვილს ხომალდებიდან,

იქვე დავამხობ!

350 უბედურის ცხედარს, ცხადია,
ცეცხლს ვერ მისცემენ ვერცა ძმები და ველარც დები,
არამედ ძალთა ხროვა დაგლეჯს ქალაქის ბჭესთან!“

355 თქვა და მათრახი დასცხო ცხენებს, უმაღლ გაფრინდა,
ტროელთ ყიყინით ამხნევებდა და ღრიანცელით
მიჰყვნენ წინამძღოლს მხედრები და სწრაფი ეტლები
საზარ გრუხუნით.

360 აპოლონმა სპათა წინაშე
სანგრის ნაპირი მყის ტერფებით ჩამოანგრიოა,
თხრილში ჩაყარა, გაუკვალა ლაშქარს სავალი
ისე ფართო და ისე ვრცელი, რასაც გაიფრენა
შუბი, თუ კაცი შორს გასტყორცნის ძალის სასინჯად.
იქით გაიჭრნენ ფალანგები, წინ — აპოლონი,
თვის აიგიდით მოკაშკაშე.

365 დასცა ბურჯები
ისე იოლად, ვით ყმაწვილი გაფანტავს ქვიშას.
როცა ზღვის პირას სათამაშოს რასმე აკეთებს,
შემდეგ ფეხსა ჰკრავს, თვის ხუხულას გაფანტავს ანცი.
ასე, ფოიბოს, არგიველთა ნაშრომ-ნაღვაწი
შენ დააქციე და სილტოლვად მიმართე სპანი!
გემებთან ახლოს შედგნენ ბოლოს, კვლავ

370 შემკიდროვდნენ
ერთურთს დაუწყეს გამხნევება, ალაპყრეს ხელნი
და მსასოვართ შელალადეს ღმერთებს ვედრება.
მეტადრე ნესტორ ლოცულობდა, აქაველთ ბურჯი,
ვარსკვლავიანი ზეცისაკენ აღეპყრო ხელი:
„მამაო ზევსო! თუ ოდესმე შენთვის არგოსში
ვისმე შეუწევას მოზვრისა და ვერძის ფერდები,
შეგვედრებია შინ მშვიდობით კვლავ დაბრუნებას,
375 არ დაივიწყო და გვაშორე დღე იავარქმნის!
ტროელთ ბოლომდე ნუ დააცილი აქაველთ ძღვევას!“

ასე ილოცა. და იქუხა ზეციდან ზევსმა,
კეთილშობილი ნელევსის ძის ლოცვა ისმინა.

ტროელთ მიიღეს კეთილ ნიშნად ეს სასწაული,
380 ბრძოლის მწყურვალნი უფრო ფიცხლად ეკვეთნენ
ლაშქარს.

უზარმაზარი ზვირთი ზომაულევი ზღვისა
გემბანზე მალლა აღზევდება, ქარიშხლის ძალით
აღბორგებული, გადაივლის ტალღაზე ტალღა...
ასე გაიჭრნენ ტროელები შმაგი ყოყინით,

385 ცხენთა ჭენებით და ხომალდებს შესარკინებლად
შუბით მიაწყუნენ.

მათ იმედი ჰქონდათ ეტლისა,
ამათ — გემების, მტკიცედ იდგნენ აქაველები,
საზღვაო ბრძოლის დროს სახმარი ძელშუბით შეხვდნენ,
ერკინებოდნენ შემოჭრილ მტერს თავგამეტებით.

390 გმირი პატროკლე, სანამ ტროელთ აქაველები
უმკლავდებოდნენ გალავანის კიდესთან ჯერაც,
ომის მოყვარე ევრიპილეს კარავში იჯდა,
გულს უქარვებდა საუბრით და მძიმე ჭრილობას
შავთა ტკივილთა დამაცხრობელ წამალს ადებდა.

395 მაგრამ როგორც კი დაინახა გალავნის აქეთ
შმაგი ტროელნი, არგოველთა განგაშიც ესმა,
შეჰყვირა გმირმა და ბარძაყზე დაიკრა ხელი,
დარდი მოედო, მწუხარე ხმით მიმართა დაჭრილს:

400 „ო, ევრიპილე, აღარ ძალმიძს შენთან დარჩენა,
რაც გინდა მთხოვო, საშინელი ბრძოლის ხმა მესმის!
ახლა მსახურმა შენ მოგხედოს, ხოლო მე წავალ
გმირ აქილევსთან, დავითანხმო ვინძლო სალაშქროდ.
ეგების, აბა რას გაიგებ, — მოუღბეს გული,
დიდი ძალა აქვს მართალ სიტყვას, მეგობრის ნუგეშს“.

405 ასე მოუბარს ფერხნი უკვე მიაქროლებდნენ.
აქაველნი კი ტროელთ ისევ ებრძოდნენ მედგრად,
მათს მცირე ლაშქარს გზას უჭრიდნენ ხომალდებისკენ,
ტროელნიც ღონეს არ ზოგავდნენ, რომ დაეშალათ
მტერთა ფალანგი, შესეოდნენ გემებს და კარვებს.

410 ლარი და ხაზი გაასწორებს ხოლმე ხომალდის
მორებს ჰკვიანი ხუროს ხელში, მხატვრობის სიბრძნე

ვინც კარგად იცის, გამოწვრთნილმა ათენას მიერ.

ასე მათ შორის ბრძოლის ხაზი გაწონასწორდა,
მებრძოლი მებრძოლს შეერკინა ხომალდთა ახლოს.

415 ჰექტორი შეხვდა გმირ აიანტს, განთქმულს დიდებით.
ერთი გემცხთვის შებმულიყვნენ, მაგრამ ამაოდ
ის მცველის მოკვლას, გემის დაწვას მიესწრაფოდა,
ეს კი — გაადებას ავსულისაგან მოგვრილი მტერის.
კალეტორ დასცა — კლიტიოსის ძე აიანტმა,

420 ხომალდთან ცეცხლის ჰომეტანს შუბი აძგერა გულში.
ძირს დაეხეთქა, გაუვარდა კვარი გზნებული.
თვალი რომ მოჰკრა თვის ახლობელს გმირმა ჰექტორმა,
შავი ხომალდის წინ განგმირულს, დასჰქექა მძლავრად,
ბრძოლად ალაგზნო ტროელთა სპა და ლიკიელნი:

425 „ტროელთა ძენო, ლიკიელნო, მძლავრნო დარდანნო!
სდექ! გეშინოდეთ ამ ჰყლეტაში უკანდახევის!
უმჯობესია დაიცავით კლიტიოსის ძე,
რომ ხომალდისკენ არ წაიღონ თორნი აქაველთ“.

ასე შესძახა და აიანტს სტყორცნა ოროლი,

430 მაგრამ აძგერა მასტორის ძეს, მამაც ლიკოფრონს,
მეაბჯრეს მისას, კითერიელს, მის სახლში მცხოვრებს
მას აქეთ, რაიც კაცი მოკლა კითერიაში.

თავის ქალაში, ყურისძირთან განგმირა იგი,
ტელამონიდის გვერდით მდგომი.

გემის კიჩოდან

435 გადმოყირავდა, ყრმას დაემსხვრა სულის სიმტკიცე.
შეერთა, უმრწემეს ძმას შესძახა მძლე აიანტმა:

„ტევკროს! დავკარგეთ, საყვარელო, წრფელი ძმობილი!
რაც კითერადან მასტორიდი მოვიდა ჩვენთან,
ვით ძვირფას მშობლებს, ისე სცემდა მას ყველა პატივს.

440 ჰექტორმა დასცა! აბა, სად გაქვს ბასრი ისარი,
და საზარელი მშვილდი, ძღვენი აპოლონისა?“

თქვა და გაუგო ძმამაც, მყისვე მის გვერდით გაჩნდა,
მძლავრ ხელში ჰქონდა მშვილდი, ბეჭხე — მკიდრო

კაპარკი,

სულ გაეჰვედა ფრთოსან ისრით, ტროელთ მუსრავდა:
445 პეისენორის ძე კლეიტოს განგმირა მოყმემ —
პულიდამანტის მეგობარი, პანთოიდისა.

მეეტლედ ჰყავდა, დიღი ჯათა ადგა, შზაგ ცხენებს
იქით მართავდა. სადაც მჰიდროდ იდგნენ ფალანგნი,
ილწვოდა ტროელთ საამებლად, მაგრამ სიკვდილმა
450 როცა უწია, აღარავის შეეძლო შველა.
უკან, კისერში მოხვდა სეფქა გლოვის მომგვრელი.
ძირს დაენარცხა და ცხენები უქუმიაწყდნენ,
გაიხრიგინა ცარიელმა ეტლმა.

მაშინვე

პულიდამანტმა ეს შენიშნა, ცხენებს მივარდა,
455 პროტიანონის ძეს მიჰგვარა, გმირ ასტინოეს,
რომ მას სადმე შორს არ გაეშვა, თვალი სქეროდა.
თვით კი საომრად დაუბრუნდა გეწინავეებს.
ტევკროსმა სეფქა კვლავ გაშართა, აბ:როსან ჰექტორს
აიძულებდა კიდეც ბრძოლის ველი დაეგდო,

460 ამოართმევდა უძლეველ გმირს სულ უეჭველად,
მაგრამ ვერ შეძლო აეცდინა ზევსის განგება —
გმირი დაიცვა და წარსტაცა ღიდება ტევკროსს.
მშვილდი გაშართა მშვენიერი, მოხიდა ლარი,
მაგრამ გაუწყდა და ისარი გაექცა გვერდზე

465 წვერწამახული.

გაუვარდა ხელიდან მშვილდი.

შეძრწუნდა ტევკროს და შესძახა ძძას შემფოთებით:
„ვაი ჩემს თავსა! დაიმონი საბრძოლო გეგმას
მიშლის, მშვილდიც კი გამომტაცა ახლა ხელიდან!
ლარიც გაწყვიტა, მე ხომ დიდი ხანი არაა,

470 ისრის სატყორცნად მორკალულ მშვილდს როვარგე იგი!“

ტევკროსს მიუგო აიანტმა ტელამონიდმა:

„თავი ანებე, საყვარელო, მშვილდსაც და ისარს,
რაკი დანაელთ მტრობს ღეთაება. ხელიდან გაცლის.
შუბი შემართე და მოიღლე ბეჭებზე ფარი,

475 შეები ტროელთ, წააქეზე ლაშქარიც ბრძოლად.

ეგრე იოლად ნუ შერჩება მტერს, ძლევით ამაყს,
ჩვენი გემები. კვლავ შევუდგეთ ზნეს სამამაცოს!“

ასე თქვა. მშვილდი კვლავ კარავში დატოვა გმირმა,
მხარზე მოიგდო ხორკლიანი, ოთხფენოვანი
480 ფარი. ჩაჩქანი დაიხურა, ზედ ცხენის ძლით
დამშვენებული.

ერხეოდა მრისხანედ ზუჩი.
ბასრი, სპილენძის წვერიანი შუბი ხელთ იპყრა.
ისევ დაბრუნდა და აიანტს დაუდგა გვერდით.

ნახა თუ არა დამსხვრეული მშვილდი ტევეკროსის,
485 ჰექტორმა ისევ წააქეზა ტროელთ მხედრობა:
„ტროელნო და თქვენც ლიკიელნო, მძლენო დარდანნო!
იყავით კაცნი, გაიხსენეთ ზნე სამამაცო
ამოფულრული გემების წინ! მე თვითონ ვნახე
სვიან მეომრის მშვილდ-ისარი ზევსმა დალეწა.

490 მუდამ ცხადია კაცისათვის ზევსის განგება,
ჩანს ხოლმე, როდის აღამალლებს მოკვდავს დიდებით,
როდის დაამცრობს, არ დაინდობს, არ შეეწევა.
ახლაც აკნინებს არგიველებს ჩვენს სადიდებლად.
მთელი მხედრობით შევუტოთ გემებს!

თუ ვინმე
495 ხმლითა და ისრით მოიწყლა და სიკვდილს ეწია,
მოკვდეს!

სახელი ხომ დარჩება, რაკი სამშობლოს
აქ შეეწირა!

მაგრამ იხსნის სახლს და დედა-წულს,
შთამომავლობას გადაარჩენს, თუ აქაველნი
შავი გემებით თვის სამშობლოს მიაშურებენ!“

500 ასე ამბობდა, ყველას მისცა ძალაც, სიმხნევეც.
იქით აიანტ ღალადებდა რაზმის წინაშე:
„გრცხვენოდეთ, ძმანო! სჯობს გავბედოთ: ან მტერს
შევაკვდეთ,
ან იავარქმნა ავაცილოთ ფულურო გემებს!
იცით, თუ გემებს ხელთ ჩაიგდებს გმირი ჰექტორი,

- 505 ფეხით მოუწევს ყოველ ჩვენგანს ტროიდან წასვლა!
გესმით,, ყოყინით რომ ალაგზნებს ტროელთ მხედრობას
და გემის დაწვას მიესწრაფვის გამძვინვარებით?
ცხადია, როკვად როდი უხმობს სპას, ბრძოლა ნებავეს!
არ დაგვრჩენია ჩვენც სხვა აზრი, სხვა საფიქრალი,
- 501 ვიდრე შევებათ მტერს ხელი-ხელ გადახლართულნი!
სჯობს მყის სიცოცხლე მოვიხვეჭოთ, ანუ სიკვდილი,
ვიდრე მარადლე სასტიკ ბრძოლით ვიტანჯებოდეთ,
და ხელჩაქნეულ ლაშქარს ვახლდეთ ნავ-სომალდებთან!“

ასე ამბობდა. ყველას მისცა ძალაც, სიმხნევეც.

- 515 პერიმედევსის ძე სქედოს დასცა ჰექტორმა,
ფოკეელთ მეფე, აიანტმა — ლაოდამანტი,
ქვეით მებრძოლთა წინამძღოლი, ანტენორის ძე.
პულიდამანტმა კილეინელ ოტოსს წარსტაცა
თორნი, მეგობარს ფილეიდის, ეპეელთ მეფეს.
- 520 მყის სტყორცნა გვერდით ჩამოქროლილ მეგესს ოროლი
პულიდამანტმა, ააცილა. როდი ინება
აპოლონ ღმერთმა მოყმის მოკვლა მებრძოლთა შორის.
კროისმოსს მოხვდა მკერდში შუბი წვერწამახული.
ზათქით დაეცა და მძლეველი გმირს ხსნიდა ბექთარს.
- 525 გმირ პულიდამანტს ლამპეტიდი დოლოპსი შეხვდა.
ლანპოსმა შობა იგი, შეიღმა ლაომედონტრეა,
ბრძენმა, საომარ საქმეებით სახელგანთქველმა.
შეხვდა ფილეიდს, ჯიქურ მოსულს, ფარის შუა წრე
შუბით გაუპო, მაგრამ მოყმე დაიცვა თორნმა,
- 530 მკერდზე აკრულმა, ფილეესმა რომ მისცა ეფირეს
ციხე-ქალაქში, სელეენტის პირას, თემისთავ
ევფეტეს მიერ მეგობრულად ნასახსოვრები.
მისცა, სისხლისმღვრელ ომში მტრისგან რომ ეხსნა თავი.
მართლაც უშველა, იხსნა მისი ძე სიკვდილისგან.
- 535 მეგესმა ჩაჩქანს, იქ, სად კეფას უფარავს მებრძოლს
მრგვალი სპილენძი, გამეტებით შუბი აძგერა,
ბიბილო მოსჭრა ფაფრიანი, მტვერში გაგორდა
და გაეშალა მოკიაფე ძოწის ფოჩები.
და როცა იგი მტერს ებრძოდა ძლევის მოსურნე,

- 540 მძლავრი ქომაგი გამოუჩნდა — მენელაოსი.
 შუბშემართულმა შეუმჩნევლად ზურგიდან მხარში
 ოროლი დასცა, გაანგრია მკერდი სპილენძმა
 და წინ გაიჭრა, დაენარცხა პირქვე მებრძოლი.
 ორივე მივარდა, რომ სპილენძის თორნი აეროვათ,
- 545 მაგრამ ჰექტორმა მყის შესაძხა მოყმის ახლობელთ,
 არცხვენდა გმირი, მეტადრე ძეს ჰიკეტაონის,
 გმირ მელანიპოსს, პერკოტეში ჯოგს რომ მწყემსავდა,
 სანამ ილიონს აქაველნი შეესეოდნენ.
 მაგრამ როგორც კი გემებს მოჰყვენენ მრავალხოფიანს,
- 550 ტროას მოიჭრა ტროელთ რაზმში გამორჩეული,
 ძესავით იგი შეუყვარდა მეფე პრიამოსს.
 ჰექტორმა უთხრა სიტყვა მოყმეს, უკმაყოფილომ:
 „ო, მელანიპოს! აქ დავტოვოთ? ნუთუ სრულიად
 არ გტკივა გული განგმირული მოყვასის გამო?
- 555 იქნებ ვერ ხედავ, ვით იბრძვიან მისი აბჯრისთვის?
 მომყევ, არ არის დრო არგიველთ შორით ვებრძოლოთ.
 ჩვენ უნდა ვძლიოთ, სანამ მტერმა ძირფესვიანად
 არ დააქცია ილიონი და თვით არ მოგვსპო!“

თქვა და თან გაჰყვა მყისვე მოყმე ღმერთის სადარი.

- 560 ხოლო არგიველთ აღაგზნებდა ტელამონიდი:
 „გამაგრდით, ძმანო! და აღივსეთ სირცხვილით გული!
 ყველას საგმირო სარბიელზე რცხვენოდეს მოძმის.
 ვინც სირცხვილს იგრძნობს, უფრო მეტად ის გადარჩება.
 ლტოლვილს არცა ხსნა მიეგება, არცა სახელი!“

- 565 ასე თქვა, მაგრამ თვით მზად იყო სპა დასაცავად.
 გულში ჩაიდნეს გმირის სიტყვა, რვალის კედელი
 გემს შემოავლეს.

მაგრამ ზევსი მტერს აღაგზნებდა.

ყრმა ანტილოქოსს მოუწოდა მენელაოსმა:

„არავინ არის, გმირო, ჰაბუჯ აქაველთ შორის

- 570 არც შენზე სწრაფი, არც ძლიერი შეტაკებისას.

ეჰ, წინ გაჭრილი ამ ტროელს რომ შერკინებოდი!“

უკუდგა, ოდეს წააქეზა ანტილოქოსი.
ყრმა გამოეყო მეწინავეთ.

მიმოიხედა,

სტყორცნა ოროლი, ზარი დასცა ტროელთ, რა ნახეს
575 ძალა მოყმისა.

არც ამაოდ გაიჭრა შუბი:

ჰიკეტონის ძე, მამაცი მელანიპოსი,
მკერდგანგმირული, ამაყად რომ ჩაება ომში,
მიწას დაასკდა, აჟღერიალდა აბჯარ-ბექთარი.

ანტილოქოსი მას მიეჭრა, ვით ძალღი — მოწყულულ
580 ირემს, რომელსაც მონადირემ ბუჩქიდან მხლტომელს
ისარი დასცა, მოუცარა მარდი ფეხები.
შენც, მელანიპოს, ასე შეგხვდა ანტილოქოსი,
აბჯრის მოსურნე.

მაგრამ ჰექტორს ვერ დაემალა.

მისკენ გაიჭრა, გაარღვია მებრძოლთ კედელი.

585 ანტილოქოსი ეგრე ფიცხიც, ვერ გაუჩერდა,
ნადირის მსგავსად, სისაძაგლეს რომ სჩადის ხოლმე,
ქოფაკს რომ დაფლეთს, ან საქონელს ყელს გამოლაღრავს,
ტყისაკენ გარბის, სანამ მოვა მთელი სოფელი.
ასე გაიქცა ნესტორიდიც.

დასცხეს ყიჟინა

590 და დააყარეს ტროელებმა ისხარი ისრის.
მტერს მიუბრუნდა, როს მეგობართ დასს მიაღწია.

ამ დროს ტროელნი, ვით ლომები. სისხლის მთქვლეფენნი,
გემებს მიეჭრნენ, აღასრულეს სურვილი ზევსის:
ის მიწყვივ მათს სულს ამაღლებდა,

ხოლო არგიველთ

595 ძალას ართმევდა, ტროელ სპათა წამქეზებელი.
გულით სწყუროდა ჰექტორისთვის დიდება ძღვევის,
რომ მოსდებოდა ნავ-ხომალდებს შთანმთქმელი ალი,
თეტისის აჯა სრულქმნილიყო საბედისწერო.
ერთი რამ სურდა ზევსს შორსმპკერეტელს, ამას ელოდა,
600 თვალთ ენახა პირველ გემის აბრიალება.
და იმ ჟამიდან გემებიდან გარღუევალ ლტოლვას
უსჯიდა ტროელთ, დანაელებს — დიდებას ძღვევის.

ასე ინება.

წააქეზა გმირი ჰექტორი,
თვითონაც გულით მოწადინე, ისე მძვინვარე,
605 როგორც არესი შუბოსანი და უარესი —
ცეცხლი, მთის ფერდზე მოჩახჩახე უსიერ ტევრში.

ტუჩს ქაფი აღგა, მოლუშული წარბების ქვემოთ
ცეცხლს აკვესებდნენ თვალნი მისნი,
მრისხანედ ზუჩი

შეერხეოდა გრიგალივით მოვარდნილ ჰექტორს.
610 გმირის ქომაგი თვითონ ზევსი იყო ზეცაში
და მხოლოდ იგი აღაზევა მოკვდავთა შორის,
რამეთუ დიდი დღე პრიამიდს აღარ ეწერა.
უახლოებდა მას უკვე ჟამს საბედისწეროს
პელიდის ხელით თვით ათენა.

ჰექტორს სწყუროდა,
615 რომ გაეხლიჩა დანაელთა მხედრობის მწკრივი
და იქ იწევდა, სადაც მჭიდროდ სპა შეკრულიყო.
ვერ გაარღვია ვერსად რიგი დიდად მოსურნემ.
როგორც გოდოლი, იდგა ჯარი.

ციცაბო ტინი
ქაფიან ზღვასთან აღმართული, ამაყად ხვდება
620 სტვენით მოვარდნილ ქარაშოტის შმაგ შემოტევას,
თავხედ ტალღებსაც. ტყლაშუნით რომ შეასკდებიან.
ასე ხვდებოდნენ დანაელნიც ტროელთ უშიშრად.
ის კი, ვით ცეცხლი მოელვარე, მიეჭრა რაზმებს
ისე მრისხანედ, როგორც ხომალდს გაქცეულს ტალღა,
625 ქარმა რომ ღრუბელს ჩამოწველა.

ქანაობს გემი,
ქაფით ივსება.

მოგუგუნე გრიგალის სუნთქვა
წეწავს აფქიოს, ფერდაკარგულ მენავეთ გული
შიშს წაუღია.

ცურვით სიკვდილს ძლივსლა გაასწრეს.
ასე უთრთოლათ გული მკერდში მამაც აქაველთ.
630 ის კი, ვით ლომი, თავს დაესხა.

რქამრუდე ხარებს,

ნამიან ველზე ათასობით რომ ბალახობენ,
ერჩის ნადირი.

ნორჩი მწყემსი თუმც ჯოგთან არის,
არ იცის ბრძოლა, რქამორკალულ საქონლის დაცვა,
გამოუცდელი ყრმა მოუვლის ჯოგს ხან წინიდან,
635 ხან უკან გარბის. მტაცებელი შუაში შედის,
ყელს გამოლადრავს ხარს და ჯოგი გაიფანტება.
ასე გაექცნენ აქაველნი ზევსსა და ჰექტორს.
გმირმა განგმირა პერიფეტე, ბრგე მიკენელი,
ძე კოპრევსისა, ვინც ევრისთევსს ჰყავდა მსახურად
640 და ჰერაკლესთან სწირად მაცნედ დაუდიოდა.
ამ უხეირო მამამ შობა ძე ხერხიანი —
მარდი მსრბოლელი და ბრძოლაშიც გამობრძმედილი.
ჰკუთ ბრწყინავდა იგი მუდამ მიკენელთ შორის.
დიდი სახელი მოუპოვა მებრძოლმა ჰექტორს:

645 როცა გარბოდა, ფარს წაედო ანაზღვეულად,
ხელთ რომ ეჭირა, კოჭებამდე იცავდა მოყმეს.
პირქვე დაემხო, აგრუხუნდა საფეთქლის ირგვლივ
რვალის ჩაჩქანი დაცემისგან.

რომ დაინახა
გმირმა ჰექტორმა, მიირბინა, წაადგა თავზე,
650 მკერდში აძგერა შუბი და გმირს მოძმეთა თვალწინ
სული აართვა.

მათ ვერ შეძლეს მიშველებოდნენ,
შეძრწუნებულნი იყვნენ გმირი ჰექტორის შიშით.
იქვე ხომალდებს მიეფარნენ, ყველაზე ადრე
რომ ამოეღოთ ზღვიდან.

მაგრამ მისდია გმირმა.

655 კვლავ დაიხია არგიველთა სპამ სხვა გემისკენ,
ისე წავიდა მათი საქმე.

დადგნენ კარვებთან
მჭიდროდ, დაძვრაც კი არ შეეძლოთ, ერთად შეკრიბა
ისინი შიშმა და სირცხვილმა.

მიწყვიტ ერთმანეთს
შეძახილებით ამხნევებდნენ, მეტადრე — ნესტორ,
660 თვითეულ მოყმეს ახლობელთა მზეს აფიცებდა:

„იყავით კაცნი, არგიველნო, იგრძნეთ სირცხვილი
ყველას წინაშე!

გაიხსენეთ, გულით ვინც გიყვართ,
ცოლი და ბავშვი, დედა-ძენი თუ შენაძენი,
მშობლები, ყველა, ვინც მკვდარი გყავთ, ანუ ცოცხალი!
665 მათი სახელით — არ მყოფთაცა, გემუდარებით,
მაგრად დექ, სპაო! ლტოლვას, სპაო, ნულარ ეცდები!“

ასე ამბობდა და აუნთო სიმტკიცე ყოველს.
მათ წინ გაფანტა თვით ათენამ შავი ღრუბელი
ციტ მოვლენილი, შუქი გაკრთა. სივრცე გაეხსნათ
670 ხომალდთა მხარეს, ბრძოლის ველიც გამოჩნდა მაშინ.
იხილეს ჰექტორ საშინელი, და ყველა რაზმი,
რაც კი მის უკან უქმად იდგა, ისიც იხილეს —
რამდენი გმირი ხომალდებთან იბრძოდა მედგრად.

დიად აიანტს გული უკვე არ უდგებოდა
675 ვიწრო ადგილას შეჯგუფებულ აქაველთ რაზმთან.
გემბანზე ახტა და ღონივრად მიალაგებდა,
თან იღერებდა უზარმაზარ ძელშუბს გემისა.
ოცდაორი წყრთა სიგრძე ჰქონდა იმ ძელს გარანდულს.
როს მოჯირითე, გამოწვრთნილი ცხენოსნობაში,
680 რემაში რაშებს ამოარჩევს — ოთხს, ულამაზესს,
შეკაზმავს, გასწევს, გააქნებს ქალაქისაკენ
დატკეპნილი გზით, ბრბო ყმაწვილთა, დამფრთხალ

დიაკთა

მისჩერებია განცვიფრებით.

მოყმე კი მარჯვედ

ჩქარი რბოლის ღროს გადახტება ცხენიდან ცხენზე.
685 ასე გემიდან გემზე გმირი გადადიოდა
ფართო ნახტომით. ცას აღწევდა მისი ყიყინი.
ტელამონიდი აქეზებდა მიწყივ დანაელთ
გემთ დასაცავად, მაგრამ ამ ღროს გმირი ჰექტორა
როდი რჩებოდა უქმად ტროელ მებრძოლთა შორის.
690 შმაგი არწივი დააცხრება ხოლმე ფრთოსანთა
გადამფრენ გუნდებს, მდინარესთან რომ ისვენებენ,
ღერღეტი, წერო თუ გედები გრძელკისრიანნი.

ასე დააცხრა ჰექტორ გემებს შავკვინტიანებს,
მას აქეზებდა, აშმაგებდა დიადი ზევსი.

695 ხოლო წინაძღოლს მოჰყვებოდა ტროელთ ლაშქარი.

კვლავ ხომალდებთან საშინელი ბრძოლა განახლდა,
გეგონებოდა, სპა იბრძვისო დასვენებული,
ისე მგზნებარედ შეერკინა მებრძოლი მებრძოლს.
ასეთი იყო მეომართა სულისკვეთება:

700 სასოწარკვეთილ აქაველებს ომში დაღუპვა
გადაეწყვიტათ, ხოლო ტროელთ, სიმხნით აღსავსეთ,
იმედი ჰქონდათ, გემებს დაეწვავთ, მტრებსაც მოვსპობთო.
ასეთი აზრით შეერკინა მებრძოლი მებრძოლს.

ჰექტორმა გემის კიჩოს სტაცა მძლავრი მარჯვენა.

705 ამ მჩატე გემმა, მშვენიერმა, პროტესილაოს
ჩამოიყვანა, მამულში კი ვერ დააბრუნა.
ხომალდის ირგვლივ ტროელნი და აქაველები
ხელჩართულ ომში ჩაბმულიყვნენ, აღარ აკრთობდათ
შორით ნასროლი ისარი და შუბი ელვარე:

710 ერთურთს პირისპირ შეხვედროდნენ სულანთებულნი,
კვეთდნენ მახვილით ორლესულით, ხმლითა და ხანჭლით,
ორივე მხრიდან წამახული სპილენძის შუბით,
შავვადიანი სატევრები ბევრი ეყარა,
მებრძოლთ ხელიდან გაფრენილი, მხრიდან ახსნილი,

715 და შავი სისხლით მორწყულიყო მიწა ფხვიერი.
ჰექტორი გემს ხელს არ უშვებდა, არ სცილდებოდა,
კიჩოს კიდეზე ჩაფრენოდა, ეტყოდა ტროელთ:
„მომეციტ კვარი! შემპიდროვდით, შეებით მეღგრაღ!
გვაჩუქა ზევსმა დღე, სიკეთის მომნიჭებელი.

720 გვარგუნა გემნი, არა ღმერთთა ნებით მოსულნი,
ამდენი ჭირი რომ მოგვაგეს ტროელ მოხუცთა
სიფრთხილის გამო. მე მინდოდა გემებთან ბრძოლა,
ხოლო ისინი გვაკავებდნენ ციხე-ქალაქში.

მაგრამ თუ მაშინ დაგვიბნელა კრონიდმა ჰქუა,
725 ახლა თვით გვიხმობს და მიგვიძღვის ღრუბელთმარეკი!“

თქვა და არგიველთ შეუტიეს უფრო მძვინვარედ.
ველარ გაუძლო აიანტმა — დასცხეს ისრები.
მტერს გაეცალა გარდუვალი სიკვდილის შიშით,
გემის კიჩოდან მიაღწია მერხს შვიდტერფიანს.

730 ირგვლივ მალი-მალ თვალს ავლებდა ტროელთ და ლახვარს

ჩასცხებდა ხოლმე, ცეცხლის აღმგზნებთ გემიდან ჰყრიდა,
თან განუწყვეტლივ ამხნევებდა დანაელთ ლაშქარს:
„ო, მეგობრებო, დანაელნო, არესის სპანო,
იყავით კაცნი, გაიხსენეთ ზნე სამამაცო!

735 იქნება ფიქრობთ, რომ ზურგს უკან ვინმე გეყავს შემწე?
ან გალავანი გეგულებათ, ჩვენ რომ დაგვიცავს?
არ არის ახლოს ციხე, კოშკით გამაგრებული,
რომ შევეფაროთ და მაშველთა იმედი გვქონდეს.

740 ტროელთა ველზე აბჯარასხმულ ამ ჭარს ზედ ზღვასთან
მივუსრესივართ, შორს სამშობლოს სანახებიდან!
ხსნა ჩვენს ხელთაა, ხსნა არ ძალუძს სულს დაკნინებულს!“

ასე თქვა. შუბით აწყდებოდა გრძელჩრდილიანით
ტროელთ, თუ ვინმე გემის კიჩოს მივარდებოდა
ხელში ჩირაღდნით, ჰექტორისგან წაქეზებული.

745 ხვდებოდა ყოველ მათგანს შუბით მძლე აიანტი,
ასე განგმირა გემების წინ თორმეტი მოყმე.

ქება მითიქვისმეცა

პატროკლეა

ასე იბრძოდნენ ბაგირმტიციე ხომალდებისთვის,
როცა პატროკლე ლაშქართა მწყემს პელიდს ეწვია. .
მხურვალე ცრემლი დასდიოდა, როგორც მთის ნაკადს
კლდის ნაპრალიდან მოსჩქეფს ხოლმე შავი ჩქერები.

5 შეხედა მოძმეს, შეებრაღა ფეხმარდ აქილევსს
და მოფერებით მიაგება ფრთიანი სიტყვა:

„რაო, პატროკლე, რად ცრემლოვ, ვით ნორჩი გოგო,

დედას რომ მისდევს, ატატებას ჰვედრის ტირილით,
ებლაუჭება კაბას, წამსვლელს კალთაზე ეკვრის
10 და შესცივინებს ცრემლიანი — ამიყვანეო.
იმასა ჰგავხარ შენც, პატროკლევ, ცრემლებს რომ

აფრქვევ.

იქნებ რაიმე მირმიდონელთ გინდა გვაცნობო?
იქნებ მარტო შენ იცი რამე შინაურებზე?
კარგად არისო აქტორის ძე მენეტიოსი,
15 ამბობენ, პელევს ეაკიდიც მხნედ ბრძანდებაო.
მართლაც საზარი იქნებოდა მათი სიკვდილი!
იქნებ არგიველთ ბელზე შფოთავ, ეგრე უწყალოდ
უსამართლონი გემებთან რომ ისრისებთან?
გულში ხვაშიაღს ნუ ჩაიკლავ, მითხარ, ვიცოდე“.

20 ამოიოხრა და მიუგო გმირმა პატროკლემ:
„აქაველთ შორის უქველესო გმირი აქილევს!
ცრემლი შემინდე!

დიდი ურვა ერგო აქაველთ,
ყველას, ვისაც კი უმამაცეს მეომრად თვლიდნენ,
უწყალოდ დაჭრილს სული ხდება შავ ხომალდებთან!
25 ისრით დაკოდეს დიომედე, ხელჩართულ ომში
ოროლით დაჭრეს ოდისევსი, აგამემნონი,
ევრიპილოსიც ბარძაყშია შუბით მოწყლული,
მათ აქიმები თავს მზრუნველად დასტრიალებენ.
შენ კი, აქილევს, მხოლოდ შენ ერთს არ გეწვის გული!
30 ო, შენებრს რისხვას დაუცხრომელს არ მოვსწრებივარ!
ვის შეუძლია ჩვენი მოდგმა გადაარჩინოს,
თუკი არგიველთ სამარცხვინო ხვედრს არ აშორებ?
გულუკეთურო! არ შეგფერის მამად პელევსი,
დედად თეტისი არ გერგება!

შავმა კლდეებმა

35 და ზღვამ გშვეს გულქვად, როგორებიც თვითონ არიან!
თუ ღვთაებრივი სასწაული რამ გულს გიშფოთებს,
თუ ზევსის რამე საიდუმლო გიამბო დედამ,
მე ჩამრთე ომში, მე მომანდე მირმიდონელნი!
დანაელთ ბედის მანათობლად ეგების ვერგო!

- 40 მხრებზე ავისხამ შენს საჭურველს შეუდარებელს:
 ვინძლო ბრძოლის დროს აქილევსად მიგულვოს მტერმა,
 აქაველ მოყმეთ ღონემიხდილთ შვება მიეცეთ.
 იშვიათია დასვენების წუთი ომის დროს.
 დასვენებული ჩვენი რაზმი ბრძოლით დამაშვრალ
- 45 ტროელთ მხედრობას გემებიდან გაპყრის იოლად“.

ასე სთხოვდა და ვერ განსჭვრიტა, რასაცა სთხოვდა:
 სიკვდილსა სთხოვდა უბედური და არადყოფას!
 ამოიოხრა და მიუგო გმირმა ფეხმარდმა:

- „აბა, რას ამბობ, ო, პატროკლევე, კეთილშობილო!
 50 მისნობა როგორ შემაშინებს?“

ღვთაებრივ დედას
 ზევსის სურვილზე არაფერი ჩემთვის არ უთქვამს.
 მაგრამ გულს მსჭვალავს, სულს მიშფოთებს სასტიკი
 რისხვა,

როს ვხედავ — კაცი თანასწორის გაძარცვას ცდილობს
 მხოლოდ იმიტომ, რომ უფლებით აღემატება!

- 55 და არც დაცხრება რისხვა ჩემი:

ბრძოლაგადახდილს

აქაველებმა შემირჩიეს ჯილდოდ ასული:
 შუბით ვირგუნე, როს დავთრგუნე მტკიცე ქალაქი
 და თვითნებურად გამომტაცა ხელიდან ქალი
 აგამემნონმა, თითქოს ვინმე ბოგანო ვიყო!

- 60 მაგრამ რაც მოხდა, რას გავაწყობ!

არც ეგ ივარგებს,

რომ რისხვას ზღვარი არ დავუდო.

ის კი ცხადია,

არ დავწყნარდები, სანამ აქვე ჩემს ხომალდებთან
 და ჩვენს ბანაკთან არ ატყდება ომის გნიასი...
 კარგი, პატროკლევე, შეიმოსე ჩემი ბექთარით

- 65 და წინ გაუძეხ მიწმიდონელთ, ომს მოწყურებულთ.

ვხედავ, გარშემო ტროელ სპათა შავი ღრუბელი
 გემს მოსჯარვია, ზღვის კიდესთან მიჭეჭყილები
 ძლივს იკიდებენ აქაველნი ფეხს ქვიშროვანზე.
 თავს დასტყდომია ტროა აგრე გალაღებული:

70 ველარ ზედავენ ბრძოლის ველზე პელიდის ჩაჩქნა
თვალისშოშკრელს და მოელეარეს!

მათს გვამებს მიწა

ვერ დაიტევდა, აგამენზონს რომ არ ეძალა.

ბანაკს და გემებს მოსდგომია მტერი თანამად,
ალარ მძვინვარებს დიომედეს მძლე მარჯვენაში

75 მძლავრი ბოძალი, რომ აშოროს ლაშქარს მოძალე.

აგამენზონის საძულველი ბაგე-პირიდან

ხმა აღარ ისმის, კაცთამელეტი ჰექტორი ოღენ

გრგვინავს ტროელთა შორის მყოფი, მძლავრი ყიყინით
ველს აზანზარებს და სასტიკად მუსრავს აქაველთ!

80 კმარა! პატროკლევ, ააშორე ხომალდებს ცეცხლი,

მტკიცედ დაჰკარი, რომ გემები არ გადაბუგონ,

გზა არ მოგვიჭრან სანუევარი — შინ წასასვლელი!

ოღონდ მისმინე და ეს რჩევა გულს ჩაიბეჭდე:

სახელ-დიდება მომიხვეჭე დანაელთ შორის,

85 რომ მშვენიერი ქალიშვილი უკან მომგვარონ,

თან მოსაკითხი მომიტანონ აურაცხელი,

გემს ააცდინე განსაცდელი და დამიბრუნდი!

მეხისმტყორცნელმა თუნდ დიდებით გაგამამაცოს,

მაინც უჩემოდ ნუ გაბედავ ბრძოლის მოყვარე

90 მტრის იავარქმნას, ნუ შებღალავ ამით ჩემს სახელს.

გულანთებულმა სიმამაცით სძლიე ტროელნი,

მაგრამ სპას ნულარ წარუძღვები ილიონისკენ,

რომ ოლიმპოდან მათდა შემწედ უკვდავი ვინმე

არ მოგვევლინოს: აპოლონს ხომ უყვარს ტროელნი!

95 როგორც კი გემებს გადაარჩენ, მყისვე დაბრუნდი,

აქაველები მოსასპობად იქვე დატოვე!

მამაო ზევსო! ო, ათენავ! დიდო აპოლონ!

ნეტავ ტროელთა, არგიველთა მხედრობამ სრულად

მოსპონ ერთურთი! მხოლოდ ჩვენლა გავეჭკეთ სიკვდილს,

100 მხოლოდ ჩვენ დავცეთ ილიონის ამაყი ციხე!“

ამ საუბარში იყვნენ, როცა ტროელთ თავდასხმას

ველარ გაუძლო აიანტმა — ისხარს ისართა.

ზევისის ძალამ და სწრაფმოისარ მტრის სიმამაცემ

დათრგუნა გმირი, მოელვარე რვალის მუზარადს
105 წკრიალ-წკრიალი გასდიოდა, სპილენძის წიბოს
ხვდებოდა რვალი, და აიანტს მხარიც დააწყდა
ფარის სიძიმით, აქამდე რომ ეჭირა მტკიცედ.
მაინც ვერ დაძრეს, თუმც ოროლებს თელა აღარ ჰქონდა.
ხშირ-ხშირად, მიძიედ, ღრმად სუნთქავდა, ოფლი
ღვარ-ღვარად

110 სდიოდა, მაგრამ არ შეეძლო ერთი წამითაც
მას შეყოვნება — საფრთხეს ისევ საფრთხე მოსდევდა.

გვამცნეთ, მუხებო, ვის ოლიმპო გეგულვით სახლად,
როგორ მოედო აქაველთ გემს ცეცხლი მსახერალი?

მიეჭრა ჰექტორ და იფნის შუბს აიანტისას
115 სწვდა ორღესულით და დიბლიგი შუა გაუპო.
ამაოდ სცადა აიანტმა ტელამონის ძემ
მოღერებული შუბის ტყორცნა, ბასრი ბუნიცი
მოსწყდა შუბისტარს, დაენარცხა მიწას წკრიალით.
მყის გულის თრთოლვით აიანტი მიხვდა, რომ ღმერთებს
120 ასე სწადიათ, რომ მის ყოველ მოწადინებას
მალღით მგრგვინავი ზევსი ჩაშლის ტროელთ შემხიდე.
რალა გზა ჰქონდა, უკუმიდგა.

მყისვე ტკაცუნით

ცეცხლი მოედო გემს, ზედ აღმა გადაირბინა.
ამ დროს ფეხმარდმა აქილევსმა რისხვით ბარძაყზე
125 ხელი დაიკრა და შესძახა მამაც პატროკლეს:
„გმირო პატროკლევ! ო, იჩქარე, ჩემო მხედარო!
ვხედავ, გიზგიზებს უკვე გემზე ცეცხლი შთანმთქმელი.
თუ ხომალდები ხელთ ჩაიგდეს, გზაც მოგვეჭრება!
თორნ-იარალით შეიმოსე, მე სპას მოუუხმობ!“
130 ასე ბრძანა და ყრმამ ელვარე რვალს ხელი ჰკიდა.
თავდაპირველად მოიწვართა საბარკულები,
ვერცხლის კავებით იკვრებოდა ზედ მჭიდროდ იკა.
განიერ მკერდზე სამკერდული ეაკიდისა
სწრაფად აისხა, ვარსკვლავებით გაბრწყინებული.
135 მხარზე ღვედი და ხმალი ვერცხლისსამსჭვალაიანი

აისხა რვალისპირიანი, ფარს დასწვდა ბაკმულს,
თავზე მოირგო მოელვარე ზუჩი, მრისხანედ
უთრთოღა ჭილა, ცხენის ფაფრით დამშვენებული.
ხელში რაც მოხვდა, იმ შუბს მისწვდა, როდი ინდომა
140 ბოძალი გმირი ეაკიდის: მძიმე რამ იყო
მტკიცე იფანი.

ვერაკაცი აქაველთაგან
ძვრას ვერ უზამდა.

აქილევსი კი შუბს მსუბუქად
ხმარობდა ხოლმე!

თურმე ქირონს მამამისისთვის
მტრის სავალალოდ პელიონზე მოუკვეთია.

145 ცხენტა შეკაზმვა ავტომედონტს სთხოვა პატროკლემ,
მძლე აქილევსის შემდეგ ყველა გმირზე ღირსეულს,
ყველაზე ერთგულს და ბრძოლაში ყველაზე ამტანს.
ავტომედონტმა მიაყენა ხელნასთან ცხენნი —
ქსანთოს, ბალიოს — ფრთაშესხმულნი, ქართუმალესნი.

150 ცხენნი პოდარგემ შვა, ჰარპიამ, ოდეს ზეფიროსს
ეწვია ველზე ოკეანის შმაგ ნაკადებთან.
სწრაფი პედასიცი მოიყვანა.

აქილევსს ერგო
ეს ცხენი, როცა ეტიონის ციხე დალაშქრა.
ტოლს არ უღებდა უკვდავ რაშებს მოკვდავი ცხენი.

155 იმ დროს პელიდი მირმიდონელთ კარვებს ეწვია,
ბრძოლად განაწყო, როგორც მგლები ხორცისმჭამელნი.
აულაგმავი თავხედობა მგლებს გულში უღევთ,
ქორბუდა ირემს მთის წარაფთან დასცემენ ოდეს.
უწყალოდ ფლეთენ. სისხლით წითლად უღვივით ხახა.

160 შემდეგ მაძლარნი შავ წყაროსთან მიხროვდებიან,
შესმული სისხლი ლაშზე დასდით, გასკდომაზე აქვთ
სტომაქი, მაგრამ გული სავსე რჩება სიხარბით.
მირმიდონელთა გუნდის თავნიც ომში მგლებს ჰგვანან.

165 ფეხმარდ პელიდის სპა შეუდგა ყრმას კეთილშობილს,
მათ შორის იყო აქილევსიც ბრძოლისმოყვარე,
ყიყინით ცხენებს აღაგზნებდა, ფაროსან მოყმით.

ორმოცდაათი მოეყვანა ხომალდი პელიდს,
ზევისის რჩეულ გმირს; ტროის მხარეს, ყოველ ხომალდზე
170 ორმოცდაათი მოყმე იჭდა ხოფის საბელთან.
ხუთი თავკაცი შეერჩია ომში წინამძღვრად,
თვით კი მთელს ლაშქარს თავკაცობდა ხელმწიფურ
ნებით.

თორნმოელვარე მენესთიოს უძლოდა ერთ რაზმს —
სპერქეიოსის ძე, მდინარის, ცით ჩამოღვრილის:
175 მალულად თურმე შმაგ ნაკადთან შვა პოლიდორემ —
პელევსის წულმა, ქალმა ღმერთთან შეერთებულმა.
თუმც ისიც უთქვამთ, პერიერიდ ბოროსგან ჰყავსო,
რომელმაც მასზე იქორწინა დიდძალ საფასით.
მეორე რაზმი მოჰყვებოდა მამაც ევდოროსს.
180 იგი ფერხულში უებარმა, ფილანტის ქალმა
შვა — პოლიმელემ. ჰერმეს ღმერთი მხიარულ ქალწულს
დამონებია, როს ტკბილხმიან გუნდში უხილავს,
ოქროსისრიან არტემისის დღესასწაულზე.
კოშკში შესულა, საიდუმლოდ შეუღლებულა
185 ქალწულთან ღმერთი.

და შვა ქალმა ძე მშვენიერი —
ევდოროს — სწრაფი ასპარეზზე, შმაგი ბრძოლაში.
ელეითიამ, მშობიარის შემწემ, ამ ქვეყნად
გამოაჩინა ძე, აჩვენა მზის ბრწყინვალეობა
და ექველესმაც, აქტორის ძემ, ცოლად დაისვა
190 შინ პოლიმელე, როს გაიღო საზლო დიდძალი.
ხოლო ფილანტმა, მხცოვანმა, შინ, თვის სასახლეში
გაწვრთნა ყმაწვილი, შეუყვარდა გულით, ვით შვილი.
მესამე რაზმს კი მოუძლოდა პეისანდროსი —
მაიმალის ძე.

მირმიდონელთ შორის ვერავინ
195 მხედრად ვერ სჯობდა, აქილევსის მეგობრის გარდა.
მეოთხე იყო ფონიქსი, მხცოვანი გმირი,
მეხუთე რაზმთან — ალკიმედონტ, ძე ლაერკევსის.
რაზმებს თავკაცნი დაუყენა, მწყობრად დააწყო
და ხელმწიფური სიტყვა უთხრა მათ აქილევსმა:
200 „მირმიდონელნო, გაიხსენეთ მუქარის სიტყვა,

გენებთან ტროელთ რომ უთხარით. როს სამარაღლიან
ოისხვით ვიწვოდო.

- თქვენ ხომ მაშინ მეც შემარცხვინეთ:
შე საზარელო, ალბათ შხამით გაგზარდა დედამ,
რომ შენს მეგობრებს გეშებიდან არ იშორებო!
- 205 ბარელამ სახლში დავბრუნდეთო, დაუნდობელო,
რაკილა გული ბოროტ ბოღმით გაგსივებია!
განრიხხებულნი ამ სიტყვებით მხვდებოდით ხოლმე.
ახლა დაგიდგათ ბრძოლის ქაში, ამას ნატრობდით!
მაშ, ვრსაც ერჩის გული, ტროელთ შეებას შედგრად!“
- 210 თქვა და აუნთო ყველას სული და სიმაჟაცე.
მეფის სიტყვაზე უფრო მჭიდროდ შეიკრნენ სპანი.
ვით კირითხურო აგებს კედელს მტკიცე ქვებისგან,
მიჯრით დააწყობს, შეკრავს და გზას დაუნშობს ნიავს,
ისე ეკვროდა ერთურთს რვალის ფარ-მუზარადი.
- 215 ფარი ბაკუნულ ფარს, კაცი კაცს და ჩაჩქანი ჩაჩქანს
შენივთებოდა, ეხებოდა ზუჩს ბოლო ზუჩის —
ათრთოლებული, ისე მჭიდროდ სპანი შეიკრნენ.
სულ ყველაზე წინ იდგა ორი ბრგე აბჯროსანი —
ავტომედონტი და პატროკლე, ჩქარობდნენ გასვლას
- 220 და ერთი სული ჰქონდათ. სანამ ომს დაიწყებდნენ.

კარავს შევიდა აქილეესი, თავი ახადა
ლამაზ კიღობანს, ვერცხლისმუხლა თეტისის ნობათს,
გემით მოტანილს, ქლანებით, ქიტონით სავსეს,
ხაოიანი თექებით და ქარსაცავ ნოხით.

- 225 თასიცა ჰქონდა მშვენიერი, მისგან არაკაცს
ღვინო არ უსვამს, არ რგებია მისგან არალმერთს
წმიდა ზედაშე, გარდა თვითონ მამა-ზევისისა.
სწორედ ეს თასი ამოიღო, ჯერ ხომ გაფერა
გოგირდით, შემდეგ გამორეცხა მოკამკამე წყლით.
- 230 ხელდაბანილმა მერმე ღვინით გაავსო თასი,
ეზოში დადგა და ასხურა წმიდა ზედაშე,
ზეცის შემეყურე ლოცულობდა. შენიშნა ზევსმაც:
„ზევსო, დოდონთა და პელაზგთა უფალო, მკვიდრო
ცივი დოდონის, სადაც შენი მკითხავებია —

- 235 სელები, ფეხს რომ არ იბანენ, მიწაზე წვანან!
 შენ ხომ ჩემს ლოცვას, ლმობიერო, მოაპყარ ყური,
 მაღიდე ფრიად, დაამცირე აქაველთ ხალხი,
 ახლა კიდევ გთხოვ, შემისრულე ერთი სურვილიც!
 მე ვრჩები დრომდე ხომალდების ჩემის სადგომთან,
- 240 ხოლო მეგობარს ბრძოლად ვუშვებ და მირმიდონელო.
 ამათ არგუნე ძლევა, ზევსო წინასწარმჭკვრეტო!
 გული მამაცი განუმტკიცე, იგრძნოს ჰექტორმაც,
 შეძლებს თუ არა შეერკინოს მარტო პატროკლე,
 თუ მკლავნი მისნი მძვინვარებენ მხოლოდღა მაწინ,
- 245 ოდეს მეცა ვარ გამოსული არესის კვალზე!
 ხოლო როს გემებს განაშორებს ხანძარს და სიკვდილს,
 კვლავ დამიბრუნე უვნებელი ნავ-ხომალდებთან
 აბჯრით მოსილი, ყველა მამაც მოძმის თანხლებით!“

- მავედრებელმა ასე უთხრა. უსმინა ზევსმაც
- 250 ერთს ნაწილს თხოვნის, მეორე კი ყურად არ იღო,
 აღაკვეთინა ხანძარი და ბრძოლა გემებთან,
 მაგრამ უვნებლად დაბრუნება აღარ აღირსა.
 მოყმე, ზედაშე რომ ასხურა, მორჩა ლოცვასაც,
 კარავს შევიდა, ჩადო თასი კვლავ საესავი.
- 255 გულმა არ უქნა, გამოვიდა ისევ კარვის წინ,
 რომ კვლავ ეხილა ტროელთა და აქაველთ ბრძოლა.

- ამ დროს პატროკლეს მიჰყვებოდა სპა, შემართული
 მტერთან საომრად, რომ ტროელებს შეტაკებოდნენ.
 ისევე სწრაფად გამოცვივდნენ, ვით კრაზანები,
- 260 გზის გაყოლებით რომ ცხოვრობენ.

ბალებს სჩვევიათ

- მარადღე მათი დაფეთება მყუდრო ბუდეში.
 ჰკუაუსრული ბევრს მოუტანს სხვასაც სიავეს.
 თუ ვინმე ამ დროს მოგზაური გაივლის ახლოს,
 მყისვე ფრთოსნები კვლავ უშიშრად გამოცვივიან
- 265 უმწეო მწერთა და ბუდეთა გადასარჩინად.
 ამ გულითა და ასეთივე სულსკვეთებით
 მირმიდონელნი გამოცვივდნენ ხომალდებიდან.

მათ კიდევ უფრო ამხნევებდა გმირი პატროკლე:
„მირმიდონელნო, მეგობარნო ფეხმარდ პელიდის!

270 იყავი: კაცნი, გაიხსენეთ ზნე სამამაცო!
ვადიდებთ პელიდს, იგი არის არგიველთ შორის
უმხნესი, ხოლო თქვენ ხართ მისი მძლე მეაბჯრენი!
ატრიდმაც იგრძნოს, თუ რაოდენ დამნაშავეა,
რომ მოაყივნა გულუმხნესი აქაველთ შორის!“

275 ასე ამბობდა და აღაგზნო გული მით უფრო.
მიეჭრნენ ტროელთ და მათს ძახილს გაეხმიანა
საზარ ქუხილით მისადგომი ნაე-ხომალდების.
ტროელთ, როგორც კი თვალი მოჰკრეს მამაც პატროკლეს,
მეაბჯრის გვერდით მოელვარეს დიდებულ თორნით,
280 გული შეუერთათ.

შეტორტმანდა სპათა ფალანგი.
იფიქრეს, ალბათ, უქმად მყოფმა პელიეონმა
რისხვა დააგდო და კვლავ მიდრკა მეგობრობისკენ.
თვალის ცეცება იწყეს, ვინძლო მტერს გავექცეთო.

ხოლო პატროკლე მოლაპლაპე შუბით შეიჭრა
285 მტრის შუაგულში, სადაც მჭიდროდ იდგა მხედრობა
პროტესილაეს, მართლმორჭმულის, გემის გარშემო.
გმირ პირაიქმეს, რომელს მოჰყვა პეონთა ჯარი
შორი ქვეყნიდან ამიდონტის, სად დის აქსიოს,
მარჯვენა მხარში დასცა შუბი.

დაასკდა მიწას

290 მტერი მკვნესარი.

მყისვე ირგვლივ შემოეფანტა
ყველა პეონი: მათ პატროკლემ მოჰგვარა ძრწოლა,
რაკი ბელადი დასცა, ომში უმამაცესი.
გემი რომ იხსნა, მოგიზგიზე ცეცხლი დაშრიტა.
დათმეს ზომალდი, სანახევროდ დამწვარი, მტრებმა,

295 სულ აირიენენ, დანაელნი ფულურო გემებს
მყისვე მიადგნენ, ატყდა ერთი აურ-ზაური.
მთის თვალუწვდენელ მწვერვალიდან მოქუფრულ

ღრუბელს

- გვერდზე გაფანტავს ხოლმე ზევსი ელვისმტყორცნელა,
 გადაიშლება თვალწინ ველი, კლდე და ბორცვები,
 300 ცისქვეშეთერი უბოლოო და უსასრულო.
 ასე გემს ცეცხლი ააცილეს ღანაელებმა,
 მაგრამ ჭერ კიდევ არ ცხრებოდა ცეცხლი ბრძოლისა:
 თუმცა ტროელნი აქაველთა ომნაცაჲ ლაშქარს
 გაექცნენ, გემებს არც თუ ძლიერ მოსცილებიან;
 805 კიდევ მხნედ იდგნენ იძულებით უკუქცეულნი.

გაუხშობებულ სარბიელზე კაცი კაცს კლავდა,
 ბელადი-ბელადს.

- მძლე პატროკლემ თავდაპირველად
 არეილიკოს ბასრი შუბით დასცა ლტოლვილი,
 უკან, თედოსთან გაატანა რვაღმა ბოლომდის.
 810 მენელაოსმა ამ დროს თოანტს დასცა ოროლი
 შიშველ გულმკერდში. ფარს ასცდა და ძვლები დაღეწა.
 ამფიკლოსს თვალი ფილეიდმა მოჰკრა თავდამსხმელს,
 დაასწრო, თედოს დასცა შუბი, სად კაცის ფეხი
 815 მსხვილი კუნთებით შემოსილა.

ოროლის წვერმა
 ძარღვები გაქრა და გმირს თვალში ჩაუდგა ღამე.
 ანტილოქოსმა ატიმნიოს განგმირა შუბით
 და ნაწლავებში ჩაიძირა სპილენძის წვერი.
 მოყმე დაეცა მის ფეხებთან.

მარისმა შუბი

- 320 მყის მოუღერა ანტილოქოსს, ძმის მოკვლის გამო
 განრისხებულმა.

წინაუსწრო მას თრასიმედემ,
 სანამ სტყორცნიდა მტერი, თვითონ დასცა ოროლი
 ზედ ბეჭისთავზე, შუბისწვერმა ძარღვი გაწყვიტა,
 ხელი მოკვეთა, დაუმსხვრია ძვალი და რბილი.

- 325 ზათქით დაასკდა მიწას, თვალში ღამე ჩაუდგა.
 ასე ბედკრული ძმები ძმათა ხელით მოკლულნი,
 ჰადესს შთაინთქნენ, სარპედონის მძლე მეგობრები,
 ამისადოროს მოისარის ძენი, რომელმაც
 ოდესღაც კაცთა სავალალოდ ჰკვება ქიმიერა.

330 ოილევის ძემ აიანტმა კლეობულოსი
ცოცხლად ჩაიგდო მაშინ ხელში და ადგილზევე
მოყმეს სიცოცხლე მოუსწრაფა ბასრი მახვილით.
სისხლში გახურდა ორღესული, თვალი დაუვსეს
მოყმეს სიკვდილმა მეწამულმა და ბედისწერამ.

335 პენელეოსი და ლიკონი შეიბნენ.

შუბმა

მოყმეთ უმტყუნა, ოროლები სტყორცნეს ამაოდ.
ხმალდახმალ შეხვდნენ.

წინაუსწრო გმირმა ლიკონმა,
ცხენისძუიან ზუჩში დაჰკრა, სპილენძის ხმალი
ზედ გადაემსხვრა.

ყურთან ხმალი პენელეოსის

340 ყელში ვადამდე ჩაიძირა. კანს დაეკიდა
თავი მოჭრილი. გაცამტვერდა სიმტკიცე მოყმის.
წამოეწია მერიონე მაშინ აკამანტს,
ეტლზე ასვლის დროს მოასხეპა მარჯვენა მხარი.
გმირი დაეცა, ჩაელვარა თვალში წყვედიადი.

345 იდომენეესმა შიგ ხახაში ჩასცა ერიმანტს
ლახვარი, ტვინი გაიარა რვალმა და გარეთ
გამოჰყო თავი, თეთრი ძვლები დაემსხვრა მოყმეს,
კბილნი დასცვივდა, გადმოკარკლულ თვალთაგან სისხლი
სდიოდა, ნესტოს და გახლეჩილ ხახასაც უხვად,

350 სანამ სიკვდილის შავი ღრუბლით არ დაიფარა.

მტერს სძლევდნენ ზვიადს დანაელთა თემისაჲებო.
მძვინვარე მგლები თავს ესხმიან თხებსა და ჰატენებს.
ფარას აცდენილთ, გამოუტდელ მწყემსს მთის ფერღობზე
რომ გაუშვია გაფანტულად.

თვალს რომ მოკრავენ,

355 მიესევნიან ათრთოლებულ, უძლურ სულდგმულებს.
ასევე სპობდნენ ტროელთა სპას, მხოლოდღა გაცლა
რომ სურდათ მათგან, დავიწყნოდათ ზნე სამამაცო.

სულ იმის ცდაში იყო ამ დროს მძლე აიანტი,
ჰექტორს შებმოდა რვალთ მოსილს.

ის კი, ბრძოლაში

- 360 გამობრძმედილი, იფარავდა მხრებს ბაკმულ ფართო,
 აკვირდებოდა ისართ სტვენას, ოროლთა ზუზუნს.
 უკვე ხედავდა, გამარჯვება რომ ეცლებოდა,
 მაინც რჩებოდა დასაცავად ერთგულ მოძმეთა.
 ვით ოლიმპოდან აიჭრება ზეცად ღრუბელი,
- 365 როს ქეჟა-ქუხილს მამა-ზეესი აპირებს ხოლმე,
 ისე გარბოდნენ შემკრთალნი და გზადაბნეულნი,
 რიგ-არეულად სანგარს გასცდნენ, ხოლო ჰექტორი
 მარდმა ცხენებმა გააქროლეს, ჯარი დატოვა,
 ხომალდების წინ გათხრილ სანგრით დაბრკოლებული.
- 370 მრავალმა ცხენმა მიამსხვრია თხრილში ხელნები,
 მრავალი ეტლი შიგვე ჩარჩა მხედართა მძლეთა.
 პატროკლე ლაშქარს ალაგზნებდა მტერთა მდევარი,
 ტროელთ უქადდა ძლევას. ირგვლივ გზები გოდებით
 აავსეს ლტოლვილთ, ღრუბლებამდე აღწევდა სვეტი
- 375 ავარდნილ მტვერის, ყირა-ყირა გადადიოდნენ
 ცხენები, უკან, ტროისაკენ გაქენებულნი.
 პატროკლე სადაც თვალს მოჰკრავდა ლტოლვილთა
 ბრბოებს,

მიიჭრებოდა მძლე ყიეინით.

ეტლის ფერსოსთან

- ცვიოდნენ მტრები, იმსხვრეოდნენ გრუხუნით ეტლნი.
- 380 ზედ გადაევლნენ ფართო სანგარს ფიცხი ცხენები,
 უკვდავნი, პელევსს რომ აჩუქეს თვითონ ღმერთებმა.
 ფიცხლად მიქროდნენ, მათს მბრძანებელს სისხლი
 სწყუროდა,
 ეძებდა ჰექტორს, მაგრამ იგი შორს გაჰრილიყო.

მიწას ამძიმებს ქარიშხალი და კვნესის მიწა

- 385 შემოდგომაზე, როცა ღვართქაფს მოუვლენს ციდან
 ზევსი, მრისხანებს კაცთა მოდგმის დანაშაულზე,
 მსჯავრს რომ იტყვიან უსამართლოს და ძალადობენ,
 არ დაგიდევენ არც ღვთის რისხვას და არც სიმართლეს.
 ამ ღროს იწყება დიდროობაც მდინარეების,
- 390 პიტალო კლდიდან ჩანჩქერების ისმის გუგუნე
 ღვინისფერ ზღვისკენ მიიღვრება ღრიალით წყალი.

მთიდან გადმოქუხს, აჩანაგებს კაცის ნახელავს...
ასეთი შმაგი თქარა-თქურით ილტვოდნენ ცხენნი.
პატროკლემ უმაღ გზა მოუჭრა წინა ფალანგებს,
395 უკან განდევნა, კვლავ ხომალდთა მხარეს მილალა,
არ დაანება ქალაქს შესვლა.

შეყარა ერთად
გემთა, მდინარის, ციხის შუა გადაშლილ ველზე.
დათარეშობდა, მრავალ გმირზე შური იძია.
პირველად გულში დასცა შუბი მამაც პრონოოსს,
400 ბაკმულ ფარს გვერდი აუარა, დაუმხო ძალა.
გრუხუნით დასცა.

ენოპოსის ძეს ფესტორს შეხვდა
იქვე.

დიდებულ ეტლში იჯდა ეგ უბედური,
მობუზულიყო, შეებორკა შიშს. მთრთოლავ ხელით
სადავეს ველარ იოკებდა. სპილენძის შუბი
405 მარჯვენა ყბაში გაუყარა გმირმა,

კბილები
გააყრევინა,

ეტლიდან ძირს გადმოათრია,
როგორც მეთევზემ, ზღვის კიდეზე დაკიდულ კლდეზე
ელვარე ანკესს მოზრდილ თევზს რომ ამოაყოლებს.
ასე მოზიდა რვალის შუბით, მიწაზე დასცა,
410 პირქვე დამხობილს გაუფრინდა მყისვე სიცოცხლე.
ერიალოსი რომ მიეჭრა, სალი ფიქალით
გადაუჩეხა თავისქალა, შუა გააპო
მძიმე ჩაჩქანში შემალული.

შუბლგანგმირული
მიწას დაასკდა.

თავს დააცხრა სულთამხუთავი.
415 ამფოტეროსი, ერიმანტი, ეპალტე, პირის,
ტლებოლემოსი, ექიოსი დამასტორიდი,
პოლიმელოსი არგეადი, იფეეს, ევიპოს
ერთი-მეორის მიყოლებით დასცა მიწაზე.
და რა იხილა სარპედონმა მრავალი გმირი
420 პატროკლეს ხელით განგმირული, მენეტაიდის,

შესძახა მყისვე საყვედურით სულდიდ ლიკიელთ:
„გრცხვენოდეთ! ილტვით? აი, თურმე რა გმირები ხართ!
მე მინდა შევხვდე ამ აბჯროსანს, მე მინდა ვნახო,
ვინ არის იგი! დაგვაწია ბევრი ვაება,
425 გადაუმსხვრია მრავალ ტროელს მტკიცე სახსრები!“

ასე შესძახა და ეტლიდან ჩამოხტა მყისვე.
ეს რომ იხილა მენეტიდმა, ისიც ჩამოხტა.
ვით ორი ორბი, ნისკარტმრუდე, ქანგმორკალული,
პიტალო კლდესთან მიეპრება ერთურთს ყვივლით,
430 ისე მივარდნენ მეომრები ერთიმეორეს.

მათ შემხედვარეს აუჩვილდა გული ზევსს ცბიერს,
ასე მიმართა ჰერას — დას და მეუღლეს თვისას:
„ვა-ვაი! ვხედავ, რომ სარპედონს, გმირს უძვირფასესს.
პატროკლეს ხელით უწერია ღღეს დამარცხება!
435 გული მიღელავს, ორ აზრს შუა აღბორგებული:
ვერ გადავწყვიტე — ავაცილო საგლოველ ბრძოლას
შვილი,
ლიკიის ნაყოფიერ ველს მიეაყენო,
თუ მენეტიდის ხელით დაშრტეს მზე სარპედონის?!“

მყისვე მიუვო დედოფალმა ხარისთვალეზამ:
440 „პირქუშო ზევსო, რასა ბრძანებ, შავლრუბლიანო!
მოკვდავი მოყმე, განწირული აწ ბედისწერით,
გსურს სავალალო სიკვდილისგან დაიხსნა სულაც?
ნება ყავ, მაგრამ ყველა ღმერთი არ მოგიწონებს!
ერთ სიტყვას გეტყვი, დაიმარხე გულში, კრონილო:
445 თუკი უვნებლად შინ გაუშვებ მამაც სარპედონს,
იცოდე, ვით შენ, შეიძლება სხვა ღმერთსაც სურდეს,
ძე საყვარელი ააცილოს ომს სავალალოს:
აქ ბევრი იბრძვის პრიამოსის ქალაქის ბჭესთან
შვილი უკვდავთა.

ღმერთთა დრტვინვას უნდა ელოდე!
450 რაგინდ გიყვარდეს, რაგინდ გული გეწვოდეს, ღმერთო,
შვილი გაუშვი სასიკვდილოდ შესარკინებლად,

მენეტიოსის ძის, პატროკლეს ხელით დაეცეს.

შემდეგ, სარპედონს როს დატოვებს სული, ძილს

მორჩილს

- და სიკვდილს უთხარ, წაასვენონ გმირის სხეული
455 უცხო ქვეყნიდან ნაყოფიერ ლიკიის მხარეს.
იქ დამარხავენ მეგობრები, ძმები, სახსოვრად
საფლავზე სტელას აღმართავენ, ვით მოკლულს შვენის“.

ასე თქვა.

- კაცთა და უკვდავთა მამამ ირწმუნა
მიწას ზეციდან სისხლიანი ასხურა ცვარი,
460 აღიდა შვილი, პატროკლეს რომ უნდა მოეკლა
შორს სამშობლოდან, ბორცვებიან ტროის მხარეში.

- გმირი გმირს შეხვდა შემტევი და მოიერიშე,
დაჰკრა პატროკლემ და განგმირა თრასიდემოსი,
უმამაცესი სარპედონის მსახურთა შორის:
465 სტომაქში ჩასცა შუბი, ძალა გამოაცალა.
კვლავ შეუტია სარპედონმა, მაგრამ ოროლი
გვერდით გაექცა და პატროკლეს რაში პედასი
მხარში დაკოდა, ცხენს ხროტინით გაექცა სული.
მიწას დაასკდა, გაუფრინდა მძლავრი სიცოცხლე.
470 ორმა სხვა ცხენმაც გაიწია სხვადასხვა მხარეს,
სადავეები აიხლართა, როს კიდურბმული
რაში დაეცა.

ხერხს მიაგნო ავტომედონტმა:

- მყის ქარქაშიდან იძრო ხმალი გრძელპირიანი,
უმალ გადაჰკრა კიდურბმული ცხენის საბელი
475 მაშინ გასწორდნენ ეტლში მარდი ბედაურები.
კვლავ იწყეს სამკვდრო-სასიცოცხლო დავა გმირებმა.
მტერს სარპედონმა ააცდინა შუბი ელვარე.
მარცხენა მხართან გაუფრინა პატროკლეს შუბმა,
არ შეხებია.

- ახლა თვითონ სტყორცნა ოროლი
480 და ფუჭად როდი გაჰფრენია ხელიდან შუბი:
მკერდში მოარტყა გმირ სარპედონს, გულისფიცარზე.

დაეცა გმირი, ვით ეცემა მუხა ან ვერხვი
ან დიდი ფიჭვი, შეშისმჭრელნი მთაში რომ ჭრიან
ბასრი ცულეებით, უზარმაზარ მორს სახომალდეს.

- 485 ასე ეტლის წინ ეგდო, კბილებს სიმწრით ღრჭიალი
გაუდიოდა, ხელით მიწას ფხოჭნიდა მოყმე.
ვით ლომი, ჯოგს რომ თავს დაესხმის მოულოდნელად,
ფეხმრუდე ხართა შორის ზვიად კუროს ძირს დასცემს
და ღმუის ღოჯებჩასობილი კურო მოწყულული,
- 490 ისე პატროკლეს მიერ გვემულ ლიკიელთ მეფეს
გმინვა აღმოხდა და შესჩივლა სვიან მეგობარს:
„გლავკოს, ძვირფასო, კაცთა შორის უმამაცესო,
ახლა შენ გამართებს შუბშემართულს უშიშრად ბრძოლა,
დაუნდობელი შერკინება, თუ ხარ ვაჟკაცი!
- 495 იჩქარე, მამაც ლიკიელთა თემისთავებთან,
ყველა ალაგზნე საბრძოლველად სარპედონისთვის.
ჩემი გულისთვის შეებრძოლე რვალით არგიველთ,
თორემ სირცხვილი არ აგცდება ჩემგან — წინაშე
შთამომავალთა შორეულთა, თუ აქაველნი
- 500 გემებთან ძლეულს ამაცლიან მკერდიდან ბექთარს!
მელგრად დაჰკარი და საომრად ჯარი აღძარი!“

ასე მომჩივანს მყის დაუხშო სიკვდილის ხელმა
თვალი და ნესტო, მკერდზე ფეხით შეადგა მტერი,
შუბი მოსწია, თან ამოჰყვა გულისფიცარი.

- 505 სულიც და შუბიც ამოართვა გმირს ერთდროულად.
მის მოჭიხვინე ცხენებს მისწვდნენ მირმიდონელნი,
ხელში ჩაიგდეს, მეფის ოხრად შთენილი ეტლი.
მეგობრის გმინვა შეესმა და შეკრთა გლავკოსი,
გული მოუკვდა, დახმარება რომ არ შეეძლო.
- 510 მარცხენა კუნთზე მიიჭირა ხელი, იარა
გმირი ტევეკროსის ნაისრალი ისევ სტანჯავდა,
გალავნის მხრიდან, მეგობართა შემწედ მოსულის
დარდით შესძახა შორსმოსიარ აპოლონს მოყმემ:
„გესმას, უფალო, ნაყოფიერ ლიკიის მხარეს,
- 515 თუ ტროას სუფევ!

ყველგან ძალგძს, რომ სათნო ეყო

დარდიან ვაჟკაცს, ვინც ჩემსავით გაწამებულა!
ჭრილობა მტანჯავს, ხელი მეწვის სასტიკ ტკივილით,
სისხლი ჩქეფს წყლულზე განუწყვეტლივ, აღარ ჩერდება,
ხელი მხრებამდე მიშეშდება დაბუყებული.

520 ველარც შუბს ვიჭერ, ომში აბა ვით ჩავერთვები,
მტერს ვით შევხვდები!

დაილუბა უმხნესი გმირი

სარპედონ!

ზევსმაც ვერ უშველა ძეს უსაყვარლესს!

ო, შემეწიე, დამიაბე წყლული, უფალო,

ძალა მომეცი, რომ კვლავ შევძლო მამაც ლიკიელ

525 მოყმეთ აღგზნება და ბრძოლაში შესვლა გულდაგულ,
მეგობრისათვის ღირსეულად მეც მტერს შევხვდები!“

ასე ევედრა.

გმირს უსმინა აპოლონ ღმერთმა.

მყისვე საღმობა დაუამა, მტანჯველ წყლულიდან
სისხლის ნაკადი შეუჩერა. სული აღუნთო.

530 გული მიეცა გლავკოსს, იგრძნო, ადრე და მალე
მისი ლოცვის ხმას რომ უსმინა მაღალმა ღმერთმა.

ჯერ დაუარა სპათა განმწყობ ლიკიელ მოყმეთ
და მოუწოდა, რომ ებრძოლათ სარპედონისთვის,
შემდეგ წავიდა ტროელთ მხარეს ფართო ნაბიჯით.

535 შეხვდა პანთოიდ პულიდამანტს, ღმრთეებრ აგენორს,
ენეასს, ჰექტორს რვალშემოსილს გამოეცხადა
და მეყსეულად მიაგება ფრთიანი სიტყვა:

„ჰექტორ, სპა დათმე სახელოვან მოკავშირეთა,
შორს სამშობლოდან რომ ებრძვიან თავგამოდებით

540 მამაც აქაველთ?

მათი დაცვაც არ მოგდის ფიქრად!

დაეცა გმირი სარპედონი, ლიკიელთ მეფე,
რომ ხელმწიფობდა სიმართლით და სიმხნევით სულის.
რვალის არესმა ის დააცხრო პატროკლეს შუბით.

აღსდექით, ძმებო, აღივსენით შურისძიებით,

545 არ გაგვიძარცვოს, არ დასცინოს ჩვენს მიცვალებულს
სპამ მირმიდონთა, მძვინვარეთა დანაელთ გამო,
შუბით რომ მოვსპეთ ხომალდებთან აურაცხელნი!“

თქვა და ტროელნი საშინელმა დარღმა დასერა,
სევდამ სრულიად უსასოომ.

ყრმა უცხოელი

550 იყო ტროელთა ბურჯი მაინც:

სპა უთვალავი

მათ მიაშველა და თვით იყო რჩეული სიმხნით.

შემოუბრუნდნენ დანაელებს გაშმაგებულნი,
შურისმგებელი მოუძლოდა ჰექტორი ლაშქარს,
ხოლო აქაველთ მენეტიდი ძალას აძლევდა,

555 სიმხნეს ჰმატებდა აიანტებს, თავადაც მხნეებს:

„აიანტებო, მტრის შეხვედრა გეამებოდეთ,
იყავით გმირნი, ვით ყოველთვის, ან უფრო მეტად!
დაეცა მოყმე, ვინც დაგვესხა პირველთაგანი!

ნეტავ, სარპედონს წავათრევდეთ, გვამს დავცინებდეთ,

560 მკერდზე საჭურველს ავაცლიდეთ და მის მებაჭრეს,

ცხედარს რომ იცავს, ავკეპავდეთ დამლუპველ რვალით!“

ასე აღაგზნო, მაგრამ თვით მათ არც აკლდათ ცეცხლი.

და ფალანგები ორივე მხრიდან რომ გაამაგრეს,

ტროელთ, ლიკიელთ, მირმიდონელთ და აქაველებს

565 მოკლულის ახლოს საშინელი ბრძოლა შეექმნათ,

ატყდა ყიჟინა და სასტიკი ხმალთა კვეთება.

ზევსმა მოჰფინა ბნელი ღამე ბრძოლის სარბიელს,

რომ საზარელი ხოცვა-ჟლეტა ატეხილიყო.

ტროელთ ჯერ სძლიეს თვალმახვილი აქაველები,

570 მირმიდონელთა შორის დასცეს მოყმე მელგარი,

ძე აგაკლევსის, ღვთაებრივი ეპეიგევსი.

მეფობდა ადრე იგი ქალაქ ბუდეიოსში,

მაგრამ მას შემდეგ, ნათესავი რომ შემოაკვდა,

პელევსს და თეტისს შეეხიზნა ვერცხლისფეხებას.

575 აქილევსს გაჰყვა სპათა მნგრეველს შემდეგ ცხენმრავალ

ქალაქ ილიონს, ტროელთ ტომის დასალაშქარავად.

ლამის წაავლო ხელი ცხედარს, მაგრამ ჰექტორმა

თავში ქვა დასცა და შუაზე გადაუჩეხა

მტყიცე ჩაჩქანში შემალული. უსულო სხეულს

580 პირქვე დაემხო, მყის სიკვდილიც წაადგა მოყმეს.

პატროკლეს რისხვა შემოენთო ზეგობრის გამო,
 მეწინავეებს გამოეყო, ვით სწრაფი ქორი.
 რომელიც მისდევს მოფრთხილად ქვეებს და შოშინებს.
 ასე ლიკიელთ, ო, პატროკლევ, ცხენთმარბიელო.
 585 და ტროელთ დასცხე, მებაზრისთვის შურისგებულმა!
 ითაიმენოს-მამაცის ძე სთენელაოსი
 განგმირე, ქვით რომ გადაუქერ კისრის ძარღვები!
 მეწინავენი გაიქცნენ და გაჰყვა ჰექტორიც.
 რასაც გაიფრენს მანძილს შუბი. ოდეს ვაეკაცი
 590 ძალას სცდის ხოლმე მებრძოლი ან მოასპარეზე,
 და სტყორცნის ზვიად მეტოქეებს სულის ამომხდელთ,
 მეტოქეს ასე გაეცალა ტროელთ ლაშქარი.
 უკუქცევისას ლიკიელთა მეფემ გლავკოსმა
 მოკლა ბათიკლევს, ქალკონის ძე სულით მაღალი,
 595 რომელსაც ტურთა ელადაში ჰქონდა სამკვიდრო,
 მირმიდონელთა შორის განძით იყო განოქმული.
 მოულოდნელად დასცა მკერდში შუბი გლავკოსმა.
 როს მოუბრუნდა მღევარს გმირი. და ბათიკლევსი
 ზათქით დაეცა.

ელდა ეცათ აქაველთ გმირის
 600 სიკვდილის მომსწრეთ.

სიხარული შეუდგათ ტროელთ.
 მიცვიდნენ მოკლულს ერთობლივად, მაგრამ აქაველთ
 სიმტკიცის ყავლი არ გასვლოდათ, მტერს მედგრად
 დახედნენ.

მაშინ განგმირა მერიონემ ლაოგონოსი
 ონეტორის ძე, იდაელი ზევსის ქურუმი,
 605 რომელსაც ხალხი პატივს სცემდა, როგორც ღვთაებას.
 ზედ ყურის ძირში, ყბასთან მოხვდა მოყმეს ოროლი,
 ძვლები დასტოვა სულმა,

ლამის წყვდიადი დადგა.
 მხნე ენეასმა მერიონე! სტყორცნა ოროლი,
 სწადდა მოერტყა მეომრისთვის ბაკმულ ფარის ქვეშ.

610 მან შორიდანვე შეამჩნია და რვაღს გაექცა,
 გადაიხარა.

ქედზე შუბმა გრძელჩრდილიანმა

- გადაუფრინა, მიწას მოხვდა და შუბისტარი
 კარგახანს თრთოდა, სანამ დაცხრა რისხვა არესის.
 ბასრი ოროლი მოძიგდიგე ჩაეფლო მიწას,
 615 ფუჭად ნასროლი ენეასის მძლავრი ხელიდან.
 მყის ენეასმა გულნაკლულმა შესძახა მაშინ:
 „ო, მერიონე, თუმც მროკველი ბრძანდები მარდი,
 ჩემი ოროლი დაგაცხრობდა, რომ მოგხვედროდა!“
 უმალ მიუგო მერიონემ, მხნე შუბოსანმა:
 620 „გაგიძნელდება, თუმცა მძლეობ ომში, ენეას,
 ყველა მეომარს გაუმკლავდე, ვინც შემოგვხვდება,
 ძალას მოსინჯავს. როგორც ყველა, შენც მოკვდავი ხარ!
 მეც რომ მომერტყა შენთვის მკერდში ბასრი სპილენძი,
 თუმც მხნე ხარ, მკლავის იმედიც გაქვს, მომანჯივბდი
 625 მე დიდებას და სულს კი — ჰადესს, კვიცებით იღადავს!“

- ასე მოუბარს საყვედურით უთხრა პატროკლემ:
 „ო, მერიონე, რალად ხარჯავ სიტყვას ამაოდ?
 ტროელთ ლაშქარი შენს ნათქვამზე არ დანებდება
 სიკვდილს, ვიდრეღა შავი მიწა არ დაფლავს გვამებს!
 630 მკლავი წარმართავს ბრძოლას, ხოლო სიტყვები ბჭობას.
 არ მწამს კაფია, როცა მტერი ასაკაფია!“

- თქვა და გაიჭრა კიდეც, მიჰყვა ყრმა შუბოსანი.
 ვით შეშისმჭრელნი ატეხავენ ცულით ხათქა-ხუთქს
 ტყიან ბორცვებზე და სივრცეში ხმა იფანტება,
 635 ისე გაისმა სპათა შორის კიდით კიდემდე
 რვალის გუგუნე, გაუფლეთელ ფარების დვრინი,
 ზედ შეხეთქება შუბისა და ხმალ-სატევრისა.
 უერთგულესი მეგობარიც კი ვერ იცნობდა
 მაშინ სარპედონს: ისრებითაც, სისხლით, ტალახით
 640 თავით ფეხამდე ისე იყო მთლად დაფარული.
 გვამის გარშემო განუწყვეტლივ ღვიოდა ბრძოლა.
 როგორც ბუზები ზუზუნებენ ბადიის ირგვლივ,
 რძე როს ჩხრიალებს დიდ დერგებში შესადედებლად,
 ისე მებრძოლნი ირეოდნენ გვამის გარშემო.
 645 ზევსი ბრძოლის ველს თვალს სხივოსანს არ აცილებდა.

- უმზერდა მოყმეთ გამუდმებით წინამბჰობელი,
 პატროკლეს ხვედრზე ბევრს ფიქრობდა, ეკვი გაუჩნდა:
 ან ჰექტორს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში აქვე,
 გმირ სარპედონის ძვლებთან მოყმე უნდა დაეცხრო
 650 ბასრი სპილენძით და ბექთარი შემოეძარცვა,
 ან შერჩენოდა კვლავ პატროკლეს სიმხნე მებრძოლის.
 ამ ფიქრში იყო, სასურველად ეჩვენა ბოლოს
 რომ პელეგისის ძის, აქილეესის, მამაც მეგობარს
 ტროის ლაშქარი და ჰექტორი ზუჩმოელვარე
 655 ქალაქისაკენ გაედევნა სულის ამომხდელს.
 ჭერ ზევსმა ჰექტორს სულმდაბლობა გულს ჩაუნერგა.
 ეტლით გაიქცა გმირი, სხეებსაც, ტროელთ მხედრობას
 ლტოლვა უბრძანა, ზევსის სასწორს დაემორჩილა.
 აღარც მამაცი ლიკიელნი შემორჩნენ ბრძოლას,
 660 ყველა გაიქცა, როს ბელადი გულგანგმირული
 გვამთა გროვაში დაიგულეს:

ბევრი დააკვდა

- მოყმეს, რაც ზევსმა გააჩალა ბრძოლა მის ირგვლივ.
 სარპედონს მხრიდან ააგლიჯეს დანაელთ თორნი
 რვალმოელვარე და უბრძანა ღრმა გემებისკენ
 665 მისი წაღება მამაცმა ძემ მენეტიოსის.

- ამ დროს აპოლონს უთხრა ზევსმა ღრუბელთმარეკმა:
 „გასწი, ფოიბოს, გამოსტაცე ისრებს სარპედონ,
 განწმიდე იგი სისხლისა და ტალახისაგან.
 შორს, მდინარესთან კამკამა წყლით განბანე, წასცხე
 670 გვამს ამბროსია და შემოსე უხრწნელ სამოსით.
 მერმე უბრძანე მოჩუმათე და სწრაფ მოციქულთ —
 სიკვდილს და ძილსა, ტყუბებს, მალე გმირი მიჰგვარონ
 უხვნაყოფიან, ფართოდ გაშლილ ლიკიის მხარეს.
 იქ დამარხავენ მეგობრები, ძმები და სტელას
 675 აღუმართავენ სამარეზე, ვით შვენის მოკლულს“.
 ასე უბრძანა, არ ეურჩა მამას აპოლონ.
 იდას თხემიდან ბრძოლის ველზე დაეშვა სწრაფად.
 ისრებს მოსტაცა სარპედონი, ღმერთის სადარი,
 შორს, მდინარესთან, კამკამა წყლით განბანა, წასცხო

680 გვამს ამბროსია და შემოსა უხრწნელ სამოსით.
მერმე უბრძანა მოჩუმათე და სწრაფ მოციქულთ —
სიკვდილს და ძილსა, ტყუპებს, მყისვე მათ წაიყვანეს
უხვნაყოფიან, ვრცლად გადაშლილ ლიკიას გმირი.

იმ დროს პატროკლე აჩქარებდა გმირ ავტომედონტს,
685 რაშით მისდევდა ტროელთ, სიკვდილს იახლოვებდა,
ეგ უგუნური!

რომ ესმინა პელიდის სიტყვა,
შავ სიკვდილს და ხვედრს აიციდენდა მუხთალს,
საგლოველს.

მაგრამ მეტია ზევსის განსჯა კაცის განსჯაზე:
იგი ძრწოლას ჰგვრის მამაცს, ძღვევას წარსტაცებს მოყმეს,
690 რომელსაც თვითონ აქეზებდა შესარკინებლად.
პატროკლეს გულიც მან ადავსო მძვინვარე ჟინით.

ვინ პირველი და ვინ, პატროკლე, უკანასკნელი
განგმირე, ოდეს სასიკვდილოდ გიხმეს ღმერთებმა?
ჯერ ადრესტოსი, ავტონოოს, შემდეგ ექეკლოს,
695 მერმე მეგადი პერიმოსი, მელანიპოსი,
ეპისტორი და ელასოსი, მულიოს დასცა,
შემდეგ პილარტეც.

სხვები ლტოლვით ეძებდნენ საშველს.

იმ დღეს დასცემდნენ კიდევ ტროას აქაველთ ძენი
პატროკლეს ხელით, შუბოსანი ისე შმაგობდა,
700 რომ ღმერთს აპოლონს, ტროელთ შემწედ კოშკზე
შემართულს,

არა ჰქონოდა განზრახული მოყმის სიკვდილი.
სამჯერ მიაწყდა მძლე პატროკლე მაღალ გალავანს,
სამჯერვე იგი უკუაგდო აპოლონ ღმერთმა,
უკვდავი მკლავით, რვალის ფარით იგერიებდა.
705 მაგრამ მეოთხედ რომ მიეჭრა, ვით დაიმონი,
ღმერთმა მრისხანედ მიაგება ფრთიანი სიტყვა:
„უკან, პატროკლე! შენ ხომ ბედად არ გიწერია
შუბით დაქცევა ტროელთ ციხის და არც აქილევსს,
შენზე უდიდესს, უძლიერესს შეუდარებლად!“

710 ეს რომ თქვა, მყისვე გაერიდა გმირი პატროკლე
შორსმოისარი აპოლონის დამლუპველ რისხვას.

ჰექტორ ერთ ფლოქვად ქცეულ ცხენებს სკაიას ბქესთან
იჭერდა.

იგი სულ ფიქრობდა — კვლავ მტერს შებმოდა,
თუ გალაფანში შეეყვანა თვისი ლაშქარი.

715 ამ ყოყმანისას აპოლონი გამოეცხადა,
სახე მიეღო შეღერებულ, მოწიფულ მოყმის,
მხედარ ჰექტორის ბიძის — ჭაბუყ ასიოსისა,
ჰეკაბეს ღვიძლი ძმის, დიმანტის ძის,

ფრიგიაში,

სახლი რომ ჰქონდა, ნაპირებთან სანგარიოსის.

720 მას მიემგვანა და ზევსის ძემ თქვა აპოლონმა:
„ჰექტორ, გაექეც ბრძოლას? შენ ხომ ეს არ შეგშვენის!
რაგვარ სუსტი ვარ, იმგვარ შენზე ძძლავრი რომ ვიყო,
შეგანანებდი სისხლისმღვრელი ომიდან გასვლას!
გაბრუნდი. ცხენი გააქენე პატროკლესაკენ,

725 ვინძლო გარგუნოს აპოლონმა ძღვევის დიდება!“

თქვა და შეუდგა ღმერთი ისევ კაცთა საჯაფარს.
უბრძანა მყისვე კებრიონეს გმირმა ჰექტორმა,
ეტლი მტრებისკენ მიემართა.

ხოლო აპოლონ

ჯარს შეერია, არგიველთა შორის ატეხა

730 ბრძოლა ჰექტორის და ტროელთა განსადიდებლად.
დანაელთ ჰექტორ გვერდს უვლიდა, არვის შებმია,
მიაჰენებდა ფეხმარდ ცხენებს პატროკლესაკენ.
მის შესახვედრად პატროკლემაც დასტოვა ეტლი,
ცაცით შუბი მოიღერა, მარჯვენაში კი

735 არ ეტეოდა მარმარილო წიბოიანი.

სტყორცნა ძლიერად, ლოდი დიდხანს არ მიფრინავდა
და არც ამაოდ უტყორცნია: მოხვდა მეეტლეს,
პრიამოსის ბუშს — კებრიონეს, როს კადნიერად
ცხენებს მართავდა.

შუბლში მოხვდა ლოდი სასტიკი.

740 გადაუტყავა მყის წარბები, თავისქალაში
ძვლები დაუფშვნა. თვალებიც კი გაღმოუცვივდა
მეაბჯრეს მტვერში. მეყსეულად მყვინთავის მსგავსად
ეტლს გაღმოველო მოყმე, სულმაც დასტოვა ძვლები.

მწარედ დასცინა მას პატროკლემ, ცხენთა მხედნავმა,
745 „ო, ღმერთო ჩემო! რა მჩატეა, რა სწრაფად ყვინთავს!
თევზმრავალ ზღვაში ეგ როგორმე რომ გასულიყო,
ბევრს აამებდა, როს ნიყარებს მოკრეფდა ფსკერზე,
მღელვარე ზღვაშიც ისკუპებდა გულარხეინად.
თუმცა ველზეა, მაინც როგორ მარდად ჩაყვინთა!
750 ვხედავ, გყოლიათ მყვინთავები თურმე ტროელებს!“

ასე დასცინა და მივარდა კებრიონეს გვამს,
ვით ლომი, ბაკს რომ ანადგურებს მკერდში ნარქენი
და თავს იღუპავს სიშმაგით და გულუშიშრობით,
ასე მიეჭერ კებრიონეს შმაგად, პატროკლევ!
755 ჰექტორ ჩამოხტა შესახვედრად მყისვე ეტლიდან,
და ლომებივით წაიკიდნენ მოკლულის გამო.
მთის ქედზე ლომნი, დამშეულნი, ერთი ირმისთვის
თავს არ ზოგავენ და მძვინვარედ ებრძვიან ერთურთს.
ასე იბრძოდა კებრიონეს გვამისთვის ორი:
760 გმირი ჰექტორი და პატროკლე მენეტიადი.
უწყალო რვალით მტრის განგმირვა მოსწყურებოდათ.
თავში ჩაავლო ხელი ცხედარს მტკიცედ ჰექტორმა,
პატროკლემ ფეხით დაითრია და მათს გარშემო
დანაელთ ძენი და ტროელნი შეიბნენ მედგრად.

765 ევროს და ნოტოს რომ ატეხენ ხოლმე ქიშპობას,
ზეგანზე მუხნარს ეხლებიან გაწიწმატებით,
წიფელები და კოპიტები, მკვრივი კორდები
შეირხევიან, ხე შტოებით ხეს უტყლაშუნებს,
ველს ეფინება დამსხვრეულთა ხეთა ხათქუნი.

770 ასე ტროელნი შეეხეთქნენ შმაგად აქაველთ,
ფიქრად არ ჰქონდა სამარცხვინო გაქცევა ვისმე.
მრავლად ეყარა კებრიონეს გარშემო შუბი,

მრავლად ისარი ფრთაშესხმული მიწაში ერქო,
მრავალი ლოდი შეეხეთქა მებრძოლთა ფარებს.
775 ის კი მტერის ბულში დიდებული იწვა უძრავად
და ხელოვნება მეეტლისა დავიწყებოდა.

სანამ ჰელიოს მიაღწევდა ზეცის შუაგულს,
ორივე მხრიდან მოფრინავდნენ შმაგი ისრები.
ხართა გამოხსნის ეამს მიადგა მზე-ჰელიოსი
780 და სძლიეს ბედის უნებურად აქაველებმა:
ისრის წვიმაში და ტროელთა ყოყინის ხმაში
გვამს მიტაცებულს ააგლიჯეს აბჯარ-ბექთარი.

ხოლო პატროკლე, ტროელთათვის სიავის მდომი,
სამჯერ შეიჭრა მათს რიგებში, მსგავსად არესის
785 საზარ ყოყინით.

სამჯერ დასცა ცხრა-ცხრა მხედარი.
მაგრამ მეოთხედ რომ მიეჭერ, ვით დაიმონი,
მაშინ, პატროკლევ, აღსასრულიც გეწია უცებ.
შენს წინააღმდეგ ფობოსი მოიჭრა შმაგი
და ვერ იცანი ღმერთი, ხალხში სწრაფად მავალი.
790 ირგვლივ წყვდიადი მოხვეოდა, წინ მოიწევდა.

დადგა ზურგს უკან, ფართო ბეჭზე დაარტყა ხელი,
მყისვე თვალები დაუბნელა მამაც პატროკლეს.
ჩაჩქანი მოყმეს გადაუგდო აპოლონ ღმერთმა —
ძირს მიგორავდა, აჟღერიალდა ცხენთა ფლოქვებთან
795 ზუჩი სათვალეგახვრეტილი.

ჯიღის ფაფარი
სისხლით და მტვერით დაიფარა.

არა სჩვეოდა
აღრე ამ ჩაჩქანს მიწიერი მტვერით შებილწვა.
წინათ ღმერთკაცის აქილევსის შუბლზე ელავდა
ეს მუზარადი, ზევსს კი სურდა, ჰექტორის თავზე
800 ენახა იგი: ახლო იყო ყრმის აღსასრული.
პატროკლეს შუბი დაელეწა გრძელჩრდილიანი,

მძიმე, სპილენძით გაპედლილი.

მხრებიდან ფარი,

ფეხის ტერფამდე რომ სწვდებოდა, ძირს დაენარცხა.

ახსნა სპილენძის სამკერდული მძლე აპლონმა,

805 სულს გაოგნება დაეუფლა, სახსრებს — სისუსტე.
გაშეშლა გმირი.

ბასრი შუბით ზურგთან მოადგა

და გაუყარა ბეჭებშუა დარღანმა მოყუმე,

მძლე ეეფორბოსმა პანთოიდმა, თანატოლთ შორის
შუბის ტყორცნით და ფეხმარდობით გამორჩეულმა.

810 ჭერ კვლავ ყმაწვილმა ოცი კაცი დასცა ეტლიდან,
როცა პირველად გამოვიდა ბრძოლის სასწაულად.
მან, ო, პატროკლე, იარაღი პირველმა ჩაგცა,
თუმცა ვერ გძლია.

ამოგგლიჯა წყლულიდან შუბი
და მიიმალა მეომრებში.

როდი გაბედა

815 პატროკლეს, უკვე აბჯარახსნილს, შერკინებოდა.

მან კი, დამცხრალმა ღმერთის დარტყმით და მტრის
ოროლით,

მეგობრებისკენ დაიხია, გაექცა სიკვდილს.

ჰექტორმა. როგორც კი შენიშნა მოყმე სულდილი,

უკუქცეული, დაკოდილი ბასრი სპილენძით,

820 მიექრა, შუბით დაასწრო და წელს ქვეშით დაჰკრა,
ზედ საზარდულთან, ნაწლავებში ჩაეფლო რვალი.
დაეცა გმირი, დააღონა დანაელები.

მძლავრ ტახს ამარცხებს ხოლმე ლომი გაშმაგებული,
როს ზედაზენზე შეიყრება ორივე ზვიადი,

825 დასარწყულებლად მოწანწყარე მთის ნაკადულთან.

უკვე დამაშვრალს მოერევა ტახს ლომი მძლავრი.

ასე პატროკლეც, დამლუბველი უკვე მრავალთა,

დასცა ჰექტორმა, ამოართვა ოროლით სული.

ძლევეთ ამაყმა მიაძახა სიტყვა ფრთიანი:

830 „ალბათ, იმედი გქონდა ციხეს რომ დაგვიქცევდი,
ჩვენს ცოლებს მაშინ წაართმევდი თავისუფლებას,

- გემით ტყვეებად წაასხამდი სამშობლო ძხარეს!
 ო, უგუნურო! მათთვის მიქრის ჩემი ცხენები
 ბრძოლის ველისკენ, შუბით ვბრწყინავ ომისმოყვარე
 835 ტროელთა შორის, იმედიც მაქვს, მათ ავაცილებ
 მონობის ხვედრსაც! შენ კი დაგვლეთს აქვე ყორანის
 ბედკრულს! გმირმა აქილევსმაც კი ველარ გიხსნა!
 ალბათ, გიბრძანა, როცა ბრძოლის ველზე გიმშვებდა,
 არც იფიქროო დაბრუნება ღრმა ხომალდებთან,
 840 სანამ კაცთამქლევტ ჰექტორს ქიტონს, სისხლით
 აბოლქვილს,
 შენი ხელებით არ ააგლეჯ მძლავრი მკერდიდან!
 ეტყობა, ასე შეგიცდინა, უგუნურო, სული!“

- სუნთქვაშეკრულმა ძლივს მიუგე სიტყვა, პატროკლევ:
 „ჰექტორ! იხარე, აბოლონის, ზევსის შეწევნით
 845 გამარჯვებულმა! ეს მათ მძლიეს! მათ ხომ ადვილად
 ძალუძთ ყოველი! საჭურველიც მათ გამომტაცეს!
 მაგრამ შენებრი კიდეც ოცი რომ შემხვედროდა,
 დაეცემოდა განგმირული ჩემი ოროლით.
 ბედმა, ლეტოს ძემ, ეფფორბოსმა — კაცმა მოკვდავმა
 850 მომიღეს ბოლო, შენ კი მოხვედ უკვე მესამე.
 სიტყვას მოგიგებ უკანასკნელს, გულს ჩაიმარხე:
 ქვეყნად სიცოცხლე შენც ხანგრძლივად არ დაგრჩენია,
 შენს წინაშე დგას სიკვდილი და სასტიკი ხვედრი,
 ბოლოს მოგიღებს აქილევსი, მძლე ეაკილი!“
 855 ეს თქვა და მყისვე დაეუფლა სიკვდილი მოყმეს.
 ჩუმად გაფრინდა სხეულიდან სული ჰადესში,
 ბედს დასტიროდა, გამქრალ ძალას და სიჭაბუკეს.
 ხოლო პატროკლევს, უკვე მოკლულს, უთხრა ჰექტორმა:
 „რატომ მიქადი წინასწარვე მრისხანე სიკვდილს?
 860 კაცმა არ იცის, იქნებ თვითონ მძლე აქილევსი
 ჩემზე უადრეს, ჩემი შუბით დათმობს სიცოცხლეს?“

ასე თქვა.

ტერფით დააწვა და ააძრო შუბი
 მოკლულს, ფეხი ჰკრა, გვამი პირქვე ვადააბრუნა.

შემდეგ ანაზღად მიუბრუნდა გმირ ავტომედონტს,
865 ძლიერ მებაჯრეს სახელგანთქმულ ეაკიდისა.
ის კი უმაღვე გააქროლეს მარდმა, უკვდავმა
ცხენებმა, ძღვნად რომ ერგო პელევსს ღმერთებისაგან.

ქება მენელიძე

მენელაოსის გმირობა

- მყისვე შენიშნა ატრევსის ძემ მენელაოსმა
პატროკლე, მტრისგან განგმირული ფიცხელ ბრძოლაში.
გაიჭრა შუბით აღჭურვილი, გვამის გარშემო
ისე ბორგავდა, ვით ბოჩოლას გარშემო დედა,
5 ახალ მშობელი, პირველ შობის ვერ-მეცნიერი.
თავს ევლებოდა აგრერიგად მენელაოსი,
მრისხანედ ოროლს იღერებდა ფარშემართული.
მზად იყო სული ამოერთვა, ვინც შებედავდა.
მაგრამ პანთოსის ძლიერ ძესაც ომში ძლეული
10 პატროკლეს გვამი დიახაც რომ რამედ უღირდა.
მიუახლოვდა და შესძახა გმირ მენელაოსს:
„ზევსის ნაზარდო მენელაოს, მამაცთა მეფევე,
გამშორდი, დათმე სისხლიანი ჩემი ნადავლი!
ჩემამდე არვინ არც ტროელი, არც მოკავშირე
15 არ შეხებია შუბით ფიცხელ ომში პატროკლეს.
თავიდან მომწყდი, მამაყე ტროელთა შორის,
თორემ მიფრთხილდი, ტკბილ სიცოცხლეს გამოგასალმებ!“

რისხვით აენტო მენელაოს ქერათმიანი:

- „მამა ზევსს ვფიცავ, არ შეგშენის ასე ტრაბახი!
20 ამდენს ფოცხვერი არ ამაყოფს, ლომი ფიცხელი,
ან ტახი, რომელს უფრო დიდი ზიანი მოაქვს,
გული რომ უძგერს მძვინვარებით და ღონე ერჩის,
რამდენსაც ძენი იკვებნიან პანთოიდისა!
მაგრამ ვერ იხსნა სიჭაბუკემ ჰიპერენოროს,
25 როცა ამიკლო უტიფარი ლანძღვა-გინებთი.“

რას ყაყანებდა, აქაო-და ჯაბანი ხარო,
თუმც, ვგონებ, სახლში თვისი ფეხით აღარ წასულა,
ნორჩი ცოლის და შინაურთა გასახარებლად!
შენს ზვაობასაც მე დავაცხრობ, თუკი გაბედავ
30 მომიახლოვდე, მაგრამ გირჩევ, მაგ ბრბოში ჩქარა
შეყავი თავი! ნუ მეჩრები, ფეხზე გაასწარ
უბედურებას! უქკუოც კი ხელავს, რა ხდება!“

ასე თქვა.

მაგრამ კვლავ მიუგო მოყმემ პასუხად:
„ო, მენელაოს, ახლავ მიზლავ ძმის მოკვლის გამო!
35 ამაყობ კიდევ, გამწარებულ ქვრივად რომ დარჩა
ნორჩი დიაცი საქორწინო სამთიობოში,
ხოლო მშობლები უნუგეშო გლოვას მიეცნენ!
ო, უექველად მგლოვიარეთ ვესალბუნები,
თუ თავს მოგკვეთავ, სამკერდულებს აგაგლეჯ მკერდზე
40 და პანთოსს მივცემ და ღვთაებრივ ფრონტისს ვაახლებ.
მაგრამ აქამდე რად არ გვინდა, რომ შერკინებით
გაირკვეს ჩვენი სიმხნევე თუ უბადრუკობა?“

ასე წარმოთქვა და აძგერა მტრის ფარს ოროლი,
მაგრამ ვერ გაჭრა, გაელუნა გმირს შუბისწვერი.
45 მაშინ გაიჭრა წინ სპილენძით მენელაოსი,
ღკლო სასიკვდილო შუბი ეპყრა, ზევსს შეევედრა
რძში შეწვენას.

ყელში ჩასცა მტერს უკუქცეულს
და თან დააწვა, მძლავრი მკლავის ჰქონდა იმედი.
მყის გაირბინა ნაზი ყელი სასტიკმა რვალმა,
50 დაეცა მოყმე, აჟღერიალდა მძიმე ჯავშანი.
სისხლით მოირწყა თმა ლამაზი, ქარიტთა მსგავსად
კობტად შეკრული ვერცხლისა და ოქროს კავებით.
ზეთისხილის ხე, კაცის ხელით ნასათუთევი,
განმარტოებით მოჩუხჩუხე რუსთან ნებივრობს,
55 ხოლო რტოებით ველსა ფარავს,

სიო ნარნარი
წამოქოჩრავს და გააგრილებს სპეტაკფერიანს.

მაგრამ უეცრად ქარიშხალი შეეხეთქება,
ძირფესვიანად ამოძირკევას, დაახლის მიწას...
ასე პანთოსის ძე ევფორბოს მენელაოსმა
60 დასცა, დაამხო და ახადა აბჯარ-ბექთარი.

მთებში გაზრდილი და ამაყი ლომი როდესაც
მოიალალე ჯოგს მოსტაცებს უკეთეს ზროხას,
მაშინვე ყელში ეძგერება ბასრი კბილებით.
შემდეგ ნთქავს სისხლსაც, ცხელ შიგნეულს, ხარბად
ფლეთს სხეულს.

65 ირგვლივ ძაღლების წკავ-წკავია, და მოშორებით
ნადირს გლეხები უყივიან, მაგრამ წინ გასვლას
ვერაჟინ ბედავს, შიშისაგან წასვლიათ ფერი...
ასე ტროელნიც არ გაუშვა გულმა, რომ მედგრად
შერკინებოდნენ მენელაოსს, დიდებით მოსილს.

70 მალე საჭურველს წაიღებდა პანთოიდისა,
რომ მისი ჯიბრით შორსმოისარ უფალ აპოლონს
ჰექტორი, მსგავსი არესისა, არ გაეძრახა.
კიკონელთ მეფის მენტეს სახე მიიღო მაშინ
და ისე უთხრა ფოიბოსმა ფრთიანი სიტყვა:

75 „ჰექტორ, ამაოდ მისდევ ცხენებს ეაკიდისა,
მოუხელთებელთ.

სასტიკია მათი ბუნება,

ყველა კაცს, მოკვდავს, უჭირს მათი მართვა და დევნა,
გარდა უკვდავი დედის შვილის — აქილევსისა!

შენს აქ ყოფნაში ატრევსის ძემ მენელაოსმა,

80 როცა პატროკლეს გვამს იცავდა, ბოლო მოუღო,
დათრგუნა ძალა პანთოსის ძის, მძლე ევფორბოსის!“

თქვა და კვლავ ღმერთი მიუბრუნდა კაცთა საჯაფარს.
ჰექტორს კი დარდმა შეუეკუმშა მაშინვე გული.

გარშემო ლაშქარს გადახედა, უმაღლ შენიშნა

85 მოყმე საჭურველის მტაცებელი, სხვა მოყმეც, მიწას
უხმოდ განრთხმული, იარიდან მჩქეფარე სისხლი.
იქით გაიჭრა, აღჭურვილი ელვარე რვალით,
მოყიეინე და სწრაფი, როგორც ჰეფესტოს ცეცხლი.

ატრიდს შეესმა უმაღვე ხმა ომახიანი.

- 90 და კეთილშობილ გულში ფიქრი გაივლო გმირმა:
„ეჰა! ბექთარიც თუ დავთმე და პატროკლეს გვაშიც,
რომელმაც ჩემი ღირსებისთვის დათმო სიცოცხლე,
დამგმობს ყოველი დანაელი, ვინც დამინახავს!
თუ ჰექტორს დაეხვდი, რაკი ლტოლვა სამარცხვინოა,
95 და ტროელთ ლაშქარს, ერთს შემხვდება სიმრავლე

სპათა —

ზუჩმოელვარე ჰექტორს აქეთ მოჰყავს ტროელნი!
მაგრამ ამ ფიქრებს გული ტკბილი რად მისცემია?
ვინც ბედავს ღმერთის უნებურად ებრძოლოს მოყმეს
ღმერთის მიერ დაცულს, არ ასცდება უბედურება.

- 100 მე არ დამგმობენ დანაელნი, თუ ავერიდე
გმირთან შეხვედრას:

ღმერთის შეწევნით იბრძვის ჰექტორი!

თუ ვნახე სადმე აიანტი, სულმხნე, უშიშო,
ჩვენ კვლავ ვიფიქრებთ ფიცხელ ომზე. გინდ დაიმონი
დაგვიდგეს, ოლონდ მივასვენოთ პელიდთან გვამი!
105 ეს ჭირი უჯობს ჭირთა თმენას მასზე უარესს“.

როცა ეს ფიქრი გონებაში უტრიალებდა,
მოადგა მტერი, მოუძლოდა ტროელთ ჰექტორი.
გმირმა დატოვა მყის პატროკლე,

უკუქცეული

- მალ-მალ, ვით ლომი ფაფრიანი, მტერს მოხედავდა.
110 ერეკებიან ფარეხიდან ლომს გლეხკაცები
შუბით მისდევენ, ძალი ღრინავს და შეკუმშვია
მხეცს შიშით გული, უხალისოდ ტოვებს საშოვარს.
ასე მოშორდა ცხედარს გმირი მენელაოსიც.
მიუახლოვდა ხალხის კრებულს და იქ ეძებდა
115 მამაც აიანტს, ტელამონის ძეს კეთილშობილს.
მალე იხილა გმირი ლაშქრის მარცხენა მხარეს.
სადაც მხედრობას აქეზებდა მძაფრი ბრძოლისთვის,
თუმცა თავზარი დასცა მალლით აპოლონ ღმერთმა.
მიუახლოვდა გმირ აიანტს და მოუწოდა:
120 „აქეთ. აიანტ! ბრძოლა გვმართებს პატროკლესათვის,

ვინძლო აქილევსს დავუბრუნოთ თუნდაც შიშველი მისი ცხედარი, საჭურველი მძლე ჰექტორს შერჩა!“

ასე მიმართა, შეძრა სული აიანტისა.

გაიჭრა გმირი, თანვე გაჰყვა მენელაოსი.

- 125 ხოლო ჰექტორი, როს განძარცვა პატროკლეს გვამი, გმირს მიათრევდა, სურდა თავი მოექრა მისთვის და დასაფლეთად მიეჩინა ტროის ძალღათავის. მკერდზე კოშკივით შემართული ფარით აიანტ გამოეცხადა.

დაიხია ჰექტორმა უკან

- 130 და ეტლს შეახტა.

საჭურველი მეაბჯრეთ მისცა,

რომ სადიდებლად შეენახათ მისთვის ბექთარი.

ვეება ფარით აიანტმა გვამი დაფარა,

იღგა მრისხანე, როგორც ლომი, ბოკვერთა მცველი.

ლომს მიჰყვებიან ბოკვერები პირქუშ მუხნარში

- 135 და მონადირე რომ შეხვდება, თვალს დააკვესებს მძლავრი ნადირი, რისხვით შუბლი შეეჭმუხნება. ასე უვლიდა გარს აიანტ პატროკლეს ცხედარს, მეორე მხარეს მენელაოს ბრძოლისმოყვარე იღგა გუშაგად, სასტიკ დარდით გულდასერილი.

- 140 ლიკიელთ მეფემ, მძლე გლავკოსმა ჰიპოლოქიდმა გაკენწლა მწარე საყვედურით გმირი ჰექტორი:

„ჰექტორ, იერით გმირის მსგავსო, შენ გმირობისა არა გცხია რა! ამოდ გაქვს ხალხში სახელი!

რამე იღონე, რომ დაიცვა ციხე-ქალაქი

- 145 ილიონს შობილ ვაჟკაცებთან და ჯართან ერთად.

რაც შეეხება ლიკიელებს, არვინ ისურვებს

უმადურ საქმეს — შერკინებას დანაელებთან.

აბა, რა გვერგო ყოველდღიურ ბრძოლის სანაცვლოდ?

რას წაადგები, უბადრუკო, უბრალო მებრძოლს,

- 150 თუ სარპედონი, სტუმარი და ძმობილი შენი,

ასე ვაგლახად არგიველებს ომში დაუთმე?

მან ხომ ტროისთვის და შენთვისაც გაიღო ბევრი,

შენ კი ძალებიც ვერ განდევნე მისი ცხედრისგან!

- თუ ჭერ კვლავ სჭერა ლიკიელთა მხედრობას ჩემი,
 155 შინ გავაბრუნებ: ახლოვდება ტროის დაცემა!
 ტროელთ რომ სული შერჩენოდათ, სული, რომელიც
 მოყმეთ აღანთებს დასაცავად სამშობლო ქვეყნის,
 აატანინებს ბრძოლისა და შრომის სიმძიმეს,
 პატროკლეს მალე წავათრევდით ილიონისკენ!
 160 რომ შეგვძლებოდა პრიამოსის ციხეში წაგვრა
 ბრძოლის დროს ხელში ჩაგდებული პატროკლეს გვაჩის,
 არგიველები სარპედონის თორნს დაგვიტოვებდნენ.
 თვით მის სხეულსაც მივიტანდით ტროის ციხეში,
 რადგან დაეცა აქილეუსის გმირი მსახური,
 165 არგიველთ შორის უჩამაცეა სპათა ბელადი!
 შენ კი აიანტს შებრძოლება ვერ გაუბედე,
 აუთრთოლებლად ვერც ძეხედე მოყმეს თვალებში!
 სხვა რა გზა გქონდა. ის ხომ შენზე ბევრად მხნე არის!“
 გმირმა მრისხანედ შემოხედა და თქვა პასუხად:
 170 „გლავკოს, უჭკუოდ რასაც ამბობ, ისა ხარ შენცა!
 დღემდე მეგონა, საყვარელო, აჭარბებ ჭკუით
 ყველას, ვინც ცხოვრობს ვრცელ ლიკიის სამეფო მხარეს,
 ახლა კი ჭკუას ვერც მოგკითხავ!

ეს რა მითხარი!

- შენ ამბობ, თითქოს, ვერა ვბედავ შევხვდე აიანტს?
 175 ცხენტა თქარუნის, მტერთან შებმის შიში როდი მაქვს,
 მაგრამ კაცის აზრს ბევრად სჭარბობს განსჯა ზევსისა:
 ის აკრთობს მამაცს, უკან სტაცებს მოყმესაც ძლევას.
 რომელსაც თვითონ წააქეზებს შესარკინებლად.
 მოყმევ, ძვირფასო, დადექ გვერდით და ნახე საქმე:
 180 მთელი დღე მფრთხალი თუ ვიქნები, როგორც შენ ამბობ,
 თუ რომელიმე გმირ დანაელს დაუუცხრობ გზნებას,
 პატროკლეს ცხედრის დასაცავად შუბმოღერებულს!“

ასე თქვა, ტროელთ ასაგზნებად დასქექა ხაფად:

„ტროელებო და ლიკიელნო, მძლენო დარდანნო!

- 185 იყავით კაცნი, გაიხსენეთ ზნე სამამაცო!

შევიმოსები მეც პელიდის აბჯარ-ბექთარით,

ხელთ რომ ჩავიგდეს; როს დავამხე პატროკლეს ძალა!“

- ასე წარმოთქვა და დატოვა ბრძოლა ფიცხელი
ზუჩმოელვარემ, გაეკიდა თავის მებაჯრეთ,
190 ჯერ ვერ მოესწროთ მათ შორს წასვლა, წამოეწია,
ილიონისკენ რომ მიჰქონდათ პელიდის თორნი.
ბრძოლის ველიდან მოშორებით იცვლიდა ბექთარს.
თვისი მოიხსნა, გაატანა ტროის ციხისკენ,
შემდეგ აისხა იარაღი გაუცვეთელი —
195 აქილევსისა, ღმერთებმა რომ ოდესღაც მისცეს
ჯილდოდ მამამისს

მან აჩუქა შვილს, მაგრამ შვილსა
ალარ ელირსა დაბერება მამის აბჯარში...

- ღრუბელთმარეკმა ზევსმა როგორც კი დაინახა
გმირი ღვთაებრივ აქილევსის აბჯარ-ბექთარში,
200 გადაიქცია სინანულით თავი და ბრძანა:
„ეჰ, შე საბრალოვ, შენი სული არცა გრძნობს სიკვდილს
მოახლოვებულს!

შემოაილხარ უკვდავ საჭურჭლით
ძლიერი მოყმის, ვის წინაშეც თრთის გმირი ყველა!
შენ მას დაუმხე სულდიდი და მხნე მეგობარი,

- 205 აბჯარ-ბექთარი ააგლიჯე გმირს უდიერად...
მაცრად გარგუნე ახლა ძლივას იზის სანაცვლოდ,
რომ შუბ-ფარ-შიშწერს ვერ მიიღებს აქილევსისას
შენი ხელიდან ანდრომაქე, შინ რომ მიგელის“.

- ეს თქვა და კვერი დაჰკრა შავი წარბების დახრით.
210 ჰექტორს მოერგო საჭურველი.

ჩასახლდა გულში

შმაგი არესი.

გმირს სახსრები სიმხნით აღევსო
და სიმამაცით.

სპას ეჩვენა მოკავშირეთა,
ომახიანი შეძახილით, სულდიდ პელიდის
შუბ-ფარ-შიშწერის ელვარებით სპა გაამხნევა

- 215 და წინამძღოლებს მიაგება ფრთიანი სიტყვა —

მესთლეს, და გლავკოსს, და გმირ მედონტს, და
თერსილოქოსს,

ასტეროპეოსს, დეისენორს და ჰიპოთოოსს,
ფორკისს, ქრომიოსს და ენომოსს — ჩიტებზე მჩხიბავს,
მათ ალაგზნებდა გმირთა-გმირი ფრთიანი სიტყვით:

- 220 „ისმინეთ, სპანო უთვალავნო და მეზობლებო!
რად მჭირდებოდა ხალხთმრავლობა, განა ამისთვის
გიხმეთ შორეულ გზებიდან და ქალაქებიდან!?
მსურდა, ცოლები ტროელების და უცოდველნი
ჩვილნი დაგეცვათ ომის მსურველ აქაველთაგან!
- 225 ამ აზრით, დიდძალ საზღოსა და საზრდოს გალებით
ჩემს ხალხსა ვფიქრებ, რომ სიმტკიცე ამალღდეს თქვენი.
მაშ, მტერს შეეებით! თავი დასდოს ყველა თქვენგანმა,
ან ბრძოლით იხსნას თავი თვისი! ეს მართებს მებრძოლს!
ვინც მოახერხებს დაითრიოს პატროკლეს გვამი
- 230 და ვინც აიანტს ბრძოლით უკან დაახევინებს,
მიიღებს ნადავლს, სანახევროდ ჩემთან გაყოფილს
და იამაყებს ამ ღიდებით ჩემთანვე ერთად!“

თქვა და მიაწყდნენ დანაელებს შუბშემართულნი,
ამაყ იმედით ავსებოდათ გული მეომრებს,

- 235 რომ წაართმევდნენ ტელამონიდს პატროკლეს ცხედარს.
უგუნურები! ბევრს ზედ გვამთან ახადა სული!
მტერს რომ შეხედა, მენელაოსს მიმართა გმირმა:
„ზევისს აღზრდილო მენელაოს, ასე მგონია,
ველარ გავასწრებთ აწ ცოცხალნი ბრძოლის ველიდან!
- 240 ახლა მაშფოთებს უფრო არა პატროკლეს გვამი, —
მალე რომ ძალთა და ყორანთა გახდება ხვედრი, —
არამედ ჩემი თავი მიჭირს, შენც არ აგცდება
უბედურება.

ბრძოლის ღრუბლით ფარავს ჰექტორი
ირგვლივ ყველაფერს.

ჩანს. დაღუპვა გარდუვალა!

- 245 უხმე დანაელთ, გააგონო ვინძლო ძახილი!“

დაემორჩილა მენელაოს კეთილშობილი,
ხმამაღლივ უხმო დანაელებს დასახმარებლად:

„ო, მეგობრებო, არგიველთა თემისთავებო!
ავამემნონს და მენელაოსს სტუმრად სწვევიხართ
250 და ერთად გისვამთ,

ქვეშევრდომებს მართავთ სვიანად,
მალლით ზევსისგან მოგცემიათ ძალა-უფლება!
ახლა არ ძალმიძს მეთაურნი ვიცნო ლაშქართა,
ბრძოლის ქარცეცხლი ჩვენს გარშემო მძაფრად

გოზგიზებს!

თვითონ იქჴარეთ ყველამ აქეთ, აღივსეთ რისხვით,
255 ნუ გახდით ძალღმრთე სათამაშოდ პატროკლეს ცხედარს!“

მისი ხმა ესმა მარდ აიანტს, ოილეცის ძეს,
ყველას დაასწრო, გაირბინა მყის სარბიელი.
იღომენევის მოჰყვა, მოყმე იღომენევის —
მხნე მერიონე, კაცთა მმუსგრელ არეისის ტოლი.
260 სხვათა სახელებს, მომღვენოთა, ვინ დაიხსომებს,
ვინც განაახლა დანაელთა ბრძოლა მედგარი?

პირველად ტროელთ შუეტეის და მხნე ჰექტორმა.
კრონიდის აღძრულ მდინარეთა შესართავებთან
უზარმაზარი აგორდება ზვირთი და ღმუის,
265 ზღვა კი ნაპირებს მოახეთქებს ტალღათა ბორცვებს.

ტროელთ ასეთი ღრიანცელი ატეხეს, მაგრამ
ერთსულოვანნი აქაველნი იცავდნენ ცხედარს
რვალის ფარებით მოჯარულნი, მალლა, მათს ზემოთ
ელვარე ზუჩითა ირგვლივ ზევსმა ღამე დაღვარა:
270 არასდროს გმირი მენეტიდი არ სძულებია,
სანამ სუნთქავდა და ერთგულად შველოდა პელიდს.
ღმერთს როდი სურდა ტროის ძალღმრთე კერძად ექცია
და მეგობარნი მიაშველა გმირს დასაცავად.

თვალგაძქრიახი აქაველნი დასძლიეს ტროელთ,
275 დაათმობინეს გვამი, მაინც კანდნიერებმა
ვერვინ განგმირეს, თუმც მგზნებარე ჟინით ებრძოდნენ.
ცხედარს მიეჭრნენ, მაგრამ იგი დიდხანს აქაველთ
არ დაუთმიათ:

მოაბრუნა მყისვე ლაშქარი

მძლე აიანტმა, იგი თვისი სახით და საქმით
280 ყველა დანაელს ამეტებდა, პელიდის გარდა.
მეწინავეებს დაერია.

მღევარს რომ ტახი
მოუბრუნდება, ძაღლებსა და მონადირეებს
უსიერ ტევრში კისრისტეხით მიფანტ-მოფანტაქს.
ასე იოლად აიანტმა ტელამონის ძემ

285 ტროელთა ხშირი ფალანგები არივ-დარია.
ისინი უკვე შემორტყმოდნენ პატროკლეს ცხედარს,
სურდათ დიდება მოეხვეჭათ და გაეტაცათ.
ჰიპოთოოსი, ლეთოსის ძე, პელაზგი გმირი
სარბიელიდან მიათრევდა გვამს აჩქარებით,

290 კოჭებთან ახლოს მოეჭირა ღვედი მაგარი,
რომ ჰექტორისთვის, ტროელთათვის ეამებინა.
მაგრამ მოვიდა სიკვდილი და ვერ იხსნა ვერვინ,
ტელამონის ძემ მის მიერვე გახლეჩილ ბრბოში
ცხედარს წააკლა, შუბი დაჰკრა რვალის მუზარადს,

295 გააპო ზუჩი შუბისწვერმა ხშირფაფრიანი,
მძლავრმა ხელმა და რვალმა მოყმეს მოულო ბოლო,
ტვინი ბუნეკზე სისხლიანი ჩამოიღვენთა,
დაკარგა ძალა, ათრთოლებულ ხელიდან გვამი
დაბლა დაუშვა, დაუცურდა და ადგილზევე

300 პირქვე დაემხო ჰიპოთოოს — მკვდარი მკვდრის გვერდით.
შორს მშობლიური ლარისადან.

უბედურ მშობლებს
ველარ მიუზლა შრომის ფასი.

მისი სიცოცხლე

მოკლე გამოდგა, აიანტის შუბით დაშლილი.

ამ დროს ჰექტორმა მოუღერა აიანტს შუბი,
305 დროზე შენიშნა, რვალი გმირმა ძლივს აირიდა.
მაგრამ მოიწყლა სქედისი, იფიტოსის ძე.
ფოკეელთ მეფე, სახელოვან პანოპეში რომ
ჰქონდა სასახლე, მბრძანებლობდა მრავალ ქვეშევრდომს.
ლავიწის ძვალთან მოხვდა შუბი, რვალმა კისერში

310 გაატანა და შუბისწვერმა მხარი გააპო.
ზათქით დაეცა, აზრი აღდა ტანზე ჯავშანი.

მძლე აიანტმა დასცა ფორკის, ფაინოპსის ძეს
შუბი მუცელში, როს იცავდა ის ჰიპოთოოსს.
თორნი გააპო, გამოყარა შუბმა ნაწლავი.

- 315 მოყმე განრთხმული ჩააფრინდა ხელებით მიწას.
ილტვოდა რაზმი მეწინავე, გმირი ჰექტორიცი.
იხუვლა ჯარმა არგიველთა და გაიტაცა
ჰიპოთოოსი და ფორკისი.

ახადეს თორნი.

- 320 ბრძოლის მოყვარე აქაველებს მალე ტროელნი
გაეცლებოდნენ, დათრგუნვილნი სულის სიმდაბლით,
ღმრთის უნებლიეთ არგიველნი ძლევასა ყოფდნენ
ძალმიცემულნი, მაგრამ ამ დროს აპოლონ ღმერთმა,
მათზე გამწყრალმა, პერიფანტის სახე მიიღო —
ეპიტოსის ძის, ენეასის მხცოვან მამასთან

- 325 მაცნედ ყოფილის, დღეს მოხუცის და თვინიერის.

ასე ეახლა ენეასს და მიმართა ღმერთმა:

„როგორ შეგეძლოთ ილიონი ვეხსნათ, ენეას,
თუნდაც ღმერთების უნებურად, როცა არ გავხარო
მე რომ მინახავს, იმ ვაჟკაცებს, ძალგულოვანებს,

- 330 მცირერიცხოვანთ, შიშს რომ გულში არ იკარებდნენ!
ჩვენ უფრო გვწყალობს მამა ზევსი, ვიდრე აქაველთ,
მაგრამ თქვენ ბრძოლას გაქცევიხართ, თრთით

საწყალობლად!“

მაშინვე იცნო ენეასმა, როს აპოლონის
თვალებს შეხედა.

მყის ხმამალა შესძახა ჰექტორს:

- 335 „ჰექტორ! ბელადნო ტროელთა და მოკავშირეთა!
გრცხვენოდეთ, რომ კვლავ აქაველებს ბრძოლისმოყვარეთ
სულის სიმდაბლით დათრგუნვილნი აქ ვემალებით!
თვით ღმერთმა ბრძანა, — ჩემს წინ იდგა იგი ახლახან, —
ზევისი უბრძნესი კვლავ იქნება კეთილმოწყალე!
- 340 პირისპირ შევხვდეთ დანაელებს! დე, მტრებმა მშვიდად
ვერ მიასვენონ ხომალდებთან პატროკლეს გვამი!“

თქვა და გაიქრა, წინ ჩაუდგა მხედრობას გმირი.
ტროელნიც მიჰყვნენ, აქაველთა პირისპირ დადგნენ.

- ოროლით დასცა ენეასმა ლეიოკრიტოს,
 345 არისბანტოსის ძე, ძმობილი ლიკომედოსის.
 ლიკომედოსი სიბრალულით მივიდა მასთან,
 გვერდით დაუდგა, მოელვარე ოროლი სტყორცნა:
 აპისაონტი, ჰიპასოსის ძე დაჭრა მძიმედ,
 ღვიძლში, გულს ქვემოთ.
 დაუმსხვრია ფეხები ვაჟკაცს.
- 350 ვინც პეონიის აყვავებულ ველ-მინდვრებიდან
 ტროას მოვიდა, ბრძოლის ველზე გაბრწყინვებული.
 ასტეროპეოსს შეებრაღა მოკლული მოყმე
 და შეეტაკა დანაელებს მოსურნე ბრძოლის.
 ამაო იყო სიმამაცე!
 ფარებს, ვით კედელს,
- 355 პატროკლეს ირგვლივ შუბოსანნი ეფარებოდნენ.
 დასტრიალებდა აიანტი, სპას ამხნევებდა,
 უშლიდა თუნდაც ერთი ბიჯით უკან დახევას,
 თუნდ ერთი ბიჯით წინ გაჭრასაც მტრის შესახვედრად
 არ მოსცილდეთო მოკლულ მოყმეს, აქ იბრძოლეთო ...
- 360 ასე ამბობდა აიანტი, მიწა კი სისხლით
 კვლავ ივსებოდა.
 ზედახორა იდგა გვამების
 როგორც ტროელთა. ისე მამაც მოკავშირეთა.
 ვერც დანაელნი გადაურჩნენ ბრძოლას უსისხლოდ,
 მაინც ნაკლებად იმსხვრეოდა მათი რიგები,
- 365 მიწყვი ზრუნავდნენ ერთმანეთის გადასარჩენად.
 ბრძოლა, ვით ცეცხლი, გიზგიზებდა, კაცი იტყოდა —
 ცის თალზე, ალბათ. მზეც და მთვარეც დაილიაო,
 ისეთ უკუნეთს დაეფარა ველზე გმირები,
 რომელნიც მედგრად მენეტიდის ცხედარს იცავდნენ.
- 370 სხვა ტროელთ, ლამაზლეკვერთხიან სხვა აქაველებს
 ბრძოლის ასპარეზს უნათებდა შუქი ელვარე.
 მზე იღვრებოდა, ქედზე ღრუბლის ფთილა არ ჩანდა,
 დროგამოშვებით ისვენებდა ორივე ლაშქარი.
 იოლიც იყო შორით ნასროლ ისრის აცდენა.
- 375 აქ კი, შუაში, წყვდიადსა და ჭაპანწყვეტაში

ზწყალოდ ჟლეტდა მამაც მოყმეთ რვალი მსახვრალი.
არც გაუგია ორ აბჯროსან და სვიან ვაჟეკაცს —
გმირ ფრასიმედეს, მის უბადლო ძმას ანტილოქოსს,
რომ აღარ იყო აწ პატროკლე!

მათ კვლავ ეგონათ

- 380 ამაყ ტროელთა მეწინავე ფალანგს მუსრავსო.
ორივ ცდილობდა აცდენოდა მოძმეთ ვაება,
ცალკე იბრძოდა, როგორც უთხრა მამა ნესტორმა,
როცა ვაჟები ხომალდიდან ომში გაუშვა.
ტოლს არ უდებდნენ ერთურთს სპანი ბრძოლაში იმ დღეს.
- 385 ხვითქი სდიოდა და სულ მტვერში ამოეგანგლა
მუხლი, წვივები და ფეხები ყოველ მეომარს.
ხელი დააწყდა შერკინებით, ვინც კი იბრძოდა
იმ დღეს ფეხმარდი ეაკიდის მეგობრის გამო.
გეგონებოდა, კაცს ძლიერი ჭაბუკებისთვის
- 390 მიუციაო გასაჭიმად ტყავი მოზვრისა;
ყველა თავისკენ ექაჩება ყოველი მხრიდან,
სითხე მოწვეთავს, ცხიმი დნება თანდათანობით
და ფართოვდება ტყავი ამდენ გაწამაწიით.
ასევე აქეთ, მერე იქით პატროკლეს ცხედარს
- 395 ხან ესენი და ხან ისინი ეჭიდებოდნენ.
ტროელთ იმედი ჰქონდათ, ტროის მხარეს წაგვრისა,
აქაველთ — სწრაფი გემებისკენ.

ცხედრის გარშემო

- დუღდა ბრძოლა და ვერც არესი, კაცთა აღმგზნები,
ვერცა ათენა წუნს ამ ბრძოლას ვერ დაუდებდა,
400 ისეთი ჟლეტა გააჩალა პატროკლესათვის
ღიაღმა ზევსმა.

ხოლო ამ დროს მოძმის სიკვდილი
როდი უწყოდა აქილევსმა, უკვდავთ სადარმა.
სპა, აქაველთა ნავ-ხომალდებს დაცილებული,
ტროის ციხესთან მტერს ებრძოდა.

არც უფიქრია

- 405 მოყმის დაცემა: ილიონის ბჭესთან მისული
მობრუნდებო.

ისიც სწამდა, რომ ტროის ციხეს

უმისოდ გმირი ვერ დაძლევედა, ვერც მასთან ერთად.
დედისგან ხშირად ეს სმენია; იღუმლად პირმშოს
ანღობდა ზევსის განჩინებას ხოლმე ქალღმერთი.

410 მაგრამ არ უთხრა, რაც ელოდა ყველაზე მწარე:
გულით საყვარელ ძმადნაფიცის დასამარება.
ლაშქარი კვლავაც აწყდებოდა გვამთან მტრის ლაშქარს,
შუბზემართული და მუსრავდა მებრძოლს მებრძოლი.
ბევრი ამბობდა აქაველი, მოსილი რვალით:

415 „ო, მეგობრებო! სირცხვილს ვერ ვჭამთ უკუქცეულნი,
დაე ადგილზე წკვარამმა და მიწის წიაღმა
თან ჩაგვიტანოს!

უამესად მივიჩნევთ სიკვდილს,
ვიდრე ცხენ-რაშით მორკინალი ტროელის მიერ
გვამის წაგვრას და მტრის შემკობას დიდების შუქით!“

420 ბევრი ამბობდა გულზეიადი ტროელიც მაშინ:
„ძმებო, თუნდ გავწყდეთ უკანასკნელ კაცამდე ყველა,
ფეხსაც არ გადგამს არცერთი ყრმა ბრძოლის ველიდან!“
ასე ამბობდნენ და მეგობრებს სულს აღუგზნებდნენ.
მედგრად იბრძოდნენ და ილეკროს გრგვინვა ისმოდა,

425 ხმა სპილენძის ცას ასკდებოდა ეთერის გავლით.
ბრძოლის ველიდან შორს პელევსის ძის ბედაურნი
ცხარედ ტიროდნენ, რაკი იგრძნეს, მათი მხედარი
ჰექტორის ხელით განგმირული ეგდო მიწაზე.
ლიორესის ძე, ომნაცადი ავტომედონტი

430 მათრახსა სცემდა, საალერსოს ბევრსაც ეტყოდა,
ხან კი მრისხანედ ყუჩინებდა სრბოლის მოსურნე.
მაგრამ არც ზღვისკენ, ბანაკისკენ, ჰელესპონტისკენ,
არც აქაველთა მხედრობისკენ მიმართეს გეზი.
როგორც ყორღანზე აღმართულა სვეტი უძრავად —

435 ვაჟკაცის ძეგლი ან დედოფლის მოსაგონარი,
ისე მშვენიერ ეტლში იდგნენ გაშეშებულნი,
ქედდადრეკილნი. დასდიოდათ ცრემლი მხურვალე
პირქუს მიწაზე წვეთ-წვეთობით.

გლოვობდნენ მხედარს.

მამაც პატროკლეს.

გადმოღვროდათ ხშირი ფაფარი

440 უღლის რკალიდან.

დაფარვოდათ მიწით ფლოქეები.

მწუხარე რაშნი შეეწყალა ზევსს, სინანულით

სულთქნა და თავი გაიქნია, გულში გაივლო:

„ვაგლახ, ბედკრულნო, რად მიგეცით თემისთავს პელევსს,
მოკვდავს რად ერგეთ უკვდავნი და უბერებელნი?

445 განა რომ გეგრძნოთ დარდი ბედშავ ადამიანთა?

ადამიანზე უბედური არა არის რა

ქვეყნად არსება მშვინვიერი, მიწად მეთრევი.

მაგრამ ნუ დარდობთ: თქვენ ბრწყინვალე ეტლში ჰექტორი
ვერ გაგაჭენებთ მოზეიმე, მე არ მსურს ესა!

450 განა არ კმარა აქილევის აბჯრით რომ ზვაობს?

მუხლში ჩაგიდგამთ ძალასა და გულში — სიმტკიცეს.

ავტომედონტი გააშორეთ ბრძოლას უვნებლად.

ხოლო ტროელებს მივანიჭებ ისევ დიდებას,

დე, მოსპონ სპანი, სანამ მივლენ ნავ-ხომალდებთან.

455 მაშინ მზეც ჩაფა და წყვილიადი დადგება ლამის“.

ბრძანა და ცხენებს უძლეველი ძალა შთაბერა.

მათ შეიფერთხეს ძირს დათრეულ ფაფარზე მტვერი.

მყის გააქროლეს სწრაფი ეტლი ორ ლაშქარს შორის.

ავტომედონტი მეგობარზე დამწუხრებული

460 მტრის ბედაურებს დაერია, ვით ქორი ღერღეტს.

სწრაფად ილტვოდა გაშმაგებულ ტროელთ ლაშქრიდან,

სწრაფად მისდევდა უკუქცეულ ტროელთა ლაშქარს.

მაგრამ მდევარი დევნილს ველარ ერკინებოდა:

დიდებულ ეტლზე მარტო შთენილს როდი შეეძლო

465 შუბიცი ეტყორცნა, მოეთოკა მარდი ცხენებიც.

ამ დროს შენიშნა მეომარი ალკიმედონტმა —

აიმონიდი ლაერკევსის შვილმა უებრომ.

მიუახლოვდა და შესძახა ქველ ავტომედონტს:

„ავტომედონტო, ღმერთთა შორის ამოა რჩევა

470 რომელმა მოგცა და წაგართვა აზრი მართალი?

ტროელთ რად ებრძვი მარტოხელა?

მოდძე მოგიკლეს,

მისგან ახსნილი აბჯრით ზეაობს გმირი ჰექტორი,
მკერდზე აუსხამს ეაკიდის მძლე საჭურველი!“

მოხედა, უთხრა დიორიდმა ავტომედონტმა:

475 „აჭაველთ შორის, ალკიმედონტ, შენებრ ვის ძალუძს
უკვდავ მერანთა მოთოკვაც და გამძვინვარებაც?

სანამ ცოცხლობდა, მენეტიდი მხედრის ხელობით
ღვთის ტოლი იყო, მაგრამ სიკვდილს ვერ კი გაექცა!

მოდო, ხელთ იპყარ, საყვარელო, ცხენთა სადავე,

480 მე ეტლს დავტოვებ, რომ მძვინვარედ მტერს შევერკინო!“

ასე თქვა.

ეტლზე შედგა მყისვე ალკიმედონტი,
მათრახს, სადავეს მძლავრი ხელი ჩასჭიდა გმირმა,
ეტლი დატოვა დიორიდმა.

ამ ღროს ჰექტორმაც

შენიშნა მტრები.

ახლოს მებრძოლ ენეასს უთხრა:

485 „ენეას, რვალისლეკვერთხიან ტროელთ მრჩეველო!

მე ვხედავ ცხენებს ფეხმარდ მოყმის — ეაკიდისა
კვლავ ბრძოლის ველზე! მაგრამ მხდალი მხედრები ახლავს.
ვგონებ ხელთ ვიგდო, თუ შენც გული მიგიწევს მათზე.

მჯერა, თუ ორივ მიყსეულად თავს დავატყდებით,

490 ვირ გაბედავენ გადაგვიდგნენ და შეგვებრძოლონ!“

თქვა და ირწმუნა მისი სიტყვა ანქისეს შვილმა:

ჯიქურ გაიჭრა, ხბოს ტყავები მკერდზე იფარა,

მშრალი ტყავები, დაფარული უხვად სპილენძით.

გაჰყვნენ ქრომიოს, არეტოსი, ტანად და თვალად

495 ღმერთთა სადარნი.

გულს იმედი ეფონებოდათ —

მტერს მოესპობთ, ცხენებს წავასხამთო ქედმოღერებულთ.
ვაგლახ, უგნურნი! მტერს უსისხლოდ რას ასცდებოდნენ!

ავტომედონტმა ის-ის იყო ზევსს შეღალადა,
რომ სიმამაცით და მხნეობით აევსო გული.

500 ერთგულ მეგობარს ალკიმედონტს მიმართა შემდეგ:
„ო, ალკიმედონტ, შორი-ახლო გყავდეს ცხენები,
ზურგს უკან ვგრძნობდე მე მათ ფშვინვას.

ახლა კი მჯერა —

ველარ დაცხრება გმირი ჰექტორ გავეშებული,
სანამ პელიდის შმაგ ცხენებზე არ ამხედრდება,
505 როცა ჩვენ მოგვსპობს! ვიღრე მწკრივებს არ დაშლის
ჩვენსას,
ან ვიღრე თვით არ დაიშლება მწკრივთა წინაშე!“

შემდეგ მიმართა მენელაოსს, ორთავ აიანტს:
„არგიველთ მწყემსნო აიანტო და მენელაოს!
სხვა კეთილშობილ გმირებს ანდეთ ზრუნვა ცხედარზე,
510 მედგრად იცავდნენ, მტრის წინ ფეხსაც არ მოიცივლიან
ხოლო ჩვენ, ცოცხლებს, აგვაცილებთ ბედის მუქარა!
საზარელ ხვედრით დათრგუნვილებს გმირი ჰექტორი
და ენეასი თავს გვესხმიან, უმამაცესნი
ტროელთა შორის.

ო, გაფრინდი ჩემო ოროლო,
515 ხოლო დანარჩენს თვით გადაწყვეტს ღრუბელმარეკი!“

თქვა და ძალუმად სტყორცნა შუბი გრძელჩრდილიანი,
არეტოსს მოხვდა ბაკმულ ფარში,

ვერ დააკავა
ფარმა სპილენძი, გაიარა რვალმა ქამარიც
მოზარნიშული, მშვენიერი, მუცელში ჩარჩა.
520 როცა ჭაბუკი ცულს მოიქნევს და რქების შუა
ნაიალადარ ხარს გაუპობს თავს, გადაუჭრის
ძარღვებს, შეხტება მოზვერი და დაენარცხება.
ასევე შეხტა მოწყლული და დაეცა პირქვე,
შუბი შეირხა მუცელში და მოუსპო ძალა.

525 ჰექტორმა სტყორცნა ავტომედონტს ელვარე შუბი,
მან კი შენიშნა და გაექცა რვალის მუქარას,
წინ დაიხარა, მის თავს ზემოთ გადაფრენილი

- მიწას ჩაეჭდო შუბი, ბოლო უცახცახებდა,
 სანამ არ დაცხრა მძვინვარება შმაგი არესის.
- 530 ხმალდახმალ გმირნი ერთუროს კიდევ შეებმებოდნენ,
 რომ აიანტებს მათი ბრძოლა არ ჩაეშალათ.
 მტერი აჩეხეს და მოიჭრნენ მეგობრის ხმაზე.
 მოსულთა რიდით დაიხიეს გმირმა ჰექტორმა
 და ენესმა, ქრომიოსმა — სადარმა ღმერთის.
- 535 არეტოს იქვე მიატოვეს მკერდგანგმირული,
 მიწას განრთხმული.

ავტომედონტ ძალისმხმეველმა,
 ახადა მოკლულს საჭურველი და თქვა ზეიმით:
 „ეჰ, ოდნავ მაინც გადავიგდე გულიდან დარდი
 პატროკლეს გამო, თუმცა ბევრად სუსტი განვგმირე!“

- 540 თქვა და ისროლა სისხლიანი ნადავლი ეტლში,
 ზედვე ავიდა თვითონ.

სისხლით იყო მოთხვრილი,
 ვით შმაგი ლომი, ახლახან რომ მოკლა კანჯარი.

პატროკლეს ირგვლივ კვლავ განახლდა საზარი ბრძოლა,
 მრავლის მომწყველელი.

- 545 რომელიც ზეცით მოავლინა ღრუბელთმარეკმა
 დანაელთ შემწედ: მოუბრუნდა ზევსს მათზე გული.
 გეგონებოდა, ცისარტყელა ზევსს სისხლისფერი,
 მოუვლენია სასწაულად, ნიშნად ომისა,
 ანდა ტაროსის, მხენელ-მთესველებს რომ აიძულებს
- 550 დატოვონ ყანა, ჯოგს წაუხდენს ხოლმე გუნებას.
 იმასა ჰგავდა მეწამული ღრუბლით მოსილი
 ზევსის ასული.

- აქაველთა სულს ალაგზნებდა.
 პირველად უთხრა ატრევსის ძეს, მხნე მენელაოსს,
 ყველაზე ახლოს რომ აღმოჩნდა მფარველ ქალღმერთთან,
- 555 ღმერთს ჰქონდა სახე ფოინიქსის და ხმა ძლიერი:
 „სირცხვილი გელის, მენელაოს, და საუკუნო
 თავლაფის დასხმა, თუ პელიდის ერთგულ მეგობარს

ტროელთ ციხესთა დაძიძგნიან მარდი ძალღებო
მედგრად დაჰკარი ეა აღძარი მთელი მხედრობა!“

560 მყისვე მიუგო მძლე მებრძოლმა მენელაოსმა:
„მამავ ფოინიქს, დიდი ხნის წინ შობილო! ნეტავ,
მომცეს ათენამ მკლავის ძალა, მიხსნას შუბისგან!
მზად ვარ დავიცვა იარაღით პატროკლეს გვამი,
სული შემიძრა ერთიანად მისმა სიკვდილმა!

565 მაგრამ, ვით ცეცხლი, შმაგობს ჰექტორ, ბასრი
სპილენძით
სპობს ყოველივეს, განადიდებს გმირს თვითონ ზევსი!“

ეს რომ თქვა, გულში სიხარული იგრძნო ათენამ,
რაკი მლოცველმა იგი იხმო პირველად შემწედ.
სიმტკიცე მისცა მის მხარ-მკლავებს და მუხლებს — ძალა,

570 გული აუვსო მოყმეს ბუზის კადნიერებით:
კაცმა რომ ბევრიც აუქშიოს, ბუზი აბეზრად
ისევ საკბენად ეტანება — სწყურია სისხლი.
ატრიდის გულიც სავსე იყო გამბედაობით.
მიიჭრა გვამთან მენეტიდის, სტყორცნა ოროლი.

575 ტროელთა შორის იყო პოდეს, ეტიონის ძე,
ერთი მდიდარი და სვიანი კაცი,

ჰექტორის

მეგობარი და მეინახე, ამოდ მთხრობელი.
ამ კაცს, გაქცეულს, მენელაოს ქერათმიანმა
შუბი მოარტყა, გაატანა სარტყელში რვალი.

580 დაცემულს უმაღ ხელი სტაცა და გაბედულად
ტროელთა ბრბოდან მარტოდმარტომ გამოათრია.
გამოეცხადა ამ დროს ჰექტორს თვით აპოლონი,
სახე მიელო ფაინოპსის, ასიადისა,
აბიდოსელის, გულითადი მისი მეგობრის.

585 ასე მიმართა აპოლონმა შორსმოისარმა:
„ჰექტორ, სხვა უფრო ვინ შეგაკრთობს აქაველთაგან,
თუკი გაშინებს, გაცახცახებს მენელაოსი?
იგი აქამდე სუსტი იყო, ახლა კი მარტო

ტროელთა გვამებს მიაჩოჩებს!

მაგან მოგიკლა

590 მოძმე პოდესი, მეწინავე, ეტიონის ძე!“

ეს რომ გაიგო, გმირს მოედო დარდის ღრუბელი.
მედგრად გაიჭრა, იღერებდა ელვარე სპილენძს.
ამ დროს აიღო აიგიდა ზევსმა,

ალივით

ალამპრებული, მოახვია იდას ღრუბლები,
595 ერთი იქექა, დაიგრგვინა მეხისმტყორცნელმა,
ტროელებს ძლევა, აქაველებს ლტოლვა არგუნა.

მედგრად იბრძოდა პენელეოს, ბეოტიელი.
ბეკში დაჭრილი მაინც მიწყყე წინ მიიწევდა,
მაგრამ სხეული გაუჩეხა ბოლოს ძვლებამდე
600 პულიდამანტის იარაღმა ხელჩართულ ომში.
ლეიტოს ხელში შუბის დაკვრით დაჭრა მტევანთან —
ალექტიონის ძე, ჰექტორმა დაუცხრო გზნება.

ისიც გაიქცა, უკან შიშით იხედებოდა,
შუბის იმედი აღარ ჰქონდა და მტერთან ბრძოლის.
605 იდომენევსმა ლეიტოსზე მიჭრილ გმირ ჰექტორს
მკერდში, ელვარე სამკერდულთან მოარტყა შუბი,
ზედ ბუნისზევე გადაუტყდა.

ტროელთ შეჰყვირეს.

ხოლო ჰექტორმა იდომენევსს, მძლე დევკალიონს
თვით სტყორცნა შუბი, ოდნავ ასცდა, მაგრამ განგმირა
610 მხნე მერიონეს მოძმე, გმირი კოირანოსი,
აყვავებული ლიქტოსიდან რომ მოჰყოლია.
იდომენევსი ხომალდიდან თურმე ფეხდაფეხ
მისულა ომში და ტროელებს ნალდად დიდებას
შესძენდა, ეტლით კოირანოსს რომ არ მიესწრო.
615 სინათლის სხივად მოევლინა, იხსნა ბელადი,
თვითონ კი სული ამოერთვა ჰექტორის ხელით.
ოროლი მოხვდა ყბის ქვეშ, რვალმა გადმოუყარა
მოყმეს კბილები, ხოლო ენა შუა გაუპო.
ძირს დაენარცხა, გაუვარდა სადავეები.

620 მყის მერიონღემ ხელი სტაცა მიწაზე აღვირს,
მტვერში ამოსვრალს და შესძახა მხნე იდომენევეს:
„გასწი, სანამდის ხომალდებთან არ მიაჭენებ!
ხომ ხედავ, აღარ გველირსება ჩვენ გამარჯვება!“

- მათრახი დასცხო მაშინ ცხენებს იდომენევესმა,
625 გეზი აილო გემებისკენ. შიშმა გაკენწლა.
ჩაწვდნენ აიანტ, მენელაოს ნებას ზევსისა,
რომ გამარჯვება ტროელთაკენ გადახრილიყო.
ლაშქარს მიმართა აიანტმა ტელამონიდმა:
„ეაი ჩვენს თავსა! ძმებო, დიდი ჭკუა არ უნდა,
630 რომ კაცი მიხვდეს: ზევსი ტროელთ ანიჭებს ძლევას!
ვინც უნდა იყოს, სუსტია თუ ძალგულოვანი,
ტროელთა ისრებს ზევსი მუდამ სწორად წარმართავს,
ჩვენი ისრები უსარგებლოდ ჰყრია მიწაზე!
მოდო, ვიფიქროთ, დანაელნო, თუ რა ვიღონოთ,
635 რომ გამოვტაცოთ მტერს პატროკლე, რომ მეგობრები
კვლავ გავახაროთ, როცა ბანაკს დაუბრუნდებით.
ჩვენს შემხედვარეთ მათ თავზარი ეცემათ, რადგან
აგრე ჰგონიათ, კაცთამმუსვრელ ჰექტორის ხელებს
ველარ გავუძლებთ, შევცვივდებით შავ ხომალდებში.
640 ო, რომ გამოჩნდეს კაცი, პელიდს ვინც აცნობებდა
საშინელ ამბავს!

- მე მგონია, მან არც კი იცის,
რომ დაელუპა მეგობარი უსაყვარლესი.
მაგრამ მალემსრბოლს ვერვის ვხედავ აქაველთ შორის.
წყვედიადი ფარავს მეომრებსაც და მათს ცხენებსაც!
645 ზევსო მამაო! განაშორე აქაველთ ღამე,
ღღის სინათლეზე, რაკი გნებავს, მოგვიღე ბოლო!“

- გმირის ცრემლებმა ზევსის გული მოაღბო მაშინ,
შავი ღრუბელი მოაშორა, ღამის უკუნი,
650 მზე აელვარდა, აკაშკაშდა გარშემო ველი.
მძლე აიანტმა მენელაოსს მიმართა სვიანს:
„ზევსის ნაზარდო მენელაოსს, აბა, გახედე,
თუ ანტილოქოსს თვალი მოჰკრა, ძეს ნესტორისა,

დაიყოლიე, რომ ეწვიოს მამაც აქილევსს,
655 უთხრას, რომ ომში დაელუბა ქველი ძმობილი!“
ასე ამბობდა და უსმინა მენელაოსმა,
ისე გავიდა, როგორც გადის ბაკიდან ლომი.
იღლება მხეცი, ძაღლებთან და მეხრესთან შულლით
არ ანებებენ გატაცებას ნადირს საქონლის,
660 და მთელი ღამე დარაჯობენ.

ხორცის წადილით
ლომი მძვინვარედ მიიჭრება, მაგრამ ამოდ:
ზუზუნით მოქრის შუბი შუბლში დამიზნებული
და მუგუზლები.

ეშინია, დილის სისხამზე,
რიბი-რაბოზე დარდიანი მიიპარება.
665 ასე მოშორდა მენელაოს პატროკლეს ცხედარს,
გული უერთოდა, ვაი-თუ მტერს აქაველები
დაუთმობენო დამლუპველი შიშით გმირის გვამს.
კვლავ არწმუნებდა მერიონეს და აიანტებს:
„აიანტებო, წინამძღოლნო და მერიონევ!
670 ბედკრულ პატროკლეს სათნოება გახსოვდეთ ყველას,
მას არ შეეძლო თქვენ ყველანი არ ყვარებოდით,
ვიდრე ცოცხლობდა, მაგრამ მისწვდა სიკვდილის ხელი!“

ასე უთხრა და გზას გაუდგა მენელაოსი.
მიდამოს თვალი გადაავლო, როგორც არწიკმა,
675 რომელიც, თურმე, ყველა ჩიტზე თვალმახვილია:
რაგინდ რა მალლა იყოს, ბუჩქში ვერც კი შეასწრებს
ფრთხილი კურდღელი, შენიშნავს და შეკრავს კამარას,
ზედ დააცხრება, მიიტაცებს სიცოცხლის ნიშატს.
და შენც ასევე, მენელაოს, ზევსის ნაზარდო,
680 აქაველთ ლაშქარს გამჭრიახ თვალს არ აცილებდი,
თვალეებს სწყუროდათ დაენახათ ანტილოქოსი
კვლავაც ცოცხალი. ნახეს კიდევ ლაშქართა მარცხნივ.
გმირი მეგობრებს ალაგზნებდა მტერთან საომრად.
ახლოს მივიდა და მიმართა მენელაოსმა:
685 „აქეთ მოიწი, ანტილოქოს, ერთ ამბავს გეტყვი,
არ მომხდარიყო, ნეტავ იგი საქმე არასდროს!

შენ, ვიცი, კარგად ხედავ თვითონ საკუთარ თვალით,
რომ დანაელებს დაატეხა ღმერთმა ვარამი,
აქაველთ შორის უმამაეცს მოყმეს, პატროკლეს
590 ბოლო მოელო! უსაზღვროა დანაელთ სევდა!
ხომალდებისკენ გასწი ჩქარა, აქილევსს უთხარ,
რაც მოხდა,

იგი გემთან გვამსაც ვერ გადაარჩენს.
უკვე წაადრო მოზვიმე ჰექტორმა თორნი!“

თავზარი დასცა ანტილოქოსს მისმა სიტყვებმა,
695 ელდაცემული მთლად დამუნჯდა,

ხოლო თვალები

ცრემლით აევსო, გაეჩხირა სათქმელი ყელში.

მაგრამ გაიგო მან ნათქვამი მენელაოსის,

გადააბარა იარაღი მყის ლაოდოკოსს,

რომელსაც ახლოს შეკაზმული ჰყავდა მერანი.

700 ცრემლთამფრქვეველი მსწრაფლ გაჰყავდათ ფეხებს

ბრძოლიდან,

რომ საშინელი სიტყვა ეთქვა აქილევსისთვის.

ზევსის ნაზარდო მენელაოს, შენს გულს არ სურდა,

ანტილოქოსის დატოვებულ მოძმეთა დაცვა,

საშინელ დღეში იყვნენ მაშინ პილოსელები.

705 მენელაოსმა მიაშველა სპას თრასიმედე,

თვით კი გაიჭრა დასაცავად პატროკლეს გვამის.

აიანტებთან დადგა, ფრთიან სიტყვით მიმართა:

„ანტილოქოსი გავაგზავნე ახლა გემებთან,

ფეხმარდ აქილევსს სიტყვას ეტყვის, მაგრამ მე მჭერა,

710 რომ ის არ მოვა, აღიგზნება თუმც მტერზე რისხვით,

ტროელთ როგორღა შეერკინოს უიარალო?

ჩვენ თვითონ ახლა საიმედო ხერხი ვიძიოთ,

თუ ვით დავიცვათ მეგობარი,

..1

ტროელთა ხმალქვეშ

როგორ გავექცეთ ბედისწერას და საზარ სიკვდილს?!“

715 უთხრა დიადმა აიანტმა ტელამონის ძემ:

„სულ მართალს ამბობ, რასაც ამბობ; ო, მენელაოს!

ანაზღად შენ და მერიონე პატროკლეს ცხედარს
უნდა მიეჭრათ, აიტაცოთ, ზურგს გავიმაგრებთ
და შევეჩივრებთ ტროელებს და ღვთაებრივ ჰექტორს.

720 ჩვენ ერთი მოგვდგამს ძალაცა და სახელ-დიდებაც,
არესის რისხვა ხომ მხარდამხარ გამოგვივლია!”

ეს რომ თქვა, მოყმეთ მყის ასწიეს პატროკლეს გვამი,
ხელი ჩასქიდეს მძლავრად.

ტროელთ დასცხეს ყიყინა
თავზარდამცემი, როს აქაველთ საქმე იხილეს.

725 ჩიქურ მიეჭრნენ მძვინვარენი, ვით ტახს — ძაღლები,
მონადირეს რომ წინ უსწრებენ, მისდევენ დაჰკრილს.
გული არ უთმენთ, რომ როგორმე დაფლითონ მხეცი.
მაგრამ როგორც კი ძალმოსილი მოუბრუნდება,
უკან გარბიან და ასწრებენ ერთი-მეორეს:

730 ასე ტროელნიც თავიდანვე ჯგროდ გაედევნენ,
ხმლებს უღერებდნენ და წამახულ შუბებს ზურგსუკან,
მაგრამ თუ წამით შეღგებოდნენ აიანტები,
ფერსა ჰკარგავდნენ და ვერც ერთი ვერა ბედავდა
ფეხი გაედგა და ებრძოლა პატროკლესათვის.

735 ასე გაჰქონდათ გულმოდგინედ აქაველთ გვამი —
ფართო გემების სადგომისკენ.

მათს უკან ბრძოლა
კვლავ ენთო, როგორც ცეცხლი ქალაქს წაკიდებულთი.
უცბად იფეთქებს, ნთქავს ყველაფერს. ამხობს შენობებს,
ქარი აღვივებს და გუგუნებს მძლავრი ხანძარი.

740 ასევე ცხენებს და მეომრებს რვალშემოსილებს
მისდევდა ბრძოლის ნიაღვარი და ხმა ფეხდაფეხ.
ულელს შებმული, ძალმოსილი მარჯვე ჯორები
ლარტაფებიდან, ქვა-ლორლიან გზაზე გემის მორს,
ვეება ანძას მოათრევენ მოწადინებით,

745 ნაჯაფარნი და ნაოფლარნი ეშურებიან,
ასე მიჰქონდათ გმირებს გვამი,

ხოლო მათს უკან
იგერიებდნენ მტერს მამაცი აიანტები.

ტყინანი ბორცვი წყალს შეხვდება აზობოქრებულს,
მთის მდინარეებს, მძვინვარებას ზვიად ზვირთების,
750 შეატორტმანებს, შეაკავეებს და უკუაგდებს
მინდორ-ვაკისკენ. მას ვერ აწგრევეს მდინარის ძალა.
აიანტებიც ტროელთ ასე იგერიებდნენ.
მაგრამ უტევდნენ მაინც მტრები.

განსაკუთრებით

ორი — ჰექტორი რვალმოსილი და ენეასი
755 შეშინებული შოშიების, ჭკების ღრუბელი
მიჰქრის განწირულ ყრიაშულით, როს თვალს მოჰკრავენ
ქორს, საშინელი სიკვდილით რომ დამუქრებია.
ასე ენეასს და გმირ ჰექტორს ყრმა აქაველნი
შედრწუნებულნი გაურბოდნენ, დაჰკარგეს სიმხნე.
760 თორნი სანგარს და შემოგარენს შემორჩა ბევრი,
მაგრამ საბრძოლო ქარიშხალი არა ცხრებოდა.

ქება მეთვრამეტე

საჭურვლის გახედვა

ასე იბრძოდნენ ალანძულნი, როგორც ხანძარი.
ანტილოქოსი კი პელიდთან მიქროდა ცნობით.
მარტო იხილა ბასრჭვინტიან გემებთან გმირი,
ჩაფიქრებული: რა ხდებოდა ველზე ბრძოლისა.

5 ამოიოხრა და გულში თქვა მოყმემ დიადმა:
„ვაი — ჩემს თავსა! რა ვიფიქრო?

აქაველები

რატომ გარბიან უწესრიგოდ კვლავ გემებისკენ?
განა ღმერთებმა ჩაიდინეს საზარი საქმე.

დიდიხნის წინათ დედაჩემმა რომ გამაფრთხილა,
10 მითხრა, შენზე წინ გულუმხნესი მირმიდონელი
უნდა დაემხოს, დაეთხოვოს მზის სინათლესო.
ეტყობა, მართლაც აღარა მყავს გმირი პატროკლე!
ვაი — უბედურს! რა ვეხვეწე, ხანძარს რომ დაშრეტ,
დაბრუნდი-მეთქი ხომალდებთან, ერიღე ჰექტორს!“

15 იმ დროს, ეს ფიქრი როცა გულში უტრიალებდა,
მიუახლოვდა გულმწუხარე ანტილოქოსი,
ცრემლთა მფრქვეველი და საზარი ამბავი უთხრა:
„ვაი, აქილევს, მწარე ამბავს გეტყვი,
არასდროს

იგი არ უნდა დაგეტეხოდა თავს სავალალოდ!

20 მოკვდა პატროკლე!

უკვე ბრძოლა დულს მის გარშემო,
შიშველი გდია, აუხდია ჰექტორს ბექთარი!“

მოყმე მოიცვა მწუხარების შავმა ღრუბელმა,
ხელი წაავლო მეყსეულად მტვერსა და ნაცარს,
თავზე იყარა, მშვენიერი თმები წაბილწა,

25 ლაფში მოსვარა სამოსელი სურნელოვანი.

უხმოდ დაემხო, გაიშალა დიად მიწაზე,
თმებს ბუწუწებად, ბლუჯა-ბლუჯა იწეწდა გმირი.

ქორფა ქალები, აქილევსის ტყვენი აკივლდნენ,
დარდმორეულნი გამოცვივდნენ სწრაფად კარვიდან,
30 შემოეხვივნენ პელიდს, სიმწრით იმტვრევდნენ თითებს
და მჯილს იცემდნენ, სანამ მუხლი არ მოეკვეთათ.

იქვე გლოვობდა ანტილოქოს ცრემლთა მფრქვეველი,
ხელთ აბორგებულ აქილევსის ხელი ეჭირა,
ვაი-თუ ყელი გმირმა რკინით გადაიჭრასო.

35 გლოვა-გოდება მყის შეესმა დედოფალს, დედას
ზღვის ჭურღმულეებში, მამისეულ სრა-სასახლეში.

მწარედ იკივლა, ქალღმერთები მოცვივდნენ მასთან
ზღვის წიაღიდან, მისი დები, ნერეიდები.

მოვიდნენ: გლავკე, თალეია და კიმოდოკე,

40 სპეიე, თოე, ნესაიე, მკვირცხლი ჰალიე,
კიმოთოე და აკტაიე, ლიმნორეია,

იაირა და ამფითოე, მელიტე, დოტო,
აგავე, პროტო, დინამენე, ნაზი ფერუსა,

დექსამენე და ამფინომე, კალიანერა,

45 დორის, პანოპე, მშვენიერი გალატეია,
ნემერტესი და აპსევდესი, კალიანასა,
იანეირა და კლიმენე და იანასა,

ორეითვია და მაირა და ამათეა, —

ზღვის წიალიდან — მისი დები ნერეიდები.

- 50 ირგვლივ მორევი ვერცხლისფერი აავსეს დებმა,
მკერდში იცემდნენ და გოდებდა დედა თეტისი:
„მისმინეთ, დებო, საყვარლებო, ნერეიდებო!
ახლა გაიგებთ, თუ რა დარდი მიმსჭვალავს სულსა!
ვა-ვაი, ბედკრულს!.. ახა-ვაი, მე საწყალობელს!
- 55 ვაჰ, გმირის მშობელს!.. მყავს ვაჟკაცი, პირველთა შორის
უპირველესი!

ფუფუნებით გავზარდე იგი,
როგორც წალკოტში მშვენიერი ყვავილის ბუტკო.
სწრაფი გემებით ილიონში გამოვამგზავრე,
ტროელთ ლაშქართან საბრძოლველად.

ველარასოდეს

- 60 ვნახავ პელევსის პალატებში, მამის კერაში!
მაგრამ ვიდრემდის ცოცხლობს იგი, ხედავს მზის ნათელს,
უნდა იტანჯოს, მე კი შველა არ შემოძლია!
მაინც მივდივარ, უნდა მითხრას ძემ საყვარელმა,
თავს რა დაატყდა სასტიკ ბრძოლის ველს განრიდებულს!“
- 65 ასე წარმოთქვა. ზღვა დატოვა. ამოჰყვენენ დებიც
მოქვითინენი.

გაიფანტა ირგვლივ ხმაურით
ტალღები ზღვისა.

მიადწიეს ტროას და წყნარად,
ერთი-მეორის მიყოლებით მიადგნენ ნაპირს,
სადაც გვერდი-გვერდ მირმიდონელთ გემები იდგა.

- 70 მიუახლოვდა დედოფალი გმირს მწარედ მკვნესარს,
მკერდზე გოდებით მიიხუტა თავი შვილისა,
თვით ქვითინებდა და თან ფრთიან სიტყვას ეტყოდა:
„რად ტირი, შვილო? ეს რა დარდი ეწვია შენს სულს?
ნუ დამიმალავ და მითხარი!

ხომ შეასრულა

- 75 ზევსმა,

რაც სთხოვე გულმხურვალედ ხელაპყრობილმა?
გემის კიჩოსთან მიისრისნენ აქაველები,
შენდა განატრობენ და სასირცხო საქმე სჭირთ ახლა!“

ოხვრით მიუგო აქილევსმა, გმირმა ფეხმარდმა:

„ვიცი, დედაო, შემისრულა ზევსმა ყოველი...“

80 რა თავში ვიხლი, როს დავკარგე ძვირფასი მოძმე?

პატროკლე ყველა მეგობარზე მეტად მიყვარდა,

თავს ვეველებოდი და ხელიდან გამომეტყალა!

მკვლელმა ჰექტორმა საჭურველიც ახსნა ვეება,

რომელიც ღმერთებს მიუძღვნიათ პელევსისათვის,

85 ოდეს შენ მოკვდავს სარეცელზე ეტრფე უკვდავი.

ო, რად არ დარჩი ზღვის ქალღმერთად, ლამაზ ფერიად.

ო, რატომ პელევსს არ არგუნეს მოკვდავი ცოლი!

შენ უსასოო, უსასრულო დარდი მოგელის.

შვილის დამკარგველს, ვერ იხილავ ამიერიდან

90 მამულში შენს ძეს! ახლა უკვე გულიც არ მიწევს

ვიცოცხლო, ხალხში გავერიო, გმირი ჰექტორი

ჩემივე შუბით სანამ სულს არ აღმოუტევებს,

სანამ არ მიზღავს უსაყვარლეს პატროკლესათვის!“

ისევ მიმართა მას თეტისმა ცრემლისმფრქვეველმა:

95 „მალე მოკვდები, რასაც ამბობ, თუ მიჰყევ, შვილო,

მალე ჰექტორის შემდეგ გელის შენც აღსასრული!“

ოხვრით მიუგო აქილევსმა, გმირმა ფეხმარდმა:

„ო, ახლავ მოკვდე, თუ არ ძალმიძს დავიხსნა მოძმე

მკვლელის ხელთაგან!

სამშობლოდან მოშორებული

100 დაეცა იგი, მომიხმობდა, ალბათ, საშველად!

ან რაღად ვაქნევ აწ სიცოცხლეს?

მამულს ვერ ვნახავ,

ვერც მენეტიდი ვიხსენ და ვერც სხვა კეთილშობილ

მეგობრებს ვექმენ შემწედ, მოკლულთ ჰექტორის მიერ:

უქმად ვზი გემთან, უმაქნისი ტვირთი ვარ მიწის,

105 მე, ვისაც რვალისქიტონიან აქაველთ შორის

არ მყავს ბადალი ომში, ბჭობით კი მჭობნის ბევრი.

შორს იყოს შუღლი ღმერთებისგან და მოკვდავთაგან,

შორს ჩვენგან რისხვა. ბრძენკაცსაც რომ შლეგად

მოაქცევს.

ჩაისახება, როგორც ტკბილად მწროთოლვარე თაფლი,

110 გულში იზრდება, ვით ცეცხლისგან კვამლი მხრჩოლავი
ასეთი რისხვა გამიღვივა აგამემნონმაც...
მაგრამ ვივიწყებთ ხოლმე წარსულს, თუნდაც უმწარესს,
რისხვას ჩავიხშობთ, თუ მოითხოვს საჭიროება.

გავალ, რომ შევხვდე საზარ ჰექტორს — ჩემს საოცნებოს,
115 ხოლო სიკვდილი მე იმწამსვე მზად ვარ მივილო,
როს მარგუნებენ მამა-ზევისი და სხვა ღმერთები!
სიკვდილს ჰერაკლეს ვერ გაექცა, მოკვდავთა შორის
უღიადესი, თუმც უყვარდა ძლიერ მამა-ზევისს.
ბედმა სძლია და ჰერას ბოლმამ დაუცხრომელმა.

120 მეც, რაკი ასე მიწერია, მშვიდად მოვკვდები,
სადაც მომწვდება! მაგრამ მანამ მოვიხვექ სახელს!
კიდევ არა ერთ ქალს მკერდსავეს — ტროელს,
დარდანელს
დარდით და ოხვრით ვაკაწვრინებ ძუძუს ჯანდამწვარს,
ნაზ ღაწვებიდან ხელით ცრემლებს მოვაწმენდინებ!

125 გაიგონ, ღიღხანს რომ ბრძოლისგან დამისვენია.
ამაოღ ცდილობ შემაჩერო, მწყურია ომი!“

კვლავ თქვა თეტისმა, ქალღვთაებამ ვერცხლისფეხებამ:
„შენ მართალი ხარ, შვილო ჩემო, ცუდი როდია,
მოდძეთა დახსნა სიკვდილის და გასაჭირისგან.

130 მაგრამ დღეს შენი საჭურველი ტროელთ ეკუთვნის.
რვალით, მოკაშკაშ-მოელვარით, გმირმა ჰექტორმა
მკერდი დაიცვა და ზეიმობს! ფიქრობ, დიდი ხნით
ვერ იზეიმებს! შორს არ არის აწ აღსასრული!
მაგრამ შენც, შვილო, არ ჩაება ომის ქარცეცხლში,

135 სანამ არ მოვალ კვლავ და შენი თვალით არ მნახავ:
გამოვცხადდები მზესთან ერთად ხვალ სისხამ დილით
და ჰეფესტოსგან რვალმშვენიერ აბჯარს გაახლებ“.

ასე უთხრა და მწუხარე შვილს მოშორდა დედა,
დებს მიუბრუნდა, ნერვიდებს, ქალღმერთი თხოვნით:

140 „ო, ჩემო დებო, კვლავ ჩაყვინთეთ წიაღში ზღვისა
და მამისეულ სახლს ეწვიეთ, იქ ნახავთ მოხუცს.

ამცნეთ ყოველი.

მე ოლიმპოს გავემართები
დღიად ხელოვან ჰეფესტოსთან, ისურვოს ეგებ
მისცეს აქილევსს საჭურველი რვალმშვენიერი“.

- 145 ასე რომ უთხრა, მყისვე დებმა ზღვას მისცეს თავი.
ოლიმპოსაკენ გავემართა მაშინ ქალღმერთი,
რომ წამოეღო იარაღი საყვარელ ძისთვის.
ტერფებს აჰყავდათ სწრაფად მთაზე.

შეძრწუნებული

ამ დროს გარბოდნენ აქაველნი კაცთამმუსვრელი

- 150 ჰექტორის შიშით.

ჰელესპონტის ქაველებთან გაჩნდნენ.

ამაოდ სცადეს მათ, სპილენძის საბარკულიანთ,
ეხსნათ პატროკლე ისრებისგან, მოძმე პელიდის.
კვლავ ირეოდა უთვალავი ხალხი და ცხენი,
კვლავ მოუძღოდა მათ ჰექტორი, ვით ცეცხლის ალი.

- 155 სამჭერ წაავლო ფეხზე ხელი გმირმა პატროკლეს,
რომ გაეტაცა, თან ხმამალლა მოუხმო ტროელთ.
სამჭერ გვამისგან უკუაგდეს აიანტებმა.

მაგრამ ჭიუტად მოიწევდა, ხან შეკრულ რიგებს
შეასკდებოდა, ხან იდგა და სპას მოუხმობდა,

- 160 მაგრამ არც ერთხელ უფიქრია უკან დახევა.
ვით შიმშილისგან გაშმაგებულ ლომს ვერ აშორებს
სისხლიან ნადავლს ღამის მეხრე გამწარებული,
ისე უჭირდა ორ აიანტს საერთო ძალით
გმირი ჰექტორის უკუგდება, პატროკლეს იგი

- 165 ხელთ ჩაიგდებდა, მოიხვეჭდა კიდევაც სახელს,
პელიდს ირისი, ქარის მსგავსი რომ არ სწვეოდა,
ბრძოლაში ჩაბმა არ ერჩია მოციქულს ზეცის,
ზეცისს, სხვა ღმერთთა უნებლიედ ჰერას მოგზავნილს.
მაცნე მივიდა, მიაგება ფრთიანი სიტყვა:

- 170 „ბრძოლად აღიძარ, ყველა გმირზე საზარო გმირო!
იხსენ პატროკლე!

გემების წინ მის გამო ატყდა

მძვინვარე ბრძოლა.

არ ზოგავენ ერთი-მეორეს:

ესენი, რათა სულმიხდილი გვამი დაიცივან,
ისინი, რათა გააქანონ ტროის ციხეში.

- 175 ყველაზე მეტად ჰექტორსა სურს ზუჩმოელვარეს
წაგვრა ცხედრისა, განუზრახავს მოკვეთოს თავი
და ზალხის სათრევე-საგინებლად სარზე ააგოს.
დრო აღარ ითმენს, გიგრძნოს გულმა საშინელება!
თუ ტროის ძალთა სათამაშოდ იქცა პატროკლე,
180 თუ დასახიჩრდა, წაიბილწა, სირცხვილი შენდა!“

ამოიოხრა და მიმართა გმირმა ფეხმარდმა:

„ქალღმერთო, მითხარ, ღმერთთა შორის ვინ მოგავლინა?“

ირისმა მოყმეს უპასუხა ქარისფეხებამ:

„ზევისის მეუღლე, თეთრხელება ქალღმერთმა ჰერამ.

- 185 მაგრამ არ იცის ზევსმა, მაღალ ტახტის მფლობელმა,
არც სხვა მკვიდრებმა თოვლიანი ოლიმპოს თხემის“.

ისევ მიმართა მას პელიდმა, გმირმა ფეხმარდმა:

„როგორ ვიბრძოლო? საჭურველი მტერმა ხელთ იგდო,

სალაშქროდ გასვლაც ამიკრძალა ძვირფასმა დედამ,

- 190 სანამდის ისევ არ შევხვდები აქ დაბრუნებულს.

ჰეფესტოსაგან გამოჰქედილ აბჯარს დამპირდა.

ახლა რა ვიცი, საჭურველი ავისხა ვისი?

ფარი მე მხოლოდ მომერგება ტელამონის ძის.

მაგრამ თვით, ვგონებ. მხარში უდგას მეწინავეებს.

- 195 მტერს ანადგურებს მენეტიდის გვამის გარშემო“.

ისევ მიუგო გმირს ირისმა ქარისფეხებამ:

„ჩვენ ვიცი, შენი იარაღი რომ ტროელთ დარჩა,

მაგრამ უმისოდ მიაღექი სანგარს, ეჩვენე.

შეძრწუნდებიან. რომ გნახავენ და ვინძლო მტერმა

- 200 დასტოვოს კიდევ სარბიელი; მაშვრალ აქაველთ

სულიც მოითქვან. ცოტა დრო აქვთ მებრძოლთ

ამისთვის“.

ასე თქვა და კვლავ დაუბრუნდა ირისი ზეცას.
ზევსის რჩეული აქილეესი ადგა.

ათენამ,

ფოჩებიანი აიგიდით შეუმკო მხრები.

- 205 თავის გარშემო შემოაელო ოქროს ღრუბელი,
ღრუბლის გარშემო მოკაშკაშე ალი აანთო.
კვამლი რომ ასდის ციხეს, აღწევს ცას ვარსკვლავიანს,
კუნძულზე, რომელს მტრის ლაშქარი ერტყმის გარშემო.
დილიდან სამკვდრო-სასიცოცხლო დავა ჰქონიათ
- 210 დაღამებამდე მეციხოვნეთ.

მზე რომ დახდება,

აბრიალდება მყის შუქურა, სხივი მალლიდან
ანათებს არეს, რომ მეზობლებს მისცენ ნიშანი
და ხომალდები შემოიჭრნენ მოკავშირეთა.

ასე აფრქვევდა ზეცად სხივებს გმირი ფეხმარდი.

- 215 გალავანს გასცდა, სერზე დადგა, მაგრამ აქაველთ
არ შეერია, დედის რჩევა ახსოვდა ბრძნული.
ომახიანად სქეჟა გმირმა.

თვითონ ათენამ

რისხვით შეჰყივლა.

ტროელთ ძრწოლა შეუდგათ უმაღ.

შემზარავია ხმა ბარბითის, როს იუწყება

- 220 სულთამხუთავი და მოალყე მტრის შემოტევას,
ასევე ზარავს მტერს ყიყინა ფეხმარდ პელიდის.
ტროელთ რა ესმათ სპილენძის ხმა ეაკიდისა,
გული შეეძრათ, რაშნი მათნი ხშირფაფრიანნი
თვითონ გაიჭრნენ, გულმა უგრძნოთ სიკვდილის საფრთხე.

- 225 მეეტლეებსაც ელდა ეცათ, ალი უშრეტი
ოდეს იხილეს ღვთაებრივი პელიდის თავზე.
მას აღაგზნებდა თქალმცეცხლია ღმერთი ათენა.
სამჯერ შეჰყვირა აქილეესმა ომახიანად,
სამჯერ აღრია სპა ტროელთა, მოკავშირეთა.

- 230 ამ ღრიანცელში საკუთარი ეტლით და შუბით
თორმეტი მოყმე დაიღუპა,

ხოლო აქაველთ

გულმხიარულად გააქანეს პატროკლეს გვამი

და სარეცელზე დაასვენეს.

მოკლულს ქვეითინით

შემოეხვივნენ მეგობრები,

მძლე აქილევსმაც

235 ცხარე ცრემლებით დაიტირა ერთგული მოძმე,
ბასრი სპილენძით განგმირული.

მოძმე, რომელიც

თავისი ეტლით და ცხენებით გაგზავნა ომში,
მაგრამ ბრძოლიდან კვლავ ცოცხალი ვერ დაიბრუნა.

იმ დროს ჰელიოსს, გზად დ უღლელს, ხარისთვალემა
240 ჰერამ უბრძანა ჩასვენება ოკეანეში.
მზეც ჩაიმალა.

ღვთაებრივმა აქაველთა სპამ

სული მოითქვა საზარელი შეტევის შემდეგ.

მეორე მხარეს ტროელები ბრძოლის ველს გასცდნენ
და ეტლებიდან მყის გამოხსნეს მარდი ცხენები.

245 სამხარზე არც კი უფიქრიათ, დადგნენ თათბირად,
ეგრევე ფეხზე მდგომნი ბჭობდნენ,

ვერვინ გაბედა

ჩამომჭდარიყო.

ეშინოდათ, ვაჰ-თუ პელიდი

კვლავ გამოჩნდესო, დიდხანს ომს რომ თავს არიდებდა.
პულიდამანტმა პანთოიდმა დაიწყო ბჭობა.

250 მან გარდასულიც და მერმისის საქმეც უწყოდა.
ერთ ღამეს იშვა თვის მეგობარ ჰექტორთან ერთად.
როგორც ის სიტყვით, ისე ჰექტორ ბრწყინავდა საქმით.
ჭკუაყეთილმა მოყმემ ტროელთ ასე ურჩია:

„გირჩევთ, გულდაგულ რომ განსაჯოთ ეს საქმე, ძმებო:

255 კოშკში შევიდეთ, არ ველოდოთ მინდორში ეოსს
გემებთან ახლოს.

ჩვენ შორსა ვართ ქალაქის ბჭიდან.

იმ დროს, როს მტრობდა აგამემნონს ქველი ვაჟკაცი,
ესოდენ მძლავრნი როდი იყვნენ აქაველები.

მეც მიხაროდა გემებთან რომ ვათევდით ღამეს.

260 იმედი მქონდა, ხელთ ვიგდებდით მალე ხომალდებს.
ახლა თქვენსავეთ მეც შიში მაქვს ფეხმარდ პელიდის.
ვიცი, რა შმაგი სულიც უდგას, როდი ისუ ოვებს
ველზე დაყოვნდეს, სად აქაველთ და მამაც ტროელთ
ომში თანაბრად თავს ატყდება არესის რისხვა.

265 ეცდება ციხე დააქციოს, ცოლნი წაგვევაროს!
ახლავ გავბრუნდეთ! დამიჯერეთ, ასე მოხდება!..
დღეს თუ დაყოვნდა პელეესის ძე, გმირი ფეხმარდი
ამბროსიული ღამის გამო, ხვალ აქ წაგვასწრებს
და არ დაგვინდობს.

ო, აქილევსს მალე მრავალი

270 გაიცნობს კარგად.

ილიონში ლაღადაც შევა,

ვინ გაექცევა!

მრავალ ტროელს დაფლეთენ ძაღლნი
და ყვაე-ყორანნი.

ნუ მომასმენ, ღმერთო ამ ამბავს!
გთხოვთ დამიჯეროთ, თუნდ ამ სიტყვამ გული გატკინოთ:
ღამე ვათიოთ მოედანზე, მაშინ ჩვენს ქალაქს

275 კოშკი, კარიბჭე და ვეება საკლიტურები
მტკიცედ შეკრულნი, გრძელნი, გლუვნი ეყოფა დაცვად.
სისხამ დილაზე კვლავ ავისხამთ რვალის საჭურველს,
კოშკზე დავდგებით.

ვაი, თავხედს, ვინც კადნიერად
ხომალდებიდან გამოჭრილი კოშკთან იბრძოლებს!

280 კვლავ გაბრუნდება, როცა ცხენებს ქედმორკალულებს
ქალაქის ირგვლივ უნაყოფო სირბილით დაღლის.
ზვიადი გულიც ვერ გაუწევს გაღავნისაყენ,
მას ვერ დაანგრევს, უმალ ძაღლთა ლუკმა გახდება!“

თვალი მრისხანედ შეავლო და უთხრა ჰექტორმა:

285 „პულიდამანტო, რასაც ამბობ, გულს მწარედ ხვდება
უკან დახევას გვირჩევ, ტროის კოშკში შეყუყუვას!
ნუთუ დამალვა დღემდე ყელში არ ამოგვლიათ?
მხნე პრიამოსის ციხეს ადრე ყველა მოკვდავი
იჭრომრავალ და სპილენძმრავალ ქალაქად თვლიდა.

- 290 დაშრტა ყოველი, რაც ძვირფასი რამ გვექონდა შინა!
 რამდენი განძი ფრიგიაში, მეონიაში
 გაგვიტანია, მამა-ზევსი რაც გაგვირისხდა!
 ახლა ცბიერმა კრონოსის ძემ მარგუნა ძლევა
 ნავ-ხომალდებთან, უკუვაგდებ მალე აქაველთ!
- 295 ამ დროს, შე შლეგო, არ გრცხვენია, რა უთხარ ამ ხალხს!
 არვინ მოგისმენს ტროელთაგან, ნებას არ ვაძლევ!
 მე მიგდეთ ყური, მეგობრებო, ენდეთ ჩემს სიტყვას!
 აქ დავრჩეთ ამდამ, რაზმმა რაზმთან ათიოს ღამე.
 დღეს ყველა გუშავს სიმხნე მართებს, მზირებს —
 სიფხიზლე.

- 300 ტროელთა შორის ვინც თავს იკლავს ოჯახის განძზე,
 სჯობს შოაქუჩოს, ხალხს მისცეს და ხალხი დახარჯავს:
 ხელთ არ ზაიგდოს აქაველმა, დარჩეს ჩვენიანს.
 ხვალვე, სისხამზე, აღვიჭურვოთ თორნ-მუზარადით,
 მრავალხოფიან ნავ-ხომალდებს მედგარად დავესხათ.
- 305 თუ მართლაც აღდგა აქილევსი კვლავ საბრძოლველად,
 რაც სურს, მიიღებს!

ომში აღარ ავერიდები,
 გულმხნედ შეეხვდები და შოვიმკით ძლევის დიდებას
 ან მე, ან იგი, ყველა მოკვდავს ერთი ჰყავს. ღნერთი
 ენიალოსი.

იგი მოკლავს მას, ვინც თვით ჰკლავდა!“

- 310 ჰექტორის სიტყვას შეეგება ჯარი ყოყინით.
 უგუნურები! დაუბნელა ჰკუა ათენამ.
 ჰექტორის რჩევას ყველა ენდო საუბედღუროს,
 პულიდამანტის სასარგებლო რჩევას — არავინ.
 ტროელნი მინდვრად ათენებდნენ,
 ხოლო აქაველთ
- 315 ღამე გლოვაში გაატარეს პატროკლეს გვამთან.
 დაიწყო მეფე აქილევსმა კვნესა-გოდება,
 კაცთამბუსრელი ხელი მოძნეს მკერდზე დაადო,
 მძიმედ კვნესოდა, როგორც ლომი ხშირდაფრიანი.
 როდესაც ბოკვრებს მოსტაცებენ უსიერ ტევრძეს,
 320 გვიან მოსული ლომი ბრდღვინავს, დაეხეტება.

ბნელ წავარნიდან წავარნისკენ, დაეძებს მტრის კვალს
გმინავს საბრალოდ, მძვინვარება და დარდი მსჭვალავს.
ასე გოდებდა მირმიდონელთ შორის პელიდიც:

- „ვა-ვაი! სიტყვა უნაყოფო დამცდა ბაგიდან,
325 როს მენეტეოსს უნუგეშოს ვანუგეშებდი!
ვუთხარ, ოპონტს მე მოვიყვან. შენს განთქმულ ვაჟაკს.
ვით ილიონის დამაქცეველს, მფლობელს ნადავლის.
მაგრამ ყველაფერს როდი უძღვნის ზევსი მოკვდავებს!
ჩვენ ორს ბედად გვაქვს ერთი მიწის შეღებვა სისხლით
330 აქ, ტროის მხარეს!

და ბრძოლიდან შინ დაბრუნებულს
ალარასოდეს შემომჩვენება მამა მოხუცი,
არცა თეტისი.

- აქ დამფარავს შავი სამარე!
მაგრამ შენს შემდეგ რადგან უნდა მე დავიმარხო,
დიდ პატივს დაგდებ, ო, პატროკლე! ხოლო მანამდის
335 თავს წავკვეთ ჰექტორს, შენი მოკვლით გაამაყებულს!
შენი კოცონის ახლოს თორმეტ ტყვესაც დავაკლავ —
მშვენიერ ტროელთ დაცავლეწავ შურისმგებელი.
შენ კი მანამდის განისვენე ჩემს ხომალდებთან!
ტროელთა ქვეყნის მშვენიერ და მკერდსავსე ქალებს
340 დაე, გოდებით დღე და ღამე სდიოდეთ ცრემლი,
მათ, ვინც მე და შენ მოვიპოვეთ ძალმოსილ შუბით,
ბრძოლისმოყვარე ხალხთა მხარე როს დავაქციეთ“.

- ასე ამბობდა და მეგობრებს უბრძანა გმირმა
რვალის სამფეხის ცეცხლზე შედგმა. რომ მოებანათ
345 მიმხმარი სისხლი და ტალახი პატროკლესათვის.
კაცებმა დადგეს მოელვარე ალზე სამფეხა,
გაავსეს წყლით და შეუკეთეს შეშა კერძის,
სამფეხას ცეცხლი შემოენთო, სითხე გაცხელდა
და როს თუხთუხით ახმაურდა სპილენძში წყალი,
350 გვამი განბანეს და განპოხეს შემდეგ საცხებლით,
წყლული ცხრაწლიან ძვირფას ცხიმით ამოულკესეს
და სარეცელზე დაასვენეს,

ტანზე ეუარა

თეთრი და თხელი ტილო ცხედარს თხემით ტერჯამდე.
და მთელი ღამე დასტიროდნენ მირმიდონელნი,
355 პელიდის ირგვლივ მდგომნი, მამაც პატროკლეს ცხედარს.

ზევსმა მიმართა ჰერას — თავის დას და მეუღლეს:
„ჰემენ, რაც შეგეძლო, დედოფალო ხარისთვალეზაე!
ბრძოლად აღძარი აქილევისი, დედა ხარ მართლაც
თმახუჭუჭ ხალხთა, აყვავებულ ელადის მხარის“.

360 ჰრქვა და მიუგო დედოფალმა ხარისთვალეზამ:
„პირქუშო ზევსო კრონიონო, აბა, რას ამბობ?
კაცს თუ ნება აქვს ბოროტება კაცს შეამოზვიოს,
მოკვდავმა — მოკვდავს და ჰკუითაც ლატაკმა — ლატაკს.
მე, უზენაეს დედოფლის რომ მერგო პათივი,
365 რითაც ვამაყობ და შენც მიხმობ დად და მეუღლედ,
შენ, მეუფეო, უკვდავებზე გამეფებულო,
ნუთუ საძულველ ტროელთ დევნის ნება არა მაქვს?“

ასე მიუგეს ოლიმპოზე ერთურთს ღმერთებმა.
იმ დროს თეტისმაც მიაღწია ჰეფესტოს პალატს,
370 უკვდავთა ბინას, უჰკნობელს და ვარსკვლავებიანს,
ელვარე რვალით რომ აავო ფეხელოვანმა.
ოფლით გაღვარულს შეხვდა მქშინაე საბერვლები წინ,
ოცი სამფეხა ერთდროულად შეედგა ოსტატს,
რომ ლალად ნაგებ სასახლეში დაედგა შემდეგ.
375 ფეხებთან ყველას მიუმაგრა ოქროს ბორბლები,
რომ უკვდავთ დასთან მივორება თვით შეძლებოდათ
და უკან სახლში დაბრუნებაც აგრე საოცართ
ამ სახით უკვე გაეჭედა.

არ ჰქონდა ზოგ-ზოგს
მოხერხებული სახელური — სამსქვალს არგებდა.

380 როს შემოქმედი ზორცს ასხამდა საქმეს ჩანაფიქრს,
იმ დროს შევიდა თეტის, ღმერთი ვერცხლისფეხება.
რა დაინახა, შეეგება ქალღმერთს ქარიტი
მშვენებით სავსე, ახალგაზრდა ცოლი მასპინძლის.
აღერსით ხელი ხელზე ჰკიდა და ტკბილად უთხრა:

385 „თეტის, საბურვლით დაფარულო, მოსულხარ ჩვენთან,
საყვარელო და სასურველო! რა ძვირად გხედავთ!
მოდო, გვეწვიე გიმასპინძლებ, ტკბილო ღმერთქალო!“

ასე უთხრა და შეიყვანა სახლში თეტისი.

იქ დასვა ვერცხლის სამსკვალთან ტახტზე ქაღმერთი,
390 ლამაზად მორთულ სავარძელზე კვარცხლბეკიანზე.
შემდეგ გასძახა სახელოვან ოსტატს ხმამალა:
„ჭეფესტო! მოდი, სათხოვარი ჰქონია თეტისს!“

ფეხკელოვანი ღმერთი მყისვე გაეპასუხა:

„მეწვია მძლავრი ქალღვთაება მარად დიადი!

395 მან ტანჯვისაგან მიხსნა, როცა დედის სურვილით
ზეცას მომწყვტიტეს: უსინდისოს სურდა დამალვა
კოჭლი შვილისა.

რა სიმწარე ჩემს გულში დუღდა,
სანამ მღვიმეში არ მიმიღეს თეტისმა მაშინ
და ევრინომემ, ოკეანის ნაზმა ასულმა!

400 იქ სამკაულებს ვაკეთებდი ცხრა წელიწადი,
ბეჭდებს, თმის კავენებს, ღილაკილოებს თუ ყელსაბამებს.
ვიყავ მღვიმეში, ირგვლივ ქუხდა ღრმა ოკეანე
აქაფებული, მსწრაფლ მბორგავი, განუზომელი.
არც მიწისშვილი შემხვდა ვინმე. არც უკვდავი,

405 მხოლოდ თეტის და ევრინომე. ჩემი მხსნელები.

ახლა მეწვია შინ თეტისი! უნდა მივუზღა
გადარჩენისთვის ვალი ქალღმერთს ლამაზთმებთანს.
გაუმასპინძლდი, ჩემო ცოლო, მდიდრულ ნუგბარით,
მეც ახლავ მოვალ, ხელსაწყობს ავაწყობ მხოლოდ“.

410 თქვა და მოშორდა გრდემლს ვეება და გამურული,
კოჭლი ღვთაება, ძლივს ადგამდა ხეიბარ ფეხებს.
საბერველს მოხსნა საბურავი, ხელსაწყობები
ერთად შეკრიბა, ვერცხლის სკივრში ჩააწყო ფრთხილად,
სველ მაწაწყური. გაიწმინდა ხელი და სახე,

415 კისერი, მკერდი ფაჩვნიერი, ქელი ძლიერი.

კვართი ჩაიცვა, კვერთხს დაეყრდნო, კარში გავიდა

ღმერთი აკლობით.

- მოახლენი შეუდგენ მხარში
და ზოჰყვებოდნენ ოქროვანნი, ქალწულთ სადარნი.
ცოცხლებსა ჰგავდნენ, ჳკუაც ჳქონდათ, ხმაცა და ძალაც,
420 მათ უკვდავებმა შეასწავლეს ყოველი საქმე.
აქეთ-იქიდან შემოუდგნენ, ბორძიკ-ბორძიკით
მიუახლოვდა ღმერთი თეტისს, ტახტზე მჯდომარეს.
აღერსით ხელი ხელზე ჳკიდა და ტკბილად უთხრა:
„თეტის, საბურვლით დაფარულო, მოსულხარ ჩვენთან,
425 საყვარელო და სასურველო! რა ძვირად გხედავთ!
მითხარ, რა გნებავს? გული მითქვამს, დაჰჰყვე შენს ნებას,
თუ შემიძლია და თუ არის შესაძლებელი“.
თეტისმა ცრემლებმორეულმა უთხრა ჳეფესტოს:
„ერთი ქალღმერთი ოლიმპოზე თუ გეგულება,
430 გულში იმდენი ჳირ-ვარამი რომ ჩაეხვიოს,
მე რაოდენიც კრონიონმა მარგუნა ბედკრულს!
ზღვის ნიმფა მიმცა აიაკეს ძეს, მოკვდავ პელევსს
და განვიცადე ქმრის აღერსი, თუმცაღა გული
როდი მიწეედა.

- უკვე მძიმე სიბერის ტვირთი
435 მას შინ სწევია.
მაგრამ მე სხვა დარდიცა მტანჯავს:
ზევსმა მაჩუქა ერთი ვაჟი, პირმშო, პირველი
პირველთა შორის, პირმშვენიერს სათუთად ვზრდიდი,
როგორც წალკოტში ნერგს და ყვავილს ლამაზად
გაშლილს.

- სწრაფმსრბოლ ხომალდით ილიონში გავგზავნე მოყმე
440 ტროას სალაშქროდ.
ვაი, რომ აწ ველარ შეეხვდები
მამასთან, ნათელ დარბაზებში მოხუც პელევსის!
თუმც ცოცხალია და ჳერ ხედავს მზის ბრწყინვალებას,
უნდა იტანჯოს, მე კი შველა არ შემიძლია!
ქალწული, ჳილდოდ მირთნეული აქაველთ მიერ,
445 ისევ ხელიდან გამოსტაცა აგამემნონმა.
ამაზე დარდით ევსებოდა გული.

აქაველთ

აღარ შეეძლოთ გემს და ბანაკს მოსცილებოდნენ
მტერთაგან ძლეულთ.

- უხუცესნი ეახლნენ ჩემს ძეს,
უთვალავ ჭილდოს პირუბოდნენ შესარიგებლად.
- 450 მან არ ისურვა გადარჩენა აქაველთ ლაშქრის,
მაგრამ პატროკლე თვისი აბჯარ-ბექტორით შემოსა.
მეგობარს ომში გააყოლა რაზმი დიდძალი.
სკაიას კოშკის მისადგომთან მთელ დღეს იბრძოდნენ,
ილიონს კიდევ დაამხოვნენ. უფალ აპოლონს
- 455 მენეტიოსის ძისთვის დღე რომ არ მოესწრაფა,
ხოლო დიდება არ რგებოდა ღვთაებრივ ჰექტორს.
აი, რად მოველ, რად ვეხვევი ხვეწნით შენს მუხლებს:
დღემოსწრაფებულ ჩემს შვილს იქნებ შენ შეეწიო,
იქნებ შენ მისცე ფარიც, ზუჩიც, საბარკულებიც,
- 460 იქნებ შენ მასცე სამკლაურიც: თვისი დაკარგა,
როს ტროელთ დასცეს ძმადნაფიცი უერთგულესი!“

მყისვე მიუგო მართლმორკმულმა ამფიგიევსმა:

- „იყუჩე და გულს მწუხარება არ გააკარო.
მე განა ძალმიძს, აქილევსი სიკვდილისა და
- 465 ბედისწერისგან დავიფარო ისე იოლად.
როგორც საჭურვლის წრთობა ვიცი. უთვალავ მოკვდავს
ერთი შეხედვით თავზარს დასცემს და გააოცებს!“

- ასე უთხრა და ისევ ქურას მიადგა ღმერთი,
ცეცხლს მიუშვირა საბერვლები მძლავრად მქშინავი,
- 470 ერთბაშად ოცმა საბერველმა ხახა დაალო,
ააბრიალა მყისვე ალი ძალუმმა სუნთქვამ.
ხან უბერავდნენ მთელი ძალით. ხან წყნარად ქშენდნენ
მქმნელის ნების და ქმნილი საქმის შესაბამისად.
აბობოქრებულ ცეცხლში ჩადო სპილენძის ზოდი,
- 475 ბრპენი ჩააგდო, შემდეგ ვერცხლი, ბაჯაღლო ოქრო.
კუნძზე რომ გრდემლი დაამაგრა, მარჯვენა ხელში
ურო აიღო, მეორეში მათა ექირა.

ჯერ გამოჰქედა მტკიცე ფარი, უზარმაზარი,
ირგვლივ ლამაზად მოახატა ზეცის კამარა,

- 480 სამმაგი თალი, ვერცხლისფერი ღვედით შეამკო.
 ხუთი ფურცელი ჰქონდა იმ ფარს და შუაგულში
 ღმერთს საოცარი, ათასგვარი რამ აესახა,
 აქ იყო მიწაც, ზღვაც და ზეცაც უკიდვანო,
 მზე — გზაუზომო, სავსე მთვარე, ყველა ვარსკვლავი,
- 485 ცარგვალს რომ ამკობს სილალით და მშვენიერებით,
 პლეადები და ჰიადები, ორიონ, არკტოს,
 რომელსაც ეტლსაც უწოდებენ ხოლმე სხვაგვარად.
 იგი ორიონს თან დაჰყვება და მიწყვიტ ბრუნავს,
 მაგრამ არასდროს შეხებია ზვირთს ოკეანის.
- 490 ორი ქალაქიც გამოსახა მტკიცედ ნაგები,
 ერთში ნადიმი და ქორწილი გამართულიყო,
 გაჩახჩახებულ სასახლიდან ქალაქის ზღურბლთან
 მიაცილებდნენ საქორწინო სიმღერით ქალწულს.
 ყმაწვილთ გუნდ-გუნდად გაუმართავთ ფერხული, ისინი
- 495 ხმა ფორმინგის და სალამურის
 შესციცინებენ
 მათ ღირსეულნი ბანოვანნი ჭიშკართან მდგომნი.
 იქით მხარეს კი უამრავი ხალხი ირევა.
 ორ კაცს მკვლევლობის საზღაურზე დავა ჰქონიათ.
 ერთი ფიცსა სდებს და უცხადებს ხალხს, რომ მილიანად
- 500 გადაიხადა, მეორე კი მტკიცედ უარყოფს
 გადუწყვეტიათ, გადაეჭრათ მოწინებს დავა,
 ხალხი ყაყანებს, თავისიანს ემხრობა ყველა.
 მაცნე ბრბოს აცხრობს, უხუცესნი ქალაქისანი
 წყნარად თლილ ქვებზე ჩამომსხდარან წრის შუაგულში.
- 505 მკლერხმიან მაცნეთ მიუციათ მათთვის კვერთხები,
 ერთი მეორის მიყოლებით მსჯავრს წარმოთქვამენ.
 წრეში დევს ოქრო მოელვარე, ორი ტალანტი
 მისთვის. ვინც უფრო სამართლიან მსჯავრს გამოიტანს.
 მეორე ქალაქს შესევია ორი ლაშქარი,
- 510 ელვარებს მათი საჭურველი. ორი რამ უნდათ:
 ციხის დაქცევა, ან არა და წილად მიღება
 თვით მცხოვრებთაგან ყველა სარჩო-საბადებელის.
 ხოლო ისინი უარობენ, ემზადებიან.
 კოშკზე უშვებენ საყვარელ ქმრებს დედაკაცები,

515 ყმაწვილთ უსუსურთ და სიბერით დათრგუნვილ კაცებს
ღიაციანი ცვლიან, არესი და პალასი ახლავთ,
ორივე ოქროსი, შემოსილი ოქროს სამოსით.
რა მშვენიებაა! საქურველიც — რა დიდებული
მართლა ნამდვილი ღმერთებია!

ქვემოთ მებრძოლნი

520 მიდიან, სადაც ეგულებათ მყუდრო საფარი,
მდინარის პირას, აქ ჩანს ჯოგთა სარწყულებელი.
წყნარადა სხედან. თავს უმშვენიებთ ელვარე რვალი,
ორი მსტოვარი მოშორებით ველს უთვალთვალეებს:
ხომ არა ჩანსო ცხვრების ფარა, საქონლის ჯოგი?

525 მალე გამოჩნდა, ორი მწყემსი მიუძღვებოდა
და თან სალამურს აელერებდა, ვერ გრძნობდნენ მახეს.
სწრაფად ესხმიან თავს წყლის პირას ჩასაფრებულნი.
ეკვეთებიან ხარებს და ცხვრებს ვერცხლისმატყლიანთ,
მწყემსებსა კვლავენ, იტაცებენ ჯოგსა და ფარას.

530 როგორც კი კოშკში ღრიანცელი შეესმა მხედართ,
გალაენის გუშაგთ, მსწრაფლ ამხედრდნენ ფიცხელ

ცხენებზე,

სადაც განგაში ატყდა, გაჩნდნენ იქ მეყსეულად,
მხარიმხარ დადგნენ, წყლის ნაპირას გაჩაღდა ბრძოლა.
ერთუროთს ეძგერნენ, სპილენძის შუბს მოცლა არა აქვს.

535 ღვარძლი, გნიასი და სიკვდილი ჯარს დაერია.
სიკვდილის ღმერთი ხან მომაკვდავს, ხან კი მოსაკლავს,
ხან მოკლულს ბრძოლის სარბიელზე ფეხით დაითრევს.
გაწითლებია კაცის სისხლით მკერდზე ქულაჯა.
როგორც ცოცხალი მებრძოლები, ისე იბრძვიან

540 შმაგი ღმერთები, დგამენ გორას სისხლიან გვამთა.
ფარზე ხატია ფართო ველი და ხოდაბუნი,
ფხვიერი, სამგზის გადახნული,

მიწათმოქმედნი

ულელში გაბმულ მოზვრებს სვეზე ერეკებიან
და როცა ისევ მოუხვევენ ყანის სამანთან,

545 თვითეულს ღვინოს თასით აძლევს კაცი სალხინოს.
და ოდეს კვლავ სვეს თავიანთსას უბრუნდებიან,
ჩქარობენ ბოლოს გაიტანონ უხეში ხნული.

თუმც ხოდაბუნი ოქროსია, ხნული შავდება
და უკან რჩება. სასწაული რამ სურათია!

- 550 შემდეგ დახატა ყანა მაღალ თავთუხიანი,
მოპირულ ნამგლებს მომკელთ ხელში ბზინვა გაუდის.
ზოლ-ზოლად ხშირი თაველები მიწაზე ცვივა,
მარჯვედ კონავენ შემკვრელები ძნებად და ძნებად.
სამ-სამი მისდევს თითოეულს, უკან ბავშვები
- 555 თავთუხს თავთუხზე ამატებენ კონა-კონებად
და მათ აძლევენ. იქვე მოჩანს ყანის პატრონი
კომბალით ხელში, გულს სიამე შენოპფენია,
შორს კი მსახურნი სუფრას დგამენ მუხის ჩეროში,
ხარი დაუკლავთ, ფუსფუსებენ, ხოლო დიაცნი
- 560 თეთრ ფქვილს ურევენ, რომ მოასწრონ ტკბილი სამზარი.

ზემთ მოხატა დახუნძლული ოქროს ვ:სახი,
მხოლოდ მტევნები კიაფობენ სურათზე წავად,
ვაზი უჭირავს ვერცხლის ჭიგოს.

ვენახთან ახლოს

- მუქლურჯი თხრილი და ბრპენისაგან თეთრი კედელი
565 გამოსახულა. ვაზებს შუა ვიწრო ბაღიკზე
ჩანან მზინდენი.

რთველი არის ბარაქიანი.

ქალწულთ და ყმაწვილთ გული უცემთ ლხენით და
შეებით,

- საკვე გიდელით როცა მიაქვთ ტკბილი ნაყოფი.
იმათ შორის დგას მშვენიერი ერთი ჭაბუკი,
570 წკრიალა ფორმინგს რომ აუღერებს და ტკბილად მღერის,
ჭაბუკის გვერდით მოხდენილად როკავენ ყრმანი.
დგას ურიაბული, ჟღერს სიმღერა, ქუხს საფერხისო.

იქავე ჭოგი მოჩანს ხართა, რქებამართულთა,
ზოგი ოქროთი, ზოგიც ბრპენით გამოძერწილი.

- 575 გამოცვენილან ძელყორიდან იალადისკენ,
შმაგი მდინარის ლელიანი ნაპირის გასწვრივ.
ოქრონაძერწი ოთხი მწყემსიც ახლავს საქონელს

- და ცხრა ნაგაზი. მალემსრბოლი თანვე მიჰყვება.
 ჯოგს დასცემია ორი ლომი ხშირფაფრიანი,
 580 აბლავლდა კურო, დაითრია ოღეს ნადირმა.
 საშველად მწყემსნი გამორბიან და ქოთაყებიც,
 ლომებს კი ხარის ტყავი უკვე აუგლეჯიათ.
 დასწაფებიან სისხლს, შიგნეულს. მწყემსნი ამაოდ
 უსისინებენ ფეხმარდ ძაღლებს შესაშინებლად.
 585 თვით ეშინიათ ძაღლებს, კბილს ვით დააკარებენ:
 ერთს რომ წკავწკავით შეუყუფენ. გარბიან ისევ.

- შემდეგ მოხატა იალალი აძფიგიევსმა.
 ხასხასა ველზე ფარა ვერცხლის მატყლით მორთული,
 ცხვრების ფარეხი და კარვები მათი მწყემსების.
 590 შემდეგ ჰეფესტომ დაამშვენა ფარი ფერხულით,
 ისე ლამაზით, როგორც წინათ კნოსოსში შექმნა
 დაიდალოსმა თმამშვენიერ არიაღნესთვის,
 ყრმანი და მრავალმზითვიანი ქალიშვილები
 ცეკვავენ, ხელნი სიყვარულით გადაუხლართავეთ.
 595 ქალწულთ ამშვენებთ ჩითის კაბა. ყმაწვილთ — ქიტონი,
 და სისპეტაკით და სისწრაფით გაბრწყინებულან.
 გოგოებს ყვავილთ გვირგვინები ალამაზებენ.
 ბიჭებს კი ოქროს სატევარი ვერცხლის ღვედებზე.
 ისე ცეკვავენ, ისე მარდად შებრუნდებიან,
 600 ისე მსუბუქად, როგორც ჩარხში მარჯვე ბორბალი,
 როცა გამოსდდი — კვლავ ადვილად ბრუნავს თუ არა.
 ხან იშლებიან, მიჰყვებიან ერთიმეორეს.
 ალტაცებული მოხვევია გუნდს ირგვლივ ხალხი
 605 მათს შუა მღერის შეწყობილად ორი ყმაწვილი.

- იქვე მდინარე ოკეანის ძალაც ასახა —
 ზედა სალტესთან შემოავლო ფარს საუცხოოს.
 როს მოამთავრა მოხატული, ვეება ფარი,
 იწყო ალივით მოელვარე ჯაფშნის გაქედვა
 610 ჰეფესტომ.
 შემდეგ მუზარადი, პელიდის სარგო

მოხატა,

ზემოთ ოქროს ჯილა დაადგა ღმერთმა.

მოქნილ ბრპენისგან გაუკეთა საბარკულები.

როცა ბოლომდე გამოქედა აბჯარ-ბეჭეთარი,

პელიდის დედას დაულაგა კოჭლმა ჰეფესტომ.

- 615 თოვლით მოვერცხლილ ოლიმპოდან ვით შევარდენი,
მოაქროლებდა მოელვარე საჭურველს დედა.

ქება მცხრამეთი

რისხვის დაცხრომა

ეოსი ოქროსკვართიანი ოკეანის ზვირთს

ასცდა, უკვდავებს და მოკვდავებს მოჰფინა შუქი.

ამ დროს ღმრთის ძღვენით მირმიდონელთ კარვებს მიადგა

თეტისი, ნახა ძე, პატროკლეს გადამხობილი.

- 5 ჰგოდებდა იგი, ირგვლივ ბევრი მოძმეც ჰგოდებდა.

მათ შორის დადგა და ქალღმერთმა მოჰკიდა ხელი

შვილს მარჯვენაზე, მიეფერა და ასე უთხრა:

„ეგ დარჩეს, შვილო, რაც არ უნდა გიმძიმდეს გულით,
აქ იწვეს მშვიდად.

ღმერთთა ნებით დაეცა იგი.

- 10 ადექ, მიიღე ჰეფესტოსგან მძლე საჭურველი,
მოკვდავს არასდროს მხრებით რომ არ უტარებია“.

ასე უთხრა და საჭურველი დადო თეტისმა

აქილევისის წინ.

აცემციმდა ის საოცარი.

მირმიდონელნი შეკრთნენ.

თვალი ვერვინ უსწორა,

- 15 საჭურველს ზურგი შეაქციეს.

ხოლო პელიდმა

ერთი შეხედა და აღივსო მძვინვარე უჩინით.

წამწამთა შორის ელვარება გამოკრთა თვალთა.

მიელაციცა მოციმციმე ნობათს ღვთაების.

- და როს იჯერა გმირმა გული ამ სასწაულოთ,
 20 მშვენიერ დედას მიაგება ფრთიანი სიტყვა:
 „დედავ ძვირფასო, ეს ხომ მართლაც ღმერთის ძღვენია,
 უკვდავის ქმნილი, მოკვდავს მისი შექცნა არ ძალუძს!
 ახლავ ავისხამ, მაგრამ გული მეთანაღრება:
 ამასობაში მამაცი ძე მენეტეოსის
- 25 არ წამიბილწონ ბუზებმა და ღრმა იარებში
 არ გაამრავლონ ჭია-ჭუა.

დააგონჯებენ,
 მას ხომ სიცოცხლე გაეცალა! გახრწნიან ცხედარს!“

- უთხრა თეტისმა შვილს, ქალღმერთმა ვერცხლისფეხებამ:
 „ო, ძეო ჩემო! მასზე ზრუნვით გულს ნუ აიმღვრევ!
 30 მე გავირჩები, რომ ვაშორო სისხლის მწყურვალ
 ჯელგა ბუზების, ხარბად გვამს რომ ეტანებიან.
 და თუნდაც იწვეს მთელი წელი, მისი სხეული
 უვნებელი და მშვენიერი დარჩება კვლავაც.
 შენ კი შეკრიბე აქაველნი, ო, შვილო ჩემო!
- 35 ნულარ მრისხანებ ხალხთა მეფე აგამემნონზე.
 ომში ჩაები, შეიმოსე კვლავ ძლიერებით!“

ასე უთხრა და ჩაუნერგა შვილს სიმამაცე.
 პატროკლეს ნესტოს მიაპკურა შემდეგ ნეკეარა
 და ამბროსია, რომ უვნებლად დაეცვა გვაში.

- 40 ზღვის ნაპირს გაჰყვა ღვთაებრივი პელიდი მაშინ,
 ომახიანად უხმო ლაშქარს,
 კვლავ აადლევა
 სპა, ხომალდებთან რომ რჩებოდა ადრე ყოველთვის,
 მეზღვაურები, მესაქენი, თვით წინამძღოლნი
 მეომარ რაზმთა, მსახურნი და მცხობელნი პურის.
- 45 ყველამ იჩქარა საფიხვნოზე, როს აქილევსი
 ისევ გამოჩნდა, დიდხანს ბრძოლას არიდებული.
 ორი მსახური არესისა მისკენ კოჭლობით
 გამოემართა: მძლე ტიდიდი და ოდისევსი.
 ებჯინებოდნენ შუბებს, კვლავაც სტიოდათ წყლული.

50 მიუახლოვდნენ, წინა რიგში ჩამოდგნენ ჩუმაღ.
შემდეგ მოვიდა ხალხთა მეფე აგამემნონი,
ისიც დაჰკრილი.

შმაგ ბრძოლაში დაჰკრა კოონტმა
ანტენორიდმა მძლე ატრიდი სპილენძის შუბით.
და როს ყოველი აქაველი მოვიდა კრებად,

55 ადგა ფეხმარდი აქილევსი და ასე ბრძანა:

„ატრიდო! უფრო კარგი იყო, რომ ცოტა ადრე
აქ შევხვედროდით, რაკი ორივე ტყვე ქალწულისთვის
აღვენთეთ ჩვენდა სავალალოდ სულის მღრღნელ ბოღმით!
ო, არტემისმა რად არ მოკლა ისრით ეს გოგო,

60 როს ლირნესოსის დაქცევისას ვარჩიე ქალებს:

ამდენი გმირი მიწას კბილით ხომ არ დაღრღნიდა
მტრისგან მოკლული, როს ჯიუტად დავნებდი რისხვას!
ჰექტორი ლაღობს ამის გამო. ხოლო აქაველთ,
ემახსოვრებათ დამღუპველი ქიშპობა ჩვენი.

65 მაგრამ რაც მოხდა, მწუხარენი დავეხსნათ ახლა,
გული დავიცხროთ, ვით მოითხოვს გარდუვალობა!
მეცა ვთმობ რისხვას უცილობლად.

როდი ვაპირებ

რომ განუწყვეტლივ ვმრისხანებდე.

შენც, აგამემნონ,

ომში ჩააბი თმახუჭუჭა აქაველები.

70 მიმიშვი მტერზე, გამოვცადო ისევ ტროელნი,
თუ აპირებენ ხომალდებთან ათიონ ღამე?

ვფიქრობ, ყოველი იმათგანი დაღლილ მუხლს ჩახრის,
ფიცხელ ბრძოლაში ჩვენი ხმლით და დაშნით ნაგვემი!“

ასე თქვა. შვება აქაველთა სპას მოეფინა,

75 რა ესმათ, აღარ მრისხანებსო პელეიონი,
მაშინ დაიწყო სიტყვა მეფე აგამემნონმა,
წამოდგა, მაგრამ სპათა შუა არ გამოსულა:

„დანაელთ გმირნო, მძლე არესის მსახურნო ქველნო!
სიტყვას რომ ამბობს კაცი, პირში ნუ წაეჩრებით,

80 ასე გამოცდილ მჭერმეტყველსაც გაუჭირდება.
აყალ-მაყალში შეიძლება განა თქვა რამე,

ან გაიგონო? ომახიანს ხმა ჩაუწყდება.
სათქმელს მე ვეტყვი პელეგისის ძეს.

ხოლო არგიველთ

ამას გაუწყებთ, ყურადღებით აწონ-დაწონეთ:

- 85 მუდამ მეტყოდნენ აქაველნი მწარე საყვედურს,
ბრალს მდებდნენ, მაგრამ დამნაშავე ვიყავ არა მე.
არამედ ზევსი, ერინისი და ბედისწერა,
ბნელში მცოცავი!

ამირიეს ღმერთებმა ქუთა

საბედისწერო დღეს, როს პელიდს ჯილდო წავგვარე.

- 90 რა უნდა მექნა, ყველაფერი იყისრა ღმერთმა —
ზევისის ასულმა ატემ — წყენამ, კაცს რომ აბრმავებს.
ულმობელს ნაზი ტერფები აქვს, ფეხით მიწის მტკერს
არც კი ეხება, გადაივლის მოკვდავთა თავებს
და სწყლავს, ადვილად აქცევს მრავალს თავის ბადეში.
95 ოდესღაც ზევსიც დააბრმავა, უზენაესი
ყველა ღმერთზე და ყველა კაცზე.

ჭერამ ზევსიც კი,

თუმცა ცოლია თვითონ ზევსის, მშრალზე დატოვა
იმ დღეს, როს დედა ბედნიერი, ტურფა ალკმენე
მზად იყო ეშვა მძლე ჰერაკლე თებეს ციხეში.

- 100 ზევსი ამბობდა ქედმალლურად უკვდავთა შორის:
მისმინეთ, ღმერთნო და ქალღმერთნო, მინდა გაუწყოთ,
რას მითქვამს გული: ახლა ქვეყნად მოავლენს ყმაწვილს
ელითია, ღმერთი, შენწე მშობიარეთა.

რაც კი ხალხია მის გარშემო, მათზე იმეფებს

- 105 მოყმე, ნაყოფი კაცთა მოდგმის და ჩემი სისხლის!
მზაკვრობა ჰქონდა გულში, როცა ზევსს უთხრა ჰერამ:
„ეგ ტყუილია! შენ არასდროს ასრულებ სიტყვას!
მაშინ გაბედე, შემოგვფიცე ოლიმპიელო.

რომ რაც ხალხია მის გარშემო, მათზე იმეფებს

- 110 მოკვდავი, დღეს რომ ჩაგორდება დედის კალთაში,
მოყმე, ნაყოფი კაცთა მოდგმის და შენი სისხლის!“
ასე უთხრა და როდი იგრძნო ზევსმა ოინი,
ფიცი დადო და სანანებლად გაუხდა შემდეგ.
ჭერამ დატოვა მეყსეულად ოლიმპოს ბორცვიდ.

115 აქაველთ არგოსს მიაღწია, სადაც აღრევე
ეგულვა ცოლი პერსეიდი სთენელოსისა.
ძეს მეშვიდე თვეს ატარებდა წიალით დედა.
ვადამდე შვილი აშობინა.

ალკმენეს შობა

კი დაუყოვნა, მოაშორა ელითია.

- 120 შემდეგ მივიდა კრონიონთან და ასე უთხრა:
„ზევსო მამაო, გულზე გაქდევ შენსავე სიტყვას —
იშვა მოკვდავი, ვინც იმეფებს არგოსის მხარეს,
ყრმა ევრისტევისი, პერსეიდი სთენელოსის ძე,
შენივე მოდგმის! არ იქნება მეფე უღირსი!..“
- 125 ასე უთხრა და მწველი დარდი გულში აუნთო.
ზევისი მყის მიწვდა ატეს ლამაზ დალალ-კავებში,
განრისხებული ფიცსა დებდა შავლრუბლიანი,
რომ ოლიმპოზე, ვარსკვლავებით მოქედელ ცაზე
ვერასდროს ავა ატე, თვალთა დამავსებელი.
- 130 ხელი მოწყვეტით მოიქნია, ცას ვარსკვლავიანს
მოსხლიტა იგი, კაცთა საქმე არგუნა წილად.
ზევისი გმინავდა, როს ხედავდა ძეს უსაყვარლესს,
ევრისტევისისთვის სამარცხვინო უღლით გატანჯულს.
მეც, როს ჰექტორი, დიადი და ზუჩმოელვარე,
- 135 გემის კიჩოსთან მუსრს ავლებდა არგიველთ ლაშქარს,
ვერ ვივიწყებდი ატე-წყენას, ბრმად რომ მაქცია.
რაკი შეეცოდე, რაკი ჰკუა მომტაცა ზევსმა,
მინდა უზღვავი საზღაურით ვზლა ცოდვა ჩემი!
გმირო, ამხედრდი, აღამხედრე კვლავაც რაზმები!
- 140 ხოლო განძს ახლავ მოგართმევენ, შენთან მოსულმა
მხნე ოდისევსმა, ამას წინათ რომ მოგითვალა.
ნულარ გადავდებთ, რაც არ უნდა ბრძოლა გწყუროდეს,
მოგიზიდავენ გემზე ნობათს მსახურნი ჩემნი,
და თვითონ ნახავ, რას მოგართმევ შესარიგებლად“.
- 145 ატრიდს მიუგო აქილეესმა, გმირმა ფეხმარდმა:
„ქველო ატრიდო აგამემნონ, მამაცთ მეუფევი!
გინდ მომეც ძღვენი, რაც ეგების შესარიგებლად,
გინდ დაიტოვე, ოლონდ ახლა ომზე ვიფიქროთ,
რაზე დავკარგოთ სჯა-ბაასში დრო სანუკვარი?“

150 რაღას ვაყოვნებთ, ჯერ ხომ საქმე არ დაგვლევია?
დე, ვინც ისურვებს, კვლავ იხილოს მძლე აქილევსი,
სპილენძის შუბით ფალანგების დამანგრეველი
და მის მსგავსადვე თვით აენტოს მტერთან საომრად!”

მას ოდისევსი შეესიტყვა ჰქუაულევი:

155 „რაგინდ მძლე იყო, აქილევსო, ღმერთთა სადარო,
მშიერ აქაველთ ნუ წაიყვან ილიონისკენ
ტროელთ ლაშქართან საბრძოლველად!

არა მცირე ხნით

ატყდება ომი, თუ ფალანგნი მხნე მეომართა
შეიბმებიან, ღმერთიც ყველას შთაბერავს სიმხნეს.

160 მანამ აქაველთ დანაყრება უთხარ გემებთან
პურ-ღვინით: სიმხნეც ეს არის და სიმტკიცეც კაცთა.
მთელი დღე, თვით მზის ამოსვლიდან მზის დახდომამდე,
წაუხემსებლად ვერ გაუძლებს ვაჟკაცი ბრძოლას.
გინდ მოუღლელი გული ეგზნოს მიწყვი საომრად,

165 სიგამხდრით ძაბუნს უძიმდებდა ხოლმე სახსარი,
მშიერს და მწყურვალს ებლანდება გზაში ფეხები.
მაგრამ კაცი რომ მომაგრდება ღვინით და საგზლით,
ძალუძს მთელი დღე მტერს ეომოს, მის მკერდში სული
განმტკიცებულა და სახსრები არ გრძნობენ დაღლას,

170 სანამ რაზმთაგან ბრძოლის ველი არ დაიცილება.
სპა განუტევე, საუზმისთვის უნდა იზრუნონ.
შენ კი კრების წინ ხალხთა მეფე აგამემნონმა
წარმოგიდგინოს საზღაური.

იხილოს ყველამ

საკუთარ თვალთ და შენც ხომ გულს გადააყოლებ!

175 არგიველთ შორის შემოგფიცოს, რომ აქამომდე
მშვენიერ ქალწულს სარეცელზე არ ჩახვევია,
როგორც სჩვევიათ ხოლმე, მეფეც, კაცსა და დიაცს.
შენც ასათნოვე სული, იყავ კეთილმოსურნე!
ბოლოს მან ლხინიც საზეიმო გადაგიხადოს

180 თავის კარავში და უკლებლივ გიძღვნას პატივი!
ატრიდო, იყავ შემდეგ უფრო სამართლიანი!

იცოდე, მეფეს შერიგება ვერ დაამცირებს
მოყმესთან, ვინც თვით დაამცირა უგანაჩენოდ!“

მყისვე მიუგო მამაცთ მეფე აგამემნონმა:

- 185 „შვებით ვისმინე შენი სიტყვა, ლაერტის ძეო!
ჭეშმარიტება გვითხარი და სწორად განსაჯე.
მზად ვარ შეეფიცო და ამასვე მიბრძანებს გულა,
ღმერთის წინაშე ვყოფ ზენაარს!

ხოლო პელიდა

- აქ უნდა დარჩეს, თუმცა ეგზომ სწყურია ბრძოლა.
190 ყველანი დარჩით, კარვებიდან სანამ საზღაურს
აქ მოიტანენ, სანამ ვიტყვი ზენაარს წმიდას.
შენვე მოგანდობ მე ამ საქმეს, შენ შეარჩიე
აქაველთ შორის ყმაწვილკაცნი კეთილშობილნი
და ყველა განძი, რაც დავპირდი გუშინ აქილევსს,
195 ჩემი გემიდან მოიტანე, ქალნიც მოგვევარე.
შენ, ტალთიბიოს, აქაველთა ფართო ბანაკში
ტახი მონახე, რომ შეეწიროთ ზევსს და პელიოსს“.

პასუხად უთხრა კვლავ პელიდმა, გმირმა ფეხმარდმა:

- „ქველო ატრიდო, აგამემნონ, მამაცთა მეფეე!
200 შემდეგ ვიზრუნოთ ამ საქმეზე, იმ დროს სჯობია,
როცა მცირე ხნით დავეხსნებით ბრძოლას მომქანცველს
და მრისხანება გულში აგრე არ იგიზგიზებს.
ჯერ ჩვენს წინაშე განგმირულთა ჰყრია გვამები,
ჰექტორმა მოსრა, როს დიდება არგუნა ზევსმა.
205 თქვენ კი ხალხს უხმობთ სასაუზმოდ?

მე სულ სხვას ვფიქრობ:

მე ახლავ ვურჩევ აქაველებს ბრძოლაში გასვლას,
მშიერთ და მკლევებს.

სალამოს კი, მზის დახდომის წინ,

საყოველთაო ლხინს შეეუდგეთ შურისმგებელნი.

მანამ არა მსურს მე პურ-ღვინო, არ გადამივა

- 210 ყელში საქმელი იმ უსულო მოძმის წინაშე,
კარვის შუაში, დაფლეთილი სასტიკ სპილენძით
რომ წევს კარისკენ ფეხშექცევით... ირგვლივ მეგობრებს

ერთი ზარი აქვთ! საუზმე კი ფიქრად არ მომდის,
ბრძოლა მწყურია, სისხლი, კვნესა საწყალობელი!“

215 ისევ მიმართა ოღისევსმა ჭკუაულებმა:

„ო, აქილევსო, აქაველთა შორის უმხნესო!
ჩემზე განთქმულო და ჩემზევე მძლე მეომარო,
იცოდე, მაინც შორს ჩამომჩიი განსჯით და ცოდნით:
უადრეს შობილს უმეტესი მინახავს ქვეყნად.

220 დაგიცხრეს სული, გმირო, ჩემი კეთილი რჩევით.
ომში კვეთებით მალე ძლება ვაჟაკთა გული,
როცა თავთუხებს ძირს დააფენს სპილენძი უხვად.
მკაცა ძნელდება, ოდეს დახრის სასწორს კრონიდი —
მოყმეთა შორის გადამწყვეტი ბრძოლის ბედისა.

225 ამიტომ მკვდრებზე გემართებს ვწუხდეთ არა სტომაქით:
მარადლე მწკრივი მწკრივზე წვება აქაველ სპათა,
ვინ და როდისლა მოასწრებდა სულის ამოთქმას?
ჩვენი ვალია მივაბაროთ მიწას მოკლული,
ისევ გავმხნევდეთ, როს მთელი დღე მკვდარს

დავიტირებთ.

230 და ვინც ცოცხალი გადაურჩა დამღუპველ ბრძოლას,
უნდა გამაგრდეს პურ-ღვინოთი, რომ ახალ ძალით
შეებას მტერს და კვლავ იბრძოდეს მუხლჩაუხრელად,
მტკიცე სპილენძით შეკავშნული.

დაე, ნურავინ

აყოვნებს წასვლას, სხვა ბრძანებას ნურავინ ელის!

235 ყველას დალუბავს ის ბრძანება, ვინც კი გემებთან
დაიმალება არგიველი.

მალე ტროელებს

ჩვენ შევესევით და საშინელ ომს გავაჩალებთ!“

გაიხზო ძენი ნესტორისნი, მძლე ფილეიდი
მეგეტე, გმირი მერიონე, მძლავრი თოანტი,

240 კრეონტიადი ლიკომედე, მელანიპოსი.
იჩქარეს მისვლა აგამემნონ მეფის კარავთან.
და როგორც ითქვა, ისე ჩქარა აღსრულდა საქმე:
შვიდი სამფეხა წამოიღეს შეპირებული,
ოცი კარდალაც, თორმეტივე ცხენი მოასხეს,

245 შვიდი ქალწული ხელოვანი, არ დასაწუნი
და მერვე — ლაწვებალანძული ბრისეს ასული.
ოღისეესს ოქრო გადაუწყავს ათი ტალანტი
და თვით მოჰქონდა, ჭაბუკებს კი — სხვა მოსაკითხი.
დასის წინ დადეს.

ზე წამოდგა აგამემნონი.

250 ხელით ეჭირა ტალთიბოსს, ხმით ღმერთის ბადალს,
ბურვაკი,

მაცნე თვის მბრძანებელს გამოეცხადა.
ატრიდმა იძრო მეყსეულად მძლავრი მარჯვენით
ბასრი ხანჯალი, ხმლის გვერდით რომ ეკიდა მუდამ,
ჯაგარი წაჭრა ბურვაკს, ხელნი მალლა აღაპყრო,

255 ზეესს შეღალადა.

არგიველნი ისხდნენ და მეფის
სიტყვას ისმენდნენ ყურადღებით, სულგანაბულნი.
ის ლოცულობდა, სასოებით ზეცის შემყურე:

„ზეესი მემოწმოს უმძლავრესი, უზენაესი,
მზე, დედამიწა, ქვეშეთს მყოფი ერინიები,

260 ცრუ მაფიცარს რომ მიაგებენ საშინელ სასჯელს!

ვფიცავ, რომ ქალწულ ბრისეისს მე არ შეეცხებივარ,
მის სარეცელზე იძულებით ან სხვა რამ ძალით,
არა, კარავში უზრუნველად ცხოვრობდა იგი!

თუ ცრუ ფიცს ვამბობ, დაე, მიზღან ღმერთებმა, რაც კი

265 უბედურება აქვთ სასჯელად ვერაგ კაცთათვის!“

თქვა და გამოჭრა ბასრი რვალთ ბურვაკსაც ყელი.

ტალთიბოსმა ზღვის ზვირთებში უმაღ ზვარაკი
ჩაუგლო თევზებს.

ზე წამოდგა ამ დროს აქილევეს,
ასეთი რამ თქვა არგიველთა შორის პელიდმა:

270 „ზეესო მამაო! კაცს საშინელ ბედსა სწევ ხოლმე!

არასდროს ატრიდს ჩემთან შულლი არ სურვებია,

ვერავეითარი ვერაგობით ქალწულს კარვიდან

ჩემს უნებურად ვერ წამგვარიდა.

მაგრამ თვით ზეცსა

ისურვა ვნება ესოდენი აქაველთათვის!

275 ახლა საუზმე დააჩქარეთ და ვიწყოთ ბრძოლა!“

- ასე თქვა, კრებაც დაიშალა სახელდახელო.
 ყველამ მაშინვე მიაშურა თავ-თავის ხომალდს.
 მირმიდონელნი, მიიღეს რა გამოსასყიდი,
 მიადგნენ გემებს ლეთაებრივი აქილევსისა,
 280 კარავთან დადეს, იქვე დასვეს ტურფა ქალები,
 ცხენები რემას შეურიეს მეაბჯრებმა.
 ბრისეს ასული, მსგავსი ოქრო-აფროდიტესი,
 ნახა თუ არა ყრმა პატროკლე რვალთ ძლეული,
 ცხედარს ქვითინით დაეკონა, იწყო გოდება,
 285 ნაზი მკერდის და ყელის ხოკვა, მშვენიერ სახის.
 ქალი, ღმერთქალის შესადარი, ასე მოთქვამდა:
 „ჩემო პატროკლევ, შენი ფასი ვინ მყავდა ბედკრულს!
 ვაგლახ, ცოცხალი დაგთმე, როცა ბანაკს ვტოვებდი,
 ბანაკში მოველ, ხალხის მწყემსო და ცხედრად გპოვე!
 290 ასე თანა მღევს მიწყვიტვირთვირთ უმეტესი!
 ვიზეც დამწინდეს მე მშობლებმა, იგი ვიხილე
 სასტიკ სპილენძით განგმირული ქალაქის ბჭესთან,
 სამი ძმა მყავდა, გაგვაჩინა ჩვენ ერთმა დედამ,
 ყველა მიყვარდა და ყველანი ერთ ღღეს დაგვარაგე.
 295 აქვითინებულს, როს აქილევს — ქალაქთმნგრეველმა
 ქმარი მომიკლა, დააქცია მინესის ციხე,
 შენ მამშვიდებდი, აქილევსის ცოლად გინდოდი,
 ფთიის მხარეში მიპირებდი მალე წაყვანას,
 მირმიდონელთა შორის ქორწილს... და შენ აღარ ხარ!..
 300 აწ და მარადის გლოვა მმართებს, ვაი, ჭაბუკო!“

ასე მოთქვამდა.

- ვიმვიშებდნენ სხვა დიაცებიც,
 თითქოს მოკლულზე, გულში ყველა თვისას სტიროდა.
 ამ დროს აქილევსს აქაველთა თავკაცნი სთხოვდნენ,
 წაიხემსეო, გამაგრდიო. უარი უთხრა:
 305 „გემუდარებით, მეგობრებო, თუ მეგობარი
 მყავს კიდევ ვინმე, — ნურას მეტყვით საჭმელ-სასმელზე!
 გული დაფლითა მწუხარებამ აუტანელმა.
 ხელს ვერას ვახლებ, მზე სანამდის ჩაესვენება!“
 ასე უთხრა და გააბრუნა სპათა ბელადნი.

310 მხოლოდ ატრიდნი, ოდისევსი, იდომენევსი,
ნესტორ, ღმრთეებრი ფოინიქსი დარჩნენ პელიდთან,
ანუგეშებდნენ.

მაგრამ შევბას როდი იგრძნობდა,
სანამდის კვლავ არ იგეშებდა ომის ჯოჯოხეთს.

ფიქრობდა მხოლოდ პატროკლეზე, ამბობდა ოხვრით:

315 „ჩემო ბედკრულო მეგობარო, მახსოვს. კარავში
საამო ნუგზარს მთავაზობდი ხოლმე მზრუნველად,
როს აქაველნი იჩქაროდნენ, ტროელთ მხედრობაა
უხვეცრემლიანი, სისხლიანი ბრძოლით შებმოდნენ.
ახლა შენ წევხარ განგმირული და გულს არა სურს

320 უხვი ხორაგი და სასმელი, შენთვის დარდიანს!
მე მწუხარება საზარელი ხელს ვერ დამრევდა,
თუნდ ჩემს ყურამდე მოსულიყო სიკვდილი მამის,
ვინც, შესაძლოა, ცხარე ცრემლით ტირის ფთიაში,
შვილი შინ არ ჰყავს, უცხო მხარეს გადახვეწილა

325 და მშვენიერი ელენესთვის შებმია ტროელთ!
ან რომ გამეგო სკიროსს მყოფი ვაჟის დაღუპვა...
ალარც კი ვიცი, ცოცხალი მყავს ნეობტოლემოს?
გულში იმედად მქონდა, თუკი სიკვდილს ვპოვებდი,
მარტო ვპოვებდი მამულიდან ვადახვეწილი,

330 ტროელთ მხარეში, შენ კი ფთიას კვლავ ეწვევოდი,
შავი ხომალდით მიიყვანდი მამულში ჩემს ვაჟს,
სკიროსის მხრიდან.

აჩვენებდი ყმაწვილს ყველაფერს.

სამშობლო მხარეს, გუმბათიან სახლსა და მონებს.

მამა პელევსი, გული მითქვამს, აწ აღარა მყავს,

335 ან, შესაძლოა, ძლივსლა სუნთქავს,

ქედღადრეკილი

სიბერის უღლით, მძიმე დარდით, რაკი სულ ელის

ჩემი სიკვდილის გულისმომწყველელ, საზარელ ცნობას!“

ასე მოთქვამდა.

მის გარშემო ოხრავდნენ გმირნი,
ყველა შინაურს იგონებდა, გულით საყვარელს.

340 ციდან იხილა მწუხარენი, ზევსს შეეწყალა

და ფრთიან სიტყვით ასე უთხრა ქალღმერთ ათენას:
„ნუთუ, ასულო, სახელოვან ვაჟკაცს განუდექ,
სულ აღარ ზრუნავ აქილევსზე?

მარტოა იგი

მართკიჩოიან ხომალდებთან და გულმდულარე

345 დასტირის მოძმეს უსაყვარლესს.

სხვანი ყველანი

ჭამენ და სვამენ, ის კი რჩება მშვიერ-მწყურვალი.

გასწი, ათენავ, ამბროსია, ტკბილი ნექტარი

მკერდზე აკურე, დაიხსენი შიმშილისაგან“.

ღმერთი, ისედაც მოწადინე, მან წააქეზა:

350 ვით მკლერხმიანი შევარდენი, ფართოფრთიანი

ციოთ გადმოიჭრა მყის ათენა.

ამ დროს აქაველთ

მთელი მხედრობა შეეკაზმათ.

ზევსის ასულმა

პელიდს მალულად ამბროსია, ტკბილი ნექტარი

მკერდზე აკურა და დაიხსნა შიმშილისაგან.

355 კვლავ მამისეულ რვალით ნაგებ კოშკში აიჭრა.

ისე მოქროდნენ აქაველნი შავ გემებიდან,

როგორც ზევსისგან მოფრქვეული თოვლის ფანტელი,

სწრაფი და ცივი, გამსჭვალავ ქარს ადევნებული.

აქაველთ გემებს უთვალავი გამოეფანტა

360 გარეთ ჩაფხუტი მოელვარე, შუბ-ფარ-შიმშერი,

ჩაქვის პერანგი მტკიცედ წნული, იფნის ოროლი,

ცას ქრიდა რვალის სიკაშკაშე, სპილენძის სხივით

მთლად დედამიწა იცინოდა და გუგუნებდა

ფერხთა ქვეშ ველი.

ლაშქრად იდგა თვით აქილევსიც.

365 კბილები რისხვით უღრჭინავდნენ, თვალნი საშინელ

ცეცხლს აკვესებდნენ, გულს უღრღნიდა დარდი საზარი.

ტროელთა გულის გასაგმირად რისხვით აღივსო,

ჰეფესტოს ძღვენით აღიჭურვა გასაოცარით.

ჩერ მარდ ფეხებზე მოიწვართა საბარკულები,

370 რომელნიც მჭიდროდ იკვრებოდნენ ვერცხლის კავებით.

შემდეგ მძლავრ მკერდზე სამკერდული აისხა ქრელი,

მხარზე მოიგდო ხმალი ვერცხლისსამსკვალისანი,
ხმალი სპილენძით მოპირული.

აილო ფარი,

- მტკიცე და მძიმე, შორს აფრქვევდა შუქს, ვით მთოვარე.
375 ვით მეზღვაურებს ცეცხლის ალი უფანტავს წყვდიადს,
როს მთის მწვერვალზე აინთება კოცონი შორი
და უნებურად ქარიშხლისა, მრისხანე ზვირთთა,
მდულარე ზღვაში გემი ნაპირს ელტვის სანატრელს,
ასე საოცარს, თვალისმომჭრელ აქილევსის ფარს
380 შუქი გარშემო მოეფრქვია.

აილო ზუჩი

- და, ვით ვარსკვლავი, აკრიალდა თავზე ჩაჩქანი,
ათრთოლდა ძუა და შეირხა ჯილა ოქროსი,
ჰეფესტოს მიერ ჩამოძერწილ და ჩამოსხმული,
გასინჯა გმირმა აქილევსმა: ტანზე თუ მადგა,
385 ხომ არ მიბოროკავს მკვრივ სახსრებსო. ეს საჭერკელი?
არა, ვით ფრთები, ხალხთ მეუფეს სიმხნეს აძლევდნენ
შემდეგ აილო კიდობნიდან მამისეული
იფნის ოროლი, მას ვერავენ აქაველთ შორის
ძვრას ვერ უზამდა, პელიდი კი იოლად ძლევდა.
390 პელიონური იფნის ძელი მამას ქირონმა
გმირთ დასანთქმელად პელიონის თხემზე მოუქრა.
ამ დროს ალკიმოს, ავტომედონტ კაზმავდნენ ცხენებს,
ქელზე დაადგეს საყევარი, ლაგამი მოსდეს,
მოსართავეები მოჭიმეს და მშვენიერ ეტლზე
395 კოფოს მიაბეს.

- ხელი სტაცა ბრწყინვალე მათრახს
და ეტლის ძარას მყის შეახტა ავტომედონტი,
მის უკან იდგა საბრძოლველად გმირი აქილევს,
ბრწყინავდა, როგორც ჰიპერიონ სხივთა მთოველი.
ხაფად შეჰყივლა მამისეულ ცხენებს მრისხანემ:
400 „ქსანთოს, ბალიოს, ღვთაებრივი პოდარგეს შვილნო!
ახლა სხვაგვარად გაიყვანეთ თქვენი მეეტლე
დანაელთ დასთან, რომ ბრძოლის ჟინს ოდეს მოვიკლავთ.
როგორც პატროკლე, სარბიელზე არ დაგრჩეთ იგი“
ეს თქვა თუ არა, შმაგფეხება რაშმა ქსანთოსმა

405 ხმა ამოიღო თავდახრილმა, უხვი ფაფარი
ხელნის ქვემოდან გადმოცვივდა, მიწამდე დაწვდა,
ცხენი მეტყველ-ყო თეთრხელემა ქალღმერთმა ჰერამ:
„ახლაც კვლავ ცოცხალს დაგაბრუნებთ, გმირო

ფეხმარდო,

მაგრამ ახლოა აღსასრული!

ჩვენ არ გიმუხთლებთ,

410 არამედ — ღმერთი, მბრძანებელი, ბედი-თაენება!
ო, განა ჩვენმა სიზანტემ და მოუქნელობამ
პატროკლეს მკერდზე მტერს ჯავშანი ააგლეჯინა?
ყოვლადძლიერმა ღმერთმა დასცა, ლეტოს შობილმა
პატროკლე,

ხოლო მიანიჭა დიდება ჰექტორს!

415 ჩვენ თუნდ ვიფრინოთ, ვით ზეფიროს სუნთქავს

ქშუილით —

ქართუსწრაფესი, ბედისწერას შენც ვერ აგაცდენთ:
ძლიერი ღმერთი და მოკვდავი დაგცემს ვაჟაკი!“
ამის თქმა იყო და დაუხშო ხმა ერიინამ.

პირქუშად უთხრა აქილევსმა ფეხმარდმა მერანს:

420 „რატონ მიქადი სიკვდილს, შენ ეს არ გეკითხება!
მეც კარგად ვიცი, რომ დალუპვა აქ მიწერია,
შორს დედ-მამისგან.

მაგრამ ბრძოლის ველს არ დავტოვებ,
სანამ ტროელებს არ დავაძლებ სისხლიან ომით!“

თქვა და ყიჟინით გააჰენა თქარუნა ცხენნი.

ქება მეროცე

ღმერთების ბრძოლა

ჰვინტებმორკალულ ხომალდებთან რვალმოელვარე
აქაველები შემოგიდგნენ, პელევსის ძეო!
ტროელთ ზეგანი ეკავათ და ელოდნენ მომხედურს.
კრონიდმა ბრძანა, რომ თემიდას ყველა უკვდავი

5 შემოეკრიბა ოლიმპოდან.

ჩამოუარა

თემიდამ, ზევსის სასახლეში მოვიდა ყველა,
რუ და მდინარე, ოკეანე აკლდათ ჭალარა.
იყვნენ ნიმფები, აყვავებულ ჭალების მკვიდრნი
და მოლივლივე მდინარეთა, ტყეთა და ველთა.

10 ღრუბელთმარეკი ზევსის სახლში შეკრებილები
დასხდნენ ბრწყინვალე პალატებში, რომელნიც კრონიდს
ჰეფესტომ დიდი შთაგონებით აუგო წინათ.

აქ თავს იყრიდნენ მამა-ზევსთან, თვით მიწისმძვრელი
როდი ეურჩა ქალღმერთს, ზღვიდან მოვიდა ზეცად.

15 დაჯდა შუაში და კრონიდის ნება იკითხა:

„რად უხმობ, ვერცხლისელვიანო, კრებად უკვდავებს?
გინდა განსაჯო ტროელთა და არგიველთ საქმე?
არ დაყოვნდება შეტაკება მათი რაზმების!“

პასუხად უთხრა მამა-ზევსმა ღრუბელთბატონმა:

20 „შენ გამოიცან ზრახვა ჩემი, მიწისმრყეველო,
სწორედ ამისთვის გიხმეთ, ვწუხვარ მოკვდავთა გამო.
მაგრამ დავრჩები სათვალთვალოდ ოლიმპოს თხემზე,
დავტკბები მზერით.

თქვენ კი წახვალთ ყველანი ახლავ

მამაც ტროელთა და აქაველთ რაზმებისაკენ.

25 ამათ და იმათ შეეწიეთ, ვინც თქვენ გერჩიოთ.

ტროელებს მარტო აქილევსიც ეყოფათ რისხვად,
ერთი წამითაც ბრძოლის ველზე ვერ გაუძლებენ,
წინათ შეხედვაც თავზარს სცემდათ, თრთოდა ლაშქარი,
ახლა კი, რისხვით ანთებულა მეგობრის გამო,

30 ვშიშობ, არ ასცდეს ბედისწერას, ტროა არ მოსპოს“.

ასე თქვა. შულლი გააჩაღა.

ღმერთებს საერთო

სულისკვეთება როდი ჰქონდათ.

მყის მოსწყდნენ ზეცას.

ჰერას ათენა აქაველთა ბანაკში მიჰყვა,

პოსეიდონი მიწისმძვრელი, შემდეგ ჰერმესი —

- 35 უხვად გამცემი საამო ძღვნის, ჭკუანათელი.
 ძალისმხმეველი და ვეება ღმერთი ჰეფესტოი
 მიჰყვა კოქლობით, ძლიეს ადგამდა ხეზარ ფიქებს.
 ტროელთ ლაშქართან გაჩნდა არეს, ზუჩმოელვარე,
 აპოლონ — თმების არ მკრეპელი და არტემისი,
- 40 ლეტო, ქსანთოსი, აფროდიტე ამოდ მლიმარი.

- სანამ ღმერთები შეერივნენ ადამიანებს,
 მხნედ იდგა რაზმი აქაველთა. რაკი პელიდი
 გამოჩნდა, დიდხანს საზარ ომს რომ თავს არიდებდა.
 ტროელთ ლაშქარში ყველას შიშით უთრთოდა მუხლი,
- 45 რაკი კვლავ მოჰკრეს თვალი ველზე აქილევსს ფეხმარდს,
 მრისხანედ რვალთ მოელვარეს, ვით მმუსვრელ არესს.
 მაგრამ მეომართ როს მიადგნენ ოლიმპიელნი,
 აღდგა ერისი, შეუკეთა ციცხლი.

ათენამ

- ხან სანგრის წინ და ხან აქაველთ გალავნის იჭიო.
- 50 ხან მოგუგუნე ზღვის ნაპირზე დასცა ყიყინა.
 შმაგად, ვით შავმა ქარიშხალმა, სჰეჰა არესმა,
 ტროელთ ხმამალლა ამხნევებდა ხან მთის თხემიდან,
 ხან სიმოენტის ჩქერთან, კალიკოლონეს ახლოს.

- ასე ორ ლაშქარს ალაგზნებდნენ ღმერთნი ნეტარნი
- 55 და შეარკინეს საშინელი გამძვინვარებით.
 ცაში იქუხა ზევსმა, მამამ კაცთა და ღმერთთა,
 ხოლო ძირს ველი შეარყია პოსეიდონმა,
 უსაზღვრო მიწა, მწვერვალები მთათა მაღალთა.
 თრთოდა ყოველი, კაყიანი ძირი და თხემი
- 60 მაღალ იდესი, ტროელთ ციხე, ნავ-ხომალდები...
 თვითონ ჰადესიც კი შეძრწუნდა, ქვეშეთის მეფე
 და სავარძლიდან გადმოვარდა, შიშით შეჰყვირა,
 ვაი-თუ მიწა გახეთქოსო პოსეიდონმა,
 შავი სავანე აჩვენოსო მოკვდავთ და უკვდავთ,
- 65 საზარი მღვიმე, თვით ღმერთებსაც რომ აცახცახებს.
 შეიძრა მიწა, როს ბრძოლაში ჩაებნენ ღმერთნი.
 პოსეიდონის წინააღმდეგ დადგა ფოიბოს —

გრძელკულულება აპოლონი, შორსმოისარი.

ენიალოსის წინ — ათენა თვალეზბრიალა,

- 70 ჰერას წინ ედგა არტემისი, ისრის მტყორცნელი,
მფლობელი ოქროს მშვილდის, დაი შორსმოისარის.
ლეტოს მეტოქე იყო ჰერმეს კეთილმოქმედი,
ჰეფესტოსი კი სწრაფწყლიანი და ღრმა მდინარე,
ღმერთნი ქსანთოსს რომ ეძახიან, კაცნი — სკამანდროსს.

- 75 მიისწრაფოდა ღმერთი ღმერთზე,

ხოლო აქილევეს

ოლონდ კი ჰექტორს შეხვედროდა, ბრბოს შეერია.

გული უსაზღვროდ აღზნებოდა, სურდა გაეძლო
ბრძოლით უმაძლარ გმირის სისხლით ღმერთი არესი.

მაგრამ ენეასს აპოლონმა, სპათა აღმძვრელმა,

- 80 სიმხნე შთაბერა, წააქეზა პელიდთან ბრძოლად.

ხმა ჰქონდა, სახეც ლიკაონის, პრიამოსის ძის,

გამოეცხადა გმირს, მიმართა აპოლონ ღმერთმა:

„ენეას, ტროელთ მწყემსო, შენი კვებნა რა იქნა?

როს ნადიმობდი ტროელებთან, მაშინ ამაყად

- 85 იქადნებოდი, აქილევესსაც ვერკინებო!“

მყისვე მიუგო მას პასუხად მხნე ენეასმა:

„რად მაიძულებ, პრიამიდო, თუკი არა მსურს,

რომ შევერკინო პელევსის ძეს, ძლიერს და ზვიადს?

ახლა პირველად როდი ვხვდები ფეხმარდ აქილევესს.

- 90 მან აღრე შუბით გამაძევა იდას თხემიდან,

ანაზღდეულად თავს დაგვატყდა გმირი საომრად.

პედასოს დასცა, ლირნესოსიც, ხოლო მე ზევსმა

გადამარჩინა, ძალაც მომცა, ფერხთა სიმარდეც.

მომკლავდა მაშინ აქილევესი, მძლავრი პალასიც,

- 95 ყველგან რომ თან სდევს, რჩევას აძლევს და ჰმატებს

ძალას,

რომ რვალის შუბით სძლიოს ლელეგთ და სპას ტროელთა.

არაკაცს მასთან შერკინება არ შეუძლია,

მუდამ თან ახლავს, დალუპვისგან იცავს ღვთაება.

მის შუბს მიზანი არ ეშლება, არც ჰკარგავს ძალას,

100 სანამ მტრის სისხლით არ გაძლება.

მაგრამ თუ ღმერთი
თანაბარწილად გაგვიყოფდა სიმძიმეს ბრძოლის,
იოლად ვერ მძლევეს, თუმც ამაყობს, რვალისა ვარო!“

ისევე მიმართა აპოლონმა, ღმერთმა ზევსის ძემ:

„გმირო, რად არ გსურს შენც ილოცო უკვდავთა მიმართ?
105 ამბობენ, გშობა აფროდიტემ, ზევსის ასულმა,
ხოლო პელიდი უფრო მდაბალ ქალღმერთის ძეა:
ზევისის სისხლი გაქვს, ხოლო თეტისს — ზღვის მოხუცისა.
მძლავრი სპილენძით შეეგებე, ყურს ნუ ათხოვებ
ნურც ომახიან მის შეძახილს, ნურც ზვიად ქაღილს!“

110 თქვა და ალაგზნო სული ხალხის წინამძღოლისა!
მოყმე გაიჭრა მოელვარე რვალით მოსილი.
მაგრამ ანჭისეს ძე მაშინვე შენიშნა ჰერამ,
პელევსის ძისკენ გზას ლაშქარში რომ მიიკვლევდა.
სწრაფად მოუხმო და მიმართა ღმერთებს ქალღმერთმა:

115 „სწორად განსაჯეთ პოსეიდონ და შენც ათენავ,
აბა რა უნდა გამოვიდეს ამა საქმიდან?
ხედავთ, ზვიადი ენეასი რვაღშემოსილი
პელიდზე მიდის, წააქეზა თვით აპოლონმა.
დაუყოვნებლივ გამოვიხმოთ უკანვე გმირი.

120 ან აქილევსთან გამოცხადდეს ერთი ჩვენგანი,
ალავსოს მოყმე ძლიერებით, რამეთუ სულით
ალარ დაეცეს, იგრძნოს გმირმა, რომ ძველებურად
უყვართ უკვდავებს.

ხოლო უწინ და დღესაც ტროელთ

ვინცა მფარველობს, უძლურია ახლანდელ ომში
125 ყველამ დავტოვეთ დღეს ოლიმპო, ვისურვეთ — ბრძოლას
დავესწროთ,

ლაშქარს ტროელთაგან ვაშორით ვნება.

შემდეგ შეხვდება თვის განსაცდელს, ჯიუტმა ბედმა
პირველ დღიდანვე, შობიდანვე რომ განუშადა.

თუ ღმერთი თვითონ არ აუწყებს ამას აქილევსს,

130 შეკრთება გმირი, რომელიმე ღმერთს რომ შეხვდება,
ომში ღვთაების გამოჩენა საშინელია!“

მყისვე მიუგო პოსეიდონ — მიწისმპყველმა:

„ჰერა, უგონოდ მძვინვარება საკადრისია?

არ მსურს ღმერთს ღმერთი უთანაბრო ბრძოლაში

შეხედეს,

135 არც ჩვენ და არც სხვა.

ძალით ბევრად ვაჭარბებთ მოკვდავს.

სჯობს გავეცალოთ ბრძოლის ველს და ბექობზე

დავსხდეთ,

ადამიანებს მივანებოთ საქმე სამხედრო.

თუ აპოლონი ფოიბოსი, ანდა არესი

საუარესოდ გაუხდიან ბრძოლას აქილევეს,

140 ნუ დავაყოვნებთ, ჩვენც ჩავებათ მაშინ ბრძოლაში

და იმედი მაქვს, მალე ყველას მივფანტ-მოვფანტავთ,

ოლიმპოს წავლენ, შეერთვიან ღმერთების კრებულს,

მათს უნებლიედ დათრგუნვილნი ჩვენი მარჯვენით.“

თქვა და უფალი შავთმიანი ქალღმერთ ათენას

145 ღმრთის სწორ ჰერაკლეს ბორცვისაკენ წარუძღვა მაშინ.

ეს ბორცვი ტროელთ ათენასთან ერთად აღმართეს,

რომ გმირს დაეცვა თავი საზარ ვეშაპისაგან,

უკეთუ იგი გააყვებოდა ზღვიდან ხმელეთზე.

იქ პოსეიდონ და სხვა ღმერთნი მოლზე დაბრძანდნენ,

150 მხარზე ეფინათ მოქუფრული ღრუბლის ქულები.

სხვები — იქითა მხარეს, კალიკოლონეს თხემზე,

შენთან, ფოიბოს, ციხისმღეწველ არესთან დარჩნენ.

ასე ორსავე მხარეს ისხდნენ უკვდავი ღმერთნი,

ფიქრს მისცემოდნენ მღუმარენი, ბრძოლის დაწყებას

155 კი აყოვნებდნენ, თუმცა ზევსი შულლს აღვივებდა.

ველი გაავსო სპამ.

ცხენთა და მებრძოლთა სპილენძს

ბზინვა გაჰქონდა, და ფერხთა ქვეშ მიწა ათრთოლდა.

ბრბო ომს ელტვოდა,

ამ დროს ორი სვიანი მოყმე

თავ-თავის ლაშქარს გამოეყო აღსავსე უინით:

160 ანქისიადი ენეასი და აქილევესი.

ჯერ ენეასი გამოვიდა დაქანებული,
ზუჩი მრისხანედ ერხეოდა, ფარი მსუბუქი
ძკერდზე მიეკრა, იღერებდა სპილენძის ოროლს.
ბელიდიც უნალ განოიჭრა, ვით შმაგი ლომი.

- 165 სოფლელეებს მიზნად დაუსახავთ მოკვლა ლომისა
და შეჯგუფულან,

მათ ნადირი, ჯერ არად აგდებს,
მაგრამ როგორც კი მარჯვე ბიჭი დაქრის ოროლით,
აიფოფრება, დაამოქნარებს, საზარელ ხახას
კიდებზე დუქი ჩამოუვა. გული უკენის

- 170 ფოჩიან მძლავრ კულს ნეკნებზე და ფერდებზე იცემს
და ენისსავე თავს ალაგზნებს შესაბრძოლებლად.
უცხად დაკვესავს რისხვით თეალსა, შეკრავს კამარას
მტრის დასაფლეთად, ან სიკვდილის შესაგებებლად.
ასე იწვევდა პელიდს ძალაც და სიმხნეც გულის,

- 175 რომ გმირ ენეასს, სულდიდს, უმალ შერკინებოდა.
როგორც კი თვალი მოჰკრეს ერთურთს, იჩქარეს შებმა.
ჯერ ღვთაებრივმა აქილევსმა მიმართა მოყმეს:
„რად გამოეყავ, ენეასო, მხედრობას უნსას?
განა მოგიწევს გული ჩემთან შესარკინებლად,

- 180 ამაყ იმედით, რომ ტროელთა იქნები მეფე,
მემკვიდრე მოხუც პრიამოსის?

შეც რომ დამჯაბნო,
ქონებას იგი შენ არ მოგცემს, მას ჰყავს შვილები
და არ მერყეობს, თუკი გულში ჩაიდო რამე.
იქნებ ტროელნი ვთავაზობენ წილს — ვრცელ

ველ-მინდვრებს

- 185 სახნავ-სათესად, ნახირისთვის საიალადოდ,
თუკი მძლევ?

ვეჭვობ, ეგ გმირობა გაგიძნელდება!
უკვე წინათაც გაეჭეცო, მახსოვს, ჩემს ოროლს.
თუ დაგავიწყდა, ჯოგთან მარტო რომ მიგიმწყვდიე,
გერეკებოდი იდას მთიდან?

გარბოდი როგორ!

- 190 უკან მოხედვას ვერ ბედავდი დაფეთებული

შენ ლიონესოსის კალავანში შემასწარ,
მაგრამ
ნაცრად ვაქციე ათენას და ზევსის შეწევნით.
ქალნი მონებად გავირეკე, თავისუფლება
წავგვარე!

195 შენ კი გიხსნეს ზევსმა და სხვა ღმერთებმა.
დღეს, ვფიქრობ, იგი ვერ გიშველის, თუმცა გაქვს იმედი!
მაგრამ მიიღე ჩემი რჩევა,
ახლავე ლაშქარს

თავი აფარე!

ნუ მეჩრები, სანამ სიკვდილი
მოგიღებს ბოლოს! აქ რაც ხდება, ბრიყვიც კი ხედავს!“

200 ამაზე უთხრა ენეასმა ფეხმარდ აქილევსს:
„ჩემს დაშინებას იმედოვნებ ფუჭი სიტყვებით,
თითქოს ბალდი ვარ უსააკო!

მეც ხომ იოლად

ძალმიძს გაკადრო თავხედური, და მწარე სიტყვა
ვიციტ ორივემ მოდგმა ჩვენი, მშობელნიც ვუწყით,
თვითონ გვსძენია მოკვდავთაგან თქმულება ძველი.

205 მაგრამ შენ ჩემნი, მე კი შენნი როდი გვინახავს.
შენზე ამბობენ, ძე არისო ქველი, პელევსის,
დედად თეტისი ჰყავსო ლამაზდალალიანი.
მე კი სულდიდი ანქასეს ძე ვარ ლირსეული,
დედა-მშობელი მშვენიერი აფროდიტეა!

210 დღეს რომელიმეს დატირება მოუწევს შვილის:
არა მგონია, რომ ბალღური შაინკლავება
ვიკმაროთ,

ერთურთს გავეცალოთ ბრძოლის ველიდან:
უკეთუ გნებავს, მოგახსენებ ჩემს განთქმულ მოდგმას,
რომ შენც იცოდე, რაიც ბევრმა მოკვდავმა იცის.

215 დარდანოს — ჩვენი წინაპარი შობა თვით ზევსმა.
მან დააარსა დარდანეთი,

ჭერ ილიონი

არც არსებობდა ქვეყნად — მოკვდავ კაცთა ქალაქი.
ხალხი ცხოვრობდა ჭერ წყალუხვი იდას კალთებზე.

- შვა დარდანოსმა ძე. ხელმწიფე ერიქთონიოს,
 220 უმდიდრესი და უდიდესი მეფეთა შორის:
 სამი ათასი ცხენი ველად დაუდიოდა —
 ფაშატნი, კვიცთა ნაირობით მოამაყენი.
 ბევრს ბორეასი ტრფობის ყინით სწვევია ველზე
 შვეფაფრიან და შმაგ ულაცზე ამხედრებული.
- 225 ყველა დამაყდა, თორმეტი შვეს ბორეასიგან.
 კვიცები როცა მიგელავდნენ პურის ყანაში,
 თავთუხებს არც კი ეხებოდნენ, არ სრესდნენ ღეროს,
 უკიდევანო ზღვის ქედზე რომ გაიჭროლებდნენ,
 ტალღათა ზემოთ მოფრინავდნენ მოლივლივეთა.
- 230 ერიქთონიოს მეფემ შობა ძლიერი ტროსი,
 ტროსმა ქვეყანას მოუვლინა სამი ძე ქველი:
 ილოსი შობა, ასარაკოს და განიმედე.
 რომელიც მართლაც იყო მოყმე ულამაზესი!
 იგი ზევსის მწდედ აღიყვანეს ღმერთებმა ზეცად,
 235 მშვენიერ ჭაბუკს რომ ეცხოვრა უკვდავთა შორის.
 შობა ილოსმა ლაომედონტ კეთილშობილი.
 ლაომედონტმა შვა ტითონი და პრიამოსი,
 ლამპოს, კლიტიოს, არესის ძე ჰიკეტაონტი.
 ასარაკოსმა შვა კაპისი, მან კი — ანქისე.
- 240 მე ვარ ანქისეს ძე. ჰექტორი — პრიამოსისა.
 აჰა, ესერა მოდგმა, რითაც ვიწონებ თავსა!
 კაცთ სიმხნეს ზევსი ხან ამცრობს და ხან განადიდებს,
 როგორც ისურვებს: ყოვლისშემძლე იგია მხოლოდ.
 კმარა! ბალღური კინკლაობა ამ გაგანია
- 245 ბრძოლის გუგუნში არა გვმართებს, რა ბედენაა!
 ძნელი არ არის, სალანძღავე იმდენი რამ ვთქვათ,
 ასმერხიან გემს გაუჭირდეს შემდეგ წათრევა.
 მოქნილი არის მოკვდავთ ენა, ბევრია სიტყვაც,
 მისთვის სარბიელს რა გამოლევს აქეთ და იქით!
- 250 რასაც კაცს ეტყვი, გაიგონებ იმასვე მისგან.
 აბა. რას გვარგებს გინება და მწარე სიტყვები,
 პირისპირ მდგომნი ქალებივით ერთუროს რომ ვახლით?
 დიაცნი, ბოღმით აღანძულნი, მათ გულს რომ უღრღნის,
 შუა ქუჩაში მიაფრქვევენ ერთუროს კვილით

255 მრუდსა და მართალს.

რისხვა რას არ შეაძლებინებს!
ვერ განმაშორებ მაგ სიტყვებით ბრძოლას სასურველს,
სანამ სპილენძით არ შემხვდები!

დავიწყოთ ჩქარა,
ბასრი შუბებით გამოვცადოთ ძალა და ღონე!“

260 თქვა და სპილენძის შუბი დაჰკრა ფარს გასაოცარს,
მძლავრი დარტყმისგან აგუგუნდა ვეება ფარი.
პელიდმა სწრაფად მოიშორა მკერდიდან იგი,
შიშმა გაკენწლა, 'იას ეგონა, ენეასის შუბს
შეუძლიაო სულ ადვილად შიგ გაატანოს.
ვერც გულმა უგრძნო, ვერც იფიქრა ამ უგუნურმა:

265 ღვთის ჭილდო კაცის ნახელაზე ნაკლები იყოს,
ან მისმა ძალამ დაანგრეოს, როგორ იქნება!
შმაგმა ოროლმა მშვენიერი ვერ გაჰრა ფარი,
ძალამიხდილმა ოქროს ფენით, ღვთაებრივ ძღვენით.
მან ორი ფენა გაირა, სამიც რჩებოდა,

270 რაკი ჰეფესტომ შეადედა ერთად შრე ხუთი:
ორი სპილენძის, ორი ბრზენის, ხოლო შუაში
ფენა ოქროსი. შუბი სწორედ მან გააჩერა.

შემდეგ პელიდმა სტყორცნა შუბი გრძელჩრდილიანი
და ბაკმულ ფარში ჰოახვედრა ჯანთკმულ ენეასს,
275 სალტესთან ახლოს, სადაც თხელი იყო სპილენძიც
და ხარის ტყავიც.

გაიარა ფარი გამჭოლად
პელიონურმა იფნის შუბმა.

ისმა ტკაცანი.

მყის დაიხარა ენეასი, ფარი თავს ზემოთ
შიშით ასწია, გაისტვინა შუბმა ზურგს უკან,
280 მიწას ჩაექლო, გაიყოლა თან ორი სალტე
გმირის ფარისა.

რა გაექცა დამლუპველ სპილენძს,
შიშით თვალები დაენისლა მამაც ენეასს,

სიკვდილი ისე ახლოს იყო!

ხოლო პელიდმა

285 შეჰყივლა, მყისვე ორლესული იშიშვლა ბასრი
და შეუტია, მაგრამ სტაცა უკვე ლოდს ხელი
მხნე ენეასმა.

ჩვენი დროის ორი კაციც კი

290 ძერას ვერ უზამდა, ის კი მარტოც იქნევედა მჩატედ.
მაშინ თავდამსხმელს ლოდს დასცემდა გმირი ენეას
ზუჩში ან ფარში, მაგრამ რვალი იხსნიდა მოყმეს,
პელევსის ძე კი ორლესულით სულს ამოხდიდა,
რომ ეს მიწისმძვრელ პოსეიდონს არ შეენიშნა:
მყის უკვდავ ღმერთებს მიაგება სიტყვა ფრთიანი:
„ვა-ვაი! დარდი მსერავს სულდიდ ვაჟკაცის გამო!
295 მალე ენეას, განგმირული პელიდის მიერ,
ჰადესს იხილავს!

აპოლონის რჩევას უსმინა,

300 ეგ კი, უჰკუო, აწ თვითონაც ვერ იხსნის მოკვდავს.
მაგრამ უცოდველს სხვისი ცოდვა რად დაეკისრა,
რატომ დაატყდეს ჰირ-ვარამი, მძიმე სასჯელი?
საამო ზვარაკს უზორავდა ხოლმე ზეციერთ!
ნება ვყოთ, ვიხსნათ სიკვდილისგან გმირი ენეას!
300 ალბათ, კრონიდი განრისხდება, როს აქილევსი
გმირს მოკლავს.

მას კი უწერია სიცოცხლე ბედად,

305 რომ უშვილძიროდ ქველი მოდგმა არ გადაეგოს
დარდანოსისა ზეგს მათ: შორის, ვინც მოკვდავ ქალებს
მისგან ეყოლათ, ეს ვაჟკაციც უყვარს ძალიან.
დიდხანია ზევსს სძულს მოდგმა პრიამოსისა.
აწ ენეასი ტროელების მეფე იქნება,
ისევე, როგორც ძენი მისნი და ძეთა ძენი“.

მიუგო ჰერამ. დედოფალმა ხარისთვალეებამ:

310 „მიწისმრყეველი.. შენ განსაჯე გონებით შენით —
უნდა იხსნა, თუ ენეასი უნდა დაუთმო
პელიდს, რაც გინდა იყოს იგი სახელოვანი.
ჩვენ, ქალღმერთები, მუდამ მეც და პალას-ათენა

ფიცს ვდებდით ხოლმე გაუტეხელს უკვდავთ წინაშე,
315 რომ ტროელები აღარ ვიხსნათ განსაცდელისგან
იმ დროსაც, როცა ტროა, შმაგი ალით მთლიანად
აგიზგიზდება აქაველთა ხელით გზნებული“.

ჰერას ნათქვამზე პოსეიდონ მიწისმრყეველი
ბრძოლად ჩაება იქ, სად იდგა რვალის ჭახანი,
320 სად აქილევსი და ენეას ებრძოდნენ ერთუერთს.
ვით ღმერთმა, სწრაფად პელევსის ძის თვალწინ მოჰფინა
მრუმე წყვილიადი და იფანი პელიონური
თვით აძოვლიჯა სულმაღალი ენეასის ფარს,
ჩუმად დაუდო პელიდს ფეხთან,

თვით ენეასი
325 მძლავრი ხელებით აიტაცა, შორს მოისროლა.
სპათა მრავალი მწკრივი, ცხენთა მრავალი რიგი
გადაიფრინა ენეასმა, ღმრთის გატყორცნილმა.
როს მიაღწია ბრძოლით მღუღარ ველის დასასრულს.
სადაც კავკონთა სპა თადარიგს იჭერდა ბრძოლის,

330 მიწისმრყეველი პოსეიდონ ვამოეცხადა
და ანქისეს ძეს ასე უთხრა ურთიან: სიტყვით:
„რომელმა ღმერთმა დაგაბრძავა და წაგაქეზა,
რომ პელევსის ძეს გაშმაგებულს შერკინებოდი?
შენზე მძლავრია, შენზე მეტად უყვართ უკვდავებს.“

335 კვლავ რომ შეხვდეს და შეეჩეხოს, შმაგს მოერიდეს,
თორემ ასცდები ბედისწერას, ჰადესს ეწვევი!
მაგრამ აქილევს როს მიაღწევს სიკვდილის სამანს,
მეწინავეთა შორის ბრძოლა გმართებს უშაწირად:
აქაველთაგან ვერ წარგტაცებს ვერვინ მონაჯარს!“

340 ასე დამოძღვრა და დატოვა გმირი ენეას.
იმწამს გაფანტა აქილევსის თვალთა წინაშე
ღმერთმა ღრუბელი ჯადოსნური.

მიმოიხედა,
ამოიოხრა და გულში თქვა მრისხანე მოყმემ:
„ვაი ჩემს თავსა! ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა:
345 უბი ფეხებთან მიგდია და კაცი არა ჩანს,

ვისაც ვესროლე მოწადინემ მისი მოკვლისა
ეტყობა, უყვართ ენეასი უკვდავ ღვთაებებს!
მე კი მეგონა, იჩემებდა უკვდავთ სიყვარულს.

- 350 გზაც იქით ჰქონდეს! ვერ გაბედავს კვლავ წინ აღმიდგეს.
ახლა სიხარულს ვერც დამალავს, რომ გადამირჩა.
ვისწრაფოთ, მებრძოლ დანაელთა სპანი აღვაგზნოთ,
მტერს შევერკინოთ, გამოვცადოთ სხვა ტროელებიც!“

თქვა და მიიჭრა რაზმთან გმირთა წასაქეზებლად:

- 355 „ტროელთ შორი-შორს ნუ მოუვლით, აქაველებო!
კაცი კაცს შეხვდეს ერთი-ერთზე, ბრძოლა არ შეწყდეს!
მე მარტო მიჭირს, თუმც კი ძალა მომდგამს გმირული,
ამდენ მეომარს გარს ვუარო და გავუმკლავდე!
ვერცა არესი, თუმც ღმერთია, ვერც თვით ათენა
ასე უღვეველ ლაშქარს ბრძოლით ვერ მოივლიან!
360 რაც შემიძლია ამ მხარ-მკლავით და სიჩაუქით,
არ შეეყოვნდები, ვფიქრობ, ძალაც არ გამეცლება.
გავეჭრი, გავაპობ ტროელთ რიგებს, გულმხიარული
ვერვინ დარჩება აქილევსის შუბთან შეხვედრით!“

მებრძოლებს ასე ამხნევებდა, ხოლო ჰექტორი

- 365 ტროელთ უხმობდა, იქადოდა პელიდთან შეხლას:
„გმირნო ტროელნო! ნუ შეგაკრთობთ პელიეონი.
სიტყვით თვით უკვდავ ღმერთებს როდი შევეპუები,
საქმით — ძნელია, ღმერთთან კაცი რას მოვა მართლაც!
ვერც აქილევსი შეასრულებს რაც თქვა: ყველაფერს.
370 ზოგს რასმე შეძლებს, ზოგს ღიახაც ველარ აუვა.
შეეხვდები პელიდს, თუმც ცეცხლივით უელავს მკლავი,
პელიდს ცეცხლივით უჭრის მკლავი, სული აქვს რკინისი!“
ასე თქვა.

რისხვით ტროელებმა შემართეს შუბნი,

გული აენტოთ სიმამაცით, დასცხეს ყიყინა,

- 375 ჰექტორს მიმართა სხივოსანმა აპოლონ ღმერთმა:
„ჩერ ნუ გაბედავ შერკინებას გმირ აქილევსთან.
ნუ გაეცლები მებრძოლთა მწკრივს, რომ შორიდანაც
შუბით არ მოგწვდეს, ან ახლოდან ხმლით არ აგჩხოს.“

პექტორი ისევ ჩაიძირა სპათა ტალღაში,
380 როს გულმთრთოლვარემ მოისმინა ღალადი ღმერთის.
მყისვე ტროელებს აქილევსი სულით ძლიერი
შეხვდა ყოყინით,

ოტრინტიდი იფიტიონი

დასცა პირველი, მეთაური მამაცთა რაზმის.

ნიმფამ ოტრინტევსს, ქალაქთმნგრეველს შესძინა იგი

385 ჰიდეს სოფელში, ქედთოვლიან ტმოლოსის ახლოს.
შეხვდა ღმრთებერი აქილევსი მისკენ გამოჭრილს,
შუბი აძგერა, თავისქალა შუა გაუპო.

ზათქით დასცა და დააქვეყნა, შესძახა ვმირმა:

„ოტრინტევსის ძევ, კაცთა შორის უსაზარლესო!

390 აქ სულსა ღაფავ, სამშობლო კი შორს დაგრჩენია —
გიგაიეს ტბის ახლოს, სადაც ზვრები გეგულვის
მამისეული, ჰილოსის და ჰერმოსის პირას!“

ასე თქვა ვმირმა.

მყის წყვდიაღმა დაუვსო თვალი:

მოკლულს და თვლებით გადათქერეს გვამი ცხენებმა,

395 გზად გახირული.

აქილევსმა ვმირ დემოლეონტს,

ანტენორის ძეს, უსასტიკეს მოასპარეხეს:

შუბით ჩაჩქანი დაულეწა და საფეთქელი,

რგალის საღაწვემ ვერ უშველა, შიგ გააღწია

სპილენძმა,

ძვალი დაუმსხვრია, თავისქალაში

400 ტვინი და სისხლი ააჩქეფა, სძლია თავდამსხმელს.

ჰიპოდამანტი რომ ჩამოხტა მის წინ ეტლიდან

და ჩაუჭროლა, ბეჭებს შუა განგმირა შუბით.

მოყმეს სულთმობრძავს შემზარავი გმინვა აღმოხდა:

ვით ჰელიკონელ უფლის მსხვერპლად შეწირულ მოზვერს,

405 საკურთხეველთან ძალით მიგვრილს ღმერთის საამოდ.

გმინვა აღმოხდა და სხეულიც დატოვა სულმა.

შუბით გაიჭრა ღვთის ნაზარდი პოლიდორისკენ —

პრიამეს ძისკენ.

ომში წასვლად არ ეთმობოდა

მოხუცს მრავალთა ძეთა შორის ყრმა უმრწემესი,

410 უსაყვარლესი.

ველზე ვერვინ სჯობდა სისწრაფით.

ბალღურ სიციცით და სიმარდის ფუჭი იმედით
დაჰქროდა სპათა შორის, სანამ სულს ამოხდიდნენ.
ყმაწვილს ფეხმარდმა აქილევსმა, მის წინ ჩაქროლილს,
ზურგში უწვდინა ბასრი შუბი, სად ოქროს კავით

415 იყო შეკრული წელსარტყამი, ორმაგ ჯავშანში
მეორე მხარეს გააღწია ბასრმა ოროლმა.
შეჰკივლა, მუხლი მოეკვეთა.

თვალთ დაუბნელდა.

ხელით მიიყრა ქედმოხრილმა წელზე ნაწლავნი.
ჰექტორმა როგორც კი შენიშნა, რომ პოლიდოროსს

420 ხელში ნაწლავნი ჩაებლუჯა სისხლიან ველზე,
თვალთ დაუბნელდა, უკვე აღარ შეეძლო მისგან
შორს ყოფილიყო.

გამოიჭრა აქილევსის, კენ

ცეცხლის ალივით შუქმოსილი, შუბშემართული.
თვალი რომ მოჰყრა აქილევსმა, ლხენით შესძახა:

425 „აჰა, ის კაციც, ჩემი გული ვინც გადასერა!
ჩემი ძვირფასი მოძმის მკვლელი!

მომეშვა გულზე,

ამიერიდან რაკი ერთურთს ზურგს არ შევაქცევთ!“

ასე ბრძანა და მიეგება მძვინვარედ ჰექტორს:

„თუ ახლოს მოხვალ, ავბედით ზღურბლს მოიახლოვებ!“

430 მას შეუერთომლად ჰრქვა ჰექტორმა ზუნმოელვარემ:

„პელევსის ძეო! ფუჭ სიტყვებით ნუ გაქვს იმედი
ჩვილი ბალღივით დამაშინო!

მეც ხომ იოლად

ძალმიძს ვთქვა სიტყვა დამცინავი და თავხედური.

ვიცი, რაოდენ ძლიერიც ხარ, მე — რარიც სუსტი.

435 მაგრამ იციან ყოვლის შემძლე ღმერთებმა უკეთ,
ამაყ სულს როგორ ამოგართმევ შენზე უძლური —
აგერ, ამ შუბით, შუბისწვერი მაქვს წამახული!“

თქვა და ძალუმად მოიქნია, მაგრამ ათენამ

სულის შებერვით უკუაგდო ბასრი ოროლი,

440 უკან ღვთაებრივ გმირ ჰექტორთან შუბი მოფრინდა
და მის ფეხებთან დაენარცხა.

ხოლო აქილევს
გულაგზნებული, მოყიჟინე, მოუთმენელი
მიეჭრა ჰექტორს.

აპოლონმა იხსნა ვაჟკაცი
უმაღ, ვით ღმერთმა, გმირს წყვდიადი შემოახვია.

445 სამგზის დაესხა თავს ფეხმარდი გმირი აქილევს,
სამგზის გააპო მძიმე შუბით მხოლოდ წყვდიადი.
მაგრამ მეოთხედ რომ მოვარდა, ვით დაიმონი,
მაშინ შეჰყვირა ფრთიან სიტყვით მაუწყებელმა:

450 „კვლავ გაექეცი სიკვდილს, ძალოო! სწორედ თავს გადგა
სიკვდილი, მაგრამ ისევ გიხსნა აპოლონ ღმერთმა!
ლოცულობ, ვიდრე მოსისინე ისრებს იხილავ!
კვლავ შეგეყრები, გავსწორდებით მაშინდა მაინც,
თუ ღმერთთა შორის დამრჩენია შემწე, მფარველი!
ახლა კი ტროელთ დაცავლეწავ, საცა მივწვდები!“

455 თქვა და იმავე წამს ყელში ჩასცა დრიოპოსს შუბი.
მის წინ ბარბაცით ყრმა დაემხო.

თავი ანება
და მყის დემუქოსს ფილეტორიდს გაუპო მუხლი,
შუბი აძგერა, შეაჩერა სწრაფად მსრბოლელი,
შემდეგ აჩეხა, ამოართვა სული მახვილით.

460 ბიანტის ძენი — დარდანოს და ლაოგონოსი
მოაგელვებდნენ ეტლს.

ორივე ძირს დაანარცხა —
პირველს შუბი ჰკრა, მეორეს ხმლით მოუღო ბოლო.
ალასტორის ძე ტროსი ვაჟკაცს მუხლთ მოეხვია,
განა რა არის — შემიბრალოს, ტყვედ მიგულოსო.

465 ვინძლო, ფიჭრობდა, არ მომკლავსო ტოლი თანატოლს,
ეჰ, უგუნური! რა იცოდა, რომ შეწყალებას
ამაოდ სთხოვდა.

მის წინაშე ყრმა იდგა უთნო
და არა სათნო!

მუხლზე ხელით სწვდა და უნდოდა

- შევედრებოდა, მაგრამ ღვიძლში მყის სატევარი
 470 ბოლომდე ჩასცეს, სისხლი მკერდში ჭაფად აჩქეფდა
 და სულთმობრძავის თვალს წყვილიადი გადაეფარა.
 ხოლო პელიდი მულიონთან მიიჭრა მყისვე,
 ყურში სცა შუბი, მეორე მხრივ გავიდა წვერი.
 შემდეგ ექექლოსს, აგენორის ძეს თავისქალა
 475 შუა გაუპო ორლესულით გრძელვადიანით.
 სისხლმა გაათბო, გაახურა ხმალი.

- ექექლოსს
 თვალი დაუფსო სიკვდილმა და საზარმა წერამ.
 დევკალიონი სძლია: მოყმეს მოხრილ იდაყვთან
 სადაც ძარღვები იბურცება, ხელი გაუპო
 480 ბასრმა ოროლმა. მოეჩვარა უმწეოდ მკლავი,
 იგრძნო სიკვდილის სიახლოვე.

- თავი მოსხიპეს,
 რვალის ჩაჩქანი შეტორტმანდა, აჩენილ ძვლიდან
 ტვინი დაინთხა. ძირს დაემხო უთავო გვამი.
 არ დააყოვნა, პეირევის ძეს რიგმოსს მისწვდა,
 485 ნაყოფიერი თრაკიიდან ტროაში მოსულს,
 ოროლი ჩასცა, ჩაიძირა მუცელში რვალი,
 მოყმე ეტლიდან ჩამოვარდა.

არეითოოსს,
 ცხენნი რომ უკან მოაბრუნა, მხარში ჰკრა შუბი,
 ისიც დაამხო.

შიშით გვერდზე გახტნენ ცხენები.

- 490 როგორც მძვინვარებს საშინელი ხანძარი ტევრში,
 მთების ფერდობზე და გიზგიზებს ტყე უსიერი,
 გრიგალი გრგვინავს, ყოვლის შთანმთქმელ ალს
 აბრიალებს,
 ისე დაჰქროდა გმირი შუბით, ვით დაიმონი.
 სდევდა, ჩეხავდა, ირწყევებოდა სისხლით მინდორი.
 495 შუბლმაგარ ხარებს რომ შეაბამს კევრში სოფლელი,
 ფართოდ გადაშლილ და მოთეთრო ქერის კალოზე,
 სწრაფად იფშხვნება თავთუხები ხარის ფერხთა ქვეშ.
 ასევე ფლოქვებდაჰედილი გმირის ცხენები

თქერავდნენ გვაძებს, ფარს და ჩაჩქნებს,

სისხლმა შეღება

500 სპილენძის ღერძიც და მალალი კამარაც ეტლის.

ვით წვიმის შხეფი, ცხენთა ფლოქვებს, გაშმაგებულ

თვლებს

სისხლი სწყდებოდა წინწყლებივით.

დიდება სურდა

მამაც აქილევსს და მკლავს სისხლით ლებავდა წითლად.

ჟება ოცდამეერთე

ბრძოლა მდინარის ნაპირებთან

ის იყო, ფონი დაიგულეს ვერცხლისტალლიან
ქსანთოს-მდინარის, ზევსის მიერ უკვდავად ქმნილის,
რომ შუა გაქრა მტრის სპა გმირმა, ზოგი განდევნა
ციხისკენ იმ გზით, საიდანაც აქაველები

5 წინდლით ილტვოდნენ, მძვინვარებდა ოდეს ჰექტორი.

სპა აირია, ხოლო ჰერა ღამის უკუნით

გზას უღობავდა ტროელთ.

სხვები ქსანთოსს მიაწყდნენ
ვერცხლისტალლიანს, მოდუდუნეს, ღრმასა და მღორეს,
წყალში ჩაცვივდნენ, აშხეფებდნენ წინწყლებს ხმაურით,

10 ქშუოდა ირგვლივ არე-მარე, ზრინვით ჩამხტარნი
ტალლის დგაფუნით ტრიალებდნენ ფიცხელ მორევში.

როგორც წნორები მოსწყდებიან აალებულნი
მდინარის ნაპირს, ხანძარი რომ აგიზგიზდება,
ათრთოლებულნი ტკაცა-ტკუცით ცვივიან წყალში,

15 ისე მიაწყდა მოგუგუნე მდინარის მორევს

აქილევსისგან ოტებული ცხენი თუ კაცი.

გმირმა ღმრთეებრმა წყლის ნაპირას დატოვა შუბი,

ჟოლოს ტოტს ჩაჰყვა მდინარეში ვით დაიმონი,

მახვილი ეპყრა, განეზრახა საზარი საქმე.

20 დაიწყო ჩეხვა, საშინელი გმინვა გაისმა

ხმლით განგმირულთა, შეიღება მდინარე სისხლით.

როგორც ხარბ დელფინს გაურბიან წვრილ-წვრილი თევზნი
და მყუდრო ყურეს ესწრაფვიან შიშით დამფრთხალნი,
ის კი მსუნაგად ყველას სანსლავს, ვისაც მიასწრებს,
25 ასე ტროელნიც ჰკვეთდნენ ტალღებს, ციცაბო ნაპირს
ეკვროდნენ შიშით.

როს დააწყდა გმირს მხარ-მკლავები
ქლექით და ჩეხვით, ტყვედ ჩაიგდო. თორჰეტა მოყმე,
რომ მენეტიდის სიკვდილისთვის შური ეძია.
გამოათრია ტალღებიდან შეძრულნი შიშით,
30 ვით შვლის ნუკრები და ზურგს უკან შეუტკრა ხელნი
ღვეღებით, დაწულ ქიტონზე რომ თვით ჰქონდა ხოლმე.
ხომალდებისკენ წასაყვანად მისცა მეგობრებს.
თვით კვლავ გაიჰკრა მოწადინე მტრის ხოცვა-ქლექის.
პრიამოსის ძეს, ახალგაზრდა ლიკაონს შეხვდა,

35 ამოსულიყო ლიკაონი მდინარის პირზე.
ერთხელ პელიდმა მამისეულ მტილიდან ღამით
გამოიტაცა მოყმე საწყლად აყვირებული.
იქ რვალით თლიდა ეტლის თვლებად ლელვის ნორჩ
ტოტებს,

როს თავს დაატყდა ცოდო-ბრალი — თვით აქილევსი!
40 ლემნოსს გაგზავნა სწრაფი გემით და იქ გაყიდა:
იესონიდმა შეაძლია საზღო დიდძალი.
ხოლო იქიდან პეტიონმა, იმბროსის მეფემ,
გამოისყიდა და გაგზავნა წმიდა არისბეს.
ბოლოს გაიქცა, დაუბრუნდა სახლს მამისეულს.

45 ილხინა მოყმემ თერთმეტი დღე შინაურებთან
ტყვეობის შემდეგ.
მეთორმეტე დღეს ღმერთმა ისევ
ხელში ჩაუგდო პელიდს, ვისაც ბედად ეწერა
სული, ჰადესის არ მოსურნე, ამოერთმია.
როგორც კი თვალი მოჰკრა შიშველს ძეს პრიამოსის,
50 უფარ-შიმშეროდ და უშუბოდ წყლიდან ამოსულს,
ყველაფერი რომ მიუყრია, დაღლილობისგან
ოფლი სდენია და მუხლები ათრთოლებია,
გაოცებულმა აქილევსმა შესძახა რისხვით:
„ეა-ვანი! ეს რა სასწაული ნახა თვალებმა!

55 ალბათ, ტროელნი, ვინც ბრძოლაში მე თვით მომიკლავს,
კვლავ აღდგებიან, გასცდებიან წყვილადს ქვეშეთის,
თუკი ეს კაციც დამიბრუნდა!

შავ დღეს გაექცა
კუნძულ ლემნოსზე გაყიდული,

ვერც წყლის მორევმა

დააკლო რაზე, არავის რო? არ ინდობს ხოლმე!

60 მაგრამ დე ახლა იგრძნოს წვერი ჩემი შუბისა,
მინდა ვნახო და დავირწმუნო გული ერთხელაც:
ნუთუ იქიდან დაბრუნდება, სადაც ჩაიკრავს
მიწა-მშობელი, მასზე მძლავრთა შემეკავებელი?!"
მოყმე აქილევსს ცოცხალ-მკვდარი მიუახლოვდა,
65 მზად იყო, ფეხზე მოხვეოდა.

ვერ იტყვის ენა,
თუ როგორ სურდა ასცდენოდა შავ ბედისწერას.
შუბრ. შემართა აქილევსმა, ჭყორცნად მზად იყო,
მაგრამ ჰაბუქმა მოიბრინა, მიწას განრთხმული
ფერხთ მოეხვია.

მოზუზუნე შუბი ზურგს უკან

70 მიწას ჩაეჭდო, აცახცახდა სისხლის მწყურვალი.
მავედრებელი მოხვეოდა პელიდის მუხლებს,
და ცალი ხელით აქილევსის შუბს ჩაფრენოდა,
ეხვეწებოდა, მიმართავდა ფრთიანი სიტყვით:
„შენს მუხლს ვეხვევი, ო, აქილევს. იყავ მოწყალე!"
75 ზევსის ნაზარდო, ვით მლოცველი, გესასოები
გახსოვს, დამატკბე ღმობიერად დემეტრეს ძღვენით
იმ დღეს, როს შამის წალკოტიდან ტყვედ წამიყვანე?
შემდეგ ვამყიდე, დამაშორე მამას და ძმებსაც
და ლემნოსის ტყვემ ფასად ასი ზროხა გარგუნე.
80 ახლა სამმაგი ფასი გელის!

მინათებს მხოლოდ

მეთორმეტე დღე, რაც ვეწვიე ისევ ილიონს.

ბევრი ვეწამე... შემახვედრა კვლავ შენთან ბედმა
ჩანს, ვძულვარ კრონიდს, ხელმეორედ რაკილა შენთან
მოსვლა მარგუნა!

ლაოთოემ, მოხუც ალტოსის

- 85 ასულმა მშობა მე, საწუთრომოსწრაფებული.
 ომისმოყვარე ლელეგებზე მეფობს ალტოსი,
 ფლობს სატნიონის პირას ქალაქს — ბქემაღალ პედასს,
 მისი ასული ერთ-ერთ ცოლად ესვა პრიამოსს.
 ორი ძე ჰყავდა, ორივე შენი წერა გამხდარა!
- 90 ჩემი ძმა უკვე შემოგაკვდა მეწინავეთა
 შორის — ოროლით, ღვთაებრივი პოლიდოროსი.
 მეც არ ამცდება შავი ბედი, ვიცი, შენს ხელებს
 ვერ გავექცევი, რაკი წილად მხვდა ეს შეხვედრა!
 სხვა სიტყვას გეტყვი. გამიგონე, ნუ მომკლავ ღვარძლით:
- 95 დედის წიალით ძმად ჰექტორი არ მეგულება,
 ვინც შენ წაგართვა მეგობარი კეთილშობილი!“

თავს აბრალებდა პრიამოსის ვაჟი აქილევესს,
 მაგრამ მოესმა სიტყვა მკაცრი, დაუნდობელი:
 „ნუ გამაგონებ გამოსასყიდს, გონსგადასულო!

- 100 სანამ პატროკლე ნეტარებდა დღის ბრწყინვალეობით,
 მემამებოდა პატიება ტროელ მოყმეთა.
 ბევრი ტყვე მყავდა, საზღაურიც ბევრი მივიღე.
 ახლა კი არვის შევიბრალებ,

უკეთუ ღმერთი

ვინმეს მარგუნებს ილიონის გალავნის ახლოს.

- 105 სიკვდილი — ყველას, მეტადრე კი პრიამოსის ძეთ!
 შენც — ჩემო კარგო!

ნეტავ ამდენს რატომ ქვითინებ?

მოკვდა პატროკლე, შენზე ბევრად ქველი მოკვდავი!
 შემხედე, მეც ხომ ლამაზი ვარ და დიდებული,
 განთქმულ მამის შვილს დედად მივის თვითონ

ქალღმერთო!

- 110 მაგრამ მეც სიკვდილს, ბედისწერას ვერ გავექცევი.
 დილას მომკითხავს, მიმწუხრისას, ან დღისით სულაც,
 ბრძოლაში მტერი ამომართმევს სულს დაუნდობლად,
 ან შუბით მომსპობს, ან მშვილდიდან — ფრთიანი ისრით“.

ეს რომ თქვა, ჭაბუკს აუთრთოლდა გული, სახსრები,

- 115 შუბს ხელი უშვა მოცახცახემ და ჩაიკეცა.

პელიდმაც მაშინ მეყსეულად იშიშვლა დაშნა,
ყელში ჩასცა და გაატარა შიგნით ვადამდე,
ბოლომდე ჩაფლა... შავ მიწაზე პირქვე დაემხო
მოყმე და მიწას მიეშხეფა სისხლი მჩქეფარე.

- 120 ფერხთ ხელი სტაცა, მდინარეში ისროლა გვაში
და დასცნოდა აქილევსი ფრთიანი სიტყვით:
„აჰა, თევზებთან განისვენე! ხარბად იარას
მიესევინა!

სარეცელზე ვერ დაგდებს დედა,
რომ დაგიტიროს!

სკამანდროსი მოგივლის ახლა!

- 125 ტალღით ზღვის წიაღს გაგაყოლებს უკიდევანოს.
თევზი, ტალღებში მოთამაშე, ამოცურდება,
რომ მოტივტივე ლიკაონის სხეულით გაძღეს.
ასე ვიქნებით, სანამ ტროას მოვუღებთ ბოლოს,
თქვენ — ოტებულნი, მე — ოტებულთ იავარკმენელი.
- 130 ვერ გიხსნით ტალღა ვერცხლისფერი მძლავრი მდინარის,
გინდაც, ვით წინათ, ახლაც უძღვნათ ხარი ურიცხვი.
ახლაც ტალღებში ცოცხლად ცხენნი შმაგნი, ფიცხელნი
შერეკეთ, სიკვდილს მაინც ვერვინ გადაურჩება,
მიზღავთ პატროკლეს და აქაველთ გაქელვისათვის,
- 135 უჩემოდ ბრძოლით რომ აჩეხეთ შავ ხომალდებთან!“

ასე ამბობდა, განარისხა შმაგი მდინარე.
იშას ფიქრობდა, მძვინვარება როგორ დაეცხრო
აქილევსისა და ვით ეხსნა ტროელთ ლაშქარი.
პელიდმა შუბი მოიღერა, ასტეროპეოსს

140 მიუჭრა იგი, ანთებული მოკვლის წადილით,
პელევონის ძეს.

აქსიოსმა, მღორე მდინარემ
პერიბოიას ჩაუსახა იგი,

როს ეტრფო

- აკესამენოს მეფის უფროს ასულს მშვენიერს.
მისკენ მიქროდა, როცა გმირი ღრმა მდინარიდან
- 145 შესაგებებლად ორი შუბით გამოემართა.
მოყმეს ქსანთოსი აქეზებდა, განარისხებულნი

ფართო მორევში ჩახოცილი გმირების გამო.
როგორც კი ერთუროს მებრძოლები მიუახლოვდნენ,
შესძახა გმირმა აქილეესმა თავდაპირველად:

- 150 „ვინა ხარ, კაცო, შერყინებას რომ ბელავ ჩემთან?
ჩემი გამოცდა მხოლოდ ბედკრულ შვილთა ხვედრია!“

მას უპასუხა მამაცმა ძემ პელეგონისა:
პელეგონის ძეო, სულზვიადო, მოდგმას რად მკითხავ?
ვარ შორეული, ნაყოფიერ პეონიიდან —

- 155 გრძელშუბიანთა პეონთ მეფე.
თერთმეტი დილა

გამთენებია, რაც ვეწვამ ქალაქ ილიონს.
წინაპრად მივის აქსიოსი მდორედ მდინარე,
წყალმშვენიერი აქსიოსი, მომრწყველი მიწის.
მან შვა პელეგონ.

მას, შუბოსანს, მე გავჩენივარ.

- 160 მაგრამ, აქილეეს, კმარა, ერთუროს შევებათ, გმირო!“

ქადილით უთხრა.

და შემართა მძლე აქილეესმა
პელიონური იფნის შუბი.

მაგრამ ორივე

ორილი სტყორცნა ორ-ორ შუბით მებრძოლმა მტერმა.

- ერთი ფარს მოხვდა, თუმცა, შიგნით ვერ შეაღწია,
165 ოქრომ, ღვთაების ნაჩუქარმა, დააცხრო იგი.
მეორე შუბმა გაუქროლა მოყმეს იდაყვთან,
ხელი გაკენწლა, ამოხეთქა სისხლმა, ზურგს უკან
ჩაექლო შუბი, კაცის თეთრი ხორცის მოსურნე.
შემდეგ წრფივმფრენი იფნის შუბი სტყორცნა პელიდმა

- 170 ასტეროპეოსს, აღგზნებულმა მოკვლის სურვილით.
ვერ მოახვედრა, წყლის ნაპირას ჩაექლო შუბი
უზარმაზარი, სანახევროდ ჩაიფლა კიდევ.

მყისვე პელიდმა ქარქაშიდან იშიშვლა ხმალი,
ჯიქურ მიიჭრა, მტერი ამ დროს იფანს ამოოდ

- 175 ექიდებოდა, ამოძრობა ეწადა მისი:
სამჯერ შეძრა და სამივეჯერ არ ეყო ძალა,

შკლდეს ვერ მოგლიჯა.

მეოთხეჯერ დაეჯაჯგურა
მომაკვდინებელ იფანს ძირში გადასატეხად.
მაგრამ პელიდმა თავხედს სული ხმლით ამოართვა,
180 შიგ ჭიპში ჩასცა ორლესული და ნაწლავები
დააყრევინა.

თვალნი მოყმეს ახროტინებულს
ამოულამა კუნაპეტმან სიკვდილისამან.
ბექთარსა ხსნიდა აქილევსი, ძლევით ზვაობდა:
„მიწაზე იწექ! გიმძიმს ბრძოლა ზევსის ძეებთან,
185 თუმც კი შვილი ხარ უდიდესი მდინარის ღმერთის!
შენ თუ წყალუხვი ნაკადისგან შობით ამაყობ,
მე განმადიდებს ზევსის მოდგმა — უკვდავთ მეუფის.
სიცოცხლე მიძღვნა მირმიდონელთ მეფემ პელევსმა,
ქემ ეაკესი, ხოლო ზევსმა შვა თვით ეაკე.
190 ზღვად ლტოლვილ ნაკადს რამდენადაც აჭარბებს ზევსი,
იმდენად ზევსის ძე მძლავრია მდინარის ძეზე!
აქ, შენს წინაშე მდინარეა, აბა, გიშველოს!
მაგრამ არ ძალუძს არვის ბრძოლა კრონიონ ზევსთან.
აქელოიოს ვერ გაბედავს ზევსს შეერკინოს,
195 ვერცა ჭადარა ოკეანე უკიდევანო,
ვისგანაც მოდის მოჩუხჩუხე ყველა მდინარე,
რუ, ნაკადული, ჭა და წყარო, ზღვაცა ყოველი.
ისიც ცახცახებს ყოვლისშემძლე ზევსის წინაშე,
როს ოლიმპოდან დაიქუხებს ელვა და მეხი“.

200 თქვა და კაეიან ნაპირიდან ააძრო შუბი.
მტვერში დატოვა მტერი, სული რომ ამოართვა,
გადაუარა ამღვრეულმა წყალმა უბედურს.
ირგვლივ თევზები აფუთფუთდნენ და გველთევზები,
ღვიძლსა სწიწკნიდნენ გამოშიგნულს, ხარბად ყლაპავდნენ.
205 გამოედევნა გმირი მხედარ პეონიელებს;
პელიდს მდინარის ნაპირიდან გაექცა მტერი,
როცა იხილა, რომ დაეცა ძლიერი მოყმე,
ძლეული გმირი აქილევსის ხმლით და მარჯვენით.
მოკლა მიდონი, თერსილოქოს, ასტიპილოსი,

- 210 თრასიოს, მნეოს, აინიოს და ოფელესტე.
 მრავალს დასცემდა კიდევ პეონს მძლე აქილევსი,
 რომ თვით მდინარეს მრისხანება არ მორეოდა,
 ღრმა მორევებიდან ამოსძახა ღმერთმა აქილევსს:
 „ძალაც გერჩის და საშინელი საქმეც გიქნია,
 215 ყველა კაცს სჯობნი, შენ გშველიან მუდამ ღმერთებიც.
 თუ ზევსმა გიძღვნა სასიკვდილოდ ყველა ტროელი,
 ჩემგან გარეკე, იმძვინვარე შორს მინდორ-ველზე,
 კაცთა გვამებით ნუ გამივსე კამკამა წყლები.
 მე აღარ ძალმიძს ღვთაებრივ ზღვას ტალღები შევრთო,
 220 გვამმა გაჭედა შესართავი! კლავ, ვით სიკვდილი!
 შეჩერდი! როგორ გამაოცე, მამაცთა მწყემსო!“

მყისვე მიუგო აქილევსმა, გმირმა ფეხმარდმა:
 „ისე ვიქმ, ვით თქვი, ო, სკამანდროს, ზევსის ნაზარდო!
 შევწყვეტ მათს მუსკრას, მაგრამ მაშინ, როცა ზვიადებს

- 225 კოშკს მივასრისავ, როს გამოვცდი ჰექტორის ძალას
 და ან მე მოვკლავ ან კადნიერს თვით შევაკვდები“.

ასე თქვა. ტროელთ გამოენთო, ვით დაიმონი.
 ღრმა მორევიდან შელაღადა ღმერთმა აპოლონს:
 „ვა-ვაი! ვერცხლისმშვილდოსანო, ზევსის ბრძანებას
 230 რად არ ასრულებ, ზევსის ძეო? მან ხომ ისურვა
 იცავდე ტროელთ გამუდმებით, სანამ დაისი
 დაეშვება და ველს ბორცვიანს ჩრდილი დაფარავს“.

ასე თქვა.

ხოლო აქილევსი ციცაბო ნაპირს

- 235 მოსწყდა, მორევში გაერია.

ტალღა აღუღდა

ძირის-ძირამდე, გააქანა ტროელთ გვამები
 (პელიდს ცხედრებით ამოევსო წიაღი წყლისა).
 ველზე გაყარა, ვით მოზვერმა აღმუვლებულმა.
 ცოცხლები მღვიმეს შეფარვოდნენ, მათს წინ მდინარის
 აგორებული ზვირთი ზვირთზე გადადიოდა.

- 240 მძლე აქილევსის წინ კი ღელვა ატყდა საზარი.

ენთქებოდნენ გმირს ტალღები ფეხზე და ფარზე,
თავს უკვე ველარ იმაგრებდა, წნორს ჩაეჭიდა,
წინ გადმოწოლილს, ფესვიანად მოუწყდა ძეწნა,
ჩამოიყოლა მიწის კიდე,

ხშირი შტოებით

245 წყალზე გადაწვა, მდინარეზე გაღაიხიდა.

ანაზღუელად მორევიდან ამოხტა გმირი,
შეშინებული ყრმა ფეხმარდი ველზე გარბოდა,
მაგრამ არც ღმერთი დაერიდა, მისდევდა უკან
და შავთავიან ზვირთსა სცემდა, რათა დაეცხრო

250 სიფიცხე გმირის და მით ეხსნა ძენი ტროელთა.

პელიდი გასცდა შუბის სატყორცნ მანძილზე ტალღას,
ისე მიქროდა, ვით არწივი შავფრთებიანი,
ყველაზე მძლავრი, უსწრაფესი ფრთოსანთა შორის.
სწორედ მას ჰგავდა.

იარალის ელვარე რვალი

255 მკერდზე საშინლად ჟღერიალებდა.

წყალს გაურბოდა

და გმირის კვალზე ტრიალებდა ღმუილით ტალღა.

გლექაცს წყაროდან წყალუხვიდან ბალში რომ გაჰყავს
არხი ხეხილის მოსარწყავად, ნორჩი ჭეჭილის,
თოხს მოუმარჯვებს ქვა-ლორღისგან თხრილს ასუფთავებს,

260 თან მისდევს წყალი და ქვეშ წვრილი ხვინჭა და ხრეში

მიხრიალებენ. რუ ჩუხჩუხებს აჩქარებული,
გარბის დაღმართზე და გლექაცსაც ასწრებს რაკრაკით...

ასე მისდევდა პელიდს ზვირთი შავთავიანი,

რაგინდაც სწრაფი ყოფილიყო: ღმერთს ვინ აჯობებს!

265 რამდენჯერ სცადა აქილევსმა მედგრად შედგომა,

ვინძლო ენახა, ყველა ღმერთი ხომ არ მდევნისო!

თავს საწტროდ ხომ არ დამქცევია სულაც ზეცაო!

რამდენჯერ ზვირთი მდინარისა, ზევსის ნაჟური,

ზემოდან მხრებზე გადაემსხვრა!

ელდანაკრავი

270 მალა ხტებოდა, მაგრამ ტალღა ბორკავდა ფეხებს,

უტყლაშუნებდა და აცლიდა მიწას ტერფიდან.

ბოლოს შეჰყვირა პელიდმა და შეხედა ზეცას:

„ზევსო მამაო! ნუთუ არ მყავს ღმერთი მოწყალე,
რომ წყლისგან მიხსნას? ავიტანდი მე სხვას ყველაფერს
275 მაგრამ ვის ვყვედრი? ვის ვაბრალებ ზეციერთ შორის?
მე ხომ მაცდუნა სანუკვარმა დეღამ,

ოცნებით

მაცნობა ბედი — აბჯროსანთა ტროელთა ბქესთან
მხოლოდ ისარი აპოლონის თუ გძლევსო ბოლოს.
რატომ ჰექტორმა არ გამგმირა უძლიერესმა,
280 მამაცს მოკლავდა და მამაცი იამაყებდა!
ახლა სიკვდილი უსახელო მარგუნა ბედმა:
მდინარის ზვირთმა უნდა შთანმთქას, როგორც მელორე,
გაცუტრვის მდომი რომ მოაშთო შმაგმა ნაკადმა!“

ასე თქვა და მყის ათენა და პოსეიდონი
285 გამოეცხადნენ, მიიღეს რა იერი კაცთა.
ხელი მოჰკიდეს ხელზე მოყმეს სანუგეშებლად.
პირველად უთხრა პოსეიდონ მიწისმრყველმა:
„ნულარა ნაღვლობ, ნულარაფრის ნუ გეშინია!
ჩვენ ვართ ღმერთები, ზევსის ნებით შეგიერთდებით
290 შემწუდ, შემხილედ ათენა და მე — პოსეიდონ!
არ გიწერია მდინარეში დაღუპვა ბედად.
მალე სიშმაგე დაუცხრება, შენ თვითონ ნახავ.
ბრძნულ რჩევას მოგცემთ, მოგვისმინე, პელევსის ძეო:
ხელს ნუ აიღებ ბრძოლასა და ხოცვა-ჟლეტაზე,
295 სანამ ტროელებს არ შერეკავ ტროის ციხეში,
ვინც გადარჩება.

შემდეგ ჰექტორს სულს რომ ამოხდი,
გემთან დაბრუნდი, მოგანიჭებ ნანატრ დიდებას!“

ასე უთხრეს და კვლავ უკვდავთა დასს დაუბრუნდნენ.
იგი გაფრინდა ღმერთთა სიტყვით გამხნევებული.
300 ველზე კი წყალი დატბორილი მალლა იწევდა,
ზედ ტივტივებდა იარაღი, ლამაზ ჭაბუკთა
მრავალი გვამი.

მალლა ხლტოდა მოყმე, მდინარის
მძვინვარე ჩქერებს გაუბოდა, უკვე ნაკადი

- ვერ აკავებდა ძალმიცემულს ათენას მიერ.
- 305 მაგრამ სკამანდროს არ აცხრობდა რისხვას აქამდე,
 უფრო ცხარობდა, ზვირთი ზვირთზე აბორცვილიყო,
 ღმერთმა ღმუილით შელაღადა ბოლოს სიმონტს:
 „მიშველე, ძმაო, შენთან ერთად ამ კაცის ძალა
 უნდა დაეთრგუნო, თორემ მალე პრიამეს ციხეს
- 310 დაამხოვს იგი.

- ტროელთ ბრძოლის ძალა არ შესწევთ!
 მოდი, მომხედე, კალაპოტი აივსე ჩქერით
 მთის ნაკადულთა, ნაპირისკენ ტალღები დასძარ!
 ააბობოქრე მოგუგუნე ზვირთთა მორევი,
 ქვა და მორები! დაღლილ მოყმის მორევას შეეძლებთ!
- 315 ახლა იმარჯვებს და ბრძოლაში მძლეობს, ვით ღმერთი!
 მაგრამ ვერ იხსნის ვერც მშვენება, ვერც ძლიერება,
 ვერც იარაღი დიდებული, ლამში და ლაფში
 ჩაიძირება, შავი შლამი დაფარავს გმირსაც.
 ქვიშით ჩაგოზილს ირგვლივ ლოდებს შემოგუყორავ,
- 320 მოყმის ძვლებსაც კი ვერ ნახავენ აქაველები,
 ისე იქნება დამარხული ლამგორის ძირას!
 ჰპოვებს აქ საფლავს, აქაველებს არ დასჭირდებათ
 ბორცვის აღმართვა და პატივის მიგება მისთვის!“

- თქვა და დაესხა თავს აქილევსს გაშმაგებული,
 325 ღმუოდა, ქაფს, სისხლს და მოკლულთა გვამებს

ანთხევდა.

- გაწითლებული იღვრებოდა ტალღა და ტალღა
 და ირგვლივ კელად შემორტყმოდა გმირ პელეიონს.
 შეჰკივლა ჰერამ, შეეშინდა, ვაი თუ გმირი
 გააქანოსო მდინარებამ უფსკრულისაქენ.
- 330 მყისვე ჰეფესტოს, საყვარელ ძეს, ასე მიმართა:
 „ბრძოლად აღიძარ, მკელობელო, ო, შვილო ჩემო!
 შენ ღირსეულად შეგიძლია ქსანთოსს შეება.
 გადაედობე, გააჩაღე შთანმთქმელი ცეცხლი!
 მე კი მივდივარ, ზეფიროსი, ცივი ნოტოსი
- 335 რომ ზღვისპირიდან წამოვშალო სასტიკ ქარიშხლად.
 ქარი თავს და თორნს გაურუჟავს საძულველ ტროელთ,

ცეცხლს რომ ალაგზნებს.

შენ ქსანთოსის სანაპიროსთან

დაწვი ხეები, მცხუნვარება მოსდე მდინარეს.

ტკბილი სიტყვებით ნუ მოლბება, ნურცა მუქარით,

- 340 არ დაცხრეს შენი მგზნებარება, სანამ ძახილით
მოგცემდე ნიშანს. მხოლოდ მაშინ დაშრიტე ცეცხლი“.

ასე თქვა.

ცეცხლი გააღვივა მყისვე ჰეფესტომ.

მინდორში გვამებს ჯერ მოედო და ხარბად ნთქავდა

პელიდის მოკლულ ტროელების დახორგილ სხეულთ.

- 345 ველი გამომშრა და შიშინით შეჩერდა წყალი.

შემოდგომაზე ბორეასი წვიმით დანესტილ

წალკოტს რომ აშრობს და გლეხკაცის გულს რომ

ახარებს,

ისე გამოხმა ველი, გვამთა დაიწვა გორა.

ღმერთმა მდინარეს მოჩახჩახე ალი შეუნთო:

- 350 მწვანე ტირიფი, ყოლო, წნორი, ძეწნა და ძურწა,

ცვრიანი ლოტოს, ნემსიყუნწა, ლერწმის ლერწები

ილეწებოდნენ ლაწა-ლუწით, ცეცხლმოდებულნი.

თევზნი გულალმა დაეხეთქნენ, ზოგმა კი მორევს,

ზოგმა კამკამა ნაკადების სიღრმეს მიმართა.

- 355 კვლავ მძვინვარებდა ცეცხლოვანი ბრძენი ჰეფესტო.

თვითონ მდინარეც აბრიალდა და შედალადა:

„ვერა, ჰეფესტო, შენ ვერც ერთი ღმერთი ვერ გიძლებს!

მე შენ არასდროს შეგებმები, ცეცხლისმფრქვეველო!

მაკმარე! დაე, აქილევესმა დალეწოს ციხე,

- 360 მე თავს ვანებებ მათს შულლს, ტროელთ შეწევნა არ

მსურს!“

ასე ამბობდა და იწვოდა... დუღდა წყლის ჭავლი.

ცეცხლზე შედგმული კარდალა რომ ათუხთუხდება,

აღნობს მბზინავ ქონს ბურგაკისა, გააქვს რაკრაკი,

დუღს და გადმოდუღს, ხურს და ლელავს მგზნებარე“

ალზე.

365 ასე ხანძარმა აადულა ტალღა ქაფქაფა.
დადგა მდინარე, ვერ დაიძრა, მცხუნვარე ძალამ
დათრგუნა ღმერთის — ჰეფესტოსი.

მყის მოზვიმე

ჰერას მიმართა მახვეწარი, ფრთიანი სიტყვით:

„ჰერა! შენი ძე რად დაესხა მრისხანედ ნაკადს,

370 რას მემართლება?

მე არც ისე ვარ დამნაშავე,
ვით რომელიმე სხვა ღვთაება, ტროელთ მფარველი!
თუ შენ მიბრძანებ, მე მაშინვე დავშოშმინდები,
ოლონდ დამეხსნას!

შემოგფიცავ უკვდავთა ფიცით:

სასტიკე ხვედრისგან არასოდეს დავიცავ ტროელთ,

375 მაშინაც, როცა შმაგი ალით აგიზგიზდება

აქაველთ ძეთა მუგუზლებით გზნებული ტროა!“

ეს რომ შეესმა თეთრხელება დედოფალ ჰერას,

მყისვე ჰეფესტოს, საყვარელ ძეს, შეეხმიანა:

„კმარა, ჰეფესტო! დაცხრი, ჩემო განთქმულო შვილო,

380 ასე უწყალოდ უკვდავს ნუ სჯი მოკვდავთა გამო“.

ასე უბრძანა და ჰეფესტომ დაშრიტა ცეცხლი.

უკან მდინარეს მიაშურა ლივლივით წყალმა.

დაცხრა ქსანთოსის მძვინვარება, დაწყნარდა ორივე,

მრისხანე ჰერამ დაამშვიდა შმაგი ღმერთები.

385 მაგრამ იფეთქა შულღმა ამ დროს სხვა ღმერთთა შორის,

განხეთქილებამ ააღელვა სული უკვდავთა.

ატყდა განგაში. დედამიწამ ამოიგმინა,

თითქოს ბარბითმაც შეარხია მაღალი ზეცა.

ზეცსაც შეესმა ოლიმპოზე, გული ზეიმით

390 შეეძრა, როცა თვალი მოჰკრა ღმერთების ამბოხს,

დიდხანს არ მდგარან უქმად, ერთურთს შეტაკებულნი:

იწყო არესმა, მოსდგა პალასს ფართამლეწველი,

სპილენძის შუბი მოუღერა და შეაგინა:

„თავხედო ბუზო! ზეციერთა მონუსხვა გწადის?

395 ზღვარი არა აქვს შენს სიბრიყვეს! რისხვას არ იშლი

გახსოვს ტიღიდის წაქეზება ჩემს დასაჰრელად —

დიომედესი?

შენ თვითონაც შუბს სტაცე ხელი,
ყველას წინაშე მომიღერე და კიდევ დამკარ!
ახლავე მიზლავ, რაც კი რამ გაქვს დანაშაული!“

- 400 თქვა და საშინელ აიგიდას მრავალფოჩიანს,
რომლის წინაშეც უძღურია თვით ზევსის მეხი,
ვეება შუბი დააღეწა გონსგადასულმა.
ზევსის ასულმა მძლავრი ხელი მყისვე ლოდს სტაცა,
მინდვრად რომ ეგდო ვეება და წახნაგიანი,
- 405 ოდესღაც კაცთა დადებული ყანის სამანად.
ქედში მოარტყა, დაუმსხვრია არესს სიმტკიცე.
როცა წაიქცა, შვიდი ქცევა მიწა დაფარა,
თორნმა იქუხა, მტვრით აევსო ღვთაებას თმები.
ღომილით უთხრა მოზეიმე ათენამ არესს:
- 410 „განა ვერ გრძნობდი, უგუნურო, რა რიგ ძალ-ლონით
მეტი ვარ შენზე, რომ შემბედვე მოსინჯვა ძალის?
შენ წყევლა გიწევს, წყევლა დედა ერინისისა,
რომ თმობ აქაველთ და ემხრობი ვერავ ტროელებს!“
- 415 ასე უთხრა და სხივოსანი თვალი აშორა.
ზევსის ასულმა აფროდიტემ მოჰკიდა ხელი
და შეეშველა, გაიყვანა მკენესარი ღმერთი.
როგორც კი ნახა აფროდიტე ქალღმერთმა ჰერამ,
ათენას უთხრა თეთრხელებამ ფრთიანი სიტყვით:
- 420 „ეჰა, ასულო უძღვევლო მგრგვინავი ზევსის!
ხედავ, არესი კაცთამეღლეტი იმ მოყივნებულს
ბრძოლიდან გაჰყავს თავხედურად! მიჰყევ, მისდიე!“

ეს თქვა თუ არა, გაეხარდა ქალღმერთ ათენას,
მიეჭრა მყისვე აფროდიტეს, მკერდში ჰკრა ხელი

- 425 და მეყსეულად მოუღუნა გულიც, სახსრებიც.
ორივ დასცა და დააქვეყნა წინაშე თვისა,
ზედ თავს წაადგა მოზეიმე ფრთიანი სიტყვით:
„ტროის ქომაგნი ასეთები რომ ყოფილიყვნენ,
რვალთ აღჭურვილ არგიველთა მოპაექრენი,

430 ასე მამაცნი და სულდიდნი, ვით აფროდიტე,
ღმერთის არესის მოკავშირე, მეტოქე ჩემი,
ო, მაშინ ომი აგვცდებოდა დიდი ხნის წინათ,
იავარცყოფდით ტროას მაღალ ქონგურებიანს!“

ასე ამბობდა და ეამა დედოფალ ჰერას.

435 აპოლონს უთხრა მაშინ ღმერთმაც მიწისმრყეველმა:
„ჩვენ რაღას ვდგავართ გარე-კერძო? არ გვეკადრება!
უკვე დაიწყეს სხვა ღმერთებმა.

თუ უბრძოლველად
მეიალთ ოლიმპოს, ზევსის სახლში, სირცხვილს ვჭამთ

მაშინ!

აბა შენ იცი, უმრწემესო! მე არ შემფერის

440 დასწრება, რაკი აღრე გავჩნდი, ბევრიც რამ ვიცი.
ოი, უგნურო, გულმავიწყო, ნუთუ არ გახსოვს
რა დღე დაგვადგა ილიონთან უკვდავთა ნებით?
დავემორჩილეთ ზევსის სურვილს

გაამაყებულ

ლაომედონტთან მთელი წელი აღთქმულ სასყიდლით

445 ვიღწვოდით, მისი სისასტიკე გამოგვიცდია.
ტროელთ ავუგე ქონგურები ქორედ-ქორედრ,
ქალაქის ბურჯი, შეუხებელ-შეულწეველი.
შენ კი, ფოიბოს, მრუდერქიან ხარებს მწყემსავდი
ხშირი მუხნარით აქოჩრილი იდას ფერღობზე.

450 და როს ჰორების აღთქმულ ჯილდოს უამი დაგვიდგა,
ლაომედონტმა მიითვისა ჩვენი კუთვნილი,
სასტიკ მუქარით გაგვასახლა ტროის ქვეყნიდან.
ხელფეხშებორკილს გიქადოდა გაშმაგებული
უცხო კუნძულზე მონასავით უმაღ გაყიდვას,

455 ორთავეს ყურებს დაგაპრითო, გვემუქრებოდა.
ჩვენიც გავეცალეთ ვერაგ მეფეს გულამღვრეულნი.
მან აღთქმა დასდო, ზენაარი არ შეასრულა!
ნუთუ ამიტომ გსურს სიკეთე მიუზლო ტროელთ
და არ გწყურია იავარყო სამარადეამოდ?

460 დე, დაწყდნენ დედაწულიანად, დე, დასამარდნენი!“

მიუგო ვერცხლისმშვილდოსანმა აპოლონ ღმერთმა:
„მიწისმრყეველო! არ ჩამთვლიდი თვით შენ ჰქვიანად,
რომ შეგწყრომოდი და შეგბმოდი მოკვდავთა გამო,
ამა საცოდავ და უბადრუკ ქმნილებათათვის,
465 ფოთოლთა მსგავსად მიწის წვენით აყვავებულნი
გამოჩნდებიან ამა ქვეყნად და კვლავ ქრებიან.
არა, მე შენთან არ მსურს შუღლი! დე, მათ იბრძოლონი!“

ასე თქვა.

მყისვე უკმიიქცა შეშფოთებული,
ბიძას — მამის ძმას ვერ შეჰბედა — ღვთაებას ძლიერს.
470 დამ, არტემისმა, ბუკის ცემით გულმხიარულმა,
ნადირთ უფალმა, ძმას მრისხანედ უსაყვედურა:
„ნუთუ გარბიხარ, მოისარო?

და პოსეიდონს
უთმობ დიდებას, დაუსჯელად რომ იტრაბახოს?
შე სულმდაბალო, რად ატარებ მშვილდს, რას გარგია?
475 არ გავიგონო მე ღლეიდან მამის დარბაზში
შენი ტრაბახი, უკვდავთ შორის რომ იცი ხოლმე,
პოსეიდონთან აქაო-და ბრძოლად გავალო!“

ასე თქვა, მაგრამ აპოლონმა არ უპასუხა.
მის ნაცვლად ჰერა გაგულისდა, ზევსის მეუღლე.
480 სასტიკი სიტყვით ღვარძლიანად უთხრა არტემისს:
„როგორ, შე ძუქნავ უსირცხვილოვ, მეც გამიბედავ
შემება? ძვირად დაგიჯდება, მშვილდით ამაყო!
მოკვდავ დიაცებს მიგიჩინა ზევსმა ძუ ლომად
და ნება მოგცა მხოლოდ მათზე მძვინვარებისა!
485 შენ უფრო მთებში, ველზე ნადირთ მოუტან ვნებას,
ვიდრე ძლიერთა ქვეყანისა და ზეცისათა.
თუ გინდა ბრძოლაც გამოსცადო, ახლავ გაიგებ,
რამდენად უფრო ძლიერი ვარ მე, კადნიერო!“

ასე უთხრა და ქალღმერთს ხელზე სტაცა მარცხენა,
490 ხოლო მარჯვენით მოაგლიჯა მხარილლივ მშვილდი,
მწარე დაცინვით ყურისძირში თვით მასვე დასცხო.

თავს არიღებდა, დაეფანტა ქალღმერთს ისრები,
ატირებული ძლივს გაიქცა.

მფრთხალი ქედანიც
ქორს თუ შენიშნავს, შეფრინდება კლდის ბნელ
ნაპრალში,

- 495 ბუდეში თავს რომ დაიგულეხს, ვერვინ დაიჭერს.
ცრემლიანს მშვილდიც არ ახსოვდა, როცა გარბოდა.
მაშინ ჰერმესმა, ღმერთთა მაცნემ, ლეტოს მიმართა:
„მე შენთან ბრძოლა არც ახლა მსურს და არც არასდროს:
ძნელია ბრძოლა ღრუბელთბატონ ზევსის ცოლებთან.
500 როცა ისურვებ, შეგიძლია ზეიმით ბრძანო,
უკვდავთა შორის იტრაბახო, რომ მომერიე!“

ასე ამბობდა, როცა ლეტო მშვილდს, კაპარჭიდან
აქა-იქ მიყრილ-მოყრილ მსუბუქ ისრებსა კრეფდა.
როს მოაგროვა, დაღონებულ ასულს ეწვია.

- 505 ამ დროს არტემისს ზევსისეულ რვალის დარბაზში
ცრემლი სდიოდა დაპალუპით.

მამის მუხლებზე
იჭდა ქალწული და უთრთოდა მხრებზე სამოსი.
გულში ჩაიკრა ზევსმა. ტკბილი ღიმილით ჰკითხა:
„ჩემო ასულო, ზეციერმა ვინ გაგიბედა

- 510 გაწყრომა, თითქოს ბოროტება რამ ჩაგედინოს?“

ნადირთ უფალმა უპასუხა გვირგვინოსანმა:
„შენმა მეუღლემ, თეთრხელემა ჰერამ შემრისხა.
იგი ალაგზნებს ხოლმე ბრძოლას უკვდავთა შორის“.

- ასე ურთიერთს ზეციერნი ეტყოდნენ სიტყვას,
515 როს ფოიბოსი აპოლონი ტროას ეწვია.
ზრუნავდა იგი, რომ ქალაქი კეთილნაგები
დანაელთ იმ დღეს არ დაემხოთ ბედის საცილოდ.
სხვა ღვთაებანი ასულიყვნენ ოლიმპოს თხემზე,
ზოგი ბოდმით და ზოგიც ძლევეთ გულანთებული.
520 მეხისმტყორცნელი მამის ირგვლივ ჩამოჯდა ყველა.
ამ დროს აჟილევის სპობდა ტროელთ, მათს ფენმარდ

ცხენებს,

კვამლი ზეცამდე ხანძრისგან რომ აისვეტება,
ღმერთების რისხვით ოდეს ქალაქს ააგიზგიზებს,
ყველას უღვევი შრომა ელის, ბევრს კი ვაება;
525 ასე არგუნა მტერს პელიდმა შრომა და ჭირი.
ღვთაებრივ კოშკზე პრიამოსი იღვა მსცოვანი.
ნახა საზარი აქილეესი.

მისგან ილტვოდა

ყველა ტროელი, აწყდებოდნენ ერთურთს და ბრძოლა
ალარც ითქმოდა.

აქვითინდა მეფე. მივიდა

530 და ასე უთხრა სახელოვან მცველებს კარიბჭის:
„ხელი ჩაავლეთ გახსნილ ბჰისკარს, ვიდრე ლტოლვილი
ლაშქარი ციხეს შეაღწევდეს! პელიდი სწრაფად
გვიახლოვდება, აღსასრულიც ახლოა ჩვენი!
მაგრამ როგორც კი გალავანში შემოვა ჯარი,
535 ჩაკეტეთ კარი, ზედ საძალნიც დაადეთ მტკიცე,
ვშიშობ, შინ ჩვენი ამომგდები არ შემოგვექრას!“

თქვა და გასწიეს კაცთ საძალნი, განახუნეს ბჰენი,
ბევრს ღია კარმა თვალისჩინი შეუნარჩუნა.

ტროელთ საშველად შეეგება მყის აპოლონი.

540 სპა ქალაქისკენ მიილტვოდა, ციხე-კოშკისკენ,
მტვრით დაფარული ისწრაფოდა ბრძოლის ველიდან.
შმაგად მოსდევდა შუბით მოყმე, გულაგზნებული
მძვინვარებით და საამქვეყნო დიდების ცეცხლით.

იმ დღეს დასცემდნენ აქაველნი ბჰემალალ ტროას,
545 რომ აგენორი არ აღეგზნო უფალ აპოლონს —
შთამომავალი სახელოვან ანტენორისა.

გული აუნთო სიმამაცით, თვით იქვე იღვა,
რომ ასცდენოდა კაცთ სიკვდილის მსახვრალი ხელი.
ცაცხვთან მივიდა, მოიფარა ღრუბელი მრუმე.

550 მოყმემ შენიშნა აქილეესი ქალაქთმნგრეველი,
ანაზღად შედგა, ხოლო გული შიშმა გაკენწლა.
ამოიოხრა, გუნებაში გაივლო აზრად:
„ვაი ჩემს თავსა! რომ გავექცე მას დაზაფრული,

- როგორც გაურბის შიშით ყველა ფეხმარდ აქილევს,
 555 ხომ დამეწევა და, ვით ლაჩარს, თავსაც წამაცლის!
 თუ ლტოლვილ სპათა მდევარ ვაქაცს თავი ვანებო,
 ქალაქის მხარეს, ველს გავუყვე ილეიოსის,
 სანამ მივალწევ ტყემშვენიერ იდეს მწვერვალებს,
 ტევრით დაფარულს და ბუჩქნარში დავიმალები?
 560 იქ მიმწუხრისას მთის ნაკადში ოფლს მოვიცილებ
 და მოვისვენებ, ხოლო ღამით ილიონს მივალ.
 ო, გულო, ფიქრებს მისცემიხარ განა ამოდ!
 ქალაქიდან შორს, გაშლილ ველზე, თვალი რომ მომკრას?
 თუ გამომენტო, ვერ მიყელებს განა ფეხმარდი?
 565 ო, მაშინ სიკვდილს და საზარ ხვედრს მე ვერ ავცდები!
 ეს კაცი ყველა კაცსა სჭარბობს შეუდარებლად!
 მაგრამ ქალაქის კარიბჭესთან რომ შევეგებო?
 მისი სხეულიც, ვით სხვა კაცთა, ვერ უძლებს სპილენძს.
 მასაც ხომ სული უდგას, მასაც მოკვდავი ჰქვია.
 570 მხოლოდ კრონიდი აძლევს ხოლმე ძალმოსილებას“.

- ასე წარმოთქვა. ბრძოლად დადგა. პელიდს ელოდა:
 გული უწევდა სამამაცოდ, შესარკინებლად.
 როგორც ავაზა წარაფიდან რომ გამოჩნდება,
 გულდაგულ ხვდება მონადირეს, არ იცის შიში,
 575 როდი შეკრთება, როდი გარბის დავლავის ხმაზე,
 თუნდ მონადირე ოროლსა და ისარს სტყორცნიდეს.
 შუბით დაჭრილიც არა სტოვებს ბრძოლის ასპარეზს,
 სანამ არ დასცემს შემხვდურს, ან თვით არ დაემხობა.
 ასევე იდგა ანტენორის ძე აგენორი,
 580 არ სურდა წასვლა, სანამ პელიდს არ გამოცდიდა.
 ზედ აიფარა მკერდზე დიდი ფარი ბაკმული,
 შუბი შემართა და მუქარით შესძახა მედგრად:
 „აღბათ, აქილევს, იმედი გაქვს, სახელოვანო,
 რომ დღეს დაამხობ კეთილშობილ ტროელთ სავანეს?
 585 არა, უგნურო, ჯერ ჭირ-ვარამს კიდევ ბევრს ნახავთ!
 ჯერ კვლავ ბევრი გვყავს ტროელთ გმირი მძლავრიც,
 გულადიც.
 მზად ვართ, მამათა, მეუღლეთა და ჩვილ ყრმათათვის

დავიცვათ ციხე, რომლის ბქესთან შენც დაემხობი,
შენ, კაცთა შორის უმხნესო და უმამაცესო!“

590 თქვა და ძლიერი ხელით სტყორცნა ელვარე შუბი.
ვერ მოახვედრა რიგიანად:

მუხლს ქვემოთ წვივზე

ბრპენის ლეკვერთხმა უსიამოდ დაიღრიალა
და აისხლიტა საბარკულმა რვალი სასტიკი.

ფეხს გასცდა, ღმერთის საჩუქარი ველარ გაკვეთა.

595 მაშინ აგენორს აქილევსმა სტყორცნა ოროლი,
მაგრამ დიდება აპოლონმა არ მიანიჭა:

გამოიტაცა ღრმა წყვილიადით მოცული მოყმე
და სულ ადვილად გააპარა ბრძოლის ველიდან,
თვით კი პელიდი გაიტყუა მოხერხებულად.

600 აგენორს ვერცხლისმშვილდოსანი ემსგავსა სახით,
წინ გადაუდგა.

გამოენთო მოყმე ფეხმარდი.

როცა მისდევდა შორსმოისარს ჰურის ყანაში,
ღრმანაკადიან სკამანდროსის სანაპიროსთან,
ღმერთი ოდნავლა თუ უსწრებდა: აცდენდა მოკვდავს,

605 გმირს სულ ეგონა, ჰა, საცაა დავეწევო.

იმ დროს ტროელნი ოტებულნი დიდძალ ბრბოებად
მისცვივდნენ ქალაქს, ლტოლვილებით აივსო ტროა.
ვერვინ ბედავდა გასცდენოდა ციხის კარიბქეს,
სხვას დახვედროდა, ან გაეგო, თუ ვინ გადაარჩა,

610 ვინ დაიღუპა.

ვით ტალღები, შეცვივდნენ ბქეში,
გული უთრთოდათ სწრაფი ლტოლვით გადარჩენილებს.

ქება ოცდამეორე

პეატორის მოკვლა

შეძრწუნებულნი, ვით შვლის ნუკრნი, გალაგნის შიგნით
ოფლს იგრილებდნენ და იკლავდნენ ტროელნი წყურვილს.
გალაგნის გასწვრივ თავსა ჰყოფდნენ ქონგურებიდან,
გალაგნის ირგვლივ მოსდგომოდა მტერიც ილიონს.

5 ამ დროს ჰექტორი, შებოჭილი ავი განგებით, განგებ მარტოკა დამდგარიყო სკაიას ბჭესთან.

ღმერთმა, ფოიბოს-აპოლონმა უთხრა აქილეესს:
„რათ, პელიდო, მარტო მარდი ფეხის იმედით მოკვდავი მისდევ უკვდავს?

განა მოაქეამამდე

10 ვერ იცან ღმერთი?

რას გიზგიზებ გამძვინვარებით?

ტროელთ ბედი და სიდუხჭირე სულ დაგავიწყდა.
უკვე შევასწრეს გალავანში, შენ კი აქ დაძრწი.
ვერ მომკლავ, არ ვარ მე სიკვდილის თანაზიარი!“

რისხვით აენტო და მიუგო გმირმა ფეხმარდმა:

15 „როგორ მაცდუნე, ღმერთთა შორის უბოროტესო!
ციხიდან ველზე გამიტყუე,

კვლავ ბევრი მოყმე

- მიწას დაღრღნიდა, სანამ კოშკში შეიჭრებოდა.
მე შენ დიდება გამომტაცე,

ხოლო ტროელნი

უშრომლად იხსენ, შურისგების შიშიც არა აქვთ.

20 სამაგიეროს, რომ შემეძლოს, გიზღავდი კიდეც!“

ასე უთხრა და ქალაქისკენ გაიჭრა გმირი.

რაში რომ მიჭრის, მარულაში ძღვევას ჩვეული,
ლამის გაეკრას ხოლმე მუცლით მდელოს ხასხასას,
ასევე სხარტად უნაცვლებდა ფეხებს პელიდი.

25 პირველად შორით თვალი ჰკიდა მას პრიამოსმა,
ველზე შმაგად მსრბოლს, მოკაშკაშეს, ვით

შუქურ-ვარსკვლავს,

ვით შუქურ-ვარსკვლავს, შემდგომით რომ შემოდგება,
ლამის წყვილიადში მოკიაფე ცეცხლოვან სხივით.
ორიონის ძალს უწოდებენ მას,

ვარსკვლავთ შორის

30 ყველაზე ნათელს, მაგრამ ცნობილს ავის მორბედად:
ციებ-ცხელებას მოჰგვრის ხოლმე უბედურ მოკვდავთ.
ასევე პელიდს უელავდა მკერდზე სპილენძი.

შეჰყვირა, თავში ხელი იცა მოხუცმა მეფემ,
ზეცას ვედრებით შეღალადა და ცრემლიანი
35 ეხვეწებოდა საყვარელ ძეს.

ის კი ჭიუტად

და უხმოდ იდგა, აღზნებული ბრძოლის სურვილით.
მამამ საბრალომ ხელიც, სიტყვაც მისიკენ მიმართა:
„ჭეტორ, ძვირფასო შვილო ჩემო!

ნუ უცდი ამ კაცს

- მარტო, უსხვისოდ, აღსასრული არ ჰპოვო ვინძლო
40 პელიდის ხელით: შენზე მძლავრი ზეომარია!
ნეტავ, ისევე ღმერთს უყვარდეს, როგორც მე მიყვარს,
მაშინ ხომ მის გვამს ნაკუწ-ნაკუწ დაფლეთდა ძალღი
და ყოველგვარი სადარდელი ამცილდებოდა!
რამდენი შვილი მოწიფული მომტაცა გმირმა,
45 ან მოკლა, ანდა გამიყიდა შორს, კუნძულებზე!
ახლაც ვერ ვხედავ ვერც ლიკაონს, ვერც პოლიდოროსს...
არ ჩანან ქალაქს შემოხიზნულ ტროელთა შორის.
ისინი შობა ლაოთოემ, ქალთა ხელმწიფემ.
თუ ცოცხლადა ჰყავთ აქაველებს დატყვევებულნი,
50 გამოვისყიდით ოქრო-რვალით: უხვად გვიძს შინა.
ასულთან ერთად ბევრი განძიც მიბოძა ალტემ.
თუ მოკლა ორივ, ჰადესს შთანთქა, ახა-ვაი მე,
ვაი დედასა! მწუხარების შვილნი გვიშვია!
მაგრამ ხალხს ნაკლებ სავალალო ერგება ხვედრი,
55 ოღონდ შენ შერჩი, აქილევსმა შენ არა გძლიოს!
შემოდი, შვილო, ამით იხსნი ტროელ მამაცებს,
ტროელ დიაცთაც. არ აჩუქებ ძლევის დიდებას
პელიდს!

სიცოცხლეს აღარ დათმობ ტკბილს და სანუჟევარს!

- მეც შემიბრალე, სანამ ვსუნთქავ მე უბედური,
60 მოხუცი, ვისაც ზედ სამარის კართან სჯის ზევსი
და აიძულებს განიცადოს ყველა ტკივილი:
ძეთა სიკვდილი და ასულთა წაგვრა მონებად,
სამთიობოთა ნგრევა, შვილთა, უცოდველ ჩვილთა
ძირს დახეთქება ამ დამღუპველ ბრძოლის გნიასში,
65 რძალთა წახმევა, წაგვრა, თრევა აქაველთ ხელით...

- ბოლოს მეც მკვდარი დავეცემი, ზედ კარის ზღურბლთან ხარბი ძაღლები დამჯიჯგნიან, როცა სპილენძით მტერი გამიპობს გულს და ტანჯულ სულს ამომართმევს. ვინც ნასუფრალით გამიზრდია კარიბჭის მცველად,
- 70 ჩემსავე სისხლს რომ დააძღვება, გულნაღვლიანი მახინჯ ცხედართან წამოწვება... ო, შვენის ჭაბუკს ველზე დაცემაც, როს სპილენძით გულს გაუპობენ, მკვდარიც კი, თუნდაც გააშიშვლონ, მშვენიერია! და თუ მოხუცის ჭალარა წვერს და თმას ჭალარას
- 75 რვალი დაღარავს სამარცხვინოდ, ძაღლი წაბილწავს, უფრო საზარი ხვედრი მოკვდავს არ უწერია!“

- ასე ჰგოდებდა და მოხუცი ჭალარა ბუწუწს იწეწდა თავზე. მაგრამ გული შვილს ვერ მოუღბო. ცალკერძ მოთქვამდა მოქვითინე მოხუცი დედა,
- 80 მკერდს იშიშვლებდა, აჩვენებდა შვილს ხელით ძუძუს, ცრემლთა მფრქვეველი მიმართავდა ფრთიანი სიტყვით: „ჭექტორ! ო, შვილო, დედის ძუძუს ეცი პატივი, ბალღი რომ იყავ, აჭინჭყლებულს ის გამშვიდებდა. გახსოვდეს, ჩემო საყვარელო! შემოდი შიგნით
- 85 და საზარ მოყმეს მარტოდმარტო ნუ ენახვები! თუ გძლია, შვილო, გულმძვინვარემ, ჩემს ძეს საყვარელს ვერ დაგიტირებ სასიკვდილო სარეცლის ახლოს და ვერც მეუღლე დაგიტირებს,
- შორს ორივეგან,
არგიველთ გემთან დაგძიძგნიან ხარბი ძაღლები!“

- 90 ასე ქვითინით მოუხმობდნენ, ევედრებოდნენ ძვირფას ძეს, მაგრამ არ მოუღბა გული გმირ ჭექტორს. იგი ელოდა მძლე აქილეესს, მისკენ გამოჰკრილს, ვით მთის ურჩხული კაცს მოელის შავბნელ მღვიმესთან, ამოყორილი შხამიანი ბალახ-ბულახით,
- 95 თვალებს აკვესებს, იკლაკნება მღვიმის ნაპრალთან, ისე ჭექტორიც იდგა სავსე ძაღგულოვნებით, გამობერილ ფარს დაყრდნობოდა გოდოლის ძირას. ამოიოხრა და მამაცურ გულში გაივლო:

„ვაი სირცხვილო, თუ ვით მხდალი, ბქეს შევეფარე,
100 პულიდამანტი მე გამკიცხავს თავდაპირველად.
მან ხომ მიჩნია, რომ ტროელნი ციხეს შემესხა,
იმ ღამეს, ოდეს აქილევსი ამხედრდა ისევ.
მე არ ვუსმინე, სჯობდა თურმე მიმელო რჩევა!
ხალხი დავლუპე უგნურებით.

ჩარიგ მრცხვენია

105 გრძელპეპლოსიან ტროელ ქალთა, მამაც ტროელთა!
ყველაზე უფრო უბადრუკსაც ამის თქმა ძალუძს:
პექტორი ენდო თავს და ხალხი დავგილუპაო!
ასეც იტყვიან. უფრო სწორი იქნება ახლა
შევხვდე აქილევსს, დავცე იგი, ძლევით დავბრუნდე,
110 ან სახელოვნად ქალაქის წინ გავეწირო თავი!
მაგრამ თუ დავდე მოლაპლაპე ფარი ბაკმული,
მძიმე ჩაჩქანიც, მივაყუდე ბოძალიც სვეტზე
და შევეგებე გმირ აქილევსს ასე პირისპირ?
მოდო, ელენეს შევპირდები, ყოველ საჭურველს,
115 ალექსანდროსმა რაც ტროაში გემს მოაყოლა —
საბედისწერო, დამღუპველი შულლის მიზეზი. —
უხვად გავუყოფ ატრიდებს და სპას აქაველთა
სიკეთეს ყოველს, რაც ქალაქში მოიპოვება,
თანაც ტროელთა უხუცესნიც ფიცით იტყვიან,
120 რომ არაფერი დავგიმაღავს, განძი ყოველი,
ქალაქს საყვარელს რაც დაუცავს, გიწილადეთო...
ეს რა აზრები მომდის თავში? არა, არ მივალ,
ვით მათხოვარი! მე ხომ ვიცი, არ შემიწყალებს,
უიარაღოს თავს დამესხმის და როგორც დიაცს,
125 თავსაც წამაცლის თავხედურად, თუ დავთმობ ფარ-შუბს.
არ გამოგვივა კლდესთან, მწვანე მუხის ჩეროში
მშვიდი ბაასი, როგორც ჭაბუკს — სოფელელ ქალწულთან.
ბიჭი გოგონას ორლობეში გაულაღდება,
ჩვენ კი ხამს ერთურთს შევერკინოთ! ზევსმა განსაჯოს
130 ვის მიანიჭოს ჩვენ ორს შორის დიდება ძლევის!“

ასე ფიქრობდა. აქილევსიც მოქროდა მისკენ,
ვით ღმერთი ჩაჩქანმოელვარე — ენიალიოს.

- მარჯვენა მხარზე შუბი ჰქონდა პელიონური,
 თვალის მომჭრელად ელვარებდა სპილენძის შუქი,
 135 როგორც კოცონი მოგიზგიზე, როგორც დილის მზე.
 ჰექტორი შიშმა აიტანა, აღარ შეეძლო
 ცდა, ბჭეს მოსცილდა და გაიქცა ზარდაცემული.
 მიჰყვა პელიდიც, გმირს სიმარდის იმედი ჰქონდა.
 ვით შევარდენი, ფრთოსანთ შორის ყველაზე სწრაფი,
 140 ენით უთქმელი ძალით ქედანს გამოენთება,
 გვერდზე ფრთხილით გასხლეტილ ჩიტს ყვილით ისევ
 ქვემოდან უვლის, ხან ზემოდან, აცხრება ხარბად. —
 ისე მისდევდა ათრთოლებულ ჰექტორს პელიდი.
 ტროის გალავნის ირგვლივ სწრაფად ცვლიდა ფეხი ფეხს.
 145 ლედვის ხის ახლოს, ბორცვთან, სადაც მუდამ ქრის ქარი,
 საურმე გზაზე, ციხიდან შორს მიისწრაფოდნენ,
 მიადგნენ ლამაზ ჩქერებიან წყაროს გვირგვინი,
 სად სკამანდროსის ტალღებს ერთვის ორი ნაკადი.
 ერთი წყაროდან მოჩუხჩუხებს სულ თბილი წყალი,
 150 ორთქლი გადასდის, ვით მზეს ლიბრი აალებული,
 მეორე ცივად მოწანწკარებს თიბათვეშიაც,
 ვით წყალ-კრისტალი, ვით ყინული, ვით თეთრი თოვლი.
 ზედ წყაროსთვალთან ქვის ორი ღრუ ამოუკვეთავთ
 ფართო და თლილი.

იქ ქათქათა კვართთა სარეცხად

- 155 ტროელთ ცოლები და ასულნი მშვიდობიან დროს,
 აქაველთ ძეთა შენეჲკრამდე, იკრიბებოდნენ.
 წყაროს მიადგნენ დევნილი და მისი მდევარიც.
 ილტვოდა ნძლავრი, მაგრამ უფრო მძლავრი მისდევდა.
 განა ზვარაკზე, ხარის ტყავზე ჰქონდათ ცილობა,
 160 როგორც სჩვევიათ ასპარეზზე მორბენალ ბიჭებს,
 არა, ჰექტორის სულს ერთმანეთს ეცილებოცნენ!
 მოკლულთა გმირთა სადიდებლად გამართულ დოღზე
 სამანს ჰენებით მსწრაფლ მოუვლის ხოლმე მხედარი,
 მოწიფულ დიაცს, ან სამფეხას მოელის ჯილდოდ.
 165 მის მსგავსად სამგზის წრე დაარტყეს პრიამეს ციხეს
 შეუჩერებლივ.

ყველა ღმერთი მათ შესცქეროდა

და ასე ბრძანა ღვთაებათა და კაცთა მამამ:

- „ვაგლახ! საყვარელ ვაჟკაცს ციხე-ქალაქის ახლოს
ვხედავ იტებულს, ჩემი გული დარღმა გამსკვალა!
170 ჰექტორი, კაცი სულნათელი, ხბოს მსუყე ბარკლებს
იდაზე ხშირად სწვავდა ჩემთვის ნელსურნელოვანს.
დღეს ღვთაებრივი აქილევსი, შმაგი მდევარი,
მიელტვის ჰექტორს პრამოსის ციხის კედლებთან.
ღმერთებო! ახლა გადაწყვიტეთ, თქვენს გულსა ჰკითხეთ:
175 ბოლოს და ბოლოს სიკვდილისგან ვიხსნათ ჰექტორი,
თუ პელევსის ძეს, გზირ აქილევსს ვარგუნოთ ძლევა?“
ზევსს უპასუხა მყის პალასმა თვალგებბრიალამ:
„ზეხთამცემელო მამავ, რა თქვი, შავლრუბლიანო?
180 მოკვდავი კაცი, განწირული ავ ბედისწერით,
გნებავს, რომ სიკვდილს ააცდინო, ყოველთა მმუსერელს?
ნება ყავ! მაგრამ ყველა ღმერთი თავს არ დაგიხრის!“

მყის უპასუხა კრონიონმა ღრუბელთმარეკმა:

- „ჩემო ასულო, საყვარელო ტრიტოგენია!
გულის კარნახით როდი ვამბობ შენი მოწყალე
185 ნება ყავ და გულს რაც უნდოდეს, იგი ინებე!“

თქვა და შეჰმატა ცეცხლი ისეც გაგულისებულს,
ოლიმპოს მთიდან გადმოფრინდა ათენა უმაღ.

- ამ დროს პელიდი კელავ მისდევდა ფეხდაფეხ ჰექტორს.
როგორც მოის ძირას ძალლი ირემს გამოენთება,
190 როს წამოაგდებს, ძეძენარებში და ღრანტეებში
საშველს არ აძლევს, შიშით ბუჩქის ქვეშ მიყუჩებულს,
გუმანით ეძებს, სულ წრიალებს, ვიდრე მიაგნებს.
ასე ჰექტორიც პელიონს ვერ დაემალა.
მრავალგზის სცადა, დარდანელთა ბქეს მიღწეულმა,
195 შევარდნილიყო კოშქმადალი გალავნის შიგნით,
სადაც ტროელნი დაიცავდნენ მშვილდშემართულნი.
იმდენგზის გმირმა აქილევსმა გზა გადაუქრა,
ბქესთან უყელა და მინდორი დაუთმო სრბოლად.
ძილისშორისში კაცი კაცს რომ ამაოდ მისდევს,
200 ერთი ვერ გარბის, ვერც მეორეს გაუდგამს ფეხი,
ასევე ვერც ეს დასწევია, ვერც ის გაურბის.

მაგრამ თავს როგორ დააღწევდა ჰექტორი სიკვდილს,
რომ აპოლონი გმირის შემწე არ ყოფილიყო?
იგი აძლევდა ძალასაც და ფერხთა სისწრაფეს.

- 205 ხოლო ღმრთეებრი აქილევსი სპას უკრძალავდა —
მწარე ისრები ჰექტორისთვის რომ დაეშინათ,
ვინძლო დიდება არ მიხდოდა დაგვიანებულს.
მაგრამ მეოთხედ წყაროებთან რომ მიიბზინეს,
ოქროს სასწორზე ორი წილი დააწყო მამამ,
210 სიკვდილის წილი, მარადიულ ძილის მომგვრელი,
ერთწილ ჰექტორის, მეორეწილ აქილევსისა.
მაღლა ასწია.

ჩამოქანდა ჰექტორის პინა
ძირს, ჰადესისკენ...

- ფოიბოსიც მოსცილდა მოყმეს,
ხოლო აქილევსს მყის ათენა გამოეცხადა,
215 ახლოს მივიდა, მიაგება სიტყვა ფრთიანი:
„ზევისს რჩეულო აქილევსო, ახლა კი ვგონებ,
აქაველთ გემებს მივანიჭებთ სახელ-დიდებას:
ჰექტორს გავგმირავთ გაუმაძღარს ომით და სისხლით.
ამიერიდან ჩვენს მარჯვენას ვერ დაუხსლტება,
220 ბევრიც ეცადოს აპოლონი შორსმოისარი,
მოყმე მიწაზე განირთხმება ზევისს წინაშე.
შენ შეისვენე, დადექ, გმირო, მე შეგახვედრებ,
დავიყოლიებ ფეხმარდ გმირთან შესარკინებლად“.
ათენას ნათქვამს სიხარულით უსმინა მოყმემ,
225 იფანს დაეყრდნო მოელვარეს, რვალისწვერიანს.
ღვთაებრივ ჰექტორს დაეწია მყისვე ქალღმერთი,
ხმით და სახითაც დეიფობოსს მიმსგავსებული,
წინ გადაუდგა და ფრთიანი სიტყვით მიმართა:
„გმირო, აქილევსს რა სასტიკად დაუჯაბნინხარ,
230 რომ ციხის ახლოს მოგდევს აგრე გაშმაგებული!
შეჩერდი, შედექ! მტერს უშიშრად აქ შევეგებოთ!“
მიუგო ჩაფხუტმოელვარე გმირმა ჰექტორმა:
„ო, დეიფობოს, ყრმობიდანვე ჩემს ძმათა შორის,
პრიამოსისა და ჰეკაბეს შობილთა შორის,
235 შენ შეგხაროდი! ახლა მმართებს უფრო მიყვარდე!

შენ ხომ ჩემ გამო, როს მიხილე მარტოშენილი,
კოშკი დატოვე, ხოლო სხვები გოდოლში სხედან!“

ისევ მიუგო თვალმცეცხლია აიენამ ჰექტორს:

- 240 „მევედრებოდნენ დიახაც რომ მაპაც და დედაც,
მუხლთ მეხვეოდნენ, მეგობრებიც მევედრებოდნენ —
ჩვენთან დარჩიო: შიშმა ასე მოიკვა ყველა.
მაგრამ მე გული მიკვდებოდა შენს გამო დარდით.
დავდგეთ და მომხვდურს შევეგებოთ,

ნუ დავიშუქებთ

- 245 შუბსა და სათხედს! აბა ვნახოთ, შეძლებს პელიდი —
ორივე დაგვამხოს, სისხლიანი დავლა ხელთ იგდოს?
თუ შენი შუბით განგმირული დაშოშმინდება?!“

ასე უთხრა და ვერაგულად წინ წადგა ღმერთი.
მაშინვე გმირნი საბრძოლველად შეხვდნენ ერთმანეთს.
პირველად პელიდს ჰრქვა ჰექტორმა ზუჩმოელვარემ:

- 250 „პელევსის ძეო. არ ვაპირებ აწ უკუქცევას!
სამგზის გაგექეც ციხის გასწვრივ, ვერ გაგიხედე
შეგრკინებოდი, მაგრამ ახლა კი გული მითქვამს —
ბრძოლად გამოგყე. ან მე მოგკლავ, ან შეგაკვდები!
ღმერთებს მოვიხმობ მოწმედ, უკეთ ვერ შეძლებს ვერვინ,

- 255 რომ შემინახოს ზენაარი, ფიცი, პირობა:

არ შეგილახავ სხეულს, თუკი ზევსი მარგუნებს
ძლევას, ოდეს სულს ამოგართმევ ელვარე რვალით.
აბჯარს აგაგლეჯ სახელოვანს, ხოლო აქაველთ
გვამს მივცემ და შენც ეს პირობა ხამს შეასრულო“.

- 260 რისხვით შეხედა და შეჰყვირა გმირმა ფეხმარდმა:
„ჰექტორ, პირობას ნუ მთავაზობ, მტერო ზვიადო!
ლომთა და კაცთა შორის კავშირს განა რა შეკრავს,
არც მგლებს და კრავებს უკარნახებს გული თანხმობას,
მუღამ ბოროტად ზღვევა მართებთ მტრად მოკიდებულთ.

- 265 ჩვენც სიყვარული აღარ ძალგვიძს, არც ერთი სიტყვა,
სათნო პირობა ჩვენ არ გვეთქმის! სანამ ერთ-ერთი
თავისი სისხლით არ გააძლებს მძვინვარე არესს!
გიჯობს ყოველი გაიხსენო ზნე სამამაცო,

იყო მეგრძოლი შუბოსანი და უშიშარი!

- 270 ველარ წამიხვალ, ჩემი შუბით მალე ათენა
დაგაშოშმინებს და ერთბაშად ვალს გადამიხდი,
რაც გამამწარე მეგობართა ჩემთა შემუსვრით!“

თქვა და გასტყორცნა გმირმა შუბი გრძელჩრდილიანი.
ღროზე შენიშნა, აიცილნა იგი ჰექტორმა:

- 275 მსწრაფლ დაიხარა, თავს ზემოდან გადაფრენილი
მიწას ჩაერჭო შუბისწვერი.

მაგრამ ათენამ

კვლავ მისცა პელიდს, თუმც ხალხთა მწყემსს ჰექტორს ეს
მაშინ

არ შეუნიშნავს.

მხნედ შესძახა გმირმა აქილევეს:

- 280 „ამაო იყო შენი დარტყმა! უკვდავთ სადარო,
ვერ გაგიგია ჩემი ბედი, თუმც მაუწყებდი,
ყოფილხარ ყბედი და ცბიერი! გინდოდა, ალბათ,
რომ ამ სიტყვებით წამრთმეოდა სულაც მხნეობა!
არა, სილტოლვას არ ვაპირებ, პირისპირ ვიმზერ
და ზურგში ოროლს ვერ მომაწვდენ!“

გამიპე გული,

- 285 თუ ღმერთს ეს უნდა!

მაგრამ ამ ჩემს შუბსაც ერიდე!
ნეტავ სპილენძი შენს სხეულში მთლად ჩაიმარხოს!
ტროელთა ბრძოლა სისხლისმღვრელი უფრო ადვილი
მაშინ იქნება, როცა მოგსპობ მათს მტერს მძვინვარეს!“

თქვა და ძალუმად სტყორცნა შუბი გრძელჩრდილიანი.

- 290 ვერრა დააკლო, შუა ფარში მოარტყა პელიდს,
შორს აისხლიტა შუბი ფარმა.

შეწუხდა გმირი,

იგრძნო, თუ როგორ მოეცარა ხელი ამაოდ.

თვალი დახარა, აღარ შერჩა უკვე ოროლი.

ხმამაღლივ უხმო შემწედ ერთგულ ძმას დეიფობოსს.

- 295 სხვა შუბი სთხოვა.

სადლა იყო დეიფობოსი

ჰექტორი მიხვდა: გულმა უგრძნო და შელაღადა:
„ვაიმე! უკვე სასიკვდილოდ მიხმეს ღმერთებმა!
დეიფობოსი მე ჩემს გვერდით მეგულებოდა,
ის კი კოშკშია: შემაცდინა ისევ ათენამ.

- 300 ჩემს გვერდით მხოლოდ სიკვდილია! ხსნა არსით არის!
უეჭველია, თვით ღმერთებმა განსაჯეს ასე:
ზევსმა, ზევსის ძემ აპოლონმა.

ადრე მოწყალეთ

ბევრჯერ მიშველეს და, ჰა, ბედმა მიწია ბოლოს!
მაგრამ უაზროდ, უსახელოდ სულს როდი დავთმობ,

- 305 ისეთ საქმეს ვიქმ, რომ ხმა მისწვდეს შთამომავლობას!“
ასე წარმოთქვა და იშიშვლა მყის სატევარი,
მარცხენა მხარეს რომ ეკიდა მძიმე, ვეება,
ისე გაიჭრა, ვით არწივი ცად მოლივლივე,
მრუმე ღრუბლიდან დაბლობისკენ რომ დაეშვება,

- 310 ხუჭუჭა ტარიგს, დამფრთხალ კურღლელს დახარბებული.
მას ჰგავდა ჰექტორ, ხმალს იქნევდა სიკვდილის მთესველს.
წემოეგება აქილევისიც გაშმაგებული.
მკერდის წინ ფარი მოხატული ეჭირა ფეხმარღს,
თავზე ჩაფხუტი კიაფობდა ოთხსალტიანი,

- 315 ზედ უელავდა სხივნათელი ოქროს ფაფარი,
ჰეფესტომ ჯილას რომ მოასხა, მოაგვირისტა.

ვით ვარსკვლავთ შორის ღამის ბნელში ბრწყინავს

ვარსკვლავი

ჰესპეროს, ზეცად უნათლესი და უტურფესი,

ისე ელავდა აქილევისის ხელში ოროლი,

- 320 ღვთაებრივ ჰექტორს სევს საშინელს რომ უქადოდა.
ეებდა ადგილს დასარტყმელად მშვენიერ ტანზე,
მაგრამ აბჯარი გმირს იცავდა რვალით ნაჭედო,
რომელიც ერგო მამაც ჰექტორს, პატროკლეს მძლეველს.
მხოლოდ იქ, სადაც ყელი ჩანდა, ხორხის ნაწილიც

- 325 იყო შიშველი, სული სიკვდილს ვერ აიციდენდა.

მიეჭრა გმირი აქილევისი, დასცა ოროლი,

და შიგ თეთრ ყელში გაიარა ბასრმა ბუნეიკმა.

ოლონდაც ხორხს არ შეხებია მწვავე სპილენძი,

ჰექტორს მომაკვდავს რამდენიმე სიტყვა რომ ეთქვა.

- 330 დაეცა მოყმე და შესძახა მას აქილეესმა:
 „ჰექტორ! პატროკლეს მკვლელს სიცოცხლის იმედი
 გქონდა,
 ბრძოლიდან გასულს აღარ მთვლიდი საშიშ მეტოქედ.
 რას მოხვიდოდი ძალით ჩემთან, შურისმგებელთან.
 თუმც უქმად გემთან ვიდექ შენთა მუხლთა მსხვრეველი!
- 335 აწ დაგკორტნიან სვავნი, ხოლო ძალღნი დაფვლეთენ,
 გმირ პატროკლეს კი დაკრძალავენ აქაველები!..“
 მას სულამოთქმით ძლივსლა უთხრა გმირმა ჰექტორმა:
 „შენს სულს გაფიცებ ძირს განრთხმული, შენთა
 მშობელთა!
 აქაველთ ძაღლებს ნუ მიუგდებ ჩემს გვამს საჯიჯგნად!
- 340 სპილენძი, ოქრო. რამდენიც გასურს, გამოითხოვე
 გამოსასყიდად,
 მოგართმევენ მამა და დედა,
 ოღონდ ციხეში დამაბრუნე, რომ კოცონს მიმცენ
 და პატივი მცენ ტროელთა და ტროელთ დიაცთა“.
- პირქუშად უთხრა აქილეესმა სულთმობრძაჲ ჰექტორს:
 345 „ამაოდ, ძაღლო, მუხლთ მეხვევი, მშობელთ: მაფიცებ!
 რისხვას რომ აყყვე, თვით დაგგლეჯდი ნაწილ-ნაწილად,
 ჯერ კიდევ თბილ ხორცს ვიგემებდი, ისე მომიეპყარ!
 არა, შენს სხეულს კაცისშვილი ვერ მოაცილებს
 დამშეულ ძაღლებს, თუნდაც ათჯერ ან თუნდაც ოცჯერ
- 350 ძვირფასად მიზღან და იმდენიც დამპირდნენ კიდევ!
 პრიაბოს მეფემ შენი წონა ოქროც რომ მომცეს,
 მაინც ჰეკაბე დედოფალი ძის დაბადებას
 ვერ დაიტირებს სასიკვდილო სარეცლის გვერდით.
 შენს გვამს სვავები დაკორტნიან, ძაღლნი დაფვლეთენ!“
- 355 უთხრა ჰექტორმა სულთმობრძავმა ფეხმარდ აქილეესს:
 „მე ხომ გიცნობდი, გული გრძნობდა, ვერ მოგალბობდი
 ხვეწნა-ვედრებით: შენ ხომ რკინის გული გაქვს მკერდში
 ძრწოდე, მძლეველო, რომ ღვთის რისხვად არ მოგვევლინო,
 როცა პარისი და აპოლონ შორსმოისარა,
- 360 რაც უნდა ძალას იკვებხნიდე, ბჭესთან დაგცემენ!“

ასე ძოუბარს დაეუფლა შავი სიკვდილი:
სული, ბაგიდან აფრენილი, ჰადესს ჩაეშვა,
დატოვა ძალაც, სიქაბუეც ბედზე მტირალმა.
ხოლო გმირს, უკვე მოკლულს, ასე უთხრა პელიდმა:

365 „ჩაძალღდი! მე კი გულის თრთოლვით შეეხვდები
სიკვდილს
როცა მომივლენს ყველა ღმერთი და მამა ზევსი!“

ასე თქვა.

მოკლულს ამოგლიჯა სპილენძის შუბი,
გვერდზე მიაგდო და საქურვლის ახდას შეუდგა,
სისხლით მორწყულის.

370 მოირბინეს აქაველებმა,
გაოცებულნი იყვნენ გმირის ზომით, მშვენებით.
ახლოს მოსულნი აქაველნი შუბს აძგერებდნენ,
ერთი-მეორეს შეხედავდა, ამბობდა ზოგი:
„ო, ღმერთო ჩემო! რა რბილია ახლა ჰექტორი,
რა მტკიცე იყო, როს ტყორცნიდა გემებს ცეცხლს
შთანმტკმელს!“

375 ასე ამბობდა ბევრი და გვამს შუბს აძგერებდა.
ამ დროს ჰექტორი გააშიშვლა მძლე აქილევსმა,
აქაველთ შორის დადგა, ფრთიან სიტყვით მიმართა:

380 „ო, მეგობრებო, ბელადებო არგიველთ ტომის!
ბოლოს მარგუნეს მე ღმერთებმა ძლევა ვაუკაცის,
ვინც მეტი ვნება მოგვიტანა, ვიდრე სხვამ ყველამ.
ახლა კი ქალაქს შევესიოთ მტკიცეზღუდიანს.
გავიგოთ, გულში ტროელ გმირებს რა ფიქრი უდევთ:
განგმირულს ხომ არ დაურთავენ ციხეს და გოდოლს,
თუ უჰექტოროდ გამაგრებას კვლავ გაბედავენ?“

385 მაგრამ რა ფიქრებს მისცემია საამო გული!
გემებთან მიწევს მეგობარი დაუკრძალავი!
ვერ დავივიწყებ ჩემს პატროკლეს, სანამ ვეთრევი
ცოცხალთა შორის და ტერფებით ვეხები მიწას!
მკვდარი ჰადესში რომც ჰკარგავდეს მეხსიერებას.

390 იქაც მეგობარს კეთილშობილს რა დამავიწყებს!

ძღვევის პეანი იგალობეთ აწ, აქაველნო,
ჩვენ კი გემისკენ გვამს წავათრევთ, დიდი სახელი
გვაქვს მოხვეჭილი:

ალარ არის გმირი ჰექტორი,
ვისაც ტროელნი აღიღებდნენ, როგორც ღვთაებას!“

395 თქვა და ჰექტორის უკადრისი საქმე იკადრა:

ორსავე ფეხზე გადაუჭრა მაშვრალი ძარღვი,
ქუსლში კოჭამდე გაუყარა ღვედები და ეტლს
მიაბა გვამი, დარჩა თავი დაბლა სათრევად.

ეტლზე დადგა და საჭურველი აჩვენა ლაშქარს.

400 მათრახი დასცხო ცხენს, გაფრინდნენ მორჩილნი რაშნი.

გათრეულ ცხედარს მტვერი ადგა სვეტად,

მიწაზე

მისრიალებდა შავი თმები, თავს ხათქა-ხუთქი
გაუდიოდა, წინათ ლამაზს.

ზევსმა მტრებს მისცა

მოსაყივნებლად აყვავებულ მშობლიურ ველზე.

405 თავი გაშავდა, გაიზინზლა.

დედამ შენიშნა,

ჭალარა თმები დაიწეწა, უცხო მანდილი

შორს მოისროლა, საწყალობლად იწყო გოდება.

მოთქვამდა მამაც, აქვითინდნენ მოქალაქენიც

და ილიონში კიდით კიდე გაისმა გლოვა.

410 გეგონებოდა ამ თავიდან თვით იმ თავამდე

ტროას ძირიან-ფესვიანად მოედო ცეცხლი.

ძლივს აკავედნენ მოხუცს, სიმწრით გონზე გადასულს.

სულ მიიწევედა, კარიბჭიდან ვაჭრას ლამობდა.

მიწას განრთხმულიც მიხობავდა,

დარდით და ხვეწნით

415 სახელს ეტყოდა ყოველ მოყმეს მავედრებელი:

„გამიშვით მარტო, ნულარ ზრუნავთ ჩემზე, გავიდე

ამ ქალაქიდან!

აქაველთა ვეწვევი გემებს...

შევევედრები ჩემს დამლუპველს, გულქვა ავაზაკს,

ეგების ასაკს სცეს პატივი, სიბერეს ძაბუნს...

420 ისიც კაცია, მასაც ხომ ჰყავს ჩემებრი მამა,
მოხუცი პელევს, რომელმაც შვა და გამოზარდა
ტროელთა ჭირად, ჩემდა ჭირად ყველაზე მეტად!
რამდენი შვილი მოწიფული წამართვა,

მაგრამ

ყველაზე გული ნაკლებ მიწუხს, ვიდრე ამ ერთზე!..

425 მალე ჰადესის ბჭეს მახლებს ჰექტორზე დარდი...
ჩემს ხელზე მაინც დაელია სული უბედურს!..
მოვიოხებდით გულს ქვითინით, ოხვრა-გოდებით
დედა ბედკრული და მე, მამა ნუგეშმიხდილი!..“

ასე გოდებდა.

ირგვლივ გვრინი ისმოდა გლოვის.

430 ტროელ დიაცთა შორის იწყო მოთქმა ჰეკაბემ:
„შვილო, უბედურს სატანჯველად არ მსურს სიცოცხლე!..
შვილო, ყოველი დამიკარგავს მე შენთან ერთად!..
დღითა და ღამით შენ იყავი დიდება ჩვენი...
იმედი ჩვენი, ტროელ ქალთა, ტროელ მამაცთა!..
435 მფარველ ღმერთივით გვევლებოდნენ... შენი სიცოცხლით
უხვევქდი სახელს... და შენ მოგწედა სიკვდილი, შვილო!..“

ხოლო მეუღლეს არაფერი გაუგონია,
მაცნე ერთგული არ მისულა, არ უთქვამს მისთვის,
რომ გმირი ჰექტორ ველზე დარჩა კარიბჭის გარეთ.

440 მოსასხამს ქსოვდა, დამჯდარიყო შორეულ კოშკში.
ფერად აწიებს აყოლებდა სხივოსან ქსოვილს.
აღრევე უთხრა ღამაზთმიან მოახლე ქალებს
ცეცხლზე სამფეხა შეედგათ და მზადა ჰქონოდათ
ბრძოლიდან მოსულ ჰექტორისთვის თბილი აბანო.

445 ბედშავს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ სახლიდან შორს
პელიდმა დასცა და ათენამ დააცხრო გმირი.
ანაზღად ესმა გლოვა, შიშით ათრთოლდა ქალი
და გაუვარდა ჯარატარი მყისვე ხელიდან.

ადგა და ორსავ ღამაზთმიან მოახლეს უთხრა:

450 „მომყევით! ვნახოთ, იქ რა ხდება! მესმის კივილი
დედამთილისა... ვაი, გული ყელს მებჭინება!..“

ისე ძვერს, ლამის ამომვარდეს! მომეჭრა მუხლი!..

ჩანს, პრიაშოსის ძეთ დაატყდა უბედურება!..

ო, ნურც მსმენია!.. მაგრამ შიშით ვთრთი და ვცახცახებ...
455

ნუთუ გმირ ჰექტორს გზა მოუჭრა გალავნისაკენ

და აქილევსი ღვთაებრივი მისდევს ფეხდაფეხ?

ხომ არ დაუცხრო სიმამაცე საბედისწერო?

ამ სიმამაცით ცოცხლობს ჰექტორ, ცდა არ ჩვევია

და არვის უთმობს ხოლმე იგი საქმეს საგმიროს!“

460 ასე თქვა.

გარეთ გამოიჭრა, ვით ბორგნეული,

შმაგად უცემდა გული.

ორივ მოახლე მიჰყვა.

სწრაფად ავიდა გოდოლზე და გააპო ხალხი,

მიმოიხედა.

მყისვე ნახა გმირის სხეული,

ძირს გათრეული...

უმოწყალოდ შმაგი ცხენები

465 აქაველთ ფართო გემებისკენ გვამს მიათრევენ.

წყვდიადმა ღამემ ქალს დაუვისო სინათლე თვალთა.

პირქვე დაეცა, თითქოს სული განუტევაო.

ჩამოუვარდა, გაიშალა ნაზი მანდილი,

ბაფთა, პირბადე, ყაითანი კოხტად ნაქსოვი;

470 ღართიც — ბრწყინვალე ძღვენი ოქრო-აფროდიტესი.

იმ დღეს აჩუქა მეფის ასულს, როცა ჰექტორმა

შინ მოიყვანა ეტიონეს სახლიდან ქალი.

გარშემო რძლები და მულები შემოხვეოდნენ,

დიდხანს ეჭირათ ფერმიხდილი და ცოცხალ-მკვდარი.

475 გრძნობას მოეგო, ოდნავ სუნთქვა რომ მოიკრიფა,

გულამოსკენილი აქვითინდა მწარედ მგლოველი:

„ჰექტორ! ვაგლახ-მე უბედურსა! ერთნაირ ბედით:

დავბადებულვართ: შენ — ტროაში, პრიაშოს: სახლში,

მე კი — ტყიანი პლაკეს ფერდოს, სად ჰყვავის თებე.

480 ეტიონესას.

შან გამზარდა, მან — უბედურმა

მე — უბედურა... ო, რად გავჩნდი ამ ქვეყანაზე!..

შენ, ქმარო ჩემო, სამუდამოდ ქვეშეთის მღვიმეს
უნდა ეწვიო და მე მტოვებ, ქვრივს, უნუგეშოს!..
ხოლო ძე ჩვენი, უბედური დედ-მამის შვილი

485 ობოლი დარჩა... ვაგლახ, შენ მას აღარ ეკუთვნი
ნუგეშად... შენ ხომ აღარა ხარ!.. აღარც გაყავს შვილი!..
თუ აქაველებს გადაურჩა კაცთამეღეტ ომში,
მიწყვიტ შრომა და ტანჯვა ელის ბაღს უპატრონოს.
გადამთიელი ხელთ ჩაიგდებს ობლის ხოდაბუნს,

490 მალე ბავშვობის ამხანაგიც დაეკარგება.
დაეხეტება ქედმოხრილი, ნამტირალევი,
სათხოვრად მამის მეგობრებთან მიდის მორჩილად,
ერთს ქლანინაზე, სხვას ქიტონზე ეპოტინება...

ზოგს ეცოდება, სამოწყალოდ გაიღებს ლუკმას,
495 პირს გაუსველებს, სასა მაინც დარჩება შშრალი...
უფრო ხშირად კი მეოჯახე სვებედნიერი
ხელსა ჰკრავს ხოლმე, აუგ სიტყვას ზედ მიაყოლებს:
თავიდან მომწყვდი! მეგობრებთან აქ შენი მამა
კი არ ილხენსო!.. და კვლავ დედას ეძებს მტირალი...

500 ასტიანაქტი უბედური!

მამის კალთაში

ბატყნის ტვინით რომ პირს იტკობდა და ნაზი ხორციით...
თამაშით დაღლილს როცა ძილი მოერეოდა,
ძიძის წიაღთან სარეცელზე ვძინა ტკბილად,
თვის რბილ ყურთუქზე გაბრწყინებულს სიამოვნებით.

505 ახლა რა ელის უმშობლო და უბედურ ყმაწვილს —
ჩვენს ასტიანაქტს?

ტროელები ასე უხმობენ,

რადგან შენ ერთი ბჭეს იცავდი და ტროის ციხეს.
ახლა კი მტრების ხომალდებთან, შორს ქალაქიდან,
ქიები გხრავენ, ძაღლთა მიერ დაფლეთილს, შიშველს!..

510 შიშველი წევხარ! სამოსი კი რაოდენია
შენს პალატებში, ტროელ ქალთა ხელით ნაქსოვი
მათ მე ბედკრული ახლავ ცეცხლის ალში გავახვევ,
აგრე ოხრად რომ დაგრჩენია!

მამაც ტროელთა

და ტროელ ქალთა თვალწინ დავწვავ შენს სადიდებლად!“

515 ასე გოდებდა. მასთან ერთად გლოვობდნენ ქალნი.

ქება ოცდამესამე

პატროკლეს დაპრქალვა. ასაარეზობა

ასე გოდებდნენ ტროელები.

- აქაველნი კი
თავიანთ ბანაკს დაუბრუნდნენ და ჰელესპონტთან
მაშინვე წავიდ-წამოვიდნენ ხომალდებისკენ.
მირმიდონელნი აქილევსმა როდი დაშალა,
5 შუაში ჩადგა და მიმართა ომისმოყვარეთ:
„მირმიდონელნო, ძმანო ჩემნო, მარდნო მხედარნო!
ეტლიდან ნულარ ავხსნით ცხენებს ქედმორკალულებს.
ეტლითვე მივალთ, დავიტირებთ მედგარ პატროკლეს
და რაც ეკუთვნის მიცვალებულს, მივაგებთ პატივს.
10 მაგრამ გოდებით და ტირილით გულს რომ ვიჯერებთ,
ავხსნათ ცხენები და სერობა გავმართოთ ყველამ“

თქვა და დაიწყო გლოვა.

- მთელი რაზმი ტიროდა.
სამჯერ გვამს ირგვლივ მოუარეს გრძელფაფრიანი
მარდი. ცხენებით, აღაგზნებდა გლოვას თეტიისი.
15 გარშემო ქვიშა ირწყვებოდა და სველი იყო
ცრემლით აბჯრები.

გმირი ასე გამოიტირეს.

- პელიდმა იწყო მწარე მოთქმა, მძლავრი ხელები
მკერდზე დაადო მიცვალებულს, უსულო მოძმეს:
„ო, გიხაროდეს თვით ჰადესის მღვიმეშიც, გმირო!
20 ვასრულებ, რისი აღთქმაც მოგეტ, ძმანო პატროკლევ!
აქ მოვათრიე ძალლთა წილად ჰექტორის გვამი
და შენს კოცონთან თორმეტ რჩეულ ტროელ მეომარს
თავსაც წავეცლი მე, შენს გამო შურისმგებელი!“

- თქვა და გმირ ჰექტორს უკადრისი საქმე აკადრა:
25 პირქვე განართხო პატროკლეს წინ დარდანიონი.
მხრიდან მოიხსნეს მებრძოლებმა აბჯარ-ბექთარი,
მოყელყელავე ბედაურნი აუშვეს შემდეგ.

ჩამოსხდნენ ახლოს აქილევსის ნავ-ხომალდებთან
და გაუმართა აქილევსმა უხვი ქელები.

30 მრავალი ხარი ააბლაველა რკინის ხანჯალმა,
მრავალ კანჯარის და ბატკანის კიკინი ისმა.
მსუქან ღორების, თეთრეშვიან ტახების ხორცი
ჰეფესტოს ცეცხლზე შეედგათ და იხრაკებოდა.
სისხლი პატროკლეს ირგვლივ ჩქეფდა კოკისპირულად.

35 ხოლო ფეხმარდი აქილევსი ამ დროს მიიხმეს
აგამემნონთან აქაველთა თემისთავეებმა,
ბევრი ეცადნენ, დაარწმუნეს დარდმორეული.
აგამემნონმა კარვის ირგვლივ შეკრებილ მოყმეთ
და თვის შიკრიკებს ომახიანთ უბრძანა,

ცეცხლზე

40 რვალის სამფეხა შემოედგათ, ეგებ ინებოს
მტერისა და სისხლის ჩამობანა აქილევსმაო.
იგი გადაქრით უარს ჰყოფდა, იფიცა კიდევ:
„ზევსს გეფიცები, უზენაეს, უმხნეს ღვთაებას!
არ შემერგება აბაზანა, გინდ ისარნები,

45 სანამ პატროკლეს ცეცხლს არ მივცემ და შავ სამარეს,
სანამ კულულებს არ შევიკვეც!

მსგავსი ვაება

რა დამატყდება, ვიდრე ცოცხალთ შორის ვეთრევი!
გვიჯობს ვიჩქაროთ და შევუდგეთ ახლავე ქელებს.
მამაცთა მეფევე, აგამემნონ, უბრძანე მალე

50 შეშა მოზიდონ კოცონისთვის და მოამზადონ,
რაც კი შეჭფერის მიცვალებულს, ქვეშეთში ჩამსვლელს.
დე, მენეტიდი წმიდა ალმა შთანთქას, დაფაროს
თვალთაგან ჩემთა და ლაშქარიც შეუდგეს საქმეს“.

ასე თქვა.

რიდით მოუსმინეს და ნებას დაჰყვენენ.

55 მალე კარავში გაიმართა დიდი სერობა.
ყველა ტკებოდა, აამებდნენ გულს სანოვავით.
როცა პურ-ღვინით დაუამდათ შიმშილის გრძნობა,
განსასვენებლად გაიფანტნენ კარვებისაკენ.
მხოლოდ პელოდი მოგუგუნე ზღვის პირად იწვა

60 მწარედ მკენესარი.

სპა თან გაჰყვა მირმიდონელთა.

ჩამხობილიყო.

მღვრიე ტალღა ღრღნიდა ნაპირებს.

აქილევსს გულის ტკივილების დამატებობელი
ძილი თანდათან მოერია.

გადაღლილიყო

ტროის გაღავნის ირგვლივ გმირი ჰექტორის დევნით.

65 ძილში აქილევსს მოეველინა პატროკლეს სული,
ცოცხალსა ჰგავდა ახოვნებით, თვალთა მშვენიებით,
იგივე ჰქონდა სამოსელი და ხმა ნაცნობი.
თავით დაუდგა სული და გმირს მიმართა ასე:
„გძინავს, აქილევს? არ გახსოვარ? ცოცხალს გულცივად

70 არა მხვდებოდი, მიცვალებულს გამიცვიდები?
ო, გთხოვ, დამკრძაღე, რომ ვეწვიო ჰადესის მღვიმეს!
მკვდართა აჩრდილებს კარიბჭიდან ვერ გავექეცი,
რომ შევხვდე სულებს, არ მიშეებენ მდინარის გაღმა.
დავხებტები ფართობჭიან ჰადესის ზღურბლთან.

75 მომეცი ხელი...

ცოცხლებს უკვე ველარ ვიხილავ

აწ და მარადის — შენ მიერ ცეცხლს ნაზიარევი!
ველარ ამოვალ ჰადესიდან და როგორც წინათ
მეგობრულ ბჭობას ვერ გავმართავთ, მიწია ბედმა,
რაიც მეწერა: ქვეშეთს შთანთქა დაუბრუნებლად.

80 შენც გიწერია, ო, აქილევს, უკვდავთ სადარო,
ტროელთა მაღალ გაღავნის ქვეშ მწარე სიკვდილი!
კიდევ ერთს გეტყვი, შემისრულე მოძმეს ანდერძი:
ჩემს ძვლებს, აქილევს, შენს საძვალეს ნუ მოაშორებ.
ერთადვე იყოს, როგორც ერთი გექონდა ბავშვობა.

85 ოპონტიდან მომიყვანა მენეტიოსმა
თქვენსას, მიზეზი სამწუხარო მკვლელობა იყო:
ყმაწვილს უგუნურს ავბედით ღლეს ამფიდამანტის
ძე შემომაკვდა — წავიკიდეთ ჟღარუნასათვის.
მომიალერსა და შემიტებო ბრძენმა პელევსმა,

90 შენს გვერდით მზრდიდა, მიმიჩნია შენს ამხანაგად.

დე, ჩვენი ძვლები დაიმარხოს ერთ აკლდამაში,
მათ ოქროს ურნა შეინახავს, თეტისის განძი!“

მყისვე მიუგო აქილევსმა, გმირმა ფეხმარდმა:
„მიცვალებული კვლავ მეწვიე, უსაყვარლესო?

95 ანდერძს მიტოვებ?

შევასრულებ მას უეჭველად
და რაც მითხარი, სიხარულით ვიქმ ყოველივეს!
მომიახლოვდი, წამით ერთურთს გადავეხვიოთ,
გული ვიჭეროთ და დავიტკბოთ მწარე ქვითინით!“

თქვა, გაუწოდა ხარბი ხელი მოსიყვარულის.

100 მაგრამ ამოდ... სული გაქრა, ვით კვამლის ბოლქვი
და მისი გმინვაც მიილია...

ელდაცემული

წამოხტა, ჭავრით ხელს შემოჰკრა ხელი პელიდმა:

„ვა-ვაი! მართლაც არსებულა მიწისქვეშეთში

კაცის სული და სახე, ოღონდ სულაც უხორცო!

105 ვხედავდი, მთელი დამე ბედკრულ პატროკლეს სული
თავით მედგა და საწყალობლად კვნესოდა კიდევ.
ანდერძიც მითხრა აჩრდილმა, მას მიმსგავსებულმა!“

ასე ამბობდა და სატირლად აღაგზნო ყველა.

ასე მოუსწრო სპას ეოსმა ვარდისთითებამ

110 ბედკრულის გვამთან.

სისხამ დილით აგამემნონმა

ბევრი მებრძოლი და ჯორები ხე-ტყის საზიდად
გაუშვა.

მათვე გაჰყვა მოყმე კეთილშობილი,
იღომენევსის შინაკაცი, მხნე მერიონე.

ხელში ცულებით, დახვეული თოკით მებრძოლნი

115 ჰალას წავიდნენ.

წინ ჯორები ციცაბო კლდიდან
კვლავ ციცაბოზე ოკრო-ბოკროდ გადადიოდნენ.
უხვნაკადიან იდეს ტყიან ბორცვებთან მისულთ
ცულებით უწყეს ჰრა წიფელებს ცად ასვეტილებს.

- აქეთ და იქით ხე ცვიოდა ლაწან-ლაწანით.
- 120 მორებად დაჭრეს, ჯორს აკიდეს აქაველებმა,
ფლოქვებით თხრიდნენ სახედრები მიწას აყალოს,
ბუჩქების გავლით მინდვრისაკენ მიისწრაფოდნენ.
ყოველ შეშისმჭრელს მძიმე მორი მოჰქონდა ასე,
რადგან უბრძანა მერიონემ, ბრძენმა მეაბჯრემ.
- 125 იქ დაახვავეს, აქილევსმა სადაც ინება
პატროკლესათვის და თავისთვის აღმართვა ბორცვის.

ურციცხვი ხე-ტყე რომ დაყარეს, იქვე ჩამოსხდნენ.
ხოლო ფეხმარდმა აქილევსმა უბრძანა მაშინ
ბრძოლის მოყვარე მირმიდონელთ,

ყველას სასწრაფოდ

- 130 აესხა რვალი, შეეკაზმა ეტლი და ცხენი.
ისინიც მალე აღიჭურვნენ აბჯარ-ბეჭთარით.
ეტლზე ავიდნენ მებრძოლნი და მეეტლეები.
მიჰყვა ცხენოსნებს ქვეითი სპა აურაცხელი.
მიასვენებდნენ მეგობრები პატროკლეს ცხედარს,
- 135 მთლად დაეფარათ მოკლულისთვის მიძღვნილი თმებით.
უკან აქილევსს თვით ეჭირა მეგობრის თავი,
მიაცილებდა მას ჰადესის სავანისაკენ.

როცა მიადგნენ გმირის მიერ დანიშნულ ადგილს,
დაბლა დაუშვეს სარეცელი.

ეტეხლი დააგზნეს:

- 140 სხვა აზრი მაშინ მოუვიდა ფეხმარდ აქილევსს:
კოცონთან დადგა, მოიკვეცა ქერა კუთლული,
სპერქეიოსს რომ ბავშვობიდან უზრდიდა გმირი,
ღვინისფერ ზღვისკენ გაიხედა, შესძახა ოხვრით:
„ო, სპერქეიოს! ამაოა პელევსის აღთქმა!
- 145 იგი დაგპირდა, სამშობლოში დაბრუნებულ შვილს
რომ თმებს შეჭრიდა, მოგიძღვნიდა.

ჰეკატომბესაც,

ვერძს ორმოცდაათს შეგწირავდა წყაროსთან,

სადაც

ქალა გეგულვის და ბომონი სურნელოვანი.

- ამას დაგპირდა, მაგრამ ლოცვა არ შეუსრულე:
150 ველარასოდეს ველირსები სანუჟვარ მამულს!
დაე, პატროკლემ ჩაიტანოს ჩემი კულულს!..“

ამის თქმა იყო და მოიჭრა თმა.

- თვით ჩაუღო
ხელში მეგობარს, ცხარე ცრემლი მოჰგვარა ყველას.
მოტირალთ კიდეც დატოვებდა მზე უეჭველად,
155 რომ ატრიდისთვის პელიდს სიტყვით არ მიემართა:
„დაემორჩილონ აქაველნი შენს ნებას, მეფევე,
ტირილით მერეც შეუძლიათ იჯერონ გული.
ხალხი გაგზავნე და უბრძანე, მიხედონ სამხარს,
ჩვენ კი ვიზრუნოთ აქ საქმეზე, რასაც მოითხოვს
160 წესის აგება, აქვე დარჩნენ თემისთავები“.

- მისი სიტყვა რომ მოისმინა, აგამემნონმა
დაუყოვნებლივ გემებისკენ გაუშვა ხალხი.
მესაფლავენი დარჩნენ მხოლოდ, შეშა დააწყვეს,
აქეთ და იქით ას ნაბიჯზე გაჩაღდა ცეცხლი.
165 ცეცხლზე ცხედარი დაასვენეს დარდიანებმა.
მრავალი ეხვარი და მოზვერი ფეხათრეული
კოცონთან დაკლეს, ამოიღეს ოთხში და ცხიმით
გვამი დაფარა აქილევსმა დიდსულოვანმა
თხემით ფეხამდე, გარს ხორცები შემოულაგა.
170 გვერდით მოუწყო თაფლით, ზეთით სავსე ქილები,
ზედ სარეცელთან.

- ოთხი ცხენი ქედმორკალული
დასცა კოცონზე აქილევსმა მწარედ მკენესარმა.
ცხრა ძაღლი ჰყავდა ნასუფრალით ნასათუთევი,
ორი დააკლა, თავმოჭრილი დასცა ნაკაფზე.
175 მოკლა თორმეტი რჩეული ტყვე ბასრი სპილენძით
და ზედ დაურთო. გულში ავი რამ განეზრახა;
შეჰმატა ცეცხლის სისასტიკეს სიმკაცრე რკინის.
ამოიგმინა და მიმართა ძვირფას მეგობარს:
„ო, გიხაროდეს თვით ჰადესის მღვიმეშიც, გმირო!“
180 ვასრულებ, რისი აღთქმაც მოგეც, ძმაო პატროკლემ!

შენს სამარესთან თორმეტ რჩეულ ტროელ მეომარს ,
კოკონი შთანთქავს, მაგრამ ჰექტორს არ ეღირსება —
მას ცეცხლს კი არა, შთანთქმეულად მივუგდებ ძაღლებს!“

ასე იქადა.

მაგრამ ძაღლებს იგერიებდა

- 185 ზევსის ასული აფროდიტე დლითა და ღამით.
ვარდის სუნამო გვამს წააცხო ამბროსიული,
რომ ნათრევ სხეულს იარები შეხორცებოდა.
გმირი შებურა აპოლონმა ყომრალი ღრუბლით
ციდან მიწამდე და ადგილი, სად მოყმე იწვა,
190 ჩრდილით დაფარა, რომ მცხუნვარე მნათობის სხივით
არ გამხმარიყო სახსრები და სისხლის ძარღვები.

- ამ დროს კოკონი უკვე ენთო მენეტიდის ქვეშ.
გულში სხვა რამე ჩაიფიქრა კვლავ აქილევესმა:
დადგა ცეცხლიდან მოშორებით, ლოცვა დაიწყო,
195 მსხვერპლი აღუთქვა ქარ-ბორეასს და ქარ-ზეფიროსს.
თასით ზედაშეს ასხურებდა, ევედრებოდა,
ერთი ძალუმად დაექროლათ, რომ მოგიზგიზე
აღს მყის შთაენთქა ნაკაფი და მიცვალებული.
ირისმა ლოცვა გაიგონა.

მაცნედ გაიჭრა.

- 200 ამ დროს ზეფიროსს წვეულება ჰქონია სახლში,
დიღად ილხენდნენ ქარ-ნიავენი.

ირისი სწრაფად

ქვის ზღურბლს მიადგა.

თვალი მოჰკრეს ქარებმა ქალღმერთს,

ყველა წამოხტა და მოუხმეს მოსალხინებლად.

მაცნემ შიგ შესვლა იუარა და უთხრა ასე:

- 205 „არა მცალია! ოკეანის ტალღებთან მივალ,
ეთიოპებთან.

ჰეკატომბეს სწირავენ ახლა

მარად უკვდავებს.

მეც ვიქნები ზიარი ზორვის.

ქარ-ბორეასო და ზეფიროს, გიხმობთ აქილევეს

და სასოებით მდიდრულ ზვარაკს გპირდებით გმირი,
210 თუ გააღვივებთ უფრო ჩქარა პატროკლეს კოცონს
იქ, სად გმირი წევს და გლოვობენ აქაველები“.

თქვა და აიჭრა მყის ზღურბლიდან.

ქარები გრგვინვით

დაიძრნენ, ღრუბლის ააყენეს კორიანტელი,
ზღვასაც მძვინვარედ დაუქროლეს,

ქაფიან ტალღებს

215 სუნთქვა აფრქვიეს, მიაღწიეს ბორცვიან ტროას,
მოედნენ კოცონს, დაიგრგვინა ცეცხლმა შთანთქმელმა.
მთელ ღამეს ქარნი აღელვებდნენ ალს მობრიალეს,
შხუილით ქშენდნენ.

აქილევსი მთელ ღამეს თასით

ორფსკერიანით ოქროს ქვევრში ღვინოს ხაპავდა,
220 ცეცხლის გარშემო ასხურებდა და რწყავდა მიწას,
თან მოუხმობდა პატროკლეს სულს — ბედკრულ

მეგობრის.

ზარდაცემული მამა თვის ძეს, ახლად ცოლშერთულს,
ბედშავ მშობელთა სავალალოდ რომ უნთებს კოცონს,
ისე იკლავდა თავს პელიდი, როცა ძვლებს წვავდა,

225 კოცონის ირგვლივ დახობავდა ოხვრა-გოდებით.

როს განთიადი, დილის მაცნე, შუქშემოსილი
ზღვას განეფინა ოქროსფერი, ნაზი ქულაჯით,
შეშა მინავლდა, დაიშრიტა წითელი ალი.

ქარებმა უკან დაიხიეს და თრაკიის ზღვით

230 სახლს მიაშურეს.

ზღვა დელავდა აბორგებული.

ბოლოს მოცილდა ცეცხლს პელიდი, ველზე წამოწვა
ღონემიხდილი.

ტკბილი ძილი ეწვია მოყმეს.

იმ დროს ლაშქარმაც მოიყარა თავი ატრიდთან,
ფეხის ხმამ პელიდს დაურღვია ხანმოკლე ძილი.

235 წამოდგა, სპათა წინამძღოლებს ასე მიმართა:

„მეფევ, სრულიად აქაველთა თემისთავებო!

დროა ჩავაქროთ ნალვერდალი, ღვინო ასხურეთ
ადგილს, კოცონი სადაც ენთო და ფერფლთა შორის
მენეტიოსის ძის პატროკლეს ძვლები მოვკრიფოთ.

240 ცალკე დავაწყოთ.

მათი ცნობა ძნელი როდია.

ცეცხლის შუაში იწვა იგი, ცეცხლის კიდეზე
იწვოდნენ გროვად დაყრილები კაცნი და ცხენნი.
ოქროს ფიალა ორმაგ ცხიმით დაფარულ ძვლებით
აავსეთ, სანამ ჰადესს ჩავალ, გქონდეთ ურნაში.

245 დიდი აკლდამა არც მსურს ვნახო ჩემი მეგობრის,
ყორლანი ჰქონდეს ღირსეული.

უფრო მაღალი

თქვენ აღუმართეთ, აქაველნო, ვინც კი ჩემს შემდეგ
ცოცხლად დარჩებით ხომალდებთან გადარჩენილნი“

ასე ამბობდა.

დაუჯერეს ფეხმარდ აქილევსს.

250 დაშრიტეს ცეცხლი, მეწამული ღვინო ასხურეს,
სადაც კი აღმა გაირბინა.

დაცვივდა ფერფლი.

ცრემლების ფრქვევით მოაგროვეს ძვირფას მეგობრის
თეთრი ძვლები და ოქროს თასში ქონით მოფინეს.
თასი კარავში შეიტანეს, დაადეს ტილო.

255 კოცონის ახლოს მოინიშნეს შემდეგ საფლავი
და ზედ სასწრაფოდ მოაყარეს ფხვიერი მიწა.
როცა ყორლანი აღუმართეს, მიმოიფანტნენ.
მაგრამ პელიდმა შეაჩერა თანამებრძოლნი,
წრედ დასვა, იქვე მოიტანა გემიდან განძი:

260 სინი, სამფეხა, რკინეული.

მათ მოაყოლა

ჯორ-ცხენი, ხარი, დიაცები წელქამრიანნი.
გმირმა ჯერ მარჯვე მეეტლეებს აღუთქვა ჯილდო:
გამრჯე ქალწული, ქალურ საქმეს დაუფლებული,
ოცდაორ ზროხად ღირებული რვალის სამფეხა.

265 დოღში მეორე გამარჯვებულს — ეგესი წლის ცხენი,

გაუხედნავი, წიაღში რომ ჯორს ატარებდა.

მესამეს — ცეცხლზე შეუდგმელი, ვერცხლის სადარი
ჯერ სულ ახალი მაზმართი, ფართო, ტევადი.

მეოთხეს ჯილდოდ სთავაზობდა ორ ოქროს ტალანტს,

270 მეხუთეს — ცეცხლში გამოუწრთობ ორმხრივ ფიალას.

ბოლოს აქაველთ აქილევსმა ასე მიმართა:

„ატრიდო, ლამაზლექვერთხიან აქაველთ სპანო!

მარჯვე მეეტლეს ელის წრეში ჩადგმული ჯილდო.

სხვათა სახსოვრად ასპარეზზე რომ შევხვედროდით,

275 უცილოდ პირველს მოვიმკიდი დოღში საგანძურს.

თქვენ იცით, მე რა ცხენები მყავს კეთილშობილნი,

უკვდავი ჯიშის: თვით დიადმა პოსეიდონმა

უძღვნა მამაჩემს, მოხუც პელევსს.

მივიღე მისგან.

მაგრამ არც მე და არც ისინი არ გეცილებით.

280 ო, აღარა ჰყავთ მათ მეეტლე სახელოვანი,

რომელიც ფაფარს ატალღებულს ხშირად თვითონვე

სუფთა წყლით ბანდა და აცხებდა სპეტაკ სუნამოს.

ახლა დარღობენ მეეტლეზე.

დგანან.

ფაფარი

მტვერში ესვრებათ, ნაღვლიანნი არც ინძრევიან.

285 სხვები მოეწყონ სარბიელზე, აქაველები,

ვისაც იმედი აქვს ეტლის და ფეხმარდ მერანთა“.

ასე ბრძანა და მყის წამოდგნენ მარჯვე მოყმენი:

პირველი იყო ევმელოსი, ხალხთა ხელმწიფე,

ადმეტოსის ძე, ეტლის მართვით სახელგანთქმული.

290 შემდეგ — ტიდიდო, დიომედე გულუშიშარი.

ტროსის ცხენები მას შეუბამს, ომში ენეასს

რომ გამოსტაცა, აპოლონის მიერ მიმალულს.

მესამე ადგა მენელაოს ქერათმიანი,

ზევისის ნაზარდი.

მიიყვანა ეტლთან ცხენები:

295 თვისი — პოდარგოს და აითე — აგამემნონის;

ეს ცხენი ატრიდს ანქისიდმა ექეპოლოსმა

უძღვნა, რომ გმირი ქარსატეველ ტროას დახსნოდა
და შინ მშვიდობით დამტკბარიყო.

რაც ჰქონდა მეფეს,

ზევისიგან ჰქონდა სიკიონში ყველა სიკეთე.

300 ამ ცხენს კაზმავდა, სრბოლის უნით აცახცახებულს,
მენელაოსი.

ხშირფაფრიან ცხენებს აბამდა
ანტილოქოსიც, ახალგაზრდა ძე ნესტორისი,
ნელიდიისა.

პილოსური რაშები მის ეტლს
გააქროლებდნენ.

გამოცდილი მამა მივიდა

305 და შვილს კეთილი რჩევა მისცა, ჰკვიანს, გამგონეს:
„ბაღლობიდანვე, ანტილოქოს, უყვარდი კრონიდს
და პოსეიდონს.

საჯირითო ხერხს გასწავლიდნენ.

და ამიტომაც არც შექნება ბევრი სათქმელი.

შენ ოსტატურად მოაბრუნებ ეტლს სანიშნესთან.

310 ჩვენს მძიმე ცხენებს, ვშიშობ, მარცხი არ მოუვიდეთ.
სხვებს უფრო მარჯვე ცხენები ჰყავთ, მაგრამ მხედარნი
ხერხიანობით, ხელოვნებით შენთან რას მოვლენ!
ასე, რომ მტკიცედ იყავ, შვილო, აღივსე სული
უნიით და ცოდნით, არ გაუშვა ჯილდო ხელიდან!

315 ხურო გაჯობებს ხელოვნებით და არა ძალით,
მესაქვეც მხოლოდ ხელოვნებით ღვინისფერ ზღვაზე
მსუბუქ გემს მართავს, სათამაშოს შმაგი გრიგალის.
მხედარიც მხოლოდ ხელოვნებით სჯობია მხედარს.
ზოგს იმედი აქვს მარტო ეტლის და ცხენებისა,

320 რომ გააჰყენებს, ვერც აოკებს, რას არ ასკდება,
ცხენთსარბიელზე გაჩერებაც უჭირს უგუნურს.
ხოლო მხედარი გონიერი, ეტლს როცა მართავს,
მიწყევ მიზნისკენ იყურება, აბრუნებს ახლოს,
თავიდან იცის, როგორ ეპყრას ხელში სადავე:

325 მტკიცედ უჭირავს, მეწინავეს თვალს არ აცილებს.
გეტყვი სანიშნეს.

არ გამოგრჩეს

ხომ ხედავ, ეგერ

დგას მორი ხისა ასე, ერთი ხელის გაშლაა.
ვგონებ, ფიქვია, ახდა მუხა, რომ ვერ ვნებს წვიმა.
მარჯვნივ და მარცხნივ გვერდით ორი თეთრი ქვა მოჩანს,
330 სად გზა ვიწროა.

ირგვლივ სწორი სარბიელია.
ეგ სვეტი უნდა იყოს ძველი, საფლავისზედა,
ანდა წინაპრებს ნიშანსვეტად უნდა ჰქონოდათ.
ახლაც სანიშნედ აირჩია გმირმა ფეხმარდმა.
ახლოს რომ მიხვალ, ცხენი მყისვე შემოაბრუნე.

335 თვით მაგრად იდექ ლამაზ ეტლზე,
მარცხნივ სულ ოდნავ
გადაიხარე, ცხენი რომ გყავს მარჯვენა ხელთან,
მათრახი დასცხე და სადავე მიუშვი სულაც.
მარცხენა ცხენმა ნიშანსვეტთან შემოუხვიოს,
ისე, რომ მისი ზედაპირი ლამის ბორბალმა

340 გააწროს კიდევ.
მაგრამ ფრთხილად, არ მიეჯახო:
ეტლსაც დაამსხვრევ, დაშავდება ცხენი,
მსრბოლელთა
სასიხარულოდ, მხოლოდ, შვილო, შენდა სასირცხოდ!
იყავ ფრთხილი და საზრიანი, ო, საყვარელო!
თუ ნიშანსვეტთან შემოუხვევ ახლოს,

ვერავინ
345 წამოგეწევა ველზე გაჭრილს, ვერც გადაგისწრებს,
თუნდაც კვალდაკვალ მოგყვებოდეს ატრეიონი,
ღვთიური მოდგმის ცხენი მეფე აღრასტოსისა,
ანდა მერანი სახელოვან ლაომედონტის!“

ასე უთხრა და ნელევსის ძე ნესტორ ჩამოკდა,
350 მას შემდეგ, როცა სასიკეთოდ დამოძღვრა შვილი.
მეხუთემ გმირმა მერიონემ შეკაზმა ცხენნი.
ეტლზე ავიდნენ მეომრები.

წილი იყარეს.
პელიდმა ზუჩში შეარხია. და შეხვდა წილი
გმირ ანტილოქოსს. მეორე ხვდა მეფე ევმელოსს,
355 მესამე — ატრიდს მენელაოსს, მამაც შუბოსანს,

შემდეგი წილი — მერიონეს, ხოლო სულ ბოლოს
ეტლის სარბოლი წილი ერგო ძეს ტიდევსისა.
რიგის მიხედვით დადგნენ.

ნიშანსვეტი აჩვენა

360 პელიდმა ველზე, მაგრამ მანამ მოხუც ფოინიქსს,
მამობრივ მზრუნველს, თხოვა თვალი ედევნებინა
მარბიელთათვის და სიმართლე ეამბნა შემდეგ.
მხედრებმა მყისვე მათრახები აღმართეს მალლა,
ხაფად დაჰქექეს, აღვირები აატკაცუნეს,
ჟინით აღივსნენ.

მეყსეულად გაფრინდნენ რაშნი

365 გემების გასწვრივ.

ფლოქვებიდან ავარდა მტვერი,
მალლა ჰაერში დატრიალდა კორიანტელი.
ცხენთა ფაფარნი წამოშალა ქარმა მქროლავმა.
მფრინავი ეტლი ხან ნიადაგს შეეხებოდა,
ხან აღილტვოდა ავარდნილი.

ეტლზე ამაყად

370 იდგნენ მხედრები.

გამარჯვების წყურვილით აღესილთ
გული უძგერდათ.

ამხნეებდნენ ყოყინით რაშებს.

ჰქროდნენ ჰუნენი, მტერის ავარდა კორიანტელი.
ბოლო მოსახვევს როს მიადგნენ ჰალარა ზღვასთან,
მოჭირითეთა სიმამაცე გამოჩნდა მაშინ,

375 უფრო აჩქარდა ქროლვა მათი ბედიურების.

ფერეტადის ფაშატები გაიჭრნენ წინა,
უკან მისდევდნენ აჯილღები დიომედესი.
ტროელნი რაშნი ისე ოდნავ ჩამორჩებოდნენ,
გეგონებოდა, სურთ ევმელეს ეტლს შეახტნენო,

380 მხურვალე სუნთქვით გმირს უთბობდნენ განიერ ბეჭებს,
ევმელეს მხრებზე თავი ედოთ და მიფრინავდნენ.

ან გამარჯვებას გაიყოფდა, ან გაასწრებდა
ტიდევსის წული, ღმერთი რომ არ განრისხდებოდა:
მყისვე მათრახი გამოსტაცა გმირს ფოიბოსმა...

ახ5 ცრემლი მოადგა დიომედეს, ხედავდა იგი,

რომ წინ გაიჭრენ ფაშატები, ხოლო ულაცნი
უკან რჩებოდნენ:

ალარ ჰქონდათ მათრახის რიდი.

ათენა ქალღმერთს აპოლონის მავნე ოინი
როდი გამორჩა.

დაეწია პალასი მხედარს,

390 მისცა მათრახი და შთაჰპერა სიმკვირცხლე რაშებს;
შემდეგ აღმეტეს ძეს მიადგა და რისხვით სავესემ
ცხენებს უღელი გაუტეხა,

სწრაფი ფაშატნი

შლეგურად გახტნენ და მიწაზე დაეცა ხელნა.

გმირი ეტლიდან გადმოვარდა თვლების ფერსოსთან,

395 ხელი იტყინა, გაიკაწრა ტუჩი და ნესტო,
წარბზემთ შუბლი გაიხეთქა,

ძირს დაცემისგან

თვალთაგან ცრემლი წამოცვივდა და ხმა წაერთვა.

ჩანოუქროლეს აჯილღებმა ფლოქვეთა თქარუნით.

დაწინაურდა დიომედე, სიმტკიცე მისცა

400 რაშებს ათენამ და მხედარს კი ძლევა არგუნა.

ტიდიდს მისდევდა ატრევსის ძე მენელაოსი.

ანტილოქოსი ამხნევებდა მის უკან ცხენებს:

„გასწიეთ სწრაფად, გაიკერით წინ, ჩემო რაშნო!

არ გთხოვთ ტიდევსის მაშაც ვაყის ცხენთა უმაღლეს

405 იქენოთ, მათ ხომ თვით ათენამ შთაჰპერა ძალა,

განა ქალღმერთმა არ შემოსა დიდებით გმირი?

ატრიდის რაშებს დაეწიეთ, ნურას დაუთმობთ!

გასწიეთ სწრაფად, რომ სირცხვილი არ ვკამოთ ხალხში,

ნუ ჩამორჩებით ფიცხლად გაქრილ ფეხმარდ ფაშატებს!

410 ვამბობ და ვიცი, რომ ნათქვამი ამისრულდება:

სხვა ხვედრს ნუ ელით ხალხის მწყემსი ნესტორისაგან,

დღესვე სპილენძის იარაღი მოგიღებთ ბოლოს,

თუ სიზარმაცით უკანასკნელ ჯილდოს მოიმკით.

გასწიეთ სწრაფად, გაიკერით, ბედაურებო!

415 მე კი ვეცდები გამოვნახო რაიმე ხეჩხი,

რომ უცაბედლად ავუქციო გვერდი მეტოქეს“.

ასე ამბობდა.

და მეფისგან დაშინებულნი
უფრო გაჰყენდნენ ბედაურნი.

დრო არ ითმენდა,
ვიწრო გზა ნახა ანტილოქემ, ბრძოლისმოყვარემ:
420 წყალი, ზამთარში დაგროვილი, გადმოსულიყო
და ოღრო-ჩოღრო გასავალი სულ დაეფარა.
იქით მიქროდა მენელაოს, თანაც ფრთხილობდა.
გზა შეიმოკლა ანტილოქემ, ცხენთა დგრიალით
მენელაოსის ეტლს მხარღამხარ მიუახლოვდა.

425 ატრეიონმა შეშფოთებით შესძახა მხედარს:
„უგნურად მართავ, ანტილოქოს, მოსწი სადავე!
ბრძოლა სადავეო გამიმართე ფართო შარაზე.
ცხენს ავშარაზე ჩამოქაჩე აქ გზა ვიწროა,
ეტლები ერთურთს შეასკდება!“

ცხენს მათრახს სცემდა

430 და მენელაოსს არც უსმენდა ძე ნესტორისი.
რასაც გადიფრენს ყრმის მარჯვენით ნატყორცნი ბადრო,
ახალგაზრდული სიჩაუქის მაუწყებელი,
იმდენი სივრცე გადასერა წამს ანტილოქემ.
უკან ჩამორჩა მენელაოს, ცხენთა სადავე

435 თვითონ მოსწია, რომ ვიწრობაში მათი ეტლები
არ შესკდომოდნენ ერთურთს და არ დამსხვრეულიყვნენ.
დაასკდებოდნენ უმაღ მიწას მაშინ მხედრებიც.
თან ანტილოქეს ლანძღვას მოჰყვა მენელაოსი:
„არვინ მეგულვის შენზე მავნე და აქაველნი

440 ამაოდ გთვლიან გონიერად!

ასეთი ხერხით
ჯილდოს ვერ ჰპოვებ, სანამ ფიცით არ იტყვი მართალს“.

ასე წარმოთქვა და ხმამაღლა რაშებს დასკეკა:
„რამ დაგაღონათ, რად ჩამორჩით!

წინ გაჭრილ ცხენებს

თქვენზე უადრეს დაეღვეათ მუხლებში ძალა, —
445 დიდხანია განვლეს ჟამი ახალგაზრდობის“.

ასე ამბობდა მენელაოს.

მუქარის შიშით
გაფრინდნენ რაშნი, დაეწივნენ მეწინავეებს.

არგიველთ დასი ამ დროს დინჯად გზას გაჰყურებდა,
სად ცხენთა ფლოქვით იდგა მტვერის კორიანტელი.

- 450 იდომენევსი შემალლებულ ბეჭობზე იდგა
და სხვებზე ადრე გააჩნია მოჭირითენი,
უკეთ ესმოდა შორეული ყოყინაც მხედრის,
იცნო, ვინც იყო, ცხენთა წყვილში ერთიც ენიშნა:
წაბლა-ქურანი, მოწითალო, შუბლზე რომ აჯდა
- 455 ნიშანი მკვეთრი, მოჭათქათე, მრგვალი და თეთრი.
იდომენევსმა არგიველებს ასე მიმართა:
„ძმებო, არგიველთ ლაშქრის მწყემსნო და მბრძანებელნო,
მხოლოდ მე ვხედავ იმა ცხენებს. თუ არჩევთ თქვენცა?
ვილაც სხვისია ბედაურნი მეწინავენი,
- 460 ვილაც სხვა არის თვით მხედარიც, ევმელეს რაშნი
შეფერხებულან, თორემ წინათ ყველას სჯაბნიდნენ,
თვითონ ვხედავდი, სხვებზე ადრე წრეს მოუარეს,
ახლა აღარსად არა ჩანან, ტროის სივრცეში
რომელ მხარესაც არ მივმართე მახვილი თვალი.
- 465 ეტყობა, ხელში სადავენი ვერ შეიკავა
და უხერხულად მოაბრუნა სამანთან ეტლი.
გადაუბრუნდა და დაემსხვრა, შმაგი მერანნი
აღვირახსნილნი შეყსეულად გვერდზე გავარდნენ.
თქვენ თვითონ ნახეთ, მეგობრებო, იქნება ვცდები,
- 470 ეგებ ვერ ვხედავ, შეჩვენება, რომ მეწინავე
ეტოლიელი ვაეკაცია, არგოსელთ მეფე.
ტიდეგისის წული, დიომედე კეთილშობილი!“
უხეშად უთხრა აიანტმა ოილევისს ძემ:
„აბა, წინასწარ რაღა ყბედობ, იდომენევსო,
- 475 წინ კვლავ ფაშატნი მოგელავენ ხმოვან ფლოქვებით!
არგიველი. შორის სხვებზე უფრო ქაბუკი არ ხარ,
ყველაზე უკეთ რომ გიჭრიდეს მახვილი თვალი,
აქ ბევრს ვხედავ შენზე უფრო ნაცად ვაეკაცებს,
რა ცუდ-უბრალოდ იტყვი ხოლმე ამაო სიტყვას!

- 480 წინ კვლავ ფაშატნი მოგელავენ ხმოვან ფლოქვებით,
 აღმეტეს ძისნი, თვით ევემლე მართავს სადავეს!“
 აიანტს უთხრა განრისხებით კრეტეს ბელადმა:
 „ავმესიტყვეო, ჩხუბისთავო, არგიველთ შორის
 უკანასკნელო, ცუდ-მედიდო, დაუთრგუნველო!
 485 სანაძლეოზე მაშ ჩამოდი ჩემთან საძფეხა,
 მოწმედ ორივემ ავირჩიოთ აგამემნონი,
 მაშინ გაიგებ წინ ვინც არის, როს დათმოზ ნაძლევეს!“
 ასე ამბობდა.

- წამოიჭრა ოილევისი ძე,
 მზად იყო, ეთქვა საპასუხოდ მრისხანე სიტყვა,
 490 გამძაფრდებოდა მათი შულლი, მაგრამ წამოდგა
 თვით აქილევისი და მიმართა სპათა ბელადებს: .
 „იდომენევსო, ოილიდო, იკმარეთ დავა!
 არ გეკადრებათ ხალხში ერთურთს ძვირი აკადროთ,
 სხვას თქვენს ადგილას ხომ უთუოდ თვით დატუქსავდით!“
 495 დასხედით მშვიდად, ადგილიდან უყურეთ ცხენებს,
 მალე ისინი, გამარჯვების ჟინით აღვისილნი,
 აქ გაჩნდებიან.

საკამათო აღარ იქნება —
 ვინ წინ არის და ვინ უკანა არგიველთ შორის“.

ასე ამბობდა.

- ტიდევისი ძეც მაშინ გამოჩნდა,
 500 მათრახით სცემდა ბედაურებს ორთქლით აბოლქვილთ,
 ველზე მოქროდნენ საოცარი სისწრაფით რაშნი,
 მხედარს აფრქვევდნენ ფლოქვებიდან ანასხლეტ ქვიშას.
 ეტლი სპილენძით მოჰყვდილი, ოქროცურვილი,
 ფიცხელ მერანთა უკან მსრბოლი, ძლივსდა ასწრებდა,
 505 რვალით მოსალტულ თვლების კვალის ველზე დაჩენას,
 ისე სწრაფად და ისე შმაგად რბოდნენ რაშები!
 გამარჯვებული დიომედე წრის შუა ჩადგა.
 ოფლი ნაკადად დასდიოდა დაღლილ ქურანებს.
 შემდეგ ჩამოხდა მოელვარე ეტლიდან გმირი,
 510 მათრახი ზედვე მიაყუდა.

არ დაახანა

თანამებრძოლმა სთენელოსმაც, მიიღო ჯილდო.
ქალი მიჰკვარა მსახურთ, მათვე წააღებინა
სამფეხა სახლში.

თვით შეუდგა ახსნას ეტლისა.

- ტიდიდის შემდეგ ანტილოქოს მოიჭრა ეტლით,
515 არა სისწრაფით, ხერხით სჯობდა ის მენელაოსს.
მაგრამ ატრიდი დიდად როდი ჩამორჩენია.
კაბუჯს სულ ახლოს მოჰყვებოდა რაში ფეხმარდი
და გამაღებით თვის მბრძანებელს მოაქროლებდა.
კუდი სპილენძით მოელვარეს ხვდებოდა სალტეს,
520 ასე მოქროდა, სულ მცირედი მანძილი იყო
ტრიალ მინდორზე გაჭრილ ცხენსა და ბორბალს შორის.
ოდნავ ჩამორჩა ანტილოქოსს მენელაოსი:
თვლის ერთი ბრუნი იქნებოდა.

შემდეგ კი სწრაფად

წამოეწია, იზრდებოდა სიფიცხე მიწყვი

- 525 აგამემნონის ფაშატისა, მარდ აითესი.
სულ ოდნავ კიდევ რომ დასცლოდა, უეჭველია,
გადაასწრებდა, არ გახდიდა სრბოლას საცილოდ.
ატრიდს მოსდევდა მერიონე, იდომენევსის
მეაბჯრე, შუბის ერთ სროლაზე ჩამორჩენილი.
530 ჰყავდა ცხენები ნელმავალნი, გრძელფაფრიანნი,
არც თვითონ იყო დოღში დიდად მოხერხებულნი.
ადმეტოსის ძე იყო ბოლო, მარდი ცხენები
მოაქროლებდნენ სარბიელზე ეტლს საუცხოოს.
ფეხმარდ აქილევსს შეეწყალა, ოდეს იხილა.
535 ადგა, არგიველთ მიაგება სიტყვა ფრთიანი:
„პირველ მარბიელს ბოლოს მოჰყავს მარდი ცხენები!
მაგრამ ღირსია და ვუბოძოთ მეორე ჯილდო,
ხოლო პირველი უეჭველად ეკუთვნის ტიდიდს!“

ასე თქვა.

ყველამ მოიწონა პელიდის სიტყვა.

- 540 მისცემდა ფაშატს აქაველთა თანხმობით კიდევც,
რომ ნესტორის ძეს ანტილოქოსს, შეუტრაცხოფილს

აქილევისისთვის მყის არ ეთქვა სიტყვა მართალი:
„გულსაც მომიკლავ, ო, აქილეეს, თუ შეასრულებ,
რაც ახლა ბრძანე!

გსურს წამართვა ჭილღო იმიტომ,
545 რომ ევმელოსის ეტლს დაატყდა უბედურება?
აბა, რა დიდი მხედარია?

რატომ უკვდავებს

არ შეევედრა?

ბოლო მაინც არ იქნებოდა!

თუ ევმელოსი გეცოდება და ასე გიყვარს,
გაქვს გემზე უხვად საამისოდ ოქროც, სპილენძიც,
550 გყვანან მონებიც, ცხვრებიც, ცხენიც ფლოქვებმაგარი.
გამოარჩიე, უფრო კარგი ჭილღოც მიეცი
შემდეგ, გინდ ახლავ რომ. შეგაქონ აქაველებმა.
ამას კი — ნურას უკაცრავად — არვის დაეუთმობი
და თუ ვისმე სურს, გამოვიდეს შესარკინებლად!“

555 ასე თქვა.

მაშინ გაელიმა ფეხმარდ აქილეესს;
უყვარდა ყრმა, ვით მეგობარი და შეხაროდა,
მიმართა ჭაბუკ ანტილოქოსს ფრთიანი სიტყვით:
„მაშ, შენ მოითხოვ, ანტილოქოს, ჩემი კარვიდან
სხვა ჭილღო მივცე გმირ ევმელოსს? ხალისით მივცემ.

560 სამკერდულს, მე რომ ავაგლიჯე ასტეროპეოსს,
სპილენძისაა, ბრპენის ზოლი ჩაუდის ბოლოს.
ევმელოსისთვის ღირსეული ჭილღო იქნება“.
თქვა და უბრძანა ავტომედონტს, ერთგულ მეგობარს,
გამოეტანა საჭურველი. მიიღო. გასცა.

565 და სიხარულით ევმელოსმა მოჰკიდა ხელი.

მაშინ წამოდგა გულნაკლული მენელაოსი,
ანტილოქოსზე იყო მწყრალი.

მაცნემ მიართვა

მბრძანებელს კვერთხი.

ჩუმად ყოფნა სთხოვა არგიველთ
და ღვთაებრივმა მეომარმა დაიწყო სიტყვა:

570 „რა ჩაიდინე, ანტილოქოს? ჭკვიანად გთვლიდნენ,

შენ კი დიდება დამიბნელე და მხოლოდ ხრიკით
შეუღარებლად სუსტ ცხენებით გამომასწარი
თვითონ განსაჯეთ, არ გიველთა თემისთავებო,
სამართლიანად, არ ინებოთ მიკერძობა,

- 575 არ თქვან სპილენძისკვართიანმა აქაველებმა:
მენელაოსმა უსამართლოდ დაგვიჯაბნაო
ანტილოქოსი, დაეუფლა ჭაბუკის ჯილდოს,
ცხენი სუსტი ჰყავს, მაგრამ სჯობსო ძალა-უფლებით.
მე თვითონ განვსჯი, მეგობრებო, და იმედი მაქვს,
580 არაინ იტყვის შემდეგ აუგს ჩემს განაჩენზე.
მომიახლოვდი, ანტილოქოს, როგორც რიგია,
ცხენთან დადექი, ხელთ აიღე მათრახი, რითაც
დაჯირითობდი, ცხენს შეახე და დაიფიცე
პოსეიდონი მიწისმძვრელი, რომ არა განზრახ
585 ხერხიანობით ჩემი ეტლი ჩამოიტოვე!“

ატრიდს მიუგო გონიერმა ანტილოქოსმა:

„დამშვიდდი, მე ხომ ყმაწვილი ვარ... ო, მენელაოს,
ჩემზე მეტი ხარ ასაკითაც, ვაყვაცობითაც
და უწყი, როგორ ცდება ხოლმე ყმაწვილკაცობა:

- 590 ჭაბუკის ჭკუა უთავგზოა და უმწიფარი.
გული მოიღბე, ხოლო ჯილდოს, მშვენიერ ფაშატს
თვითონვე გითმობ.

რაც ჩემია, ისიც რომ მთხოვო,
და უფრო მეტიც, ამავე წამს მოგცემ ხალისით,
ოღონდ გულიდან, ზევსის ძეო, ნუ ამომიღებ,

- 595 არ გავხდე მარად დამნაშავე ღმერთთა წინაშე!“
თქვა და მიჰგვარა ცხენი სულდიდ ნესტორის ვაჟმა,
ხელთ მისცა მეფე მენელაოსს.

გული მოუღბა

სიხარულისგან, როგორც დნება ნამი თავთუხზე,
აოშვილ მიწას მცხუნვარება რომ გადაუვლის.

- 600 ასე გაგილღვა, მენელაოს, შენც შვებით გული.
მიმართა ჭაბუკ ანტილოქოსს ფრთიანი სიტყვით:
„თუმც ვმრისხანებდი, ახლა თვითონ მე გითმობ ჯილდოს!
არა ყოფილხარ არასოდეს უგულისყურო,

მაგრამ დღეს სძლია სიყმაწვილემ შენს გულის სიტყვას.
605 აწ, ანტილოქოს, შენზე უფროსს ნუ ეცრუები
აგრე იოლად ვერ მომდრეკდა სხვა აქაველი.
დიდად მიჭირდა და ტროაში ბევრი იღვაწე
შენც, მამაშენმაც, შენმა ძმამაც, ებრძოდით ჩემს მტერსა
სურვილს გისრულებ, ჯილდოს — ფაშატს უკან გიბრუნებ.
610 დაე, ახსოვდეს შენთან ერთად ყველას:

არასდროს
ყოფილვარ უნდო, უწყალო და წრესგადასული!“

ასე თქვა.

ცხენი მისცა მოძმეს ანტილოქოსის —
ჭაბუკ ნოემონს, მაზმართი ირჩია თვითონ.
ოქროს ტალანტი მერიონემ დაიმსახურა,

615 იგი მეოთხე იყო.

დარჩა ჯილდო მეხუთე —
მრგვალი ფიალა.

იგი ნესტორს მისცა პელიდმა,
არგიველთ დასი გაიარა, მივიდა, უთხრა:
„ეს შენ, მოხუცო ღვთაებრივო!

აი, ეს ჯილდო
მოგაგონებდეს გმირ პატროკლეს!
არგიველთ შორის

620 აწ ველარ ნახავ!

გამარჯვების ჯილდოს განიჭებ,
რადგან არც კრივში, არც, ცხადია, ჭედობაში:
ძალას არა ცდი, არც სროლაში, არცა მორბენლებს
შეედავები — შენ სიბერე მოგძალეობია!“

თქვა და მიართვა.

მიითვალა მან სიხარულით.

625 ფრთიანი სიტყვა მიაგება მოხუცმა პელიდს:

„ქეშმარიტ სიტყვას ამბობ, შვილო, გონივრულია!
მუხლი არ მომსდევს, საყვარელო, და არც ხელები
მასხია მხრებზე, როგორც წინათ, სწრაფი და მძლავრი.
ეს, კვლავ რომ ვიყო ახალგაზრდა! როგორც იმეამად,

630 როს ენოპსის ძეს ამარინკევს ბუპრასიონში
ქელეხს უხდიდნენ ეპეელნი, და ჭილდო დათქვეს
უფლისწულებმა.

ვერაკაცი ვერ შემედავა —

ვერც ეპეელი, პილოსელიც, ეტოლიელი.
კლიტომედესი მუშტი-კრივში ვძლიე მე მაშინ,

635 ვეჭიდე, ვძლიე პლევრონელი ანკაიოსი,
განთქმულ მორბენალს იფიკლოსსაც ვაჭობე მაშინ,
ოროლით ვძლიე ორი: ფილევს და პოლიდოროს.
ნხოლოდ ცხენებით გადამისწრეს აკტორიდებმა,
რიცხვით დამჭაბნეს, ერთობლივად: შეშურდათ ჩემი,

640 რადგან ყველაზე კარგი ჭილდო დოლისა იყო.
ორნი შემებნენ, როცა ერთი მართავდა ცხენებს,
მეორე მათარახს გადასცხებდა ხოლმე უწყალოდ.
წინათ ასეთი ვიყავ!

დღეს კი ჭაბუკებს ვუთმობ
გმირთა სარბიელს! სავალალო სიბერის ჭაპანს

645 უნდა შევება.

თავის დროზე მეც ხომ ვბრწყინავდი!..

შენ კი განაგრძე და მეგობარს უზღე პატივი.
მადლობით ვიღებ ამ საჩუქარს და მიხარია,
რომ გამიხსენე მოხუცი და ინებე, შვილო,
პატივი გეზღო აქაველთა ლაშქრის წინაშე.

650 მაგ შენს სიუხვეს თვით ღმერთებრ გადაგიხდიან!“

კვლავ გაიარა აქილევსმა აქაველთ დასი,
რა მოისმინა მისალნება მოხუც ნესტორის,
დაბრუნებულმა ახლა დათქვა ჭილდო, კრივისა:
წრის შუაგულში ექვსწლიანი ჯორი დააბა,

555 ჯერ კიდევ უღელდაუდგმელი, სახედნი ძნელად.
მძლეველს აღუთქვა.

ძლეულს — თასი ორფსკერიანი.

დასის შუაში დადგა, ასე უთხრა არგიველთ:

„ატრიდნო, რვალისკვართიანო აქაველებო!
ახლა ორ მებრძოლს ვუხმობთ, ვისაც ერჩის ძალ-ღონე,

660 ხელი ასწიონ, ვის სურს კრივი!

აპოლონ ღმერთი

რომ შეეწევა და ყველანი ვცნობთ უძლეველად,
იგი გემისკენ თან წაიყვანს ჯორს მუხლმოდულელს,
ორფსკერიან თასს კი მიიღებს კრივში ძლეული“.

ამის თქმა იყო და წამოდგა კაცი ვეება,

665 მძლავრი მოკრივე ეპეიოს, პანოპევის ძე.

ხელი წაავლო დაძარღვეული ჯორს და შესძახა: .

„მოდით, ვისაც გსურთ ორფსკერიან თასს დაეუფლოთ!
ხოლო ჯორს, ვფიქრობ, ვერვინ წამგვრის აქაველთ შორის,
კრივში მძლეველი!

პირველობით, დია, ვამაყობ!

670 ეგებ არ ვიყო მეომარი ურჩეულესი,

რას იზამ, კაცს ხომ ყველაფერი არ შეუძლია!

ხოლო თუ კრივზე მიდგა საქმე, ვიტყვი და ასეც
მოხდება:

ძვლამდე ხორცს დავიყვან, ძვალს კი დავამსხვრევ!
თითო ქომაგი, დე, გამოჰყვეს ყოველ მოკრივეს,

675 რომ ჩემი ძალით დათრგუნვილი მან გაიტანოს!“

ასე თქვა.

ყველა ჩუმად იჯდა, დამუნჯებული.

ვერიალოსი ღვთაებრივი წამოდგა მხოლოდ,
ტელაიონიდ მეკისტევსის ძე, მძლავრი მეფის,
რომელიც თებეს, ოიდიპოს მეფის ქელეხზე

680 იყო ოდესღაც და კადმოსელს აჯობა ყველას.

იგი აღჭურვა საბრძოლველად მძლავრმა ტიდიდმა,
მეგობრულ სიტყვით გაამხნევა, ძლევა უსურვა.

სარტყელი მისცა ლაღად წნული და მოოჰვილი,
ველზე დაკლული, მშვენიერი ხარის ღვედები.

685 ორივე მოეწყო, გამოვიდა წრის შუაგულში.

ერთბაშად ერთიმეორეზე აღმართეს ხელი,
შეიბნენ, სწრაფად აირია მუშტი და მუშტი.

ყბებზე გაისმა ლაწა-ლუწი, ოფლი სახეზე
ღვირად სდიოდათ.

შენიმართა ეპეიოსი,

- 690 სახეში დასცხო შებრუნებულს და ველარ შეძლო
 მან ფეხზე დგომა, მოეკვეთა მყისვე მუხლები.
 ვით ბორეასი ამოაგდებს ხოლმე თევზს ზღვიდან
 და გაბრუებულს გადაუვლის ტალღა ნაპირზე,
 ასე დაეცა და სულდიდმა ეპეიოსმა
- 695 წამოაყენა.

მეგობრები მხარში შეუდგნენ
 და წაიყვანეს, მიათრევედა მიწაზე ფეხებს,
 სისხლს მიანთხევდა, თავი გვერდზე უვარდებოდა.
 გრძნობამიხდილი მეგობრებმა შუა ჩაისვეს,
 თვითონ აიღეს ჭილღო — თასი ორფსკერიანი.

- 700 შემდეგ ფეხმარდმა პელევსის ძემ ლაშქარს აჩვენა
 ჭიდაობაში რჩეულისთვის დათქმული ჭილღო:
 გამარჯვებული მიიღებდა სპილენძის სამფეხს —
 აქაველებმა შეაფასეს ათორმეტ ზროხად, —
 დამარცხებულს კი ერგებოდა ნორჩი მხევალი, —
- 705 ტყვე ქალწულს მხოლოდ ოთხი ზროხის ფასი დაადეს.
 ფეხმარდმა გმირმა არგიველებს მიმართა ასე:
 „მოდით, ვისაც სურს გამოსცადოს ეს ასპარეზიცი!“
 ეს თქვა თუ არა, წამოიჭრა ტელამონიდი,
 წამოდგა ბრძენი ოდისევსიცი კკუაულევი,
- 710 მყისვე ქამრები შემოირტყეს და წრეში ჩადგნენ,
 მძლავრად ხელები შემოაჭდეს ურთიერთს წელზე,
 თითქოს გამოცდილ ხუროს სახლის მაღალ სართულზე
 გადაეხუროს ერთმანეთზე მტკიცე ძელები.
 ჭახანი იწყო ხერხემალმა, მძლავრი ხელების
- 715 სალტეში მოხვდა და სხეული დაცვარა ოფლმა,
 ფერდებზე, ზურგზე აელეწათ გმირებს კუნთები,
 დაუზოგავად. ეჩინანად, ორივე თანაბრად
 ამაყი გულით ძლევასა და ჭილღოს ელტვოდა.
 ვერც ოდისევსმა დასცა გმირი ტელემონიდი,
- 720 ვერც აიანტმა ძვრა ვერ უყო მამაც ოდისევსს.
 მოსწყინდათ მოცდა აქაველებს, გაისმა დრტვინვა.
 შესძახა მაშინ აიანტმა ტელამონის ძემ:
 „კეთილშობილო ლაერთის ძევ, ბრძენო ოდისევსი

- შენ ამიტაცე, მალლა, ან მე, განსაჯოს ზეესმა!“
- 725 თქვა და ასწია, ოდისევესმა ფანდი იხმარა:
 კვირისტავს ქუსლი გამოუკრა, მყისვე მეტოქე
 პირალმა დასცა, მაგრამ თვითონ ზედვე დავარდა.
 გაოცდნენ ამის შემხედველი არგიველები.
 შემდეგ ოდისევეს დაეჭიდა ასატაცებლად,
- 730 ხელნი მოაქდო, ასწია და ვერ აიტაცა:
 მუხლთ მოეკვეთა და ორივე დაეცა მყისვე,
 ერთურთის გვერდით იწვნენ მტვერში ამოგანგლულნი.
 კვლავ წამოიჭრნენ, მესამედაც შეიბმებოდნენ
 მოჭიდავენი, რომ აქილევსს არ ეთქვა მათთვის:
- 735 „იქმარეთ, ძმებო, შერკინება, ნუ ილლით, თავსა,
 თანაბარია თქვენი ძალა.

დაიმსახურეთ

ჯილდოც ტოლფასი.

ახლა სხვების ჯერი მოვიდა“.

ასე თქვა.

რიდით მოუსმინეს.

სარბიელიდან

გავიდნენ.

მტვერი გაიბერტყეს და შეიმოსნენ.

- 740 ხოლო პელიდმა დათქვა ჯილდო მალემსრბოლთათვის:
 პირველი — ვერცხლის დიდებული თასი ვეება,
 სიტურფით ფერს რომ უხუნებდა მთელს ქვეყანაზე
 ყველა თასს. იგი, სიდონელთა ნახელოვნები,
 ფინიკიელმა მოყმეებმა ზღვა ღვინისფერი
- 745 რომ გადაცურეს, მიიტანეს ლემნოსელებთან,
 თოანტს მიართვეს.

ლიკაონის გამოსასყიდად

იესონიდმა ევნეოსმა მისცა პატროკლეს.

ეს თასი მოძმის სამახსოვროდ გმირმა პელიდმა

ჯილდოდ აღუთქვა პირველ მსრბოლელს, ხოლო მეორეს —

- 750 ნასუქი ხარი, ჯიშიანი, რქამორკალული
 და უქანასკნელს — ნახევარი ტალანტი ოქრო.
 დასის შუაში დადგა, ასე უთხრა არგიველთ:
 „აბა, ვის ნებავეს, ვაუკაცობა აქ გამოსცადოს?“

სწრაფად წამოდგა აიანტი ოილევის ძე,
755 ჭკუაულევი ოდისევი და ნესტორის ძე
ანტილოქოსი, ჭაბუკებში ყველაზე სწრაფი.
მათ აქილევისმა მიუჩინა მიჯნა სრბოლისა.
ყველა გაიჭრა ერთ ხაზიდან.

მიქროდა სწრაფად

მძლე აიანტი, ოდისევი ფეხდაფეხ მიჰყვა.
760 როგორც მქსოველის ნართს თან მისდევს თითისტრის

მასრა,

ხელით იცილებს ხოლმე ქალი, რა წამს მისაქსელს
გაუყრის ძაფსა და კვლავ იჭერს უბესთან ახლოს, —
ისე მისდევდა ოდისევი.

აიანტის კვალს

ზედ კვალს ადებდა, ქვიშა ვერც კი ასწრებდა გაშლას.
765 მხურვალე სუნთქვას ოილიადს ქედზე აფრქვევდა.
თანაბრად რბოდა.

ყიჟინებდნენ გარს აქაველნი
და უფრო მეტად ალაგზნებდნენ დიდების წყურვილს.
ოდეს მიადგნენ სამანს, მაშინ ბრძენი ოდისევი
ქალღმერთ ათენას — თვალმცეცხლიას გულით ვევედრა:

770 „გემუდარები, მომანიჭე, ღმერთო, სისწრაფე!“
ასე თხოვა და შეისმინა კიდევ ათენამ,
სახსრები უფრო უმსუბუქა.

როს თავდებოდა

ასპარეზობა და ჯილდომდე ცოტადა დარჩა,
ათენას ხერხით დაუცურდა აიანტს ფეხი.

775 გმირი პატროკლეს მოსაგონრად თურმე აქილევის
მრავალი ხარი მოურეკავს და შეუწირავს.
სწორედ ნახირის ნეხვზე დასცდა აიანტს ფეხი,
ნესტო და პირი გამოევისო.

ოდისევს ერგო

პირველი ჯილდო, აიანტმაც მიიღო თვისი.

780 ნაჩუქარ ხარის რქებზე ეღო ხელი აიანტს,
ნეხვს აფურთხებდა, თან არგიველთ ეუბნებოდა:
„ვაი ჩემს თავსა!

თვით ათენამ მატკინა ფეხი,

მიწყვიტ სანუკვარ ღედასავით შველის ოდისევს!“

თქვა და დაირხა მხიარული ხარხარი ხალხში.

- 785 ანტილოქოსმა ბოლო ჯილდო მიიღო მხოლოდ.
ხელში აიღო და ღიმილით უთხრა არგიველთ:
„იცით, იმიტომ გეუბნებით, როგორც ყოველთვის,
ახლაც ღმერთებმა პატივი სცეს ასაკით უფროსს.
აიანტ ჩემზე არც თუ ბევრად უხუცესია,
790 ეს კი წინარე მოდგმისა და თაობის არის.
მაგრამ, ამბობენ, ოდისევეს აქვს ამო სიბერე,
ძნელად სირბილში ვინმე სჯობდეს, პელიდის გარდა“.

ასე თქვა, ასე აღიდებდა ფეხმარდ აქილევსს.

ხოლო პელიდმა ანტილოქოსს მყისვე მიუგო:

- 795 „როდი დარჩება უპასუხოდ ეგ შენი ქება:
ჯილდოს ნახევარს ტალანტ ოქროს კიდევ დავუერთავ“.
თქვა და უბოძა.

სიხარულით მიიღო მოყმემ.

შუბი აიღო აქილევსმა გრძელჩრდილიანი,

ფარი, ჩაჩქანი სხივოსანი გამოიტანა —

- 800 მძლე სარპედონის საჭურველი — პატროკლეს დავლა.
დასის შუაში დადგა, ასე უთხრა არგიველთ:
„ორ მებრძოლს ვიწვევ, მძლეთა მძლეებს, აბჯარ-ბექთარი
შეიმოსონ და შეერკინონ ბასრი სპილენძით,
და სცადოს ძალა ერთმა ერთზე ხალხის წინაშე.
805 ვინც გაუკენწლავს მოპაექრეს სპილენძით სხეულს,
აბჯარს გასცდება და მეტოქეს შავ სისხლს დაადენს,
მიიღებს ვერცხლის სამსჭვალთან რვალის სატევარს,
განთქმულს, თრაკიულს, რომ მოვტაცე ასტეროპეოსს.
ორივ მებრძოლი ამ საჭურველს გაინაწილებს
810 და ჩემს კარავში სანაქებო ლხინს გაუუმართავ“.

ასე თქვა.

ადგა აიანტი ტელამონიდი,

შემდეგ — ტიდიდი დიომედე კეთილშობილი.

მყის აღიჭურვნენ და კრებულის თავ-ბოლო მხრიდან
შესარკინებლად გამოვიდა ორივ შუაში.

- 815 მრისხანედ ერთურთს შესცქეროდნენ და აქაველნი

შიშმა შეიპყრო.

მსწრაფლ შეიბნენ.

სამჯერ მიაწყდნენ

ხელდახელ.

სამჯერ იარაღით შეასკდნენ გმირნი.

ჯერ ბაკმულ ფარში აიანტმა დაჰკრა ოროლი,
ბაგრამ სხეულს კი ვერ შეეხო, იხსნა აბჯარმა.

- 820 ხოლო ტიდიდი შეიდტყავეიან ფარის წრის ზემოთ
აიანტის ყელს უქადოდა წამახულ შუბით.
შიშით შეჰყვირეს მოცახცახე აქაველებმა,
ბრძოლა შევწყვიტოთ, თანაბარი გავცეთო ჯილდო.
პელიდმა მისცა ტიდიდს ვერცხლის სამსკვალისანი
825 ხმალი, ქარქაში, ლამაზ ღვედით დამშვენებული.

პელიდმა მოყმეთ შესთავაზა ბადრო რკინისა,
მას წინათ მძლავრი ეტიონი ტყორცნიდა ხოლმე.
როცა ის მოკლა აქილეესმა, ფეხმარდმა გმირმა,
სხვა საუნჯესთან ერთად ბადროც წამოუღია.

- 830 დასის წინ დადგა და მიმართა ასე არგიველთ:
„მოდით, ვისაც სურს, გამოსცადოს ეს ვაჟკაცობაც!
რაზომ რა ვრცელი ხოდაბუნის პატრონიც იყოთ,
კიდევ გეყოფათ ხუთ წელიწადს ილეკროს ბადრო,
ქალაქში რკინის საშოვენელად არ გააგზავნით
835 მხვენელ-მთესველს, სარქალს, არც მარაგი გამოგელევით“.

ამის თქმა იყო და წამოდგნენ: პოლიპოიტე
და ლეონტეესი ძალმორკმული ღვთაების მსგავსი,
ტელამონიდი აიანტი, ეპეოსი.

დადგნენ რიგ-რიგად.

ჯერ აილო ეპეოსმა.

- 840 დიდხანს იქნევდა და გასტყორცნა.

გადიხარხარა

აქაველთ დასმა.

შემდეგ სტყორცნა მძლე ლეონტეესმა.
მესამედ გმირმა აიანტმა აილო რკინა,

სტყორცნა და ყველა დანიშნულ ხაზს გადააცილა.

მაგრამ აიღო ბოლოს ბადრო პოლიპოიტემ,

845 ისე შორს ტყორცნა, როგორც მეხრემ, თვის მრუდე

არგანს

ბზრიალ-ბზრიალით რომ გაუშვებს ნახირის თავზე.

წრეს გააცილა და შეჰყვირეს აქაველებმა.

პოლიპოიტეს მეგობრები გაიქცნენ შემდეგ

და სიხარულით ხომალდისკენ წაიღეს ჯილდო.

850 მოისართ გმირმა აქილევსმა ჯილდოდ აღუთქვა

ათი სეკირა ორლესული, ათიც ცალპირა.

შორით, ქვიშრობში, შავმკერდიან გემის ანძაზე

წვრილი კანაფით ნაზი მტრედი მიაბმევიანა

და შორსმოისართ დაუნიშნა მიზნად ფრინველი.

855 ასე უბრძანა: „ვინც ფრთხილა მტრედს მოახვედრებს,

ვით გამარჯვებულს, ორლესული ცული ეკუთვნის,

ვინც კანაფს გასწყვეტს, ხოლო ფრინველს ააცდენს ისარს,

ძლეულად ჩავთვლი და უბრალო სეკირას მივცემ!“

ასე ამბობდა და წამოდგა ძლიერი ტევკროს,

860 კრეტელთა მეფე მერიონეტ.

წილი უყარეს

სპილენძის ზუჩში.

ტევკროსს ერგო პირველი სროლა,

მყისვე ისარი საშინელი ძალით გატყორცნა,

მაგრამ მან აღთქმა თავის ღროზე არ შეუსრულა

უფალ აპოლონს, ჰეკატომზე არ შეუწირავს,

865 ამიტომ ნიშანს ააცდინა ღვთის შერისხულმა.

ისარი მხოლოდ კანაფს მოხვდა, მტრედის საბამი

ზედ მის ფეხებთან გადაიჭრა, შეიფრთხილა

და ცად აიჭრა აშვებული, ქარმა საბელი

ძირს ჩამოაგდო.

დანაელებს ოხერა აღმოხდათ.

870 მყის მერიონემ გამოსტაცა ნაღვლიან ტევკროსს

მშვილდი,

ისარი წინასწარვე, მზად ჰქონდა უკვე.

გულში აღუთქვა შორსმოისარ უფალ აპოლონს
სამადლობელი ჰეკატომბე შესაწირავად.

875 მალღა ღრუბლებთან მოფარფატე მტრედი შენიშნა,
ირაოს სცემდა... გაუყარა ფრთებქვეშ ისარი,
ნაკრტენი გაჭრა ისარმა და უკან დაეშვა,
მიწას ჩაეჭდო გმირის ფეხთან,

ხოლო ფრინველი

ლაქვარდი ციდან ანძისაკენ წამოფრთხილდა
ქედდადრეკილი და ულონოდ ფრთებჩამოყრილი.

880 სული აღმოხდა.

გემიდან შორს მტვერში დაეცა.

გაოცდნენ ამის შემხედველი არგოველები.
ყველა სეკირა ორღესული ხედა მერიონეს,
ძლეულ ტევკროსს კი უბრალონი მიჰქონდა გემზე.

885 პელიდმა შუბი მოიტანა და მაზმაროთი,
სუფთა, ჯერ ცეცხლზე შეუდგმელი, ზროხის ფასისა,
ორი ძლიერი შუბოსანი წამოდგა ზეზე:

ხალხთა მეუფე აგამემნონ ატრეიონი
და მერიონე, მძლე მებაჯრე იდომენევისი.

მაგრამ მამაცთა შორის ასე ბრძანა პელიდმა:

890 „ატრიდო, ვიცით, რომ შენ ყველას აღემატები,
შუბოსნობითაც და ძალითაც წარჩინებული.

მიიღე ჯილდო, დაუბრუნდი შენს ნავ-ხომალდებს,
ხოლო ეს შუბი მერიონეს მიეცეთ, თუ შენს გულს
გაეხარდება,

მე კი ასე მგონია სწორი“.

895 თქვა და უარი როდი უთქვამს მძლე აგამემნონს.
შუბი მიიღო მერიონემ,

ხოლო ატრიდმა

ჯილდო გადასცა ტალთიბიოსს, ღირსეულ მაცნეს.

ქება ოცდამეოთხე

პატრონის გამოსყიდვა

კრება დაშალეს. სპა კარვებს და გემებს მოედო.
ყველა ჩქარობდა დანაყრებას ნოციერ ვახშმით,
საამო ძილით.

აქილევსი კვლავ ქვითინებდა,
კვლავ იგონებდა ტკბილ მეგობარს და მის თვალს რული
5 არ მიეკარა.

ტრიალებდა საწოლზე დიდხანს,
პატროკლეს სიმხნეს იხსენებდა, სულს ამაღლებულს.
რამდენი ბრძოლა და რა ჯაფა გადახდენიათ,
როს მტერს ეკვეთნენ, როს იგემეს ზღვის მძვინვარება
აგონდებოდა ეს და ღვრიდა მხურვალე ცრემლებს.
10 ხან მხართეძოზე, ხან პირალმა, ხან პირქვე იწვა,
სახით ეკვროდა სველ სასთუმალს.

ბოლოს წამოდგა
და სევდიანი გაჰყვა ნაპირს.

იქ განთიადსაც
შეხვდა, ძოწისფრად ხმელეთის და ზღვის გამნათებელს.
მყისვე შეკაზმა და შეაბა ფეხმარდნი ცხენნი
15 და სათრეველად ეტლს მიაბა გვამი ჰექტორის.
შემოუარა სამჯერ საფლავს მენეტიდისა,
ბოლოს დაწყნარდა თვის კარავში, გვამი დააგდო
პირქვე განრთხმული.

მაგრამ მკვდარსაც აპოლონ ღმერთი
ვნებას თავიდან აცილებდა, მკვდარსაც სწყალობდა.
20 მის სხეულს ოქროს აიგიდით ფარავდა სულ მთლად,
რომ ნაგვემ-ნათრევს კვალი რამე არ დასტყობოდა.

რა ნახეს, გმირის მრისხანებით ღვთაებრივ ჰექტორს
საქმე რომ სჭირდა სათაკილო, სათნო ღმერთები
ჰერმესს ურჩევდნენ, მოეპარა გმირის ცხედარი.
25 ყველას მიაჩნდა ეს სიკეთედ, გარდა ჰერასი.
პოსეიდონის, თვალმცეცხლია ქალღმერთ პალასის.

მათ ილიონი ძველებურად სძულდათ,

თვით ხალხიც

და პრიაშოსიც — ალექსანდრეს ცოდვათა გამო:

მან ქალღმერთები შეურაცხყო, ქოხში მისულნი

30 და ის არჩია, ვინც არგუნა ავხორცი ვნება.

დღის მაცნე ეოს მეთორმეტედ ამოდიოდა,

როცა უკვდავებს აპოლონმა მიმართა ასე:

„ჰოი, ღმერთებო, უმადურნო! განა ჰექტორი

თქვენ არ გიძღვნიდათ ზორვად ვერძთა, ხართა შიგნეულს?

35 თქვენ კი არ გინდათ, თუნდაც გვამი იხსნათ გმირისა

და არ აღირსებთ ნახვას დედას, ძეს და მეუღლეს,

მამა პრიაშოსს, მოქალაქეთ, რომელნიც ვაჟკაცს

ცეცხლზე დაწვავდნენ და უზღავენენ ღირსეულ პატივს!

თქვენ მოწყალეებით ხვდებით მხოლოდ მძარცველ

აქილევსს,

40 ვინც გონებიდან სამართალი, ხოლო გულიდან

ამოიკვეთა სიბრალული, ბრდღვინავს ვით ლოვი,

თავხედი ლომი, დღენიადაგ ძალით რომ უნდა

ნახირს დააცხრეს, საქონელი მიისაკუთროს.

ასე დაკარგა მან სირცხვილი და სათნოება,

45 კაცთათვის ეგზომ შესარიგიც და ეგზომ ურგები.

ზოგი მოკვდავი კარგავს უფრო გულით საყვარელს,

პირმშოს მოწიფულს, ანდა ძმას ერთწიაღისეულს,

გლოვობს დანაკარგს და ბოლოს დარდს დაიცხრობს

მაინც:

ამტანი სული მოირებმა მისცეს კაცისშვილს.

50 მან კი წარსტაცა ჭერ სიცოცხლე ღვთაებრივ ჰექტორს,

ახლა კი ეტლზე აბამს, ძვირფას მოძმის საფლავთან

ტალახში ათრევს!

უკადრისი საქმე ინება!

იგი ჩვენს რისხვას იმსახურებს, მიწას, მუნჯ მიწას

არცხვენს და ბილწავს კაცი იგი გულბორგნეული!“

55 მრისხანედ უთხრა თეთრხელემა ქალღმერთმა ჰერამ:

„აღსრულდებოდა შენი სიტყვა, შორსმოისარ-

რომ აქილევსს და ჰექტორს ერთი წილი რგებოდათ.

გმირ ჰექტორს, მოკვდავს, უწოვია ძუძუ ქალისა,
ხოლო აქილევს იმ ქალღმერთის ძეა,

სათუთად

- 60 მე რომ ავლზარდე და სანუკვარ ცოლად ვარგუნე
პელევსს,
სვენეტარ ღვთაებათა საყვარელ ვაჟკაცს.
ყველა იყავით იმ ქორწილში და შენც ილხენდი
ფორმინგით,
ურცხვთა ქომავო და მუდამ ვერავო!“

- მის საპასუხოდ ზევსმა ბრძანა ღრუბელთმარეკმა:
65 „ჰერავ, მეუღლევ, ნუ მრისხანებ ახლა ღმერთებზე.
მოკვდავთ თანაბარ ხვედრს ვერ მივცემთ!
მაგრამ ჰექტორიც
გვიყვარს, ვინც კია ილიონში, ყველაზე მეტად,
მეც მიყვარს!

- იგი არ გვაკლებდა საამო ზორვას.
უხვი ზვარაკით სავსე მქონდა საკურთხეველი —
70 სურნელოვანით.

- ჩვენ შეგვფერის ზორვა ასეთი.
მაგრამ ნუ ვფიქრობთ მოტაცებას, ძნელი საქმეა,
რომ ვერ გაიგოს აქილევსმა მოპარვა ცხედრის:
დედა პელიდთან დადის ხოლმე დღითა და ღამით.
უკეთესია თეტისს ჩემთან მოუხმოს ვინმემ.
75 ბრძნულ სიტყვას ვეტყვი: აქილევსმა უნდა აილოს
გამოსასყიდი პრიამესგან, დაუთმოს გვამი“.

- ამის თქმა იყო და გაფრინდა ფრთიანი ირის.
ღვინისფერ ზღვაში კლდოვან იმბროსს და სამოსს შუა
უმალ ჩაეშვა და აკვნესდა მის ქვეშ მორევი,
80 ზღვის ჭურღმულებში ჩაიკარგა, ვით მძიმე ბრპენი.
მოზვრის რქას ბრპენს რომ მიაბამენ, ჩაიძირება
წყალში ვერავი და ხარბ თევზებს სიკვდილს უქადის.
იქ, ღრმა მღვიმეში, მან იხილა დედა თეტისი,
ზღვის ქალღმერთების შუა იჯდა, შვილს დასტიროდა,

85 მის ხვედრს:

აქილევსს ბორცვებიან ტროის მხარეში
ელორდა, მამულს მოცილებულს, ბედი საზარი.
დედის წინაშე დადგა, უთხრა მაცნე ირისმა:
„ზევისი მოგიხმობს, შეუცდომელ აზრთა მფლობელი“.

პასუხად უთხრა მას თეტისმა ვერცხლისფეხებამ:

90 „ღიადი ღმერთი რას მიბრძანებს?

მრცხენია კიდევ
გამოვეცხადო უკვდავ ღმერთებს დარღთ ტანჯული!
მაგრამ მზადა ვარ, ის ამოდ არ მეტყვის სიტყვას!“

ასე ბრძანა და საგლოველი ძაძა ჩაიცვა,
ყველა სამოსზე უფრო თალხი წამოსასხამი.

95 წინ მიუძლოდა მას ირისი ქარისფეხება
და გაიშალნენ ზღვის ტალღები ქალღმერთთა ირგვლივ.
ხმელეთს მიადგნენ და აიჭრნენ ზეცისკენ უმაღ.
იხილეს ზევსი, მის წინაშე ჩამომსხდარიყვნენ
ნეტარნი ღმერთნი, შეკრებილნი ბჭობად ოლიმპოს.

100 ათენამ ზევსთან მიუჩინა თეტისს ადგილი.

ჭერამ მიაართვა ოქროს თასი და ანუგეშა.
დალია დედამ, დაუბრუნა უკან დედოფალს.
სიტყვა დაიწყო მოკვდავთა და უკვდავთა მამამ:
„შენ ოლიმპოზე მოხვედ თეტის, გულდარდიანი.

105 ვიცი, რომ გეწვის უნუგეშო სევდით გულღვიძლი,
მაგრამ გაუწყებ, თუ რად გიხმე ოლიმპოს თხემზე.
უკვდავთა შორის ცხრა დღეს იყო დიდი ცილ-წა,
გმირმა ჰექტორმა და პელიდმა გაჰყვეს ნეტარნი:
ბევრი ჰერმესს თხოვს, მოიტაცოს ცხედარი გმირის.

110 მე კი აქილევსს მსურს დიდება კვლავ მიევანიჭო,
გულში მაქვს შენი სიყვარული და მოკრძალება.
აქველთ ბანაკს მიუბრუნდი, ამცნე, ქალღმერთო:
შემოსწყრომიან ღმერთნი პელიდს, ხოლო მათ შორის
მე უფრო ვწუხვარ, მრისხანებას რომ აპყოლია,

115 საზღოს არ იღებს და გემებთან იტოვებს ჰექტორს.
თუ ჩემი რიდი აქვს, გაიღოს ჰექტორის გვამი.

მე კი ვაგზავნი ქალღმერთ ირისს, რომ პრიამოსი ძის დასახსნელად აქაველთა გემებს ეწვიოს, გულის საამო საჩუქრები მიაართვას პელიდს“.

120 ასე თქვა,

ნებას დაჰყვა თეტის ვერცხლისფეხება.
ოლიმპოს მთიდან მეყსეულად ძირს გადმოიჭრა,
მალე მიადგა შვილის ბანაკს.

ნახა კარავში

მოყმე მკვნესარი.

მეგობრები იქვე იხილა,
გულმოდგინებით ამზადებდნენ დილის საუზმეს.

125 ვერძი დაეკლათ, ძირს დაედოთ ხშირმატყლიანი.
მწუხარე შვილის გვერდით დაჯდა დედა-ღმერთქალი.
ეფერებოდა, სახელდებით ეტყოდა ასე:

„გულს რატომ იკლავ, შვილო ჩემო, გლოვით და

დარდით,

აღარც კი გახსოვს პურისქამა და სარეცელი.

130 სანეტაროა ქალთან ტრფობით სიამტკილობა.

დიდი დღე როდი გიწერია, შენს წინაშეა
თვითონ სიკვდილი, ბედისწერა აუცდენელი.

ახლა მისმინე, მოციქული გახლავარ ზევსის.

მან თქვა, ღმერთები გიწყურებიან, ხოლო მათ შორის

135 ყველაზე მეტად მე ვჯავრობო: რისხვას არ იშლის,
ძღვენს არ იღებსო და გემებთან იტოვებს ჰექტორს.
გაეცი გვაში და მიიღე გამოსასყიდი!“

პასუხად უთხრა აქილევსმა, გმირმა ფეხმარდმა:

„მოვიდეს, ვინცა ძღვენს მთავაზობს, მიიღოს გვაში,

140 თუკი გადაქრით ასე ბრძანებს ოლიმპიელი“.

როს მირმიდონელთ ხომალდებთან შვილი და დედა
ერთმანეთს ასე მიმართავდნენ ფრთიანი სიტყვით,
ზევსმა წარგზავნა ილიონში მარდი ირისი:

„გაფრინდი, ირის, უკან დაგრჩეს ოლიმპოს თხემი

145 და ილიონში მოახსენე სულდიდ პრიამოსს,
მივიდეს შვილის დასახსნელად აქაველთ გემთან,

საზღოც აახლოს, რომ მოალბოს პელიდის გული.
მაგრამ მივიდეს მარტო, მეფეს არავინ ახლდეს.
მხოლოდ მოხუცი მაცნე წაპყვეს, რათა ჯორები
150 სწრაფი საზიდრით მიაგელვოს აქაველებთან
და კვლავ ტროაში დააბრუნოს გმირის ცხედარი.
სიკვდილზე ფიქრი, შიში გულში არ გაიკაროს,
მეგზურს ვუშოვნი ისეთს — თვითონ ბრწყინვალე
პერმესს.

იგი გაპყვება, სანამ მოხუცს პელიდს წარუდგენს.
155 და როს მიიყვანს აქილევსის კარავთან,
მტრულად
ხელს არ აღმართავს მასზე გმირი, არც სხვას მიუშვებს:
ბრიყვი როდია, უპირისწყლო, ცოდვას ჩვეული,
იგი ყოველთვის მავედრებელს მოწყალედ ხვდება“.

ამის თქმა იყო და გაიქრა მარდი ირისი,
160 პრიამეს სახლში გოდება და ქვითინი დახვდა.
მამის ეზოში, ზღურბლთან ისხდნენ მოხუცის ძენი,
სამოსი ცრემლით სველი ჰქონდათ, მათ შუა იწვა
სულ მთლად ქლანით დაფარული მეფე პრიამოს.
თავზე, კისერზე ეცხო ბედკრულ მოხუცს ტალახი,
165 მიწად მხოხავმა თავი თვისი თვით წაიბილწა.
რძალ-წულნი სახლში შეყუყულნი ტიროდნენ უხმოდ,
მოიგონებდნენ სამეფოს გულმაგარ მცველებს,
არგიველთ ხელით ვის უდღეოდ აღმოხდა სული.

ნელა მივიდა ზევსის მაცნე მოხუც მეფესთან,
170 ჩუმად მიმართა, თუმც მის სახსრებს თრთოლვა მოჰგვარა:
„ო, დარდანილო, ჩემი ნუ გაქვს შიში,
მე შენთან

როდი მოვსულვარ მაუწყებლად საზარ ამბისა.
კეთილმოსურნე მოციქული გახლავარ ზევსის:
მას, თუმც შორს არის, გული სტკივა შენზე, მოხუცო,
175 გიბრძანებს. გვამი ჰექტორისა გამოისყიდო,
ძღვენიც აახლე, რომ მოალბო პელიდის გული,

...

მაგრამ ტროელი არვინ გახლდეს,

მარტო შენ გასწი.

- მხოლოდ მოხუცი მაცნე წაგყვეს, რათა ჯორები
სწრაფი საზიდრით მიაგელვოს აქაველებთან
180 და კვლავ ტროაში დააბრუნოს გმირის ცხედარი.
სიკვდილზე ფიქრი, შიში გულში არ გაიკარო,
მეგზურს გიშოვნის ისეთს, თვითონ ბრწყინვალე ჰერმესს.
იგი გაგყვება, სანამ მიხვალთ მძლე აქილევსთან.
და როს შეგიყვანს აქილევსის ფართო კარავში,
185 ხელს არ აღმართავს შენზე გმირი, არც სხვას მოუშვებს:
ბრიყვი როდია, უპირისწყლო, ცოდვას ჩვეული,
იგი ყოველთვის მავედრებელს მოწყალედ ხვდება“.

თქვა და გაფრინდა კვლავ ირისი ქარიშხლის მსგავსი.

- ვაყებს უბრძანა ილიონის მხცოვანმა მეფემ
190 ჯორკიდებული გამოეწყოთ და კიდობანი.
მალალქერიან და კედროვან სავანეს თვისას
ეწვია,

სადაც განძეული ეგულებოდა.

მეუღლევ იხმო და ჰეკაბეს მიმართა ასე:

- „ბედშავო! ახლა ოლიმპიელთ მაცნემ მაუწყა —
195 აქაველთ გემებს მივადგე და დავიხსნა შვილი,
გულმოსალბობად პელიდს უნდა ძღვენი მივართვა.
მითხარ, მეუღლევ საყვარელო, შენ რაღას ფიქრობ?
გულიც და გონიც მეუბნება, უნდა წავიდე
დაუყოვნებლივ აქაველთა განთქმულ ბანაკში“.

- 200 ასე ამბობდა, აქვითინდა ცოლი და უთხრა:

„ვაგლახ! დაკარგე, ვგონებ გონი, რომლითაც უწინ
ბრწყინავდი უცხო ტომთა შორის და სამეფოშიც!
გინდა მარტოკა აქაველთა გემებს ეწვიაო,
პირისპირ დადგე კაცთან, ვინცა ბევრნიც, ძლიერნიც

- 205 შვილნი მოგისრნა?

კაცო, რკინის გული გქონია!

საკმარისია თვალი მოგკრას იმ სისხლისმსმელმა,
უნდო მებრძოლმა და უღმობლად გაგისწორდებამ!

როდი დაგინდობს!

სჯობს შორიდან ვიტიროთ პირმშო!..

- 210 ასეთი ბედი, ჩანს, მოირამ არგუნა ბედკრულს,
ჩვენს შვილს.

უბედურ დღეზე ქვეყნად გამიჩენია,
რათა მოაკლდეს მშობელთ, იქცეს ძალლთა ნადავლად
უნდო კაცის წინ.

- რომ შემეძლოს, მკერდში ვწვდებოდი,
გულს ამოვჭამდი, მივუზღავედი სამაგიეროს:
მან მოკლა ჩემი ძე, ჰექტორი აკარგიანი,
215 სამშობლოსათვის, ტროელთათვის თავდადებული,
შიში და ლტოლვა ბრძოლის ველზე რომ არ ჩვეოდა“.

ჰეკაბეს უთხრა პრიამოსმა ღმერთის სადარმა:
„ჩემს სურვილს წინ ნუ აღუდგები, საკუთარ სახლში
ნუ გამიხდები ყვავე-ყორანი ავის მორბედი.

- 220 ვერ დამითანხმებ. მიწისშვილს რომ ერჩია ჩემთვის —
ქურაუმს ან მისანს ილიონელს, ჩვენ მივიჩნევდით
ამას სიტრუედ, უარგყოფლით, ცხადია, ზიზლით.
ქალღმერთს მე თვითონ მოვუსმინე, ვხედავდი უკვდავს.
მივალ და უქმად არ ჩაივლის ბრძანება ღვთისა.
225 როდი ვინაღვლებ აქაველთა წინაშე სიკვდილს,
თუ ეს მხვდა ბედად! დე, მიმიღოს სულთამხუთავმა,
შვილს რომ დაგვოცნი და ქვითინით გულს მოვიოხებ!“
ასე თქვა.

ლამაზ კიდობანის თავი ასწია,

- და ამოიღო მოსასხამი მეფემ თორმეტი,
230 ხამი ქლაინა იმდენივე, იმდენი ხალი,
თეთრი კვართები, ქიტონები სიფრიფანები.
ათი ტალანტი გადაწონა ოქროს სასწორით.
ორი სამფეხა მოელვარე და ოთხი სინი,
სხვაც ბევრი განძი, ოდესღაც რომ ელჩობისათვის
235 თრაკიელთაგან მიუღია — საზღო უზღვავი —
არ დაენანა, სული ისე ეწვოდა ქინით —
გამოესყიდა ძე ძვირფასი.

ვინც კი მოაღვა,

კრულვით გააგდო და აიკლო ლანძღვა-გინებით:

„შორს დაწყევლილო, ბილწო მოდგმავ!

განა ამ სახლში

- 240 ისე ცოტაა ჭირი, რომ თქვენ ჭირს ზედ გვიმატებთ?
თუ გიხარიათ, რომ მოხუცი დასაჯა ზევსმა
და ძე მოუკლა?

მალე იგრძნობთ, რა დაგკლებიათ,
რა საგანძური! რაც აღარ გვყავს გმირი, მით უფრო
გაუადვილეთ არგიველებს თქვენი დათრგუნვა!

- 245 მე კი ვიდრემდის ტროას ვნახავ გაპარტახებულს,
ჰადესის ჯურღმულს მიმაბარეთ, ეჰა, ღმერთებო!“
ასე ამბობდა და დევნიდა კვერთხით.

შმაგ მოხუცს

ვერ გადაურჩნენ. ისევ შვილებს დაატყდა რისხვად —
ჰელენოსს, პარისს და ღვთაებრივ მოყმეს აგაიონს,

- 250 პამონოსს, შემდეგ ანტიფონოსს, ზვიად პოლიტეს,
მამაც დიოსს და დეიფობოსს თუ ჰიპოთოოს.

ყვირილით, მკაცრად უბრძანებდა ვაჟებს მოხუცი:

„აბა ჰე, ყოვლად უმსგავსონო! ვფიცავ, მერჩია;

ჰექტორის ნაცვლად მომკვდომოდით ყველანი ერთად!

- 255 ვაი-უბედურს! ბევრი მყავდა დიად ტროაში

შვილი მამაცი, მათგან ერთიც არ დარჩენილა!

მესტორი არ მყავს, ტროილოსი ცხენთა მტერფავი,

არ მყავხარ, ჰექტორ — კაცთა შორის მაღალო ღმერთო!

- 260 მხნენი მომისპო არესმა და დამრჩნენ ეს ურცხვნი,

კრუპენტელები, უმაქნისი მეფერხისენი,

თხა პარიები, ტარიგების ქურღბაცაეები!

კიდევ დიდხანს გსურთ, ეტლი კაზმოთ და იზოზინოთ,

ჩქარა თუ ჩადებთ სკივრში ზინათს, რომ შეეძლო

წასვლა?“

- 265 ასე ამბობდა.

აშინებდათ მამის მუქარა,

გამოაგორეს საზილარი სწრაფად მსრბოლელი,
კობტა, ახალი.

მიამაგრეს ზედ მძიმე სკივრი.

სამსჯელს ჩამოხსნეს საყვეარი წიფელის ხისა,
ზემოდან სალტით ხერხიანად შეკრულ-შეწნული.

270 სიგრძე აპეურს ცხრა წყრთა ჰქონდა.

ულელს მოარგეს,

შემდეგ დაადგეს საყვეარი მოლიპულ ხელნას,
გარდიგარდმო და ბოლოებში შეკრეს კავები.
შემოახვიეს ტყავი სამფად ულის ზედაპირს,
მაგრად შეკრეს და ნასკვის ბოლოც შიგ ჩააყოლეს.

275 შემდეგ დაუდეს საზიდარზე. რაც კი სახლიდან
გამოეტანათ — ჰექტორისთვის საზღო უზღვავი.
ჯორებს დაადეს ზედ ულელი მუხლებმოუღლელთ,
მისიელებმა რომ არგუნეს ჯილდოდ პრიამოსს.
ეტლთან ცხენები მიიყვანეს, რომელთაც მეფე

280 თვითონ უვლიდა ხოლმე ლაღად ნაგებ თავლებში.
ქონვურებიან სასახლის წინ ეტლში შეაბეს
ბრძნული ფიქრებით აღზნებულმა მეფემ და მაცნემ.

ამ დროს მოვიდა ნაღვლიანი დედა ჰეკაბე,
თან მოიყოლა ღვინო, სიმხნის მომნიკებელი,
285 თასი ოქროსი, რომ წასვლის წინ მეფეს ზედაშე
ესხურებინა.

წინ დაუდგა ცხენებს და ბრძანა:

„ღვინო ასხურე და ილოცე, რომ ყოვლისშემძლემ
შინ დაგაბრუნოს, კადნიერი გული რაკილა
ჩემს უნებურად გემებისკენ მიგიწვევს აგრე.

290 ილოცე ზევსის მიმართ, მეფევ, შავღრუბლიანის,
რომელიც ტროას ზედ დასცქერის იდას თხემიდან,
სთხოვე — ფრინველი, სწრაფფრთიანი მაცნე, კრონიდის
უსაყვარლესი ჩიტი. ყველა ფრთოსანზე მძლავრი,
მარჯვენა მხრიდან მოგვივლინოს, რომ თვით იხილო

295 და რწმენით სავსე მიეახლო დანაელთ გემებს.
თუ თავის მაცნეს არ მოგივლენს ელვისმტყორცნელი,
შეგეხვეწები, დაგარწმუნებ, არგიველთ გემებს
ალარ ეწვიო, რაზომ მტკიცედ არ ესწრაფოდე!“
მყისვე მიუგო პრიამოსმა, ღვთაების მსგავსმა:

300 „მე არ უარყყოფ, დედაკაცო, შენს აზრს ჰკვიანურს.
მმართებს აღვაპყრო ლოცვად ხელნი მეუფისადმი!“

თქვა და უბრძანა თვის მოახლეს მოხუცმა მეფემ,
უმალვე წყალი მოერთმია.

ქალმა მაშინვე

როფი დაუდგა, მიაწოდა თუნგი მბრძანებელს.

305 მეფემ გადისხა ხელზე წყალი მიწოდებული,
ასხურა ღვინო და ეზოში შეუდგა ლოცვას,
ზეცას მიაპყრნა თვალნი თვისნი და შეღალადა:
„ზევსო მამაო, სახიერო, ყოვლად ძლიერო!

310 ო, მიმიყვანე სასურველ და ბედკრულ პელიდთან!
მძლავრი ფრინველი, სწრაფფრთიანი მაცნე, უმხნესი
ფრთოსანთა შორის, შენ რომ გიყვარს ყველაზე მეტად,
მარჯვენა მხრიდან მომივლინე, მსურს თვით ვიხილო
და რწმენით სავსე მივეახლო დანაელთ გემებს!“

ასე ევედრა და უსმინა ბრძენმა კრონიდმა.

315 სწრაფად ფრინველი შთამოგზავნა უერთგულესი,
რომელსაც კაცნი უწოდებენ შავფრთიან არწივს.
როგორც გაშლილა ფართოდ სხვენი ჭერმალალ სახლის,
მდიდარ მოყმეს რომ საკლიტურით აქვს დაკეტილი,
ისე განივრად გაიშალა ფრთები,

არწივმა

320 როცა მხარმარჯვნით ჩაიქროლა ცად მოლივლივემ,
რა დაინახეს, სასოებით აევსოთ გული.

ფიცხლად ავიდა ეტლზე მეფე და გააჭენა,
წინაბჭეს გასცდნენ თქარა-თქურით მარდი ცხენები.
ადრე გაიჭრნენ წინ ჯორები, ოთხთვლიან ურემს

325 მიაგორებდნენ, მათ მართავდა იდაიოსი —
ჭკვიანი მაცნე, უკან მიჰყვა მეფე მოხუცი.
პრიამოსს ყველა ახლობელი მიაცილებდა,
ისე ტიროდნენ, სასიკვდილოდ მიდისო თითქოს.
მალე გავიდნენ ქალაქიდან ტრიალ მინდორზე

330 და ნაღვლიანი ილიონში დაბრუნდა ყველა —
ნათესავეები და შვილები.

ზევსმა შენიშნა

ველზე მოხუცი, სიბრალულთ ადევსო გული.

ჰერმესს, საყვარელ ძეს, კრონიდმა მიმართა ასე:
335 „ყველაზე მეტად ღმერთთა შორის შენ გეამება
კაცთა შველა და მეგობრობა, სწყალობ სანუკვართ.
გასწი, პრიამეს აქვეელთა სწრაფმსრბოლ გემებთან
ისე მიჰყევი, ვერვინ იცნოს და ვერც ვინ ნახოს
აქვეელთ შორის, სანამ მოხუცს მიჰგვრი აქილეესს“.

ასე ბრძანა და ნებას დაჰყვა ღმერთი ჰერმესი:
340 ფეხზე აიწნა მშვენიერი ოქროს პედილა
ამბროსიული, წყლის ჭავლზეც რომ ფეხს არ უსველებს
და მიწის პირზეც მიაქროლებს ქარიშხალივით.
კვერთხი აიღო, რომელიც კაცს ღვთაების ნებით
ძილს მოჰგვრის ხოლმე, ან თუ სძინავს, აუხელს თვალებს.
345 მალე გაიჭრა მოელვარე ღმერთი ჰერმესი,
ტროელთ ქვლაქთან, ჰელესპონტის ზვირთებთან გაჩნდა.
მინდორს დაადგა, კეთილშობილს ემსგავსა ჭაბუქს,
პირველი ღინღლი რომ უფარავს მშვენიერ სახეს.

მგზავრები მალე გასცდნენ ამ დროს ილოსის საფლავს,
350 დასარწყულებლად შეაჩერეს მდინარის პირას
მათ ჯორ-ცხენები.

უკვე ღამის მწუხრი დაეშვა,
როს შეამჩნია გამჭრიახმა იდაიოსმა
მაცნე ჰერმესი და მიმართა მეფე პრიამოსს:
„ო, დარდანიდო, ფრთხილად განსჯას მოითხოვეს საქმე.
355 მე კაცსა ვხედავ, მეჩვენება, მოკვლა სურს ჩვენი!
უნდა გავიქცეთ, ჩვენ გავასწრებთ კიდევ ცხენებით,
ანდა ფეხებში ჩავუვარდეთ, რომ შეგვიწყალოს!“

თქვა და აემღვრა მოხუცს გული.

შეძრწუნდა მეფე.

მოხრილს, მოკაკულს შიშით თმები ყალყზე დაუდგა.
360 ჰერმეს მივიდა გახევებულ, შემკრთალ მოხუცთან,
ხელი მოჰკიდა ალერსით და ჰკითხა პრიამოსს:
„შორს მიხვალ, მამი? ახლოს სადმე გაგიწევია
ამბროსიული ღამის დრო-ჟამს, როს მოკვდავთ სძინავთ?

- ნუთუ არ უფრთხი მტრობის უნით აღვსილ აქაველთ?
- 365 აქავე დგანან მძვინვარენი, დაუნდობელნი.
 ღამის წყვდიადში ვინმემ თვალი რომ მოგკრას ახლა,
 ამდენი განძის მფლობელს, სიმხნე განა შეგერჩება?
 ყრმა არც შენა ხარ და მეგზურიც გახლავს ბებერი.
 მაშ პირველსავე შემხვედრს როგორ გადაურჩები?
- 370 მე შენ აბუჩად როდი გიგდებ, იცოდე, მზად ვარ
 დაგიცვა, მამას მომაგონებ, ტკბილო მოხუცო!”

მხნედ უპასუხა პრიამოსმა ღმერთის სადარმა:

- „სულ მართალს ამბობ, რასაც ამბობ, შვილო ძვირფასო.
 მაგრამ მე მიცავს თვით ღვთაების მფარველი ხელი,
 რომელმაც გზაში შემახვედრა შენნაირ მეგზურს,
 იშვიათ ჭკუით მადლმოსილო, ნეტავ შენს მშობელს!“
 ისევ მიმართა მას ჰერმესმა სათნომყოფელმა:
- „მართლაც გონივრულს, ღირსეულო მოხუცო, ბრძანებ.
 380 მაგრამ ერთს გკითხავ და გამანდე ჭეშმარიტება:
 სადმე მეზობელ ტომთან ამდენ ძვირფას საუნჯეს
 ხომ არ აგზავნი, როგორმე რომ შეინარჩუნო?
 ეტყობა, შიშით შეძრულხართ და ტოვებთ ილიონს!
 ასეთი მცველი დაგელუპათ, შენი ჰექტორი!
- 385 აქაველ გმირებს ბრძოლაში ტოლს რომ არ უდებდა!“

ღმერთის სადარმა პრიამოსმა შესძახა მაშინ:

„ვინ ხარ, ჭაბუკო ზნეკეთილო, ვისი მოღგმის ხარ,
 ასე სათნოდ რომ მომაგონე დაკარგვა შვილის?“

კვლავ უპასუხა მას ჰერმესმა ქველისმოქმედმა:

- 390 „შენ მცდი, ღვთაებრივ ჰექტორზე რომ მკითხავ, მოხუცო.
 ხშირად დიდების მოსახვეჭელ ბრძოლის ქარცეცხლში
 მინახავს იგი, არგიველებს გემების ირგვლივ
 დამანგრეველი სპილენძით რომ ანადგურებდა.
 მამაცს შორიდან შევცქეროდით განცვიფრებულნი,
 395 ატრიდის ბოღმით აქილევსმა არ მიგვაკარა.
 მხნე აქილევსის მსახური ვარ, მოვყევი მის გემს.
 მე, მირმიდონელს, მამად მივის პოლიექტორი,

დიდად მდიდარი და მოხუცი, როგორც შენ ხარ.

შინ ექვსი ძე ჰყავს, მეშვიდე კი შენს წინაშეა.

400 ძმებს შორის წილად მე მხვდა წასგლა პელიდთან
ლაშქრად.

ახლახან გავცდი გემებს, მხარე რომ დამეზვერა.

ხვალ იერიშზე გადმოდინ აქაველები,

დრტვინავენ, დიდხანს ასე უქმად ბანაკში ყოფნით,
საბრძოლო გზნებას ბელადები ველარ აცხრობენ“.

405 ჰერმესს მიუგო პრიამოსმა ღმერთის სადარმა:

„თუ ჰეშმარიტად აქილევსის შენ ხარ მსახური,

ნუ დამიმალავ, თქვი სიმართლე, გემუდარები:

ჩემი ძე ისევ გემებთან ჰყავს, თუ დაჩეხილი

მიუგდო ძაღლებს მისი გვამი მძლე აქილევსმა?“

410 მოხუცს მიუგო კვლავ ჰერმესმა ქველისმოქმედმა:

„არა, არც ძაღლნი შეხებიან, არც ყვავ-ყორანნი.

იგი კარვის ქვეშ, აქილევსის ხომალდებთან წევს

კვლავ უვნებელი, როგორც იყო.

დღე მეთორმეტე

დაიწყო, მაგრამ არა ღპება, არა ღრღნის ჰია,

415 ომში დაცემულ მოყმეს ხარბად რომ მუსრავს ხოლმე.

თუმცა მარადღე ძვირფას მოძმის საძვალის ირგვლივ

ათრევს პელიდი,

ეოსი რომ ამობრწყინდება,

ხვდება უვნებლად.

გაოცდები. ნახავ შენ თვითონ:

წევს ისე ცოცხლად. ვით ყვაილი ცვარნაპკურევი,

420 კვალი არ აზის სისხლის და მტერის,

ყველა იარა

ამოვსებია —

ბევრჯერ მოწყლა მრისხანე რვალმა.

ასე მოწყალედ ექცევიან შენს განთქმულ ვაჟკაცს,

უკვე მოკლულსაც. უყვართ ნეტარ ღმერთებს ჰექტორი“.

თქვა და აღივსო მეფე ღხენით, მყისვე შესძახა:

425 „კარგია, როცა, შვილო ჩემო, მსხვერპლს სწირავ

ღმერთებს!

ახლა რომ მყავდეს ძე ცოცხალი!

მას ხომ ტროაში

მუდამ ახსოვდა ოლიმპოზე მცხოვრებნი ღმერთნი,
ამიტომ ღმერთებს არც მოკლული დავიწყებიათ!
ო, სათნო მეყავ და მიიღე თასი ოქროსი,

430 დამიცავ, გამყევ ბანაკისკენ ღმერთის შეწევნით,
სანამ მივალწევთ კარავს გმირი აქილევსისა!“

ისევ მიუგო სხივოსანმა ჰერმესმა მეფეს:

„გინდა აცდუნო სიყმაწვილე ჩემი, მოხუცო?
რასაც მთავაზობ, არ მივიღებ უაქილევსოდ.

435 მეკრძალვის გმირის, მეშინია, ჯილდო მოვტაცო,
ვაჰ, თუ ამისთვის თავს დამატყდეს უბედურება.
მაგრამ მზადა ვარ მიგაცილო თვით არგოსამდე,
მიხარის შენი მეგზურობა ხმელზეც და ზღვაზეც.
ჩემთან როცა ხარ, კაცისშვილი ხელსაც ვერ გახლებს“.

440 თქვა და იმწამსვე ეტლს შეახტა ერიუნოს.

მყისვე მათრახი და სადავე ჩაიგდო ხელში.

ცხენ-ჯორს შთაბერა უჩვეულო ყინი და ძალა.

როცა მიიჭრნენ სანგართან და გემთა ზღუდესთან,

ცოტა ხნის წინათ სადაც ვახშამს აწყობდნენ მცველნი,

445 ძილში ჩაძირა გუშაგები სათნო ჰერმესმა.

ურდული გახსნა, ბჰე გაალო და პრიამოსი

შიგ შეიყვანა, საზიდარიც შემოაგორა.

მალე მიადგნენ დიად კარავს გმირი პელიდის.

მეფეს აუგეს მირმიდონელთ ფართო კარავი

450 ნაძვის მორებით, გადახურეს ზემოდან ისლით,

რომელიც უხვად მოუთიბავთ ნამიან ველზე.

კარვის გარშემო ვრცელი ეზო ჰქონდა მბრძანებელს,
ირგვლივ მესერიით შემოლობეს.

მტკიცე ჭიშკარი

ნაძვის ურდულით იხშობოდა.

სამ აქაველსაც

455 ერთობ უჭირდა გადაწევა საკლიტურისა.

ხოლო პელიდი მარტო ხსნიდა ურდულს იოლად.
სათნო ჰერმესმა ბჭე გაალო მეფის წინაშე,
შეატანინა საჩუქრები აქილევსისთვის.

შემდეგ ეტლიდან ჩამოხტა და მოხუცს მიმართა:

- 460 „ახლა ღმერთი დგას შენს წინაშე, ღმერთი ჰერმესი.
გზის მაჩვენებლად მომავლინა თვით მამა ზევსმა.
კვლავ ოლიმპოსკენ მივიჩქარი.

აგრე სახალხოდ

ვერ ვეჩვენები გმირ აქილევსს:

როგორ იქნება,

ღმერთმა აშკარად პატივი სცეს მოკვდავ მეომარს?

- 465 შენ კი ეახლე და რომ შეხვალ, მუხლთ მოეხვიე,
ძამის სახელით, ლამაზთმიან დედის სახელით,
შვილის სახელით ემუდარე, ვინძლო მოალბო!“

ასე უთხრა და ოლიმპოსკენ გაიქრა ღმერთი.
ეტლიდან მყისვე ძირს ჩამოხტა მეფე პრიამოს.

- 470 იდაიოსი მან დატოვა ჯორ-ცხენთა მცველად,
ხოლო თვით უმალ სავანისკენ მიისწრაფოდა,
სად ეგულვოდა აქილევსი, ზევსის ნაზარდი.
იქ ნახა კიდევც.

მეგობრები შორს ისხდნენ მისგან,
მაგრამ მამაცი ავტომედონტ და ალკიმოსი

- 475 იქავე ჰყავდა.

ცოტა ხნის წინ უნებებია

მოყმეს ვახშამი და ჯერ კიდევ წინ ედგა ტაბლა.

კარავში შედის შეუმჩნევლად.

პრიამე პელიდს

ფერხთ უვარდება, მუხლთ ეხვევა, უკოცნის ხელებს,
მის ნაშიერთა, მრავალ შვილთა მკვლელ საზარ ხელებს.

- 480 ოდეს მამაცი სამშობლოში ცოდვას ჩაიდენს —
კლავს ვისმე, ილტვის, უცხო ტომთან მიეშურება,
მძლავრს ეკედლება, განცვიფრებით მას შეხვდებიან.
ასე გაოცდა აქილევსიც, როს ლეთაებრივი

პრიამოს ნახა.

განცვიფრებით ერთიმეორეს

485 შესცქერის ყველა.

პრიამოს კი ღალადებს ასე:

„უკვდავთ სადარო აქილევსო, მოიგონებდე მამას, ჩემსავით სიბერის ზღურბლს მიწვენილს, მხცოვანს! ვინ იცის, ახლა გარს ეხვევა ეგების მტერი, არვის არ ძალუძს იხსნას იგი განსაცდელისგან.

490 მაგრამ შენ როცა ეგულები, ხარობს ის შენით და ცისმარე ღლე იმედი აქვს შვილთან შეხვედრის, როცა ტროიდან დაბრუნდები სამშობლო მხარეს. მე კი — უბედურს დამიზრდია აბჯარასხმულნი ძენი ტროაში, მათგან ერთიც არ შემრჩენია!

495 ორმოცდაათი შვილი მყავდა აქაველების შემოსევამდე.

ათცხრამეტი — ერთი დედისგან, დანარჩენები სხვა ძვირფასმა შობეს ცოლებმა. ბევრ მათგანს, ბედკრულს, გადუმსხვრია არესმა მუხლი. ერთილა დამრჩა, ის იცავდა ქალაქს და მცხოვრებთ,

500 შენ ისიც მოკალ — სამშობლოსთვის მებრძოლი გმირი, ჩემი ჰექტორი!

აქაველთა გემებს ვეწვიე:

მსურს დიდძალ განძით დავიბრუნო მისი სხეული. ო, ღმერთებს ეცი პატივი და გებრალეზოდე.

გახსოვდეს მამა, მე ხომ უფრო შესაბრალო ვარ:

505 მოვესწარ, ქვეყნად არავის რომ არ მოსწრებია — ჩემი შვილების მკვლელს ვუკოცნი საზარელ ხელებს...“

ასე უთხრა და გულსაკლავი ფიქრი აღუძრა, მან ხელი ჰკიდა მოხუცის მკლავს, გვერდზე გასწია. ორივე მიეცა მოგონებას,

პრიამოს ცხარედ

510 შვილს დასტიროდა აქილევსის ფეხქვეშ განრთხმული, აქილევსი კი ხან მამას, ხან ძმობილს — პატროკლეს, გულამოსკვნილი მოთქმა მათი ისმოდა ირგვლივ. გული იჭერა აქილევსმა ცრემლების ფრქვევით, და რა გაულღვა დამდაღველი სევდა-ნალველი,

- 515 მყისვე წამოდგა და მოხუცი წამოაყენა
 თეთრი თმა-წვერის სისპეტაკით გულმოლობობილმა.
 ასე დაიწყო და მიმართა ფრთიანი სიტყვით:
 „ბედშავო კაცო! რამდენ ვარამს გაუძლო გულმა,
 როგორ გაბედე აქაველთა გემებთან მოსვლა,
- 520 მასთან, ვინც მრავალ შენს ნაშიერს მოუღო ბოლო?
 მოხუცო, მკერდში თურმე რკინის გული გქონია!
 მაგრამ დამშვიდდი, აქ ჩამოჯექ, მეფევე სვიანო!
 ხამს მწუხარება გულში ჩავკლათ და გავიყუჩოთ.
 რას გვარგებს ცრემლი და ქვითინი გულისმომკვლელი?
- 525 ღმერთებმა, ყოვლის შემძლეებმა, ბედშავ მოკვდავებს
 დარდი დაგვიტმეს: უდარდელი მხოლოდ ღმერთია!
 კრონიდის ზღურბლთან ძღვენით სავსე ორი ყუთი დევს,
 ერთი ბედნიერთ მიეცემა, მეორე — ბედკრულთ.
 ვისაც შეურევს ორგვარ ჭილდოს ზევსი დიადი,
- 530 შეხვდება დარდიც და დროდადრო შევბასაც ჰპოვებს.
 ვისაც ბედკრულთა წილს არგუნებს, განწირულია,
 გულისმომკვლელი გასაჰირი არა შორდება,
 ღმერთნი ხელს კრავენ, მიწისშვილნი შეიძულებენ.
 ღვთის საჩუქარი პელევსმაც ხომ უხვად მიიღო
- 535 სიყმაწვილის ყამს, ადამიანს ყველას სქარბობდა
 სიმხნით, სიუხვით — მესვეური მირმიდონელთა.
 მოკვდავს მეუღლედ უკვდავებმა ქალღმერთი მისცეს.
 მაგრამ მასაც კი ღმერთმა ავი ხვედრი არგუნა —
 შინ აღარა ჰყავს ნაშიერი, ძე და მემკვიდრე.
- 540 ერთი ვაჟი ჰყავს და ისიც დღემოსწრაფებული...
 დღემდე მოხუცს მე შევბას ვერ ვგვრი:
 შორს სამშობლოდან,
 ტროაში, ვებრძვი შენიანებს და შენ, მოხუცო!
 მე გამიგია, შენც ოდესლაც იყავ მორკმული,
 რამდენ ტომს იტევს მაკარიის ლესბოსის მხარე,
- 545 ნაყოფიერი ფრიგია და თვით ჰელესპონტი, —
 შენზე ამბობენ — სიმხნით ყველას დასჯაზნიდაო.
 მაგრამ ღმერთებმა შენც გაწვნიეს უბედურება,
 ტროის გარშემო საზარ ბრძოლას ბოლო არ უჩანს.
 გული იჭერე, უსაზღვრო დარდს ნუ მიეცემი:

550 შვილს რას მოუტან მგლოვიარე. შენი ცრემლებით
მკვდარს ვერ აღადგენ, მარტოოდენ ჭირს გაიმრავლებ!“

მას კვლავ მიუგო ღვთაებრივმა მეფე პრიამემ:
„რა დამაყენებს, ღვთის რჩეულო, სანამ ჰექტორი
დაუკრძალავი მისვენია!

მომეცი ნება

555 ერთხელ შეეხედო უბედურმა!

მიიღე საზლო:

აქ მოგიტანე, დატკბი, გმირო, კეთილი გქონდეს
გზა მშობლიური მხარისაკენ!

ხომ მიწყალობებ

ბებერს სიცოცხლეს და მზის ციაგს მანათობელსა!..“

მოხუცს მრისხანედ უპასუხა გმირმა ფეხმარდმა:

560 „ნუ განმარისხებ, თვითონ ვიცი, დიღისხანია
მმართვეს ჰექტორის დაბრუნება.

ზევისის სურვილი

მაცნობა დედამ, ზღვის მოხუცი მეფის ასულმა.

ვერ დამიმაღავ მე, პრიამოს, ღვთაების ნებამ
შენც აქაველთა ხომალდებთან რომ მოგიყვანა.

565 ვერ გაბედავდა კაცი, თუნდაც სიყრმით გზნებული,
ბანაკში მოსვლას, ფხიზელ მცველებს ვერ გასცდებოდა
და კარიბჭეზე ვერც იოლად გასწევდა ურდულს.

იყუჩე ახლა და გულის წყლულს ნუ განმიახლებ!

ნუთუ შენ ფიქრობ, მავედრებელს ხელსა გკრავ, მოხუცს,

570 და თვითნებურად კრონიონის ნებას გადავალ?“

ასე თქვა.

შეკრთა პრიამოსი და გაუყუჩდა,
ლომივით სწრაფად წამოიჭრა გმირი აქილევსს,
კარებს მივარდა, თანვე მიჰყვა ორი მებაძრე —
ავტომედონტი და ალკიმოსი, მოძმეთა შორის

575 პატროკლეს შემდეგ მათ ყველაზე მეტად სწყალობდა.
მოსართავები მოხსნეს ცხენებს, შემოიყვანეს

კარავში მეხმლე მოხუცისა.

დასვეს ვაჟაკი.

მეფურ საზიდრით მოტანილი განძი დააწყევს —
ჰექტორის თავის საზღაური უძვირფასესი.

580 მხოლოდ დატოვეს მოსასხამი ორი, ჭიკონიც,
რომ შემოსილი გაეგზავნათ ტროას ცხედარი.
გმირმა უბრძანა მონა-ქალებს გვამის განბანა,
ნელსაცხებლებით დამშვენება, ისე რომ მამას
არ დაენახა: ვაი თუ მას განარისხებდა

585 შვილის იერი! ეგებ მაშინ ღვთის უნებურად
აქილევსს ხელიც აღემართა ბედშავ მოხუცზე.
განბანეს გვამი და განპოხეს მშვენიერ საცხით
მონა-ქალებმა, მოსასხამი გადაათარეს,
და აქილევსმა სარეცელზე თვით დაასვენა,

590 მეგობრებმა კი მოათავსეს ელვარე ეტლზე.
მაშინ პელიდმა სულთქნა, გლოვით შესძახა მოძმეს:
„ძმავ პატროკლევ, ნუ დამძრახავ, პირქუშ ჰადესში
თუ ხმა მოგწვდება, ღვთაებრივი ჰექტორის გვამი
რომ დაუბრუნე მამას!

დიდი საზლო გაიღო

595 და შენ ზვარაკად შემოგწირავ წილს იმ განძიდან!“

ასე თქვა.

კარავს დაუბრუნდა კვლავ აქილევსი.

დაეშვა ლამაზ საეარძელში, რომელსაც წელან
მოსცილდა უცბად წამომდგარი. მიმართა მოხუცს:

„ძე დაგიბრუნდა, ვით გენება, წევს სარეცელზე
600 უცხოლ მორთული,

სისხამ დილით გარეთ რომ გახვალ,

იხილავ თვითონ.

მაგრამ ახლა გემართებს ვახშამიც.

თვით ნიობემაც უბედურმა ვერ დაივიწყა
საზრდო, თუმც ერთად თორმეტივე შვილი დაკარგა:
ექვსი ასული საყვარელი, ექვსიც ჭაბუკი.

605 ბიჭები დასცა აპოლონმა ბასრი ისრებით,
ხოლო გოგონებს არტემისმა მოუღო ბოლო.

ლეტოს შეჰკადრა გაჯიბრება თურმე ნიობემ:
ის ორისა და მე კი მრავალთ მშობელი ვარო!
სწორედ იმ ორმა დაუხოცა მკვეხარას ყველა.

- 610 ცხრა დღე ეყარნენ... და არ იყო ამ ქვეყნად კაცი,
რომ დაეკრძალა: ქვად აქცია თავხედნი ზევსმა.
მხოლოდ მეთაე დღეს დამარხეს ღმერთებმა მკვდრები.
გლოვით მაშვრალმა დედამაც კი ინება საზრდო.
ახლა ის არის სიპულოსის უდაბურ მთებში,
- 615 სადაც, ამბობენ, ნიმფებს უყვართ მღვიმე, როს ცეკვით
აქელოიოს ნაკადებთან გულს იჯერებენ.
იქ სატანჯველი სწვავს ნიობეს, ღეთისგან ქვად ქცეულს.
ჩვენც, ღვთაებრივო მეფევ, გვმართებს მივილოთ საზრდო,
ძის დატირებას მოესწრები, როს მიასვენებ
- 620 ტროაში, უხვად დაიღვრება ცხარე ცრემლები“.

თქვა და წამოდგა.

თვითონ დაკლა თეთრმატყლიანი
ცხვარი და ოთხში ამოიღეს, როგორც წესია,
წვრილ-წვრილად დაქრეს მეგობრებმა, შამფურს ააგეს,
ლადარში წვავდნენ.

გადმოიღეს შემდეგ მწვადები.

- 625 ავტომედონტმა პური დასდო ტაბლაზე ხონჩით,
გაუნაწილა აქილეესმა მეინახეებს.
ხელი მაშინვე გაუწვდინეს მორთმეულ საზრდოს
და როს იჯერეს გული თვისი სმითა და ჭამით,
დიდხანს უმზერდა პრიამოსი გაოცებული
- 630 პელიდს, ლამის თვით ღმერთიაო, ეჩვენებოდა.
ასევე იყო აქილეესიც გაკვირვებული
მოხუცის სათნო სახითა და საამო სიტყვით.
ერთ-ურთის ცქერა მათ სიტკბოს და სიამეს ჰგვრიდა.
ბოლოს მიმართა პრიამოსმა ფეხმარდ აქილეესს:
- 635 „ზევსის რჩეულო, უკვე დროა და ნება მომეც
ცხოველმყოფელი ძილით დაეტკბე შენს სავანეში.
მე ჯერ ხომ თვალი ერთი წამით არ მომიხუჭავს,
მას აქეთ, ჩემი ბედკრული ძე რაც გამომძალე!
იმ დღიდან გლოვას და უღეველ დარდს მივეც თავი,

640 ხშირად ლობესთან სადმე შმორში მივეგდებოდი...
ახლა გეახელ მხოლოდ საზრდოს, შუშხუნა ღვინოს
და ერთი ლუკმაც არ ჩამსვლია პირში აქამდე“.

ასე თქვა.

გმირმა უთხრა მოძმეთ, მონა-ქალებსაც,
რომ აივანზე სარეცელი გაეწყოთ ორი.

645 ქვეშ ძოწეული, ზედ ხალიჩა, შალის საბანი
გადაეფინათ, რომ მოხუცებს არ შეცივნიდათ.
ანთებულ კვარით გამოვიდნენ მონა-ქალები
და აივანზე გაამზადეს ორი საწოლი.
პრიამოსს უთხრა აქილევსმა მაშინ ხუმრობით:

650 „ჩემთან იძინე, საყვარელო სტუმარო ჩემო,
მაგრამ არ მოგკრან თვალი სადმე აქაველებმა, —
აქვე კარავში გროვდებიან ხოლმე მბჭობელნი.
პირქუშ ღამეში რომელიმემ რომ დაგინახოს,
ლაშქრის მესვეურს აგამემნონს შეატყობინებს

655 და შვილის დახსნა, დარდანიდო, დაგიყოვნდება.
კიდევ ერთს გეტყვი და გულწრფელად მითხარ, მოხუცო:
რამდენ დღესაც მთხვოვ გმირ ჰექტორის დასაქრძალავად,
იმდენ დღეს ბრძოლად არც მე გავალ, არც ჩემი რაზმი“

პრიამემ უთხრა, ლეთაებრივმა, ფეხმარდ აქილევსს:

660 „თუ ნებას მომცემ, ღირსეულად დავეკრძალო შვილი,
ამით, აქილევს, მოწყალებას დიდს მომანიჭებ.
ხომ იცი, ალყა რომ გვარტყია კოშკში შეყუყულოთ,
შორი მთებიდან ხე-ტყე მოგვაქვს, ხოლო ტროელნი
შიშითა ძრწიან...“

ცხრა დღე მსურდა შვილი მეტირა,

665 სამგლოვიარო ზეიმის და ქელების შემდეგ
მეთერთმეტე დღეს სამახსოვრო საფლავს დამეფლა...
თორმეტ დღის შემდეგ კი შევბმოდი მტერს

უცილობლად“.

მოხუცს მიუგო აქილევსმა კეთილშობილმა:

670 „რაც გსურს, ყოველი აღსრულდება, მოხუცო ქველო:
ბრძოლად იმდენხანს არ გამოვალ, რაც გითხოვია!“

თქვა და მოხუცის მარჯვენა ხელს გმირმა ალერსით
ხელი შეახო, დაამშვიდა გული მშობლისა...
ასე დასცილდა.

- აივანზე დაწვნენ მოხუცი —
მეფე და მაცნე და ძილის წინ ფიქრს მისცეს თავი.
675 ხოლო პელიღმა დაიძინა მტკიცე კარავში,
გვერდს ბრისეისი ეწვა ლაწვებაალებული.

- უკვდავ ღმერთებსაც და აბჯროსან, ცხენოსან მოყმეთ
კეთილი ძილით მშვიდად მთელი ღამე ეძინათ.
ოღონდაც ჰერმესს ტკბილი ძილი ვერ მოერია.
680 ამას ფიქრობდა, თუ კარვიდან მეფე პრიამოს
ვით გაეყვანა, რომ ბჰის მცველებს არ შეენიშნათ.
თავით დაუდგა და პრიამოსს მიმართა ასე:
„საშიშროება არც კი გაკრთობს და უდარდელად
მტრებთან ისვენებ, პელიდისგან შეწყალებული.
685 მრავალი გაეც საზღო მოკლულ ძის დასახსნელად,
მაგრამ შენ, ცოცხალს, სამმაგ ფასით გამოგიხსნიან
შენი შვილები, ვინც კი დაგრჩა, თუკი ატრიღმა
აგამემნონმა შეგამჩნია, ან სხვა აქაველთ“.

ასე თქვა.

- შეკრთა პრიამოსი, მაცნესაც უხმო.
690 ჰერმესმა ცხენნი შეუკაზმა მათ მეყსეულად,
ისე გარეკა ბანაკიდან, რომ ვერვინ ნახა.
მაგრამ როგორც კი მიაღწიეს ფონს მოხუცებმა
ქსანთოსის, ზევსის გაჩენილი წყალუხვ მდინარის,
ქველისმოქმედი ჰერმეს სწრაფად გაჩნდა ოლიმპოს.
695 ოქროს სამოსით მოეფინა ეოსი მიწას.
ილიონისკენ პრიამოსი დაოთხილ ცხენებს
მიაქროლებდა მოქვეთინე, მიჰყავდა შვილი.
ვერავენ იცნო ტროელთა და ტროელ ქალთაგან
აფროდიტეს სწორ კასანდრაზე უადრეს იგი.
700 კოშკზე ავიდა პერგამოსის, ეტლში იხილა
სახე მამისა და ხმამქვეარ ტროელი მაცნის.

შემდეგ ცხედარიც სარეცელზე შენიშნა ძმისა,
ქალაქს მოჰფინა გულსაკლავი გლოვა-გოდება:
„ტროელნო ქალნო, ტროელებო, მოდიო, შეხედეთ
750 ჰექტორს, აღრე რომ შეფრფინვიდით ბრძოლიდან
მოსულს,
ჩვენი ქალაქის, ჩვენი ხალხის სიხარულს დიადს!“

ასე გოდებდა.

ილიონში კაცი ან ქალი
არ დარჩა, რომ არ შეემუსრა დარდს ენით უთქმელს.
ყველა მოაწყდა შესახვედრად მალალ კარიბჭეს.
710 ყველაზე უწინ ახალგაზრდა ცოლი და დედა
თმა-ლაწვის ხოკვით ზედ დაემხნენ გიჟივით ცხედარს.
მკერდზე მიიკრეს მისი თავი. ტიროდნენ სხვებიც.
ალბათ, მთელი დღე, ელვარე მზის ჩასვენებამდე,
კარიბჭის გარეთ იგლოვებდა ხალხი გმირ ჰექტორს,
715 რომ მოხუც მეფეს ეტლიდანვე არ შეეძახა:
„გზა, მეგობრებო! შეიტანონ ტროას ცხედარი,
გული იჯერეთ, როცა სახლში მიასვენებენ!“
ასე თქვა.

ხალხმაც გაიწია და გზა დაუთმო.
შინ მიიტანეს, სარეცელზე დადეს სხეული.
720 მოზარენი და მოტირალნი ცხედართან ახლოს
იდგნენ, ჰგოდებდნენ გულში ჩამწვდომ პანგით
საგლოველს,
ხოლო დიაცნი მოსძახოდნენ გულამოხვინჩვით.
ჯერ ანდრომაქემ, ახალგაზრდა ცოლმა დაიწყო
მოთქმა,

თან გულში იხუტებდა ჰექტორს კაცთამეღელტს:
725 „აღრე წამიხვედ, ჩემო ქმარო, აღრე დამაგდე
ქვრივად, აღრე ძეც დამიობლე, ჯერაც უენო,
ვისაც სიცოცხლე მივანიჭეთ ჩვენ, ბედშავებმა!
ვერ მოესწრება სიჭაბუკეს!

მანამდის ტროა
გაცამტვერდება: აღარ ჰყავხარ შემწე ფხიზელი,
730 ქალაქის მცველი და ქომავი ქალთა და ჩვილთა!

მაღე ტყვედქმნილებს წაათრევენ ღრმა ხომალდებით,
მეც უცილობლად, შენც აგრეთვე, შვილო ბედჯრულო!
ქანცმილეული სამარცხვინო შრომით და ჭაფით
ეძსახურები მკაცრ მბრძანებელს, ან აქაველი
735 ხელს გტაცებს ხელში და კოშკიდან ძირს დაგანარცხებს,
შურისმგებელი დაკარგულ ძმის, მამის, ძის გამო,
ჰექტორის მიერ ძლეულისა:

მრავალ აქაველს

ბოლო მოულო, სისხლიანი მიწა არგუნა.

მრისხანე იყო მამაშენი შერკინებისას.

740 თავით ბოლომდე მთელი ტროა დასტირის რჩეულს.
ენით უთქმელი დარდი ერგოთ უბედურ მშობლებს,
ვაი, ამ საზარ სარეცილიდან ხელი საყვარელს
არ მომეც, სიტყვა სანატრელი არ გამატანე,

745 დღითა და ღამით რომ მახსოვდეს სახეცრემლიანს!“

ასე ჰგოდებდა.

და მოთქვამდნენ ტროელნი ქალნი.

ამ დროს ჰეკაბემ იწყო მოთქმა საწყალობელი:

„ჰექტორ! ყველაზე საყვარელო ჩემს შვილთა შორის!
შენ ყოვლისშემძლე ღმერთებს მუდამ უყვარდით წინათ,

750 ახლაც ზეცაში დასტირიან შენს სიკვდილს ღმერთნი
მე სხვა შვილები აქილევსმა, ფეხმარდმა გმირმა,
როგორც მონები, გამიყიდა ვრცელ ზღვათა იქით —
სამოსში, იმბროსს, ან ღრუბლიან, უდაბურ ლემნოსს.
ხოლო შენ გძლია, ამოგართვა სული სპილენძით

755 და თუმცა ბევრი კი გათრია შენგან ძლეული
პატროკლეს ირგვლივ, ამით მკედარი ვერ გააცოცხლა!
ვით ნამით ნაზად დანამული, შინ განისვენებ,
თითქოს მოკვდავი, აპოლონ ღმერთს

ვერცხლისმშვილდოსანს,

მსუბუქი ისრით დაუჭრია ანაზდეულად“.

760 ასე ჰგოდებდა, ისმა გვრინი საყოველთაო.

შემდეგ ელენემ იწყო მოთქმა საწყალობელი:

„ჰექტორ, ყველაზე საყვარელო მოყვარეთ შორის,
მაზლად მერგები, რადგან ქმრად მყავს ალექსანდროსი, .

რომელმაც ტროას მომიყვანა.

რად ვარ ცოცხალი!

- 765 მეოცე წელი მიიღია დროის წრებრუნვის,
რაიც აქ მოველ და სამშობლო დაეტოვე ჩემი,
მაგრამ ერთხელაც არ მასმინე სიტყვა აუგი,
მაშინაც, თუკი შინაური მეტყოდა საწყყენს —
ამაყი მაზლი, გინდა მული, ან დედაძითილი.
- 770 მამამთილი კი როგორც მამა, მულამ მწყალობდა.
შენ გონს მოგყავდა, ვინც მერჩოდა, ყველას სიკეთეს
შენი კეთილი, სათნო სულით ჩააგონებდი.
აი რად ვტირი შენზეც, ჩემზეც — მე უღედური!
არავინ არ მყავს ვრცელ ტროაში ნუგეშის ბოქმელი
- 775 და მეგობარი, ერთნაირად ყველასა ვძულვარ!“
ასე ჰგოდებდა და მოთქვამდა ურიცხვი ხალხი.
ბოლოს მოხუცმა პრიამოსმა მიმართა ტროელთ:
„ახლა, ტროელნო, მოიტანეთ შეშა! ნუ ფიქრობთ,
რომ არგიველნი ჩაგისაფრდნენ.

თვით აქილევსმა

- 780 მომცა პირობა, როს გამიშვა;
არ შეგვაწუხებს
მანამდის, სანამ მეთორმეტე დღე შესრულდება“.

ასე ბრძანა და ტროელებმა ჯორ-სახედრები
შეაბეს ურმებს, მოიყარეს ქალაქთან თავი.
ცხრა დღე მოჰქონდათ მათ ტროაში შეშა უზომო,

- 785 მეათე დღეს კი, როს გამოჩნდა ელვარე ეოს,
გლოვა-გოდებით მიიტანეს ჰექტორის გვამი,
კოცონზე დადეს და შეუნთეს ცეცხლი გიზგიზა.
ადგა ეოსი ცად ვარდისფერთითებიანი
და გმირ ჰექტორის ნაკვერჩხლებთან მოგროვდა ხალხი
- 790 აურაცხელი,

ყველამ თავი რომ მოიყარა,
ჩააქრეს მაშინ ნაღვერდალი, ღვინო ასხურეს,
სადაც კი ცეცხლი გიზგიზებდა.

შემდეგ ლაღარში

ძმებმა მოკრიფეს თეთრი ძვლები და მეგობრებმა.

- მწარედ მოთქვამდნენ, უხვად ლაწვზე სდიოდათ ცრემლი,
795 ძვირფასი ნეშთი ნელა ჩადეს ოქროს ლარნაკში,
თხელი პეპლოსი დააფარეს ძოწით მოსილი,
ღრმა სამარეში ჩაასვენეს, ხოლო ზემოდან
დიდი ლოდები დააფარეს, მჭიდროდ დატკეპნეს,
შემდეგ ყორღანი აღუმართეს, დაუდგნენ მცველნი,
800 რომ არ დასხმოდა სპა აბჯროსან აქაველების.
საფლავს მიწა რომ დააყარეს, ყველა წავიდა.
დიდი ქელები გაიმართა დიდ სასახლეში
ზევისის საყვარელ მეფის — მოხუც პრიამოსისა.
ასე დაკრძალეს იმ დღეს ჰექტორ, გმირი მხედარი.

შენიშვნები

ქმება პირველი

- 1.* „რ ი ს ხ ვ ა ს, ღ მ ე რ თ ქ ა ლ ო, უ გ ა ლ ო ბ ე...“ — იგულისხმება ხელოვნების ქალღმერთი — მუზა, კერძოდ, ეპიკური პოეზიის ქალღმერთი — კალიოპე. ასევე მუზისადმი მიმართვით იწყება „ოდისეაც“.
2. ა ქ ა ვ ე ლ ნ ი — ბერძნული ტომი.
9. ლ ე ტ ო — ქალღმერთი. ლეტოს ზევსისგან შეეძინა აპოლონი და არტემისი. მითის თანახმად ეჭვიანი ჰერა არ აძლევდა ლეტოს მოლოგინების საშუალებას. ზევსმა ზღვაში გააჩინა კუნძული დელოსი და ლეტომ იქ მოიმშობიარა.
ზ ე ვ ს ი — ბერძნული პანთეონის უზენაესი ღვთაება, რეასა და კრონოსის ვაჟი, ელვისა და ჰეჰა-ჰუხილის ღმერთი. ზევსმა ძველი ღმერთის კრონოსის ძალაუფლება და სამყარო გაინაწილა თავის ძმებთან — პოსეიდონთან და ჰადესთან ერთად.
11. ა ტ რ ი დ ი — ატრევსის ძე. ატრევსი იყო მიკენის მეფე, პელოპისა და პიოლამიას ვაჟი, აგამემნონისა და მენელაოსის მამა.
12. ა პ ო ლ ო ნ ი — ზევსის და ლეტოს ძე, არტემისის ძმა, ლინოსისა და ასკლეპიოსის მამა. ხელოვნების მფარველი ღვთაება. ითვლებოდა აგრეთვე გზებისა და მეზღვაურთა მფარველად, მისნობის ქომაგად.
18. ო ლ ი მ პ ო — ღმერთთა სასუფეველი წმინდა მთა თესალიაში.
პ რ ი ა მ ო ს ი — ტროის უკანასკნელი მეფე, ლომედონტის ძე, ჰეკაბეს ქმარი, პარისის, ჰექტორის და სხვათა მამა. პომეროსის ცნობით, მას ორმოცდაათი შვილი ჰყავდა, მათ შორის ცხრამეტი — ერთი მეუღლი-საგან.
30. ა რ გ ო ს ი — აგამემნონის სამფლობელო. მთავარი ქალაქი — მიკენი.
38. კ ი ლ ა — ქალაქი მესიაში, სადაც იყო აპოლონის განთქმული ტაძარი.
39. ს მ ი ნ თ ე ვ ს ი — აპოლონის ეპითეტი. ეპითეტი ნაწარმოებია სიტყვი-საგან „სმინთოს“ (თაგვი). თაგვი მისნობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული. ამავე დროს აპოლონი ითვლებოდა მინდვრის თაგვების შემმუსვრელად.

* ნუმერაცია მოცემულია პოემის სტრიქონთა მიხედვით.

55. ჰერა — ღმერთთა დედოფალი, რეას და კრონოსის ასული, ზევსის დაი და მეუღლე. ქორწინების, ოჯახის, მშობიარობის მფარველი ღვთაება.
56. დანაელნი — ბერძნული ტომი.
66. ასზვარაკეული — ბერძნ. ჰეკატომბე. ასი ხარის ან სხვა ცხოველთა მსხვერპლად შეწირვა. ნიშნავს მდიდრულ ზვარაკს.
80. არგიველნი — ბერძნული ტომი. იხმარება აქაველთა და დანაელთა სინონიმადაც.
97. შორსმოისარი — აპოლონის ეპითეტი.
100. ჰეკატომბე — ასზვარაკეული. იხ. 1, 66.
ქრისე — კუნძული და ნავთსადგური ტროაში, სადაც იყო აპოლონის ტაძარი.
110. შორსმმუსერელი — აპოლონის ეპითეტი.
111. ქრისეისი — აპოლონის ქურუმის ქრისეს ასული.
113. კლიტემნესტრა — აგამემნონის მეუღლე, ტინდაროსისა და ლედას ასული, კასტორისა და პოლიდეკის და, ორესტეს, იფიგენიას, ელექტრას დედა.
138. აიანტი — ტროის ომის გმირი. ტროადაში ორი აიანტი იბრძოდა — აიანტი ტელამონის ძე და აიანტი ოილევის ძე.
ოდისეუსი — „ილიადის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი, „ოდისეას“ მთავარი გმირი ითაკის მეფე, კეფალენელთა ტომის ბელადი, ლაერტიას და ანტიკლეს ვაჟი, პენელოპეს ქმარი, ტელემაქოსის მამა.
145. იდომენეუსი — კრეტის მეფე, მინოსის შვილიშვილი.
146. პელეუსი — ფთიის მეფე. პელაზგური ტომის — მირმიდონელთა ბელადი. მისგან ზღვის ქალღმერთს თეტისს შეეძინა აქილეუსი.
151. ტროა — სახელმწიფო და ქალაქი მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე. სხვაგვარად ამ სახელმწიფოს მთავარ ქალაქს ერქვა აგრეთვე ილიონი.
155. ფთია — ქალაქი თესალიაში. აქილეუსის სამშობლო.
159. მენელაოსი — ატრეუსის ძე, აგამემნონის ძმა, ელენეს ყოფილი ქმარი, სპარტის მეფე.
180. მირმიდონელი — პელაზგური ტომი, თესალიის სამხრეთი ნაწილის მოსახლეობა. ტომის სახელს უკავშირებენ ბერძნულ სიტყვას „მირმექს“ (ჭიანჭველა)
195. ათენა — მარადქალწული ქალღმერთი სიბრძნისა, ხელოვნებისა, ხელოსნობისა, ომისა. იგი იყო ატიკისა და ქ. ათენის ქომაგი, ზევსის ასული. მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ათენას კულტი შეთვისებულია პელაზგური პანთეონიდან.

199. პალასი — ქალღმერთ ათენას ეპითეტი. ეს მეტასახელი ქალღმერთმა მიიღო მას შემდეგ, როცა დაჭრა და ცოცხლად გაატყავა ტიტანი პალასი.
202. ფაროსანი ზევსი — ზევსის ეპითეტი, ეგიოხი (ბერძნ. აიგიოხოს), ეგიდის (აიგიდის) მფლობელი.
206. თვალმცეცხლია — ათენას ეპითეტი (ბერძნ. „გლაუკოპის“ — ნათელთვალეებიანი, თვალმომეღვარე).
222. გეიოხი — იხ. 202.
238. კრონიონი — კრონოსის შთამომავალი.
242. ჰექტორი — ტროელთა მხედართმთავარი. პრიამოსის ძე, პარისის ძმა, ანდრომაქეს ქმარი, ასტიანაქტის მამა.
263. პერითოე — პეირითოსი, იქსიონეს ძე, ლაპითების მეფე. მის ქორწილში მოხდა შეტაკება ლაპითებსა და კენტავრებს შორის.
დრიანტი — ღმერთის არესის ვაჟი, ლიკურგოსის მამა.
264. კაინევსი — არგონავტთა ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილე, ადრე ქალწული იყო, მაგრამ ღმერთმა ვაჟივით გადააქცია.
პოლიფემი — ლაპითების ერთ-ერთი გმირი.
265. ეგეოსი — ათენის მეფე, გმირი თესევსის მამა. ურჩხულ მინოტავროსთან ბრძოლის შემდეგ დაბრუნებულ თესევსს დაავიწყდა ვინაა ვინაა მამისთვის მშვიდობით დაბრუნება. ეგეოსს ეგონა ვაჟი დამელუპაო და ზღვაში გადავარდა. ამის შემდეგ ეწოდა იმ ზღვას ეგეოსის ზღვა.
თესევსი — ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გმირი.
270. აპიესმიწა — ჰელოპონესი.
280. „გშობა ქალღმერთმა...“ — აქილეუსის დედაა ზღვის ქალღმერთი თეტისი.
307. მენეტიდი — პატროკლე.
320. ევრიბატე, ტალთიბიოს — ავამემნონის მალემსრბოლნი.
352. „საწუთო-მცირე“ — აქილეუსს ბედად ხანმოკლე სიცოცხლე ეწერა, ტროის ომში იგი უნდა მოეკლა პარისს.
358. ნერევსი — ზღვის ღვთაება, აქილეუსის დედის თეტისის და მასთან ერთად ზღვის სხვა ნიმფების, ე. წ. ნერეიდების მამა.
366. თებე — ზემო ეგვიპტის დედაქალაქი, შემდგომში დიდ დიოსპოლისად წოდებული, ჰომეროსი მას „ასბჰიანს“ („ჰეკატომპილოი“) უწოდებს. თებე ერქვა აგრეთვე ბეოტიის მთავარ ქალაქს. ჰომეროსის მიხედვით იგი იყო „შვიდბჰიანი“ („ჰეპტაპილოს“). თქმულებით ეს ქალაქი ააშენა კადმოსმა. ამ ტაევში, ცხადია, იგულისხმება არა ბეოტიელი, არამედ ეგვიპტელთა თებე.

380. ვერცხლისმშვილდა — აპოლონის უპითეტი.
400. პოსეიდონი — ზღვის ღვთაება, კრონოსის ძე, ზევსის, პერას, ჰადესის ძმა.
- 402-3. ასხელა ბრიარე, ეგეონი — გოლიათი, რომელიც ღმერთებს იცავდა ტიტანების თავდასხმისაგან
413. თეტისი — ზღვის ნიმფა, ზღვის მოხუცი ღმერთის ნერეუსის ასული, ერთ-ერთი ნერეიდა, აქილეუსის დედა.
473. პეანი — საგმირო სიმღერა.
477. ეოსი — განთიადის ქალღმერთი, ჰელიოსის (მზის) და სელენეს (მთვარის) დაი. ეოსმა ქმრად შეირთო ტითონი და ზევსს შეევედრა იგი უკვდავი გაეხადა, მაგრამ დაავეიწყა მისთვის მუდმივი სიჭაბუკეც ეთხოვა.
571. ჰეფესტო — ცეცხლისა და მჭედლობის ღმერთი, ზევსისა და პერას ძე. ჰეფესტოს კულტის თავდაპირველ კერად თვლიან კ. ლემნოსს.
593. ლემნოსი — ვულკანური წარმოშობის კუნძული ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთით. განთქმული იყო მეტალურგიით. ფიქრობენ, რომ ოდითგანვე ლემნოსი დასახლებული იყო პელაზგური მოსახლეობით, პეროდოტე მიუთითებს კიდევ იქ მის დროს არსებულ პელაზგურ მოსახლეობაზე.
594. სინტიელები — ლემნოსის ძველი მოსახლეობა. სინტიელები მისდედნენ სამჭედლო საქმეს, მეტალურგიას. ამიტომაც კუნძულზე გაბატონებული იყო პრომეთეს და ჰეფესტოს კულტი.
603. ფორმინგი — კითარის თუ არფას მსგავსი ინსტრუმენტი 3-7 სიმით.

ძება მეორე

6. ძილისშორისი — ძილის ღმერთი — „ჰიპნოსი“, ნიქტის (ღამის) ვაჟი, სიკვდილის ღმერთის თანატოსის (ბერძნ. „თანატოს“ ნიშნავს სიკვდილს) ძმა.
19. ამბროსია — ღმერთები ამბროსიით კვებავდნენ თავიანთ ცხენებსაც.
42. ჭიტონი — ზედა ტანსაცმელი, უპირატესად ტილოსგან ნაქსოვი. უმეტესწილად სწევდა პერანგის მაგივრობას, მის ზემოთ იცვამდნენ ხოლმე ქლინას, ფაროსს, ჰიმატიონს. ზოგადად — სამოსი.
93. ოსა — ჭორის ღმერთი. ზევსის მაცნე.
103. პერმესი — მაიასა და ზევსის ვაჟი. მწყემსთა, მოგზაურთა, ვაჭართა მფარველი ღმერთი. ზევსის მაცნე. პერმესს ზოგჯერ აიგივებენ პროტო-

ხეთურ (ხატურ) და იბერიულ მთვარის ღვთაებასთან — არმაზთან (ბ. პროზნი).

104. პ ე ლ ო პ ს ი — პელოპონესის ეპონიმი. ტანტალოსის ძე, ნიობეს ძმა, პიპოდამიას ქმარი, ატრევსის მამა (აგამემნონისა და მენელაოსის პაპა).
106. თ ვ ი ე ს ტ ე — მიკენის მეფე, ატრევსის ძმა (აგამემნონისა და მენელაოსის ბიძა), ეგისტეს მამა.
110. ა რ ე ს ი — ზევსისა და ჰერას შვილი. ომის ღმერთი.
133. ი ლ ი ო ნ ი — ტროის მხარის მთავარი ქალაქი, სხვაგვარად — ტროა.
144. ი კ ა რ ო ს ი ს ზ ლ ვ ა — ზღვა, სადაც ჩავარდა იკაროსი, დაიდალოსის ძე, დაიდალოსი და იკაროსი გამოექცნენ კრეტის მეფე მინოსს დაიდალოსის მიერ გაკეთებული ფრთების საშუალებით. გათამამებული ყმაწვილი იკაროსი ფრენის დროს იმდენად მიუახლოვდა მზეს, რომ ცვილი, რომლითაც ფრთები ჰქონდა მიმაგრებული, დადნა და იკაროსი ზღვაში ჩავარდა.
145. ე ვ რ ო ს ი, ნ ო ტ ო ს ი — ქარის სახეობანი. ევროსი — აღმოსავლეთის ქარი, ნოტოსი — სამხრეთის ქარი, ევრონოტოსი — სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი.
147. ზ ე ფ ი რ ო ს ი — ქარის სახეობა, დასავლეთის ქარი. ქარის ღმერთი, ეოსის ძე, უკვდავი ცხენების — ქსანთოსის, ბალიოსის და სხვათა მამა.
173. ლ ა ე რ ტ ი დ ი — ლაერტის ძე, ოდისეესი.
184. ი თ ა კ ა — ოდისეესის სამფლობელო ქალაქი და კუნძული იონიის ზღვაში. მდებარეობს აკარნანიასა და კეფალენიის სანაპიროთა შორის.
260. ტ ე ლ ე მ ა ქ ო ს ი — ოდისეესისა და პენელოპეს ვაჟი.
262. ქ ლ ა ი ნ ა — თბილი მოსასხამი (ტანსაცმელი), გადასაფარებელი (საბანი).
- 290-291. დედანში ტაეპების ბოლოს მეორდება სიტყვა „ნეესთაი“.
303. ა ვ ლ ი დ ი — ქალაქი ბეოტიაში. ამ ქალაქში შეიკრიბა ბერძენთა გაერთიანებული მხედრობა ტროაზე გალამქრების წინ.
336. გ ე რ ე ნ ი ე ლ ი ნ ე ს ტ ო რ ი — გერენონი ქალაქია მესენიაში.
362. ფ ი ლ ე — გვაროვნული თემი, შემდგომ ხანებში — გეოგრაფიულ-პოლიტიკური ერთეული. ატიკაში იყო 4 ფილე, ხოლო ძვ. წ. ა. 510 წლის აქეთ — 10 ფილე. გვაროვნული ფილეები იყოფოდა ფრატრიებად, ტერიტორიულნი — დემოსებად.
381. „შ ე ვ უ დ გ ე თ ა რ ე ს ს“ — ვემსახუროთ ომის ღმერთს — არესს, ე. ი. დავიწყოთ ბრძოლა.
385. ა რ ე ს ი ს ვ ე ლ ი — ბრძოლის ასპარეზი.

445. ა ტ რ ე ი ო ნ ი — ატრევისის შთამომავალი.
447. ა ი გ ი დ ა — ჰეფესტოს მიერ ზევსისთვის გაკეთებული ფარი. ამ ფარს ათენაც ხმარობს. ზევსის ფარზე მიკრულია საშინელი ურჩხულის — მე-
დუზა გორგოს თავი. აქედანაა სიტყვა „ეგიდა“, გამოთქმა — მშვიდობის
ეგიდით“, ე. ი. მშვიდობის ძალით, მისი ნიშნით.
461. კ ა ვ ს ტ რ ი ო ს ი — მდინარე ლიდიაში.
465. ს კ ა მ ა ნ დ რ ი ო ს ი — მდინარე ტროაში, ერთვის ჰელესპონტს.
484. მ უ ზ ე ბ ი — ხელოვნების ქალღმერთები, ზევსის ასულები: კლეიო (ის-
ტორიის მუზა), ევტერპე (ლირიკის მუზა), თალეია (კომედიის მუზა),
მელპომენე (ტრაგედიის მუზა), ტერპსიქორე (ცეკვის მუზა), ურანია
(ასტრონომიის), ერატო (სატრფიალო პოეზიის მუზა), პოლიმნია (სა-
ხოტბო პოეზიის მუზა), კალიოპე (ეპიკური პოეზიის მუზა).
498. მ ი კ ა ლ ე ს ო ს ი — კონცხი მცირე აზიაში, კ. სამოსთან.
499. ჰ ა რ მ ა — მდინარე მცირე აზიაში.
ე რ ი თ რ ე — ქალაქი კ. ევბეაზე.
500. ე ლ ე ო ს ი — ქალაქი ბეოტიაში.
პ ი ლ ე — მდინარე ლიდიაში.
504. პ ლ ა ტ ა ი ა — ქალაქი ბეოტიაში.
507. ა რ ნ ე — ქალაქი ბეოტიაში.
511. ო რ ქ ო მ ე ნ ი — ქალაქი ბეოტიაში. მინიოსის ორქომენი ეკუთვნოდა
ბერძნულ ტომს მინიელებისას, არსებობდა აგრეთვე ქალაქი ორქომენი
არკადიაში.
518. ფ ო კ ე ე ლ ნ ი — ფოკიდა მხარეა საბერძნეთში.
520. პ ა ნ ო პ ე ვ ს ი — ქალაქი ფოკიდაში.
522. კ ე ფ ი ს ო ს ი — ტბა ბეოტიაში.
527. ლ ო კ რ ე ბ ი — შუა საბერძნეთში მცხოვრები ტომი.
532. ო პ ო ე ნ ტ ი — ლოკრიდის მთავარი ქალაქი, პატროკლეს სამშობლო.
535. ე ვ ბ ე ა — ეგეოსის ზღვის კუნძული.
536. ა ბ ა ნ ტ ე ბ ი — ევბეაში მცხოვრები ტომი.
537. ე რ ე ტ რ ი ა — ქალაქი ევბეაზე.
546. ა თ ე ნ ი — ატიკის მთავარი ქალაქი, V საუკუნიდან ძვ. წ. ა. მთელი
საბერძნეთის კულტურული ცენტრი.
557. ს ა ლ ა მ ი ნ ი — კუნძული ატიკის სანაპიროსთან.
559. ტ ი რ ი ნ თ ო ს ი — ქალაქი პელოპონესში.
561. ე პ ი დ ა ვ რ ო ს ი — ქალაქი პელოპონესში.

569. მიკენი — არგოლიდის მთავარი ქალაქი პელოპონესში.
570. კორინთო — ქალაქი პელოპონესის უკიდურეს ჩრდილოეთით.
572. სიკიონი — ქალაქი პელოპონესის ჩრდილოეთით.
573. პიპერესიე — ქალაქი პელოპონესის ჩრდილოეთით.
575. პელიკე — ქალაქი პელოპონესის ჩრდილოეთით.
581. ლაკედემონი — მხარე პელოპონესის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მთავარი ქალაქი — სპარტა.
582. ფაროსი — კუნძული ხმელთაშუა ზღვაზე, ეგვიპტის სანაპიროს სიახლოვეს.
582. სპარტა — ლაკედემონის მთავარი ქალაქი პელოპონესში.
584. ამიკლე — ქალაქი ლაკონიკაში, პელოპონესის სამხრეთ ნაწილში.
591. პილოსი — ნესტორის სამფლობელო, ქალაქი პელოპონესის სამხრეთ-დასავლეთით.
592. ალფეოსი — მდინარე პელოპონესში.
595. თრაკია — საბერძნეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მხარე ქელესპონტისა და მარმარილოს ზღვის სანაპიროსთან.
თამირისი — მითიური მომღერალი, რომელმაც მუზებთან შეჯიბრება გაბედა. მუზებმა ამისთვის იგი დააბრმავეს.
596. ექალია — ქალაქი ეტოლიაში.
ეერისტოსი — განთქმული მშვილდოსანი. მან მწვილდი ჯილდოდ მიიღო აპოლონისგან და იმდენად გათამამდა, რომ ღმერთს შეეჯიბრა. აპოლონმა იგი მოკლა.
600. კითარა — სიმებიანი საკრავი.
603. არკადია — პელოპონესის ცენტრალური მთიანი მხარე.
კილენე — მთა არკადიაში.
604. ეპიტოსი — მითიური მეფე არკადიისა.
615. ბუპრასია — ეპეელთა ტომის მთავარი ქალაქი ელიდაში.
ელიდა — მხარე პელოპონესის დასავლეთით.
619. ეპეელნი — ელიდაში (პელოპონესში) მცხოვრები ტომი.
625. დულიჩია — ითაკის მეზობლად მდებარე კუნძული, ცნობილი არ არის, სახელდობრ რომელ კუნძულს გულისხმობდა პომპროსი.
631. კეფალენია — კუნძულთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდა აგრეთვე კ. ითაკა.
ნერიტოსი — მთა კ. ითაკაზე.
634. ძაკინთოსი — კუნძული იონიის ზღვაზე, ითაკის მახლობლად.
სამოსი — კუნძული თრაკიის სანაპიროსთან (სამოთრაკია).

635. ეპიროსი — მხარე ჩრდილოეთ საბერძნეთში.
638. ეტოლია — მხარე საბერძნეთის დასავლეთით.
639. პლევრონი — ქალაქი ეტოლიაში.
640. ქალკიდე — ქალაქი ელიდაში.
კალიდონი — ქალაქი ეტოლიაში.
641. ინეესი — ქ. კალიდონის მეფე.
645. კრეტა — დიდი კუნძული ხმელთაშუა ზღვაში. ერთ-ერთი ცენტრი პომეროსამდელი ცივილიზაციისა, რომელიც კრეტა-მიკენის კულტურის სახელითაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში.
646. კნოსოსი — ქალაქი კ. კრეტაზე.
გორტინი — ქალაქი კ. კრეტის სამხრეთ ნაწილში.
651. ენიალიოსი — არესი.
653. პერაკლე — ზევსისა და ალკმენეს ძე, ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გმირი.
654. როდოსი — დიდი კუნძული, რომელიც მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროსთან მდებარეობს.
660. ეფორე — კორინთოს ძველი სახელწოდება. არსებობდა ამ სახელწოდების სხვა ქალაქებიც.
681. პელაზგიკური არგოსი — აქილევსის სამშობლო თესალიაში (ჩრდილოეთ საბერძნეთში). პელაზგები იყვნენ არაბერძნული ტომი, შესაძლოა, არაინდოევროპული წარმოშობისა, მოსახლეობდნენ თესალიაში და მცირე აზიაში. პელაზგიკური არგოსი ნიშნავს პელაზგებით დასახლებულ მხარეს. საკუთრივ სახელი „არგოს“ ერქვა სხვადასხვა ქალაქს არგოლიდაში, აკარნაიაში. სიტყვის მნიშვნელობა გაურკვეველია, თუმცა, ემთხვევა გრაფიკულად ზედსართავს „არგოს“ იმ განსხვავებით, რომ ზედსართავს ბოლოში მოუდის მახვილი, ხოლო ტოპონიმს — თავში. გარდა ამისა, ზედსართავს არა აქვს დადასტურებული ისეთი მნიშვნელობა, რომელიც გეოგრაფიულ სახელს შეეფერება. ფიქრობენ, რომ ტოპონიმი „არგოსი“ უნდა ნიშნავდეს „ველს“, „ვაკეს“.
633. პელადა — ამ შემთხვევაში აქილევსის სამშობლოში — თესალიაში ერთ-ერთი ქალაქის სახელწოდებაა. პომეროსის დროსვე ნიშნავდა მატერიკის საბერძნეთს თესალიის გამოკლებით, შემდეგ — მთელ საბერძნეთს კუნძულების ჩათვლით.
696. დემეტრე — კრონოსის და რეას ასული, ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების ქალღმერთი, პერსეფონეს დედა.
713. ადმეტოსი — თესალიელი მეფე, ალკესტისის ქმარი.
715. პელიასი — პოსეიდონის ძე. პელიასმა ტახტის მოცილე ძმისწული

იასონი კოლხეთს გაგზავნა ოქროს საწმისის მოსაპოვებლად (არჯონავ-
ტების ლაშქრობა).

723. პ ი დ რ ა — მრავალთავიანი წყლის გველი.

724. „მ ა ლ ე ა რ გ ი ვ ე ლ თ ფ ი ლ ო კ ტ ე ტ ე გ ა ა ხ ს ე ნ დ ე ბ ა თ“ — მითის მიხედვით შხამიანი პიდრას მიერ დაკბენილი ფილოქტეტე აქაველებმა უპატრონოდ დასტოვეს ლემნოსზე. ბედისწერის თანახმად კი ტროის აღება შეუძლებელი იყო ჰერაკლეს მშვილდის გარეშე, ხოლო ეს მშვილდი ხელთ ჰქონდა ფილოქტეტეს.

731. ა ს კ ლ ე პ ი ო ს ი — აპოლონის ძე, აქიმობის ღმერთი. „ილიადაში“ იგი ჯერ კიდევ არ იხსენიება ღმერთად. იგი მამაა აქაველთა მხედრობის დასტაქრების მახაონის და პოდალეიროსისა.

734. ო რ მ ე ნ ი ა — ქალაქი მცხენსიაში.
პ ი ბ ე რ ე ი ა — წყარო თესალიაში.

735. ა ს ტ ე რ ი ო ნ ი — ქალაქი თესალიაში.

738. ა რ გ ი ს ა — ქალაქი თესალიაში.

742. პ ი პ ო დ ა მ ე ა — პერითოროსის ცოლი. მის ქორწილში მოხდა შეტაკება ლაპითებსა და კენტაურებს შორის. იგივე სახელი ერქვა ენეასის დას, ანქისეს ასულს.

743. კ ე ნ ტ ა ვ რ ი — მითიური ოქენ-კაცი.

744. პ ე ლ ი ო ნ ი — მთა თესალიაში.

750. დ ო დ ო ნ ე — ქალაქი, რომელშიც ზევსის მოგვი იმყოფებოდა.

752. პ ე ნ ე ო ს ი — მდინარე თესალიაში.

755. ს ტ ი ქ ს ი — მიწისქვეშეთის სამეფოს მდინარე.

766. პ ი ე რ ი ა — მხარე მაკედონიაში.

776. ლ ო ტ ო ს ი — მცენარე, ლათ *Trifolium melilotus*.

782. ტ ვ ი ფ ო ე ვ ს ი — ურჩხული, რომელიც განასახიერებდა მიწისქვეშა ცეცხლს, ვულკანის ამოფრქვევას, მიწისძვრას.

783. ა რ ი მ ო ს ი — ადგილი კილიკიაში

783. ი რ ი ს ი — ღმერთთა მაცნე, ცისარტყელას ქალღმერთი.

814. მ ი რ ი ნ ე — ამამონი, მებრძოლი ქალი, რომლის საფლავის ყორღანს ერ-
ქვა ბატივია.

819. დ ა რ დ ა ნ ე ლ ნ ი — ბერძნული ტომი, ბერძნები.
ე ნ ე ა ს ი — აფროდიტეს და ანქისეს შვილი

820. ა ფ რ ო დ ი ტ ე — ზევსის და ლეტოს ასული, სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთი.

824. ი დ ე — მთაგრეხილი მცირე აზიაში, ჰელესპონტის ახლოს, ამ მთის ძირას მდებარეობდა ტროა.
ძ ე ლ ე ი ა — ქალაქი იდეს მთის ძირას, ტროის მახლობლად.
828. ა დ რ ა ს ტ ე ა — ქალაქი მცირე აზიაში.
831. პ ე რ კ ო ს ე ლ ი — ქ პერკოტეს მცხოვრები. ეს ქალაქი მდებარეობდა ტროის ჩრდილოეთით, ჰელესპონტთან.
პ რ ა კ ტ ი ო ნ ი — მდინარე ტროადაში.
841. ლ ა რ ი ს ა — ქალაქი მცირე აზიაში
845. პ ე ლ ე ს პ ო ნ ტ ი — ახლანდელი დარდანელის სრუტე.
846. კ ი კ ო ნ ე ბ ი — თრაკიული ტომი.
848. პ ე ო ნ ე ბ ი — პეონიის მოსახლეობა ჩრდილოეთ საბერძნეთში, სადაც შემდგომში იყო მაკედონიის ტერიტორია.
849. ა მ ი დ ო ნ ე — ქალაქი მაკედონიის ჩრდილოეთით.
ა ქ ს ი ო ს ი — მდინარე მაკედონიაში.
851. პ ა ფ ლ ა გ ო ნ ი ა — მცირე აზიის ჩრდილოეთი მხარე შავი ზღვის სანაპიროზე.
853. კ ი ტ ო რ ო ს ი — ქალაქი პაფლაგონიაში.
ს ე ს ა მ ო ს ი — ქალაქი პაფლაგონიაში.
854. პ ა რ თ ე ნ ი ო ს ი — მდინარე პაფლაგონიაში. სიტყვა „პართენიოს“ ნიშნავს „ქალწულურს“.
855. ე რ ი თ ი ნ ი ო ს ი — ქალაქი პაფლაგონიაში.
კ რ ო მ ნ ა — ადგილი პაფლაგონიაში.
856. პ ა ლ ი ძ ო ნ ე ბ ი — შავი ზღვის პირას მობინადრე ტომი, აიგივებენ ქართველური მოდგმის ტომებთან — ხალიბებთან.
857. ა ლ ი ბ ე ს მ ხ ა რ ე — ხალიბების (ქართველური ტომის) ქვეყანა შავი ზღვის სანაპიროზე.
858. მ ი ს ი ე ლ ე ბ ი — მისიის (მიზიის) მხარის მოსახლეობა.
862. ფ რ ი გ ი ა — მხარე მცირე აზიაში, ტროის აღმოსავლეთით. მომდევნო ხანის ავტორები ტროის მხარეს აიგივებენ ფრიგიასთან.
863. ა ს კ ა ნ ი ა — ადგილი ფრიგიაში.
864. მ ე ო ნ ი ა — ლიდის ძველი სახელწოდება.
865. გ ი გ ა ი ე — ტბა მცირე აზიაში, ლიდიაში.
866. ტ მ ო ლ ო ს ი — მთა ლიდიაში.
867. კ ა რ ი ა — მხარე მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთით.
868. მ ი ლ ე ტ ი — ქალაქების სახელი მცირე აზიასა და კრეტაზე.
ფ თ ი რ ე — ფთეირონი, მთა კარიაში.

869. მ ა ი ა ნ დ რ ო ს ი — მდინარე მცირე აზიაში.
მ ი კ ა ლ ე — კონცხი მცირე აზიაში, კ. სამოსის პირდაპირ.
876. ლ ი კ ი ა — „ილიადაში“ ამ სახელწოდებით ორი მხარე გვხვდება, ერთი — ტროასთან ახლოს, მეორე — მცირე აზიის სამხრეთით.
857. ქ ს ა ნ თ ო ს ი — მდინარე ტროაში.

ძეგა მესამე

77. ფ ა ლ ა ნ გ ი — საომარი წყობა, რაზმი.
130. ნ ი მ ფ ა — აქ იგულისხმება ახალგაზრდა, ღამაში ქალი, ქალმერთის სადარი.
145. ს კ ა ი ა ს ბ ჳ ე — ტროის დასავლეთ მხარეს გამავალი კარიბჭე.
189. ა მ ა ძ ო ნ ე ბ ი — მითიური მეომარი ქალები. ბერძნების წარმოდგენით ცხოვრობდნენ აზოვის ზღვისა თუ შავი ზღვის სანაპიროზე, კოლხი-დაში.
237. კ ა ს ტ ო რ ი დ ა პ ო ლ ი დ ე ე კ ო ს ი — ლედას შვილები, ელენეს ძმები.
277. ჰ ე ლ ი ო ს ი — მზის ღმერთი, მზე.
295. კ რ ა ტ ე რ ი — ჭურჭელი ღვინის შესაზავებლად. ორ წილ ღვინოზე ჩვეუ-ლებრივ სამი წილი წყალი მოდიოდა. კრატერს ამზადებდნენ ვერცხლის-გან ან მოოქრული ვერცხლისგან.
322. პ ა დ ე ს ი — მიწისქვეშეთის სამეფო, საიქიო, სულეთის ღმერთი.

ძეგა მეოთხე

2. ჰ ე ბ ე — ზევსისა და ჰერას ასული, სიყმაწვილის ქალღმერთი.
3. ა ლ ა ლ კ ო მ ე ნ ე — ათენას ეპითეტი ბეოტიის ქალაქის ალაკომენაის მიხედვით. ეს ქალაქი ითვლებოდა ათენას სამშობლოდ. გარდა ამისა, ეს სიტყვა გაიაზრებოდა მომდინარედ სიტყვისაგან „ალალკეინ“ და აღიქ-მებოდა როგორც „მტერთა უკუმგდები“, „დამცველი“.
91. ა ი ს ე პ ო ს ი — მდინარე მისიაში (მიზიაში).
101. ლ ი კ ი ე ლ ი — აპოლონის ეპითეტი, „ლიკიას შობილი“.
166. ე თ ე რ ი — სივრცე ზეცის კამარასა და ჰაერს (ატმოსფეროს შორის).
219. ქ ი რ ო ნ ი — ბრძენი კენტავრი, რომელმაც აღზარდა ჰერაკლე, იასონი, აქილევსი და სხვა გმირები.
377. პ ო ლ ი ნ ი კ ე — ოიდიპოსის ძე. იგი თებუდან გააძევა ძმამ ეტეოკლემ.

პოლინიკემ თავი მოუყარა ლაშქარს და დაესხა თებეს. ბრძოლაში ძმებმა ერთურთი დახოცეს.

385. კ ა დ მ ო ს ე ლ ნ ი — კადმოსი იყო ფინიკიელთა მეფის აგენორის ვაჟი. მან ბეოტიაში დააარსა ქალაქი თებე.
386. ე ტ ე ო კ ლ ე — პოლინიკეს ძმა, იხ. IV, 377.
477. ს ი მ ო ი ს ი ო ს — მდინარე სიმონტის პირას შობილი, სიმონტისპირელი.
508. პ ე რ გ ა მ ო ს ი — ტროის ანუ ილიონის აკროპოლისის სახელწოდება.
515. ტ რ ი ტ ო გ ე ნ ი ა — ათენას ეპითეტი (მნიშვნელობა არ არის ნათელი).

ქება მისუთი

51. ა რ ტ ე მ ი ს ი — მარადქალწული ნადირობის ქალღმერთი. ლეტოს და ზევსის ასული, აპოლონის და.
63. ა მ გ ე მ ი თ გ ა ი ტ ა ც ა პ არისმა ელენე. იგი გახდა სათავე ტროის ომისა.
83. მ ო ი რ ა — ბედისწერის ქალღმერთი. ჰომეროსის შემდგომ ხანებში ბერძნებს წარმოდგენილი ჰყავდათ მოირა სამი ქალღმერთის სახით: კლოთო ქსოვს ცხოვრების ძაფს, ლაქესისს ამოაქვს კაცის წილხვედრი, ხოლო ატროპოსი წყვეტს სიცოცხლის ძაფს.
222. ტ რ ო ს ი — ტროელ მეფეთა მამამთავარი, მისი სახელი (ტროა) ეწოდა ქვეყანასაც, იგივე სახელი ჰქვია ერთ-ერთ ტროელს, რომელიც მოკლა აქილეესმა.
266. გ ა ნ ი მ ე დ ი — ტროელთა მეფის ტროსის ვაჟი, რომელიც ზევსმა მისი სილამაზის გამო მამას გაუცვალა რაშებში. მოგვიანო თქმულებით განიმედი ზევსმა არწივს მოატაცებინა, უკვდავება უბოძა და ლეინის მწიდედ გაიხადა.
269. ლ ა ო მ ე დ ო ნ ტ ი — ტროის მეფე, პრიამოსის მამა.
318. კ ე ი პ ო ს ე ლ ი — აფროდიტეს ეპითეტი, „კვიპროსს შობილი“.
333. ე ნ ი ო — ომის ქალღმერთი.
338. ქ ა რ ი ტ ნ ი — სილამაზის სამი მარადნორჩი ქალღმერთი.
370. კ ი პ რ ი ს ი — კვიპროსს შობილი, კვიპროსელი (აფროდიტეს ეპითეტი).
371. დ ი ო ნ ე — აფროდიტეს დედა. ძველი ქალღმერთი. ჰომეროსის შემდგომდროინდელ საბრძენეთში მისი კულტი არ ჩანს.
392. ა მ ფ ი ტ რ ო ნ ი ს მ ე — ამფიტრიონი იყო ალკმენეს ქმარი და ითვლებოდა პერაკლეს მამად, თუმცა ალკმენეს პერაკლე ზევსისგან შეეძინა.

395. ა ი დ ე ს ი — მიწისქვეშეთის, ჰადესის ღმერთი, საიქიო.
401. პ ე ა ნ ი — აქიმობის ღმერთი, ღმერთთა დასტაქარი.
438. დ ა რ მ ო ნ ი — დემონი, კვი სული.
509. ფ ო ბ ო ს ი — აპოლონის ეპითეტი („სხივოსანი“).
518. ე რ ი ს ი — შულის ქალღმერთი.
525. ბ ო რ ე ა ს ი — ჩრდილოეთის ქარი.
- 648-49. იგულისხმება პერაკლე.
723. რ ვ ა მ ა ნ ი ა ნ ი — ბერძნ. „ოკტაქნემა“, საზიდარი, ეტლი, რომელსაც რვა თელის მანა აქვს.
734. პ ე პ ლ ო ს ი — მოსასხამი, სამოსი (უპირატესად ქალისა), გადასახურავი (საბანი).
741. გ ო რ გ ო — ფრთოსანი ურჩხული, თმების ნაცვლად გველების მქონე. ჰომეროსი იცნობს ერთ გორგოს — მედუზას.
749. პ ო რ ე ბ ი — წელიწადის დროთა ქალღმერთები, ოლიმპოს კარიბჭის მცველნი.
898. უ რ ა ნ ი დ ე ბ ი — ურანოსის, პირველღვთაების, ზეცის ღმერთის (ბერძ. „ურანოს“ —ცა) შვილები.

მემა მემეძვე

132. დ ი ო ნ ი ს ე — ღვინისა და ვენახის, მხიარულების ღმერთი.
175. „მ ე ა თ ე დ ა დ გ ა ე ო ს ვ ა რ დ ი ს თ ი თ ე ბ ა“ — გათენდა მეათე დილა.
236. ა ს ზ რ ო ხ ი ა ნ ი, ც ხ რ ა ზ რ ო ხ ი ა ნ ი — ზროხა (საქონელი) გვაროვნული წყობილების დროს იყო საცვლელი ერთეული, იხმარებოდა ფულის ნაცვლად, როგორც ფასის საზომი.
- 402-403. „მ ა მ ა ე ძ ა ხ დ ა ს კ ა მ ა ნ დ რ ი ო ს ს, ტ რ ო ის მ ც ხ ო ვ რ ე ბ უ ნ ი — ა ს ტ ი ა ნ ა ქ ტ ს: ტ რ ო ის ბ უ რ ჯ ი პ ე ქ ტ ო რ ი ა ო“ — ტროელთა შეხედულებით, „სკამანდრისპირელის“ ზედწოდება არ შეეფერებოდა პატარა ბავშვს, ასეთი პატივის ღირსი მხოლოდ მისი მამა შეიძლებოდა ყოფილიყო.

მემა მუშვილი

84. ო რ მ ხ რ ი ე ხ ო ფ ი ე ნ ი ხ ო მ ა ლ დ ე ბ ი — იგულისხმება დიდი წყალი. წყვის მქონე ხომალდები, რომელთაც ორსავე მხარეს დიდძალი ხელები (ნიჩბების) მწყრივი ჩაუყვებოდა.

389. მთავალმერხეიანთა გეგმა — ხოსაღლი, რომელსაც მერხებზე მჯდომი ბევრი მენიჩბე მიაცურებდა.
453. პოსეიდონმა და აპოლონმა ტროის მეფეს ლომედონტს აუგეს ციხე, მაგრამ მან ეს შრომა არ დაუფასა ღმერთებს.
469. ჰიპსიპილე — ქ. ლემნოსის დედოფალი. მის დროს ლემნოსელმა ქალებმა დახოცეს ქმრები ლალატისათვის. უმამაკაცო კუნძულზე მოსული არგონავტები კარგახანს დარჩნენ მათთან. ჰიპსიპილეს არგონავტთა მეთაურისგან იასონისგან შეეძინა ვაჟი — ევენოსი.
471. მეტრონი — საწყაო ერთეული.

ძეგა მერვე

1. „მიწას ეფინა ეოს ყვითელპეპლოსიანი“ — გათენდა.
13. ტარტარი — ჯოჯოხეთი.
363. ევრიხთესი — ტირინთოსა და მიკენის მეფე.
368. ერებოსი — მკვდართა სამეფო.
393. პორები — იხ. V, 749.
479. კრონოსი — ზევსის მამა, ურანოსის შვილი. მან დაამხო ურანოსის ძალაუფლება, მაგრამ შემდეგ თვით ემსხვერპლა ზევსს, რომელმაც იგი ჯოჯოხეთში შთანთქა.
- იაპეტი — ძველი ღვთაება, ტიტანი, პრომეთეს და ატლანტის მამა.

ძეგა მესხრე

122. ტალანტი — სასწორი, საწყაო. წონის ერთეული. არ ჩანს, რამდენს უდრიდა ჰომეროსის დროს, შემდგომ ხანებში ეტოლებოდა 26,2 კგ. ტალანტი იყო აგრეთვე ფულის ერთეული: ოქროს ტალანტი უდრიდა 10 ვერცხლის ტალანტს, ვერცხლისა — 60 მნას (ბაბილონური, სპარსული და ეგინის მხარისა — 100 მნას), მნა თავის მხრივ ეტოლებოდა 100 ატიკურ დრაქმას, დრაქმა — 6 ობოლს, რომელიც ფულის ყველაზე წვრილ ერთეულს წარმოადგენდა.
191. ეაკიდი — ეაკეს შთამომავალი.
454. ერინია — შურისძიების ქალღმერთი.
457. პერსეფონე — ზევსისა და დემეტრეს ასული. იგი გაიტაცა ჰადესმა და ცოლად შეირთო. ზევსმა ნება დართო პერსეფონეს ნახევარი წელი

ოლიმპოზე ყოფილიყო, დედასთან, ნახევარი წელი კი — მიწისქვეშეთში, ქმართან. მითი პერსეფონეს შესახებ განასახიერებს ზამთრისა და ზაფხულის დროთა ცვალებადობას: როცა პერსეფონე ოლიმპოზეა, ბუნება აყვავებულია.

484. დოლოპები — თესალიური ტომი.

502. ლიტები — ზევსის ასულები, თხოვნა-ვედრებისა და ლოცვის ქალღმერთები. ბერძნ. „ლიტე“ ნიშნავს ხვეწნას, მუდარას

ძება მამა

415. ილოსი — ტროის ძე, ლომედონტის მამა, პრიამოსის პაპა. ტროის მეორე სახელის — ილიონის ეპონიმი.

497. „ძე ოინეიდი“ — დიომედე, ოინეუსის ძის — ტიდეუსის შვილი.

498. ერთმთლიან ფლოქვად ქცეული — ბერძნ. „მონიუხეს“ — „ერთფლოქვიანები“. იგულისხმება ცხენების დიდი სისწრაფე და მიზანსწრაფული სრბოლა.

ძება მითერთმეტა

1. ტითონი — ლომედონტის ძე, პრიამოსის ძმა, მემნონის მამა. განთიადის ქალღმერთმა ეოსმა იგი ქმრად გაიხადა, უკვდავება შესძინა, მაგრამ დაავიწყდა მარადიული ჭაბუკობა მიენიჭებინა.

256. „შუბი... ქარში ნაზარდი“ — იგულისხმება შუბისტარი, რომელიც მინდვრად, ქარში გაზრდილი ხისგან იყო მოჭრილი.

270. ელეითები — მშობიარობის ქალღმერთები.

352. თვალამოღებული ზუჩი — ზუჩი, რომელსაც გასახედად დატოვებული აქვს ორი ღრუ.

372. დარდანოსი — ამ სახელით ორი პიროვნება გვხვდება „ილიადაში“, ერთია პექტორისა და ენეასის საერთო წინაპარი, ხოლო მეორე — მეომარი, რომელიც მოკლა აქილეუსმა. დარდანელები ეწოდება ენეასის მებრძოლებს.

395. „ჩიტებს გაუღით რია-რია და არა ქალებს“ — იგულისხმება, რომ მოკლულთა გვამებს ყვავ-ყორნები დასტრიალებენ და არა ჭირისუფლები.

604. „და ეს იყო საწყისი გლოვის“ — იგულისხმება, რომ აქაველთა ბედით აქილეუსის დაინტერესებას მოჰყვება გლოვა — პატროკლეს დაღუპვა და ახლო მომავალში თვით აქილეუსის სიკვდილი.

701. ავგეასი — ელიდის მეფე. ოცდაათი წელი მისი თავლა არ გაწმენდილა, პერაკლემ ერთ დღეში გაასუფთავა. აქედან არის გამოთქმა „ავგეასის თავლა“, რაც ნიშნავს გამოუღვეველ სიბინძურეს, რომელსაც არაფერი ეშველება.

733. არესის საქმე — ბრძოლა, ომი.

750. მიწის მრყეველი — პოსეიდონი.

ქება ვეცამეტა

5. პიპემოლგოსნი — სკეითური ტომი, „ჭაკათა მწველენი“.

322. დემეტრეს ნაყოფი — მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალ: ღმერთის ნობათი, ის, რასაც მიწა იძლევა.

345. კრონიონები — იგულისხმება ზევსი და პოსეიდონი.

425. „ღამის წყვილი“ — აქ ნიშნავს სიკვდილს.

746-747. პულიდამანტს ეშინია, რომ ბრძოლაში კვლავ ჩაებმება აქილეუსი.

759-760. ლაპარაკია ორ მებრძოლზე, რომელთაც ერთი სახელი — ასიოსი ჰქვიათ: ასიოს ადამანტის ძე და ასიოს პირტაკოსის ძე.

ქება მეთოთხმეტა

201. ოკეანე — ურანოსის და გეას ძე, ტიტანი, ტეთისის ძმა და მეუღლე, ღმერთების, ზღვათა და მდინარეთა მშობელი.

250. კრონიონის ძე — იგულისხმება ზევსის ძე პერაკლე.

274. თანაარსნი ძველი კრონოსის — ტიტანები, ურანოსის შვილები.

291. ქალკიდი, კიმინდი — ქორი, ლათ. *nocturnus accipiter*.

315. იქსიონე — ლაბითების მეფე. მან პერას გულის მონადირება მოინდომა, მაგრამ ზევსმა ნეფელეთი (ღრუბლით) შეუცვალა სატრფო.

317. დანაე — დანაეს ოქროს წვიმის სახით დაუკავშირდა ზევსი. მისგან იშვა პერსევსი. ამ მითის სიუჟეტი ხშირად გვხვდება სახვით ხელოვნებაში (ტიციანი, რემბრანდტი და სხვა).

323. სემელე — თებეს მეფის კადმოსის ასული. მას ზევსისგან შეეძინა დიონისეუსი. ღმერთისა და მხიარულების ღმერთი.

ალკმენე — ამფიტრიონის მეუღლე. მისგან შეეძინა იფიკლე, ხოლო ზევსისგან — პერაკლე.

ქება მითხუთვეტი

87. თ ე ნ ი და — ტიტანიდა, ზევსის ცოლი, სიმართლის, მართლმსაჯულებისა და წინასწარმეტყველების ღმერთქალი.
- 101-102. დედოფალი ჰერა ნაძალადევად იღიმება.
119. შ ი შ ი და ს ა შ ი ნ ე ლ ე ბ ა — ამ შემთხვევაში იგულისხმება არა ემოციები, არამედ ამ განცდათა გამომწვევი ღმერთები.
412. ათენა იყო ხელოვნებისა და ხელოსნობის ქომაგიც.
425. და რ და ნ ნ ი — დარდანელები, დარდანოსის შთამომავალი, ტროელთა ერთ-ერთი რაზმი, რომელსაც ენეასი მეთაურობდა.
- 566-567. რ ვ ა ლ ი ს კ ე დ ე ლ ი გ ე მ ს შ ე მ ო ა ვ ლ ე ს — იგულისხმება ახჯარასხმულ მეომართა ცოცხალი კედელი.
706. პროტესილაოსი იყო პირველი, ვინც ტროის ომს შეეწირა.
729. შ ვ ი დ ტ ე რ ფ ი ა ნ ი მ ე რ ხ ი — მთლად ნათელი არ არის, რას გულისხმობდა ამ სიტყვებში ჰომეროსი. შესაძლოა, მართალი იყოს „ილიადის“ რუსულად მთარგმნელი გნედიჩი, რომელიც თვლიდა, რომ „შვიდტერფიანი მერხი“ მენიჩბეთა დასაჯლომად კი არ იყო განკუთვნილი, არამედ წარმოადგენდა შვიდი ტერფის სიგრძე, „შვიდფუტიანი“ (ინგლისური „ფუტ“ ნიშნავს „ტერფს“) ფიცარს, რომელსაც გემიდან გადმოსასვლელად, ტრაპად იყენებდნენ.
47. ს ი კ ვ დ ი ლ ს ა ს თ ხ ო ვ და — იგულისხმება, რომ პატროკლეს ომში ჩაბმას მალე უნდა მოჰყოლოდა მისი სიკვდილი.
150. ჰ ა რ პ ი ა პ ო ღ ა რ გ ე — ჰარპიები — სიკვდილის მომასწავებელი სულელები. პოდარგემ ზეფიროსთან შეუღლებით შვა აქილევსის რაშები — ქსანთოსი და ბალიოსი.
174. ს პ ე რ ქ ე ი ო ს ი — მდინარე თესალიაში.
235. ს ე ლ ე ბ ი — მოგვები და მისნები დოდონაში. ისინი წინასწარმეტყველებდნენ წმინდა მუხის ფოთლების შრიალზე, ამიტომ დადიოდნენ ფეს-შიშველნი.
329. ქ ი მ ე რ ა — ურჩხული.

ქება მინვილვეტი

- 4-5. ჩვენამდე მოაღწია ამ ტაუკების ძველქართულმა თარგმანმა, რომელიც ასე ეწერს: „ბარბით მცემელობს პირმო-შობ ვერ მეცნიერი შობისა“.

- 210-211. „ჩ ა ს ა ხ ლ დ ა გ უ ლ შ ი შ მ ა გ ი ა რ ე ს ი“ — გმირი ბრძოლის სურვილით აღინთო.
425. სპილენძის ცა, სპილენძისფერი ცა ჩვეულებრივი გამოთქმაა „ილიადის-თვის“, იგი ერთი მხრივ მიანიშნებს ჩამავალი მზით შეფერილი, შერუბლული ზეცის ფერს და მეორე მხრივ ხაზს უსვამს ბუნების სურათის მსგავსებას ბატალურ სცენასთან. ამით ჰქმნის პოეტი მძიმე და საბედისწერო განწყობილებას. სპილენძს სიკვდილი მოაქვს, ცა სპილენძისფერია, ავის მომასწავებელია, ბრძოლის ველზე სპილენძი მძვინვარებს, მოყმეთაც „სპილენძის ძილი“ ეუფლება.

ძეგა მეთვრამეტე

38. ნ ე რ ე ი დ ე ბ ი — ზღვის ღმერთის ნერევის ასულები.
255. „ველოდოთ... ეო ს ს“ — ველოდოთ დილას, გათენებას.
- 395-405. მოთხრობილია მითი იმის შესახებ, რომ ჰერას რცხვენოდა შვილის სიკოჭლე და თავიდან მოიშორა. ამ მითის თანახმად ჰეფესტო დაბადებიდანვე იყო კოჭლი. არსებობს სხვა მითიც იმის შესახებ, რომ განრისხებულმა ზევსმა ზეციდან მოისროლა ჰეფესტო, რომელსაც ზევსსა და ჰერას შუღლის დროს დედის მხარე ეჭირა. ჰეფესტო კუნძულ ლემნოსზე დაენარცხა და ძლივს გადარჩა ადგილობრივი ტომის — სინტიელების დახმარებით. ეს მითი ასახულია „ილიადის“ პირველ ქებაში.
399. ე ვ რ ი ნ ო მ ე — ზღვის ქალღმერთი, ტიტან ოკეანის ასული.
432. ა ი ა კ ე, ე ა კ ე — პელევსისა და ტელამონის მამა, აქილევსისა და აიანტის პაპა.
462. ა მ ფ ი გ ი ე ვ ს ი — ჰეფესტოს ეპითეტი, „ორთავ ხელით ძლიერი“.
486. პ ლ ე ა დ ე ბ ი — შვიდი თანავარსკვლავედი, აქედან არის სიტყვა „პლეადა“.
- ჰ ი ა დ ე ბ ი — თანავარსკვლავედი.
- ო რ ი ო ნ ი — ერთ-ერთი თანავარსკვლავედი პლეადების გვერდით.
- არ კ ტ ო ს ი — დიდი დათვის თანავარსკვლავედი („არკტოსი“ — დათვი).
507. ტ ა ლ ა ნ ტ ი — იხ. IX, 122.
592. დ ა ი დ ა ლ ო ს ი — მითიური მხატვარი და მშენებელი.
- ა რ ი ა დ ნ ე — არიადნემ დაიდლოსის ნაჩუქარი ძაფი მისცა გმირ თესევსს, რომელსაც დაღუპვა ელოდა დაიდლოსისავე აგებულ ლაბირინთში. ამ ძაფის საშუალებით გაიგნო გმირმა გზა ლაბირინთში. აქედანაა გამოთქმა — „არიადნეს ძაფი“, ანუ გზის მაჩვენებელი საშუალების პოვნა.

ქება მესხრამება

47. არესის მსახური — მეომარი, გებრძოლი, ომის ღმერთის მსახური.
91. ატე — ზევსის ასული, სიგიჟისა და უბედურების ქალღმერთი.
131. „კაცთა საქმე არგუნა წილად“ — ატე ამიერიდან ღმერთების საქმეში ვერ ჩაერეოდა, მას მხოლოდ ადამიანთა შორის შეეძლო ბოღმის აღძვრა.
898. პიპერიონი — ტიტანი, ურანოსისა და გეას ძე, ჰელიოსის, სელენეს და ეოსის მამა.
413. „ლეტოს შობილი“ — იგულისხმება აპოლონი.

ქება ვეოსა

13. „მიწის მძვრელი“ — იგულისხმება პოსეიდონი.
53. კალიკლონე — გეოგრაფიული პუნქტი ტროის მხარეში.
96. ლელეგები — ბალკანეთის ნახევარკუნძულის ძველი მოსახლეობა. პომეროსის მიხედვით ლელეგები მცირე აზიაში ცხოვრობდნენ.
107. ზღვის მოხუცი — ნერეუსი, ზღვის ღმერთი, თეტისის მამა.
- 307-308. თქმულების თანახმად ენეასი ტროის ომიდან გადარჩა და ტროელთა ნაშთთან ერთად ახალი სამკვიდროს ძებნაში მიაღწია იტალიის სანაპიროებს, აქ მისი ტომი შეერია ადგილობრივ მოსახლეობას და საფუძველი ჩაეყარა ახალ სახელმწიფოს — რომს. ეს მითი დამუშავებული აქვს ვერგილიუსს „ენეიდაში“ (თარგმნილია ქართულად: ვერგილიუსი, ენეიდა, თბ., 1976 წ.).
329. კავკონები — ტროელთა მეზობელი ტომი. იგივე სახელი ერქვა ერთერთ ტომს, რომელიც პელოპონესის დასაყლეთით ცხოვრობდა.
385. პიდე — ქალაქი ლიდიაში.
ტმოლოსი — მთა ლიდიაში.
391. გიგაიე — ტბა მცირე აზიაში, ლიდიაში.
392. პილოსი — მდინარე ლიდიაში, პერმოსის შენაკადი.
404. პელიკონი — ქალაქი პელოპონესის ჩრდილოეთით.

ქება ოცდაგმერთი

411. იესონიდი — იგულისხმება არგონავტ იასონისა და ღმერთი დედოფლის ჰიპსიპილეს ვაჟი — ეენოსი.

455. ყურების დაჭრა მონობის ნიშანი იყო. აქედან არის გამოთქმა „ყურ-მოჭრილი მონა“.

ქება ოცდახუთრამ

29. ო რ ი ო ნ ი ს ქ ა ლ ლ ი — თანავარსკვლავედი.
- 506-507. „ტ რ ო ე ლ ე ბ ი ა ს ე უ ხ მ ო ბ ე ნ, რ ა დ გ ა ნ შ ე ნ ე რ თ ი ბ ჭ ე ს ი ც ა ვ დ ი და ტ რ ო ი ს ც ი ხ ე ს“ — ჰექტორი შვილს ეძახდა სკამანდრიოსს (სკამანდრისპირელს). ასეთ ზედწოდებას ტროელი მოქალაქენი არ იზიარებდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ სკამანდრიოსი (ტროის მთავარი მდინარიდან მომდინარე სახელი) უფრო თვით ჰექტორს შეეფერებოდა, როგორც ქალაქის ბურჯს.

ქება ოცდამესამე

25. და რ და ნ ი ო ნ ი — დარდანოსის შთამომავალი, ჰექტორი.
269. ტ ა ლ ა ნ ტ ი — იხ. IX, 122.
296. ა ნ ქ ი ს ი დ ი — ანქისეს ძე.
679. ო ი დ ი პ ო ს ი — მეფე ლაიოსისა და იოკასტეს ძე. ორიდოსის მითი საფუძვლად დაედო სოფოკლეს ცნობილ ტრაგედიას „ორიდაოს მეფე“. თქმულება გამოიყენეს შემდგომში სენეკამ, კორნელმა, ვოლტერმა და სხვებმა.

ქება ოცდამეოთხე

30. ლაპარაკია მითზე, რომელიც ეხება ტროის ომის დაწყების მიზეზს. პარისმა ჰერას, ათენას და აფროდიტეს შორის სილამაზეში უპირატესობა სიყვარულის ქალღმერთს მიანიჭა, რომელმაც მთელს ქვეყანაზე ულამაზესი ქალის სიყვარული აღუთქვა. პარისმა მართლაც მოიგო სპარტის მეფის მენელაოსის მეუღლის ელენეს გული.
340. პ ე დ ი ლ ა — მსუბუქი ფეხსაცმელი, შედგებოდა მხოლოდ ტყავის ძირისაგან (ფეხსაცმელს ზედა ძირი არ ჰქონდა) და ეს ძირი მაგრდებოდა შიშველ ტერფზე წნული თასმების საშუალებით.
440. ე რ ი უ ნ ი ო ს ი — ჰერმესის ეპითეტი („სიკეთის მომტანი“).
602. ნ ი ო ბ ე — ნიობეს ჰყავდა 12 ქალ-ვაჟი. მან აბურად აიგდო ლეტო, რომელსაც მხოლოდ ორი შვილი ჰყავდა — აპოლონი და არტემისი. ამისათვის კადნიერი დედა სასტიკად დაისაჯა: აპოლონმა და არტემისმა ყველა შვილი დაუხოცეს.

უი ნ ა ა რ ს ი

სიტყვა პოეზიის ხე	5
ქება პირველი უამიანობა. რისხვა	51
ქება შიორე ხიზშარი. ბეოტია, ანუ ხოპალდა ხია	70
ქება მესამე ფიცი. ალექსანდროსისა და მენელაოსის შერკინება	96
ქება მეოთხე ფიცის გატეხა. აგამემნონის მიერ ლაშქრის შემოყლა	110
ქება მესუთე დიომედეს გმირობა	127
ქება მეექვსე პექტორისა და ანდრომაქეს შესხედრა	155
ქება მეშვიდე პექტორისა და აიანტის შერკინება	171
ქება მერვე ღმერთების ბჭობა. შეწვეტილი ბრძოლა	186
ქება მეცხრე ელრობა	203
ქება მეთე დოლონია	225
ქება მეთერთმეტე აგამემნონის გმირობა	244
ქება მეთორმეტე გალავანთან შერკინება	270
ქება მეცამეტე ბრძოლა სომალდებთან	285
ქება მეთოთხმეტე ზევისის მოხიბვლა	311
ქება მეთსუთმეტე განდენა სომალდებიდან	328
ქება მეთექვსმეტე პატროკლეა	352

რედაქტორი ლია იმერლიშვილი
მსატერული რედაქტორი დაეით ღუნდუა
ტექნიკური რედაქტორი მერი ანუაშვილი
კორექტორები: ლეილა არეშიძე, ლეილა არჩვაძე
გამომშვები არჩილ სააკაძე

გადაეცა წარმოებას 20/VIII-79. ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 22/XI-79. საბეჭდი ქალაქი № 1 მ/კ 108¹/₃₂
პირობითი ნაბეჭდი თაბასი 30,24. სააღრიცხეო-საგამო-
მცემლო თაბასი 28,38. ტირაჟი 50.000. შკკ. № 2846
ყასი 3 მან.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა
და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
თბილისის ი. ჭავჭავაძის სას. წიგნის ფაბრიკა, მეგობ-
რობის გამსხირი № 7.

Тбилисская книжная фабрика, им. И. Чавчавадзе,
Государственного комитета Грузинской ССР по
делам издательства, полиграфии и книжной тор-
говли, пр. Дружбы № 7.